

780/  
1986/2  
1986/3

# საქართველო

№ 236  
(3-4)

ქართული  
განათლების

ISSN 0134-9848







საქართველო  
მხატვრობა

ტომას გაინზბორო. სარწყულაბელი



# საუნჯე

1986/3

8160  
036060



## შინაარსი

ფ. სკოტ ფიცჯერალდი. ნაზია ღამე. რომანი. დასასრული. ინგლისურიდან თარგმნა მალიკო ხელაშვილმა	8
იაკონური ლირიკიდან. თარგმნა მურმან ლებანიძემ	89
ევგენი ევტუშენკო. ლექსი თარგმნა გივი ძნელაძემ	91
ჰაინრიხ ბიოლი. კლოუნის თვალთახედვა. რომანი. დასაწყისი. გერმანულიდან თარგმნა ნელი ამაშუკელმა	92
აბდულა არიპოვი. ლექსები. თარგმნა ბესიკ ხარანაულმა	154
რანერ მარია რილკე. ლექსები. თარგმნა გივი აღმაშვილმა	156
გერმანული ხალხური ბალადები. თარგმნა აკაკი გელოვანმა	161
ჰერბერტ მრნესტ ბეიტსი. რა აგაოა კაცთ გაცემა. მოთხრობა. ოსკარ უაილდი მილიონერი-მოღელი. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ნათელა დოხნაძემ	166
აკუტაგავა რიუნოსკე. Menzura Zoili. მოთხრობა. თარგმნა კარლო არსენაშვილმა	198
ემილ ვერჰარნი. ლექსები. თარგმნა სილოვან ნარიმანიძემ	198
ტატიანა სუსოტინა-ტოლსტაია. მოგონებები. გაგრძელება. თარგმნა ნანა დარჩიამ	204

## ვაკილები

ვიკჟინია ვულფი. ერთი ოთახი საკუთრად. ინგლისურიდან თარგმნა ინგა კაპავამ	207
გიორგი აკოლინაი. ახალი ცნობიერება და კომედიები. თარგმნა შაია დიასამიძემ	208
ნოდარ კაკაბაძე. თომას მანის უცნობი ნაწარები	300
მეკაბ კალანდიაძე. ფრიდრიხ შილერის ისტორიული შეხედულებები	307
ეთერ მგალობლიშვილი. ელზარ კო ბალატიონის შემოქმედებაში	312
ი. კუწნეცოვა. ტომას ბეინზბორო. თარგმნა შაია ხელაიამ	317



საქართველოს მწიკრალთა კავშირი  
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური აღმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა  
მთავარი სარედაქციო კოლეგია



მთავარი რედაქტორი:

**მუსხრან მაჭავარიანი**

სარედაქციო კოლეგია:

ელზა ახვლედიანი

ჯემალ აჯიაშვილი

გიორგი გაქანიძე

მზია ბაჭრაძე

ბაჩანა ბრეგვაძე

გურამ გოგიაშვილი

ნანა ღარჩია (პ. მგ. მღივანი).

მაგალი თოდუა

ნოდარ ქაკაბაძე

ზურაბ აიხაძე

პახუშტი კობახიშვილი

როგან ვიფიწოშვილი

გიორგი ნიშენიძე

ოთარ ნოდია

დალი ჟანჯიკიძე

რუსუდან ქავულაძე

ივრამ ქვერთალიძე

ნიკო ყიასაშვილი

გივი შანაზარი

გივი ძნელაძე

დავით წერაღიანი

ნუგზარ წერეთელი

თამაზ წიფჩივაძე

რაფო ჭავჭავაძე (მთ. რედ. მოადგილე)

გარეკანზე: ტომას ბეინზგორო, მერი ბრეიემის პორტრეტი.

მხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექნოლოგიური რ. იმნაიშვილი  
გამომშვები ნანა ბართია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მღივანი — 99-60-22.  
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

გად. წარმ. 25.2.86 წ., ხელმოწ., დასაბეჭდად 4.6.86 წ., ქაღალდის ზომა 70 × 108<sup>1</sup>/<sub>32</sub>.  
სააღრ. თ. 23,85 სასტ. თ. 28. საღებავის გატ. 28,5. ტირ. 10 000, შეკვ. № 512.  
ფასი 1 მან. 60 კაპ.

საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის  
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14





რომანი

ინგლისურიდან თარგმნა მაქსიმო ხალაშვილმა

18248

### XXII

ოტელ „კვირინალის“ ბარში ხუთი კაცი იყო საღამოთი, სადილის მერე. ერთი იტალიელი ქალი, დიდი ამბით რომ იჯდა დახლთან და შეუჩერებლად ელაპარაკებოდა დაღლილ ბარმენს, „Si... Si... Si...“<sup>1</sup> შეაგებებდა ხოლმე ბარმენი, ეგვიპტელი სნობი, მარტოობისგან გული რომ უწუხდებოდა, მაგრამ იმ ქალს მაინც უფრთხოდა, ორი ამერიკელი, დიკი და კოლის კლეი, და — თავად ბარმენი.

დიკი ყოველთვის ცხადად გრძნობდა და აღიქვამდა, რაც კი გარშემო ხდებოდა ხოლმე, კოლის კლეის კი, გეგონება, ბურანშიაო, ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილებებიც კი ეფანტებოდა გამოფიტულ და უკვე დაბნეულ გონებაში. ამიტომ — დიკი ლაპარაკობდა, კოლისი კი, გეგონება ბაბაჭუა შეუჯდაო, ისე უსმენდა.

მთელი დღის ამბებით დაქანცული დიკი ახლა ბარში იჯდა და იტალიელებზე და იყრიდა ჯავრს ლაპარაკში. ხანგამოშვებით აქეთ-იქით იხედებოდა, თითქოს იმედი ჰქონდა, რომ ერთი ვინმე იტალიელი გაიგებდა მის სიტყვებს და აღშფოთდებოდა, ბოლოს და ბოლოს.

„ამ დილით ვზივარ „ექსცელსიორში“ ჩემს ცოლისდასთან ერთად, ჩაიზე. შემოდინა ორნი, ადგილი აღარ არის, ჩვენ ბოლო მაგიდა შეგვხვდა. ერთი მათგანი მოდის და ამბობს: „ეს მაგიდა ხომ პრინცესა ორსინისთვის იყო?“ ვუბნები, „ბარათი არ დაგვხვედრია მაგიდაზე“. ის კი მაინც გაიძახის: „მაგრამ, მე მგონია პრინცესა ორსინისთვის იყო“. მე პასუხიც აღარ გავეცი“.

„მერე, რა ქნა?“

„წავიდა“. დიკი სკამზე შეტრიალდა. „არ მიყვარს ეს ხალხი. გუშინ ორი წუთით დავტოვე როზმერი ვიტრინასთან, მაშინვე ვილაც ოფიცერი მივიდა და წინ და უკან დაიწყო სიარული, თან ქუდი გვერდზე მოექცია“.

\* დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 1, 2.

<sup>1</sup> „ღიახ... ღიახ... ღიახ...“ (იტალ).

დაქ. სსრ კ. მარქსის



„არ ვიცი“, ცოტა ხნის მერე თქვა კოლისმა, „მე თუ მკითხავთ, აქ უფრო მირჩევნია, ვიდრე პარიზში, იქ ყოველ წუთში ჯიბეების დაცარიელების ცდაში არიან“.

კოლისს უყვარდა კარგი ცხოვრება, სიამოვნებას არ იკლებდა და თუ რამ ამ სიამოვნებას ხელს შეუშლიდა, არ მოსწონდა და არ განუხარებდა.

„არ ვიცი“, ისევ თქვა კოლისმა, „ურიგო არ არის, მე მომწონს აქ“.

დიკმა გაიხსენა, რაც ამ დღეებში იყო, სურათებივით დაუდგა თვალწინ. „ამერიკენ ექსპრესის“ კანტორისაკენ მიმავალი გზა, Via Nazionale, საშაქარლამოების ათასნაირი სუნით რომ იყო გაჟღენთილი. ტალახიანი გვირაბი, ამ გვირაბს ესპანეთის მოედნის კიბემდე, ყვავილების კიოსკებსა და იმ სახლამდე მიჰყავდით, სადაც ჯონ კიტსი მოკვდა; დიკს მხოლოდ ადამიანები აინტერესებდა; ხალხის გარდა ამინდს თუ ამჩნევდა, ქალაქები და საერთოდ, ადგილები, მხოლოდ მაშინ ამახსოვრდებოდა, თუ მათთან რაიმე ამბავი აკავშირებდა. რომში გათავდა იმის ოცნება როზმერიზე.

შიკრიკი ბიჭი მივიდა დიკთან და ბარათი გადასცა.

„არ წავედი წვეულებაზე“, ეწერა ბარათში, „ჩემს ოთახში ვარ. დილით ადრე ლივორნოში მივემგზავრებით“.

დიკმა ბიჭს ბარათი დაუბრუნა და ფული აჩუქა.

„უთხარით მისს ჰოიტს, რომ ვერა მნახეთ“. კოლისს მიუტრიალდა და „ბონბონიერიში“ წასვლა შესთავაზა.

ბარში შემოსული მეძავი შეათვალიერეს, ყურადღების ის მინიმუმი დაუთმეს, რასაც მისი პროფესია იმსახურებდა, ქალმა თამამად, მოურიდებლად გამოხედა; ცარიელი ვესტიბიული გაიარეს, ვესტიბიულის მძიმე ფარდების ნაკეცებში ლამის ვიქტორიანული ხანის მტვერი იყო ჩაბუღებული, და ლამის კონსიერჟს თავი დაუქნიეს, ამანაც ლამის ყველა შვეიცარივით, გესლიანი პირმოთნეობით დაუკრა თავი. მერე ტაქსიში ჩასხდნენ და ნოემბრის ლამის სინესტესა და მოწყენილობას მიენდნენ. ჩაბნელებულ ქუჩებში ქალები აღარ ჩანდნენ, მხოლოდ კაცები, ფერწასულები, ბოლომდე შეკრული მუჭი პალტოებით, ჯგუფებად რომ იდგნენ გზაჯვარედინებთან და ცივი ქვის კედლებს მიყრდნობოდნენ.

„ღმერთო ჩემო!“ ამოიოხრა დიკმა.

„რა მოხდა?“

„ის კაცი გამახსენდა, „ექსცელსიორში“; „ეს მაგიდა პრინცესა ორსინისთვისაა“. იცით, რა არის რომის არისტოკრატია? ეგენი ბანდიტები არიან. მაგათ ჩაიგდეს ხელში ტაძრები და სასახლეები, როცა რომის იმპერია დაიმსხვრა და ხალხს დაერივნენ“.

„მე მომწონს რომი“, დაიჟინა კოლისმა. „რატომ არ დადიხართ დოღზე?“

„არ მიყვარს დოღი“.

„კარგია, ნახოთ, რომ იცოდეთ რა მოსდით ქალებს...“

„ვიცი, მე აქ არაფერი მომეწონება. მე საფრანგეთი მიყვარს, სადაც ყველას ნაპოლეონი ჰგონია თავი — აქ კი ყველას ქრისტე ჰგონია თავისი თავი“.

„ბონბონიერიში“ მისულები კაბარეში ჩავიდნენ. ცივი ქვის კედლებთან უიმედო და არაგამძლე, რაღაცნაირად უმწეო ჩანდა ხის პანელები. ჯაზორკესტრი უღიმღამოდ უკრავდა ტანგოს და ათი თუ თორმეტი წყვილი ამერიკული თვალისთვის უცხო, დახვეწილსა და რთულ ილეთებს ხაზავდა პარ-



კეტზე. ოფიციატების სიმრავლე იმის გარანტია იყო, რომ ჩხუბსა და ალია-ქოტს, შფოთიან კაცებში მაშინაც კი რომ ატყდებოდა, როცა ისინი ცოტანი იყვნენ, ახლა ადგილი არ ექნებოდა: თუ რალაცა გამოცოცხლება იგრძნობო-და, ეს ის იყო, რომ ჰაერში მოლოდინი იდგა, თითქოს საცაა რალაც შეწყდებო, ცეკვა თუ ღამე, ის, რითაც აქ ყველაფერი თანაბრდებოდა. შთაბეჭდილებიანი სტუმარი მაშინვე გრძნობდა, რომ თუნდაც ეძებნა, აქ სულ ერთია, მაინც ვერაფერს იპოვიდა.

დიკისტვის ხომ ეს ცხადზე ცხადიც კი იყო ახლა. მიიხედ-მოიხედა, იმ იმედით, რომ თვალს რალაცაზე შეაჩერებდა, ერთ საათს მაინც გაიყვანდა და იქნებ გონების არა, მაგრამ წარმოსახვისთვის — ფიქრს გაიჩენდა. მაგრამ ვერაფერი ნახა და ისევ კოლისს მიუტრიალდა. უნდოდა რალაც ეთქვა მის-თვის, დაიწყო, და მობეზრდა, რადგან კოლისი, გულმავიწყი, უგულისყურო, მაინც ვერაფერს გაიგებდა. ოცდაათი წუთის მერეც კი იგრძნო, რომ მასთან ლაპარაკში უკვე თვითონაც შტერდებოდა.

ერთი ბოთლი იტალიური შუშხუნა ღვინო დალიეს, დიკმა ფერი დაკარგა, რალაცა ხმაურით ივსებოდა. დირიჟორს ანიშნა ხელით, თავიანთ მაგიდასთან მიუხმო. ზანგი იყო, ბაჰამის კუნძულებიდან, ამპარტავანი და უსიამოვნო, და რამდენიმე წუთის მერე ჩხუბი ატყდა.

„თქვენ მთხოვეთ თქვენთან დავმჯდარიყავი“.

„ასეა, და მოგეცით ორმოცდაათი ლირი, ხომ ასეა?“

„ასეა, მომეცით, მერედა რა, მერე რა?“

„ასეა, მერე ის, რომ მოგეცით ორმოცდაათი ლირი, ასეა თუ არა? ახლა მოდიხართ და კიდევ ითხოვთ, რქებზეა საქმე?“

„თქვენ მე დამიძახეთ, ასე არ არის? ასეა თუ არა?“

„ჰო, დაგიძახეთ, მაგრამ ორმოცდაათი ლირი მოგეცით“.

„ასეა, იყოს ასე“.

ზანგი მუავე გუნებით გაეცალა და დიკი უფრო უარეს გუნებაზე დადგა. მაგრამ უცებ დაინახა, ვილაც ქალიშვილი უღიმოდა დარბაზის იქითა მხრიდან და მაშინვე გაქრნენ რომაელების აჩრდილები, ფერმკრთალები რომ ირეოდნენ და მოკრძალებით და მორიდებით იხევდნენ უკან. ქალიშვილი ინგლისელი იყო, ქერა და სანდომიანი, ჯანმრთელი ინგლისური სახით, კიდევ გაუღიმა, დიკმა იცოდა ეს ღიმილი — თითქოს ეძახდა, მაგრამ ამ დაძახებასა და შეთავა-ზებაშიც კი უარს ამბობდა გულისთქმაზე.

„თავსა ვდებ, თუ რალაც ოინი არ იყოს“, თქვა კოლისმა.

დიკი ადგა, მაგიდებშუა გაიარა და ქალიშვილისკენ გაემართა.

„ხომ არ ვიცეკვოთ?“

ხანში შესულმა ინგლისელმა, ქალიშვილი ვისთანაც იჯდა, ისე თქვა, თით-ქოს ბოდიშს იხდისო: „მე მალე წავალ“.

აღზნებამ გაუარა და ცოტათი უკვე გამოფხიზლდა, როცა ცეკვავდა; იმ ქალიშვილზე გაიფიქრა, რაც რამ კარგია ინგლისში — ყველა, სუყველა ახ-ლა ამაშიაო: წკრიალა ხმა ბუნდოვნად ახსენებდა იქაურ ბალებს, ზღვის ბე-ჭედში რომ მშვიდად ისხდნენ. ცოტა განზე გადაიხარა, რომ კარგად შეეხედა ქალიშვილისთვის და ქათინაურებით აავსო იგი. ისე გულწრფელად ლაპარა-კობდა, ხმაც კი უკანკალებდა. ქალიშვილმა აღუთქვა, როგორც კი ჩემი თა-ნამგზავრი წავა, მოვალ და თქვენთან დავჯდებიო. როცა დიკმა თავის ადგილას



მიიყვანა, ინგლისელი ისევ ისეთი ღიმილით შეხვდა, გეგონებ, ბოდიშს იბ-  
დისო.

თავის მაგიდასთან დაბრუნდა თუ არა, დიკმა ერთი ბოთლი იტალიური  
თეთრი შუშუნაც შეუკვთა.

„ვილაც კინომსახიობსა ჰგავს“, თქვა მან. „ვერ ვხსენებ რომელს“. მო-  
უთმენლად გაიხედა მხარს იქით. „აქამდე სად არის?“

„კარგია კინომსახიობი ვიყო“, ფიქრში წასულმა თქვა კოლისმა. „მამაჩე-  
მის ბიზნესში ჩაბმა მომიწევს მალე, მაგრამ ეს მაინცდამაინც არ მიზიდავს.  
იჯექი ატლანტის ოფისში ოცი წელიწადი...“

მატერიალისტური ცივილიზაციის წინააღმდეგ პროტესტით გაისმა იმი-  
სი ხმა.

„თავი მაგისტვის არ გემეტებათ?“

„არა, ეგ არა, მე მაგას არ ვგულისხმობ.“

„კი, მაგას გულისხმობთ.“

„თქვენ რა იცით, რას ვგულისხმობ? თუ ასე ძალიან მოგწონთ მუშაობა,  
რატომ არა ხართ პაციენტებთან, ხომ ექიმში ხართ?“

კინალამ იჩხუბეს, მაგრამ უკვე მაგრად იყვნენ მთვრალეები და აღარ ახ-  
სოვდათ რაზე უნდა ეჩხუბათ, კოლისი წასასვლელად წამოდგა და ერთმანეთს  
გულთბილად ჩამოართვეს ხელი.

„თქვენ იცით, კარგად მოიფიქრეთ“, შეაგონა დიკმა.

„რა მოვიფიქრო?“

„იცით, რაც“. ეგონა, კოლისს მამამისის ბიზნესთან დაკავშირებით რაღაც  
ძალიან კარგი და საქმიანი რჩევა მისცა.

კლეი სივრცეს შეერია. დიკმა ბოთლში დარჩენილი ღვინო ბოლომდე და-  
ლია და ისევ იმ ინგლისელ ქალიშვილთან იცეკვა, თამამ შეტრიალ-შემოტრია-  
ლებას აიძულებდა თავის თავს და თამამი მიხრა-მოხრით უნდოდა ევლო. მაგ-  
რამ უცებ საკვირველი ამბავი მოხდა. დიკი ქალიშვილთან ცეკვავდა, მერე  
მუსიკა გაჩერდა და — ქალიშვილი გაქრა.

„არ იცით, სად არის?“

„ვინ?“

„ქალიშვილი, ვისთანაც მე ვცეკვავდი. აქ იყო, უცებ — აღარ არის, სად-  
მე იქნება“.

„არა, არა! ეს ქალების ოთახია“.

ბარში შევიდა, ორი სხვა კაციც იდგა ახლო, გამოლაპარაკება უნდოდა,  
მაგრამ არ იცოდა, რითი დაეწყო. შეიძლებოდა რომზე და კოლონისა და გაე-  
ტანის ოჯახების შფოთიან წინაპრებზე ეამბნა, მაგრამ იფიქრა, დასაწყისისთვის  
არ ივარგებს, მეტისმეტი და მოულოდნელი იქნებაო. თამბაქოს დახლიდან იენ-  
სიური ფაიფურის ფიგურები იატაკზე გადმოიყარა, აურზაური ატყდა და ბუნ-  
დოვნად იგრძნო, თვითონ იყო ამის მიზეზი, კაბარეში დაბრუნდა და ერთი  
ფინჯანი შავი ყავა დალია. კოლისი აღარ იყო იქ, ინგლისელი ქალიშვილიც  
აღარა ჩანდა და სხვა რა გზა ჰქონდა, თვითონაც უნდა წასულიყო ოტელში,  
გულდახურული დაწოლილიყო და დაეძინა. გადაიხადა თავისი ჩეკი და პალტო  
და შლაპა აიღო.

ჭუჭყიანი წყალი გუბებზე იდგა თხრილებში და ალაგ-ალაგ ქვაფენილ-  
ზედაც; კამპანიდან ჭაობის სინესტე ატანდა და გადამუშავებული ორთქლის



ნარჩენით იწამლებოდა დილის ჰაერი. ოთხი ტაქსისტი შემოეხვია, პატარა თვალებს ატრიალებდნენ ბნელ ბუდეებში. ერთი მაინც ძალიან ჩააცივდა, პირდაპირ სახესთან მიჰქონდა თავისი სახე და დიკმა უხეშად მოიშორა.



ქართული  
ლიტერატურა

«Quanto a Hotel Quirinal?»<sup>1</sup>  
«Cento lire»<sup>2</sup>.

ექვსი დოლარი. თავი გაიქნია და ოცდაათი ლირა შესთავაზა, ეს ორმაგი ფასი იყო იმასთან, რასაც დღისით იხდიდნენ, მაგრამ ოთხივემ, თითქოს ერთი კაციად, ერთნაირად აიჩეჩა მხრები და მოსცილდა.

«Trente cinque lire e mancie»<sup>3</sup>, მტკიცედ თქვა დიკმა.

«Cento lire».

დიკი ინგლისურზე გადავიდა.

„ნახევარი მილი უნდა გაიაროთ და ასი ლირა? ორმოცზე მეტს არ მოგცემთ“.

„არ გამოვა“.

დაღლილობისგან ფეხზე ძლივს იდგა. იმ ტაქსის კარი გამოაღო, რომელიც უფრო ახლო იდგა და დაჯდა.

„ოტელი „კვირინალი!“ მანქანის წინა კართან ჯიუტად მდგარ მძღოლს უბრძანა. „მოიშორეთ ეგ გესლი სიფათიდან და „კვირინალში“ წამიყვანეთ“.

„აჰ, არა“.

დიკი მანქანიდან გადმოვიდა, „ბონბონიერის“ შესასვლელთან ვიღაც ედავებოდა ტაქსისტებს და ის ვიღაცა ახლა ცდილობდა დიკისთვის აეხსნა, რა უნდოდათ მძღოლებს, ერთი სიტყვით, თარჯიმნობა იკისრა; ამასობაში ის ერთი ისევ ჩააცივდა დიკს, ყვიროდა, უესტებით ელაპარაკებოდა და დიკმა ისევ მოიშორა თავიდან.

„მე ოტელი „კვირინალი“ მინდა“.

„ის ამბობს, ასი ლირა“, აუხსნა იმ კაცმა, თარჯიმნობა ხომ იკისრა.

„გავიგე, ორმოცდაათს მივცემ, ორმოცდაათზე თანახმა ვარ. დამანებეთ თავი!“ ეს ბოლო სიტყვები იმ დაჟინებულ ტაქსისტს უთხრა, მესამედაც რომ ჩააცივდა. ამ კაცმა შეხედა დიკს და მერე ზიზღით გადააფურთხა.

რაც იმ ერთ კვირას დაუგროვდა და მოითმინა, ახლა ერთბაშად გადმოხეთქა და ძალიად ექცა. ტრადიციული, პატიოსნური გამოსავალი თავისი ქვეყნის; ოდნავ დაიხია, მოუქნია და სახეში სთხლიშა ტაქსისტს.

ოთხივე ერთად მივარდა დიკს, მუქარით იქნევდნენ ხელებს, ცდილობდნენ შუაში მოექციათ — დიკი კარებთან ზურგით მიეყრდნო კედელს და ალაღბედზე ურტყამდა, ცოტათი ეცინებოდა კიდევაც ამათ დარტყმებზე, ამ ვითომ ჩხუბზე და მამლაყინწებზე. იგერიებდა. ერთი-ორი წუთი გაგრძელდა ასე, მერე დიკმა წაიბორძიკა და დაეცა; ტკივილი იგრძნო, მაგრამ ისევ წამოდგა, ვიღაცების ხელები წრესავით ერთყა და ამ წრეში ისევ იწევდა მათზე, მერე ეს წრე უცებ გაიხსნა. რაღაც ახალი ხმა მოისმა, ახალი დავა ატყდა, მაგრამ დიკი კედელთან იდგა, სულშეხუთული და თავისი ამ უაზრო მდგომარეობით გაცოფებული, რომ ღირსება ასე შეელახა. ხედავდა, სიმპათია მის მხარეზე არ

1 „რამდენი, ოტელ „კვირინალამდე?“ (იტალ.).

2 „ასი ლირა“ (იტალ.).

3 „ოცდათხუთმეტი ლირა და ქირა“ (იტალ.).



იყო, მაგრამ წამითაც არ იფიქრებდა, რომ შეიძლება თვითონაც ჰქონდა ამაში ბრალი.

პოლიციის უბანში უნდა წასულიყვნენ და იქ გაერკვიათ ყველაფერი. ვილაცამ ძირიდან აიღო დიკის შლაპა და მიაწოდა. ვილაცამ თავაზით მოჰკიდა მკლავში ხელი, რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს, კუთხეს გასცდნენ და ტაქსისტებთან ერთად დიკი ცარიელკედლებიან ბარაკში შევიდა, სადაც ერთადერთი მქრქალი ნათურა ეკიდა ჰერში და უსაქმოდ ისხდნენ კარაბინერები.

მაგიდასთან კაპიტანი იჯდა, იმ კაცმა, ვინც დიკზე და ტაქსისტებზე კაპიტანს უთხრა, გავაშველეო, კარგა ხანს მოჰყვა იტალიურად, რა როგორ იყო და აღარ ათავებდა, ხანდახან დიკზე უთითებდა, დროდადრო ტაქსისტები აწყვეტინებდნენ, გაცხარებულები დიკს სდებდნენ ბრალს და გინების სიტყვებს ისროდნენ. კაპიტანს მოთმინება ეკარგებოდა. ბოლოს ხელი ასწია და ამხელა ჰიდრა-თავა მობრალემ, საბოლოოდ კიდევ რაღაცა ამოიხავლა და როგორც იქნა, ხმა ჩაიწყვიტა. კაპიტანი დიკს მიუბრუნდა.

«ლაპარაკი Italiano? ჰკითხა მან.

„არა“.

«ლაპარაკი Français?»<sup>2</sup>

«Oui»<sup>3</sup>, გაუხარდა დიკს.

«Alors. Ecoute. Va au «Quirinal». Ecoute: vous êtes saoul. Payz ce que le chauffeur demande. Comprenez – vous?»<sup>4</sup>.

დიკმა თავი გაიქნია.

«Non, je ne veux pas».

«Comment?».

Je paiercai quarante lires. C'est bien assez»<sup>5</sup>.

კაპიტანი წამოდგა.

«Ecoutez!..» მრისხანედ წამოიძახა მან. «Vous êtes saoul. Vous avez battu le chauffeur. Comme ci, comme ça». ორივე ხელი ჰაერში გიჟივით გაიქნია; «C'est bon que je vous donne la liberte. Payez ce qu'il a ditcento lire. Va au «Quirinal»<sup>6</sup>.

შეურაცხყოფისა და აღშფოთებისაგან დიკი გაცოფდა, კაპიტანს მიაშტერდა.

«კარგი, მე წავალ!» ძლივს მიტრიალდა კარებისკენ — მის წინ ის კაცი იდგა, ვინც პოლიციაში მოიყვანა და ღვარძლიანად იქნევდა თავს, „მე წავალ“, დაიყვირა დიკმა, „მაგრამ ჯერ ამ უღლეურს გავუსწორდები“.

გამტერებული კარაბინერების წინ გაქანდა და იმ ღრეჭია სიფათს მოქნეული მარცხენა ხელი გაართყა ყბაში. კაცი იატაკზე გაიშხლართა.

1 „...იტალიურად?“ (იტალ.).

2 „...ფრანგულად?“ (ფრანგ.).

3 „დიახ“ (ფრანგ.).

4 „ჰოდა, ასე, მომისმინე. წადი „კვირინალში“. მომისმინე: თქვენ მთვრალი ხართ, გადაიხადეთ, რამდენსაც თხოულობს მძღოლი, გასაგებია თქვენთვის?“ (ფრანგ.).

5 „არა, მე არ მინდა“.

„როგორ?“

„მე გადავიხდი ორმოც ლირას. ეს სავსებით საკმარისია“ (ფრანგ.).

6 „მომისმინე!.. თქვენ მთვრალი ხართ. თქვენ შოფერს სცემეთ. აი ასე, აი ასე... კიდევ კარგია, რომ თავისუფლად გიშვებთ, გადაიხადეთ რამდენიც გითხრათ — ასე ლირა. წადი „კვირინალში“ (ფრანგ.).



ერთ წამს დიკი ეგრე იდგა, ბარბაროსივით ზეიმობდა ტრიუმფს; მაშინათვე, ეჭვმაც გაპკრა, ახლა კი შეეცდომა დავუშვიო, მაგრამ ამის ბოლომდე გაფიქრებაც ვერ მოასწრო და თვალთ დაუბნელდა: წააქციეს და გარდაცემით დაუწყეს ცემა. მუშტებითა თუ ქუსლებით მისდგნენ დაუნდობლად. იგრძნო, ცხვირი გაუტყდა, ხრახმა-ხრუშიც გაიგონა ხრტილისა, თვალელები გეგონებოდა, რეზინისააო, ბუდეებიდან ამოუცვივდა და ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა. ვილაცამ წიხლი ჩააზილა და ნეკნი ჩაულეწა. წამით ცნობიერება დაკარგა. მაგრამ გონს მოეგო, რადგან ხელად წამოაყენეს, დასვეს და მაჯებზე ხელბორკილი დაადეს. უნებლიეთ ისევ იწევდა. სამოქალაქოტანსაცმლიანი ლეიტენანტი, დიკმა რომ მიბეგვა, იქით იდგა, ნიკაპზე ცხვირსახოცს იღებდა და წამდაუწუმ ზედ იყურებოდა, უნდოდა გაეგო, სისხლი მოსდიოდა თუ არა; დიკთან ძალიან ახლო მივიდა, ცოტათი ისევ განზე გადგა, მერე ხელი მოიქნია და ძირს დასცა.

დოქტორი დაივერი უმოძრაოდ იწვა იატაკზე, ერთი სათლი წყალი დაასხეს, მაჯებში ხელი წაავლეს და სადღაც წაათრიეს. ცალი თვალი ძლივს გაახილა, ზედ სისხლი ჰქონდა, ერთ-ერთი ტაქსისტის შეძრწუნებული და გაფითრებული სახე იცნო.

„წადით ოტელ „ექსცელსიორში“, ხრიალით უთხრა, „უთხარით მისს უორენს, ორასი ლირა! მისს უორენი! Due centi lire!“ ოპ, თქვენი მყვირტე... ღმერთო...“

ისევ მიათრევდნენ, სული ეხუთებოდა, ტიროდა, ცალ თვალზე სისხლი გადაჰკვროდა, ოღრო-ჩოღრო იატაკზე მიათრევდნენ, ბოლოს სადღაც ქვის იატაკზე დაავდეს. ის კაცი გავიდა, კარები გაჯახუნდა და მარტო დარჩა.

### XXIII

ღამის პირველ საათამდე ბები უორენი საწოლში იწვა და მერიონ კროუფორდის ერთ-ერთ საკვირვლად მოსაწყენ ამბავს კითხულობდა რომაული მოთხრობებიდან; მერე ფანჯარასთან მივიდა და ქუჩას გახედა. ოტელის პირდაპირ, ტროტუარზე სამკუთხა შლაპებითა და გროტესკული მოსასხამებით, ორი კარაბინერი დადიოდა, პალსის ცვლისას დახრილ გროტ-ანძასავით მოსახვევებში ხან იქით გაქანდებოდნენ და ხანაც აქეთ. იმათ ყურებაზე ის გვარდიელი ოფიცერი გაახსენდა, დღეს სამხარზე თვალი რომ აღარ მოაშორა ბების. იმისი თავხედობა იმ არაბრგე რასის მაღალი ვინმეს თავხედობასა ჰგავდა, ვისაც სიმაღლე უწევს სხვა ღირსებების მაგივრობას. რომ მოსულიყო ის გვარდიელი და ბებისთვის ეთქვა: „წავიდეთ ერთად“, ალბათ ეტყოდა: „რატომაც არა?“ — ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე ეგონა, სხვა გარემოში ყოფნა თითქოს უფრო სხვაგვარსა ხდიდა, თავისუფალს.

გვარდიელისაგან ფიქრი ნელ-ნელა ისევ კარაბინერებს გადასწვდა, იმათგან — დიკს. დაწვა და სინათლე ჩააქრო.

ოთხი არ იყო, როცა გაეღვიძა, ვილაც აბრაახუნებდა კარზე.

„ღიახ — ვინ არის?“

„კონსიერჟი, მადამ“.

კიმონო მოისხა და ნამძინარევემა გაუღო კარი.

1 „ორასი ლირა!“ (იტალ.).



„თქვენი მეგობარი, სახელი დაივერი, რაღაც შეემთხვა, პოლიციამ დაიჭირა და ციხეში ზის. ტაქსი გამოგზავნა, რომ თქვენთვის ეთქვა, „მოფერი ამბობს, ორასი ლირის გადახდას დამპირდაო...“ კონსიერჟმა შეიტადა, ფრთხილად შეხედა, როგორ მიიღოთ ეს ამბავი. „მოფერი ამბობს, მქნებ უმჯობესად ცუდი რაღაც შეემთხვა, პოლიციასთან იჩხუბა და საშინლად შეეშინა“  
 „ახლავე ჩამოვალ“.

ჩაცმა დაიწყო, ბაგაბუგით უცემდა გული. ათი წუთის მერე ლიფტიდან ჩაბნელებულ ვესტიბიულში გადმოვიდა. მოფერი, დიკს რომ გამოეგზავნა და ამბავი მოეტანა, უკვე წასულიყო; კონსიერჟმა სხვა მანქანა გაუჩერა და ტაქსისტს უთხრა რა ადგილასაც იყო ის ციხე. ღამე თანდათან ძალას კარგავდა, და დღესა და ღამეს შუა ეს მერყეობა ბების ნერვებზე მოქმედებდა, ისედაც, ჯერ კარგად ვერ გაეღვიძა. ეჩვენებოდა, რომ ძალიან ნელა თენდებოდა და ფიქრით აჩქარებდა რიჟრაჟს; ფართო ავენიუებზე სივრცე ჩანდა და საქმე კარგად მიდისო, ეგონა. მერე უცებ ქარი დაუბერავდა საიდანღაც და როცა თითქოსდა ჩერდებოდა მოძრაობა და გარეშემო აღარ იძვროდა, ისევ ხელახლა იწყებოდა ყველაფერი. მანქანამ შადრევანს ჩაუარა, ხმაურით რომ ეღვრებოდა თავისსავე ჩრდილს, გაშლილ ჩრდილს და, დაგრებილ მოსახვევში შეუხვია, სადაც სახლებიც ცერად თუ იდგნენ, დაჭიმული, რომ ქუჩაზე არ გადმოშლილიყვნენ, რიყის ქვაფენილზე ერთი შექანდა და ხრილით გაჩერდა რომელიღაცა შენობასთან. შესასვლელთან, ორივე მხარეს საგუშაგო ჭიხურები იდგა, შენობის მწვანე, ნესტიან და ხავსმოდებულ კედლებთან ამ ჭიხურებს კაშკაში გაპქონდა. კამაროვანი შესასვლელის ლილისფერი ბინდიდან მოესმა უცებ დიკის ყვირილი.

„ინგლისელი აქ არავინ არის? ამერიკელები არ არიან? ინგლისელები არ არიან აქ? — ოპ, ღმერთო ჩემო! უპ თქვენი, უოპებო!“<sup>1</sup>

ყვირილი მიწყდა და ბებიმ ახლა კარებზე რახუნის ხმა გაიგონა. მერე ისევ ყვირილი გაისმა.

„ამერიკელები არ არიან? არიან აქ ინგლისელები?“

იქით გაიქცა, საიდანაც ხმა მოდიოდა, თაღოვანი შესასვლელი გაიარა, ეზოში შევიდა, ერთ წუთს ადგილზე იდგა დაბნეული, მერე ისევ ხმას მიჰყვა და გაარკვია, რომ პატარა საყარაულოდან იყო. კარები შეაღო და შიგ შევიდა. ორი კარაბინერი ფეხზე წამოხტა, მაგრამ ბებიმ ზედაც არ შეხედა და იქით, სადაც საკანი იყო, იმ საკნის კარისკენ გაქანდა იმწამს.

„დიკ!“ დაიძახა მან. „რა მოგივიდათ?“

„თვალი ამომიგდეს!“ იყვირა დიკმა. „ხელბორკილი დამადეს, მერე მირტყეს, წყეულები, ეგენი...“

ბები მიტრიალდა, სახეზე ფერი აღარ ედო და კარაბინერებისკენ წავიდა.

„რა უყავით?“ ისე შმაგად და გაათრებით მიაღვა, რომ კარაბინერებმა უკან დაიხიეს...

„Non capisco inglese“<sup>2</sup>.

ფრანგულად ლანძღა, მაგრამ რა ლანძღა, იმისი დაუოკებელი აღშფო-

<sup>1</sup> უოპ (WOP), მეტსახელი, შუა ან სამხრეთ ევროპელ ემიგრანტებს, უფრო მეტად კი იტალიელებს ეძახიან ამერიკელები.

<sup>2</sup> „ვერ ვიგებ ინგლისურად“ (იტალ.).



თების ხმა მთელ ოთახს ავსებდა, შეშინებული კარაბინერები ბებისაგან დატეხილი ბრალდებისაგან ლამობდნენ თავი დაეღწიათ.

„კარი გააღეთ! რაღაც იღონეთ!“

„ჩვენ არაფერი შეგვიძლია, თუ არ გვიბრძანეს“.

«Bene! Bay-nay! Bene!»<sup>1</sup>.

ისევ გააფთრებით მოჰყვა მათ ლანძღვას, კარაბინერები თავიანთი უმწეობის გამო ბოდიშს უხდიდნენ, ოფლში იღვრებოდნენ და დაბნეულები ერთმანეთს ლაპარაკობდნენ, რაღაც საშინელი გაუგებრობა მოხდაო ალბათ. ისევ კამერის კარებთან მივიდა ბები, ზედ მიეყრდნო, ლამის ეფერებოდა, თითქოს ასე უფრო კარგად გააგებინებდა, რომ აქ იყო იმისი ძალა და შველა.

„საელჩოში მივდივარ, მალე დავბრუნდები!“ დაიძახა მან, კარაბინერებს კიდევ ერთხელ მუქარით მოავლო თავისი მზერა და გარეთ გავარდა.

ამერიკის საელჩოსთან მისვლისას, ტაქსის შოფერმა, ვერ დავიცდიო, და ბებიმ ფული გადაუხადა. ჯერ კიდევ ბნელოდა, საფეხურებზე სირბილით ავიდა და დარეკა. სამჯერ დარეკა, მესამე ზარზე ნამძინარევმა ინგლისელმა შვეიცარმა გაუღო კარი.

„მინდა ვინმე ვნახო საელჩოში“, უთხრა ბებიმ. „სულ ერთია ვინ — ოღონდ ახლავე“.

„ყველას სძინავს, Madame. ცხრა საათამდე არ ვალვით“.

ბების საათის გაგონება არ სურდა.

„ეს უბრალო საქმე არ არის. ერთ კაცს — ამერიკელს საშინლად სცემეს, ახლა იტალიის ციხეშია“.

„ჯერ ყველას სძინავს, ცხრა საათზე...“

„მე არ შემიძლია ცხრა საათამდე მოცდა. კაცს თვალი ამოუგდეს, ჩემი დის ქმარს, ახლა კი ციხეში ჰყავთ და არ უშვებენ. ახლავე უნდა ვნახო ვინმე და ველაპარაკო — გასაგებია? გიყი ხომ არა ხართ? რას დგახართ და იდიოტივით შემომყურებთ?“

„მე არაფერი შემიძლია, Madame“.

„მიდით და გააღვიძეთ ვინმე!“ მხრებში წაავლო ხელი და მაგრად შეაჯანჯლარა. „საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს ეხება. თუ ახლავე, ამ წუთში არ გააღვიძებთ ვინმეს და აქ არ მოიყვანთ, საშინელი დღე დაგადგებათ...“

„თუ შეიძლება, Madame, გამიშვით, აიღეთ თქვენი ხელი“.

შვეიცარის ზურგს იქით, ზევით, დაღლილი და გროტონული<sup>2</sup> ხმით თქვა ვილაცამ:

„რა ხდება?“

შვეიცარმა შვებით ამოისუნთქა.

„ერთი ლედი მოვიდა, სერ, და შემაჯანჯალარა“.

შვეიცარი სალაპარაკოდ განზე გადგა და ბები მაშინვე შევარდა პოლში. ზევით, კიბეზე, მოქარგულ თეთრ სპარსულ ხალათში გახვეული, უცნაური ახალგაზრდა კაცი იდგა, ძილისაგან ჯერ კარგად არ გამოფხიზლებულიყო. საშინელი, არაბუნებრივად ვარდისფერი სახე მკვდარს მიუგავდა, ის ვარდისფე-

<sup>1</sup> „კარგი! მაშ კარგი!“ (იტალ.).

<sup>2</sup> გროტონი — ქალაქი მასაჩუსეტსის შტატში, სადაც ვაჟთა პრივილეგიური კერძო სასწავლებელი არსებობდა.



რიც არ აცოცხლებდა, პირზე კი რაღაცა ეკეთა, ალიკაპივით. ბების დანახვაზე საჩქაროდ ჩრდილში დაიხია.

„რა მოხდა?“ ისევ იკითხა მან.

ბებიმ უამბო. აღელვებისგან თვითონაც ვერ ამჩნევდა, ისე მოიწვევდა ზევით და კიბეზე ავიდა, აქ კარგად გაარჩია, რომ ის რაღაც, პირზე რომ შიე-მაგრებიანა, საულვაშე იყო, სახე კი ვარდისფერი კოლდკრემით ჰქონდა დაფარული. ეს ყველაფერი საოცრად ეხამებოდა ამ კოშმარულ ღამეს. ბოლოს ბებიმ მოითხოვა, რომ ეს კაცი ციხეში გაჰყოლოდა და დღესვე, დილითვე გამოეყვანათ დიკი იქიდან.

„ცუდი საქმეა“, თქვა იმ კაცმა.

„ღიახ“, მორჩილად დაეთანხმა ბები. „ღიახ.“

„ჩხუბის ატეხა პოლიციაში, რა ამბაეია“, პირადი შეურაცხყოფის ტონით წარმოთქვა. „ცხრა საათამდე არაფერი მოხერხდება, მე ასე ვფიქრობ“.

„ცხრა საათამდე!“ შეძრწუნებით წამოიძახა ბებიმ. „მაგრამ თქვენ თვითონ ხომ შეგიძლიათ რამე იღონოთ! თუნდაც ის, რომ ახლა ციხეში გამომყვეთ და მოითხოვოთ, რომ აღარ სცემონ“.

„უფლება არ გვაქვს ასე მოვიქცეთ. ასეთი საქმეებისათვის საკონსულო არსებობს. საკონსულო ცხრა საათზე გაიღება“.

საულვაშეთი დაჭიმულმა და უმოძრაო სახემ კიდევ უფრო გააშმაგა ბები.

„ცხრა საათამდე ვერ დავიცდი, ჩემი სიძეა დაშავებული, თვალი ამომიგდესო, თქვა. მე უნდა ვნახო იგი. ექიმი უნდა მივუყვანო“. ბები კი არ ლაპარაკობდა, ყვიროდა ღამის და არც უცდია თავის შეკავება, პირიქით, გაბრაზებულმა, უფრო აუწია ხმას, იცოდა, ახლა ამ ტონით უფრო გაიტანდა, ვიდრე სიტყვებით. „თქვენ ვალდებული ხართ რაღაც იღონოთ აქ, ამერიკელი მოქალაქეების დაცვა, როცა მათ უჭირთ, თქვენი საქმეა“.

მაგრამ ახალგაზრდა კაცი წარმოშობით ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროდან იყო და იოლად ვინ რას გახდებოდა. თავი გაიჭნია, მოთმინებით, როგორ არ გესმითო ჩემი მდგომარეობა, უფრო მაგრად შემოიხვია თავისი სპარსული ხალათი და რამდენიმე საფეხურით დაბლა ჩამოვიდა.

„მიეცით ლედის საკონსულოს მისამართი“, შვეიცარს უთხრა, „და ცნობარიდან დოქტორ კოლაცოს მისამართი და ტელეფონიც ამოუწერეთ“. ბების, გეგონება მოთმინებადაკარგული ქრისტეაო, ისეთი სახით მიუტრიალდა. „ძვირფასო ლედი, დიპლომატიური კორპუსი ოფიციალურად წარმოადგენს შეერთებული შტატების სახელმწიფოს იტალიის სახელმწიფოს წინაშე და მოქალაქეების დაცვა მას არ ეხება, — თუ სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური მითითება არ არის ამაზე. თქვენმა სიძემ დაარღვია ამ ქვეყნის კანონები და წაიყვანეს ციხეში, ისევე, როგორც წაიყვანდნენ იტალიელს, თუ იგი ნიუ-იორკში დააშავებდა რამეს და ამით შეერთებული შტატების კანონებს დაარღვევდა. მისი გაშვება მხოლოდ იტალიის სასამართლოს შეუძლია და რაკი თქვენი დის ქმარს ასეთი რაღაც შეემთხვა და თქვენ იურიდიული რჩევა ან დახმარება გჭირდებათ, შეგიძლიათ მიმართოთ საკონსულოს, რომელიც იმისათვის არსებობს, რომ დაიცვას ამერიკელ მოქალაქეთა უფლებები. საკონსულო ცხრა საათზე იღება. საქმე ჩემს სიძეს რომ ეხებოდეს, მაშინაც კი ამაზე მეტის გაკეთებას მე ვერ შევძლებდი...“

„თქვენ შეგიძლიათ დარეკოთ საკონსულოში?“ შეაწყვეტინა ბებიმ.



„ჩვენ საკონსულოს საქმეებში არ ვერცვით. ცხრა საათზე მოვა კონსულა და....“

„შეგიძლიათ მომცეთ მისი ბინის მისამართი?“

წამიერი შეყოვნების მერე ახალგაზრდა კაცმა თავი გაიქნია, შევიცარა ფურცელი გამოართვა და ბების გაუწოდა.

„ახლა კი, გთხოვთ, მაპატიოთ“.

მოხერხებული მანევრით მიიყვანა ბები კარამდე: წამით იისფერი რიქრას ათინათი დაეცა მის საულეაშეს და ვარდისფერ ნილაბს, მერე კი ბები უკვე მარტო იდგა საელჩოს კორპუსის კარწინ. საელჩოში ათი წუთი შეყოვნდა.

საელჩოს წინ, მოედანზე ჭაჭანება არ იყო კაცის, იმ მოხუცის გარდა, ქვაფენილიდან სიგარეტების ნამწვებს რომ კრებდა ლურსმნიან ჯოხით. ბებიმ მაშინვე იშოვა ტაქსი და საკონსულოში წავიდა. მაგრამ იქაც არავინ დახვდა, მხოლოდ სამი საბრალო ქალი, ჯაგრისებით რომ ხეხავდნენ კიბეს. ბებიმ ვერა და ვერ მიახვედრა, რომ კონსულის ბინის მისამართი სჭირდებოდა. უეცრად რაღაცა შიშმა ისევ გარეთ უბიძგა და შოფერს უთხრა, ციხეში წამიყვანეო. შოფერმა ის ციხე არ იცოდა სად იყო, მაგრამ სიტყვების *«semper dextra და sinistra»*<sup>1</sup> მეშვეობით ბებიმ მოახერხა, რომ ტაქსი მიახლოებით ადგილას მისულიყო, იქ კი მანქანა გაუშვა და უკვე ნაცნობი შესახვევების ლაბირინთში დაიწყო ძებნა. მაგრამ ყველა შესახვევი და ყველა სახლი ერთმანეთს ჰგავდა. ბოლოს რაღაც საცალფეხო გზით ესპანეთის მოედანზე გავიდა და „ამერიქენ ექსპრეს ქამპენის“ შენობა დაინახა. „ამერიქენის“ დანახვაზე გული შეუქანდა. ერთ ფანჯარაში შუქი მოჩანდა, სირბილით გადაჭრა მოედანი და კარი გამოსწია, მაგრამ კარი დაკეტილი დახვდა. საათი კი მინის იქით, შვიდზე იდგა. ბების კოლის კლეი მოაგონდა.

იმ ოტელის სახელი გაიხსენა, კოლის კლეი რომ ცხოვრობდა ახლა, ის ძველი ვილა „ექსცელსიორის“ გადაღმა იყო, წითელ სუროშემოხვეული. მორიგე ქალს მაინცდამაინც არ უნდოდა დახმარებოდა — მისტერ კლეის შეწუხებაზე უარი თქვა და არც ის უნდოდა, რომ მისს უორენი მარტო გაეშვა მასთან: ძლივს დააჯერა, რომ სხვა საქმე ჰქონდა, ვნება არაფერ შუაში იყო, და ბებისთან ერთად ავიდა ზევით.

კოლისი საწოლზე შიშველი იწვა. წინა სალამოს მთვრალი მოვიდა, ახლა გააღვიძეს და მაშინვე ვერ გაიაზრა რა დღეშიც იყო. როცა მიხვდა, გამოსწორება მეტისმეტი თავაზით სცადა. ხელი სტაცა ტანისამოსს და სააბაზანოში შევარდა. იქ ჩქარა იცვამდა და თან დუღღუნებდა: „რა ოხრობად, ალბათ თავით ფეხებამდე კარგად შემხვდა!“ ტელეფონით მალე გაიგეს სად იყო ციხე და მაშინვე წავიდნენ.

კამერის კარი ღია დახვდათ და დიკი საყარაულო ოთახში, სკამის ზურგს იყო მიწოლილი. კარაბინერებს სახიდან სისხლი მოებანათ, ტანსაცმელი გაეწმინდათ და შლაპისთვისაც თავისი ადგილი მიეჩინათ, შუბლზე ჰქონდა ჩამოწეული. ბები ზღურბლზე გაჩერდა, კანკალებდა.

„მისტერ კლეი დარჩება თქვენთან“, თქვა მან, „მე კი კონსულისა და ექიმის მოსაყვანად წავალ“.

„კარგი“.

<sup>1</sup> „სულ პირდაპირ, მარჯვნივ, მარცხნივ“ (იტალ.).



„მანამდე წყნარად იყავით“.

„ქარგი“.

„მალე დავბრუნდები“.

საკონსულოში წავიდა; უკვე ცხრა იწყებოდა და მისაღებში შეუშვეს. ცხრა საათისთვის კონსული მოვიდა და დადლილობისა და უკონსობისაგან ლამის ისტერიკაში ჩავარდნილი ბები ისევ თავიდან ბოლომდე მოჰყვა ყველაფერს. კონსული შეწუხდა. ბები გააფრთხილა, უცხო ქვეყნებში ჩხუბი ძალიან სახიფათოაო, მაგრამ ყველაზე მეტად იმაზე წუხდა, რომ კაბინეტში არ შეჰყოლოდა, მისაღებში მოიცადეთო. ბებიმ კონსულის ბებრულ თვალეებში სასოწარკვეთით ამოიკითხა, რომ ამ ამბავში მაინცდამაინც დიდი ჩარევა არა სურდა. სანამ იცდიდა, დრო რომ არ დაეკარგა, აქედან ექიმთანაც დარეკა ბებიმ. მისაღებში კიდევ ვილაცები შემოვიდნენ და რამდენიმე კაცი კონსულის კაბინეტში გამოიძახეს. ნახევარი საათის მერე, კარი რომ გაიღო და იქიდან ვილაც გამოვიდა, ბებიმ მომენტი შეარჩია, მდივანს გაუარა და შიგ შევარდა.

„აღმაშფოთებელია! ამერიკელ მოქალაქეს ლამის სასიკვდილოდ სცემეს და ციხეში ჩასვეს, თქვენ კი თავის შეწუხება არ გინდათ, არ გინდათ უშველოთ“.

„ერთი წუთით, მისიზ...“

„მე საკმაოდ დიდხანს ვიცადე. ახლავე წამობრძანდით ჩემთან ერთად ციხეში და მოითხოვეთ, რომ გამოუშვან!“

„მისიზ...“

„ამერიკაში ჩვენი მდგომარეობა თვალსაჩინოა,“ ლაპარაკისას უფრო და უფრო მკაცრი ბაგე უხდებოდა, „გახმაურებას რომ არ ვერიდებოდეთ... ასე თუ ისე, მე ვიზრუნებ იმისათვის, რომ თქვენი ინდიფერენტულობა შეიტყონ იქ, სადაც ჯერარს. ჩემი სიძე ბრიტანეთის ქვეშევრდომი რომ იყოს, უკვე კარგა ხანია თავისუფალი იქნებოდა, მაგრამ თქვენ უფრო ის გაწუხებთ, პოლიციაში რას იტყვიან, ვიდრე ის, რისთვისაც აქ ხართ“.

„მისიზ...“

„ახლავე დაიხურეთ შლაპა და წამობრძანდით“.

შლაპის ხსენებაზე კონსული აწრიალდა, მაშინვე ქალაქების ქექვასა და სათვალის წმენდას მოჰყვა, მაგრამ აღარაფერი უშველიდა: ამერიკელი ქალი დაუდგა, აღშფოთებული, და ვერ გაუძლებდა ახირებულ და დაუდგრომელ ზნეს, რამაც მთელ რასას მორალური ხერხემალი გადაუტეხა და კონტინენტი საბავშვო ბაგას დაამსგავსა. კონსულმა ვიცე-კონსული გამოიძახა — ბებიმ გაიმარჯვა.

დიკი იჯდა, საყარაულო ოთახის ფანჯარაში მზე უხვად შემოდოდა და თბებოდა. კოლისი და ორი კარაბინერიც იქ იყო და ოთხივენი მოუთმენლად ელოდნენ, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო. თავისი ერთი მხედველი თვალით დიკი კარაბინერებს უყურებდა, ტოსკანელი გლეხების თხელ პირისახეს, და იმ სისასტიკეს ვერ უთავსებდა, რაც წუხელ ლამით დაატყდა თავს. ერთი მათგანი ლუდზე გაგზავნა.

ლუდისგან ოდნავ თავბრუ დაეხვა და წამით მთელი ამბავი სარდონიკული იუმორის შუქით განათდა. კოლისი მაინც იმ აზრისა იყო, რომ ის ინგლისელი



ქალიშვილი, „ბონბონიერიდან“, ამ ამბავში რალაციით იყო გახვეული, მაგრამ დიკს სჯეროდა, რომ ამ შეჯახებამდე დიდი ხნით ადრე გაქრა იგი. კოლისი ჯერ კიდევ შეეპყრო იმ ფაქტს, რომ მისს უორენმა მთლად შიშველი ნახა საწოლზე.

სიშმაგე თანდათან მოერია დიკს, ჯერ შიგნით, გულში უტრიალებდა და მერე უსაზღვრო, კრიმინალურ ბრმა გახლებად გადაექცა. ის, რაც მას შეემთხვა, იმდენად საშინელი რალაც იყო, რომ თუ მოახრჩობდა და დაივიწყებდა, მხოლოდ მაშინ თუ გადაიტანდა, და რაკი ამისი არა სჯეროდა, იმედი ჰქონდა დაკარგული. ამიერიდან ის სხვა პიროვნება ხდებოდა, და ახლა, როცა ამ დღეში იყო, თავის თავს კარგად ვერ ხედავდა, — ვინ იქნებოდა ამის მერე. ღვთის ნებით არ იყო ეს ამბავი. არც ერთ მოზრდილ არიელს არ შეუძლია დამცირება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს; თუ აპატია, ეს იმას ნიშნავს, რომ ის დამცირება მისი ცხოვრების წილი გახდა და გააიგივა თავისი თავი იმასთან, რამაც დაამცირა — ამ ამბის ბოლო ეს არ იყო.

როცა კოლისმა თქვა, თავიანთი უნდა მიეზლოთო, დიკმა მხოლოდ თავი გაიქნია, ხმა არ ამოუღია. ოთახში ცეცხლივით შემოიჭრა კარაბინერების ლეიტენანტი, სწრაფი და სიცოცხლით სავსე, სამ კაცს ეყოფოდა იმისი ცეცხლი, კარაბინერები ფეხზე წამოიჭრნენ და გაიჭიმნენ; ლუდის ცარიელ ბოთლს მოჰკრა თვალი და თავის ხელქვეითებს მისდგა და ლანძღა. ამის მერე ახლებური, საქმიანი კაცის იერი მიიღო და ბრძანა, დაუყოვნებლივ გაეტანათ ლუდის ბოთლი საყარაულო ოთახიდან. დიკმა კოლისს შეხედა და გაიცინა.

ვიცე-კონსული, მუშაობისაგან გადაქანცული ახალგაზრდა კაცი, გვარად სუონსონი, მოვიდა და სუყველა სასამართლოსკენ დაიძრნენ; წინ დიკი მიდიოდა, აქეთ-იქით კოლისი და სუონსონი მიჰყვებოდნენ, უკან მიდიოდნენ კარაბინერები. მზიანი დილა იყო, ოდნავ ყვითელბურუსიანი; მოედანზე და თალებქვეშ ხალხი ირეოდა, დიკმა თვალებზე ჩამოიფხატა შლაპა და ისეთი ჩქარი ნაბიჯით წავიდა, მოკლეფეხება კარაბინერები ძლავს ეწეოდნენ. ერთი მათგანი სირბილით მიჰყვა და მოითხოვა, რომ ნელა ევლოთ. სუონსონმა ეს საქმე მოაგვარა.

„თავი მოგჭერთ, არა?“ მხიარული ტონით თქვა დიკმა.

„მადლობა თქვით, რომ იტალიელებთან ჩხუბში ცოცხალი გადარჩით“, ცოტა გაუბედავად მიუგო სუონსონმა. „ახლა ალბათ გამოგიშვებენ, მაგრამ აქაური რომ იყოთ, ორი-სამი თვე ციხეში ჯდომა მოგიწევდათ, მერე როგორ!“

„თქვენ მჯდარხართ როდისმე?“

სუონსონმა გაიცინა.

„მე მომწონს იგი“, კლეის უთხრა დიკმა. „სიმპათიური ახალგაზრდა კაცია და კარგი რჩევის მოცემაც იცის, მეტადრე ციხეში ჯდომაზე, მაგრამ თავს ვღებ, ალბათ თვითონაც მჯდარა, შეიძლება რამდენიმე კვირაც კი გაატარა იქ“.

სუონსონმა გაიცინა.

„მე მინდა გითხრათ, რომ მაგათთან ფრთხილად იყოთ, თქვენ არ იცით, რა ხალხია“.

„ო, მე კარგად ვიცი რა ხალხიცაა“, წამოენტო დიკი, „არამზადა ვიგინდარები!“ კარაბინერებს მიუტრიალდა: „გაიგეთ?“



„მე აქ დაგტოვებთ“, საჩქაროდ თქვა სუონსონმა. „თქვენმა კოლისდამ იცის, რომ აქამდე უნდა მოგყოლოდით — მაგრამ, სასამართლოში ჩვენი იურისტი დაგხვდებათ და რაც მთავარია, ფრთხილად იყავით“.

„ნახვამდის“. დიკმა გულთბილად ჩამოართვა ხელი. „უფრო მეტი მადლობა. მჯერა, ისეთი მომავალი გაქვთ...“

სუონსონმა ისევ გაიღიმა, საჩქაროდ წავიდა და მაშინვე დაიბრუნა თავისი ოფიციალური, მგომბი იერი.

ესენი შიგნით, ეზოში შევიდნენ, სადაც ოთხივე მხრიდან კიბე იყო და ამ კიბეებს მოსამართლეების კანტორებში აპყავდათ. ბევრი ხალხი ირეოდა: ამათ რომ ჩაიარეს, ვიშვიში, ლანძღვა, დრტვინკა და სტვენა მოედო ეზოს, გაშმაგებული ბრბო მძუნვარებდა. დიკმა გაშტერებით მიიხედ-მოიხედა.

„რა ამბავია, რა უნდათ?“ იკითხა გაოცებულმა.

ერთმა კარაბინერმა იმათ, ვინც უფრო ახლო იდგა, რაღაც უთხრა და დაშოშმინდნენ.

ოთახში შევიდნენ. საკონსულოს იურისტი, დაძენძილსამოსიანი იტალიელი, რაღაცას კარგა დიდხანს უხსნიდა მოსამართლეს და ამასობაში დიკი და კოლისი განზე იცდიდნენ. ეზოში გამავალ ფანჯარასთან ვილაცა კაცი იდგა, შემოტრიალდა და ამათ ინგლისურად აუხსნა, რაღაც ბობოქრობდა ის ხალხი მაშინ, როცა კოლისისა და კარაბინერების თანხლებით დიკმა მთელი ეზო გადმოიარა. საქმე ის იყო, რომ იმ დღით ერთ კაცს ასამართლებდნენ, წარმოშობით ფრასკატიდან, რომელმაც ხუთი წლის გოგონაზე ძალა იხმარა და მერე მოკლა, და როცა დიკი გამოატარეს, ის ეგონათ.

რამდენიმე წუთის მერე იურისტმა უთხრა დიკს, რომ თავისუფალი იყო — სასამართლომ იგი საკმარისად დასჯილად ჩათვალა.

„საკმარისად!“ დაიყვირა დიკმა. „რისთვის დასჯილად?“

„წავიდეთ“, უთხრა კოლისმა. „აქ აღარაფერი საქმე არა გაქვთ“.

„მაგრამ, მინდა ვიცოდე, რა დავაშავე, გარდა იმისა, რომ რამდენიმე ტაქსისტთან ვიჩხუბე?“

„ბრალდებაში ნათქვამია, რომ თქვენ პოლიციის აგენტთან მიხვედით, ვითომ იმისთვის, რათა ხელი ჩამოგერთმიათ და სახეში კი გაართყით...“

„მაგრამ ეს სიცრუეა! მე გავაფრთხილე, რომ უნდა გამერთყა, ისიც არ ვიცოდი, რომ პოლიციის აგენტი იყო“.

„ჯობია წახვიდეთ“, ურჩია იურისტმა.

„წავიდეთ“. კოლისმა მკლავში მოჰკიდა ხელი და კიბეს ჩაუყვანენ.

„მე მინდა სიტყვა წარმოვთქვა“, დაიყვირა დიკმა. „მე მინდა გავაგებინო ამ ხალხს, როგორ ვიხმარე ძალა ხუთი წლის გოგონაზე, იქნებ მე მართლაც...“

„წავიდეთ“.

გარეთ ტაქსი იდგა, მანქანაში ბები ელოდა ექიმთან ერთად. დიკს არ უნდოდა შეეხედა ბებისტვის და ექიმი კი არ მოეწონა — მკაცრი მანერის — ასეთები ევროპაში ყველაზე გაურკვეველი ტიპები — ლათინი მორალისტის ტიპები არიან. დიკმა სცადა მომხდარის შეჯამება, მაგრამ არავინ შეეხმაურა, სათქმელი ყველას ცოტა ჰქონდა. „კვირინალში“, თავის ოთახში ექიმმა ოფლი და შემხმარი სისხლი მოაშორა და მობანა, კარგად გასინჯა, — დაზიანება სადა ჰქონდა, პატარა ჭრილობებს მიხედა და კარგი სალბუნიც დაადო თვალზე.



დიკმა სთხოვა, მორფის ტაბლეტის მეოთხედი მომეცითო, ნერვული აგზნება არ უტყრებოდა და ვერ დაიძინებდა. მორფი მიიღო და დაიძინა; კოლისი და ექიმი წავიდნენ, ბები დარჩა და ინგლისური სამკურნალოდან გამოკახებულ მოავლელ ქალს დაელოდა. ძნელი ღამე გადაიტანა ბებიმ, მაგრამ კმაყოფილი კი იყო, რადგან, რა კარგიც უნდა ყოფილიყო დიკი მანამდე, ამ ამბობს ახლა მორალურად აღმატებული იყვნენ მასზე, მანამდე, სანამ დიკ დაივერი კიდევ რამეთი დასჭირდებოდათ.

წიგნი მესამე

I

ფრაუ კეტე გრეგოროვიუსი ქმარს თავიანთი ვილის ბილიკზე დაეწია.

„პო, როგორ არის ნიკოლი?“ რბილად ჰკითხა, მაგრამ სულს ძლივს ითქვამდა და აშკარა იყო, სანამ მორბოდა, ეს კითხვა თავში უტრიალებდა.

ფრანცმა გაოცებით მოხედა.

„ნიკოლი ავად არ არის. რა მოხდა, რად მეკითხები, ჩემო კარგო?“

„შენ ისე ხშირად ნახულობ — ვიფიქრე, ავად უნდა იყოს-მეთქი“.

„ამაზე შინ ვილაპარაკოთ“.

კეტე მორჩილად დაეთანხმა. ფრანცს კაბინეტი კლინიკაში ჰქონდა, სასტუმრო ოთახში კი აღმზრდელთან ერთად ბავშვები იყვნენ. ცოლ-ქმარი საძინებლისკენ გაემართა.

„მაპატიე, ფრანც“, დაასწრო კეტემ, სანამ ფრანცი ეტყოდა რამეს. „მაპატიე, ძვირფასო, არ უნდა მეთქვა ასე, მე ვიცი ჩემი მოვალეობა და ვამაყოფ ამით. მაგრამ მინდა გითხრა, რომ მე და ნიკოლს არა გვაქვს კარგი ურთიერთობა“.

„პატარა ბუდეებში ჩიტები მშვიდობით ცხოვრობენ“, დაიქუხა ფრანცმა. მაგრამ მიხვდა, ტონი და აზრი ერთმანეთს არ ეხამებოდა და იმ თანაბარ, მკაფიო რიტმში გაიმეორა, რითაც თავისი ძველი მასწავლებელი, დოქტორი დომლერი ახერხებდა, რომ ყველაზე გაცვეთილი ბანალობაც კი მრავლისმეტყველი გაეხადა. „პატარა — ბუდეებში — ჩიტები — მშვიდობით — ცხოვრობენ!“

„მე ეგ მესმის. იმას ვერ მეტყვი, თითქოს ნიკოლის მიმართ უყურადღებო ვიყო“.

„მე იმას გეტყვი, რომ საღი აზრი გლაატობს. ნიკოლი მხოლოდ ცოლი კი არ არის დიკისა — მისი პაციენტიც არის და შეიძლება ასეთადაც დარჩეს მთელი ცხოვრება. დიკის აქ არყოფნაში კი მე ვაგებ პასუხს“. ცოტათი ყოყმანობდა, ვიდრე ახალ ამბავს ეტყოდა კეტეს; ხანდახან ხუმრობით იცოდა ხოლმე ასე წვალება. „ამ დილით კაბლოგრამა მივიღე რომიდან. დიკი გრიპით ყოფილა ავად, ახლა კარგად არის და ხვალ მოემგზავრება“.

კეტეს გაუნარდა, ახლა მართლა დაწყნარებული ტონით განაგრძო ლაპარაკი.

„მე ვფიქრობ, ნიკოლი არც ისე ავად არის, როგორც ჰგონიათ — თვითონვე სწყალობს თავის ავადყოფობას და თავისი ძალის იარაღად იყენებს. ეგ,

12248

საქ. სსრ კ. მარქსის  
საბ. საბ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა



შენი ნორმა ტოლმეჯივით, კინომსახიობი უნდა ყოფილიყო, ყველა ამერიკელი ქალის ოცნება და ბედნიერება კინოშია“.

„იქნება ფილმის ნორმა ტოლმეჯზე ეჭვიანობა?“

„არ მიყვარს ამერიკელები. ეგოისტები არიან, ეგოისტები!“

„დიკიც არ გიყვარს?!“

„დიკი მიყვარს“, მიუგო კეტემ. „მაგრამ დიკი სულ სხვაა, დიკი სხვებზეც ფიქრობს“.

— ნორმა ტოლმეჯიც, — ფიქრში თქვა ფრანცმა. — ნორმა ტოლმეჯი, მარტო ლამაზი კი არა, ალბათ კეთილი და ჰკვიანიც არის. ეგ არის მხოლოდ, სულელურ როლებს აძლევენ და ისიც თამაშობს, მეტი რა ქნას. ნორმა ტოლმეჯი ის ქალია, ვისი გაცნობაც პრივილეგია უნდა იყოს.

მაგრამ კეტეს უკვე დაავიწყდა ნორმა ტოლმეჯი, თუმცა მთელი გზა ერთხელ ლამის გული გადაეღია ფილმის მერე, ციურიხიდან რომ ბრუნდებოდნენ.

„დიკმა ფულისთვის შეირთო ნიკოლი“, თქვა კეტემ, „ცთუნებას ვერ გაუძლო — შენგან ვიცი, ერთ საღამოს გადაკვრით მითხარი“.

„ეს ღვარძლიანი ლაპარაკია“.

„კარგი, კარგი, არ უნდა მეთქვა“, დაიხია კეტემ. „შენი თქმისა არ იყოს, ჩვენ ყველამ ისე უნდა ვიცხოვროთ ერთად, როგორც ჩიტები ცხოვრობენ თავიანთ ბუდეში. მაგრამ ძალიან ძნელია, როცა ნიკოლი ისე იქცევა, თითქოს... როცა ხედავ, რომ ნიკოლი ცდილობს განზე გადგეს, სუნთქვის შეკავებასაც კი ცდილობს თითქოს — გეგონება, რაღაცა სუნი ამდიოდეს“.

კეტე სიმართლეს შეეხო, ეს მოგონილი რამ არ იყო. მთელ საქმეს ლამის თვითონვე აკეთებდა და თანაც, ძნელად რომ თავის სამოსზე დაეხარჯა რამ. ყველა ამერიკელი ქალიშვილი, დღის ბოლოს, როცა შინ ბრუნდება მაღაზიიდან და თავის ორ წყვილ საცვალს საღამოობით ირეცხავს ხოლმე, მაშინვე იგრძნობდა, კეტეს გუშინდელი ოფლის სუნი რომ ასდიოდა, ეს სუნიც კი არ იყო, არამედ რაღაც გამუდმებული შრომისა თუ ხრწნის, რაღაც ამიაკის მაგვარი რამ. ფრანცისთვის — მეტად ბუნებრივი, როგორც კეტეს თმის შედედებული, მსუყე სურნელი, ერთიც და მეორეც მის ცხოვრებაში აუცილებელი რამ გამხდარიყო და ვერც ერთს ვეღარ შეეღეოდა; მაგრამ ნიკოლს ბავშვობიდანვე გამძაფრებული ყნოსვა ჰქონდა, ძიძის თითების სუნს ვერ იტანდა ხოლმე, როცა აცმევდა და ახლა შეურაცხყოფილიც იყო, რომ გასაძლებდა ჰქონდა საქმე.

„ბავშვებიც“, განაგრძო კეტემ. „ნიკოლს არ მოსწონს, იმისი ბავშვები ჩვენებთან როცა თამაშობენ...“ მაგრამ ფრანცს ეყო, აღარ უნდოდა რამის გაგება.

„ენას კბილი დააჭირე — არ გვარგებს ასეთი ლაპარაკი. ნიკოლის ფული რომ არა, კლინიკაც არ გვექნებოდა. წავიდეთ, ვისაუზმოთ“.

კეტე მიხვდა, რომ შეცდა და არ იყო ახლა გონივრული ეს აფეთქება, მაგრამ ფრანცის ბოლო შენიშვნამ მოაგონა, რომ ფული ამერიკელებს სხვებსაცა ჰქონდათ და ერთი კვირის მერე სხვა სიტყვებში ჩადო ნიკოლისადმი სიძულვილი.

ეს იმის მერე მოხდა, რაც დიკის ჩამოსვლის გამო გრეგოროვიუსებმა დაივერები სადილად მიიწვიეს. სადილის მერე ბილიკსაც არ იყვნენ გაცდენილები, რომ კეტემ კარები მიხურა და ფრანცს უთხრა:

„ნახე, რა ჩაშავებული თვალები ჰქონდა დიკს? დებოშის კვალია!“



„მოიცა, ჩქარობ“, შეაჩერა ფრანცმა. „დიკმა თვითონ მიაგზო, როგორც კი ჩამოვიდა; ტრანს-ატლანტურ გემზე ჩაბმულა კრივში, ამერიკელმა მგზავრებმა ამ ტრანს-ატლანტურ რეისებზე იციან ხოლმე კრივში ჩაბმა“.

„გგონია დავიჯერე?“ დაცინვით თქვა კეტემ. „ერთი ხელი, ვეტყობა, სტყავა, როცა ხმარობს, საფეთქელთან კი ჭერაც არ შეხორცებია ნუფრევიჩისადნე გილიც ეტყობა, სადაც თმა აუჭრიათ“.

ფრანცს არ შეუმჩნევია ეს დეტალები.

„როგორ გგონია“, არა ცხრებოდა კეტე, „კლინიკისთვის კარგია ასეთი რაღაცა? ამ სალამოსაც ვიგრძენი ღვინის სუნი, რაც დაბრუნდა, იმის მერე თითქმის სულ სვამს“.

ხმას დაუწია, რომ რის თქმასაც ახლა აპირებდა, აზრი კიდევაც მიმატებოდა: „დიკზე უკვე ველარ იტყვი, რომ სერიოზული ექიმი“.

ფრანცმა მხრები შეარხია, გეგონება, კეტეს დაჟინებას იშორებსო, კიბეზე ანიშნა, ზევით ავიდეთო და იქ, საძინებელში მიუტრიალდა.

„დიკი მართლა ყველაზე სერიოზული ექიმიც არის და ელვარე ექიმიც, ამას წყალი არ გაუვა. იმათ შორის, ვინც ამ ბოლო ათ წელიწადში ნევროპათოლოგიაში დაიცვა დისერტაცია ციურიხში, დიკი ყველაზე ელვარედ არის მიჩნეული — მე ჭერ სადა ვარ!“

„გრცხვენოდეს!“

„ეს სიმართლეა — რად უნდა მრცხვენოდეს. ძალიან რთული შემთხვევა თუა, ყოველთვის დიკისთვის მიმიმართავს და რჩევა მითხოვია. მაგისი გამოცემები დღემდე სანიმუშოდ ითვლება თავის სფეროში — მიდი, რომელ სამედიცინო ბიბლიოთეკაშიც გინდა იკითხე. სტუდენტების უმრავლესობას ჰგონია, რომ დიკი ინგლისელია — არა სჭერათ, რომ ასეთი საფუძვლიანი მეცნიერება ამერიკიდან მოდიოდეს“. მოუჩივებლად დაამთქნარა და ბალიშქვეშიდან პიყამა გამოიღო, „კეტე, ასე რად ლაპარაკობ — მე მეგონა, რომ გიყვარდა დიკი“.

„გრცხვენოდეს!“ თქვა კეტემ. „ექიმი შენა ხარ, მეცნიერი, და მთელ საქმესაც შენ აკეთებ. ეს კურდღლისა და კუს იგავსა ჰგავს — და მე თუ მკითხავ, კურდღელი უკვე მორჩა რბენას“.

„ჩუ! ჩუ!“

„კარგი, ოღონდ, იცოდე, მე მართალი ვარ“.

გაშლილი ხელი მოიქნია ფრანცმა და ჰაერი ჩააპო.

„გეყოფა!“

ამ ლაპარაკის ბოლოს ის იყო, თითქოს ერთმანეთს ორმა მოკამათემ თავისი აზრი გაუზიარა. კეტემ თავისთვის აღიარა, რომ დიკის მიმართ მკაცრი იყო და ძალიან მკაცრიც, დიკისა, რომელსაც აღმერთებდა და კრძალვაც კი ჰქონდა იმის მიმართ, ვისაც შეეძლო გაეგო მისთვის, კეტესთვის, და პატივსაც სცემდა. რაც შეეხება ფრანცს, რაკი ერთხელ შეუშვა თავში კეტეს აზრი, ფიქრობდა, დიკი სერიოზული მეცნიერი არც არასოდეს ყოფილაო და მერე კი, რაც დრო გადიოდა, თავისი თავი დააჯერა, რომ მანამდეც ასე ეგონა მუდამ.

II

დიკმა ნიკოლს შეცვლილი ვერსია უამბო იმისა, რაც რომში გადახდა — ამ ვერსიით მან ფილანთროპიული მოსაზრებით იჩხუბა, მთვრალ მეგობარს მი-



ვეშველეო. ბები უორენის იმედი ჰქონდა, იცოდა, ენას კბილს დააჭერდა, რადგან საკმაოდ კარგად დაანახვა, რა დამლუპველიც იქნებოდა ნიკოლოსის მართლის შეტყობა. ეს ყველაფერი მაინც არაფრად ჩანდა იმ დაღუბვასთან, რაც თვითონ მას, დიკს ემუქრებოდა.

რეაქცია ის იყო, რომ ინტენსიურად, თავდაუზოგავად ჩაება თავის მუშაობაში და ფრანცმა, რომელიც უკვე ფიქრობდა, რომ დაშორებოდა დიკს, არ იცოდა უთანხმოება რითი დაეწყო. არც ერთ მეგობრობას, თუკი ჭეშმარიტად მეგობრობა ყოფილა იგი, არ მოღებია ერთ საათში ბოლო ისე, რომ მტკივნეული ხორცის გლეჯა არ მოჰყოლოდა, — ამიტომ ფრანცმა თანდათანობით სცადა დაეჭერა, რომ დიკი ემოციურადაც და ინტელექტუალურადაც სწრაფი ტემპით მიდიოდა და ეს სისწრაფე ვერ უთავსდებოდა ფრანცის ტემპს და რიტმს — ადრე მიაჩნდათ, რომ ეს კონტრასტი საქმეს კიდევაც ადგებოდა, მაგრამ ადრე — როგორც გიჭირდეს ისე გილხინდესო, — ახლა უკვე სხვა საქმე იყო.

პირველი სოლის ჩარჭობის შემთხვევა კი მხოლოდ მაისში მიეცა ფრანცს. იმ შუადღეს დიკი კაბინეტში შევიდა მასთან, დაღლილი იყო, ფერწასული, კარებთან დაჯდა და უთხრა:

„ის ქალი აღარ არის“.

„მოკვდა?“

„გულმა უმტყუნა“.

გატანჯული იჯდა, სამი ღამე გაუთენა იმ ეგზემიან უცნობ მხატვარ ქალს, ფორმალურად იმისათვის, რომ ადრენალინი გაეკეთებინა, მაგრამ სიყვარულით რჩებოდა მასთან, რომ რაც შეიძლება დიდხანს სჭეროდა მბეუტავი შუქი მოწოლილ ბნელთან.

ფრანცმა თანამგრძნობის სახე მიიღო და მაშინვე გამოთქვა თავისი აზრი: „მე ვფიქრობ, ნერვულ-სიფილისური გამონაყარი იყო და ვერავითარი ვასერმანი აზრს ვერ შემოიკვლის. ზურგის ტვინის სითხე...“

„რა მნიშვნელობა აქვს“, თქვა დიკმა. „ო, ღმერთო, რა მნიშვნელობა აქვს! თუკი თვითონ უნდოდა, რომ არავის გაეგო და თავისი საიდუმლო თან ჩაეტანა, ყოფილიყო ასე“.

„კარგი იქნებოდა ერთი დღე მაინც დაგესვენათ“.

„დავისვენებ, ნუ ლელავთ“.

ესეც ასე, ფრანცმა ჩაასო სოლი; დეპეშა უნდა შეედგინა, რომ გარდაცვლილის ძმისთვის გაეგზავნა, თავი ასწია და ჰკითხა:

„იქნებ ლოზანაში წასულიყავით, ცოტა გაგველოთ?“

„ახლა არა“.

„გასართობად არა, საქმეა ლოზანაში, ერთი პაციენტის ნახვაა საჭირო. ჩილიდან არის — დღეს მთელი დილა ტელეფონით მელაპარაკა მამამისი...“

„რამხელა ძალა ჰქონდა“, თქვა დიკმა. „და რამდენ ხანს იტანჯებოდა“. ფრანცი თანაგრძნობით იქნევდა თავს და დიკი გამოერკვა. „მაპატიეთ, ფრანც, შეგაწყვეტინეთ“.

„კარგი იქნებოდა ცოტა ხნით გარემო შეგეცვალათ. საქმე ის არის, რომ მამას არ შეუძლია დააჯეროს თავისი ვაჟიშვილი აქ, კლინიკაში წამოვიდეს, და გვთხოვს, ლოზანაში ჩავიდეს ვინმე“.



„რა არის? ალკოჰოლიზმი? ჰომოსექსუალიზმი? რაკი საქმე ლონჯონში წასვლას ეხება...“

„ცოტა-ცოტა ყველაფერი“.

„კარგი, წავალ. ფული აქვთ?“

„კი, თანაც ბევრი, ორი-სამი დღე დარჩით და თუ მიიჩნევთ, რომ შეთქმულ-ყურეობა სჭირდება, აქ წამოიყვანეთ ბიჭი. მაგრამ ასე იქნება თუ ისე, არ იჩქაროთ, შეათავსეთ საქმე-სიამე“.

მატარებელში ორი საათი ეძინა დიკს, დაისვენა და სენიორ პარდო ი სიუდად რეალთან შესახვედრად უკვე კარგ გუნებაზე იყო.

იცოდა, რაც იქნებოდა ეს შეხვედრა. ოჯახის წევრის ისტერია ფსიქოლოგიურად თვითონ პაციენტის მდგომარეობასავით საინტერესოა ხოლმე ხშირად. ეს შემთხვევა გამონაკლისი როდი იყო. სენიორ პარდო ი სიუდად რეალი, ჭადაროსანი, ლამაზი ესპანელი, კეთილშობილური გარეგნობისა, სიმდიდრისა და ძალმოსილების აღჭურვილობით, „Hotel des Trois Mondes“-ის თავის აპარტამენტში, გახლებული აქეთ-იქით აწყდებოდა, დიკს ვაჟიშვილის ამბავს უყვებოდა და რაღა მთვრალი ქალი და რაღა ესა, თავს ვერ იჭერდა.

„სხვა აღარაფერი შემძლია, ჩემი ვაჟიშვილი უზნეოა, უზნეო იყო პარო-უში, უზნეო იყო კემბრიჯის სამეფო კოლეჯში. გამოუსწორებელი უზნეოა. ახლა კი, ეს სიმთვრალეც რომ დაემატა, რაღას დაფარავ, და სკანდალი სკანდალზეა, გაუთავებლად. ყველაფერი ვცადე — ერთი ნაცნობი მყავს, ერთად დავსახეთ გეგმა და ფრანსისკოსთან ერთად გავგზავნე ესპანეთში სამოგზაუროდ. საღამოობით იგი ფრანსისკოს კანტარინის უშხაპუნებდა და მერე ორივე ერთად მიდიოდა რომელიმე წესიერ bordello-ში, ერთ კვირამდე ასე იყო და ამან თითქოს უშველა, მაგრამ ისევ დაიწყო ძველებურად. ბოლოს და ბოლოს თავი ველარ შევიკავე და წინა კვირას აქ, ამ ოთახში, უფრო ზუსტად იქ, სააბაზანოში...“ თითოთ კარზე მიუთითა, „ვაიძულე ფრანსისკო, წელამდე გაეხადა და მათრახით ავაჭრელე...“

თავისივე ემოციებით ღონემეხდილი, სავარძელში ჩაეშვა. ამის მერე დიკმა დაიწყო ლაპარაკი.

„ეს არ უნდა გექნათ — არც ის ესპანეთში წასვლა უშველიდა...“ ძლივს იკავებდა თავს, რომ არ გადაეხარხარა — კარგი ვინმე კი იქნებოდა ის ექიმი. ასეთ დილეტანტურ ექსპერიმენტზე როგორ დათანხმდა! „სენიორ, უნდა გითხრათ, რომ ასეთ შემთხვევებში ძნელია რაიმეს დაპირება, რაც შეეხება ალკოჰოლიზმს, ხშირად კარგ შედეგს ვალწევთ ხოლმე — რაღა თქმა უნდა, თუ პაციენტიც მოგვეხმარება. მაგრამ ასე თუ ისე, ჯერ თქვენი ბიჭი უნდა ენახო და იმისი ნდობა მოვიპოვო, რათა გავიგო, თვითონ რას იტყვის თავის თავზე“.

ის ბიჭი, ვისთან ერთადაც ტერასაზე იჯდა, დაახლოებით ოცი წლისა იქნებოდა, ლამაზი, ცოცხალი სახე ჰქონდა.

„მე მინდა ვიცოდე, თქვენ რას ფიქრობთ“, თქვა დიკმა. „ხომ არ ამჩნევთ, რომ საქმე თანდათან უარესდება? გინდათ, რომ ყველაფერი შეიცვალოს?“

„ღიან, კარგი იქნებოდა“, მიუგო ფრანსისკომ. „მე ძალიან უბედური ვარ“.

„უფრო რის გამო, როგორ გგონიათ, იმის გამო, რომ ძალიან ბევრს სვამთ თუ უზნეობის გამო?“

„მე მგონია, მაგის გამო დავიწყე სმა“. აქამდე ბიჭი სერიოზულად ლაპა-



რაკობდა, მაგრამ უცებ შეუკავებელი სიცილი წასკდა, „არა, იცი, არაფერი მეშველება; ჭერ კიდევ კემბრიჯში, სამეთო კოლეჯში „ჩილიელ დედოფალს“ მესახდნენ, ახლა კი, ესპანეთში წასვლის მერე ხომ, სულ ამ წასვლამ/ქნა — ქალის დანახვაზე გული მერევა“.

ქართულში  
ბიზლინოთეკა

დიკმა მკვახედ შეაწყვეტინა.

„თუ თქვენ ეს მოგწონთ, მე ვერ გიშველით, და უბრალოდ ვკარგავთ დროს“.

„არა, კიდევ ვილაპარაკოთ, სხვებთან ლაპარაკი მეზიზღება“.

ბუნებისაგან რალაც კაცური იყო ამ ბიჭში, რაც თითქოს ახლა მამისადმი უფრო აქტიურ ურჩობადღა გადაქცეოდა, მაგრამ თვალეში ჰქონდა ის ტიპური და ცბიერად ცეტი გამოხედვა რითაც ყველა ჰომოსექსუალისტი ლაპარაკობს თავის თავზე.

„ეს საკუთარ თავთან დამალობანას თამაშსა ჰგავს“, უთხრა დიკმა. „თქვენი ცხოვრება ამაზე მიდის და აღარც დრო გრჩებათ და აღარც ძალა სხვა, ღირსეული და კარგი საქმისთვის. თუ გინდათ ქვეყანას თვალეში შეხედოთ, უნდა დაიოკოთ თქვენი მიდრეკილება და პირველ რიგში სმას დაანებეთ თავი, იმიტომ რომ ალკოჰოლი...“

დიკი მექანიკურად ლაპარაკობდა, რადგან ფიქრში, უკვე ათი წუთიც იქნებოდა, უარი თქვა ამ პაციენტზე. ტერასაზე კიდევ ერთ საათს მაინც კარგად ისაუბრეს, ფრანსისკოს სახლზე ჩილიში, იმის ამბიციებზე — მხოლოდ პროფესიული ინტერესით არ უსმენდა დიკი, ფრანსისკო მომხიბვლელი იყო და თავისი მომხიბვლელობა ეხმარებოდა დანაშაული ჩაედინა ზნეობაში, დიკისთვის კი მომხიბვლელობას თავისთავადი არსებობა ჰქონდა ყოველთვის, როგორც გინდა ყოფილიყო, გადარეული სიმამაცე იმ უბედურისა, ამ დილას რომ მოკვდა კლინიკაში თუ აღერილი გრაცია, რითაც ეს დაკარგული ბიჭი გაცვეთილ ამბებზე ლაპარაკობდა. დიკი ცდილობდა, ცხოვრება რალაც პატარა პატარა სეგმენტებად დაეყო, რათა შეენახა და გამოეზოგა — ესმოდა, რომ მთელ ცხოვრებას სულ სხვა სახე აქვს და სეგმენტებს კი სხვა ხასიათი, მაგრამ როცა კაცი ორმოცის ხდება, მხოლოდ ცალკე სეგმენტებში უფრო ჩანს იგი. სიყვარული ნიკოლისა და როზმერის მიმართ, მეგობრობა ეიბ ნორთთან, ტომი ბარბანთან, ომისშემდგომი ხანის გახლეჩილ სამყაროში — ასეთ კონტაქტებში პიროვნება ყოველთვის თითქოს მასში, დიკში გადადიოდა, ემატებოდა და თვითონ ხდებოდა — ან ყველაფერი უნდა მიეღო, ან არაფერი; და ახლა, ხვედრით, ბოლომდე უნდა ეტარებინა თავის თავში ყველას მეობა, ვისაც კი აღრე იცნობდა და ვინც კი ოდესმე ჰყვარებია, და როგორც ისინი იქნებოდნენ მთლიანობაში, თვითონაც ისე იქნებოდა და მხოლოდ ასე იარსებებდა. არ იყო ეს იოლი ხვედრი, მარტოობა ერია მასში, რა ადვილია, როცა უყვარხარ, როცა გიყვარს — გაუსაძლისი.

ფრანსისკოსთან ერთად ვერანდაზე რომ იჯდა, უცებ ვილაცის ჩრდილი ამოიწია წარსულიდან. მაღალი მამაკაცი უცნაური რწევით გამოსცდა ბუჩქებს და გაუბედავად მოუახლოვდა ამათ. წამით თითქოს ქარზე ამრიალებული პეიზაჟის რალაც დეტალსა ჰგავდა ეს ფიგურა და დიკმა მაშინვე ვერ შეამჩნია, მაგრამ მერე ფეხზე წამოდგა და ჩამოართვა ხელი. „ღმერთო ჩემო, მე აქ მთელი ბუდე ავშალე!“ გაიფიქრა დიკმა და თავს ძალას ატანდა გაეხსენებინა მისი სახელი.



„დოქტორი დაივერი ბრძანდებით?“

„დიახ — თქვენ მისტერ დამფრი?“

„როიალ დამფრი. ერთ სალამოს, იმ მშვენიერ ბალში სადილზე ვიყავი თქვენთან“.

„რა თქმა უნდა მახსოვს“. მისტერ დამფრის ენთუზიაზმის დოდა და დიკი მშრალ ქრონოლოგიაზე გადავიდა. „ეს იყო ათას ცხრაას ოცდა-ოთხ თუ ოცდახუთ...“

განზრახ არ ჯდებოდა, მაგრამ პირველი გამოჩენისას მეტად მორცხვი როიალ დამფრი ჯერ არ აპირებდა გუდა-ნაბადის აკვრას, ხმა დაიდაბლა და ინტიმურად დაელაპარაკა ფრანსისკოს, მაგრამ ამ უკანასკნელს, რცხვენოდა მისი, და უნდოდა ისევ დიკთან გაება ლაპარაკი.

„დოქტორო დაივერ — ვიდრე წახვალთ, მინდა გითხრათ — რომ არ მა-ვიწყდება ის სალამო თქვენთან, ბალში, თქვენი მიღება, შესანიშნავი იყავით თქვენც და თქვენი მეუღლეც. ის სალამო ჩემთვის ერთ-ერთი საუკეთესო მო-გონებაა ცხოვრებაში. ასეთ დახვეწილ ხალხს, ერთად თავმოყრილს, ძნელად თუ სადმე შევხვედრივარ“.

დიკი ნელ-ნელა, ცხრაფეხასავით იხევდა უკან ოტელის ყველაზე ახლო კარებისაკენ.

„მიხარია, რაკი ასეთი კარგი მოგონება დაგრჩათ. მე უნდა წავიდე, რომ ვნახო...“

„მე მესმის“, მაშინვე თანაგრძნობით მიუგო როიალ დამფრიმ. „გავიგე რომ კვდება“.

„ვინ კვდება?“

„იქნებ მე არ უნდა მეთქვა — მაგრამ ჩვენ ერთი ექიმი გვყავს“.

დიკი შეფიქრიანდა, გაკვირვებით შეაჩერდა. „ვისზე ლაპარაკობთ?“

„თქვენი ცოლის მამა, რა თქმა უნდა, — მე იქნებ...“

„ჩემი ვინ?“

„მე ვფიქრობ — როგორ, თქვენ მხოლოდ ჩემგან..“

„თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ ჩემი ცოლის მამა აქ, ლოზანაშია?“

„მაგრამ, მე მეგონა, თქვენ იცოდით — მე მეგონა, თქვენ აქ ამისთვის ჩა-მოხვედით“.

„ვინ არის ის ექიმი, თქვენ რომ ახსენეთ?“

დიკმა ექიმის გვარი ჩაიწერა, ბოდიში მოიხადა და მაშინვე ტელეფონის ჭი-ხურისკენ წავიდა.

დოქტორ დანეეს ახლავე შეეძლო დოქტორი დაივერი მიეღო სახლში.

ახალგაზრდა ენეველ დოქტორს ჯერ შეეშინდა. შეძლებულ პაციენტს დავკარგავო, მაგრამ დიკმა დაამშვიდა, ამის შიში ნუ გექნებათო და დოქტორმა დანეემ უთხრა, რომ მისტერ უორენი მართლა კვდებოდა.

„მხოლოდ ორმოცდაათი წლისაა, მაგრამ ღვიძლის მძიმე დისტროფია აქვს, ამ პროცესის დაჩქარების მიზეზია შემთვრალეობა“.

„სხვა?“

„სითხის გარდა, ვერაფერს იღებს — ბევრი-ბევრი ერთ კვირას გაძლოს, უფრო კი — სამ დღეს“.

„მისს უორენმა, უფროსმა ქალიშვილმა, იცის მისი ამბავი?“

„მისი საკუთარი ნების თანახმად, თავისი კამერდინერის გარდა არავინ



იცის. მხოლოდ ამ დილას ვიგრძენი, რომ თვითონ მისთვისვე უნდა შეთქვა. ძალიან აღელდა, თავიდან კი, რელიგიურად შეეგუა თავის მძიმე მდგომარეობას“.

„ასე...“ ცოტა ფიქრის მერე თქვა დიკმა. „ასე თუ ისე, ჯერჯერობით ჩემზე უნდა ავილო ეს ამბავი. მაგრამ, მე მგონია, ოჯახი კონსილიუმს მთინდომებდა“.

„როგორც გნებავთ“.

„მათი სახელით გთხოვთ დაუკავშირდეთ ტბის მხარის ყველაზე დიდ ავტორიტეტს მედიცინაში — დოქტორ ჰერბრიუგეს ენევიდან“.

„მეც ვფიქრობდი ჰერბრიუგეზე“.

„სალამომდე აქ ვრჩები და შეგეხმაურებით“.

იმ საღამოს დიკი სენიორ პარდო ი სიუდად რეალთან წავიდა და ილაპარაკეს.

„ჩილიში თვალუწვდენელი მამულები გვაქვს“, თქვა მოხუცმა. „მე შემედლო ფრანსისკოსთვის მიმენდო იქაურობის გაძლოლა, ან შეედლო პარიზის ათობით საქმიანი წამოწყებიდან ერთ-ერთის მოთავე ყოფილიყო...“ წუხილით გაიქნია თავი, წინ და უკან დადიოდა იმ ფანჯარასთან, რომლის იქით შხაპუნა წვიმა მოდიოდა, გაზაფხულის, და ისეთი ხალისიანი, რომ გედებიც კი საფარქვეშ არ შემალულიყვნენ. „ჩემი ერთადერთი ვაჟი! რატომ არ შეგიძლიათ წაიყვანოთ თქვენთან, კლინიკაში?“

ესპანელი უცებ ფეხებში ჩაუვარდა დიკს. „არ შეგიძლიათ მოარჩინოთ ჩემი ვაჟი? მე მჯერა თქვენი — თქვენ შეგიძლიათ წაიყვანოთ კლინიკაში, მოარჩინეთ იგი“.

„იმ მიზეზით, რაც თქვენ ახლა თქვით, არ შეიძლება, ვინც გინდა იყოს, თავს მოახვიოთ იძულებითი მკურნალობა, მე ამას არ ვიზამდი, თუნდაც შემედლოს“.

ესპანელი წამოდგა.

„ავდელდი — ამ ამბავმა მაიძულა...“

ვესტიბიულში ჩასული დიკი დოქტორ დანყეს შეეჯახა.

„ეს-ეს არის ვაპირებდი თქვენთან დარეკვას“, უთხრა მან, „იქნებ ტერასაზე გავიდეთ და ვილაპარაკოთ?“

„მისტერ უორენი გარდაიცვალა?“ — იკითხა დიკმა.

„არა, ჯერ ყველაფერი ისევ ისეა. კონსილიუმში ხვალ დილით შედგება. მაგრამ ძალიან უნდა თავისი ქალიშვილის — თქვენი ცოლის ნახვა — მე მგონია, რაღაც უთანხმოება ყოფილა...“

„მე ყველაფერი ვიცი“.

ორივე ექიმი ერთმანეთს უყურებდა, ფიქრობდნენ.

„იქნებ თქვენ თვითონ გენახათ იგი, ვიდრე რამეს მოიფიქრებდეთ?“ შესთავაზა დოქტორმა დანყემ. „ძნელი სიკვდილით არ გათავდება, მხოლოდ დასუსტდება და მშვიდად ჩაიძირება“.

დიკს გაუჭირდა დათანხმება.

„დიახ, ვნახავ“.

აპარტამენტი, სადაც ძნელი სიკვდილით არ თავდებოდა დევრე უორენი, ისეთივე იყო, როგორც სენიორ პარდო ი სიუდად რეალისა — ამ ოტელში ბევრი იყო ასეთი პალატები, სადაც დაუძლურებული მდიდრები და სამსჯავროს გამოქცეულები, ანექსირებული სამთავროების ტახტის პრეტენდენტები, ოპი-



უმისა თუ ბარბიტოლის პრეპარატებით ცხოვრობდნენ და მოუშორებელ რადიოსავით, გამუდმებით ისმენდნენ ძველი ცოდვების ტლანქ მელოდებს. ევროპის ამ კუთხეში იმდენად წარმტაცი ბუნებისთვის კი არ მოდიან უფრო იმპროტომ, რომ უხერხულ კითხვებს ერიდებიან. აქ ორი გზა ჯვარედინდება — იმართე, ვინც კერძო სანატორიუმებსა თუ მთაში ტუბერკულოზის აგარაკებში ცხოვრობენ, ჯებიან და იმათი, ვინც უკვე *persona grata* აღარ არის საფრანგეთსა თუ იტალიაში.

პალატა ჩაებნელებინათ. მონაზონი წმინდანის სახით უვლიდა კაცს, მისტერ უორენს, თეთრ ზეწარზე ეგდო მისი კრიალოსანი და გამხდარი თითებით მარცვლავდა მას. იგი ისევ ლამაზი იყო და როცა ოთახიდან დანეეს გასვლის მერე დიკს დაელაპარაკა, ხმაშიც კი თითქოს ძველი დღეების ჩანსობილი გამოძახილი შერეოდა.

„ცხოვრების ბოლოს ბევრ რაღაცას ვიგებთ, დოქტორო დაივერ. მხოლოდ ახლა გავიგე ის, რაც ადრე უნდა მცოდნოდა“.

დიკი იცდიდა.

„მე ცუდი კაცი ვიყავი. თქვენ იცით, რომ ნიკოლის კვლავ ნახვის მხოლოდ ძალიან მცირე უფლება მაქვს, მაგრამ ის, ვინც მალლა დგას ჩემზეც და თქვენზეც, მიტევენასა და შებრალებას გვასწავლის ყველას“. თითებიდან კრიალოსანი გაუცურდა, ატლასზე ჩასრიალდა და დიკმა აიღო, მიაწოდა. „მე რომ ნიკოლის ნახვა შემეძლოს, თუნდ ათი წუთით, ბედნიერი წავიდოდი ამ ქვეყნიდან“.

„ამას მე თვითონ ვერ გადავწყვეტ“, თქვა დიკმა. „ნიკოლი არც ისე ძლიერია“. დიკს უკვე მოეფიქრებინა და გადაეწყვიტა კიდევაც, მაგრამ თავს ისე იჭერდა, თითქოს ეეჭვება და ყოყმანობსო. „ჩემს კოლეგას უნდა ველაპარაკო კლინიკაში“.

„რას იზამთ, დოქტორო, — როგორც თქვენი კოლეგა იტყვის. ნება მიბოძეთ გითხრათ, თუ რა მოვალე ვარ თქვენი...“

დიკი სწრაფად წამოდგა.

„დოქტორ დანეესგან შეიტყობთ პასუხს“.

თავის ოთახში დაბრუნდა თუ არა, მოითხოვა ცუგის ტბაზე, კლინიკასთან დაეკავშირებინათ. კარგა ხნის ლოდინის მერე კეტემ შინიდან უბასუხა.

„ფრანცს მინდა დაველაპარაკო“.

„ფრანცი ზევით, მთაშია, ახლა მე თვითონ მივდივარ იქ, რამე უნდა გადავცე, დიკ?“

„საქმე ნიკოლს ეხება — მამამისი ლოზანაშია, კვდება. უთხარით ფრანცს, იცოდეს, რომ სასწრაფო საქმეა; სთხოვეთ იქიდან დამირეკოს“.

„ღიახ“.

„უთხარით, რომ სამიდან ხუთამდე და შვიდიდან რვამდე ოტელში ვიქნები, ჩემს ოთახში, მერე შეუძლია რესტორანში მიკითხოს“.

ამ საათებზე ლაპარაკის გამო დაავიწყდა გაეფრთხილებინა კეტე, რომ ნიკოლისთვის ეს არ უნდა ეთქვათ. უცებ გაახსენდა და გათიშეს კიდევაც, ალბათ თვითონვე მოიფიქრებდა კეტე და ნიკოლს არ ეტყოდა.

...სანამ პატარა ორთქლმავალით მთა-უდაბუში, მინდვრის ყვავილები და უეცარი ქარების გორაკისკენ მიდიოდა, კეტეს არც უფიქრია იმაზე, ეთქვა თუ არა ნიკოლისთვის, რომ დიკმა დარეკა. აქ ბაზა ჰქონდათ, სადაც ზამთარ-



ში პაციენტები სათხილამუროდ მიჰყავდათ და გაზაფხულზე კი ისინი მთაზეც ადიოდნენ. მატარებლიდან ჩამოვიდა თუ არა, მაშინვე დაინახა ნიკოლი, თავის ბავშვებს მწყემსავდა, რალაცას თამაშობდნენ, ერთი ამბავი ჰქონდათ და აშოშმინებდა. კეტე მივიდა, მხარზე ნაზად დაადო ხელი და უთხრა:

„თქვენ ისე კარგად აგვარებთ ბავშვებთან ყველაფერს, მაშინვე ხსენებულს ცურვა უნდა, ასწავლოთ მათ“.

თამაშში ისე იყვნენ გართულები, ნიკოლმა უცებ უნებურად გაიქნია მხარი და გამოვიდა, რომ უხეშად მოიშორა კეტე. კეტეს უხერხულად ჩამოუვარდა ხელი და მაშინვე გადაუხადა სიტყვებით მწარედ.

„ხომ არ გეგონათ, გეხვეოდით?“ ავად და უკმეხად მიიხალა. „უბრალოდ, დიკის გამო, ტელეფონით ველაპარაკე და შემეცოდა...“

„დიკს რამე დაემართა?“

კეტე უცებ მიხვდა თავის შეცდომას, მაგრამ გვიანდა იყო, უტაქტოდ მოიქცა და ნიკოლის დაჟინებულ კითხვებზე: „...მაშ რად თქვით, რომ დიკი შეგეცოდათ?“ უნდა ეპასუხა.

„დიკს არაფერი, მე ფრანცი უნდა ენახო“.

„არა, დიკს რალაც მოუვიდა“.

ნიკოლს სახეზე საშინელება ეწერა და დაივერების ბავშვებსაც შეჰრწუნებული სახეები ჰქონდათ, იქვე იდგნენ და ყველაფერი ესმოდათ. კეტემ ველარ გაუძლო და ამოთქვა:

„მამათქვენი ავად არის, ლოზანაშია და დიკს უნდა ფრანცს ამაზე ველაპარაკოს“.

„ძალიან ავად არის?“ ჩაეკითხა ნიკოლი — სწორედ ამ დროს მოვიდა ფრანციც, თავისი თბილი იერით, როგორც პაციენტებთან იყო ხოლმე და გახარებულმა კეტემ მთელი სიმძიმე მოიშორა — მაგრამ რაც დააშავა, იმას ველარას უშველიდა.

„მე ლოზანაში მივდივარ“, გადაჭრით თქვა ნიკოლმა.

„ერთი წუთით“, უთხრა ფრანცმა, „არ გირჩევთ, არ არის საჭირო, კარგია, ჯერ დიკს ველაპარაკო ტელეფონით“.

„მაგრამ, მერე აქაურ მატარებელზე დამაგვიანდება“, არ დაეთანხმა ნიკოლი, „და ველარ მივასწრებ ციურიხის სამი საათის მატარებელს. თუ მამაჩემი კვდება, მე უნდა...“ აღარ დაამთავრა, შეეშინდა ხმამაღლა ეთქვა. „მე უნდა წავიდე. თუ არ გავიქეცი, მატარებელზე დამაგვიანდება“. მართლა მირბოდა უკვე, თან ლაპარაკობდა და თან მირბოდა იქითკენ, სადაც პატარა ორთქლმავალი თეთრი ორთქლის გვირგვინს ადგამდა შიშველ ფერდობს და ქშენით ისვროდა. ერთხელაც მოიხედა და ფრანცს დაუძახა, „დიკს თუ დაელაპარაკებით ტელეფონით, უთხარით, რომ მივდივარ, ფრანცი!“

...დიკი თავის ოთახში იჯდა და „ნიუ იორკ ჰერალდს“ კითხულობდა, როცა უცებ ოთახში მერცხალივით შემოიჭრა მონაზონი. ტელეფონმაც, ის იყო, დარეკა.

„გარდაიცვალა?“ იმედით ჰკითხა მონაზონს დიკმა.

— იგი გაქრა!“

„Monsieur, il est parti — იგი გაქრა!“

„Comment?“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> რაჟ (ფრანგ.).



„Il est parti — მისი კამერდინერიც გაქრა და ბარგიც“.

წარმოუდგენელი იყო. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ქაცი ამდგარიყო და წასულიყო!

დიკი ტელეფონს მისწვდა, ფრანცი რეკავდა. „მაგრამ ნიკოლისთვის არ უნდა გეთქვათ!“ ჩასძახა დიკმა.

„ვეტემ უთხრა, ვერ მოიფიქრა და უთხრა“.

„ჩემი ბრალია, რა თქმა უნდა. ქალს არაფერი არ უნდა უთხრა თავის დრომდე. კარგი, რაც არის, არის, ვაგზალზე დაეხვდები ნიკოლს... ფრანც, აქ გასაგებებელი ამბავი მოხდა... ეს ქაცი ადგა და წავიდა...“

„რა ავიდა? ვერ გავიგე, რა თქვით“.

„წავიდა-მეთქი, უორენი — წა-ვი-და!“

„მერე რა მოხდა?“

„უკვე თითქმის კვდებოდა, კოლაფსისგან... ადგა და წავიდა, ალბათ ჩიკაგოში, მე ასე მგონია... არ ვიცი, მომვლელმა ქალმა მოირბინა, აქ არის ახლა... არ ვიცი, ფრანც... მეც ეს-ეს არის გავიგე ეს ამბავი... მოგვიანებით დამირეკეთ“.

თითქმის ორი საათი დაკარგა დიკმა უორენის კვალის ძებნაში. პაციენტმა, ეტყობა, ისარგებლა პაუზით, როცა დღისა და ღამის მორიგე მომვლელ ქალს ერთმანეთი უნდა შეეცვალათ, ბარში ჩავიდა და სწრაფად გადაკრა ოთხი ვისკი, ოტელისთვის ათასდოლარიანი ბანკნოტი დატოვა, დაიბარა, ხურდა მერე გადაეგზავნათ მისთვის და გაემგზავრა — ალბათ ამერიკაში. დანჯესთან ერთად ამაოდ სცადა დიკმა ვაგზალში დასწეოდა და ამასობაში ნიკოლსაც ასცდა. ერთმანეთს ოტელის ვესტიბიულში შეხვდნენ, ნიკოლი დაღლილი ჩანდა და მისი მაგრად მოკუმული ბაგის დანახვაზე დიკს გული ჩაუვარდა.

„როგორ არის მამა?“ იკითხა მან.

„უკეთესად. ეტყობა, მაინც ძალა ჰქონდა“. დიკი ყოყმანობდა, უცებ ვერ უთხრა. „ფაქტი ის არის, რომ ადგა და წავიდა“.

დალევა მოუნდა, აქეთ-იქით სირბილში სადილის დროც აღარ იყო. გაოცებული ნიკოლი ბარში შეიყვანა, კოქტეილი და ლუდი შეუკვეთა და ტყავის სავარძლებში ჩასხდნენ.

„ის ქაცი, მას რომ მკურნალობდა, შეიძლება შეცდა პროგნოზში და ალბათ დიაგნოზშიც — მოიცა ერთ წუთს, დრო აღარ მქონდა ამაზე კარგად რომ მეფიქრა“.

„ისე რომ, წავიდა?“

„პარიზის სალამოს მატარებელს მიუსწრო“.

ორთავე გაჩუმდა. უსაზღვრო, ტრაგიკული აპათია მოდიოდა ნიკოლისაგან.

„ეს ინსტინქტია“, თქვა ბოლოს დიკმა. „მართლა კვდებოდა, მაგრამ ძალა მოიკრიბა და თავისი აღრინდელი რიტმი აღიდგინა — მედიცინისთვის უცხო არ არის ასეთი შემთხვევები — ძველი საათივით — ხომ იცი, ერთი გაქანება და ისევ ისე ამუშავდება, მამაშენიც...“

„არ გინდა“, თქვა ნიკოლმა.

„მისი ძირითადი საწვავი ყოველთვის შიში იყო, შეეშინდა და ამან შემატა ძალა. ალბათ ოთხმოცდაათ წლამდე იცოცხლებს...“



„თუ შეიძლება, არ არის საჭირო“, თქვა ნიკოლმა. „თუ შეიძლება... მეტი ატანა არ შემიძლია“.

„კარგი. ის ბიჭი, ვისი გულისთვისაც აქ ჩამოვედი, უიმედოა. ისე რომ, ხვალვე შეგვიძლია აქედან წასვლა“.

„არ მესმის რად — რისთვის გჭირდება ეს ყველაფერი“, აღმოხდა ნიკოლს.

„ო, არ გესმის? ზოგჯერ მეც არ მესმის“.

ნიკოლმა ხელი დაადო ხელზე.

„ო, მაპატიე, დიკ, არ უნდა მეთქვა“.

ვილაცამ ბარში პატეფონი შემოიტანა, ისხდნენ და „დახატული თოჯინის ქორწილს“ უსმენდნენ.

### III

ერთი კვირის მერე, დილით ადრე წერილებისთვის კანტორაში შესულმა დიკმა რაღაც ხმაური გაიგონა: პაციენტი ფონ კონ მორისი კლინიკას ტოვებდა. მისი მშობლები, ავსტრალიელები, ბარგს ბრაზმორეულები ყრიდნენ დიდ ლიმუზინში, იქვე იყო დოქტორი ლადისლაუ და უფროსი მორისის აგზნებულ შესტიკულაციაზე უმწეოდ შლიდა ხელებს. თვითონ ახალგაზრდა მორისი, როცა მათ დოქტორი დაივერი მიუახლოვდა, განზე იდგა და მთელ ამ ამბავს ცინიკური იერით უყურებდა.

„რა აჩქარებაა, მისტერ მორის?“

მისტერ მორისი შეკრთა, დიკის დანახვაზე მისი-ლაჟღაჟა სახე და კოსტიუმის მსხვილი ხაზები ელექტრონის შუქივით ერთბაშად ჩაქრა და მერე ისევ აინთო. დიკისკენ ისე წამოვიდა, გეგონება, საცაა უნდა გააჩქარებო.

„კიდევაც გვიან მივდივართ, ადრე უნდა წავსულიყავით, და ისინიც, ვინც ჩვენთან ერთად მოვიდნენ თქვენთან“, დაიწყო და შეჩერდა, რომ სული მოეთქვა, „ადრე უნდა წავსულიყავით, დოქტორო დაივერ, უფრო ადრე“.

„იქნებ ჩემთან, კაბინეტში გველაპარაკა“, შესთავაზა დიკმა.

„არა! ლაპარაკით ვილაპარაკებთ, მაგრამ მე ჩემდათავად არც თქვენთან და არც ამ კლინიკასთან აღარაფერი საქმე არა მაქვს, მე ხელები დამიბანია“. თითს უქნევდა დიკს. „ამ დოქტორს მე ასეც ვუთხარი. ტყუილუბრალოდ დაგკარგეთ ფულიც და დროც“.

სლავმა დოქტორმა ლადისლაუმ თავისი ორჭოფულობით რაღაც უღონო, ვითომ პროტესტი გამოხატა. დიკს არ უყვარდა ლადისლაუ. აღელვებული ავსტრალიელი როგორღაც ბილიკზე გადაიყვანა და ისევ შესთავაზა, რომ კაბინეტში ელაპარაკათ. ავსტრალიელმა თავი გაიქნია.

„ეს თქვენ, თქვენ გეხებათ, დოქტორო დაივერ, სწორედ თქვენ, სხვას არავის. დოქტორ ლადისლაუს იმიტომ მივმართე, რომ თქვენ ვერა გნახეთ, დოქტორო დაივერ; დოქტორი გრეგოროვიუსი კი საღამომდე არ დაბრუნდება, საღამომდე კი ვერ მოვიცდიდი, არა, სერ! ერთ წუთსაც კი ვერ მოვიცდი ამის მერე, ჩემმა ვაჟიშვილმა ყველაფერი მითხრა“.

მუქარით მიუახლოვდა და დიკს ხელი უკვე მზადა ჰქონდა, რომ თუკი საჭირო იქნებოდა, დაეგდო კიდევც.



„ჩემი ვაჟიშვილი აქ იმისთვის მოვიყვანე, რომ ალკოჰოლიზმისგან მომერჩინა, მან კი მითხრა, რომ თვითონვე აგლით ღვინის სუნი. დიახ, სერს, სწრაფად უნდოდა შეესუნთქა, მაგრამ არ გამოუვიდა. „თანაც, ერთხელ კი არა, რჩვერ შეგამჩნიათ ფონ კონმა, რომ ღვინის სუნი აგლიოდათ. არც ჩემს მეუღლეს და არც მე მაგარი სასმელი ერთი წვეთიც კი არ ჩავვიშვია პირში, არასოდეს. ჩავაბარეთ ფონ კონი, რომ მოგერჩინათ, მან კი ერთ თვეში ორჯერ იგრძნო, რომ ღვინის სუნი აგლიოდათ. მითხარით, რა მკურნალობაზე შეიძლება იყოს აქ ლაპარაკი?“

დიკი ყოყმანობდა; მისტერ მორისს ზედ კლინიკის ჭიშკართანაც შეეძლო სცენა გაემართა.

„ბოლოს და ბოლოს, მისტერ მორის, ხომ არ შეიძლება, რომ ზოგიერთებმა, ვინც გინდა იყოს, უარი თქვან იმაზე, რაც საზრდოს ეხება, მხოლოდ იმისთვის, რომ თქვენი ვაჟიშვილი...“

„მაგრამ, თქვენ ეჭიმი ხართ, კაცო!“ გაცოფებულმა დაიყვირა მორისმა. „როცა მუშა ლუდს ეძალება, რაც უნდა ის ქნას, თავი ჩაიხრჩოს თუკი უნდა— მაგრამ თქვენ ხომ იმისთვის ხართ, რომ აქ სხვები მოარჩინოთ...“

„ეს მეტიმეტია. თქვენი ვაჟი ჩვენთან იმიტომ მოიყვანეთ, რომ კლემენტო-მანია სჭირს...“

„მერე, რისგან?“ უკვე მთელი ხმით ყვიროდა. „შავი სმისგან. იცით თუ არა რა ფერია შავი? შავია! ბიძაჩემი ამ სმის გულისთვის ჩამოკიდეს, გაიგეთ? ჩემი ვაჟიშვილი სანატორიუმში მიმყავს და იქ კი თურმე თვითონ ეჭიმი ილევება!“

„მე უნდა გთხოვოთ, რომ დატოვოთ აქაურობა“.

„მთხოვოთ! თვითონ მივდივართ, თვითონ!“

„თქვენ რომ ცოტა მოთმინება გქონდეთ, გეტყოდით, რასაც მივალწიეთ ამ ხნის მანძილზე. ამ ვითარების მერე, კი, ბუნებრივია, თქვენი ვაჟიშვილის, როგორც პაციენტის, აქ დარჩენა აღარ იქნება...“

„თქვენ ბედავთ და მე მელაპარაკებით მოთმენაზე!“

დიკმა დოქტორ ლადისლაუს მიუხმო და როცა იგი მიუახლოვდა, უთხრა:

„კეთილი ინებეთ და ჩვენი სახელით პაციენტსა და მის ოჯახს მშვიდობით მგზავრობა უსურვეთ“.

ოდნავ თავი დაუხარა მორისს, კაბინეტში შევიდა და წამით მიხურულ კარებთან იდგა გამეხებული, მანამდე, სანამ ხეპრე მშობლები და იმათი უსუსური, დეგენერატი ნაშიერი ადგილიდან დაიძვრებოდნენ. წინასწარ უკვე კარგად ხედავდა, როგორც მოივლიდა ეს ოჯახი მთელ ევროპას და თავიანთი დახშული გონებითა და ფულით დააფრთხოდა წესიერ ხალხს, მაგრამ ამ ქარავნის წასვლის ხმაური მიწყდა თუ არა, მერეღა გაჩნდა ფიქრი იმაზე, თუ რა ბრალი ჰქონდა მთელ ამ ამბავში. სადილზეც და ვახშამზეც დიკი კლარეტს, წითელ ღვინოს სვამდა, დღის ბოლოს ცხელ რომს, ხანდახან შუადღითაც გადაკრავდა ჭინს — ჭინი თითქმის არ ტოვებს სუნს, ძალიან ძნელად თუ შეატყობ. ერთი სიტყვით, დღეში ნახევარ-პინტი ალკოჰოლი გამოდიოდა — თავისი სისტემისთვის ძალიან ბევრია, გადაწვაც შეიძლება.

თავის მართლებას შეეშვა, მაგიდას მიუჭდა და რაღაც რეჟიმი შეადგინა თავის თავისთვის. ამ რეჟიმით ალკოჰოლი ერთიორად მცირდებოდა. ეჭიმები, შოფრები და პროტესტანტი მღვდლები მაგარ სასმელს არ უნდა გაეკარონ,



მხატვრების, მაკლერებისა და კავალერიის ოფიცრების საქმე სხვა არის; თავის თავს დიკი იმას აბრალებდა, რომ არ გაფრთხილდა. მაგრამ ამბავი ჯერ კიდევ არ იყო გათავებული; ეს ცოტა ხნის მერე გაირკვა, როცა ორი კვირით ალბებში მყოფი ფრანცი მოვიდა და ხალხით სავსე, მუშაობასაც, ეტყობა, ისე და-ნატრულდა, რომ კაბინეტში შესვლამდეც კი ჩაიძირა თავის საქმეში. დიკი იქ, კარებთან შეხვდა ფრანცს.

„როგორ არის ევერესტი?“

„ხუმრობა იქით იყოს და ისეთი ტემპით მივდიოდით, ევერესტზე ასვლასაც კი მოვახერხებდით. ამაზედაც ვიფიქრეთ უკვე. აქ საქმე როგორ მიდის? როგორ არის ჩემი კეტე, როგორ არის თქვენი ნიკოლი?“

„შინ ყველაფერი რიგზეა, თქვენთანაც და ჩემთანაც. მაგრამ, ღმერთო ჩემო, ფრანც, კლინიკაში ერთი რაღაცა ამბავი მოხდა დღეს, ამ დღით“.

„როგორ, რა იყო?“

ფრანცი უკვე ტელეფონს მისწვდა, რომ კეტესთვის თავიანთ ვილაში და-ერეკა და ვიდრე ოჯახურ ამბებზე ლაპარაკს მოათავებდნენ, დიკი ოთახში ბოლ-თასა სცემდა. მერე უთხრა: „მორისებმა თავიანთი ვაჟი წაიყვანეს — ერთი სკანდალი იყო“.

„ვიცი, რომ უკვე წაიყვანეს, ლადისლაუ შემხვდა ვერანდაზე“.

„რა ვითხრათ ლადისლაუმ?“

„ახალგაზრდა მორისი რომ წავიდა და მთელ ამ ამბავს კი თქვენ მეტ-ყოდით“.

„ის, რაც ასეთ დროს ხდება ხოლმე. თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ“.

„გატილებული ვილაც კი იყო ის ბიჭი“.

„მეტი რომ აღარ შეიძლება“, დაეთანხმა დიკი, „მაგრამ სანამ მე მივიდო-დი, მამამისი კოლონიზატორივით მიადგა ამ ლადისლაუს. ფრანც, ლადისლა-უზე რა აზრისა ხართ? ღირს იმის აქ გაჩერება? მე ვფიქრობ, არ ღირს — ვერ გაიგებ, ეს რა კაცია, თავს ხომ ვერაფერს ვერ მოაბამს“. მართლის თქმის მიჯ-ნასთან შედგა. სივრცე და რაღაც დრო სჭირდებოდა მანევრისთვის და შეი-ცადა. ფრანცი საგზაო ხელთათმანებითა და ტილოს სამტვრეთი, ეგრევე ჩა-მოჭდა მაგიდის კიდეზე. დიკმა დაიწყო:

„ეს მორისი მამამისთან ბევრ რაღაცას მიედ-მოედო და ერთი ის იყო, რომ თქვენი სახელოვანი კომპანიონი ლოთად დაუხატა. მამამისი ფანატიკოსია და ფხიზლებზე გიყდება. იმისმა შთამომავალმა კი ვითომდა *vin du pais*<sup>1</sup> კვალი აღმოაჩინა ჩემში“.

ფრანცი დაჯდა, ქვედა ტუჩი წინ გამოსწია და ზედ დაიხედა.

„შეგიძლიათ მერე მიაგზოთ, რაც კი იყო“, თქვა ბოლოს.

„ახლა გიამბობთ, რად გადავდოთ?“ მიუგო დიკმა. „თქვენ თვითონ იცით, რომ მაგარ სასმელებს მე ისედაც არ ვეძალები“, ელვის უმაღლეს გაუყარეს თვა-ლი თვალში, ორთავემ ერთად. „ამ ლადისლაუს გამო კი იმ კაცმა ისე აიშვა თავი, რომ დაცვაზედა უნდა მეფიქრა. ხომ შეიძლება პაციენტები გამოსულიყ-ვნენ და იმათ ენახათ ეს ამბავი, როგორია, ასეთ სიტუაციაში თავის დაცვა“.

ფრანცმა ხელთათმანები წაიძრო და სამტვრე მოიხსნა. მერე კარებთან მი-ვიდა, მდივანს უთხრა: არავინ შემოვიდესო, და ოთახში შესული ისევ თავის

<sup>1</sup> აქაური ღვინის (ფრანგ.).



გრძელ მაგიდას მიუახლოვდა. წერილებს არჩევდა, მაგრამ ვითომ არჩევდა, იმ ხალხივით, ნილაბი რომ სჭირდებათ ხოლმე, რათა იოლადა თქვან, რაც სათქმელად ძნელია მათთვის.

„დიკ, მე თქვენ გიცნობთ როგორც თავდაოკებულსა და მეტად დინჯ კაცს, სხვა ამბავია ის, რომ ალბათ ერთნაირი აზრი არა გვაქვს ალკოჰოლზე, მაგრამ ახლა დადგა დრო — დიკ, გულწრფელად გეტყვი, რამდენჯერმე შევამჩნიე, რომ შეუფერებელ მომენტშიც კი დაგიღვევიათ და ესეც არის ერთი მიზეზი, იქნებ სცადოთ, იქნებ ერთხელაც ცოტა ხნით წასვლა საჭიროა?“

„სულაც წასვლა“, უნებლიეთ თქვა დიკმა. „ცოტა ხნით წასვლა არაფერს შეცვლის“.

ორივეს ბრაზი ერეოდა, ფრანცს — დაბრუნების სიხარულის ჩახშობისა და ჩაშხამებისთვის.

„ზოგჯერ თქვენ კარგავთ საღი აზრს, დიკ“.

„ვერასოდეს ვერ ვიგებდი რას ნიშნავდა ზალი აზრი რთულ შემთხვევებში — თუ არა იმას, რომ ზოგადი პროფილის ექიმს შეუძლია ოპერაციის გაკეთება და ქირურგ-სპეციალისტზე უფრო კარგადაც“.

დიკი უცებ აუტანელმა ზიზღმა მოიცვა იმის მიმართ, რაცა ხდებოდა. ახსნა, რაღაცის გამთელება — ამ ასაკიდან უკვე ორივე გამოვიდა — ისევ ძველი ქეშმარიტების გაბზარული ხმის ექო ჯობია.

„ერთი გზა უკვე აღარა გვაქვს“, მოულოდნელად თქვა მან.

„მეც ასე ვფიქრობ, ასე მგონია“, აღიარა ფრანცმა. „საქმის ინტერესი დაკარგეთ, დიკ, გულს აღარ უღებთ“.

„ვიცი. და მინდა საქმიდან გამოვიდე — შეიძლება ისე გაკეთდეს, რომ ნიკოლს ფული ერთბაშად კი არ დაუბრუნოთ — მხოლოდ თანდათან“.

„ამაზე მეც ვიფიქრე, დიკ — დიდი ხანია ვატყობ, რომ ასე მოხდებოდა და ამ საუბარს ვერ ავცდებოდი. ახლა ისიც შემიძლია, რომ სხვა შევიგულო კომპანიონად და წლის ბოლოს ფული უკვე მთლიანად დაგიბრუნოთ“.

დიკს არ ეგონა, ასე ჩქარა თუ გადაწყვეტდა, იმასაც არ ელოდა, რომ ფრანცი თითქმის მზად იყო, რომ გათიშულიყვნენ და მაინც, შვება იგრძნო. კარგა ხანია გრძნობდა და ღამის უსასოოდაც, თავისი პროფესიის ეთიკის ამ დაშლა-ჩანაცვრას.

#### IV

დაივერები რივიერაზე დაბრუნდებოდნენ, რივიერაზე იყო იმათი სახლი. მაგრამ ვილა „დაიანა“ მთელი ზაფხულით ისევ რენტითა ჰქონდათ მიცემული და სანამ ზაფხული გავიდოდა, გერმანიის მინერალურ წყლებსა და საკათედრო ტაძრებით ცნობილ საფრანგეთის ქალაქებში იმყოფებოდნენ, აქ კარგად იყვნენ, რამდენიმე დღე მაინც ყოველთვის კარგად იყვნენ. დიკი ცოტ-ცოტას წერდა, ოღონდ უსისტემოდ, მხოლოდ ხანდახან; ცხოვრების ერთი ის ხანა იყო, როცა ელი, და უნდა ელოდა — მუშაობისთვის არა, და არც ახალი შეტყევისათვის — ნიკოლს არგო მოგზაურობამ, კარგად იყო; უბრალოდ, უნდა ელოდა. ერთი ფაქტორი, რაც იმ ხანას აზრს ანიჭებდა, ბავშვები იყო.

ბავშვებისადმი ინტერესი იმათ ასაკთან ერთადაც უფრო მატულობდა.



ლანიე ახლა თერთმეტის იყო, ტოპსი კი ცხრისა. დიკმა მოახერხა გუვერნანტებისა და ძიძებისთვის შემოეწვლო და დაახლოებოდა მათ იმ პრინციპით, რომ ვერც მეტი სიმკაცრე და ვერც იმის შიში, რომ ბავშვებს სიმკაცრე არ შეემჩნიათ, ვერ შეცვლიდა ზრუნვასა და შეუნელებელ ყურადღებებს ყვეალყურის დევნებას და თანაბარზომიერებას, რასაც ერთი ბოლოსაკენ მივყავართ მერე, რომ გარკვეული დისციპლინისა იყვნენ ბავშვები. ორივეს ზნე და ხასიათი ახლა ნიკოლზე უკეთ იცოდა დიკმა და, გერმანული, ფრანგული ან იტალიური ღვინოებით ცოტაოდნად შეხურებული, დიდხანს ეთამაშებოდა და ელაპარაკებოდა ხოლმე ორივეს. ორთავეს ჰქონდა ის ნაღვლიანი მომხიბვლელობა, თითქმის სევდა, იმ ბავშვებს რომ ახასიათებთ, რომლებსაც ადრე ასწავლიან, რომ არც სიცილს უნდა აპყვნენ ძალიან და არც ხმამალა უნდა იტირონ. თითქმის სევდა, იმ ბავშვებს რომ ახასიათებდა, რომლებსაც ადრე ასწავლიან, ცხოვრების ამ სადა რეჟიმის და იოლადაც სჯერდებოდნენ სადა გართობას ან უბრალო სიამოვნებას. თანაბარი, მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, როგორც დასავლეთ სამყაროს ძველ, კარგ ოჯახებშია მიღებული და აღზრდა მათთვის გამოცდად და შემოწმება-გამოჩენად არა ჰქცეულა. დიკს, მაგალითად, მიაჩნდა, რომ ბავშვებს, თუკი დუმილს მიაჩვევ, მერე და მერე დაკვირვების უნარიც უფრო კარგი ექნებათ.

ლანიე მეტად ცოდნისმოყვარე ბიჭი იყო, ხშირად ძალიან უცნაურ რამეს იკითხავდა. „მაინც რამდენი შპიცია საჭირო ერთი ლომის დასაქერად, მამა?“ და გაუთავებლად ჭანცავდა დიკს ასეთი კითხვებით. ტოპსი უფრო დამყოლი იყო, მშვენიერი, ჭერა, თეთრი და გრაციოზული, ნიკოლივით, და ეს მსგავსება ერთხანს კიდევაც აშფოთებდა დიკს; მაგრამ ცხრა წლისა მომაგრდა და თავისი ტოლი ამერიკელი ბავშვებივით ძლიერი ჩანდა. კმაყოფილი რომ იყო დიკი ორივეთი, ამას ბავშვებთან არასოდეს იტყოდა ხოლმე. ცუდად არ უნდა მოქცეულიყვნენ — „ვინც შინ არ სწავლობს ზრდილობასა და კარგ საქციელს“, ამბობდა დიკი, „იმას ცხოვრება მერე მათრახით ასწავლის ჰკუპას და დაიტანჯება. რა მოხდა, ტოპსი თუკი არ „გამაღმერთებს“? ცოლად კი არ ვზრდი“.

ეს ზაფხული და შემოდგომა სხვა რაღაცითაც გამოირჩეოდა — ჭარბი ფულით. ფრანცი გზავნიდა კლინიკიდან და ამერიკიდანაც მოდიოდა ნიკოლის ფული — უფრო და უფრო დიდი მოგება. ფული იმდენი იყო, რომ მარტო იმასღა უნდებოდნენ, რაზე დაეხარჯათ იგი და მერე კი, რაც ეყიდათ, მოეწვლოთ მისთვის. განცხრომით და მართლა საარაკოდ მოგზაურობდნენ.

ერთი ასეთი მოგზაურობა ბაიენში მატარებლით ჩასვლაც კი იყო, ორი კვირით რომ წავიდნენ იქ დაივერები. საძინებელ ვაგონში თავმოყრა იტალიის საზღვართან დაიწყო. მეორე კლასის ვაგონიდან Madame დაივერისა და გუვერნანტის მოახლეები მოვიდნენ, რომ ბარგისა და ძაღლების დაბინავებაში მიხმარებოდნენ. Mademoiselle ბელუას სელის ბარგისთვის უნდა მიეხედა, ერთ მოახლეს სილიქემ-ტერიერები ჩააბარეს, მეორეს კიდევ — პეკინური ჯიშის ძაღლები. პეკინელები. ასეთ ცხოვრებას რომ იქმნის ქალი, მაინცდამაინც მისი სულის სიმჭლევე კი არ ვლინდება ხოლმე — აქ ინტერესთა სიჭარბეცა ჩანს, თუკი ნიკოლი ავად არ იყო, ყველაფერს კარგად უძღვებოდა. თუნდაც იმოდენა ბარგი — ბაიენში საბარგო ვაგონიდან ოთხი საგზაო დიდი კარადა გადმოიტანეს, ფეხსაცმელების ზანდუკი, სამი საგზაო შლაპების სკივრი და კიდევ ორი მუყაოს ყუთი შლაპებისათვის, გუვერნანტის და მოახლე-



ების ბარგი-ბარხანა, კარტოთეკების პატარა ყუთი, საგზაო აფთიაქი, სტრუქტურა და მისი სათავსი, კალათები პიკნიკისათვის, ჩოგბურთისთვის, ერთი ოთხი მაინც, შალითებსა და პრესებში, პატეფონი და საბეჭდი მანქანა. გარდა ამისა, თან მიჰქონდათ ერთი ოცი საკვოიაცი, ზურგჩანთები და საკვებები. ყველა ნივთს ჰქონდა ციფრიცა და იარლიყიც. ხელჯოხებსაც კი, თანავიანთი ბუდეებითა. ასე, ამგვარად, რომელ პლატფორმაზეც უნდა გადმოსულიყვნენ, ორ წუთშიც კი შეიძლებოდა ამ ყველაფრის შემოწმება ორი სიით, „დიდი სიით“ და „მცირე სიით“, ყოველთვის თავის ჩანთაში რომ ედო ნიკოლს, ხოლო მერე ზოგს შესანახად გადადებდნენ, ზოგსაც იღებდნენ, რომ თან ჰქონოდათ. ნიკოლმა ბავშვობაშივე შეიმუშავა ეს სისტემა, თავის ჯანით სუსტ დედასთან ერთად რომ მოგზაურობდა ხოლმე და ყოველთვის პოლკის იმ ინტენდანტის პუნქტუალობით იცავდა მას, სამი ათასი ჯარისკაცის გამოკვებასა და ამუნიციასზე რომ უნდა იფიქროს.

დაივერები გადმოიშალნენ მატარებლიდან და ხეობის უკვე შედედებულ, ნაადრევ ბინდბუნდს შეერივნენ. საუკუნის წინათ იტალიაში ლორდ ბაირონის პილიგრიმოზა რომ იწვევდა, ისეთი კრძალვის შიშით შეჰყურებდნენ იმ სოფლის ბინადრები ამათი ბარგის გადმოლაგებას. მასპინძელი გრაფინია დი მინგეტი იყო, ყოფილი მერი ნორთი. ნიუარკში მეშპალერეს სავაჭროს თავზე, პატარა ოთახიდან დაწყებული გზა საკვირველი და უცნაური ქორწინებით დაგვირგვინდა თურმე ახლახან.

ტიტული „გრაფი დი მინგეტი“ მერის მეუღლეს არცთუ ისე დიდი ხნის წინათ უბოძა პაპმა — მისი სიმდიდრის გამოც მოხდა ეს — მერის მეუღლე სამხრეთ-დასავლეთ აზიის მანგანუმის საბადოების მფლობელი იყო. სახის კანის ფერი საკმაოდ მუქი ჰქონდა და მეისნ-დიქსონის სამხრეთის ხაზზე, პულმანის ვაგონში არ შეუშვებდნენ. იმ ქაბილ-ბერბერ-სებეურ-ინდუსურ მოდგმას ეკუთვნოდა, ჩრდილო აფრიკასა და აზიას სარტყლად რომ გასდევს. ევროპელები ამათ უფრო სიმპათიითაც ექცევიან, შერეულ რასებზე უფრო მეტად.

წარჩინებული ოჯახები, ერთი აღმოსავლური, და ერთი კიდევ დასავლეთიდან, ვაგზლის ბაქანზე რომ შეხვდნენ ერთმანეთს, დაივერების განცხრომა მათთან, ახალი ქვეყნის ახალ ბინადრის სისადავესლა ჰგავდა ახლა. ამათ მასპინძლებს თან ახლდნენ იტალიელი მაჟორდომი ხელში კვერთხით, ოთხი ჩალმიანი მოტოციკლისტი და ორი ჩადრიანი ქალი, თვალებიღა უჩანდათ მხოლოდ. ისინი ოდნავ მოშორებით, მოკრძალებით მოჰყვებოდნენ მერის, ნიკოლს აღმოსავლურ მანერაზე უძღვნეს სალაში და ამ უესტის გამო გაოცებული ნიკოლი შეხტა.

თავად მერის, ისევე როგორც დაივერებს, ეს ცერემონია ცოტა არ იყოს კომიკური ეჩვენებოდა, თავის მართლებასავითაც კი ჩაიცინა; ოღონდ, როცა მეუღლე წარუდგინა მათ, მისი აზიური ტიტული ქედმაღლურად წარმოთქვა და კარგა ხმამაღლა.

თავიანთ ოთახებში, სადილისთვის რომ იცვლიდნენ სამოსს, დიკმა და ნიკოლმა ერთმანეთს გადახედეს და გაიღიმეს: მდიდრებს, რომლებიც თავიანთ თავს დემოკრატიებად მიიჩნევენ, უყვართ ხოლმე გათამაშება, თითქოსდა სხვების აშკარა ტრაბახს ვერ იტანენ.

„პატარა მერი ნორთმა იცის, რაც უნდა“, ჩაიდუღუნა დიკმა, სახეზე სა-



პარსი კრემი ესვა და იპარსავდა. „ეიბმა გაანათლა და ახლა ბუდასაც გაჰყვა ცოლად. ევროპა რომ ბოლშევიკურად იქცეს, ეგა სტალინის საცოლვეც გახდება მერე“.

ნიკოლმა ნესესერიდან ასწია თავი. „დიკ, ენას კბილი დაჰქრევ, გაიგე?“ მაგრამ თავი ვერ შეიკავა და გაიცინა. „როგორც გინდა თქვი, დიდებულები კი არიან. მათი გამოჩენისას სამხედრო გემები ქვემეხებს ისვრიან თუ სალუტს აძლევენ და რალაც ასეთი. როცა მერი ლონდონში ჩადის, იქ მეფურად ხვდებიან ხოლმე“.

„კარგი, კარგი“, დაეთანხმა დიკი. ნიკოლი ვიღაცას უხსნიდა კარებთან, რომ ქინძისთავეები სჭირდებოდა, დიკმა გაიგონა და დაუძახა: „იქნებ ცოტა ვისკიც უთხრა, რომ მოიტანონ? მთის ჰაერისაგან ძალა მომეცა“.

„უკვე ვუთხარი“, ახლა სააბაზანოდან მოესმა ნიკოლის ხმა. „ვაგზალში რომ დაგვხვდნენ, იმ ქალებიდან ერთ-ერთი იყო, ოლონდ, უჩადროდ“.

„თავის ცხოვრებაზე რა გიაშობო მერიმ?“

„თითქმის არაფერი — უფრო მაღალი წრის ახალი ამბები აინტერესებს — ჩემი გენეალოგიაც გამოიკითხა და ბევრი ასეთი რამეები — გეგონება, რამე ვიცოდე. მის მეუღლეს, როგორც გავიგე, ორი შავგვრემანი შვილიცა ჰყავს აშის წინა ქორწინებიდან. ერთ მათგანს რალაც აზიური სნეულება სჭირს, ჯერ ვერ დაადგინეს — რა ბავშვები უნდა გავაფრთხილო, რომ მოერიდონ. რალაც ძალიან უხერხული კი გამოდის, მერი იგრძნობს, რომ ამაზე ვღელავთ“. შემოფოთებული გაჩერდა წუთით.

„არაფერია, მერი გაიგებს“, დაამშვიდა დიკმა. „თანაც, ბავშვი ალბათ მწოლიარეა“.

სადილზე დიკი ჰოსეინს ესაუბრებოდა, ინგლისურ სკოლაში სწავლობდა თურმე. ჰოსეინი ბირეაზე და პოლივულზე ეკითხებოდა დიკს და ესეც, შამპანურით შეხურებული, რალა რა უაზრო ამბავს არ უყვებოდა.

„ბილიონები?“ კიდევ ერთხელ ეკითხებოდა ჰოსეინი.

„ტრილიონები“, არწმუნებდა დიკი.

„მე ეს ვერც კი წარმომედგინა...“

„ან შეიძლება მილიონები“, დათმობაზე წავიდა დიკი. „ოტელში ყველა სტუმარი შედის ჰარამხანაში — ან რაც თითქმის ჰარამხანაა“.

„თუნდაც რეჟისორი ან აქტიორი არ იყოს?“

„სულ ერთია, თუნდაც ჩვეულებრივი კომივოიაჟერი იყოს. მე თვითონაც მაშინვე ერთი ათი კანდიდატი გამომიგზავნეს, მაგრამ ნიკოლმა ხელი შემისწავლა“.

თავიანთ ოთახში მარტო რომ დარჩნენ, ნიკოლი საყვედურებით მიადგა.

„ამდენი ვისკის დალევა რა იყო? რად უნდა გეზმარა მასთან „შავი მაშხალა?“

„მაპატიე, უნებურად წამომცდა, მინდოდა, რომ „შაშხანა“ მეთქვა“.

„დიკ, პირდაპირ ველარა ვცნობ“.

„კიდევ მაპატიე. ჩემს თავს თვითონაც ველარა ვცნობ ბოლო ხანებში“.

იმ ღამით დიკმა სააბაზანოს ფანჯარა გამოაღო, ფანჯარა თავისფერი ციხესიმაგრის მილივით ვიწრო ეზოში გადიოდა და იქიდან რალაც უცხო და ნალვლიანი, ფლეიტის ხმასავით სევდიანი ჰანგი მოესმა. რომელიღაც აღმოსავლურ ენასა თუ დიალექტზე გალობდა ორი კაცი. ბევრი „კ“ და „ლ“ იყო



ამ დიალექტში. დიკმა ფანჯრიდან გადაიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა; რელიგიური იყო გალობა, ამის მიხედვით არა ჭირდა და, გრძნობებისაგან დაკლილს და დაღლილს, მოუხდა, რომ ახლა მისთვისაც ელოცათ იმათ, მაგრამ რისთვის? ეს არ იცოდა, მხოლოდ იმისთვის, რომ უთმენელ სევდას საბოლოოდ დაეცა ხელი, ამისთვის?

დილაადრიან სანადიროდ გამეჩხრებულ ტყიან ფერდობზე გავიდა ყველა. გამხდარ, ძვალტყავა ფრინველებს ესროდნენ, კაკბებსა ჰგვანდნენ. თითქოს ინგლისურ მანერაზე ნადირობდნენ, ერთი ათი უხეირო ბაზიერით, და იმის შიშით, რომ მათთვის არ მოეხვედრებინა, დიკი მხოლოდ ჰაერში, თავზემოთ ისროდა.

დაბრუნებისას, თავიანთ ოთახში ლანიე დახვდათ — ელოდებოდა.

„მამა, შენ მითხარი, რომ თუ სადმე ავადმყოფ ბიჭთან ახლო ვიქნებოდით, მაშინვე მეთქვა“.

ნიკოლმა იმწამს შიშით შეჰკივლა.

„...ჰოდა, დედა“, დედას მიუბრუნდა და განაგრძო ლანიემ, „ეს ბიჭი ყოველ საღამოს ბანაობს აბაზანაში და დღეს ჩემ წინ იბანავა, მერე მე უნდა ჩავსულიყავი იმის წყალში და წყალი ჰუჭყიანი იყო“.

„რა, რა თქვი?“

„მე ვნახე, რომ იმ აბაზანიდან ამოიყვანეს ტონი, მერე მე მითხრეს, რომ ჩავსულიყავი, და წყალი ჰუჭყიანი იყო“.

„მაგრამ — ჩახვედი?“

„ჰო, დედა“.

„ღმერთო!“ წამოიძახა ნიკოლმა და დიკს შეხედა.

დიკი ლანიეს ჩაეკითხა: „ლახუსიენმა თვითონ რატომ არ მოგიმზადა აბაზანა?“

„ლახუსიენს არ შეუძლია — რალაცნაირი უცნაური სანთებელია, გუშინ ალი გამოვარდა და მკლავი დაეწვა, და ახლა ეშინია, და იმ ქალებიდან ერთ-ერთი...“

„ამ სააბაზანოში შედი ახლა და კიდევ დაიბანე“.

„ოღონდ თქვენ არ უთხრათ, რომ მე ვითხარით“, კარიდან გამოიხედა და სთხოვა ლანიემ.

დიკი უკან მიჰყვა და აბაზანას კარბოლმეყავა მოასხა. კარი რომ მიხურა, ნიკოლს უთხრა:

„ან მერის უნდა მოველაპარაკოთ, ან იქნებ უკეთესი იყოს სულაც წავიდეთ აქედან“.

ნიკოლი დაეთანხმა და დიკმა განაგრძო:

„თავიანთი ბავშვები სხვებისაზე სუფთები ჰგონია ყველას და ავად თუ გახდნენ, როგორ იქნება იმათგან რამე გადაედოთ“.

შემოვიდა, ღვინო დაისხა, ბისკვიტს მიაღვა და აბაზანაში მოთქრიალე წყლის რიტმის აყოლებით, გამწარებით და გააფთრებით მოჰყვა ხრამახრუმს.

„მანამდე კი უთხარი ლახუსიენს, ისწავლოს იმ სანთებლის ანთება“, ურჩია მან. სწორედ ამ დროს ოთახში იმ აზიელმა ქალმა შემოიხედა, ვისზეც ლანიე ლაპარაკობდა.

„გრაფინია...“

დიკმა თავის დაქნევით სთხოვა ოთახში შემოსულიყო და კარი მიხურა.



„როგორ არის პატარა ბიჭი, ახლა კარგად?“

„ღიახ, უკეთ არის, ოღონდ ბუგრი ჯერ ისევა აქვს“.

„არ არის კარგი — ვწუხვარ. ოღონდ, იცით — როცა ის ბავშვი იბანავებს, არ შეიძლება მერე ჩვენი ბავშვების ბანაობა იმავე წყალში? არ შეიძლება ამის დაშვება. უეჭველია თქვენი ქალბატონი აღშფოთდება, საბოლოო არ იცის, რომ ეს გააკეთეთ“.

„მე?“ თავზარდაცემულმა შეხედა დიკს. „მე უბრალოდ დავინახე, რომ თქვენი მოახლე ვერ ანთებდა სანთებელს და — ვაჩვენე, როგორ უნდა აენთო იგი“.

„მაგრამ ის ბიჭი რომ ამოიყვანეთ, ჯერ წყალი უნდა გაგეშვათ და ის აბაზანა ძალიან კარგად გაგერეცხათ“.

„მე?“

გეგონება, სული შეეხუთაო, ძლივს ამოისუნთქა, ქვითინი წასკდა და ოთახიდან გავარდა.

„რა მაინცდამაინც ახლა უნდა, რომ ეზიაროს დასავლურ ცივილიზაციას“, ბრაზმორევით თქვა დიკმა.

იმ დღესვე, სადილზე დიკმა უკვე გადაწყვიტა, რომ ვიზიტი ჩაიშალა და რაც უფრო ჩქარა წავიდოდნენ, მით უკეთესი; ჰოსეინი თავის ქვეყანაზეც კი ვერაფერს ამბობს, ერთი იმას გაიძახის, რომ იქ ბევრი მთები და თხები და იმ თხებს მწყემსები მწყემსავენ მთებში. გულჩახვეული ჯეელი იყო — ძნელად იცოდა ლაპარაკი და კაცს ძალა უნდა დაეხარჯა საამისოდ. დიკს კი შინაურებისთვის უფრო უნდოდა ახლა ეს ძალა. სადილის მერე ჰოსეინმა მალე დატოვა მერი და დაივერები, მაგრამ ის სიახლოვე სადღა იყო — ამათ შუა სოციალური ველი იყო და მერი ხდებოდა ველის მპყრობელი. დიკმა შეება იგრძნო, როცა ასე, ათისთვის, მერის ბარათი მოუტანეს. მერიმ იმ ბარათს გადახედა და წამოდგა.

„თუ შეიძლება, მაპატიეთ. ჩემი ქმარი მიემგზავრება, რალაცა სასწრაფოა და მე მასთან უნდა ვიყო ახლა“.

დილით, ჯერ არც კი ამდგარიყვნენ, ის იყო, ყავა შემოუტანეს და ოთახში მერიც შემოვიდა. ესენი იწვნენ და მერის კი, ეტყობოდა, კარგა ხანია ამდგარიყო. სახეზე დაოკებული რისხვა აჩნდა.

„ეს რა ამბავი და რა ლაპარაკია, თითქოს ლანიე ჭუჭყიან წყალში აბანავეს?“

დიკმა დაიწყო, მაგრამ შეაწყვეტინა:

„როგორ მოხდა, რომ თქვენ ჩემს ერთ-ერთ მულს ლანიესთვის აბაზანის გარეცხვა უბრძანეთ?“

ისევ იდგა, მოუთმენლად შესცქეროდა და ესენი კი, მუხლებზე ლანგრები ედოთ და კერპებივით გაშტერებული უყურებდნენ. ორთავემ ერთად წამოიძახა:

„მულს!“

„როგორ უბრძანეთ ჩემი ქმრის დას, რომ აბაზანა გაერეცხა?!“

„რას ამბობთ!“ ისევ ერთხმად და ერთი და იგივე ფრაზა წამოიძახეს, — „მე მოახლეს ველაპარაკე“.

„თქვენ ველაპარაკებოდით ჰოსეინის დას“.

დიკს მხოლოდ ამის თქმალა შეეძლო:



„მე ვიფიქრე, ეს ქალები მოახლეები არიან-მეთქი“.

„მე აგიხსენით, ვინც არიან — ჰიმაღუნ“.

„რა?“ დიკმა ხალათი მოისხა და როგორღაც ადგა საწოლიდან.

„მე გუშინწინვე აგიხსენით, როიალთან რომ ვისხედით. სადილზე არც ისე ბევრი დალიეთ, რომ ვერ გაგეგოთ“.

„რა თქვით მაშინ? თავიდან ვერ მოგისმინეთ, მერი, თანაც მე, როგორღაც ვერ... სხვებზე გვეგონა. რახან ასეა, მხოლოდ ის უნდა გავაკეთოთ, რომ მივიღეთ და ბოდიში მოვუხადოთ“.

„ბოდიში მოუხადოთ! მე თქვენ აგიხსენით, რომ როცა ოჯახის უფროსი წევრი, როცა გვარის უფროსი გამგრძელებელი ცოლს შეირთავს, მაშინ ორი უფროსი და აღთქმას დებს, რომ მისი ცოლის მხლებელი გახდეს, სეფექალი, ამას ჰქვია — ჰიმაღუნი“.

„იმიტომ ხომ არ წავიდა უცებ ჰოსეინი?“

მერი შეყოყმანდა, მერე თავი დაიქნია.

„სხვაგვარად არ შეეძლო — დებიც იმასთან ერთად გაემგზავრნენ. აქ ოჯახის ღირსებაზეა ლაპარაკი“.

ნიკოლიც ადგა და ახლა ორივე დაივერი უკვე იცვამდა. მერიმ განაგრძო:

„ის რაღაა, აბაზანაში წყლის ამბავი — თითქოს შეიძლება, რომ ასეთი რამე მოხდეს ამ სახლში! ახლავე დავუძახებთ ლანიეს და ვკითხავთ“.

დიკი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და ისე, რომ მერის არ შეემჩნია, ნიკოლს ანიშნა. ამასობაში მერიმ კარი გამოაღო და ვიღაცას იტალიურად უბრძანა რაღაც.

„მოიცათ, მერი“, თქვა ნიკოლმა. „არ მინდა აქ ბავშვის ჩარევა“.

„თქვენ ბრალი დაგვდეთ“, მიუგო მერიმ, ამ ტონით ადრე მას არასოდეს მიუმართავს ნიკოლისათვის. „ახლა მე უფლება მაქვს, რომ შევამოწმო“.

„მე არ მინდა, რომ ბავშვი ჩარიოთ ამ საქმეში“. ნიკოლმა ჯაჭვის პერანგივით შემოიჭირა სამოსელი.

„კარგი, ნიკოლ“, უთხრა დიკმა. „მოვიდეს ლანიე და გავარკვევთ ბოლოს, რა არის ფაქტი და რა შეთხზული“.

ლანიე შემოიყვანეს, ჯერ ისევ ეძინებოდა და უფროსების ბრაზიან სახეებს აბნეული და გაშტერებული აცქერდებოდა.

„ლანიე, ლანიე“, მიმართა მერიმ, „როგორ მოხდა, როგორ იფიქრე, რომ იმ წყალში ჩაგსვეს, რომელშიც უკვე იბანავს?“

„თქვი“, უთხრა დიკმა.

„ჭუჭყიანი იყო და მეტი არაფერი“.

„მაგრამ შენი ოთახიდან ხომ გესმოდა, როგორ მოჩხრიალებდა წყალი?“

ლანიეს შეეძლო დაეშვა, რომ იქნება ასეც იყო, მაგრამ აზრი მაინც არ შეუცვლია — წყალი ჭუჭყიანი იყო. ცოტა შეშინებული ჩანდა და მეტის თქმაც სცადა:

„არ შეიძლება ახალი წყალი ყოფილიყო, იმიტომ, რომ...“

სიტყვაზე დაიჭირეს.

„რატომ?“

ოთახის შუაგულში თავისი პატარა კომონთი საწყლად იდგა და მშობლებს შეებრაღათ. მერი ელოდა, მოუთმენლად — და ლანიემ თქვა:

„წყალი ჭუჭყიანი იყო, იმიტომ, რომ შიგ საპნის ქაფი იყო“.



„როცა არ გჯერა, რასაც ამბობ...“ დაიწყო მერიმ, მაგრამ ნიკოლმა შეაჩერა: „თავი დავანებოთ, მერი, რაკი წყალში ქაფი იყო, ბუნებრივია ეტყევა, რომ იმ წყალში უკვე სხვამ იბანა. მამამისმა კი გააფრთხილა ეტყვა, რომ თუკი...“

„არავითარი საპნის ქაფი არ შეიძლება შიგ ყოფილიყო“.

ლანიემ საყვედურით შეხედა მამას, რად გამეციო. ნიკოლმა მზარზე მოპკიდა ხელი და ოთახიდან გაუშვა ბავშვი. დიკმა გაიცინა და დამაბულბობაც მაშინვე გაქრა. მერის ადრინდელი წლები და დაივერებთან მეგობრობა გაახსენდა, მიხვდა, რა შორეული გამხდარიყვნენ ერთმანეთისთვის და, დაოკებულმა, მშვიდი ტონით თქვა: „ბავშვების გამო ყოველთვის ასე ხდება ხოლმე“.

წარსული ისევ ახსენებდა თავს და უხერხულობაც იზრდებოდა.

„ოღონდ სისულელე იქნება, თუ ამის გამო აქედან წახვალთ — ჰოსეინი ისედაც უნდა წასულიყო, საქმე ჰქონდა, ბოლოს და ბოლოს თქვენ ჩემი სტუმრები ხართ, და რა მოხდა, შეცდით, ვინ არ შემცდარა“.

მაგრამ დიკი გააბრაზა ამ მიკიბ-მოკიბვამ, შეტადრე იმან, რომ სიტყვა „შეცდით“ იხმარა მერიმ, მიტრიალდა, რომ უკვე ბარგისთვის მიეხედა და თქვა:

„იმ ახალგაზრდა ქალების გამო ვწუხვარ, კარგად არ გამოვიდა, იმასთან კი, ამ ოთახში რომ შემოვიდა, მინდოდა ბოდიში მომეხადა“.

„ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ როიალთან როცა ვისხედით, არ მისმენდით!“

„ჰო, მაგრამ საშინლად მოსაწყენი გახდით, მერი. გისმენდით, რამდენიც შემეძლო“.

„გაჩუმდი, დიკ!“ წამოიძახა ნიკოლმა.

„თავის ქათინაურს თვითონ ვუბრუნებ“, მწარედ და წყენით უთხრა მერიმ. „ნახვამდის, ნიკოლ“. და გავიდა.

ამის მერე, ცხადია, გასაცილებლადაც არ მოვიდოდა; ყველაფერი, რაც დაივერების გამგზავრებისთვის იყო საჭირო, მაჟორდომს დაეკისრა. ჰოსეინს და იმის დებს დიკმა პატარა, ოფიციალური ბარათები დაუტოვა. არ წასულიყვნენ, არ იქნებოდა, მაგრამ ყველას რაღაცა აწვა მძიმედ და ლანიეს კი ყველაზე მეტად.

„მე მაინც იმას ვამბობ“, უკვე მატარებელში იყო, როცა ისევ დაიწყო, „რომ წყალი ჭუჭყიანი იყო“.

„გეყოფა, ლანიე“, უთხრა მამამ. „გირჩევ დაივიწყო მთელი ეგ ამბავი — თორემ გაგეყრები. რა, შენ არ იცი, რომ საფრანგეთში ახალი კანონი მიიღეს უკვე და მშობლებს კიდევაც შეუძლიათ თავიანთ შვილებს გაეყარონ?“

ლანიეს სიცილი წასკდა და დაივერების ოჯახიც ახლა ისევ შეიკრა — დიდხანს თუ გასტანსო ასე, გაიფიქრა დიკმა.



ნიკოლი ფანჯარასთან მივიდა, ტერასიდან რაღაცა ჩხუბი და ლანძღვა ისმოდა, გადაიხედა და ყური მიუგდო. ამათი მზარეულის, ოგიუსტინის ღვთისმოსავ პირისახეს სულ ერთიანად ავარდისფრებდა აპრილის მზე, მთვრალი იყო, ხელში დიდი დანა ეჭირა და დანის პირსაც ცისფრად გაუდიოდა ლაპლაპი მზეზე. იმ დანას აქეთ-იქით ატრიალებდა. სამი თვე იყო, რაც ოგიუსტინი



ამათთან მზარეულობდა, იმის მერე, თებერვლის თვეში ისევ თავიანთ ვილა „დაიანაში“ რომ დაბრუნდნენ დაივერები.

ფარდულისპირა ქარაბაქი ეფარებოდა და დიკს ვერ ხედავდა ნიკოლი; მხოლოდ იმისი თავი და ბრინჯაოს ბუნიკიანი ჯოხი ჩანდა, რომელიც ხელში ეჭირა დიკს. დანა და ხელჯოხი, რითაც ერთმანეთს ემუჭრებოდნენ, სამკაულს და იმ მოკლე მახვილსა ჰგავდა, რასაც არენაზე საბრძოლად გასული გლადიატორები ხმარობდნენ ხოლმე.

ჯერ დიკის სიტყვები მოესმა ნიკოლს:

„სამზარეულოს ღვინო რამდენიც გინდათ იმდენი სვით, მაგრამ შაბლი-მუტონის ბოთლით თუ დაგინახეთ...“

„თქვენ მე რა უნდა მითხრათ სმაზე!“ ყვიროდა ოგიუსტინი და თავის ხანჯალს იქნევდა. „თქვენ თვითონ სვამთ — მთელი დღე სვამთ!“

„რა მოხდა, დიკ?“ ზევიდან დაუძახა ნიკოლმა და დიკმა ინგლისურად ამოსძახა:

„ეს დედაკაცი სარდაფიდან სამარკო ღვინოებს ეზიდება. გავაგდე, ან თუ არადა — ვცდილობ გავაგდო“.

„ღმერთო! ფრთხილად იყავი, დიკ, ეგ დანა არ მოგახვედროს“.

ოგიუსტინმა თავი ასწია, ახლა ნიკოლისკენ იქნევდა დანას. ბებრული პირი ორ პატარა შეტყულებულ ალუბალს მიუგავდა.

„თქვენ ალბათ არც კი იცით, Madame, თქვენი ქმარი როგორა სვამს, ჩაქდება და სვამს, ლოთია, რაღა...“

„ახლავე ენა გააჩერეთ და წადით აქედან!“ დაუყვირა ნიკოლმა, „თუ არადა, ჟანდარმებს გამოვიძახებთ“.

„თქვენ გამოიძახებთ ჟანდარმებს? ჩემი ძმა თვითონ ჟანდარმი! თქვენ გამოიძახებთ — ამერიკული თავხედობა!“

„ბავშვები გაიყვანე სახლიდან და ამას მოვუვლი“, ისევ ინგლისურად ასძახა დიკმა.

„ეს თავხედი ამერიკელები დადიან აქ და დაიწყებენ მთელი ჩვენი საუკეთესო ღვინოების სმას. სულ ეგენი ათავებენ რა“, ბალაგანური ხმით გაჰკიოდა ოგიუსტინი.

დიკმა უფრო მტკიცე ტონით მიმართა.

„ახლავე აიღეთ თქვენი ბარგი-ბარხანა და წადით. რაც გერგებათ, გადაგიხდით“.

„დიახაც, გადამიხდით! და უნდა გითხრათ“, დიკთან უფრო ახლო მივიდა, ისე გააფთრებით იქნევდა დანას, რომ დიკმა თავისი ხელჯოხი შემართა. მაშინ ოგიუსტინი სამზარეულოში შევარდა და იქიდან ახლა ცულისთ აღჭურვილიც დაბრუნდა.

ვითარება სახარბიელოს არა ჰგავდა — ოგიუსტინი მაგარი ქალი ჩანდა და მისთვის ახლა ცულისა და დანის წართმევა რისკიც იყო, შეიძლება კიდევაც რამე დაშავებოდა, და მერე და მერე გართულებაც კი მოჰყვებოდა — კანონი იცავს და მკაცრადაც იცავს ფრანგ მოქალაქეთა შეუხებლობას. მაინც დიკმა, უფრო მეტად მზარეულის შესაშინებლად, ასძახა ნიკოლს:

„დარეკე პოლიციაში“. მერე ოგიუსტინს მიუტრიალდა და დანასა და ცულზე მიუთითა. „ესეცა კმარა იმისათვის, რომ ციხეში წაგიყვანონ“.

„ჰა, ჰა!“ დემონურად გადაიხარხარა ოგიუსტინმა, მაგრამ უფრო ახლო



აღარ მისულა. ნიკოლმა დარეკა პოლიციაში, მაგრამ იქიდანაც ოგიუსტინის სიცილის ექო მოესმა თითქოს, რალაც სიტყვები თუ ბუტბუტი გაიგონა, მერე რალაც ჩხაკუნი და — გაითიშნენ, ან სულაც შეიძლება დაკიდეს კიდევ.

ნიკოლი ფანჯარასთან დაბრუნდა და დიკს ჩასძახა:

„ზედმეტი გადაუხადე!“

„ტელეფონით მაგათთან მე უნდა მელაპარაკა!“ მაგრამ მისთვის მტკრილი ჰქონდა და დიკი კაპიტულაციაზე დათანხმდა. ორმოცდაათი ფრანკი ასამდე ავიდა — დიკი ამაზეც თანახმა იყო, ოღონდ ჩქარა მოეშორებინა და ოგიუსტინმაც ფარ-ხმალი დაყარა, თუმცა უკან დახევისას ლანძღვა-გინების კორიანტელი დააყენა და სულ „მოთრეულებს“ იძახდა. ისიც მოითხოვა, ჩემი ძმისწულის მოსვლამდე აქ უნდა დავრჩე, ბარგს ის წამალებინებსო. ასე თუ ისე, დიკი ფრთხილად იყო და სამზარეულოსთან ახლომახლო ტრიალებდა. გაიგონა ბოთლიდან საცობის ამოგდების ხმა, მაგრამ გადაწყვიტა, ამ ფაქტისთვის ახლა ყურადღება არ მიექცია. ალიაქოთი აღარ ატეხილა. ძმისწული რომ მოვიდა, დაწყნარებული ოგიუსტინი დიდი ამბით დაემშვიდობა დიკს და ლამის კიდევაც მოეფერა, წასვლისას ნიკოლის ფანჯარასაც ახედა და დაუძახა:

„Au revoir, Madame! Bonne chance!“<sup>1</sup>.

დაივერები ნიცაში წავიდნენ და იქ ისადილეს. მოატანინეს boillabaise — მოშუშული თევზისა და ზაფრანისაგან გაკეთებული შექამადი, საკაზმით კარგად შენელებული, ბაქმაზიანად — და ერთი ბოთლი ცივი შიბლი. ოგიუსტინი მეცოდებაო, შენიშნა დიკმა.

„მე სულაც არა“, თქვა ნიკოლმა.

„მე კი მეცოდება — თუმცა სიამოვნებით გადავაგდებდი ამ კლდიდან ზღვაში“.

ბოლო ხანს უკვე ცოტა რამეზელა ლაპარაკობდნენ ერთმანეთთან; ამა თუ იმ მომენტისთვის საჭირო სიტყვას ეძებდნენ ხოლმე და ის სიტყვა ხშირად იმის მერეღა მოდიოდა, როცა ველარ გაიგონებდნენ და აზრი არ ჰქონდა. თავის ფიქრებში ჩაძირული, თავიანთთვის ცხოვრობდნენ, ცალკე, გარიყულები. ოგიუსტინთან იმლამინდელი ჩხუბისაგან ახლა თითქოს ისევ შეერთდნენ და ცხარე საჭმლისა და ღვინისაგან შეხურებულნი — ალაპარაკდნენ.

„არ შეიძლება ასე გაგრძელდეს“, თქვა ნიკოლმა. „როგორ გგონია, შენ რას იტყვი?“ შეძრწუნებულმა იმით, რომ დიკს არც უცდია უარეყო ეს მოსაზრება, დაუმატა, „ზოგჯერ გგონია, რომ ჩემი ბრალია ყველაფერი — მე დაგლუპე“.

„მაშ, დაღუპული ვარ, არა?“ გაიცინა და ჰკითხა დიკმა.

„მე ეს არ მითქვამს. მაგრამ უწინ გინდოდა რალაცის შექმნა, ახლა კი თითქოს დანგრევა გინდა ყველაფრისა“.

ცოტა კიდევაც ეშინოდა, რომ დიკს ახლა ასე განიკითხავდა და დიკის ღუმილიც უძლიერებდა თავის ამ შიშს. გუმანით გრძნობდა, რალაც ხდებოდა ღუმილს იქით, დიკის ცისფერი, გამკაცრებული თვალების მიღმა და იმის იქითაც, რომ ბავშვებისადმი ასეთ ინტერესს იჩენდა ახლა. ისიც ძალიან აკვირვებდა, რომ დიკი უცებ აენთებოდა ხოლმე, როცა ვინმეზე ან რამეზე, სულ ერთია, პიროვნებაზე, ერზე, კლასზე, ცხოვრებაზე თუ აზროვნებაზე ლაპარაკობდა, თითქმის ზიზლით, და კარგა ხანს აღარ ჩერდებოდა. თითქოს მასში

<sup>1</sup> „ნახვამდის, ქალბატონო! კარგად იყავით!“ (ფრანგ.).







ზიციაზე იდგნენ, ნიკოლს მიაჩნდა, რომ რაღაც უბრალო გართობისათვის კომპრომისი არ სჭირდებოდათ.

მთავარ სალონზე გავლისას მოეჩვენათ, რომ კიჩოზე, ცოტაოდნად განათებულ წრეში ცეკვავენ. მაგრამ ეს მხოლოდ მირაჟი იყო. ცეკვის ხიბლი, უცნაური განათების ილუზია და წყალი გარშემოცხდნენ. სტუმრები გემბანს შემოვლებულ განიერ დივანზე ისხდნენ და ისვენებდნენ. რამდენიმე სტიუარდი თუ დადიოდა საქმიანად აქეთ და იქით. წითელი, თეთრი, ჭრელი სამოსი ბუნდოვნად ჩანდა, კაცები თეთრი, ქათქათა პერნგებით იყვნენ გემბანზე. ერთი მათგანი მათ შესახვედრად წამოდგა, ნიკოლმა იცნო და გახარებულმა შეპყვირა:

„ტომი!“

ტომი ცერემონიულად დაიხარა ნიკოლის ხელის საამბოროდ, მაგრამ ნიკოლმა გალიციზმს აუარა და ლოყა მიაღო ტომის ლოყას. ერთად დასხდნენ, ან უფრო სწორად, ანტონიოსურ დივანზე მიწვნენ. ტომის ლამაზი სახე ისე ძალიან გაშაფებოდა, რომ მოოქროსფრო-მიხაკისფერი გადასვლოდა, მაგრამ მაინც ის მოლურჯო ელვარე ფერი, რაც ასე ძალიან უხდებოდა ზანგებს, კანს ვერ მიეღო — გათრიმლული ტყავით ჰქონდა. უცხო მხარეთა უცხო მზეებით ნამზეურობა, უცხო მიწის სურნელი და ეგზოტიკური დიალექტების გამოძახილი, უცნაური მღელვარება და დაძაბულობა საუბრისას — რაღაც უცნობი შიშის კვალი — ეს ყველაფერი აჯადოებდა და აბრუებდა ნიკოლს — შეხვედრისას ფიქრში თითქოს მიეყრდნო მის მკერდს და გაყუჩდა. მერე თავდაცვის ინსტინქტით ისევ თავის სამყაროს დაუბრუნდა და უღარდელი, ნებიერი ხმით უთხრა:

„სათავგადასავლო ფილმის გმირს ჰგავხართ ზუსტად — მაგრამ ამდენ ხანს რად დაიკარგეთ?“

ტომი ბარბანმა უნდობლად, ფრთხილად შეხედა, ელვა გაკრთა თვალის გუგებში.

„ხუთი წელი“, რაღაცა გაბზარული ხმით და თითქოს არაფრის იმიტაციით განაგრძო ნიკოლმა, „მთელი საუკუნეა, არ შეგეძლოთ, რომ სადღაც ელექტამუსკრის მერე, რაკი ეს ასე საჭიროა, დაბრუნებულიყავით ცოტა ხნით მაინც, რომ სული მოგეთქვათ?“

ძვირფასი და სათუთი არსების სიახლოვეს გაევიწყლებოდა ტომისთვის ისევ იოლი იყო.

«Mois pour nous héros», თქვა მან, «il nous faut du temps, Nicole. Nous ne pouvons pas faire de petits exercices d'héroïsme — il faut faire les grandes compositions»<sup>1</sup>.

„ინგლისურად მელაპარაკეთ, ტომი“.

«Parles français avec moi, Nicole»<sup>2</sup>.

„მაგრამ აქ რაღაც სხვაობა არის — ჰეროიზმსა და მამაცობაზე ღირსებით გამოდის ფრანგულად ბჭობა, თქვენ იცით ეს. ინგლისურად კი, ჰეროიზმსა და მამაცობაზე ლაპარაკისას, ცოტათი სასაცილო ხდები და თქვენ ესეც იცით. ამიტომ მე მირჩევნია ინგლისურად მელაპარაკოთ“.

<sup>1</sup> „მაგრამ ჰვენ, გმირებს დრო გვჭირდება, ნიკოლ. მცირე ვარჯიშით იოლად გასვლა არ შეიძლება ჰეროიზმში — აქ დიდი მასშტაბებია საჭირო“ (ფრანგ.).

<sup>2</sup> „ფრანგულად მელაპარაკეთ, ნიკოლ“ (ფრანგ.).



„კაცმა რომ თქვას“, უცებ ჩაიციხა ტომიმ. „მე ინგლისურადაც გმირი ვარ და ბევრი ასეთი“.

ნიკოლმა, ვითომ, მეტი აღარ შეგვიძლიაო, გაიციხა, მაგრამ ტომი არ შეცბუნებულა.

„უბრალოდ, მე ვიცი ის, რასაც ფილმებში აჩვენებენ“, თქვა ტომიმ.

„ცხოვრებაში ისეა, როგორც კინოფილმებში?“

„კინოც კარგია — თუნდაც რონალდ კოლმანი — გინახავთ მისი ფილმები ჩრდილო-აფრიკულ კორპუსზე? — ცუდი არ არის“.

„ძალიან კარგი, ამის მერე, როცა კინოში ვიქნები, მეცოდინება, რომ იმ დროს თქვენ თავზეც ის ამბავია, რაც იქა ხდება“.

საუბრისას ნიკოლმა მომცრო ტანის, ფერმკრთალი, სანდომიანი ახალგაზრდა ქალი შეამჩნია, მშვენიერი ბრინჯაოსფერი თმით, — გემბანის განათებისაგან მწვანე ფერი დაჰკრავდა. ტომის იქით იჯდა და შეიძლება ყურს უგდებდა ამათ და იმათაც, ვინც ახლო, ოღონდ სხვა მხარეს ისხდნენ, თითქოს რაღაც უფლება ჰქონდა ტომიზე და რაკი მიხვდა, ტომის ყურადღება ახლა უკვე სხვას ეთმობაო, თავდაუოკებლად წამოდგა და გულაგდებით გადაიარა მთელი გემბანი.

„ჰო, კაცმა რომ თქვას, მე გმირი ვარ“, მშვიდად თქვა ტომიმ, ცოტა ხუმრობდა, მაგრამ მთლად ხუმრობითაც არ ამბობდა. „შიში რა არის, მე არ ვიცი, როცა ვიბრძვი, ლომივითა ვარ, ან მთვრალივით, გადარეული და აწყვეტილი“.

ნიკოლმა დააცადა, ვიდრე ამ ტრაბახის ექო ბოლომდე ჩაუცხრებოდა — ხვდებოდა, რომ ასე ტომის სხვასთან ალბათ არც ელაპარაკა თავის თავზე, მერე მიიხედ-მოიხედა. უცნობი სახეები შეათვალიერა — ისევ ის რეტდასრმული ნევრასტენიკები, ვითომ მშვიდები, საშინელებას რომ ჰგვრით ქალაქი და თავიანთი ხმა, რაღა ხმა, რაღა კამერტონი, თუ არ გავიდნენ და ბუნებას თუ არ შეერივნენ... ნიკოლმა ჰკითხა:

„ის ქალი ვინ არის, თეთრებში?“

„აქ რომ იჯდა? ლედი კეროლაინ სიბლი-ბირს“. გაჩუმდნენ და იმის ხმას მიუგდეს ცოტა ხნით ყური.

„...არამზადაა ეს კაცი, ოღონდ მაინც მაღალი რანგის. მთელი ღამე ცხრას ვთამაშობდით, შმენდეფერს, და ათასი შვეიცარიული ფრანკი ვალი დამადო“.

ტომიმ გაიციხა და თქვა: „ლედი კეროლაინი ყველაზე უზნეო ქალია ლონდონში — ევროპაში დაბრუნებისას მაშინვე იმას ვიგებ ხოლმე, რომ ლონდონელი უზნეო ქალების ახალი ბუდობა გაჩენილა. ეგ ყველაზე წინა დგას ახლა, მაგრამ, მგონია, მეტოქე გამოუჩნდა“.

გემბანის აქეთა მხრიდან ნიკოლმა ისევ გახედა იმ ქალს, გამხდარი, უღონო, ვიწრომხრებიანი, ფილტვებით ავადმყოფს ჰგავდა — დაუჯერებელი იყო, რომ ამ ვიწრო მხრებს და უსუსურ ხელებს შეეძლო მაღლა სჭეროდა დეკადანსის ემბლემა, მქრალი იმპერიის უკანასკნელი ბაირალი. შესახედად უფრო ჯონ პელდის ილუსტრაციების ქალებსა ჰგავდა, ახალი მოდის ვაჟურ ქალწულებს და არა იმ მაღალ, მიბნედილ ქერებს, ომისწინა წლებიდანვე, მხატვრებისა და მწერლების მოდელებად რომ იქცნენ მერე.

გოლდინგი მოვიდა, ძალიან ცდილობდა ცოტათი მაინც დაეთრგუნა ის თავისი ბუმბერაზობა, — რითაც იმის ნება-სურვილი გარგანტუასებური ძალისმიერით გადადიოდა, და ნიკოლმა, თუმცა უხალისოდ, მაგრამ მაინც დაუთმო:



სადილის მერე „მარჯინი“ მაშინვე კანისკენ წავა, რომ, მართალია, უკვე ისა-  
დილეს, მაგრამ ხიზილალა და შამპანური მაინც ყოველთვის შეიძლება; რომ  
დიკმა, სულ ერთია, უკვე დარეკა და შოფერს უთხრა, რომ ნიცაში არ გა-  
ჩერდეს, კანაში წავიდეს და მანქანა „Cafe des Allies“<sup>1</sup> დაიწყო, იქ მას  
იოლად მოძებნიან დაივერები.

სალონში, სადილზე დიკი ლედი სიბლი-ბირსის გვერდით იჯდა. ნიკოლმა  
შეამჩნია, ნამზეური სახე ახლა გაფითრებოდა. დიკი კატეგორიული ტონით ლა-  
პარაკობდა, ნიკოლამდე მხოლოდ ცალკეული ფრაზები აღწევდა:

„...მაგრამ, უნდა იცოდეთ, რომ თქვენთვის, ინგლისელებისთვის ეს სიკ-  
ვდილის როკვაა... დანგრეულ ციხესიმაგრეში ჯარი — სიპაი, მხიარულება ცი-  
ხესიმაგრეში და ალაყაფის კარებთან ისევ სიპაი დგას და ასეა ახლა. მწვანე  
შლაპის დრო წავიდა, გაქრა“.

ლედი კეროლაინი ზმა-ფრაზებით აძლევდა პასუხს, „რა?“ „ზუსტად!“  
„ოჰო, რას ბრძანებთ!“ მაგრამ დიკი ვერ ამჩნევდა, რომ აფრთხილებდნენ, ან  
არ უნდოდა, რომ შეემჩნია, ბოლოს უცებ გაცხარებით წამოიძახა რაღაც, ნი-  
კოლმა ვერ გაიგო რა, მაგრამ დაინახა, რომ ის ახალგაზრდა ქალი წამოჭარ-  
ხლდა, დაიძაგრა და მერე მკვახედ თქვა:

„ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო“.

კიდევ აწყენინა ვილაცას — არ შეეძლო ენისთვის ცოტა კბილი დაეჭირა?  
როდემდე გაგრძელდება ასე? თუ სიკვდილამდე ასე იქნება?

ახალგაზრდა, ქერა შოტლანდიელმა ორკესტრანტმა (ორკესტრს „ედინბე-  
რეს კოლეჯის რეგტაიმ-ჯაზი“ ერქვა, ასე ეწერა დაფდაფზე), დენი დივერის  
რეფრენივით დაიწყო, აკომპანიატორი თვითონვე იყო, როიალის ხმა ჩუმად  
ისმოდა და სიტყვებს ისეთი ძალით ამბობდა, გეგონება, ველარ უძლებდა იმ  
სიტყვების აზრს.

რა ჯოჯობეთში იყო ის ქალი,  
ზარის რეკვაზე შეკრთებოდა და წვავდა ალი,  
რადგან ცოდვილი იყო დიდი, დიდი ცოდვილი,  
ზარის რეკვაზე შეკრთებოდა და წვავდა ალი,  
და წვავდა ალი (ბუმბუმ)  
და წვავდა ალი (ტუმტუმ)  
რა ჯოჯობეთში იყო ის ქალი...

„ეს კიდევ რაღა არის?“ ტომიმ ჩურჩულით ჰკითხა ნიკოლს.

მხარშეჭცევით ერთი ქალიშვილი იჯდა და იმან უპასუხა:

„სიტყვები კეროლაინ სიბლი-ბირსმა დაწერა, მუსიკა — თვითონ“.

„Quelle enfermeriel!“<sup>1</sup> ჩაიბურტყუნა ტომიმ იმ დროს, როცა მომღერალი  
უკვე მეორე სტროფზე გადავიდა, რომელშიც შემკრთალი ახალგაზრდა ქალის  
შემდგომი განცდები იყო გადმოცემული. „On dirait qu'il récite Racine!“<sup>2</sup>

ერთი შეხედვით ისე ჩანდა, თითქოს ლედი კეროლაინი არც კი უსმენდა  
თავის ქმნილებას. ნიკოლმა ისევ შეხედა და გაოცდა — ეს ქალი ჰკუითა და  
ხასიათით კი არ ახდენდა შთაბეჭდილებას — მხოლოდ პოზით; მაგრამ, რაღაცით  
საშინელიც არისო, გაიფიქრა და მალევე ნახა, რომ არა ცდებოდა. სუფრიდან

<sup>1</sup> „რა ბავშვობაა! (ფრანგ.).“

<sup>2</sup> „შეიძლება იფიქრო, რომ რასინს კითხულობს!“ (ფრანგ.).“



რომ წამოიშალნენ, დიკი არ ამდგარა, იჯდა და რაღაც უცნაურად იყურებოდა, და უცებ უადგილო გააფთრებით წამოისროლა:

„ვერ ვიტან ამ ინგლისურ გამაყრუებელ და გადაკრულ ჩურჩულს“.

ლუდი კეროლაინი უკვე კარებთან იყო, ამ სიტყვებზე მოტრიალდა და დაინახა ახლო მივიდა დიკთან და ხმადაბლა უთხრა, მაგრამ განგებ მკაფიოდ ვერ მოესმინა იქ მყოფთ გაეგონათ:

„თქვენ თავს დააბრალებთ — ჩემი ქვეყნის ხალხი აიგდეთ და დაამცირეთ, ჩემი მეგობარი მერი მინგეტიც. მე უბრალოდ ისა ვთქვი, რომ ლონდონში თქვენ საეჭვო ხალხთანა გნახეს. გამაყრუებელი ჩურჩულია? იქნებ მხოლოდ თქვენ გაგაყრუათ?“

„საამისოდ ხმადაბლა იყო“, თქვა დიკმა, მაგრამ ცოტა გვიან თქვა. „ასე რომ, თქვენი აზრით მე პირწავარდნილი...“

გოლდინგმა თავისი ხმით ჩაახშო ფრაზის ბოლო, „გემბანზე! გემბანზე!“ და ძლიერი და ვეება ტანით უბიძგა თითქოს კარისკენ ყველას. ნიკოლი უკვე კარებთან იყო, მოტრიალდა და დაინახა, რომ დიკი ისევ თავის ადგილზე იჯდა იმ მაგიდასთან. ბრაზდებოდა ლედი სიბლი-ბირსის ჩმახვაზეც და დიკზეც, რომ აქ წამოსვლა მოინდომა და უზომოდა სვა, იმაზე, რომ თავისი ეკლიანი ირონია ველარ დამალა, რომ დაამცირეს და ღირსება ვერ შეინარჩუნა პაექრობაში. ცოტა თავის თავზეც ბრაზობდა, რადგან ის ინგლისელი ქალი ამის გამო გაღიზიანდა იმთავითვე, იმიტომ, რომ მოსვლისთანავე დაეუფლა ტომი ბარბანს.

ცოტა ხნის მერე თვალი მოჰკრა დიკს, ტრაპთან იდგა და გოლდინგს აშკარად მშვიდი იერით ელაპარაკებოდა, მერე კარგა ხანს აღარ დაუნახავს გემბანზე და ოცდაათი წუთის მერე კი კანაფზე ასხმული ყავის მარცვლებით ერთ თავსატეხ მალაიურ თამაშს რომ თამაშობდნენ, ადგა და ტომის გადაულაპარაკა:

„წავალ, დიკს მოვძებნი“.

ჯერ კიდევ სადილზე ისხდნენ, როცა „მარჯინმა“ ლუზა აუშვა და ახლა მთელი სვლით მიდიოდა დასავლეთისკენ. დიზელების ხმა ისმოდა რბილად და ღამეს ეღვიძა, მშვენიერ ღამეს, გაზაფხულის თბილი ქარი მიეახლა და თმას შემოევლო. უცნობელმა ღელვამ გათანგა დიკის დანახვზე, ფლაგშტოკთან იდგა. ნიკოლი შეიცნო და წყნარი ხმითა თქვა:

„მშვენიერი ღამეა“.

„სადა ხარ, შევუფოთლი“.

„შეუფოთლი? ვითომ?“

„ასე რად ამბობ, დიკ. რომ იცოდე რა სიამოვნებით გავაკეთებდი შენთვის რამეს, თუნდაც სულ მცირეს, ოღონდ შემეძლოს და ოღონდაც რამე მოვიფიქრო“.

დიკი მიტრიალდა, ვარსკვლავების ფარდის მიღმა აფრიკა იწვა. იქით იხედებოდა.

„მჯერა, ნიკოლ. ზოგჯერ ისიც მჯერა, რომ რაც მცირე იქნება ის რაიმე, მით უფრო დიდი სიამოვნებით გავაკეთებდი“.

„არ გინდა ასე ლაპარაკი — დიკ, არ გინდა“.

ვარსკვლავიანი ცის შუქს იჭერდნენ თეთრი შხეფები და ისევ ცისკენ ტყორცნიდნენ ზევით. გაფითრებული ჩანდა, მაგრამ ბრაზის კვალიც არ ეტყობოდა სახეზე დიკს. განდევლივით იყო ახლა, და მოჭადრაკე რომ სვლის



გაკეთებას დააპირებს, ისე, თანდათან გადაიტანა მზერა ნიკოლზე; მერე მაჯაზე მოჰკიდა ხელი და თავისკენ წელა მიიზიდა.

„ამბობ, რომ შენ დამლუბე?“ ალერსით ჰკითხა. „მაშინ მე და შენ ორივე ვართ დალუბულები. ასე რომ...“

შიშისაგან ცივმა ოფლმა დაასხა და მეორე მაჯაც დიკის მოჭერილ ხელში მოაქცია. ძალიან კარგი, დიკთან ერთად ივლის, გაჰყვება — ისევ ცხადად და მძაფრად იგრძნო გრილი ღამის მშვენიერება, ახლა უფრო, თავის გაწირვის და სულიერი გამოძახილის ამ წამებში — ძალიან კარგი, მაშინ...

...მაგრამ დიკმა უცებ გაუშვა ხელი, მძიმედ ამოიოხრა და შეტრიალდა.

ნიკოლს ცრემლები წასკდა — ვიღაც მოდიოდა და თანდათან ამათ მოუახლოვდა — ტომი ბარბანი.

„აჰა, იპოვეთ! ნიკოლს ეგონა, რომ გემბანიდან გადახტით, დიკ“, თქვა მან, „იმის გამო, რომ იმ ინგლისელმა პრანწიამ იმდენი სლენგი დახარჯა თქვენთან“.

„კარგი იქნებოდა, გემბანიდან გადახტომაზე რომ მეფიქრა“, წყნარად თქვა დიკმა.

„მართლაც!“ სწრაფად აუბა მხარი ნიკოლმა. „სარტყლები ავიღოთ და გადავხტეთ წყალში. კარგი იქნება, ეფექტურ რამეს თუ მოვიფიქრებთ. მე მგონია, ძალიან დავშორდით მხიარულ ცხოვრებას“.

ტომიმ ორივეს ისე გადახედა, თითქოს ყნოსავდა და სიტუაციისთვის იქნებ ახლა ამ გრილ ღამეში აეღო ალღო.

„წავიდეთ და ლედი ლუდ-წყალწყალას ვკითხოთ რჩევა, ახალი რამერუმები ალბათ იმან უნდა იცოდეს. მისი სიმღერა, „რა ჯოჯოხეთში იყო ის ქალი“, ზეპირად უნდა ვისწავლოთ. ფრანგულად მე ვთარგმნი — კაზინოში გასაგიჟებელი წარმატება ექნება, მე კი ფულს მოვხვეტავ“.

„ტომი, თქვენ მდიდარი ხართ?“ ჰკითხა დიკმა, როცა სამთავე ისევ კიჩოსკენ მიდიოდა.

„არც ისე ძალიან, ბირჟამ დამლაღა და თავი დავანებე. მაგრამ ფასიანი ქალაქები, რომლებიც მეგობრებს მივანდე, ცუდად არა მაქვს დაბანდებული, ასე რომ, ცხოვრება კარგად მიდის“.

„დიკი აპირებს გამდიდრებას“, თქვა ნიკოლმა. რეაქციის გამო იყო, რომ ხმა ოდნავ უთრთოდა.

კიჩოზე სამი წყვილი ცეკვავდა, გოლდინგს თავისი დიდრონი ხელები შემოეხვია და საცეკვაოდ გაეყვანა, ნიკოლი და ტომიც მათ შეუერთდნენ, ტომიმ შენიშნა:

„დიკი ბევრს სვამს“.

„არც ისე ბევრს“, გამოექომაგა ნიკოლი.

„ზოგი ვერ იტანს სმას, ზოგი იტანს. ეტყობა, დიკი ვერ იტანს და თქვენ უნდა დაუშალოთ“.

„მე!“ გაკვირვებით წამოიძახა ნიკოლმა. „მე უნდა დავუშალო ან არ დავუშალო დიკს რამე?“

„მარჯინი“ უკვე კანას მიუახლოვდა, დიკი ისევ ხმას არ იღებდა, ძილმორეულივით დუმდა. ბარკასი ჩაუშვეს, ლედი კეროლაინის მერე გოლდინგი თავად მიეხმარა დიკს გადასვლაში, ლედი კეროლაინ სიბლი-ბირსი მაშინვე წამოდგა ბარკასში და სხვა მხარეს დაჯდა. დოკზე გადმოსვლისას დიკმა მეტისმეტი ცერემონიობით დაუქრა თავი და წამით შედგა, თითქოს იმისთვის,



რომ რაღაც მოსწრებული ეპიგრამა ეტყორცნა, მაგრამ ტომის იდაყვი მოხვდა ხელზე და სამთავენი დაივერების მანქანისკენ წავიდნენ.



ქართული  
ბიბლიოთეკა

„მე წაგიყვანთ შინ“, შესთავაზა ტომიმ.  
 „არა, რატომ — ტაქსითაც წავალთ“.  
 „სიამოვნებით წაგიყვანდით, თუკი ღამესაც გამათევინებთ“.  
 ვიდრე მანქანა ჯერ გოლფ-ჟუანის ყვითელ მონოლითს მიჰყვებოდა, და მერე კი ჟუან-ლე-პენსაც გასცდა, სადაც არასდროს არა ცხრება საკარნაველო მხიარულება და ღამე მუსიკის ჰანგებითა და მრავალენოვანი სიმღერებით ივსება ხოლმე, უკან, საზურგეს მიწოლილი ღიკი ჩუმად იყო. მაგრამ როცა მანქანამ გორაკისკენ გაუხვია და ტარმისკენ აიღო გეზი, უცებ გაიმართა, შესაძლოა იმის გამოც, რომ მოსახვევში გადაიხარა, და სიტყვის წარმოთქმა სცადა:  
 „მომხიბვლელი წარმომადგენელი...“ წამით ენა დაება, „ფირმისა, მოიღეთ ტვინები ათქვეფილები a l' Anglaise“. მერე საზურგეს მიაწვა და ღრმა ძილს მიეცა, ხანგამოშვებით გულაღმართადაც ფშვინავდა იმ თბილსა და ლბილ სიბნელეში.

VI

დილაადრიან ღიკი ნიკოლთან შევიდა ოთახში.  
 „ვიცდიდი, სანამ ადგებოდი. ალბათ საჭიროც არ არის იმის თქმა, რომ ძალიან ვწუხვარ გუშინდელის გამო, მაგრამ რაც იყო იყო — შენ რას იტყვი?“  
 „თანახმა ვარ“, გრილად მიუგო ნიკოლმა და სახე სარკეს მიუახლოვა.  
 „შინ ტომიმ მოგვიყვანა? თუ დამესიზმრა?“  
 „იცი, რომ მოგვიყვანა“.  
 „ეტყობა, ასეა“, მიუგო ღიკმა, „რაკი მისი ხველება მესმის. წავალ, ვნახავ“.

ნიკოლს გაუხარდა, რომ წავიდა, თავის სიცოცხლეში თითქმის პირველად გაუხარდა ღიკის წასვლა — იმ თავისმა საშინელმა უნარმა, რომ ყოველთვის მართალი ყოფილიყო, უმუხტლა ბოლოს, როგორც იქნა.  
 ტომი უკვე ტრიალებდა საწოლში და café au lait-ს ელოდებოდა.  
 „როგორა ხართ?“ ჰკითხა ღიკმა.  
 ყელი მტკივაო, დაიჩივლა ტომიმ და ღიკი პროფესიულად მიუდგა ამ ამბავს.

„ქარგია რამე გამოივლოთ“.  
 „გაქვთ გამოსავლები?“  
 „თქვენ წარმოიდგინეთ, არა მაქვს. ნიკოლს ექნება რამე“.  
 „ნიკოლის შეწუხება არ ღირს“.  
 „უკვე ადგა“.  
 „როგორ არის?“  
 ღიკი ნელა შეტრიალდა. „გეგონათ, რაკი ბევრი დავლიე, ნიკოლი ამას ვერ გადაიტანდა?“ ღიმმორეული ლაპარაკობდა. „ახლანდელი ნიკოლი ჯორჯიული ფიჭვივითაა, ეს ხე ყველაზე მაგარი ხეა ქვეყანაზე, ახალზელანდიური ევკალიპტის მერე“.  
 ნიკოლი კიბეზე ჩამოდიოდა და გაიგონა მათი ბოლო ფრაზები. იცოდა, რომ ტომის უყვარდა, ყოველთვის უყვარდა; და ისიც იცოდა, რომ ტომი



მტრული ხლებოდა დიკისადმი, რომელმაც ეს მანამდეც იგრძნო, სანამ ტომი გაიზრებდა და დიკი რომ ურეაქციოდ არ დატოვებდა ტომის ცნობრივ ვნებას, ესეც იცოდა. ამ ფიქრმა წუთით ნაღდი ქალური კმაყოფილება მოჰგვარა. ბავშვები საუზმობდნენ, ნიკოლი მაგიდასთან იდგა და გუგუნიანტის მითითებებს აძლევდა, ზევით კი ორი მამაკაცი საუბრობდა და მათგანაც ფიქრობდა ახლა.

კარგ გუნებაზე, ბედნიერი გავიდა ბაღში. სხვა არაფერი არ უნდოდა, ოღონდაც ასე გაგრძელდეს მერეც — ორთა ჭიდილი, ერთმანეთისთვის ეტყორცნათ ასე ნიკოლზე ფიქრი — დიდი ხანია აღარ უგრძენია, რომ არსებობდა, თუნდაც ერთი რაღაც ბურთივით.

„რაო, ბოცვერებო, კარგია, არა? როგორ გგონია, — ჰეი, ბოცვერო — ჰო, რა იყო, ხომ კარგია — თუ შენ სხვას ფიქრობ?“

ბოცვერმა ცხვირი შეატოკა, მოსინჯა, იქნება რამე გამოვიდესო, მაგრამ ისევ კომბოსტოს ფოთლები ერგო და დაეთანხმა. ნიკოლი თავის საქმეს შეუდგა ბაღში. ლარნაკებისთვის ყვავილები მოჭრა და დათქმულ ადგილებში დააწყო — მეზღვე სახლში შეიტანდა. ზღვისპირა ფლატემდე, პარაპეტთან მივიდა და მოუნდა, ვინმე ყოფილიყო, რომ ელაპარაკა, მაგრამ არავინ იყო და ისევ ფიქრს მიჰყვა. თითქოს შემცბარი იმით, რომ თურმე შეუძლია რაღაცა იგრძნოს სხვა კაცის მიმართ — მაგრამ სხვა ქალებს ხომ ჰყავთ საყვარლები — მეც რატომ არა? გაზაფხულის ამ მშვენიერ დილას მამაკაცის სამყაროსადმი ჩახშული აზრი სადღაცა გაქრა, ფიქრი ყვავილის ფერებსა ჰგავდა, ქარი უშლიდა თმას და მერე გონებასაც ერეოდა. სხვა ქალებს ხომ ჰყავთ საყვარლები — და ის ძალა, რომელიც გუშინ დიკისთვის თავდადებისა და სიკვდილამდე ერთგულებისკენ უბიძგებდა, დღეს ქარს მიჰქონდა, და ბედნიერი იყო ამ ლოგიკით — მეც რატომ არა?

დაბალ პარაპეტზე ჩამოჯდა, ზღვას უყურებდა, მაგრამ სულ სხვა ზღვის, ფანტაზიის, თვალებზედენელი ზღვის სიღრმეში რაღაც ხელშესახები და ძვირფასი რამ ნადავლი ჰპოვა. თუკი მას არ მოეთხოვება, რომ ისე იყოს, ვითომ ერთნი არიან თვითონ და დიკი, ისეთი დიკი, გუშინ რომ იყო, მაშინ იგი თავისთავადი უნდა იყოს და არა როგორც დიკის გონების ანარეკლი და მედლის გარშემო მარადიულად ბრუნვამისჯილი.

პარაპეტის ამ ადგილზე იმითომ დაჯდა, რომ მთიანი ფერდობის დაქანებაზე ცოტათი ქვევით ბაღია მოჩანდა. ახლართული ტოტების იქით ორი გლეხი დაინახა, ფოცხები და თოხები მოეტანათ და იქაურითა და პროვანსული, შერეული დიალექტით ლაპარაკობდნენ.

„ზუსტად ამ ადგილას გადავაქციე“.

„იქა, ვაზებს იქით შევიყვანე“,

„ის დედაკაცი კი, ვითომც არაფერი — ის კაციცა. პოდა, ის ოხერი ძალდი რომ არა, ეგ კი არის, სწორედ ამ ადგილას გადავაქციე და...“

„ფოცხები რა უყავი, შენა გაქვს?“

„მანდ ახლო ყრია, შე მასხარა“.

„ძაან არ მაინტერესებს, სად გადააქციე, აი. იმ ლამემდე ერთ დედაკაცსაც არ ჩავხუტებივარ, იმის მერე, რაც ცოლი შევირთე — თორმეტი წლის წინათ და შენ რაებს მეუბნები...“

„მოიცა, იმ ძალზე უნდა გითხრა...“



ტოტებსა და ტოტებშუა უყურებდა მათ ნიკოლი, ეჩვენებოდა, რომ ერთადერთი იყო — ერთისთვის ისე იყო კარგი, მეორეს სხვა უნდოდა, მაგრამ მანც რაც გაიგონა, მამაკაცების სამყარო იყო და შინ მიმავალი ისევ დაეშვდა.

დიკი და ტომი ტერასაზე ისხდნენ. ნიკოლმა გაუარა მათ და სახლში შევიდა, იქიდან თავისი სახატავი გამოიტანა და ტომის თავის ხატვად დაეწყო.

„ხან რა და ხან რა, სართავი ჯარა — საქმე წინ წავა“. სიცილით თქვა დიკმა. როგორ შეუძლია ასეთი ტრივიალური რაღაცების თქმა, როცა გუშინდლიდან სახეზე ისევ ფერი არ ადევს, იმდენად არის გაფითრებული, რომ ეღალის წვერი წითელიდა ჩანს და თვალებიც იმ წვერის ფერი აქვს.

ნიკოლი ტომის მიუბრუნდა და უთხრა:

„ყოველთვის შემძლია რაღაც ვაკეთო. ერთხანს ერთი პოლინეზიური მაიმუნი მყავდა, ცილამტკაველა, ხანდახან საათობით ვუჭექი და რაღანაირ ფოკუსს არ ვასწავლიდი, მაგრამ შინაურებს ლამის გულზე შემოეყარათ და დამიშალეს, სულ იმაზე ლაპარაკობდნენ, თვალი დაადგეს...“

დიკს განგებ არიდებდა თვალს. ცოტა ხნის მერე დიკმა ბოდიში მოიხადა და სახლში შევიდა. — ნიკოლმა დაინახა, წყალი რომ დაისხა, ჭიქას ჭიქაზე ცლიდა, და უფრო გამაგრდა ამის დანახვაზე, უფრო გაქვავდა.

„ნიკოლ...“ დაიწყო ტომიმ, და გაჩერდა, ყელის ტკივილმა შეუშალა, ხველა აიტეხა, რომ ხმა მოსვლოდა.

„სპეციალურ ქაფურის მალამოს მოგცემთ და შეიზილეთ“, შესთავაზა ნიკოლმა, „ამერიკული მალამოა, დიკი ძალიან ენდობა მას. ახლავე მოვიტან“.

„წასვლის დროც არის“.

დიკი შემოვიდა და თავის ადგილზე დაჯდა.

„რას ვენდობი მე?“ იკითხა მან. მალამოთი რომ დაბრუნდა ნიკოლი, ისევ ისხდნენ, მაგრამ მიხვდა, იმის აქ არყოფნაში ორთავე რაღაცნაირი გაცხოველებით ლაპარაკობდა არაფერზე.

შოფერი უკვე კარებთან იცდიდა, დიდი ჩანთა ეჭირა, — ტომის კოსტიუმით, ახლა ტომის დიკისა ეცვა, ნიკოლი უყურებდა და რაღაც ცრუ სიბრაულს გრძნობდა, გეგონება, ტომი ვერასდროს ვერ იყიდდა ასეთ რაღაცას.

„ოტელში რომ მიხვალთ, ამით შეიზილეთ მკერდი და ყელი, მერე კი ღრმად შეისუნთქეთ“, არიგებდა ნიკოლი.

„მოიცა, ნიკოლ“, ტომიმ კიბე რომ ჩაიარა, ხმადაბლა უთხრა დიკმა, „მთელ ქილას ნუ აძლევ, ხომ იცი, აქ ეს მალამო არ იყიდება — პარიზიდან უნდა გამოვიწეროთ“.

ტომი ისევ დაბრუნდა, კიბესთან მივიდა, სამთავე მზეში იდგა, ტომი ქვევით, მანქანასთან ახლო, და ზევიდან ისე ჩანდა, გეგონება, ახლა ოდნავ დაიხრება და მანქანას ზურგზე მოიგდებსო.

ნიკოლი ერთი საფეხურით ძირს ჩამოვიდა.

„დაიჭირეთ!“ დაუძახა. „ოღონდ, არ გაგიტყდეთ, ძნელად იშოვება“.

იგრძნო, თავის გვერდით როგორ ჩუმად ამალდა დიკი; იმისგან კიდევ ერთი საფეხურით ჩავიდა დაბლა და ადგილიდან დაძრულ მანქანას, რომელშიც ტომი და ქაფურის სპეციალური დასაზღელი მალამო იყო, ხელი დაუქნია. მერე მოტრიალდა, რომ თავისი წამალი, რაც ეკუთვნოდა, ის მიეღო.

„არ იყო საჭირო“, თქვა დიკმა, „ჩვენ აქ ოთხნი ვართ, და უკვე ამდენი წელია, თუ ვინმეს ხველა დაეწყება...“



ერთმანეთს შეხედეს.

„შეგვიძლია ახალი ქილა გამოვიწეროთ“.

მთელი თავისი გამბედაობა ერთბაშად გაქრა და მოიჭრებოდა მიჰყვა ზევით, სადაც დიკი მაშინვე დაწვა თავის საწოლზე, დაეძინა.

„გინდა, საუზმე აქ მოგიტანონ?“ ჰკითხა ნიკოლმა.

დიკმა თავი დაუქნია და ჰერს მიაშტერდა. ნიკოლი დაბნეული გავიდა, მსახურს ეტყოდა, რომ საუზმე ამოეტანათ, და როცა ისევ ზევით ამოვიდა, დიკის ოთახში შეიხედა — ისევ ისე იწვა, თვალები, ორი ცისფერი პროექტორი, ბნელ ცას სერავდა. წუთით კართან შეჩერდა, გრძნობდა თავის ბრალს დიკის წინაშე და შემოსვლა უჭირდა... მერე ხელი გაიწვდინა, თავზე უნდოდა მოფერებოდა, მაგრამ დიკმა დამფრთხალი ნადირივით გაიწია და ამის ატანა აღარ შეეძლო; მზარეულივით დაფეთდა, ოთახიდან გავარდა და დაბლა დაეშვა; შიში მოერია, როგორ იქნება ეს გაბზარული და გულგატეხილი კაცი და რაღას მისცემს მას, ჯერაც პირმშრალ ძუძუმწოვარას, ისევ ისე რომ ეკვროდა დიკს ცარიელ მკერდზე.

• •

ერთი კვირის მერე ნიკოლს კიდევაც დაავიწყდა ტომით თავისი გატაცება — ადამიანებს ძნელად იმახსოვრებდა და ადვილად ივიწყებდა. მაგრამ ივნისის საშინელ, პირველ ცხელ დღეს გაიგო, რომ ტომი ისევ ნიცაში იყო, ბარათი გამოუგზავნა ორივეს — ნიკოლმა შინიდან წამოღებული წერილები ქოლგის ქვეშ გახსნა, ტომის ბარათი წაიკითხა და დიკს გადაუგდო, დიკმა დეპეშით გაუცვალა, ნიკოლს მუხლებზე პლაჟის პიჟამა ედო და დეპეშა ზედ დაუგდო:

ძვირფასებო ხვალ გოსთან ვიქნები სამწუხაროდ უდედოდ იმედია გნახავთ

როზმერი

„გამიხარდება მისი ნახვა“, თქვა ნიკოლმა და მოიღრუბლა.

## VII

მაგრამ დილით, როცა დიკთან ერთად პლაჟზე გავიდა, ისევ მოიცვა ავმა შიშმა, რომ დიკმა რაღაცა განწირული და უსასოო გამოსავალი ჩაიფიქრა. გოლდინგის იახტაზე საღამოს მერე გუმანით ხვდებოდა, რაც ხდებოდა. ისევ ძველ კედელს ეყრდნობოდა, რაც ყოველთვის უსაფრთხოების გარანტია იყო, მაგრამ უკვე გრძნობდა, რომ ერთი ნახტომი და — სხვა იქნებოდა, შეიცვლებოდა მისი არსება, სისხლი, კუნთები, ყველაფერი, ოღონდ, ამისიც ეშინოდა და ბოლომდე ფიქრსაც ვერ ბედავდა. დიკის, თავისი სახეები, ბუნდოვანი და გაურკვეველი, ფანტასმაგორიულ როკვაში ჩაბმულებივით, მოჩვენებებად ირეოდნენ იმის თვალწინ, თვეების მანძილზე ამათგან თქმული ყველა სიტყვა რაღაც სხვა აზრსაც შეიცავდა და როდის ან როგორ გაირკვეოდა ის სხვა აზრი, ეს მხოლოდ დიკის საქმე იყო. ეს ვითარება, შესაძლოა სასიკეთოც კი ყოფილიყო მერე — ხანგრძლივი წლებით, როცა ნიკოლის ცხოვრება რაღაც დაბინ-



დულს ჰგავდა, მასში გაცოცხლდა თვისებები, რაც ადრეულად ჩაკლა თავისმა ავადობამ, და რაც დიკს არც მოუძიებია, ოღონდ დიკს არა ჰქონდა იმაში ბრალი, — არ შეიძლება ერთი ბუნება, ერთი რაობა ბოლომდე ჩასწვდეს სხვა ბუნებას და სხვა რაობას. შემაშფოთებელი კი მაინცა ჩანდა რაღაცა უცვლელად, სავალალო მათ ურთიერთობაში დიკის გულგრილობა იყო, უფრო და უფრო რომ იზრდებოდა და ახლა იმაში ვლინდებოდა, რომ ბევრსაცა სვამდა; თვითონ მას, ნიკოლს რა მოელოდა, დაიმსხვრეოდა თუ გადარჩებოდა, არ იცოდა — დიკის მთრთოლი ხმა და გულდახურვა უბნევდა თავგზას. ვერა ხვდებოდა, რას იზამდა დიკი მაშინაც, როცა ნელა და თანდათანობით გაიშლებოდა დაკლაკნილი გზა, და ვერც იმას ხვდებოდა, რა მოხდებოდა ბოლო წუთში. მერმინდელი არ აფიქრებდა, ალბათ, ტვირთი რომ მოეხსნება კაცს, ან თვალებიდან სახვევი ახსნეს, ისე იქნება. ნიკოლში ყველაფერი მოძრაობისა და ფრენისთვის იყო გამოთვლილი, ფრთებად და ფარფლებად ფული ჰქონდა. რაც მოხდებოდა და შეიცვლებოდა, უბრალოდ, სასრბოლო მანქანის იმ შასივით, დიდი ხნის წინათ ოჯახის ლიმუზინის ძარას ქვეშ რომ ამოუდვიათ და ახლა მოაძრეს, რათა, რისთვისაც საჭიროა, იმისათვის გამოიყენონ, — იმ შასივით თუ იქნებოდა. ახალი სიოს ქროლვას ნიკოლი უკვე გრძნობდა — მარტო სევდის, მარტო დარდისა ეშინოდა, იმ სევდისა, შავით და ბნელით რომ მოდიოდა და განშორება რომ მოუტანდა.

დაივერები პლაჟზე გამოვიდნენ, თეთრი კოსტიუმები ეცვათ, ნამხეურ სხეულებზე კიდევ უფრო თეთრი, ქათქათა ჩანდა სამოსი. ნიკოლი ხედავდა, რომ დიკი თვალებით ლანიესა და ტოპის ეძებდა სხვადასხვა ფერისა და ფორმის ქოლგების ჩრდილებშუა და სანამ დროებით დიკმა თითქოს დატოვა და მასთან არ იყო, ნიკოლმა ცალკე მყოფივით შეხედა მას და გაიფიქრა, ბავშვები ახლა თავის დასაცავად სჭირდება და არა იმისთვის, თვითონ დაიცვას ისინიო. ეს პლაჟი ალბათ უფრო შიშსა ჰგვრის, დამხობილი მბრძანებელივით, ფარულად რომ მოსულა, რათა თვალი შეავლოს თავის სასახლეს. უკვე მოასწრო დიკის სამყაროს შეძულება, თავაზიანობითა და დელიკატური ხუმრობით სავსე სამყაროსი და დაავიწყდა, რომ წლების მანძილზე ერთადერთი ღია სამყარო მისთვის ეს იყო. დადგეს და უყუროს თავის პლაჟს ახლა, იმათი გემოვნებით გადაკეთებულს, ვინც გემოვნების არა იცის რა; მოვიდეს აქ და ინტიალოს თუნდაც მთელი დღე, სულ ერთია, ერთ ქვასაც ველარ იპოვის იმ ჩინურ კედლიდან, რითაც ოდესღაც შემოზღუდა აქაურობა, ვერსად იპოვის ძველი მეგობრის ფეხის ნაკვალევს.

წამით ნიკოლს დაენანა, რომ ასე იყო; გაახსენდა, როგორ იღებდა დიკი მაშინ გროვად დაყრილი ხარახურიდან შუშის ნამსხვრევებს, მატროსის შარვლები და სვიტერებიც გაახსენდა, ნიცის გარეუბნის ქუჩებში რომ იყიდეს — ამ სამოსლის მიხედვით იყო, რომ მერე პარიზელი *couturiers*<sup>1</sup> ახალ მოდას ქმნიდნენ აბრეშუმისგან. გაახსენდა ზვირთსამსხვრევზე ამოსული სოფლელი გოგონები, ჩიტებივით რომ ეღურტულებდნენ: «Dites donc, dites donc!»<sup>2</sup> და ტარმის დილის რიტუალი, როცა მთელი სახლი მშვიდად და სიხარულით ეგებებოდა მზესა და ზღვას; რაღას აღარ მოიგონებდა დიკი ამტეხი, შემაქცე-

<sup>1</sup> მემოდელეები (ფრანგ.).

<sup>2</sup> „ეი! ეი!“ (ფრანგ.).



ვარი, და ყველაფერი ღრმად ჩამარხულა, უსწრაფესად, სულ რამდენიმე წელიწადში...

ახლა ეს პლაჟი „კლუბად“ იქცა, ვინ და საიდან აღარ იცვნიერებს მისი წევრები და ყველას შეეძლო შიგ შესულიყო.

დიკი ჭილოფზე წამოიწია და თვალთ როზმერის ძებნა დაიწყო. ნიკოლმა მზერა დაიჭირა და ისევ ქვასავით იქცა თითქოს. თვალი მოაველო იჭაურობას. ახლა პლაჟზე ათასნაირი რაღაცა იყო, ღერძები, რგოლები, მოძრავი გასახდელი კაბინები, მცურავი კოშკურები, პროექტორები — გუშინდელი ზეიმის მერე, ველოსიპედის საჭეებიანი ორნამენტის მოდერნისტული თეთრი ბუფეტი თვალსა დლიდა.

წყალში როზმერის დანახვის იმედი არ ჰქონდა დიკს, ახლა ბევრი არ შედიოდა იმ ლაქვარდ სამოთხეში, ბავშვები თუ და კიდევ ერთი კამერდინერი, დიდი ამბით ყოველ დილას რომ ხტებოდა წყალში ორმოცდაათი ფუტის სიმაღლის კლდიდან — გოსის ბინადართა უმრავლესობა მარტო იმიტომ იძრობდა პიჟამას და აჩენდა თავის თონთლოობას, რომ ზუსტად შუადღით, დაღვევის მერე ერთხელ ჩაეყვინათ და ამოსულიყვნენ.

„იქ არის“, შენიშნა ნიკოლმა.

დიკს შეხედა, როცა როზმერის უყურებდა ის; ტივიდან ტივამდე მიცურავდა და უყურებდა. ნიკოლმა ამოიოხრა, მაგრამ ამ ამოოხვრამ, გულს რომ ამოჰყვა, რაღაც ძველი და დაგუბებული, ხუთი წლის წინანდელი გაიყოლია.

„წავიდეთ, გავცუროთ, როზმერი ვნახოთ“, შესთავაზა დიკმა.

„შენ წადი“.

„არა, ორივე წავიდეთ“.

წუთით სცადა გასძალებოდა ამ გადაჭრით ამოთქმულ სიტყვებს, და უკვე ერთად მიცურავდნენ, ლიფსიტა თევზების კვალს მიჰყვებოდნენ, ბრჭყვიალა სატყუარასაგან დაბრმავებული კალმახებივით რომ ტრიალებდნენ წყალში როზმერის ახლომახლო, იმ თევზების კვალს.

ნიკოლი წყლიდან არ ამოსულა, დიკი ტივზე აძვრა და როზმერისთან დაჯდა, ზღვის წყლით გაბანილები, წვეთები რომ ჩამოსდიოდათ, ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს ამათ არც არასოდეს ჰყვარებიათ და არასოდეს მიჰკარებიათ ერთმანეთსო. როზმერი მშვენიერი იყო — ნიკოლს იმისი ახალგაზრდობა აოცებდა, მაგრამ გაუხარდა, როცა შეამჩნია, რომ თვითონ ოდნავ, თმის ღერზე უმსხოსად თხელი იყო, ნიკოლი ტივთან ახლო ცურავდა და როზმერის ლაპარაკს უგდებდა ყურს, ვახარება, მოლოდინი, სილალე ჰქონდა ამ ხმაში და კიდევ — ოდნავ უფრო მეტი გულდაჯერება, ვიდრე ხუთი წლის წინათ.

„დედა ძალიან მომენატრა, პარიზში დამხვდება ორშაბათს“.

„ხუთი წლის წინათ გამოჩნდით ამ პლაჟზე“, უთხრა დიკმა, „მაშინ ძალიან სასაცილო გოგონა იყავით, გოსის ოტელის საბანაო ხალათი გეცვათ და რა სასაცილო გოგონას ჰგავდით!“

„როგორ გახსოვთ ყველაფერი! წინათაც გახსოვდათ — და თანაც ყოველთვის კარგი რაღაც“.

ისევ იწყება ქათინაურებით თამაში, გაიფიქრა ნიკოლმა. ჩაიყურყუმელავა და წყალქვეშ გაცურა, ამოყურყუმელავეებისას გაიგონა:

„მინდა ისე იყოს, თითქოს ეს ხუთი წელი არც ყოფილა და ისევ თვრამეტისა ვარ. თქვენთან ყოველთვის კარგი იყო, კარგად ვიყავი, ბედნიერი —



არა, ისე კი არა, რაღაც ძალიან ბედნიერი — თქვენთან და ნიკოლთან ერთად. ასე მგონია, ახლაც ყველას გხედავთ პლაჟზე, ყველას ერთ ქოლგას შეფარებული — ისეთ კარგ ხალხს მე მანამდე არ შევხვედრივარ და ასე მგონია, აღარც შევხვდები“.

ნიკოლმა გაცურა, ოღონდ მანამდე შეამჩნია, რომ დიკს როზმერისთან ლაპარაკისას ღრუბელი ოდნავ გადაეყარა, თითქოს ამ ძველმა თამაშმა ანლა გამქრალებული კარგი სურათის დარად იჩინა თავისი ხიბლი; ცოტა ღვინოც და — როზმერის წინ რგოლებზე ჩამოეკიდება, უწინდებურად მარდად არა, მაგრამ მაინც ეცდება ტრიუკები აჩვენოს. ეს პირველი ზაფხულია, რაც სიმაღლიდან წყალში ხტომას ერიდებაო, გაიფიქრა ნიკოლმა.

მოტრიალდა, ფაქტიურად კი ისევ იმ ტივთან ახლო ცურავდა და დიკიც დაეწია.

„როზმერის მეგობრებს სწრაფმავალი კატერი ჰყავთ, აგერ, იქა დგას, გინდა აკვაპლანზე შევდგეთ? მე მგონია, კარგი იქნება“.

ნიკოლს გაახსენდა, იყო დრო, დიკი ყირას ჭიმავდა ფიცრის ბოლოზე დადგმულ სკამზე და ახლა თავისი ვაჟის, ლანიესავით მოუნდა მისი განებივრება. შარშან, თავიანთ ბოლო ზაფხულში ცუგის ტბაზე, ხშირად ერთობოდნენ ამ სასიამოვნო წყლის თამაშით, ერთხელ, ფიცარზე დგომისას დიკმა მხრებით ასწია კაცი, რომელიც ორას გირვანქას იწონიდა, და ასე გაჩერდა. მაგრამ ქალები კაცებს იმათი ყველა ნიჭითა და მოხერხებით ირჩევენ ქმრებად და მერე კი უკვე ძნელია ქალის გაკვირვება, თუმცა ხანდახან თავს ისე იჭერს, ვითომ კიდევაც ოცდება ხოლმე, ნიკოლი კი მაინცდამაინც არც ასე იჭერდა თავს დიკთან, ბევრი-ბევრი, ეტყოდა — „ჰო“, ან კიდევ: „ასეც ვფიქრობდი, რომ გამოგივიდოდა“.

ახლა კი ნიკოლმა ისიც იცოდა, რომ გადაქანცული იყო დიკი და მხოლოდ როზმერის სიახლოვემ და ახალგაზრდობამ შემატა ძალა და მღელვარება. ასეთი აღმაფრენით დიკი თავიანთი ახალდაბადებული ბავშვების სხეულის დანახვისას ახსოვდა ნიკოლს და გულგრილად გაიფიქრა, სასაცილოდ არ გაიხადოსო თავისი თავი.

კატერზე დაივერები ყველაზე უფროსები იყვნენ — ახალგაზრდები თავაზითა და კრძალვით ექცეოდნენ, მაგრამ ნიკოლი მაინც გრძნობდა რაღაცა შეფარულ აზრს — „ეს რაღაა, კარგი, რა, ვინ არიანო“. დიკი მისწრება იქნებოდა აქ, სიტუაციას იოლად აუღებდა ალლოს და თავის ნებაზე წაიყვანდა ყველაფერს. მაგრამ დიკს საამისოდ არ ეცალა — ახლა იმაზე ფიქრს მოეცვა, რას ანდა როგორ გააკეთებდა.

ნაპირიდან ორასი იარღის მოშორებით მოტორის ხმაური მიწყდა, ერთი ჭაბუკთაგანი გაშლილად გადაეშვა წყალში, მოქანავე ფიცრისკენ გაცურა, გაასწორა და ფრთხილად ზედ შედგა — ჯერ მუხლებით, მერე კიდევ — წამოიწია და გაიმართა. გადაიზნიქა და ასე მართავდა მსუბუქ „ხომალდს“, მოხერხებულად, თანაბარი რწევა-რხევით, გადაქანებისას სუნთქვაშეკრულს კატერის კვალდაკვალ მიჰყავდა იგი, კატერი თანდათან უმატებდა სიჩქარეს და ბოლოს გაასწორა ფიცარი ტალღაზე, თოკი გაუშვა, ერთ წუთს ისევ ინარჩუნებდა წონასწორობას, ფეხით უბიძგა და გადაეშვა, მშვენიერების ქანდაკებად ჩაიძირა და ისევ გამოჩნდა ზღვაში რაღაცა პატარა თავად კატერიდან, მის შესახვედრად რომ უხვევდა უკვე.



ნიკოლა, როცა მოუწია, უარი თქვა; მერე როზმერის ჯერი დადგა, ფრთხილად და გაუწაფავად დადგა ფიცარზე, თაყვანისმცემლები ხმამაღალი შესახილებით ამხნეებდნენ. სამი მათგანი ისეთი მონდომებითა და თავგამოდებით ცდილობდა პატივი რგებოდა და თვითონ მიშველებოდა როზმერის ნავში გადმოსვლაში, რომ კინალამ იჩხუბეს და ამასობაში ის მოანერხეს, რომ როზმერის მუხლი და თეძო დაეყუჩა.

„თქვენი ჯერია, დოქტორო“, თქვა მექსიკელმა მესაჭევრემ.

დიკი და ის ჭაბუკი, ბოლოს რომ დარჩა, ნავიდან გადახტნენ და ფიცრის მიმართულებით გაცურეს. დიკი თავისი ტრიუკის გაკეთებას აპირებდა და ნიკოლი დამცინავი ლიმლით ადევნებდა თვალს. დიკის ეს მონდომება, რომ როზმერის კარგად დანახვებოდა, ყველაზე მეტად აბრაზებდა.

როცა ორთავენი რხევა-რწევით ფიცარი გაასწორეს, დიკი მუხლებით დაეყრდნო მას, თავი „კომპანიონის“ ფეხებშუა გაყო, თოკს ხელი მოჰკიდა და ნელ-ნელა წამოიწია, რომ გამართულიყო.

კატერიდან ხედავდნენ, რომ უჭირდა. ახლა იგი ერთ მუხლზე იდგა, ტრიუკის სიძნელე ის იყო, რომ იმავე მოძრაობით მეორე ფეხიც დაედგა და გამართულიყო. წამით სული მოითქვა, მერე თავს ძალა დაატანა, სახე დაეძაგრა, კუნთები დაჭიმა და აიწია.

ფიცარი ვიწრო იყო. ის ჭაბუკი ას ორმოცდაათ გირვანქაზე მეტს არ იწონიდა, მაგრამ მაინც ვერ მოერიო თავის სიმძიმეს, ამას ისიც დაერთო, რომ დიკის თავს ჩაეჭიდა. ბოლოს, ზურგის კუნთების უკანასკნელი, სასოწარკვეთით დაჭიმვა და დიკმა მოახერხა გამართულიყო, იმწამსვე ფიცარიც გადაიხარა და ორთავე წყალში გადაყირავდა.

კატერში როზმერის წამოძახილი გაისმა:

„შესანიშნავია! თითქმის გამოვიდა!“

მაგრამ როცა კატერმა მათ შესახვედრად მოუხვია, ნიკოლი სახეზე დააკვირდა და ბრაზი შეამჩნია — ასეც იცოდა, რადგან ჯერ კიდევ ორი წლის წინათ მეტად იოლად აკეთებდა დიკი ამ ტრიუკს.

მეორეჯერ უფრო ფრთხილობდა. ჯერ ნელა წამოდგა, ტვირთის სიმძიმეს ამოწმებდა, ისევ დაეშვა ცალ მუხლზე და მერე — „აღე ოპ!“ — წამოიძახა და წამოდგომა დაიწყო, მაგრამ ვიდრე მთლად გაიმართებოდა, უცებ ფეხებში მოიღუწა და ძლივს მოასწრო ფეხის წაკვრით ფიცარი განზე გაეწია, რომ ზედ არ დასცემოდა.

როცა კატერი მოახლოვდა, ახლა ყველამაც შეამჩნია, რომ დიკი გაბრაზდა.

„ხომ შეიძლება ერთხელაც ვცადო?“ წყლიდან ამოიყვირა. „თითქმის ბოლომდე მივიყვანეთ“.

„კარგი, მიდიტ“.

ნიკოლს მოეჩვენა, რომ სახეზე ფერი აღარ ედო და გააფრთხილა:

„დღეისთვის იქნებ აღარა ღირს?“

დიკმა არ უპასუხა, პარტნიორმა, მე მეტი აღარ შემიძლიაო, და ნავზე აიყვანეს, მექსიკელი მესაჭევრე გადავიდა, იმან იკისრა მაგივრობა.

ეს პირველზე უფრო მძიმე იყო. ვიდრე კატერი სიჩქარეს უმატებდა, დიკი პირქვე იწვა ფიცარზე და ცოტათი დაისვენა. მერე პარტნიორის ფეხებშუა შეძვრა, თოკს ხელი მოჰკიდა და კუნთებისა და ძალის დაძაბვით წამოდგომა სცადა.



ვერ აღგა. ნიკოლი ხედავდა, როგორ შეეცალა პოზა და ერთხელაც სცადა, მაგრამ როგორც კი პარტნიორი ფიცარს მოსცილდა და მთელი სიმძიმით დააწვა მხრებზე, თითქოს გაქვავდა. კიდევ ერთხელ სცადა — ერთი ღუიშით, ორი ღუიშით — ნიკოლიც დაიძაბა იმასთან ერთად, გრძნობდა, დოქტორის ხელი უფელა ფორი გაეხსნა შუბლზე და ოფლად იღვრებოდა — წუთით არ დასვენებულა და იყო ასე, მერე ერთბაშად დავარდა ისევ მუხლებზე და გადატრიალდნენ, ფიცარი აყირავდა და დიკი ძლივს გადარჩა, რომ თავი ფიცრისთვის ზედ არ დაერთყა.

„ჩქარა, უკანვე!“ დაუძახა ნიკოლმა მესაჭევრეს და უცებ დაიყვირა, როცა დაინახა, რომ დიკი წყალქვეშ გაუჩინარდა; მაგრამ მალე ისევ ამოყო თავი და ზურგზე გაწვა. მისაშველებლად გაცურეს. საუკუნე გავიდა თითქმის, სანამდე ახლო მივიდოდნენ, მაგრამ როცა ბოლოს და ბოლოს მიუახლოვდნენ, ნიკოლმა დაინახა, უძალდონო და პასიური, დიკი ტალღაზე ირწეოდა, თითქოს გარშემო არა იყო რა, მხოლოდ ცა და ზღვა, და უცებ ის შიში გაუქრა და მძულვარე გახდა.

„მოგეხმარებით, დოქტორო... ფეხზე მოჰკიდეთ ხელი... ასე... ახლა ერთად...“

დიკი იჯდა, მძიმედ სუნთქავდა, არსაით არ იყურებოდა.

„ასეც ვიცოდი, რომ არაფერი გამოგივიდოდა“, თავი ველარ შეიკავა ნიკოლმა.

„იმ ორჯერ ცდამ დაღალა“, თქვა მექსიკელმა.

„სისულელე იყო, არ უნდა ეცადა“, ისევ თქვა ნიკოლმა. როზმერი ტაქტიანად ღუმდა.

დიკმა, როგორც იყო, მოითქვა სული. „ამჯერად ქალაქის თოჯინასაც ვერ ავწევდი“.

ვილაცას სიცილი წასკდა და ამ მარცხის გამო დაძაბულობაც მაშინვე გაქრა. დოკზე რომ გადადიოდნენ, ყველა ცდილობდა ყურადღება გამოეჩინა დიკის მიმართ, მაგრამ ნიკოლი იყო გაბრაზებული — ახლა მას უკვე ყველაფერი, რასაც კი დიკი აკეთებდა, ბრაზსა ჰგვრიდა.

ნიკოლი და როზმერი ქოლგის ქვეშ დასხდნენ. დიკი ბუფეტისკენ წავიდა, რომ რაღაცა დაეღია და მალე დაბრუნდა, ორივესთვის ხერესი მოჰქონდა.

„ცხოვრებაში თქვენთან დავლიე სულ პირველად“, თქვა როზმერიმ და უეცარი გახალისებით დაუმატა, „მე ისე ძალიან მიხარია, რომ ისევ გხედავთ, და თანაც ვიცი, რომ კარგადა ხართ. მე მეშინოდა...“ გაჩერდა და ფრაზა ასელა დაამთავრა, „იქნებ როგორ არიან-მეთქი“.

„თქვენამდე მოაღწია ხმამ, რომ დიკ დაივერი ქვევით დაქანდა?“

„ო, რას ამბობთ! უბრალოდ — ვილაცამ მითხრა, რომ გამოიცვალეთ და მიხარია, საკუთარი თვალით ვხედავ, რომ ასე არ არის“.

„ასეა“, თქვა დიკმა, როცა თვითონაც ჯდებოდა მათთან. „დიდი ხანია გამოვიცვალე, ოღონდ თავიდან ამას ვერ ამჩნევდნენ. როცა შიგნით ბზარი გაჩნდება, ერთხანს გარედან ყველაფერი ისევ ისე ჩანს“.

„რივიერაზე პრაქტიკა გაქვთ?“ სწრაფად ჰკითხა როზმერიმ.

„ურიგო არ იქნებოდა, სუბიექტები საამისოდ აქ ბლომად არიან“. ოქროსფერ ქვიშაზე თავით აქეთ-იქით ხალხის ჯგროსკენ გაახედა. „ბევრნი არიან, აგერ იქ, ძველი მეგობარი მისიზ აბრამზი, ჰერცოგის მეუღლეს თამა-



შობს მერი ნორთის — დედოფლის წინაშე. მაგრამ არ შეგშურდეთ — გაიხსენეთ რა დიდხანს ეწვალა მისიზ აბრამზი, როცა ოთხზე აღიოდებ „რიტცის“ უკანა კარის კიბიდან, ძლივს ააღწია კიბეზე ზევით და მთელი ხალხის მტვერიცა ყლაპა“.

როზმერიმ შეაწყვეტინა. „მაგრამ ეს მართლა მერე <sup>უკონსულს</sup> ხალხი გააკვირვებით გახედა ქალს, ამათ მხარეს რომ მოდიოდა რამდენიმე თანმზლებთან ერთად, რომლებიც თითქოს მიჩვეულები იყვნენ იმას, რომ უყურებდნენ. დაივერებისგან ათიოდე ნაბიჯითლა იყვნენ დაცილებული, რომ მერიმ ცერად და სწრაფად გამოხედა მათ, ეს ერთი ის უხეირო გამოხედვა იყო, როცა გაგრძნობინებენ, რომ შეგამჩნიეს, მაგრამ ყურადღების ღირსად არ გთვლიან. არც დაივერები და არც როზმერი პოიტი თავიანთ თავს არასოდეს მისცემდნენ ნებას ვინმესთვის ასე შეეხედათ. დიკი ცოტა კიდევაც გაართო იმან, რომ როცა მერიმ როზმერი იცნო, გადაიფიქრა და უკვე ამათკენ წამოვიდა, ნიკოლს გულითადად დაელაპარაკა, დიკს კი თითქმის არც შეხედა, გეგონება, ეშინია, რაღაცა არ გადამედოსო, არც გაიღიმა, ისე დაუქნია თავი, — დიკმა თავის მხრივ, ირონიულად, ვითომდა დიდი მოწიწებით დაუკრა თავი — მერი როზმერისკენ შეტრიალდა.

„მე უკვე მითხრეს, რომ აქა ხართ. რამდენი ხნით?“

„ხვალამდე“, მიუგო როზმერიმ.

თვითონაც შეამჩნია, მერი იმისთვის წამოვიდა დაივერებისკენ, რომ მას გამოლაპარაკებოდა, და ერთგულებამ და მოვალეობამ ამათდამი, ჩააცხრო მისი მღელვარება. არა, დღეს ვერ მივა სადილზე.

მერი ნიკოლს მიუბრუნდა, მისი მანერა ერთმანეთში არეულსა და გადახლართულ ღელვასა და თანაგრძნობას გამოხატავდა.

„როგორ არიან ბავშვები?“ ჰკითხა.

სწორედ ამ დროს ბავშვებმაც მოირბინეს და ნიკოლსა სთხოვეს, რა იქნება, აღმზრდელს უთხარი, ზღვაში ბანაობის ნება დაგვართოსო.

„არა“, ნიკოლის მაგივრად უპასუხა დიკმა. „რაკი Mademoiselle ასე ამბობს, ასეა საჭირო“.

ნიკოლი იმ აზრს იზიარებდა, რომ უფლებით აღჭურვილი ავტორიტეტის ღირსება არ უნდა შელახო. და უარი უთხრა. მერიმ კი, რომელსაც, ანიტა ლუსის გმირივით, მხოლოდ **Faits Accomplis**<sup>1</sup> აინტერესდა და მიეჩვია, რომ მხოლოდ ასეთ ფაქტებთან ჰქონოდა საქმე — დიკისკენ ისე გაიხედა, გეგონება, აღმაშფოთებლად სასტიკი კაცის ჭირვეულობას შეესწროო. მაგრამ დიკი გაბეზრდა ამ სპექტაკლით, ვითომ ძალიან შეწუხებულმა გამოიკითხა:

„როგორ არიან თქვენი ბავშვები — და იმათი მამიდეები?“

მერიმ არ უპასუხა: გაქცევის მოწადინე ლანიეს თანაგრძნობით გადაუსვა თავზე ხელი და, წასვლა ინება. მისი წასვლის მერე თქვა დიკმა: „როცა გავიფიქრებ, რამდენი დრო დავკარგე იმისათვის, რომ მაგისგან რაღაც გამოსულიყო“.

„მე მომწონს იგი“, თქვა ნიკოლმა.

როზმერი გააოცა დიკის მწარე ტონმა, მას ისეთი დიკი ახსოვდა, ვისაც ყველაფერი ესმის ამქვეყნად და ყველას ყველაფერს მიუტეებს. უცებ გა-

<sup>1</sup> მომხდარი ფაქტები (ფრანგ.).



ახსენდა, რაც მასზე გაეგონა. როზმერისთან ერთად გემით სახელმწიფო დეპარტამენტის რამდენიმე თანამშრომელი, ამერიკელები მგზავრობდნენ, იმდენად გაევრობებულელები, რომ უკვე გაჭირდებოდა თქმა, რომელი ქვეყნის მოქალაქეებად ჩაგეთვალათ. საუბარში სად აღარ მყოფი ბები უორენის ახსენეს, ითქვა, რომ ბების უმცროსმა დამ თავი დაიღუპა იმით, რომ დაკარგულსა და ლოთ ექიმს გაჰყვა ცოლად. „მას უკვე აღარსად ლებულობენ“, შენიშნა ერთმა ქალბატონმა.

როზმერი ამ ფრაზამ შეაშფოთა, მიუხედავად იმისა, რომ დაივერები მისთვის იმ წრეში როდი იყვნენ, სადაც ასეთ ფაქტს, თუ ფაქტი იყო, რამე აზრი ეძლევა, მაინც, ამ სიტყვებს მიღმა, რაღაც ბუნდოვნად დაინახა, — თითქოსდა ზურგი აქციესო, და ისევ ესმოდა — „მას უკვე აღარსად ლებულობენ“. წარმოიდგინა, როგორ აღის დიდებული სახლის კიბეზე, საფეხურებს აივლის დიკი და თავის სადარბაზო ბარათს აძლევს სახლთუხუცესს. ის კი, აუწყებს: „ჩვენ თქვენ უკვე ვეღარ მივიღებთ“. მერე დაუყვება ავენისუს, და სადაც კი მივა, უთვალავი სახლთუხუცესები სხვა დესპანების, ნდობით აღჭურვილი პირებისა და ელჩებისა, ერთსა და იმავეს ეუბნებიან...

ნიკოლი წასვლაზე ფიქრობდა. უკვე იცოდა რაც იქნებოდა, დიკი ჭინჭარდასუსხულივით შეტოკდება, ხიბლს დაიბრუნებს და როზმერიც, რაღა თქმა უნდა, ვერ გაუძლებს. და მართლაც, წუთის მერე დიკის ხმაში ნატამალიც კი აღარ იყო იმ უსიამოვნო სიტყვებისა, რაც მანამდე თქვა:

„მერიზე, კაცმა რომ თქვას, რა უნდა ვთქვა, როგორც უნდა ისეა და ისე ცხოვრობს. მაგრამ ძნელია კარგად მოექცე იმათ, ვინც შენ აღარ გაქცევა კარგად“.

როზმერი იმწამს იმავე ტონში ალაპარაკდა, მტრედევით ლულუნებდა.

„თქვენ ისეთი კარგი ხართ, დიკ. თუნდ აწყენინოთ ვინმეს რამე, ვერ წარმოვიდგენ არ გაპატიონ“. მერე მიხვდა, რომ გადააჭარბა და იმ ზღვარს გადასცდა, მხოლოდ ნიკოლს რომ ეკუთვნოდა, თვალეები დახარა და დაივერებს შუა. ქვიშაზე ერთ წერტილს ჩააშტერდა. „სულ მინდა გვითხოთ, ორივეს, რა აზრისა ხართ ჩემს ბოლო სურათზე — თუ ნახეთ ის ფილმები“.

ნიკოლს არაფერი უთქვამს, მხოლოდ ერთი ფილმი ნახა და მაინცდამაინც ბევრი არ უფიქრია მასზე.

„ერთბაშად ძნელია რაიმეს თქმა, მაგრამ შევეცდები“, თქვა დიკმა. „ვთქვათ, ნიკოლი გეუბნებათ, რომ ლანიე ავად არის. ცხოვრებაში როგორი რეაქცია გექნებოდათ ამაზე? ან სხვა, ვინც გინდა იყოს, ამ ამბავს როგორ მიიღებდა? თამაშს დაიწყებდა — სახით, ხმით, სიტყვებით — სახე მწუხარებას გამოხატავდა, ხმა და სიტყვები — შეშფოთებას და თანაგრძნობას“.

„ღიახ, მესმის“.

„სცენაზე სხვაგვარად ხდება. ყველა დიდი კომედიანტი თავის დიდებას იმით აღწევს, რომ უნარი შესწევს ადამიანის ქეშმარიტი ემოციების — შიშის, შებრალების, სიყვარულის პაროდირებისა“.

„გასაგებია“. თუმცა, მაინცდამაინც გასაგები არ იყო.

„აქტრისას. ეს ბუნებრივი რეაგირება ვერ ექნება. კიდევ ერთი რამ — ვთქვათ გითხრეს, რომ „თქვენი შეყვარებული მოკვდა“. ცხოვრებაში ასეთი რამ მოგცელავდათ, მაგრამ სცენაზე ის უნდა მოახერხოთ, რომ დაძაბული გყავდეთ მაყურებელი — „ბუნებრივი რეაგირება“ თვითვე ექნებათ. აქტრისა,



ჯერ ერთი, ტექსტს მიჰყვება, თან უნდა შეეძლოს, რომ აუდიტორია ფიქრობდეს მასზე და არა რომელიმე მოკლულ ჩინელზე, ანდა კიდევ სხვა რაღაცაზე, რაც გინდა იყოს. ამისათვის კი საჭიროა ისეთი რამე გააკეთოს, რასაც არ ელის მაყურებელი. თუ მაყურებლისთვის ცნობილია, რომ თქვენს ფიქრს ძლიერია, სუსტი უნდა აჩვენოთ და თუ სუსტია, ძლიერი უნდა აჩვენოთ. მთლიანად უნდა გამოხვიდეთ სახიდან — გასაგებია?”

„მთლად გასაგები არ არის“, აღიარა როზმერიმ. „რას გულისხმობთ სახიდან გამოსვლაში?“

„აკეთებთ იმას, რასაც არ ელის მაყურებელი, მანამდე, სანამ არ მოახერხებთ, რომ ისევ თქვენზე იფიქროს და ისევ მიიპყროთ ყურადღება“.

ნიკოლს მეტის ატანა აღარ შეეძლო. მკვეთრი მოძრაობით წამოდგა უცებ, არც უცდია დაეფარა მოუთმენლობა. როზმერიმ, უკვე რამდენიმე წუთის წინათვე ბუნდოვნად იგრძნო, რაღაც ვერ იყო კარგად საქმე, ტოპსის შეხედა, წყნარად, ღიმილით, თითქოს ამათი დაშოშმინება ამითი სურსო.

„გინდა მსახიობი გამოხვიდე, როცა გაიზრდები? მე მჯერა, რომ შესანიშნავი მსახიობი იქნები“.

ნიკოლმა ცივად შეხედა და პაპამისის ხმით, აუჩქარებლად და მკაფიოდ უთხრა:

„სავსებით დაუშვებელია სხვათა ბავშვებს ასეთი აზრები ჩაუდოთ თავში. უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენ შეიძლება სხვა გეგმები გვაქვს, როცა ბავშვებს ეხება საქმე“. მკვეთრად მიტრიალდა დიკისკენ. „მე შინ წავალ, მანქანით. შენ და ბავშვებს მიშელს გამოგიგზავნით“.

„მაგრამ, რამდენიმე თვეა საჭესთან აღარ მჯდარხარ“, მიუგო დიკმა.

„არაფერია, ტარება არ დამვიწყებია“.

არ შეუხედავს როზმერისთვის, რომლის სახეც ცხადად და შმაგად გამოხატავდა „ბუნებრივ რეაგირებას“ და ქოლგიდან გავიდა, რომ ჩაეცვა.

კაბინიდან ისევ ისეთი სახით გამოვიდა, გაბრაზებული, შეულწეველი და მკაცრი იერით. მაგრამ ფიჭვებიან გზაზე გავიდა და სუყველაფერი შეიცვალა — მწვანე ვარჯები ევლებოდა თავს, ერთი ტოტიდან მეორეზე დახტოდა ციყვი, ფოთლებში ქარი შრიალებდა, შორით მამალმა დაიყვილა და სიწყნარე გააპო, მზის სხივები უძრაობის საფარს ატანდა, პლაჟის ხმაური აქამდე არ აღწევდა და ნიკოლი მოეშვა, ახლა ლაღად და ხალისით იყო, ბედნიერი; ფიქრები წკრი-ალა ზარებივით მკაფიო გაუხდა — ახლა გრძნობდა, რომ ჯანსაღი იყო, ახალ-თახალი, უზარმაზარი და ხასხასა ყვავილივით გაიშალა და ლაბირინთიდან გამოდიოდა, ლაბირინთიდან, სადაც ამდენ ხანს ხეტიალობდა უგზო-უკვლოდ. პლაჟზე ფიქრიც კი არ უნდოდა, ეჯავრებოდა იქაურობა, ყველა ადგილი, სადაც მზე დიკი იყო და თვითონ — პლანეტა, იმ მზის გარშემო.

„ახლა მე უკვე კარგადა ვარ“, ფიქრობდა იგი. „უკვე თვითონვე ვდგავარ ფეხზე, უიმისოდ“. და გახარებული ბავშვივით, ჩქარა უნდოდა სულ ბოლომდე რომ ეგემა ეს სავსეობა, და თუმცა ბუნდოვნად გრძნობდა, იცოდა, რომ აქ დიკის ხელიც ერია და ამას ელოდა ნიკოლისაგან, შინ მისვლისთანავე საწოლზე დაეარდა და ტომი ბარბანს ნიცაში პატარა, გამომწვევი ბარათი მისწერა.



მაგრამ ეს დღისით იყო — საღამოსთვის კი ნერვული აგზნება დასრულდა, ჩაცხრა, ნიკოლი მიყუჩდა და შებინდებისას ისევ ისრები წამოვიდა, არ იცოდა, რა ჰქონდა დიკს გუნებაში და ეს აშინებდა; გუმანით ახლაც ისევ იმეორებდა, რომ ბოლო ხანებში თავის საქციელს დიკი თითქოსდა რაღაცს უმორჩილებდა, ეშინოდა დიკის გეგმების — ყოველთვის რომ ლოგიკური ასრულება ეწერა ხოლმე, და ნიკოლი ვერას ახერხებდა. თავიდანვე სულ ასე იყო, დიკი ფიქრობდა მათ მაგივრად და მაშინაც, როცა შინ არ იყო, ნიკოლის ყველა საქციელი თავისთავად ეხამებოდა დიკის ნებას, ამიტომაც ახლაც უჭირდა თავისი და დიკის ზრახვები გაეშორა ერთმანეთისგან. არადა, თვითონ უნდა ეფიქრა; ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა უკვე იცოდა მოჩვენებათა საშინელი სამყაროს კარი და მისი ციფრი, იმ კარისა, რომლის ზღურბლზე თავის საშველად შემდგარისთვის ხსნა აღარ არის; მან იცოდა, რომ ამიერიდან ყველაზე დიდი შეცოდება თავისი თავის მოტყუება იქნებოდა. გაკვეთილი ხანგრძლივი იყო, მაგრამ კარგადაც აითვისა. თვითონ იფიქრე — არადა ისინი, ვინც შენ მაგივრად იფიქრებენ, მთელ ძალას წაგართმევენ, გარდაქმნიან შენს ჩვევებსა და გემოვნებას, თავისებურად გაგწვრთნიან და გამოგფიტავენ.

მშვიდად ივახშმეს სასადილო ოთახში, სინათლე არ აუნთიათ. დიკი ბევრ ლუდს სვამდა და ბავშვებთან ხალისით ლაპარაკობდა. მერე შუბერტის რამდენიმე და ამერიკიდან ამას წინათ მიღებული ჯაზური სიმღერები დაუკრა. ნიკოლი ნოტებში იხედებოდა იმის მხარზემთ და თავისი სასიამოვნო, ოდნავ ჩახშული კონტრალტოთი ღიღინებდა.

მადლიერი ვარ მამა-ა  
 მადლიერი ვარ დედა-ა  
 რომ ერთმანეთს შეხვდით ბედოდ...

„სისულულეა, არ მომწონს“, თქვა დიკმა, და დააპირა სხვა გვერდზე გადაეშალა.

„არა, ბოლომდე დაუკარი!“ წამოიძახა ნიკოლმა. „მთელი სიცოცხლე უნდა ვკრთებოდე სიტყვა „მამაზე?““

— მადლიერი ვარ იმ ცხენისა, საბრალოსი, ორთვალას რომ ძლივს ეწეოდა,  
 მადლიერი ვარ ორივესი, იმ ღამეს რომ გადაკრულში იყავით ცოტა...

გვიან საღამოს ბავშვებთან ერთად მავრული სტილის ბანზე ისხდნენ და სანაპიროზე ერთმანეთისგან შორიშორი კაზინოების თავზე ავარდნილ ბრიალა შუშუნებს უყურებდნენ. მარტოობა და სევდა იყო ასე ახლო და გულმშრალად ყოფნა.

მეორე დღიას, კანიდან რომ დაბრუნდა, სადაც რაღაცები უნდა ეყიდა, დიკის ბარათი დახვდა, ბარათში ეწერა, რომ რამდენიმე დღით მარტო უნდოდა ყოფილიყო და პატარა მანქანით პროვანსში წასულიყო. ჩაკითხვაც ვერ მოასწრო ბარათისა და ტელეფონის ზარიც გაისმა — ტომი რეკავდა მონტე კარ-



ლოდან, წერილი მივიღე და ტარში მანქანით მოვდივარო. თავისი ბაგის სითბო იგრძნო ტელეფონის მიღზე ნიკოლმა, როცა, გელოდებით, უპასუხა.

ქართული  
ბიბლიოთეკა

VIII

აბაზანის მერე ნიკოლმა ნელსაცხებელი წაიცხო, ოდნავ; პუდრი წაისვა სხეულზე, თან პუდრდაყრილ ხაოიან პირსახოცს ტკეპნიდა ფეხის წვერებზე ზეაწეული. მერე თავის თავს კარგა დიდხანს აკვირდებოდა, თავისთვის სჯიდა რა იქნებოდა, მალე თუ დაკარგავდა ეს მშვენიერი და ნარნარი აღნაგობა მომხიბვლელობას. ალბათ ერთი ექვსი წლის მერე, მაგრამ ახლა — ახლა კარგი ვარ, ბევრზე კარგიც, ვისაც კი ვიცნობ, ფიქრობდა იგი.

ნიკოლი არ აჭარბებდა. ერთადერთი ფიზიკური სხვაობა ახლანდელსა და ხუთი წლის წინანდელ ნიკოლს შორის ის იყო, რომ ახლა უბრალოდ უკვე ქალი იყო, მაგრამ მაინც შურდა თავისზე ახალგაზრდებისა — ახალგაზრდობის თანადროული კულტი იჩენდა თავს, ერთმანეთში არეული მირიადი სახეები ახალმოზარდი, ლამის ბავშვი ვარსკვლავებისა, ეკრანით თითქოს ქვეყნის ძალას, მთელ სიბრძნეს რომ იტევენ და იმათი შურდა, ეჭვიანობდა.

კოჭებამდე გრძელი კაბა ჩაიცვა, კარგა ხანია ასეთ კაბას დღისით აღარ მიჰკარებია, წლები გავიდა იმის მერე, „შანელ 16“ დაიპყრა ჯვარედინად, ნაუცბათევად და როცა პირველ საათზე ტომის მანქანა ვილა „დაიანას“ წინ გაჩერდა, მოვლილი და აყვავებული ბალივით იყო.

რა კარგია ხელახლა იგრძნო ეს ყველაფერი, ისევ ვილაცის თაყვანისცემა, თითქოს რაღაცა იდუმალი! ორი ფასდაუდებელი წელი ამოვარდა ლამაზი ქალიშვილის ცხოვრებიდან, თანაც რა დროს, და ახლა თითქოს სურდა შეევესო ის ორი წელი; ტომის, თითქოს ნიკოლის ერთი უთვალავ თაყვანისმცემელთაგანიაო, ისე შეხვდა და როცა ბალი გადაჭრეს და სიენის ბაზრიდან მოტანილი ქოლგისკენ წავიდნენ, გვერდით კი არ მიჰყვებოდა, ოდნავ წინ მიდიოდა. ცხრამეტისა და ოცდაცხრა წლის მიმზიდველ ქალებს, ერთნაირადა სჯეროდათ ხოლმე თავისი თავის; ოცი წლის მერე კი, ათ წელიწადში, ქალური არსის მომთხოვნელობა უშლის ქალს ხელს, რომ სამყაროს ცენტრად იგრძნოს თავი. ცხრამეტწლიანების კადნიერი გულდაჯერება კადეტის მამლაყინწაობასა ჰგავს, ოცდაცხრაწლიანები კი, ამ მხრივ უფრო ორთა ჭიდილში გამარჯვებულ მოკრივეებს შეედრებიან, ამაყი სვლით რომ მოდიან ხოლმე.

მაგრამ ცხრამეტი წლის ქალიშვილს თუ ზედმეტი ყურადღებით ანებივრებენ, ოცდაცხრა წლის ქალს გულდაჯერებისთვის უფრო დახვეწილი მასალა აქვს საზრდოდ. წყურვილი თუ კლავს, ბრძნულად ირჩევს აპერიტივებს, ანდა, დაკმაყოფილებული, გეგონება, ხიზილალააო, თავის პოტენციურ ძალას ატანს გემოს, საბედნიეროდ, არც ერთ შემთხვევაში იგი არ ფიქრობს მომდევნო წლებზე, როცა ალღოს სულ უფრო ხშირად აუმღვრევს პანიკური შიში, როცა შეჩერება შეაშინებს და წინ წასვლისაც შეეშინდება, მაგრამ ცხრამეტი და ოცდაცხრა, კიბეებშუა ბაქანია, სადაც შეიძლება არ გეშინოდეს — არც პოლში და არც დერეფანში დათვი არ არის.

ნიკოლს რაიმე ბუნდოვანი და სულიერი რომანი კი არ უნდოდა — „საქმე“ უნდოდა, ცვლილება სჭირდებოდა. ფიქრობდა რა დიკის ფიქრებით,



ესმოდა, რომ ერთი შეხედვით უაზრობა და ვულგარულობა იქნებოდა უხიყვარულოდ, უემოციოდ აპყოლოდა გატაცებას, რაც, კარგს არავის არას უქადდა, მაგრამ იმავ დროს, მიაჩნდა, რომ ამ ვითარების შექმნაში ახლა დიკს მიუძღოდა უფრო ბრალი და გულწრფელად ფიქრობდა, ასეთი ცდა სავსებით იქნებოდა. მთელ ამ ზაფხულს ბევრის ცხოვრებას აკვირდებოდა, ბარგოსიკის ცხოვრებას, ისე ცხოვრობდნენ, ამით არარა უშავდებოდათ და ესეც აძლევდა ძალას — უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვიტა, თავი არასდროს მოვიტყუო, ერჩივნა ახლა დაეჭერა, რომ მხოლოდ მოსინჯვა თუ უნდოდა თავისი გზისა, ეს თავისი ნება იყო და რა წუთსაც კი მოისურვებდა, შეეძლო უკან დაეხია...

ჩრდილში რომ მოექცნენ, ტომიმ, გეგონება, თეთრმა იხვმა ფრთა აიქნია, მკლავი გაშალა და ნიკოლი თავისკენ მიიზიდა. თვალეში ჩახედა.

„არ გაინძრეთ“, უთხრა ნიკოლმა. „დიდხანს უნდა გიყუროთ ახლა“.

ტომის თმას რაღაც სურნელი და თეთრ კოსტიუმს კი ოდნავ საპნის სუნი დაჰკრავდა. ნიკოლი არ იღიმებოდა, ტუჩები მაგრად მოეკუმბა. ერთ წუთს უბრალოდ ასე იდგნენ და ერთმანეთს უყურებდნენ.

„მოგწონთ, რასაც უყურებთ?“ ხმადაბლა ჰკითხა.

„Parle français“<sup>1</sup>.

„კარგი“, ფრანგულად უთხრა ნიკოლმა და იგივე ჰკითხა. „მოგწონთ, რასაც უყურებთ?“

ტომიმ უფრო მიიზიდა.

„მე თქვენი ყველაფერი მომწონს“. ცოტა ხანს გაჩერდა, „მეგონა, რომ კარგად ვიცოდი თქვენი სახე, მაგრამ თურმე არის კიდევ რაღაცა, რაც ადრე არ შემიმჩნევია. რამდენი ხანია რაც ასეთი უწყინარი ყალთაბანდის გამოხედვა გაქვთ?“

შემცბარმა და ბრაზმორეულმა ნიკოლმა განზე გაიწია და ინგლისურად წამოიყვირა:

„ამიტომ გსურდათ, ფრანგულად რომ გველაპარაკა?“ დაინახა, მსახურს ხერესი და ორი ბოკალი მოჰქონდა, ამათკენ მოდიოდა და ხმას დაუწია. „უფრო იოლად რომ წარმოგეთქვათ შეურაცხმყოფელი სიტყვები?“

აღშფოთებული მივიდა სკამთან და პატარა საჯდომით ვერცხლისფერი ფარჩა ჩაზნიქა.

„სარკე თან არა მაქვს“, ისევ ფრანგულად, ოღონდ უფრო მკვახედ განაგრძო, „მაგრამ თუ გამოხედვა შემეცვალა, ეს იმის გამო, რომ მე უკვე ისევ კარგადა ვარ და რაკი კარგად ვარ, ჰეშმარიტი ბუნებაც ისევ დამიბრუნდა — მე მგონია, პაპაჩემი იყო ყალთაბანდი და მემკვიდრეობით გადმომეცა, ეს არის და ეს. დაკმაყოფილდა თქვენი ლოგიკური გონება?“

ტომი უყურებდა და ვერ გაეგო რაზე ლაპარაკობდა ნიკოლი.

„დიკი სად არის — ჩვენთან ერთად არ ისაუზმებს?“

ნიკოლი მიხვდა, თავის სიტყვებს ტომი დიდ რამედ არ მიიჩნევდა და გაიცინა, რომ წყენა წაეშალა.

„დიკი პროვანსშია“, თქვა მან. „როზმერი ჰოიტი გამოჩნდა და ან იმასთან ერთად წავიდა, ანდა გრძნობები ისე აეშალა, რომ მარტოობაში ისურვა მასზე ეოცნება“.

<sup>1</sup> „ფრანგულად ილაპარაკეთ“ (ფრანგ.).



„მაინც რაღაც ცოტა უცნაური ქალი ხართ, ნიკოლ“.

„არა, რას ამბობთ!“ სწრაფად მიუგო ნიკოლმა. „სავესებით ჩვეულებრივი, მართლა — ოღონდ ჩემში ბევრი ქალია ერთად და — ყველა სხვადასხვა“.

მარიუსმა ნესვი და ყინულიანი პატარა სათლი მოიტანა. ნიკოლი ფიქრობდა. ტომის სიტყვები, უწყინარი ყალთაბანდის გამოხედვა, თავიდან არ შორდებოდა; ეს კაცი ერთი იმათგანი იყო, ვინც მთელი კაცლებით იცოდა გამასპინძლება, იმის მაგივრად, რომ გაეტეხა და ისე, ლებნებად მიერთმია.

„რად შეგიშალეს ხელი, დარჩენილიყავით ისეთივე, როგორცა ხართ“, ისევ დაიწყო ტომიმ. „თქვენი ბედი ამალეღვებელია, ასეთ პიროვნებას სხვას არც კი ვიცნობ“.

ნიკოლმა არაფერი თქვა, არ იცოდა რა ეპასუხა.

„ო, ეს ჭირვეულთა მომრჩულელები!“ ირონიულად ჩაიფრუტუნა ტომიმ.

„ყველა საზოგადოებაშია გარკვეული...“ დაიწყო ნიკოლმა, იდაყვთან თითქოს დიკი ედგა, მისი აჩრდილი აძლევდა რჩევას, დ მაშინვე გაჩერდა, ტომის ხმას, მის ტონს დაემორჩილა.

„ჩემს ცხოვრებაში ბევრი კაცისთვის მისწავლებია ჭკუა ძალით, მაგრამ ქალთან ასე ვერ მოვიქცეოდი, ასეთი „კეთილი“ ჭირვეულობა, მე თუ მკითხავთ, უარესია. ვის რად არგია — თქვენ, მას, ანდა, კიდევ — ვინმე სხვას?“

ნიკოლს გული შეეკუმშა, თითქოს სადღაცა ჩაუვარდა, ძალიან კარგად იცის ნიკოლმა, რასაც უნდა უმადლოდეს დიკს.

„მე მგონია, მე მაქვს...“

„თქვენ გაქვთ ძალიან ბევრი ფული“, მოუთმენლად შეაწყვეტინა ტომიმ. „ამით ბრკოლდება ყველაფერი. დიკს ეს ვერ გადაუტანია“.

სანამ ნესვს გაიტანდნენ, ნიკოლი ჩუმად იჯდა, ფიქრობდა, „როგორ გგონიათ, რა უნდა ვქნა ახლა?“

ამ ათ წელიწადში პირველად გრძნობდა სხვა კაცისა და არა თავისი ქმრის გავლენას, ტომის ყველა სიტყვა და ფრაზა სამუდამოდ შეესისხლხორცა ამიერიდან.

იმ ერთ ბოთლ ხერესს სვამდნენ, ფიქვის ტოტებში ნიავი ნავარდობდა და წიწვებს არხევდა, მოთენთილი შუადლის სიცხე დამაბრმავებელ ჭორფლს აყრიდა ჭრელ საფარებელს მაგიდაზე. ტომი ადგა, მხრებზე ხელები შემოხვია, მერე თითები მოიქცია თავის ხელებში, ლოყა ლოყას შეეხო და ბაგე ბაგეს — და ნიკოლს ლამის სული შეეხუთა ვნებისა თუ გაოცებისგან, რომ ასე ძლიერი იყო ეს ვნება...

„არ შეიძლება, გუვერნანტი შუადლით ბავშვებთან ერთად გაუშვათ სადმე სასეირნოდ?“

„ბავშვებს მუსიკის გაკვეთილი აქვთ, თანაც — არ მინდა აქ დარჩენა“.

„კიდევ მაკოცე“.

ცოტა ხნის მერე, მანქანაში, ტომის და ნიკოლს ნიცისკენ რომ მიაქროლებდა, ნიკოლი ფიქრობდა: მაშ მე უწყინარი ყალთაბანდის გამოხედვა მაქვს, არა? იყოს ასე, პურიტან ფსიქოპათს ისევ ჯანსაღი ყალთაბანდი ჯობია იყო.

თითქოს ამითი მოეხსნათ მთელი ბრალი და დანაშაული, ახლებურად დაინახა თავისი თავი და სიხარულის ჟრუანტელმა დაუარა. სულ სხვა ხედები იშლებოდა იმის წინ ახლა, ბევრ კაცს უნდოდა მასთან შეხვედრა და არ სჭირ-



დებოდა მორჩილება თუნდ ერთ მათგანთან, ან ჰყვარებოდა ერთი მათგანი. სული მოითქვა, მხრები შეარხია და ტომის მიუბრუნდა.

„მთელი გზა უნდა გავიაროთ და იმ ოტელშია მისვლა საჭირო, სადაც ცხოვრობთ, მონტე-კარლოში?“

ტომიმ ისე მკვეთრად დაამუხრუჭა მანქანა, რომ სალტებებს, როგორც ვიხსენებ, გაისმა.

„არა!“ წამოიძახა მან. „და, ღმერთო ჩემო, არასოდეს ვყოფილვარ ისე ბედნიერი, როგორც ამ წუთში“.

ნიცას უკვე გამოსცდნენ და გზა ცისფერი სანაპიროსი, მიხვეულ-მოხვეულად აღიოდა კორნიშისაკენ, მაგრამ ტომიმ მკვეთრად მოატრიალა მანქანა მარჯვნივ, დალაბრა კონცხი გაიარა და ზღვისპირა პატარა ოტელის უკან გაჩერდა.

ასეთმა რეალობამ წამით ნიკოლს შიში მოჰგვარა. კანტორასთან ვიღაც ამერიკელი გაუთავებლად კამათობდა ერთ კლერკთან. სავალუტო კურსის თაობაზე. გულში რაღაც საწყლად და ბეჩავად, მაგრამ გარეგნულად აუღელვებელი და მშვიდი ნიკოლი იცდიდა, ვიდრე ტომი სარეგისტრაციო ფურცლებს ავსებდა, თავისთვის — თავის სახელზე და ნიკოლისთვის — გამოგონილზე. მათი ოთახი ისეთი იყო, როგორც ყველა ხმელთაშუა ზღვის აგარაკების ოტელებში — თითქმის მარმარა, თითქმის ასკეტური, დარაბებით, ზღვის თვალმომჭრელი ელვარების დასაფარავად. უბრალო, სადა თავშესაფარი უბრალო სიამოვნებათათვის. ტომიმ კონიაკი შეუკვთა, როცა ოფიციალტი გავიდა და კარი გაიხურა, იმ ერთადერთ სავარძელში ჩაჯდა, ნამზეური, ლამაზი, მორკალული წარბებით, გამართული და ლოყაზე ნაჭრილობევით — მღელვარე პეკი, ოცნებაში ჩაძირული სატანა.

კონიაკი ჯერ ბოლომდე არ დაელიათ, რომ რაღაც ძალამ წამოაყენა უცებ ორთავე და ერთმანეთს მიაგდო; მერე საწოლზე დააწვინა ტომიმ ნიკოლი და მაგარ, ნამზეურ მუხლებს კოცნიდა. ნიკოლი არ გასძალებია, მხოლოდ ოდნავ თუ, და თავმოკვეთილი ნადირივით, უკვე დაავიწყდა დიკიც, თავისი ახალი გამოხედვაც, დაავიწყდა ტომიც, და ღრმად, უფრო ღრმად იძირებოდა იმ წუთებსა და იმ წამებში.

...როცა ტომი წამოდგა და ფანჯარასთან მისულმა დარაბა გახსნა, რათა გაეგო რა ხდებოდა ფანჯრებქვევით და რა ხმაური შემოდისოდა, ნიკოლს დიკზე უფრო მზედაკრული და ძლიერი ეჩვენა იგი; მზეზე კუნთები დაჭიმული და სრიალა ჩანდა. რაღაცა წუთში ტომისაც დაავიწყდა ნიკოლი და როცა სხეულით მოწყდა მის სხეულს, ნიკოლმა უცებ თითქოს იგრძნო, რომ ყველაფერი მხოლოდ ისე არ იქნებოდა, როგორც ელოდა. ეს ის შიში იყო, რომელსაც სახელი არა აქვს და წინ უსწრებს ხოლმე სიხარულსაც და მწუხარებასაც, გარდაუვალი, ისე როგორც ქექა-ქუხილი ქარიშხლისა და გრიგალის წინ.

ტომიმ ფრთხილად გადაიხედა აივნისა და მერე მოახსენა:

„არაფერი ჩანს, ამ აივნის ქვევითა აივანზე ორი ქალია, ამერიკულ საქანელებში სხედან და ამინდზე ლაპარაკობენ, ეს არის და ეს“.

„და იმათგან მოდის ეს ხმაური?“

„არა, ხმაური სადღაც უფრო ქვევიდან მოდის. მოუსმინე“.

ოჰ, იქ, სამხრეთში, იმ მიწაზე, ბამბა რომ მოჰყავთ, ოტელები ცარიელია, და ბიზნესი ურჩებათ ოხრად,



აბა რას ნახავ...

„ამერიკელები არიან“.

ნიკოლმა მკლავები გაშალა საწოლზე და ჭერს მიაშტერდა, პუდრის სინოტივისაგან ტანი თითქოს რძისა გაუხდა, მოსწონდა ეს შეშველილი თაბი, ერთადერთი ბუზის ბზუილი ჭერთან ახლო. ტომიმ საწოლთან მისწია საკვარძელი და ზედ რაც ელაგა, ძირს დაყარა, რომ დამჯდარიყო; ნიკოლს ისიც მოსწონდა, რომ თან ახლა ასე ცოტა რამ ჰქონდათ, ესპადრილები, ქარზე უფრო უმსუბუქესი კაბა, ესეც ტომის ქერელის ტილოს შარვალთან ერთად ეყარა იატაკზე.

ტომი საროტანს აკვირდებოდა, თეთრი ტორსი მკვეთრად ემიჯნებოდა ყავისფერ კიდურებსა და თავს, მერე თითქმის სერიოზულად, მაგრამ სიცილით უთხრა:

„ახალდაბადებული ბავშვივითა ხარ“.

„ყალთაბანდის თვალებით“.

„ამას მოვუვლით“.

„ძალიან ძნელია თვალების მოვლა, მეტადრე მაშინ, თუ ჩიკაგოშია გაკეთებული“.

„არაფერია, მე კარგად ვიცი ლანგედოკური ყველა ხალხური საშუალება“.

„მაკოცე, ტუჩებში, ტომი“.

„ეს ძალიან ამერიკულია“, თქვა ტომიმ, ოღონდ, მაინც აკოცა. „ბოლო დროს, ამერიკაში ყოფნისას ბევრ ქალიშვილს შეეხვდი, ლამის ტუჩები დაგაგლიჯონ და თვითონაც დაიგლიჯონ, ისე გკოცნიან, სისხლი მოაწვებათ ხოლმე სახეზე და ტუჩები უსკდებათ — მაგრამ ამაზე შორს აღარ მიდიან“.

ნიკოლი წამოიწია და იდაყვს დაეყრდნო.

„მომწონს ეს ოთახი“, თქვა მან.

„ჩემი აზრით, ცოტა ღარიბულია. ძვირფასო, რა კარგია, რომ მონტე-კარლომდე მოცდა არ ისურვე“.

„რად არის ღარიბული? შესანიშნავი ოთახია, ტომი — სეზანისა და პიკასოს შიშველი მაგიდეებივითაა“.

„არ ვიცი“. და არც უცდია გაეგო მისთვის. „ისევ ის ხმაურია. ღმერთო ჩემო, რა ამბავია, კლავენ ვილაცას?“

ფანჯარასთან მიბრუნდა და ისევ მოახსენა:

„მე მგონია, ორი ამერიკელი მეზღვაურია, ორი ჩხუბობს, სხვები კი აქეზებენ. თქვენი კრეისერიდან არიან, რეიდზე რომ დგას“. თეძოებზე პირსახოცი შემოიხვია და აივანზე გავიდა. „თან poules<sup>1</sup> ჰყავთ. ახლა ასე შემოიღეს — ეს ქალები პორტიდან პორტამდე მიჰყვებიან. მაგრამ როგორები! კაცმა რომ თქვას, იმდენი კი აქვთ, შეუძლიათ უკეთესი ქალები ნახონ! რა ქალებს ვხვდებოდით თუნდაც კორნილოვის ჯარში! რაღა ქალი და რაღა ბალერინა!“

ნიკოლს ესეც უხაროდა, რომ ტომი ბევრ ქალს შეხვედროდა ცხოვრებაში, იმდენად ბევრს, რომ თვითონ სიტყვა „ქალი“ უკვე აღარაფერს იწვევდა, და, ძალიან კარგიც, ვიდრე ნიკოლში ქალურ სილამაზეზე უფრო მეტს ხედავს, იოლად შეძლებს ტომის „დაჭერას“.

„ეგრე, მი-დი!“

„პეი, მიარტყი, მანდ მტკივნეულია, გეუბნები!“

<sup>1</sup> გოგოები (ფრანგ.).



„აა-აა-ა!“

„მარჯვენათი, როგორც ვითხარი!“

„რას შვრები, დულშიმიტ, ოხრიშვილი!“

„აა-აა-ა!“

„მი-დი-ი!“

ტომი ოთახში შემობრუნდა.

„აქ გაჩერება აღარა ღირს, თანახმა ხარ?“

თანახმა იყო, მაგრამ ჩაცმამდე ისევ მიეკვრნენ ერთმანეთს და რაღაც წუთებში ეს ღარიბული ოტელი არა, სასახლესავით ადგილი იყო...

ბოლოს და ბოლოს ტომიმ ჩაიცვა, ფანჯარაში გაიხედა და წამოიძახა:

„ღმერთო ჩემო, ეს ორი ქალი აივნის ქვეშ, საქანელებში ისე სხედან და და ლაპარაკობენ, შებრუნებაც არ უფიქრიათ, ვითომდა რაო, რა მოხდაო; აქ იმისათვის ჩამოვიდნენ, რათა მომჭირნედ გაატარონ შევებულება და ვერც ამერიკის სამხედრო ფლოტი და მთელი ევროპის მეძავეებიც ვერ დაურღვევენ მყუდროებას“.

ნიკოლთან მივიდა და ნაზად მოეხვია, ჩამოცურებულ სამხრეს კბილებით უსწორებდა, რომ სწორედ ამ დროს რაღაცა გრიალი გაისმა: ქრ-ექ-ბუუმ-მ-მ! კრეისერი უხმობდა თავის მეზღვაურებს.

მაშინვე, იმათი ფანჯრის ქვეშ საშინელი ორომტრიალი ატყდა — ჯერ არავინ იცოდა საით მიდიოდა ხომალდი, რადგან არავინ აცხადებდა. ოფიციალტები აუღელვებლად მოითხოვდნენ ანგარიშის გასწორებას და მათი ხმები ლანძღვასა და აღშფოთებულ წამოძახილებში ირეოდა; ისმოდა ბანკნოტების შრიალი, ხურდისა და წვრილი ფულის, მონეტების ჩხარუნი, ვილაცას წამოდგომის თავი აღარა ჰქონდა და ძმაკაცებს მიჰყავდათ, და მთელ ხმაურს ფარავდა სამხედრო-საზღვაო პოლიციის ჩინოსანთა მოკლე და სწრაფი ბრძანებები. ბოლოს ყვირილი, ტირილი, თხოვნა, დაპირებები. ნაპირს პირველი ბარკასი მოშორდა და ნავმისადგომთან შეყრილი ქალების ქვითინიცა და კივილიც თან გაიყოლა.

ტომიმ დაინახა, ერთი ქალიშვილი ქვევითა აივანზე ავარდა, მოაჯირს გადაწვა და გაშმაგებით მოჰყვა რესტორანის თეთრი ხელსახოცის ქნევას, და სანამ იმ ინგლისელი ქალების სიფათებს შეხედავდა, საქანელებში რომ ისხდნენ და გაიგებდა, ამ ამბით მაინც თუ დაერღვათო უშფოთველობა, ვილაცამ ამათ კარზე დააკაკუნა. ქალების აღელვებული ხმები ისმოდა. იხვეწებოდნენ, კარი გაგვიღეთო, ნიკოლი თანახმა იყო და ტომიმ გაუღო. კარს იქით ორი ქალიშვილი იდგა, ორი გოგო, ბარბაროსებსა ჰგვანდნენ, ვინ იყვნენ, ვის დაჰკარგოდნენ. ერთი მათგანი გულამოსკვნით ტიროდა.

„შემოგვიშვით, თქვენი აივნიდან დავუქნევთ ხელს!“ ძლიერი ამერიკული აქცენტით იხვეწებოდა მეორე. „ძალიან გთხოვთ, თუ შეიძლება, შემოგვიშვით! ხელს დავუქნევთ მეგობარ ბიჭებს? ძალიან გთხოვთ! სხვა ოთახები დაკეტილია“.

„სიამოვნებით“, მიუგო ტომიმ.

ქალიშვილები აივნისკენ გავარდნენ და იმ გრიალსა და ხმაურში იმწამსვე გაისმა ორი გულგამგმირავი დისკანტი.

„ჩარლი! ჩარლი, მოიხედე!“

„ნიცაში მოიწერე მოთხოვნამდე!“





„ჩარლი ვერ მხედავს“.

ერთმა ქალიშვილმა უცებ კაბა აიწია, ვარდისფერი ტრუსი გაიძრო, შუაზე გახია და ველურივით მოჰყვა ამ სახელდახელო დროშის ქნევას „ბენი ბენი“ გაჰკიოდა თან. როცა ტომი და ნიკოლი ოთახიდან გამოდიოდნენ, ისევ ირხეოდა ლურჯი ცის ფონზე ეს ნაზი ფერი, სხეულის ფერს ~~ჩაქრებულ~~ ~~სვერის~~ ანძაზე კი ვარსკვლავ-წინწკლები დროშა იწევდა მეტოქესავით, ~~მალლა~~ და ~~მალლა~~.

• •

მონტე-კარლოში ისადილეს, ახალ, ზღვისპირა კაზინოში... გვიან საღამოს კი, როცა ბოლიეში გაჩერდნენ, მონაკოსა და ნისლში გახვეული მენტონის გამომღმა, ფოსფორესცენციური წყლის თასის ზემოთ, უფერო კენჭებისა და ქვების რკალში მთვარის შუქი ხვიშირივითა ჩანდა და, იქ იბანავეს. ნიკოლს მოსწონდა, რომ ტომიმ ამ ადგილს მოიყვანა, აღმოსავლეთისკენ რომ ჰქონდა პირი და სად ქარის ქროლაც ახალი იყო და წყლის ლივლივიც, ისევე, როგორც თვითონვე იყვნენ სულ ახლები ერთმანეთისთვის. ახლა თითქოს დამასკელი ტყვე ქალი იყო, მოიტაცეს და ჯვარედინად დააკრეს ზედ უნაგირს და თვალუწვდენელ უდაბნოს მისცეს, გადაკარგეს. ყველაფერი, რაც მანამდე ასწავლა დიკმა, საოცრად მალე მიეცა უკვე დავიწყებას და შორეულ სახეს უბრუნდებოდა, ქალის პროტოტიპს, ვის გულისთვისაც ამა ქვეყნის ხმალშემართულებს შებმა სწყუროდათ ურთიერთთან, და მთვარითა და სიყვარულით გადაქანცული, შმაგი საყვარლის თავაწყვეტით ხარობდა ახლა.

ერთ და იმავე დროს გაიღვიძეს, მთვარე უკვე გადასული იყო, გრილოდა. თავის თავს ძალა დაატანა, წამოდგა და რომელი საათიაო, იკითხა. ტომიმ თქვა, რომ სამი ხდებოდა.

„დროა, შინ წავიდე“.

„მე მეგონა, მონტე-კარლოში გავათენებდით“.

„არა, სახლში გუვერნანტი და ბავშვები არიან. განთიადამდე უნდა დავბრუნდე“.

„როგორც შენ გინდა“.

წასვლისას ერთხელაც ჩავიდნენ ზღვაში, ამოსვლისას ტომიმ შეხედა, ნახა, ნიკოლი კანკალებდა და მაგრად შეამშრალა პირსახოცით. მანქანაში ჩასხდნენ, თმა ისევ სველი ჰქონდათ, წყლის მერე ახლა კანი უხურდათ. არ უნდოდათ აქედან წასვლა. რიერაჟდებოდა და ტომი რომ კოცნიდა, ნიკოლი გრძნობდა, ტომისთვის ახლა აღარაფერი არსებობდა, გარდა ნიკოლის ფერმიხდილი დაწვეებისა და თეთრი კბილების, გრილი შუბლის და თითებისა, ნაზად რომ ეფერებოდა ტომის სახეზე. ნიკოლი რაღაც ლაპარაკს ელოდა, რაღაცა ახსნას, როგორც ეს დიკთან იყო ზოლმე, მაგრამ ტომი ჩუმად იყო. და როცა მიხვდა, გახარებული და, გეგონება, ბურანში მყოფი, რომ საუბარი არ იქნებოდა, მოხერხებულად ჩაჯდა, ჩასთვლიმა და ასე იყო, სანამ ძრავას შეცვლილი ხმით მიხვდებოდა, რომ აღმართზე აღიოდნენ და ვილა „დაიანას“ უახლოვდებოდნენ. ტომის ჭიშკართან გამოეთხოვა და თითქმის მექანიკურად აკოცა. ბილიკზე თითქოს სხვა მიდიოდა, წარსულში, დიდი ხნის წინათ მიკარგულ ხმებს გამოსცემდა ამ ლამეს ბალი და მაინც უხაროდა შინ დაბრუნება.



მალი სტაკატოთი ჩათავდა დღე და სიამოვნების მიუხედავად, მისთვის ეს მაინც უჩვეულო დაძაბვა იყო.

IX



მეორე დღეს, ოთხ საათზე ჭიშკართან ტაქსი გაჩერდა და იქიდან დიკი გადმოვიდა. ნიკოლმა ტერასა ჩაირბინა მის შესახვედრად, ძველებურად თავის დაქერას ლამობდა და სუნთქვა ეკვროდა.

„მანქანა სად არის?“ ჰკითხა ნიკოლმა.

„არლში დავტოვე. მომბეზრდა საჭესთან ჯდომა“.

„ბარათის მიხედვით, მე მეგონა, რამდენიმე დღით მიდიოდი“.

„მისტრალსა და წვიმაში მოვყევი“.

„კმაყოფილი ხარ?“

„როგორც ყველა, ვინც იმისათვის მიდის, რათა რაღაცას გაექცეს ხოლმე. როზმერი ჩავიყვანე ავინიონამდე და იქ მატარებელში ჩავსვი“. ნიკოლთან ერთად გავიდა ტერასაზე, სადაც თავისი ჩანთა დადო. „ამაზე არაფერი მითქვამს ბარათში, შეიძლება ათასი რამ გეფიქრა“.

„ზრუნვისთვის გმადლობ“. ნიკოლმა ისევ გულდაჯერება იგრძნო ახლა.

„მინდოდა გამეგო, შეიძლება თუ არა როზმერისგან რამეს ელოდო, ამიტომ უნდა მენახა მარტო“.

„მერე — შეიძლება თუ არა?“

„როზმერი არ გაზრდილა, ისეთივეა“, მიუგო დიკმა. „ალბათ ასე უკეთესიც არის. შენ რას აკეთებდი?“

ნიკოლმა იგრძნო, ბოცვერივით შეუთრთოლდა სახე.

„გუშინ საღამოს საცეკვაოდ წავედი — ტომი ბარბანთან ერთად. წავედი...“

დიკი შეიჭმუხნა, შეაწყვეტინა:

„არ გინდა ამის მოყოლა, შენ შეგიძლია, რაც შენა გსურს ის გააკეთო, ოღონდ, მე არ მინდა რამე ვიცოდე“.

„არც არაფერია საცოდნელი“.

„კარგი, კარგი“, მერე, თითქოს ერთი კვირით ყოფილიყო წასული;

„ბავშვები როგორ არიან?“

სახლში ტელეფონის ზარი გაისმა.

„თუ მე მიკითხეს, შინ არა ვარ“. დიკი საჩქაროდ შეტრიალდა. „ფლიგელში შევალ, რაღაცებია მისახელი“.

ნიკოლმა შეიცადა, სანამ დიკი ჭას გასცდებოდა, მერე სახლში შევიდა და ტელეფონი აიღო.

„ნიკოლ, comment vas, tu?“<sup>1</sup>

„დიკი შინ არის“.

ტონის ოხვრა აღმოხდა.

„შევხვდეთ აქ, კანში“, შესთავაზა ტომიმ. „უნდა მოვილაპარაკოთ“.


„არ შემიძლია“.

<sup>1</sup> „მანდ როგორა ხარ?“ (ფრანგ.).



„მითხარი, რომ გიყვარვარ“. ნიკოლმა უსიტყვოდ დაიქნია თავი ტელეფონთან; ტომიმ გაუმეორა, „მითხარი, რომ მე გიყვარვარ“.

„პო, ასეა, მაგრამ ახლა შეუძლებელია“.

„არ არის შეუძლებელი“, მოუთმენლად თქვა ტომიმ.  „დიკმა... რომ იცის, რომ თქვენ შორის გათავდა ყველაფერი, თვითონ დაიხია ეს უხელოვან რაღას უნდა ელოდოს შენგან?“

„არ ვიცი. არ ვიცი, მე ჯერ...“ კინალამ უთხრა: „ჯერ დიკს ვკითხავ“, მაგრამ დროზე შეიკავა თავი და ასე დაამთავრა: „ხვალ დაგირეკავ და მოგწერ“.

სახლს გარს უვლიდა, კმაყოფილი თავისი თავით, რომ ასე მოიქცა. იცოდა, რაც დააშავა და ეს ცოდნა ანიჭებდა კმაყოფილებას; ჯობია ასე, დამწყვდეულ გარეულ ფრინველზე მონადირე მაინც აღარ იქნება ამის მერე. გუშინდელი დღე ახსენებდა თავს, ბევრი რამ თვალწინ წარმოუდგა, ეს დეტალები მეხსიერებიდან საუკეთესო, იმ აღრეულ წუთებს დევნიდნენ, როცა დიკი უყვარდა და ახლა ცოტა გულგრილადაც კი უყურებდა იმ სიყვარულს, ეჩვენებოდა, რომ თავიდანვე ეს უფრო მეტად სანტიმენტალური შეჩვევა იყო. ცვალებად ქალურ მეხსიერებას ძლივს ახსოვდა ის ბედნიერება, ქორწინებამდე ის და დიკი ერთმანეთისა რომ გახდნენ ფარულად, და თითქმის ერთ თვეს სამყაროს ხან ერთ შესახვევში იმალებოდნენ და ხან რა იღუმალ სხვა ადგილას ამ სამყაროსი. წუხელ ღამეს კი ტომის ასევე ატყუებდა, ეფიცებოდა, რომ არასოდეს ჰქონია ასე წამლეკავი, ასეთი სრული...

...მერე კი, სინანულმა ამ დალატის გამო, თავისდა საამებლად ასე იოლად ათი წელიწადი რომ წაშალა ცხოვრებისა, იმ სინანულმა მიატრიალა ახლა დიკის თავშესაფრისკენ.

უხმაუროდ მიუახლოვდა, დაინახა, დიკი კლდის ძირას, კოტეჯის უკან სკამზე იჯდა და ნიკოლის მისვლა არ გაუგია. ერთ ხანს იდგა და ასე, ჩუმად უყურებდა მას. დიკი ფიქრებში წასულიყო, მხოლოდ თავის სამყაროში ჩაძირულიყო და სახეზე ოდნავი ცვლილებითაც, ხან წარბებს რომ ასწევდა ზევით ან შეიქმუხნებოდა, თვალებს ხან ღამის ხუჭავდა და მერე ახელდა, პირს ხან კუმავდა, ან ოხრავდა, ხელების შფოთიანი მოძრაობით, ნიკოლი ხვდებოდა — ახლა იგი მთელი თავისი ცხოვრების ყველა ფაზას ზომავდა და აკვირდებოდა, ყველა ფაზას მხოლოდ თავისი ცხოვრებისა, ცალკე — ნიკოლის ცხოვრებისგან. ერთხელაც, მუშტები მომუჭა და წინ გადაიხარა, ერთხელაც სახეზე ტანჯვა და სასოწარკვეთა გამოეხატა და როცა გადაუარა, კვალი დააჩნდა სახეზე, ისევ თვალეში ედგა. თითქმის პირველად თავის სიცოცხლეში, ნიკოლს შეეცოდა იგი — იმათ, ვისაც სულიერი დაავადება გადაუტანიათ, ძნელად რომ შეეცოდოთ კარგად მყოფი და თუმცა ნიკოლი ხშირად ამბობდა, რომ მხოლოდ დიკმა დააბრუნა ამ სამყაროში, მაინც ისე ფიქრს მიეჩვია, თითქოს უღევი ძალა ჰქონდა დიკს და არ იცოდა რა იყო დაღლა — დაავიწყდა, რაც მის გამო გადაიტანა დიკმა, ისევე, როგორც აღარ ახსოვდა ის, რაც თვითონ გადაიტანა. იცოდა დიკმა, რომ მისი უფლება და მისი ძალაც, გათავდა უკვე? უნდოდა კი დიკს, რომ ეს ასე ყოფილიყო? — ამაზე არ ფიქრობდა, მხოლოდ ენანებოდა, როგორც ხანდახან — ეიბი და ეიბის ისე უღირსი ხვედრი, ბავშვებისა და მოხუცების უმწეობა რომ ენანებათ, მხოლოდ ისე ენანებოდა ახლა დიკი.

ახლო მივიდა, მხრებზე შემოხვია ხელები, საფეთქელი საფეთქელზე მიადო და უთხრა:





ქართული  
წიგნობა

„არ გინდა ასე, სევდიანი ხარ“.

დიკმა ცივად შეხედა.

„არ შემეხო!“

ნიკოლი შეცბა, დაიხია.

„მაპატიე“, დაბნეულად უთხრა დიკმა. „სწორედ შენზე ვფიქრობ...“

„შეგიძლია შენი წიგნი შეავსო ამით“.

„მე მგონია, კარგი იქნება — გარდა ჩამოთვლილი ფსიქოზებისა და ნევროზებისა...“

„მე აქ საჩხუბრად არ მოვსულვარ“.

„მაშინ, რისთვის მოხვედი, ნიკოლ? შენთვის მე უკვე ველარაფერს ვერ გავაკეთებ. ახლა იმასლა ვცდილობ მხოლოდ, ჩემი თავი გადავარჩინო“.

„რომ ჩემგან არაფერი გადაგედოს?“

„ჩემი პროფესია ხანდახან საეჭვო ხალხსაც შემყრის ხოლმე“.

აღშფოთებისა და ბრაზისაგან ნიკოლი ატირდა.

„ლაჩარი ხარ! ცხოვრებაში ხელი მოგეცარა, შენა ხარ დამნაშავე და გინდა, რომ მე დამაბრალო“.

დიკმა არ უპასუხა, მაგრამ ნიკოლმა უკვე იგრძნო მისი გონების წინანდელი, ხანდახან უნებლიე, მაგრამ ყოველთვის ჭეშმარიტების რთულ სუბსტრატზე დაყრდნობილი ჰიპნოზური შემოქმედება, რისი გარღვევის ან გამტკრების ძალაც ნიკოლს არ შესწევდა, და ისევ ბრძოლაში ჩაება, იბძოდა თავისი პატარა, მაგრამ მშვენიერი თვალებით და მოზეიმის უებრო გულდილობით და ქედმაღლობით, ებრძოდა სხვა კაცთან სიახლოვის სიახლით, და წყენით, რაც კი წლების მანძილზე დაუგუბდა; იბრძოდა თავისი ფულით და იმით, რომ მხარში თავისი და ედგა, ვისაც იმთავითვე არ უყვარდა დიკი; იმის ფიქრით, რომ ახალი მტრები გაიჩინა მწარე ენით ბოლო ხანს დიკმა, და იმით, რომ ახლა ვერაგულად დასცინოდა დიკს ძველი ლხენის, პურ-მარლის და პურ-ღვინის გამო, თავის სილამაზესა და სიჯანსაღეს უპირისპირებდა დიკის ფიზიკური ძალის დაცემას, თავის უპრინციპობას — მის ზნეობრივ პრინციპებს, თავისი სისუსტეც კი გამოიყენა ამ ბრძოლისათვის — მამაცურად და გაბედულად იბრძოდა და იყენებდა ძველ ქილებსა და სურებს, ქაშანურს, მონანიებული ცოდვებისა და შეცდომების, საქციელის ახლა უკვე გამოუსადეგარ საქურჭლეს და უცებ, ორ წუთში მოიპოვა გამარჯვება, გაამართლა თავისი თავი თავის წინაშე და არც სიცრუისთვის მიუმართავს და არც სხვა რაიმე ხერხისათვის, საბოლოოდ გადაჭრა თოკი. მერე, როცა ტირილითაც გული იჯერა, შეტრიალდა და ფეხარეული, მაგრამ გრილი, თავის სახლისკენ წავიდა ნელა, ბოლოს და ბოლოს, უკვე თავისი იყო ეს სახლი.

დიკმა მანამდე შეიცადა, სანამ ნიკოლი თვალს მიეფარა. მერე წინ გადაიხარა და პარაპეტს დაადო თავი. პაციენტი მორჩა. დოქტორი დაივერი თავისუფალი იყო ახლა.

X

ღამის ორ საათზე ნიკოლი ტელეფონის ხმამ გამოაღვიძა და გაიგონა, რომ დიკმა უპასუხა იმ ოთახიდან, სატანჯველის სარეცელს რომ ეძახდნენ დაივე-



რები; იქ იწვა დიკი.

„Oui, oui... mais à qui est-ce que je parle?.. Oui...“<sup>1</sup> გაკვირებრსაგან დიკს მაშინვე გაუკრთა ძილი. „მაგრამ, შეიძლება რომ ერთ-ერთ ლედის ველაპარაკო, ბატონო ოფიცერო? ორთავე ლედი მაღალი წრიდან არიან, წარჩინებული ოჯახებიდან, ისე, რომ შეიძლება ამას მეტად სერიოზული პოლიტიკური გართულებები მოჰყვეს... დიახ, ფაქტია, დამიჯერეთ... მე გითხარით და თვითონ ნახავთ...“

დიკი ადგა, ცდილობდა კარგად გაეაზრა ვითარება იმის მიხედვით, რაც ტელეფონში უთხრეს, მაგრამ უკვე იცოდა, რომ თავის თავზე აიღებდა საქმის მოგვარებას — ადრინდელი საბედისწერო ნიბლი და ძალა შეირხა მასში, თითქოს ეძახდა — „გამომიყენე!“ ახლა წავა და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, გაუგებრობას ააცილებს თავიდან ყველას, გაუგებრობას, რასთანაც თვითონ, კაცმა რომ თქვას, რა საქმე აქვს, და ამას მხოლოდ ძველი ჩვევა ჩაადენინებს — რომ ჰყვარებოდათ, ეს ჩვევა შეიძლება იმ წუთებიდან გაუჩნდა, როცა იგრძნო, რომ თვითონ იყო დაშლილი კლანის უკანასკნელი იმედი. მაშინაც, ლამის ასეთივე გარემოებაში, ციურხის ტბაზე, დომლერის კლინიკაში შეიცნო თავისი ძალა და აირჩია; ოფელია ამოირჩია, ტკბილი შხამი ამოირჩია და შესვა იგი. ყოველთვის, ყველაზე მეტად ისა სურდა, რომ გამბედავი და კეთილი ყოფილიყო და ამაზე უფრო ის უნდოდა, რომ ჰყვარებოდათ. ასე იყო და ასეც იქნება, გაიფიქრა, როცა მილს დებდა და ჟღარუნი გაისმა, ტელეფონი ძველმოდური იყო.

კარგა ხნის დუმილის მერე ნიკოლმა გამოსძახა: „რა მოხდა, ვინ დარეკა?“ დიკი უკვე იცვამდა.

„პოლიციის უფროსმა ანტიბიდან — იქ მერი ნორთი და ის სიბლი-ბირსი დაუკავებიათ. რალაც სერიოზული ამბავია, მაგრამ არ მითხრა, მხოლოდ ერთსა და იმავეს გაიძახოდა, «Pas de mortes - pas d'automobiles»<sup>2</sup>, მაგრამ გადამიკრა, რომ სხვა ყველაფერი“.

„მაგრამ, შენ რა შუაში ხარ, რად დაგირეკეს? არ მესმის“.

„მოითხოვენ, რომ თავდებით გაუშვან და თავდებად კი მხოლოდ ის პირი შეიძლება დაუდგეს, ვისაც ზღვისპირა ალპებში საკუთრება აქვს“.

„თავხედობაა!“

„არაფერია, წავალ. ოტელში შევივლი მაინც და გოსსაც გავიყოლებ...“

დიკის წასვლის მერე ნიკოლი დიდხანს ტრიალებდა საწოლში, ვერ მიმხვდარიყო, რა უნდა ჩაედინა იმ ორ ლედის; ბოლოს ჩაეძინა. როცა ოთხი საათისთავის დიკი დაბრუნდა, მაშინვე შემკრთალი წამოხტა და „რაო“? ისე თქვა, გეგონება, სიზმარში ნახა ვილაცა და იმას ჰკითხაო.

„სიგიჟეა და მეტი არაფერი...“ დიკი საწოლზე, ნიკოლის ფეხებთან ჩამოჯდა და უამბო; მოხუც გოსს კარგა მაგარი ელზასური ძილით ეძინა და ძლივს გააღვიძა, გააგებინა რაც უნდოდა, სალაროდან მთელი ფული ამოაღებინა და ორივე ერთად პოლიციის უბანში წავიდნენ.

„სულაც არ მინდა იმ ინგლისელი ქალისთვის რამე გავაკეთო“, ბუზლუნებდა გოსი.

<sup>1</sup> „დიახ, დიახ... ვის ველაპარაკები?... დიახ...“ (ფრანგ.).

<sup>2</sup> „მსხვერპლი არ არის, არც ავარია“ (ფრანგ.).



მერი ნორთი და ლედი კეროლაინი, ორთავე ფრანგი მეზღვაურის სამოსში, და გაწამებულ-მოქანცულები, ორი მკრთალად განათებული კამერის გარეთ ისხდნენ სკამზე. ლედი კეროლაინი — შეურაცხყოფილი ღირსებით იმ ბრიტანელისა, ვინც ელის, რომ ხმელთაშუა ზღვის მთელი ფლოტე დაიჭრებოდა იმის საშველად. მერი მინგეტი პანიკას მოეცვა, ძალიან იყო დაჭედილი და დიკი რომ დაინახა, მაშინვე თითქმის მუცელზე მივარდა, გეგონება, ყველაზე კარგად ახლა ეს ადგილი უშველიდა, და ხვეწნასა და მუდარას მოჰყვა, როგორმე ყველაფერი მოაგვარეო. ამასობაში პოლიციის უფროსი საქმის ვითარებას აცნობდა გოსს, რომელიც უხალისოდ ისმენდა ყველა სიტყვას და არ იცოდა რა უფრო გამოეხატა, ის რომ სათანადოდ აფასებდა ოფიცრის თხრობის ნიჭსა და უნარს, თუ ის, რომ ძალიან უნდოდა დაენახებინა, იმდენი ხანი კი ვიმსახურე, აღარაფერი გამაკვირვებსო. „ეს უბრალოდ, ხუმრობა იყო, გიჟმა-უობა“, აგდებით ჩაილაპარაკა ლედი კეროლაინმა, „ვითომ მეზღვაურები ვიყავით და ნაპირზე გადასვლის ნებართვა გვექონდა, ორმა სულელმა გოგომაც დაიჯერა, პატარა სასტუმროში თან წამოგვეყვინენ, მერე შეეშინდათ და საშინელი სცენა გამართეს“.

დიკი უსმენდა, ქვის იატაკს ჩასცქეროდა და მხოლოდ ხანდახან უქნევდა თავს იმ მღვდელივით, სააღსარებოდ რომ მისულან მასთან. ძლივს იკავებდა სიცილს, მაგრამ ძალაუნებურ სურვილსაც გრძნობდა, — კარგა მაგრად გაეჯობათ და ერთი-ორი კვირა მარტო წყალსა და პურზე დაესვათ ეს შარისთავები; თანაც, ლედი კეროლაინი, აქაოდა, რა მოხდა, ისეთი რა იყო, და თუ რა-მე იყო, ისიც იმ პროვანსელი შტერი გოგოების სიმხდალისა და პოლიციის გონებაშეზღუდულობის ბრალიაო, უხერხულობაში აგდებდა; კარგა ხანია იმ დასკვნამდე მივიდა დიკი, რომ ინგლისელთა გარკვეული კატეგორია ანტი-სოციალურობის ისეთი ექსტრაქტითაა გამოკვებილი, რომ ნიუ-იორკის ყველა მახინჯი მხარე ამასთან, ნაყინის ჭამისაგან ავად გამხდარ ბავშვსა ჰგავს მხოლოდ.

„სანამ პოსეინი გაიგებს, მანამდე უნდა დავაღწიო თავი ამ ადგილს“, ტიროდა მერი. „დიკ, თქვენ შეგიძლიათ ყველაფერი მოაგვაროთ — თქვენ ხომ ყოველთვის შეგეძლოთ ხოლმე, უთხარით, რომ დავტოვებთ აქაურობას, უთხარით, რომ გადავიხდით, რამდენსაც გვთხოვენ“.

„მე არ გადავიხდი“, ქედმაღლურად თქვა ლედი კეროლაინმა, „ერთ შილინგსაც კი. მაგრამ იმაზე კი ვიზრუნებ, რომ რაც შეიძლება მალე მიაღწიოს ამ ამბავმა საკონსულომდე კანაში. იმასაც ვნახავ, რას ეტყვიან იქ“.

„არა, არა!“ წამოიძახა მერიმ. „აქედან უნდა გავიდეთ, ამაღამვე“.

„ვნახავ, ვეცდები მოველაპარაკო“, თქვა დიკმა და დაუმატა: „მაგრამ, ცხადია, უფულოდ არაფერი გამოვა“. ისე უყურებდა, თითქოს მართლა მიაშიტები და უმანკოები არიანო, რასაც თავისთვის არამც და არამც არ ფიქრობდა, თავი გადაიქნია. „არ გინდა ამისთანა სიგიჟე მოიფიქრო!“

ლედი კეროლაინმა გულმხიარულად გაიღიმა.

„თქვენ გადარეულების ექიმი ხართ, ასე არ არის? ესე იგი შეგიძლიათ შეველა, გოსი კი — მაგას კიდევაც ევალება“.

დიკი გოსთან ერთად განზე გადგა, რომ გაეგო, რას ელაპარაკებოდა პოლიციის ჩინოსანი. საქმე უფრო სერიოზული ჩანდა, ვიდრე ეგონათ — ერთ-ერთი პროვანსელი ქალიშვილი, ამათ რომ წაჰყვა, კარგი ოჯახიდან იყო და ოჯახში აღშფოთდნენ, ან, ისე იჭერდნენ თავს, ვითომ აღშფოთდნენ, მათთან



რალაც შეთანხმება იყო საჭირო. მეორე კი — პორტის ერთ-ერთი გოგო იყო და აქ შედარებით იოლადაც მოგვარდებოდა ყველაფერი. მაგრამ საქმე თუ სასამართლომდე მივიდოდა, მაშინ, საფრანგეთის კანონების მიხედვით, ორთავეს ციხე არ ასცდებოდათ, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, ~~გაქვებდნენ~~ მდგომარეობა უფრო იმითაც რთულდებოდა, რომ აქაურები სხვადასხვაგვარად უყურებდნენ უცხოელებს, ერთნი ხეირში იყვნენ იმათგან, სხვები კი გაბეზრებულები ჩანდნენ და ფასების თანდათან ზრდასაც ამათ აბრალებდნენ. გოსმა აწონ-დაწონა ყველაფერი და თავისი მოსაზრება დიკს გაუზიარა. დიკი პოლიციის უფროსთან მოლაპარაკებას შეუდგა.

„თქვენ ალბათ იცით, რომ საფრანგეთის მთავრობას ამერიკელი ტურისტების მიზიდვა უნდა, იმდენად, რომ ამ ზაფხულს პარიზში სპეციალური ბრძანებაც კია, რომლის მიხედვით ამერიკელების დაპატიმრება, თუ მეტად სერიოზული შემთხვევა არ არის, აკრძალულია“.

„ეს საკმაოდ სერიოზული შემთხვევაა, ღმერთო ჩემო“.

„მაგრამ, ნება მომეცით გკითხოთ — თქვენ ნახეთ მათი დოკუმენტები?“

„არა ჰქონდათ დოკუმენტები. არაფერი, ორასი ფრანკისა და რამდენიმე ბეჭდის გარდა. ფეხსაცმლის ზონრებიც კი არ გააჩნდათ, რომ თავის ჩამოხრჩობა შესძლებოდათ!“

რაკი საქმეში დოკუმენტები არ ერია, დიკმა ახლა მშვიდად განაგრძო.

„იტალიელმა გრაფინიამ ამერიკის მოქალაქეობა შეინარჩუნა. იგი შვილიშვილია...“ დიკი დინჯად, სერიოზული სახით აბამდა ტყუილს ტყუილზე, „ჯონ დ. როკფელერ მელონისა, ალბათ გაგიგიათ ეს სახელი?“

„რა თქმა უნდა, ღმერთო ჩემო, ვინა გგონივართ?“

„გარდა ამისა, იგი დისწულია ლორდ ჰენრი ფორდისა და, ამგვარად, საქმე აქვს რენოსა და სიტროენის კომპანიებთან...“ იფიქრა, დროა გავჩერდეთ, მაგრამ ნახა, რომ იმისმა ხმამ და ამ სიტყვებმა დიდი ეფექტი მოახდინა და დაუმატა: „გინდა ეგ დაგიჭერიათ და გინდა ინგლისში სამეფო გვარის პიროვნება, ეს ხომ იცით რას გამოიწვევს — შეიძლება ომიც კი ატყდეს!“

„მაგრამ ინგლისელ ქალზე რაღას იტყვით?“

„ახლა იმაზე გადავდივარ. ეს ინგლისელი ქალი უელსის პრინცის ძმის — ჰერცოგ ბაკინგემის დანიშნულია“.

„ჩინებული საცოლე კი ჰყოლია“.

„და ახლა მზადა ვართ გადავიხადოთ...“ დიკმა სწრაფად იანგარიშა, „ათასათასი ფრანკი ორივე ქალიშვილს და ათასი ფრანკიც იმ „წესიერი“ ქალიშვილის მამას. გარდა ამისა, კიდევ ორი ათასი თქვენი ხარჯებისთვის, როგორც საჭიროდ მიიჩნევთ, ისე გამოიყენებთ, თქვენი საქმეა...“ დიკმა მხრები აიჩეჩა, „პოლიციელებისთვის, ესენი რომ დააპატიმრეს, სასტუმროს მეპატრონისათვის და ასე შემდეგ. მე ახლა გადმოგცემთ ხუთი ათას ფრანკს, რომ დაუყოვნებლივ ჩაუშვათ საქმეში და ალბათ თავდებით გაუშვებთ მათ, ხვალ კი, როგორც კი ჯარიმის თანხა გაირკვევა, ასე ვთქვათ, წესრიგის დარღვევის გამო, შიკრიკის მეშვეობით შევიტანთ მას მომრიგებელ მოსამართლესთან“.

სანამ ოფიცერი რამეს იტყოდა, დიკი უკვე მიხვდა, რომ საქმე მოგვარდა. „რამდენადაც უდოკუმენტებოდ არიან, ისინი მე რეგისტრაციაში არ გამიტარებია — მომეცით ფული და ვნახავ, რის გაკეთება შეიძლება“, ცოტა ყოყმანის მერე თქვა კაცმა.



ერთი საათის მერე დიკმა და Monsieur გოსმა ქალები მანქანით მიიყვანეს ოტელ „მაჟესტიკთან“, სადაც ლედი კეროლაინის „ლანდო“ იდგა და შოფერი საჭესთან ეძინა.

„არ დაგავიწყდეთ, რომ Monsieur გოსს ას-ასი დოლარი უნდა ჰქონდეს“ — მითხრობდა ლედი კეროლაინი.

„რა თქმა უნდა“, მაშინვე დაეთანხმა მერი. „ხვალვე გამოვუვზავნი ჩეკს და კიდევ რაღაცას მივუმატებ“.

„მე არა!“ ყველა გაშტერდა და ლედი კეროლაინისკენ შეტრიალდნენ. დაბნეულობას უკვე გაეწვლო და სამართლიან მრისხანებას მოეცვა. „ეს ყველაფერი აღმაშფოთებელია. მე თქვენთვის არ მითხოვია ასი დოლარი მიგეცათ იმ ხალხისთვის“.

ჩათქვირებული გოსი ავტომობილის კართან იდგა, უცებ წამოქარხლდა და თვალები აენტო.

„თქვენ არ გინდათ გადამიხადოთ?“

„გადაიხდის, რა თქმა უნდა“, თქვა დიკმა.

მაგრამ ამ მთვარიან ღამეს გოსს გაახსენდა და ერთბაშად მოაწვა, რაც კი ლონდონში ბიჭობისას წყენა და ლანძღვა აეტანა და მუქარით გაიწია ლედი კეროლაინისკენ.

ჯერ სიტყვების კორიანტელით გაუმასპინძლდა, რაც გაეგონა და იცოდა მასზე, ყველაფერი მიახალა, მაგრამ ლედი კეროლაინმა გაყინული ღიმილით შეაქცია ზურგი და მაშინ გოსმა, მკვირცხლად გადადგა ნაბიჯი მისკენ და განთქმულ მიზანში რბილად ჩარგო თავისი პატარა ფეხი. მოულოდნელობისაგან ლედი კეროლაინმა ხელები გაშალა, თოფნაკრავივით წინ გადაქანდა და მეზღვაურის სამოსიანი, ეგრევე გაიშხლართა ტროტუარზე.

დიკის ხმა შეერია ლედი კეროლაინის გაცოფებულ ყვირილს: „მერი, გააჩუმე! თორემ ათი წუთიც და ხომ იცით, სადაც ამოყოფთ თავს, ორთავეს ბორკილი არ აგცდებათ!“

გზად, ოტელისკენ, ბებერ გოსს კრინტი არ დაუძრავს, მხოლოდ მაშინ, როცა ჟუან-ლე-პენის კაზინოს გასცდნენ, საიდანც ისევ ისმოდა ჯაზის ხველა და ჯაზის ქვითინი, გოსმა ამოიოხრა და დაილაპარაკა:

„ამისთანა ქალებს არ შევხვედრებარ ცხოვრებაში, ბევრ ცნობილ კურტიზანს ვიცნობდი და ბევრ მათგანს პატივსაც ვცემდი, მაგრამ ასეთი ქალები, ესენი რო არიან, დღემდე არ მინახავს“.

XI

დიკს და ნიკოლს ჩვევად აქონდათ, ერთად წასვლა პარიკმახერთან, თმის შესწორება-დასაბანად, იქ გვერდიგვერდ ოთახებში ისხდნენ ხოლმე და ნიკოლს მოსწონდა, იქითა მხრიდან რომ ესმოდა მაკრატლების ღრჭიალი და ხურდის გადათვლა, გაუთავებელი წამოძახილები „Voilà!“ „Pardon!“ და დიკის დაბრუნების მეორე დღესაც წავიდნენ კანაში, რომ შესწორება-დაბანის მერე ფენის სურნელიან ნიავზე გაეშროთ თმა.

„ოტელ „კარლტონის“ ფანჯრებწინ — ზაფხულს სულაც რომ არ იმჩნევდა, გეგონება, რა ფანჯრები — სარდაფების კარებიანო, — მანქანამ ჩაიარა.“



მანქანაში ტომი ბარბანი იჯდა, ჩაფიქრებული და დარდიანი ჩანდა, მაგრამ მოჰკრა თუ არა თვალი ნიკოლს, ღრუბელგადაყრილს, თვალები გაუნათდა. ნიკოლმაც უმაღლესად შეამჩნია ეს წამიერი ცვლილება და აღორძინდა. მოუნდა, ახლა ისიც მჭდარიყო იმ მანქანაში და ტომისთან ერთად წასულიყო. სადაც იგი მიდიოდა. მთელ საათს პარიკმახერთან ყოფნა ერთ იმ წუთს მისცემდა ინტერვალად ეჩვენებოდა, მის ცხოვრებას რომ შეადგენდა და ცოტა ციხეში ჯდომასაც ჰგავდა. პარიკმახერ ჭალს თეთრი ხალათი ეცვა, გამლღვეალი პომადისა და ოდეკოლონის სუნი ასდიოდა და მედიცინის დებს ახსენებდა.

მეორე ოთახში წინსაფარაკრულ დიკს სახეზე საპნის ქაფი ესვა და თვლემდა. ნიკოლი სარკეში იყურებოდა, სარკეში მამაკაცებისა და ქალების ოთახებში გასასვლელი ჩანდა, და უცებ, ლამის წამოხტა ადგილიდან, დაინახა, რომ ტომი ბარბანი შემოვიდა და მაშინვე მამაკაცების სალონისკენ გაქანდა, მღელვარებისა და გახარებისაგან წამოწითლდა, მიხვდა, მკვეთრი და გულახდილი ლაპარაკი რომ ექნებოდათ.

უკვე ესმოდა იმათი საუბრის ფრაგმენტები.

„ჰელო, თქვენთან ლაპარაკი მინდა“.

„...სერიოზული?“

„...სერიოზული“.

„...ძალიან კარგი, თანახმა ვარ“.

ერთი წუთის მერე დიკი ნიკოლთან მივიდა, სახელდახელოდ ჩამობანილ სახეს გაჯავრებული იწმენდდა პირსახოცით.

„შენს მეგობარს რაღაც ცეცხლი წაეკიდა, ლაპარაკი ისურვა ორთავესთან და დავთანხმდი, მინდა, რომ ჩქარა გაათავოს, წავიდეთ!“

„მაგრამ თმა ჯერ არ შემიჭრია“.

„არაფერია, მერე შეიჭრი, წავიდეთ!“

რას იზამდა, გაოცებულ პარიკმახერს ნიკოლმა პირსახოცების შემოხსნა სთხოვა. გრძნობდა რა მორთულიცა და რა მოკაზმულიც იყო ახლა, დიკს ოტელიდან გაჰყვა. ტომი გარეთ იცდიდა და მისი ხელისკენ დაიხარა.

„Cafe des Alliés“-ში წავიდეთ“, თქვა დიკმა.

„სულ ერთია სად იქნება, სადაც არავინ შეგვიშლის ხელს“, მიუგო ტომიმ.

ხეების კამაროვანში, ზაფხულის ამ გრილოში დასხდნენ და დიკმა იკითხა:

„ნიკოლ, დალევ რამეს?“

„მხოლოდ citron presse“<sup>1</sup>.

„მე ერთ demi“<sup>2</sup>-ის თქვა ტომიმ.

„ბლექ-ენდ-უაიტ“, სიფონით“, თქვა დიკმა.

„Il n'y a pas de Blackenwite“. Nous n'avons que le „Johnny Walkair“.

„Ça va“<sup>3</sup>.

ბმას არ იღებს, ჩერდება —  
მაგრამ არაფერია,

<sup>1</sup> ლიმონის წვენი (ფრანგ.).

<sup>2</sup> კახა ლუდს (ფრანგ.).

<sup>3</sup> „ბლექ-ენდ-უაიტ“ არა გვაქვს. არის მხოლოდ „ჯონი უოკერ“.



ველარ ლამიჭერია,  
ესეც სიზმრისფერია...

„თქვენ ცოლს არ უყვარხართ“, უცებ თქვა ტომიმ. „მე ვუყვარვარ მას...“  
ერთმანეთს შეხედეს, ორთავეს საოცრად წაშლილი, არარა გამომეტყვე-  
ლება ჰქონდა სახეზე. ასეთ სიტუაციაში ლამის შეუძლებელია ორი მამაკაცის  
ურთიერთობა, რადგან პირდაპირი არ არის იგი, ამას ის არკვევს, თუ იმათგან  
ვის და რამდენად ეკუთვნის ქალი, ვისაც ამბავი ეხება და მათი გრძნობები ამ  
ქალის ორმხრივ არსებაში ისე გადის, როგორც რაღაცა დაზიანებულ კომუ-  
ტატორში.

„ერთი წუთით“, თქვა დიკმა. *à Donner – moi du gin et du siphon*<sup>1</sup>.

„*Bien, monsieur*“<sup>2</sup>.

„განაგრძეთ, ტომი, გისმენთ“.

„ჩემთვის სავსებით ცხადია, რომ ნიკოლთან თქვენი ქორწინება ვერ გაგ-  
რძელდება. აღარ სჭირდებათ. ხუთი წელი ველოდი, რომ ეს მომხდარიყო“.

„რას იტყვის ნიკოლი?“

ორთავემ ნიკოლს შეხედა ახლა.

„ტომის ძალიან შევეთვისე, დიკ“.

დიკმა უსიტყვოდ დაუქნია თავი.

„შენ მე უკვე აღარ გიყვარვარ“, განაგრძო ნიკოლმა. „ჩვევალა დარჩა.  
როზმერის მერე უკვე ისე არ იყო ხოლმე, როგორც წინათ“.

მაგრამ ტომის საქმის ასე შეტრიალება ხელს არ აძლევდა და მაშინვე  
ჩაერია:

„თქვენ ვერ უგებთ ნიკოლს. იმის გამო, რომ ოდესღაც ავად იყო, მთელი  
ცხოვრება ისე ექცევიტ, როგორც პაციენტს“.

უცებ ამათ ვიღაც აბეზარმა ამერიკელმა შეაწყვეტინა საუბარი. ყველას  
ახალ „ჰერალდსა“ და „ნიუ იორკ ტაიმზს“ სთავაზობდა ჩაცვებით.

„აიღეთ, ძამიებო, აქ ყველაფერია. დიდი ხანია აქა ხართ?“

„*Cessez cela! Allez-vous-en!*“<sup>3</sup> დაუყვირა ტომიმ და დიკისკენ მიტ-  
რიალებულმა განაგრძო: „ვერც ერთი ქალი ვერ აიტანდა ასეთ...“

„ძამიებო!“ ისევ შეაწყვეტინა იმ ამერიკელმა. „თქვენი აზრით მე ფუჭად  
გვარგავ, დროს, იყოს ასე — სამაგიეროდ, სხვები არ კარგავენ“. თავის საფუ-  
ლეს რაღაც დააძრო — დიკს იგი თითქოს ეცნაურა — კარიკატურა, გაყვით-  
ლებული გაზეთიდან: ამერიკელები დოკზე ნაკადად გადმოდიოდნენ საფრან-  
გეთში, თავიანთი ოქროს ტომრებით. „თქვენ გგონიათ, მე ჩემსას ვერ დავით-  
რეე? ამასაც ვნახავთ. ნიცადან Tour de France ველორბოლის გულისთვის  
სავანგებოდ ჩამოვედი“.

როცა ტომიმ გაცოფებულმა დაუყვირა, „*Allez-vous-en*“ და გააგლო  
იგი, მხოლოდ მაშინ გაახსენდა დიკს, სად ენახა.

ის კაცი იყო, ხუთი წლის წინათ ერთხელ პარიზში Rue de Saints Anges-  
ზე რომ გადაეყარა.

„აქ როდის იქნება Tour de France?“ მიაძახა დიკმა.

„წუთი წუთზე, ძამია“.

<sup>1</sup> მომიტანეთ ჭინი და სიფონი“.

<sup>2</sup> „კარგით, მესიე (ფრანგ.)“.

<sup>3</sup> „თავი დაგვანებეთ! წადით აქედან!“ (ფრანგ.)



ბოლოს, როგორც იქნა, გაეცალა მათ, მხიარულად დაუქნია ხელი და ტომი ისევ დიკს მიუბრუნდა.

„Elle doit avoir plus avec moi qu'avec vous“<sup>1</sup>.

„ინგლისურად ილაპარაკეთ! რა არის — doit avoir?“

„Doit avoir? — ჩემთან უფრო ბედნიერი იქნება“

„ჰო — სიახლის ხიბლი, მაგრამ მე და ნიკოლი ბედნიერებიც ვიყავით, ტომი“.

„L'amour de famille“<sup>2</sup>; აგდებით ჩაიცინა ტომიმ.

„თქვენ და ნიკოლი თუ დაქორწინდებით, l'amour defamille არ იქნება?“ ქუჩიდან ხმაური მოისმა და დიკმა ველარ გააგრძელა; ხმაური თანდათან მატულობდა, იქაურობას ავსებდა უკვე. ბორდიურზე ხალხი ბრბოდ იდგა და მოცლილები საიდანღაც ემატებოდნენ.

პატარა ბიჭები — სპრინტერები ველოსიპედებით მოდიოდნენ, ქუჩებში მოსრიალეზდნენ საგანგებოდ მორთული, ვიმპლებიანებით სავსე ავტომობილები, ბუკ-საყვირის ხმა ისმოდა და ველორბენის მოახლოებას აუწყებდა ხალხს, რესტორანების კარებს უწინსაფრო მზარეულები აწყდებოდნენ, მოსახვევში წითელჯემპრიანი პირველი მრბოლელი გამოჩნდა, გულდაჭერებით მოდიოდა ველოსიპედით და არეულ-დარეულ, გამამხნევებელ შეძახილებსა და ღრიანცელში მოჰყავდა იგი. დაფიონიდან იმას კიდევ სამი მრბოლელი მოჰყვებოდა, გახუნებული ჰარლეკინები, ჯამბაზ-მრბოლელი, მტვრისა და ოფლის ყვითელი ფენა დასდებოდათ ფეხებზე და დაღვრემილი, გაშტერებული სახეები და მეტად დაღლილი თვალები ჰქონდათ.

ტომი დიკის წინ დადგა და თქვა:

„ნიკოლი ალბათ გაყრას მოინდომებს — იმედია არ დააბრკოლებთ?“

პირველ მსრბოლელთა მერე ერთი ორმოცდაათი მაინც გამოჩნდა ორას იარღზე გაჭიმული; ზოგი მორცხვად ილიმებოდა, ზოგს ქანცააწყვეტა ეტყობოდა, ბევრს კი მაინც სახეზე უფრო გულგრილობა და დაღლა ეხატა. პატარა ბიჭების ამაღამ გაიარა, მერე იმ რამდენიმე ჩამორჩენილმა, თავიდან რომ ფახაფუხით დაეწყოთ, და სულ ბოლოს კი დიდმა მანქანამ, ის მრბოლელები რომ მოჰყავდა, ვინც ავარიში დაშავდა, ანდა, ბოლომდე ველარ გაუძლო და მარცხი იგემა. თავიანთ მაგიდას დაუბრუნდნენ. ნიკოლს უნდოდა დიკს ჩაეგდო ინიციატივა ხელში, მაგრამ დიკი მშვიდად იჯდა, — იმისი ჯერაც გაუპარსავი პირისახე ნიკოლის ჯერაც შეუჭრელ თმას ეხამებოდა.

„შენ ხომ უკვე კარგა ხანია ბედნიერი არა ხარ ჩემთან?“ დაილაპარაკა ნიკოლმა. „მე რომ არა, შენ ისევ საქმეს მიხედავდი — უკეთესადაც, რაკი ჩემზე საწუხარი და საფიქრალი აღარ გექნება“.

ტომის მოუთმენლობა შეეტყო.

„რა საჭიროა ეს ლაპარაკი, ნიკოლს და მე ერთმანეთი გვიყვარს, და თავისთავად ეს ფაქტი ყველაფერს ამბობს“.

„ესეც ასე“, თქვა დოქტორმა დაივერმა, „რაკი გაირკვა ყველაფერი, იქნებ ისევ პარიკმახერთან წავსულიყავით?“

ტომის ჩხუბი უნდოდა: „არის ზოგი რამ...“

<sup>1</sup> „ჩემგან მეტი რამ უნდა მიიღოს, ვიდრე იგი თქვენგან იღებდა“ (ფრანგ.).

<sup>2</sup> „ოჯახური ბედნიერება“ (ფრანგ.).



„ზოგ რამეზე მე და ნიკოლი მოვილაპარაკებთ“, თქვა დიკმა. „ნუ ღელავთ — პრინციპში მე თანახმა ვარ და ნიკოლი და მე გავუგებთ ერთმანეთს. სამკუთხა სჯა-ბაასს თუ ავირიდებთ, უსიამოვნების შანსიც უფრო მცირე იქნება“.

ტომის არ შეეძლო არ ეღიარებინა, რომ დიკი მართალი იყო, მაგრამ მისი ბუნება მოითხოვდა, რომ ბოლოსაც თვითონ ეთქვა სიტყვა. *სიზღვირითა*

„მინდა გახსოვდეთ, რომ ამ წუთიდან“, თქვა მან, „მე ნიკოლის მფარველი ვარ და პასუხსაც მოგთხოვთ, თუ ჭერჭერობით ერთ ჭერქვეშ ყოფნას ნიკოლთან ერთად ოდნავ მაინც გამოიყენებთ“.

„მშრალ სატრფიალოს ტრფიალი მე არასოდეს არა ვყოფილვარ“, თქვა დიკმა.

თავი დაუჭრა და ოტელ „კარლტონის“ მხარეს წავიდა, ნიკოლის ფიქრიანი მზერა გაჰყვა თან.

„საკმაოდ კარგად ეჭირა თავი“, აღიარა ტომიმ. „ძვირფასო, სალამოს ხომ ერთად ვიქნებით?“

„მე ასე მგონია“.

მაშ ასე, მოსახდენი მოხდა და ტრაგედიაც თითქმის არ იყო; ნიკოლი ისე გრძნობდა, თითქოს გაუგეს რაც იზრახაო და მიხვდა, რომ ქაფურის მალამოს ეპიზოდებიდან დიკი უკვე ელოდა ამას. და მაინც, ბედნიერს, უხაროდა, ღელავდა და ცოტა არ იყოს ახირებული სურვილი, რომ კარგი იქნებოდა, ყველაფერი დიკისტვის ეამბნა, მალე გაუქრა. ოღონდ, თვალმოუშორებლივ უყურებდა დიკს მანამდე, სანამ წერტილად იქცეოდა და ზაფხულის ბრბოს სხვა წერტილებს შეერეოდა.

## XII

რივიერადან წასვლის მთელი წინა დღე დოქტორმა დაივერმა თავის ბავშვებთან გაატარა. უკვე იმ ასაკში აღარ იყო, რომ კარგ რამეზე ეფიქრა ანდა ეოცნება და უნდოდა კარგად დახსომებოდა თავის შვილები. ბავშვებს უთხრეს, რომ ზამთარს ლონდონში, დეიდასთან გაატარებდნენ, მერე კი ამერიკაში წავიდოდნენ და მამას ნახავდნენ. *Fräulein* მათთან დარჩებოდა და როგორც შეთანხმდნენ, დიკის უნებართვოდ არ დაითხოვდნენ.

უხაროდა, რომ ბევრი რამ მისცა თავის პატარა გოგოს — ბიჭისადმი კი გულდაჭერება ამ მხრივ აკლდა — ისედაც, არასოდეს იცოდა კარგად, რა უნდა მიეღოთ მისგან ამ დაუდევარ, უმწეო და ჭერ ისევ მკერდზე მიკრულ პატარებს. მაგრამ, მშვიდობითო, როცა მათ უთხრა, უნდოდა აეწია ეს ორი მშვენიერი თავი, გულში ჩაეკრა, მერე საათებს გაეგლო და მაინც ამათთან ყოფილიყო.

დიკი მოხუც მებაღეს, ვილა „დაიანაში“ ამ ექვსი წლის წინათ პირველად რომ დარგო ყვავილები, გადაეხვია; აკოცა პროვანსელ გოგოს, ბავშვების მოვლაში რომ ეხმარებოდა და თითქმის ათი წელი იყო ამათთან, და ახლა მუხლებზე დავარდა და გულამოსკვნით ტიროდა, სანამ დიკმა ძალით არ წამოაყენა და სამასი ფრანკი არ აჩუქა. ნიკოლს ჭერ ისევ ეძინა — ასე დათქვეს, დიკმა მას ბარათი დაუტოვა, ერთიც — ბები უორენს, სარდინიიდან რომ დაბრუნდა და ახლა ამათთან იმყოფებოდა. მერე სამფუტეიანი სიმაღლის ათკვარტიანი ბოთლიდან, ვიდაცამ დაივერებს რომ აჩუქა, ბრენდი დაისხა და კარგად დალია.



მანქანაში ჩაჯდა, გადაწყვიტა, რომ ბარგს კანის ვაგზალში ჩააბარებდა და დაბრუნდებოდა, რომ საბოლოოდ შეეველო თვალი გოსის პლაჟისთვის.



ქართული  
ბიბლიოთეკა

\* \*

ჯერ იქ მხოლოდ გოგო-ბიჭების ავანგარდი იყო, იმ დილას ნიკოლი და თავისი და პლაჟზე რომ გავიდნენ. თეთრი ცისაგან წახეული უთმენი თეთრი მზე ვარვარებდა. სიო არ იძვროდა. ბარში ოფიციანტები ყინულს ამატებდნენ; ამერიკელ ფოტოგრაფს AP-დან, პატარა ჩრდილი ენახა, თავისი აპარატი დაედგა იქ და ქვის კიბეზე ფეხის ხმის გაგონებისთანავე მალიმალ მალლა იღებდა თავს. რიჟრაჟზე ჩაძინებულ იმის მუშტრებს ოტელის დაბნელებულ ოთახებში ისევ ეძინათ.

კაბინიდან გასულმა ნიკოლმა უცებ დიკი დაინახა, პლაჟისთვის არ ეცვა და ზევითკენ, დიდ ქვაზე იჯდა. ნიკოლმა სწრაფად დაიხია, თავისი კარვის ჩრდილს შეეფარა. წუთის მერე ბებიც მოვიდა და უთხრა:

„დიკი ჯერ აქ არის“.

„ჰო, დავინახე“.

„მე მეგონა, ეყოფოდა ტაქტი და ადრე წავიდოდა“.

„ეს დიკის ადგილია — ასე თუ ისე, დიკმა აღმოაჩინა აქაურობა. მოხუცი გოსი ყოველთვის ამბობს, რომ დიკის მადლიერია ყველაფრისათვის“.

ბებიმ მშვიდად შეხედა დას.

„არ იყო საჭირო მაგის ველოსიპედით ექსკურსიებისგან ჩამოშორება“, შენიშნა მან. „მალლა რომ აიწევიან, თავგზა ებნევათ და ამას ვერავითარი ლამაზი ბლეფით ვერ ფარავენ“.

„ექვსი წელი დიკი კარგი ქმარი იყო ჩემთვის“, თქვა ნიკოლმა. „ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ მოუყენებია ტკივილი და ყოველთვის ცდილობდა, დავეფარე რამე ვნებისგან“.

ბების ქვედა ყბა ოდნავ წამოეწია, როცა თქვა:

„ამისთვისაც სწავლობდა იგი“.

ღები ცოტა ხანს გაჩუმდნენ; ნიკოლი დაღლილად ფიქრობდა რაღაცებზე, ბები ვარაუდობდა, ღირდა თუ არა გაჰყოლოდა მისი ხელისა და ფულის მთხოვნელ ახალ კანდიდატს, ხალასჯიშიან ჰაბსბურგს, თუმცა მაინცდამაინც არ ფიქრობდა ამაზე ისე, როგორც უნდა ეფიქრა ამ დროს. ბების ყველა ამბავი უკვე ისე ძალიან ჰგავდა ერთმანეთს, რომ რაც კი წლები ემატებოდა და ჰკნებოდა, მხოლოდ ლაპარაკისთვის თუ უნდოდა ის ამბები და ბების ემოციებიც არსებითად ამისთვის იყო — სალაპარაკოდ.

„წავიდა?“ ცოტა ხნის მერე იკითხა ნიკოლმა. „მე მეგონია, მისი მატარებელი თორმეტზე გადის“.

ბებიმ კაბინიდან გაიხედა.

„არა, ტერასაზე ავიდა და ვილაც ქალებს ელაპარაკება, მაგრამ აქ უკვე ხალხი იმდენია, ვერც კი შეგვაჩინევს!“.



\* \*

დიკმა ისინი შეამჩნია, მაშინვე, თავიანთი საფარიდან რომ გამოვიდნენ და თვალს ადევნებდა, ვიდრე ისევ გაუჩინარდნენ. მერი მინგეტისთან ერთად იჯდა მაგიდასთან და ანისის არაყს სვამდა.



„იმ ღამეს, საშველად და გადასარჩენად რომ მოხვედით, ისევ ისეთი, ძველებური დიკი იყავით“, ამბობდა მერი. „ოღონდ, ბოლოს საშინლად მოექცე- ცით კეროლაინს. რატომ არ გინდათ ყოველთვის ისეთი კარგი იყოთ? ხომ შე- გიძლიათ“.

დიკს ახლა ფანტასტიკური ეჩვენებოდა მთელი ეს სიტუაცია, როცა მერი ნორთს შეეძლო მისთვის ექადაგა და დაემოძღვრა.

„მეგობრებს ახლაც უყვარხართ, დიკ, მაგრამ როცა დალევთ, აუტანელ რა- დაცებს ეუბნებით ხალხს. მთელი ეს ზაფხული ისე მიდის, რომ სულ თქვენ გიცავთ და გექომავებით“.

„დოქტორ ელიოტის ერთ-ერთი კლასიკური რემარკაა“.

„არა, მართლა, სვამთ თუ არა სვამთ, ეს კი არ არის ვინმეს საქმე...“ ცო- ტათი შეყოყმანდა, „ეიბიც კი, რამდენიც უნდა დაელია, თქვენსავით გულს არ ატკენდა ხალხს“.

„რა მოწყენაა თქვენთან ყველასთან“, თქვა დიკმა.

„მაგრამ აქ მხოლოდ მე და თქვენა ვართ!“ წამოიძახა მერიმ. „თუ რიგი- ანი ხალხი არ მოგწონთ, მიდით სხვებთან და ვნახოთ, როგორ მოგეწონებათ! ხალხს მხოლოდ ისა სურს, რომ სიამოვნება მიიღოს და თუ ჩაუშხამებთ, მა- შინ თავის თავს მასულდგმულებელ წყაროს უშრობთ“.

„მქონდა კი ასეთი წყარო?“ იკითხა დიკმა.

მერი კარგ დროს ატარებდა ახლა და თვითონაც არ იცოდა ეს — დიკ- თან ერთად ხომ უფრო შიშის გამო დაჯდა. ისევ უარი უთხრა დალევაზე და თქვა: „გასაგებია, სადაც მარხია ძაღლის თავი — საკუთარი თავის შეღავათი სისუსტის გამო. ეიბის მერე, ცხადია, ხვდებით რასაცა ვგრძნობ ასეთ რამეზე — იმის მერე, რაც ალკოჰოლმა ჩემ თვალწინ კარგი კაცი დალუბა...“

საფეხურებზე თეატრული ხალისით ჩამოირბინა ლედი კეროლაინ სიბლი- ბირსმა.

დიკი კარგ ხასიათზე დადგა — დროს, დღეს გაუსწრო და იმ მდგომარეო- ბას მიაღწია, როგორსაც კარგი სადილის მერე აღწევენ ხოლმე, მაგრამ ჯერ ეს მხოლოდ მერის მიმართ თავაზიან, შესამჩნევად თავშეკავებულ ინტერესში ვლინდებოდა. მისი ბავშვსავით სუფთა მზერა მერის თანაგრძნობას ითხოვდა და უკვე თანდათან ეპარებოდა ის, რასაც წინათ გრძნობდა ხოლმე — შთაე- ნერგა ამისთვის, რომ მთელ ქვეყანაზე ერთი კაცი ესლა იყო და ეს ქალი კი ის ერთადერთი, ვინც ქვეყანას შემორჩა ბოლოს.

...მაშინ იგი იქით აღარ გაიხედავდა, იმ კაცისა და ქალისაკენ, მკაფიოდ რომ ისახებოდნენ შავად და თეთრად, ცის ფონზე ახლა...



„ერთ დროს ხომ მოგწონდით?“ იკითხა მან.

„მოგწონდითო! — მე თქვენ მიყვარდით, ყველას უყვარდით. ყველა ქალი გამოგყვებოდათ, ოღონდაც კი თქვენ დაგეძახათ...“

„ჩვენ შორის ყოველთვის რაღაც იყო“.

მერი ხალისით წამოეგო ანკესზე: „მართლა, დიკ?“

„ყოველთვის — მე ვიცოდი ყველა თქვენი საწუხარი და ვხედავდი, რა ვაქაცურად გეჭირათ თავი“. მაგრამ შიგნით უკვე ეღებოდა ძველი სიცილი და მიხვდა, დიდხანს ვერ გაუძლებდა.

„მე ყოველთვის გუმანით ვგრძნობდი, რომ თქვენ ბევრი რამ იცოდით ჩემზე“, აღფრთოვანებით უთხრა მერიმ. „უფრო მეტი, ვიდრე როდისმე იცოდა ვინმემ. იქნებ ამიტომაც მეშინოდა თქვენი იმის მერე, რაც ერთმანეთთან ძველებურად აღარ ვიყავით“.

დიკმა, თითქოს გამოუთქმელის თქმა უნდაო, თბილად და ალერსით შეხედა მას; მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა დაძაბულად, უცებ შეერთდა, შეერწყა, მაგრამ ის სიცილი ისე ხმამაღლა ისმოდა უკვე, საცაა მერიც გაიგონებდა და დიკმა სინათლე გამორთო და რივიერას მზეს დაუბრუნდნენ.

„უნდა წავიდე“, თქვა მან და წამოდგა. ოღნავ ირწეოდა; თითქოს რაღაცა თვალთ დაუბნელდა — თითქოს სისხლი უჩერდებოდა. მარჯვენა ხელი ასწია და მაღალი ტერასიდან მთელ პლაცს პირჯვარი გადასწერა. აქეთ-იქითა ქოლგებიდან გაკვირვებით ამოიხედეს.

„მივალ მასთან“, ნიკოლი მუხლზე წამოიწია.

„არა, არ მიხვალ“, ტომიმ ძალით დასვა ადგილზე. „მორჩა, გათავდა“.

XIII

თავისი ახალი გათხოვების მერე ნიკოლს მიწერ-მოწერა ჰქონდა დიკთან; საქმეებზე და ბავშვებზე სწერდა. ხშირად იტყოდა ხოლმე, „მიყვარდა დიკი და ვერ დავივიწყებ“, რაზედაც ტომი მიუგებდა, „რალა თქმა უნდა, არა — რად უნდა დაივიწყო?“

დიკმა პრაქტიკა ბათუმში დაიწყო, მაგრამ, ეტყობა, საქმე არ გამოვიდა. ნიკოლმა ვერ გაარკვია რის გამო, ოღონდ, რამდენიმე თვის მერე გაიგო, რომ ნიუ იორკის შტატის პატარა ქალაქ ბატავიაში გადავიდა და იქ ზოგად მედიცინაში ჰქონდა პრაქტიკა, ცოტა მოგვიანებით კი შეიტყო, რომ ლოკპორტში იყო და იქაც იგივეს აკეთებდა. რაღაც შემთხვევის წყალობით დიკის ლოკპორტში ცხოვრებაზე მეტი ამბებიც ესმოდა ნიკოლს: რომ ბევრს დადიოდა ველოსიპედით, რომ ქალები აღმერთებდნენ და რომ მაგიდაზე დასტა-დასტად მუდამ ელაგა ქაღალდები, ამბობდნენ, რომ საყურადღებო ტრაქტატი იყო მედიცინაში და საცაა უკვე დაამთავრებდა. მას დახვეწილი მანერების კაცად თვლიდნენ და ერთხელ, მიტინგზე, შესანიშნავი სიტყვაც წარმოთქვა ნარკოტიკებზე; მაგრამ რაღაც ამბავში გაეხვია ერთ ქალიშვილთან, ბაკალეადან, და ამას ისიც დაემატა, რომ ვიღაცა პაციენტის გამო სასამართლომდე მივიდა საქმე; ასე რომ, დატოვა ლოკპორტი.



ამის მერე უკვე აღარ თხოულობდა, რომ ბავშვები გაეგზავნათ ამერიკაში და როცა ნიკოლმა მისწერა, ფული ხომ არა გჭირდებაო, არ უპასუხა. თავის უკანასკნელ წერილში იტყობინებოდა, რომ პრაქტიკა ჰქონდა ნიუ იორკის შტატის ქალაქ ქენევაში და ნიკოლს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ იქ ვილაცხასთან ერთად იყო, ვინც მისი სახლის საქმეს უვლიდა. ნიკოლმა ატლანტიკაში მოძებნა ქენევა და გაიგო, რომ ეს თვალწარმტაცი ციდა ქალაქი ფინგერ ლეიკსის შუაგულშია. იქნებ — უყვარდა ხოლმე ფიქრი ნიკოლს — მისი დიდება თავის დროს ელის, როგორც გრანტისა ვალენაში; სულ ბოლოს კი ღია ბარათი მოვიდა მისგან, ფოსტის შტემპელით — ნიუ იორკის შტატის ქალაქ ჰორნელიდან გამოგზავნილი, მეტად პატარა ქალაქია და ცოტა შორს არის ქენევიდან; ასე თუ ისე, ეტყობა, ახლაც იქ არის სადღაც, ან ქენევაში, ანდა ჰორლენში.

□





თარგმნა შურშან ლაბანიძე

## მცნ ტანკა

კაკინომოტო ხიტოჰარო

VII ს.



როცა სიმუხთლე ვცან მდინარის, დინებამ რომლის,  
ყრმავ მშვენიერო, სამუდამოდ წაგილო ჩვენგან,  
აღვივსე სევდით, ძლეულ ვიქმენ მე მწუხარებით,  
რომლისმაგვარი  
აქამომდე არ ახსოვს ჩემს გულს.



მთებზე წითელ-ყვითელი ნეკერჩხლები ანთია,  
დაბურულან ტოტებში ბილიკები ტყის...  
სად ხარ, გეძებ ამაოდ?!  
სად, სად დაეხეტები?! —  
შემოდგომის ტყეებში გზის გაგნება ჭირს...

იამაბე აკასიტო

VIII ს.



როცა თავოს ყურედან გახვალ გაშლილ ზღვაში,  
ქათქათა და ელვარე, უცბად, ფუზის მწვერვალი  
ამოძვრება ზღვიდან და  
თვალის დამაბრმავებლად  
გადმოდგება ცაში.



ოტომო ტატიტო

VIII ს.



●  
როცა თოვს ხვავრიელად  
და როდესაც შრიალით თოვლი მთა-ბარს ედება,  
მუდამ — ჩემი სატახტო, მუდამ — ჩემი ქალაქი,  
ჩემი დედაქალაქი, —  
ნარა, — გამახსენდება.

ოტომო იაკაშოტი

VIII ს.

●  
ხმები შენს გამო, შენს შესახებ, ჩემამდე აღწევს  
ექოდ ქარიშხლის, რომელიცა ეძგერა ლახვრად  
აპრილის ტყემლებს და ყვავილი გააყრევინა...  
და ჰა, შენდამი სასოებით  
საესე ვარ ახლად!

●  
ამ მიჯნურობას, ამ სიყვარულს და ამ წამებას,  
ამ განშორებას, ამ სიცოცხლეს ტანჯვით და გვემით  
ათასგზის სჯობდა იასპის ქვად კაცის გაჩენა —  
გავჩენილიყავ მეც იასპად — თავის მარჯვენას  
დაიმშვენებდა სალოცავი არსება ჩემით!

●  
აქ, ამ გოლიათ მთებში,  
ყოველთვის, ჟამსა ცისკრის,  
რა შეთეთრდება ზეცა,  
ხარი ირემი გმინავს,  
მთით ირმის გმინვა ისმის.



პი-ნო ცურაიუკი



ქართული  
ლიტერატურის  
ქართული  
საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს

●  
როგორც გაზაფხულის პირზე გაკრთებიან ნაძვლები,  
წამით მთებზე აყვავებულ ალუბლების ჩენით,  
ესრეთ დაჩნდი, ესრეთ გაკრთი,  
ესრეთ შენით ვივსები,  
ესრეთ სული სავსე არის შენით!

●  
თვალს არ ახარებს შემოდგომის მკაცრი ხედები,  
გზად არვინ მიდის, კაციშვილი ყანებში არ ჩანს,  
დაიყვავილეს ყვავილებმა  
და მხოლოდ მთებში  
აბრიალებენ ნეკერჩხლები მეწამულ ფარჩას.

●  
ზაფხულის ღამით, ის-ის იყო დადლილი მივწეპ  
დასაძინებლად — გაღმა ტყიდან მომესმა „გუგუ“  
და უცბად ღამე დღედ იცვალა გუგულის ხმაზე...  
წარელო გუგულს, წარეტაცნა გონი და ცნობა,  
დამთენებო კიდევაც თავზე.

●  
ვარსკვლავი მოწყდა, ეს ვარსკვლავი შორდება ვარსკვლავს,  
მარადი ნისლი მარადსავე ზეცის მდინარეს  
და ყოველივეს, ყოველივეს ნისლები ჰფარავს...  
ვიღაც შეძახის — რომელი ხარ?! ვინ სწუხს, ვინ არის?!  
თოლია იყო — თოლიების ტირილი მზარავს...

●  
უნდა ეწოდოს სიზმარი და მხოლოდ სიზმარი,  
დღემ დღევანდელმა ეს მითხრა და ეს მაგრძნობინა:  
წუთისოფელი სიზმარია! მეგონა — ცხადი!  
ცხოვრებად ვსახდი  
და სიზმარი თურმე ყოფილა!



ბოგონორი



როგორც დილით ჩემს სარკმელთან  
 ლხვება ჭირხლი ხრიზანთემის ყვავილების,  
 მართ ასევე, სიცოცხლეო ჩემო,  
 შენ გალხვები, შენ გაღნები, გაილევი,  
 უწმინდესი სიყვარულით აღვსებულნი!



უცნობი ავტორი



აჰა, მზად ვარ, გზას ვადგივარ მწირი,  
 გზა კი მიდის, იკარგება ზღვაში...  
 ვერას გეტყვი, დავბრუნდები როდის,  
 არ უწყიან როგორც თვისი გზების  
 ბამბისქულა მაგ ღრუბლებმა ცაში!

უცნობი ავტორი



გატენილია დილის ნისლით აკასის ყურე,  
 შეეხო ყურეს განთიადის პირველი სხივი, —  
 კუნძულები ჯერხნობით არ ჩანს...  
 ვწუხვარ მე ხომალდს, —  
 ზღვაში გავიდა რომელიც და ზღვაშივე ჩარჩა.

უცნობი ავტორი



წამი რა არის, თვალის ერთი დახამხამება, —  
 გადანათებას ძლივს მოასწრებს ყანისას ელვა,  
 ბრინჯის თაველის გამოჩენას უსიერ ღამით, —  
 წამი რა არის, უმოკლესი, — სახელის შენის  
 და სახის შენის დავიწყება არ ძალმიძს წამით!

ფუქივარა მსინორი



დავალ მე წყნარად ცალუღელა ხარირმის დარად,  
 მაღალ მთებიდან აღარ უხმობს რომელიც ცალს,



თავჩაქინდრული დააბოტებს რომელიც ცალად...  
არლა ვკვნესი და  
მხოლოდ ცრემლი ჰკიდია თვალს.



უცნობი ავტორი



მიუწვდენელი ისერიგად შექნილხარ ჩემთვის,  
რომ ესლა მრჩება: შენით ოდენ შორიდან ვთვრები,  
შენ შორს ხარ ჩემგან,  
შორს არიან როგორც ღრუბლები  
ტაკამას მხარეს, კაცურაგის გულგოროზ მთებში.

ფუქივარა კიეხაე



ო, ეს ცხოვრება! — წარშავალი, ფუჭი და ხრწნადი!  
ეს ფაციფუცი! ეს სიზმარი და არა ცხადი!  
რაა სიცოცხლე, რასაც ესრეთ გაუდის ყავლი,  
თუ არ ამო, განსაბნევად განმზადებული,  
განმკრთალი ზეცის უფსკრულებში პაწია კვამლი!



თუ სატახტოში ჩემს შესახებ შემთხვევით გკითხონ:  
„რას იქმს სადაკი, რას შვრებაო, რაგვარად ცხოვრობს?!“  
უთხარ შენ მაგათ: „როგორც ქედებს ნისლები ჰბურავს,  
ესრეთ ჩემს გულშიც  
უსაშველო ნაღველი ბრუნავს!“

ორმოცი ხოკუ

რანიძანი  
XVII ს.



ხტის და ცეკვავს ცეცხლი, ქარი ავობს,  
შემოდგომის ქარი არყევს დარაბებს —  
შინ შემოჭრას ლამობს.



ისიუ  
XVII ს.

შორს, ხატობას მიმავალი კაცები  
(კაცი არ ჩანს!) მიარხევენ ბალახს —  
ხელჯობების მოჩანს წვეროკინები.

ბასიე  
XVII ს.

შიშველ შტოზე შემომჯდარა ყვავი,  
ზის ყვანჩალა ობლად...  
შემოდგომის საღამოა სოფლად.

ტოტიდან ტოტზე, ტოტიდან ტოტზე  
ჩამორბიან წვეთები წყნარად —  
გაზაფხულის წვიმაა ჟუჟუნა!

მივეთრიე დაღლილ-დაქანცული,  
ლამისსათევს მივადექ და უცბად:  
ღმერთო ჩემო, გლიცინია მიცინის!

მთვარე ღრუბლებში გარბის,  
ირგვლივ ნაწვიმარ ხეებს  
წვიმის წვეთები სწვეთავს.

მინდორში ფხალი ჰკრიფეს, —  
ბეჩავი გლეხის ქალები  
საქსოვს უსხედან ახლა.

ო, რანაირად ჩახჩახებს მთვარე!  
ზღვა მოიქცა და უცბად შეჩვენა ულუ  
თიოქოს შრიალით მოადგა

პოეზიის საფლავთან

ო, ძრწოდე, სამარის ბორცვო!  
ტრამალში ქარი რომ დაჰქრის, —  
ეს მე ვარ, — კვნესაა ჩემი!

წყალწაღებულმა — ვტაცე ხელი,  
ხავსს ვეჭიდები — საშველს ვეძებ...  
ძნელია წუთი განშორების!

ეჰა, შენ, ბედო, შავბედო!  
აქ, ამ დიდებულ ჩაფხუტქვეშ  
ახლა ჰკრიჭინა ჰკრიჭინებს!

აყვავებული ტყემლების თავზე  
გამოტივტივდა მთოვარე სავსე —  
უცბად გამოჩნდა ცაზე.

ზაფხულის ბალახები! —  
აჰა, ზმანება-ოცნებანი სახელ-დიდების  
ბრძოლის ველზე დაცემულ გმირთა!

სიზღვრა სიკვდილის წინ

შეუძლოდ შევიქენ გზაში, —  
გადამწვარ მინდვრების კვამლში  
წრიალებს სიზმრები ჩემი.



კიკაუ  
XVII ს.

●  
მათხოვარი გზად!  
ზაფხულობით მაგის საბან-გობანი —  
მიწაა და ცა!

ქანო  
XVII ს.

●  
შორს, ცისკიდურს შეხე:  
ქედს, დაკბილულს, შეესია ყაყანით  
გადამფრენი ფრინველების გუნდი...

●  
დედამიწა თოვლით მოიფარა,  
მთა და ბარი თოვლმა მოიპარა:  
არე-მარე უცბად დაცარიულდა.

●  
დაცხრა წვიმა და ისევ ხვატია —  
თვალს გჭრის ქვა-ლორღი და გორმახები,  
კვლავ ყველაფერი ცეცხლად ანთია.

პატარა დის სიკვდილზე

საით წავიდა, რა იქნა?! —  
ავაჰმე, ხელში ჩამიქრა  
ციცინათელა ჩემი!

ბიე-ნი  
XVIII ს.

●  
გაქცეული მთვარე  
წყლის სარკეში ანკესს  
გაედო და არხევს.

●  
აი, შეკრთა პეპელა, შეარხია ფრთა...  
რაო, რა მოგეზმანა,  
მოგესიზმრა რა?

ზუსონი  
XVIII ს.

●  
უცბად თავსხმა — თბილი წვიმა შაისის!  
გზა-გზა ემასლაათება  
ქოლგა — ქილის ქუდს.

●  
დილა არის ცვრიანი —  
კვრინჩხის ეკალს თითოეულს  
სათითაოდ თითო ცვარი ჰკიდია.

●  
ძლივს ბალახს ეჭიდება —  
ლამის მიაქვს ქარწვიმას  
გუნდი ბელურების.

ხიაკუტი  
XVIII ს.

●  
ჩემგან გაყიდული ძროხა  
შეიყვანეს ნისლში და  
ვაჰმე, მიჰყავთ სოფლიდან!

ისსა  
XVIII ს.

●  
ხეს მოსაჭრელად თარჯი ადევს,  
ჩიტუნები კი უდარდელად  
იკეთებენ ხეზე ბუდეს.

●  
აღბათ, იმ ცხოვრებაში  
შენ ჩემი და იყავი  
მოწყენილო გუგულო!



ქართული  
ბიბლიოთეკა



ტიე-50  
XVIII ს.

**მცირეფლოვანი ვაჟის სიკვდილზე**  
ო, ჩემო ბიჭო, პეპლებზე მონადირევ!  
დღეს რომელ უცხო ქვეყანაში შეგიცდა ფეხი,  
სად, რომელ უცნობ ქვეყანაში, პეპლიჭერიავ?!  
ქართულნი  
გიგლიჩიძე

იასუი  
XVIII ს.

●  
გარეულო ბატებო, ჩვენსას სტოვებთ მხარეს,  
რა ვუყოთ თუ გვიფუჭებდით ყანებს, —  
ნაღვლიანად ვამბობ ჩემთვის: „მშვიდობით!“

გაიბი  
XVIII ს.

●  
ისე გალობს ბულბული, სიმხნეს იმგვარს აცხადებს,  
ვითომც გალიაში  
დამწყვდეული არ გვეყავდეს!

ფრენს საჭანელა მსუბუქად ცაში,  
ელერს სიყვარული ძვირფასის ხმაში —  
ლაყვარლებიდან სიხარული თავზე მელვრება.

სირო  
XVIII ს.

●  
ჩახჩახებს ცაში „ნახტომი ირმის“,  
ისე ახლოა ისე დაბლა, ასე გგონია,  
ფეხს დაჰკრავ მიწას და... გადააფრინდები!

იპპაი  
XVIII ს.

●  
ქარს მოჰყოლია და  
ლოლუას ჩაჰკვრია —  
ფართხალებს ნეკერხლის წითელი ფოთოლი.



რძება

XVIII ს.



ქვეყნული  
ბიბლიოთეკა



შეხე, შთვარეა ცაზე! ახ, რას დაგვლის თავი  
უბრალო ფიჭვად მაქცია,  
გადმომაყენა მთაზე!



სად, სად გაქრნენ ციციანათელები?! —  
თავს უშველეს, თავი შეაფარეს  
მთვარეს.

ეძიუ

XVIII ს.



გზადაგზა ბრინჯის ჩითილებს რგავს,  
დედაკაცს ყანაში პაწია ჰყავს,  
ტირილი ესმის და იქით ჩქარობს.



გადამწვარ მინდვრებს შორის  
მიდის და მიდის მდინარის გამხმარი კალაპოტი —  
მიიკლაკნება შორს.

### სიკვდილით დასჯის წინ

მივალ! მაცა, ჩავიდე მკვდართა ქვეყნის უკუნს —  
იქ მოვისმენ, გუგულო,  
შენს დანარჩენ „გუგუს!“

ფუხაკუ

XVIII ს.



შინდა გავისველო თითები, —  
იმგვარად კამკამებს ნაკადული,  
შიგ ფეხის ჩაყოფა მერიდება!

ბაისუი

XVIII ს.



წუხანდელს მოქცევას ზღვისას  
გადამხმარ ლერწმებში ყინულის  
ელვარე ნატეხი დარჩენია.





თარგმნა გივი ქნელაძე

### ჩემი ძალი

...ზის რაფაზე და მიუღვია მინაზე დრუნჩი, —  
შენს გამოჩენას ძალი ჩემი მოწყენით უცდის...

ჩემს ძალღუნის თანაგრძნობით ხელს ვუსვამ ზურგზე —  
სივრცეს გაყინულს მეც ძალღური ლოდინით ვუმზერ...

...აჰ, ჩვენთან, გახსოვს? — ერთი ქალი ცხოვრობდა ერთ დროს,  
გახსოვს, ჩვენს სახლში რა ხმა უღერდა, ან რა მზე ენთო!..

რა იყო ჩემი ის ქალი და... სახელი ერქვა?...  
ცოლი?... და?... იქნებ — ქალიშვილი! დასწყევლოს ღმერთმა!..

ახლა შორსაა!.. ვერ მისწვდება მას ჩვენი თვალი, —  
აღარ იქნება დღეის შემდეგ ამ სახლში ქალი!..

მოდით... დაწყნარდით... ჩამოჯექით... ნეტა შენ ერთი  
ღვინოს სვამდე და... არაფერი არ მინდა მეტი!.

□



# კინრიკ ბილი

## კლოუნის თვალთახედვა



რომანი

გერმანულიდან თარგმნა ნელი ავაშუკელმა

ბნეშარის

რომელთა არა მიეზბრა მისთვის, იხილონ და  
რომელთა არა ესმა, გულისხმა ყონ.

ბონში რომ ჩამოვედი, ღამდებოდა, თავს ძალა დავატანე, არ მინდოდა ჩემი ჩასვლა დამორჩილებოდა ავტომატიზმს, რომელიც ხუთი წლის გაუთავებელი მოგზაურობის შედეგად გამოიმუშავდა: ბაქნიდან ჩადი კიბეზე, ადი მოპირდაპირე კიბეზე, ძირს დადგი სამგზავრო ჩანთა, პალტოს ჯიბიდან ამოიღე სამგზავრო ბილეთი, მერე ისევ ჩანთას დაავლე ხელი, ჩააბარე ბილეთი კონტროლიორს, წადი გაზეთის ჯიხურისაკენ, იყიდე საღამოს გაზეთები, გადი ქუჩაში და ხელით უხმე ტაქსის. ხუთი წლის განმავლობაში თითქმის ყოველდღე საიდანღაც მივემგზავრები და საღლაც ჩავდივარ. დილაობით ზევით-ქვევით მივუყვები რკინიგზის სადგურის კიბეს, ნაშუადღევს კი ჯერ ქვევით ვეშვები, შემდეგ ზევით ავდივარ, ხელით ვუხმობ ტაქსის, პიჯაკის ჯიბეში ვეძებ მძლოლის გასასტუმრებელ ფულს, ჯიხურებში ვყიდულობ საღამოს გაზეთებს და საღლაც სულის სიღრმეში ვტკბები — ეს ისე გამიჭდა ძვალ-რბილში, არაფერს დაგიდევთ.

მას შემდეგ, რაც მარიმ მიმატოვა, რათა იმ კათოლიკე ციუპფენერს გაჰყოლოდა ცოლად, ეს პროცესი კიდევ უფრო მექანიკური გახდა, და კვლავაც არაფერს დაგიდევთ. მანძილს სადგურიდან სასტუმრომდე და სასტუმროდან სადგურამდე მხოლოდ ერთი რამ ზომავს — ტაქსის მრიცხველი. სადგურიდან მრიცხველი წერდა ხან ორ, ხან სამ, ხანაც ოთხნახევარ მარკას. მაგრამ მას შემდეგ, რაც მარი გამშორდა, ეს ჩვეული რიტმი ზოგჯერ ირღვევა ხოლმე, სასტუმრო და სადგური ერთმანეთში მერევა, მატარებლის ბილეთს ფაცაფუცით ვეძებ პორტიეს დახლთან, ბაქნის გასასვლელში გაჩერებულ კონტროლიორს კი ჩემი ოთახის ნომერს ვეკითხები. ეტყობა რაღაცა, რასაც ალბათ ბედი ჰქვია, მაიძულებს გავიხსენო ჩემი პროფესია და ისიც, თუ რა შავ დღეში აღმოვჩნდი. კლოუნი გახლავართ, ოფიციალურად პროფესიონალი კომიკოსი მსახიობი მქვია, არც ერთი ეკლესიის გადასახადი არ მმართებს, ვარ ოცდაშვიდი წლის და ერთ-ერთ ჩემს ნომერს „ჩამოსვლა და გამგზავრება“ ეწოდება. ამ უსაშველოდ გაჭიანურებულ პანტომიმაში მაყურებელმა ბოლო წუთამდე არ იცის ჩამოვედი თუ გავემგზავრე. ამ ნომერს ხშირად კიდევ ერთხელ ვიმეორებ მა-



ტარებელში (ნომერი შედგება ექვსასზე მეტი მოძრაობისაგან და მთელი ქორეოგრაფია სისხლში უნდა შექონდეს გამჭდარი), ამიტომ, რა გასაკვირია, თუ ზოგჯერ საკუთარი ფანტაზიის მსხვერპლი ვხდები. შევრბივარ ხასტუმროში, თვალთ ვეძებ მატარებლის მიმოსვლის განრიგს, ვპოულობ კიდევ, და იმის მაგივრად, რომ ჩემს ოთახში ავიდე და წარმოდგენისათვის მოვემზადო, ვერბივარ ან ჩავრბივარ კიბეზე, რათა მატარებელს მივუსწრო. საბედნიეროდ სრულქმის ყველა სასტუმროში მიცნობენ: ხუთი წლის მანძილზე გამომიმუშავდა გარკვეული რიტმი და ვარიანტებიც აქ გაცილებით ნაკლებია, ვიდრე თავიდან გგონია. გარდა ამისა, ჩემი აგენტი კარგად იცნობს ჩემს ხასიათს და ყოველნაირად ცდილობს საქმე გამიჩარხოს. ამით იგი პატივს სცემს და ხარკს უხდის იმას, რასაც „ხელოვანის მგრძნობიარე სულს“ უწოდებს და ჩემს ოთახში ყოველთვის „კარგი განწყობილების აურა“ მხვდება. ლამაზ ლარნაკში ყვავილებია ჩადებული და როგორც კი პალტოს სავარძელზე მივაგდებ, ხოლო ფეხსაცმელს კუთხისაკენ მოვისვრი (მძულს ფეხსაცმელი), ლამაზ მოსამსახურე გოგოს უკვე მოაქვს ჩემთვის ყავა და კონიაკი და მიმზადებს აბაზანას. მწვანე ესენცია წყალს სურნელებას ანიჭებს და ნერვებს მიმშვიდებს. ვწევარ აბაზანაში, ვკითხულობ მხოლოდ არასერიოზულ გაზეთებს, ექვსს თუ არა, სამს მაინც და დაბალ ხმაზე ვლილინებ მხოლოდ ლიტურგიულ საგალობლებს, ქორალებს, ჰიმნებს, სექვენციებს, რაც სკოლის მერხიდან ჩამრჩა მეხსიერებაში. ჩემი მშობლები, მართლმორწმუნე პროტესტანტები, ომის შემდეგ გავრცელებულ რჯულშემწყნარებლობის მოდას აჰყვნენ და კათოლიკურ სასწავლებელში მიმაბარეს. პირადად მე რელიგიას ზურგი ვაქციე, ეკლესიაშიც კი არ დავდივარ და ლიტურგიულ ტექსტებსა და მელოდებს სამკურნალო მიზნით ვიყენებ: საგალობლები ყველაფერზე მეტად მეხმარებიან მოვერიო იმ ორ სენს, რითაც ბუნებამ დამაჯილდოვა — მელანქოლიას და თავის ტკივილს. მას შემდეგ, რაც მარი კათოლიკებთან გადაბარგდა (თუმცა მარი თვითონაც კათოლიკეა, ასეთი გამოთქმა მაინც მართებულად მიმაჩნია), ორივე სენი უფრო გამომწვავდა და *Tantum Ergo* და ლაურეტანული ლიტანია, აქამდე რომ ყველაზე მეტად მიქარვებდნენ ტკივილს, ახლა ძლივსღა მშველიან. არსებობს სხვა წამალიც — ალკოჰოლი, რომელიც დროებით მშველის, ჩემი საბოლოო განკურნება მარის შეეძლო, სამწუხაროდ მარიმ მიმატოვა. კლოუნი რომ სმას იწყებს, უფრო სწრაფად დაეშვება ძირს, ვიდრე მთვრალი მეთუნუქე სახურავიდან გადავარდება.

როცა სცენაზე მთვრალი გავდივარ, არაზუსტად ვასრულებ იმ მოძრაობებს, რომელთა გამართლება მხოლოდ სიზუსტეს შეუძლია და ზოგჯერ ისეთ შეცდომას ვუშვებ, კლოუნისათვის თავის მოჭრას რომ უდრის: მეციანება საკუთარ ოხუნჯობაზე. ამაზე დამამცირებელი არაფერია. როცა ფხიზელი ვარ, სცენაზე გასვლამდე სულ უფრო და უფრო მიბყრობს შიში (ხშირად ხელის კვრითაც კი მაგდებდნენ სცენაზე) და რასაც ზოგიერთი კრიტიკოსი „ფიქრნარევი კრიტიკულ მხიარულებას“ უწოდებდა, „რომლის მიღმაც გულის ძგერა ისმის“, სხვა არაფერი იყო, თუ არა გამთოშავი სასოწარკვეთილება, რაც ხელს მიწყობდა, მარიონეტად გადავქცეულიყავი. ცუდ დღეში მაშინ ვვარდებოდი, როცა ძაფი წყდებოდა და საკუთარი თავის ამარა ვრჩებოდი. ალბათ რაღაც ამდაგვარს განიცდის ბერი მისტიკური განკვრეტის დროს. მარი ყოველთვის თან დაატრევდა ათასგვარ მისტიკურ ლიტერატურას და რამდენადაც მახსოვს, ამ წიგნებში ხშირად წავწყდომივარ სიტყვებს „ამაო“ და „არარა“.



სამი კვირა თითქმის ყოველდღე მთვრალი ვიყავი და სცენაზე გასვლისას მაცდუნებელი თავდაჯერებულობა მეუფლებოდა. შედეგმაც უფრო მალე იჩინა თავი, ვიდრე ეს ზარმაც მოწაფეს ემართება. იგი ხომ ნიშნების ფურცლის მიღებამდე ილუზიებით იმშვიდებს თავს — ნახევარი წელი საკმაოდ დიდი დროა საოცნებოდ. სამი კვირის შემდეგ ჩემს ოთახში ყველაფერი აღარ იდგა, მეორე თვის შუა რიცხვებში აბაზანიანი ნომერი აღარ მდებარეობდა. მე თვის დამდეგს კი სადგურიდან უკვე შვიდი მარკის მანძილზე ვცხოვრობდი, ხოლო ჩემი გასამრჯელო ერთ მესამედზე შემცირდა. ვარიეტეს კარი მომიხურეს, სადღა იყო კონიაკი, არაყს მასმევდნენ. წარმოდგენას ვმართავდი უღიმღამოდ განათებულ სცენაზე, ჩაბნელებულ დარბაზებში, სადაც ყოვლად უცნაური კავშირები სხდომებს მართავდნენ. ვილა ფიქრობდა არაზუსტ მოძრაობებზე, ლამის ვპამპულობდი და ასე ვართობდი იუბილარებს: რკინიგზელებს, ფოსტისა და საბაჟოს მოხელეებს, კათოლიკე დიასახლისებს, ევანგელისტ მედიცინის დებს, ბუნდესვერის ოფიცრებს, რომლებიც სასწავლებლის დამთავრებას ლუდის სმით აღნიშნავდნენ და ზეიმის დასამშვენებლად მე მიწვევდნენ, თუმცა ხეირიანად ისიც კი არ იცოდნენ, ჰქონდათ თუ არა სიცილის უფლება, როცა ჩემი ერთ-ერთი ძველი პანტომიმის „თავდაცვის საბჭოს“ გაცვეთილ ნარჩენებს ვუჩვენებდი. გუშინ კი ბოხუმში ახალგაზრდების წინაშე მომიხდა გამოსვლა, ჩაპლინს ვბაძავდი, უეცრად ფეხი დამიციდა, ადგომა ვეღარ შევძელი. არავის დაუსტვენია, მაყურებლები თანაგრძნობით ჩურჩულებდნენ და ბოლოს, როცა ფარდა ჩამოუშვეს, კოჭლობით გავედი სცენიდან, მთელ ჩემს ბარგი-ბარხანას თავი მოვუყარე და ისე მივაშურე პანსიონატს, რომ გრიმიც კი არ მომიცილებია. პანსიონატში ერთი აურზაური ატყდა: ჩემმა დიასახლისმა მძლოლის გასასტუმრებელი ფული არ მასესხა და გაავებული მძლოლი იმით დავაშოშმინე, რომ ელექტროსამართებელი გირაოდ კი არა, გასამრჯელოდ მივეცი. საბედნიეროდ, წესიერი კაცი აღმოჩნდა და ხურდად სიგარეტის გახსნილი კოლოფი და ორი მარკა დამიბრუნა. ტანგაუხდელი მივეგდე გაუშლელ საწოლზე, ბოთლში ჩარჩენილი არაყი გამოეწრუბე და ამ ბოლო თვეებში პირველად ვიგრძენი, რომ აღარც მელანქოლია მაწუხებდა და აღარც თავის ტკივილი. მთვრალი, წუმბეში ამოგანგლულივით სწორედ ისე ვეგდე საწოლზე, როგორც ბევრჯერ მინატრია, ნეტავი ასე დამლეოდა დღე-მეთქი. ერთი ჭიქა არყისთვის უკანასკნელ პერანგს გავიმეტებდი, მაგრამ იმდენი ლაპარაკის თავი არა მქონდა, ასეთ გარიგებას რომ სჭირდება ხოლმე, მხოლოდ ამან ამალებიანა ხელი განზრახვაზე. მეძინა შესანიშნავად, მაგრად, დამესიზმრა, თითქოს სცენის მძიმე ფარდა რბილი, სქელი სუდარასავით გადამეფარა, როგორც დაბინდული მადლი, მაგრამ ბურანში წასულმა ძილშივე ვიგრძენი, როგორ შემიპყრო გაღვიძების შიშმა. სახე გრიმით მაქვს მოთხუპნული, მარჯვენა მუხლი გამისივდა, პლასტმასის ლანგარზე ისეთი საუზმე დევს, პირს ვერ დააკარებ, ყავადანთან კი ჩემი აგენტის დებეშა აგდია: „კობლენცმა და მაინცმა უარი შემოთვალეს. სალამოს ბონში დაგირეკავთ. „ცონერერი“. მცირე ხნის შემდეგ დამირეკა იმ კაცმა, ვინც სალამოს მართავდა. მხოლოდ ახლა გავიგე მისგან, თურმე ქრისტიანთა განათლების საქმეს ხელმძღვანელობდა.

— ქოსთერთი გახლავართ, — მომესმა მლიქვნელური, მსუსხავი ხმა. — თქვენი გასამრჯელოს საკითხი ხომ უნდა გავარკვიოთ.

— კეთილი, ამას წინ რა უდგას, — ვუპასუხე მე.

— ვითომ? — მკითხა მან.



მე ვლუმდი. კაცმა ლაპარაკი განაგრძო, ახლა მის უფერულ, მსუსხავ ხმაში სადისტური ბგერები აუღერდა.

— ადრე შევთანხმდით, რომ გასამრჯელოდ ას მარკას გადავუხდით კლოუნს, რომელიც იმ დროს ორასი მაინც ღირდა.

ამ სიტყვებს დუმილი მოჰყვა, ალბათ იმიტომ, რომ გავეხელებინა მარკამ მე კრინტი არ დამიძრავს. თავი ველარ შეიკავა და ჩვეულებრივად განაგრძო:

— მე საზოგადოებრივ სასარგებლო კავშირს ვხელმძღვანელობ და სინდისი ნებას არ მაძლევს ასი მარკა გადავუხადო კლოუნს, ვისთვისაც ოცი მარკაც კი ბევრია. ჩვენ მხრივ ესეც დიდი ხელგაშლილობაა.

არავითარი საბაბი არ მქონდა, დუმილი დამერღვია. ამიტომ სიგარეტს მოვუკიდე, წყალწყალა ყავა დავისხი და მის ქოშინს მივაყურადე.

— თუ მისმენტ მაინც? — მკითხა მან.

— დიახ, გისმენტ, — ვუპასუხე და კვლავ ჩავიკმიდე ხმა.

დუმილი კარგი იარაღია. სკოლაში, როცა დირექტორთან ან კოლეგიაზე მიბარებდნენ, ყოველთვის ჩიუტად ვლუმდი. არა უშავს, გაიწუროს ოფისში ტელეფონის ხაზის მეორე ბოლოში ჩამოკიდებული ქრისტიანი ბატონი ქოსთერთი. ასეთ გულნამცეცა კაცუნას აბა როგორ შევეცოდებოდი, სამაგიეროდ საკუთარი თავის შეცოდება შეძლო და ბოლოს ჩაიბურტყუნა:

— რამეს ხომ არ მეტყვი, ბატონო შნირ?

ახლა კი ამოვიღე ხმა.

— კარგად დამიგდეთ ყური, ბატონო ქოსთერთ. აი, რას გეტყვით: ჩაბრძანდით ტაქსში, მიდით სადგურზე, მიყიდეთ პირველი კლასის ბილეთი ბონამდე, მიყიდეთ ერთი ბოთლი არაყი, მობრძანდით სასტუმროში, გადაიხადეთ ჩემი დანახარჯი მოახლის გასამრჯელოს ჩათვლით, დამიტოვეთ კონვერტით იმდენი ფული, რაც ტაქსით სადგურამდე მისვლა ღირს და გარდა ამისა, გაფიცებთ თქვენს ქრისტიანულ სინდისს, გამიგზავნეთ თქვენი ხარჯით ბარგი ბონში. თანახმა ხართ?

ქოსთერთმა თავისთვის რაღაც იანგარიშა, ჩაახველა და მითხრა:

— ორმოცდაათ მარკაზე მეტის გადახდას არ ვაპირებდი.

— კეთილი, — ვუთხარი მე, — მაშინ ტრამვით იმგზავრეთ და ეს ყველაფერი ორმოცდაათ მარკაზე ნაკლები დაგიჯდებათ. თანახმა ხართ?

მან კვლავ რაღაც დაიანგარიშა და მითხრა:

— არ შეგიძლიათ ბარგი ტაქსით წაიღოთ?

— არა, ვუპასუხე მე, — ფეხი ვიტკინე და ბარგის თრევის თავი არა მაქვს. ეტყობა, ქოსთერთმა ქრისტიანული სინდისის ძლიერი ქენჯნა იგრძნო.

— ბატონო, შნირ, — მითხრა ლმობიერად, — ვწუხვარ რომ მე...

— როგორ გეკადრებათ, ბატონო ქოსთერთ, — ვუთხარი მე, — ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია დავაზოგვინოთ ქრისტიანული საქმისათვის ორმოცდაათობამეტი თუ ორმოცდათექვსმეტი მარკა.

ბერკეტს ხელი დავაჭირე და ყურმილი აპარატის გვერდით დავდე. ქოსთერთი ისეთი ტიპი იყო, შეეძლო კიდევ ერთხელ დაერეკა და კარგა ხანს ეყბედა. სჯობს, მარტო დარჩენილმა საკუთარ სინდისში მოაფათუროს ხელი.

ცუდად ვიყავი. დამავიწყდა მეტყვა, რომ მარტო მეღანქოლია და თავის ტკივილი კი არა, კიდევ ერთი, თითქმის მისტიკური თვისებაც მაწუხებს: ტელე-



ფონის მეშვეობით სუნსაც აღვიქვამ, ქოსთერტს კი აბების მოტკბო სუნი ას-  
დიოდა. იძულებული გავხდი წამოვმდგარიყავი და კბილები გამეხეხა. ფსკერზე  
დარჩენილი არყის წვეთები პირში გამოვივლე, გრიმი გაჭირვებით მოვიცილე,  
ისევ ლოგინში ჩავწექი და დავიწყე ფიქრი მარიზე, პროტესტანტებზე და კა-  
თოლიკებზე. წარმოვიდგინე მომავალი, ვფიქრობდი იმ წუმბეზვც, რომელშიც  
ოდესმე აუცილებლად აღმოვჩნდებოდი. როცა კლოუნი ორმოცდაათ წელს  
მიატანს, მისთვის მხოლოდ ორი გზა არსებობს: ან წუმბე ან სასახლე. სასახ-  
ლეზე არ მიოცნებია, რადგან ორმოცდაათ წლამდე ოცდაორ წელზე მეტი მაქვს  
სათრევი.

კობლენცმა და მაინცმა რომ უარი შემომითვალეს, ცონერერი ამას „პირ-  
ველ საგანგაშო“ საფეხურს დაარქმევდა. ჩემთვის კი მისწრება იყო, — დამა-  
ვიწყდა მეტქვა, რომ კიდევ ერთი თვისება გამაჩნია: გულგრილობა. წუმბე ბონ-  
შიც ბევრია, თანაც განა ვინმემ დამიწესა, მაინცდამაინც ორმოცდაათ წლამ-  
დე მოიცადეო? მომაგონდა მარი, მისი ხმა, მკერდი, ხელები, თმა, მისი მოძ-  
რაობები და ყველაფერი ის, რასაც ერთად ვაკეთებდით. მომაგონდა, ციუპფენე-  
რი, რომელსაც მარი ცოლად უნდა გაჰყოლოდა. ბავშვობაში ჩვენ საკმაოდ  
კარგად ვიცნობდით ერთმანეთს, ისე კარგად, რომ როცა დავაჟკაცებულნი  
კვლავ შევხვდით ერთმანეთს, არც კი ვიცოდით შენობით გველაპარაკა თუ  
თქვენობით. ორივე მიმართვა უხერხული გვეჩვენებოდა და როცა ერთმანეთს  
ვხვდებოდით, უხერხულად ვგრძნობოდით თავს. ვერ გამიგია, რაღა მაინცდა-  
მაინც მას მიეტმასნა მარი, მაგრამ იქნებ მართლაც არასოდეს „მესმოდა“ მარი-  
სი? გავცოფდი, რაღა სწორედ ქოსთერთი გამოტყვრა და გამომარკვია ფიქ-  
რისგან. ძალღივით ფხაჰნიდა კარს და ბოლოს მითხრა:

— მომისმინეთ, ბატონო შნირ, ექიმს ხომ არ გამოვუძახო?

— მომწყდით თავიდან, — ვუყვირე მე, — შემოაცოცეთ კონვერტი კარის  
ქვეშ და წაბრძანდით სახლში.

როცა ქოსთერთმა კონვერტი კარის ქვეშ შემოაცოცა, საწოლიდან წამოვ-  
დექი, კონვერტი ავალე და გავხსენი. კონვერტში აღმოჩნდა მეორე კლასის  
ბილეთი ბოხუმიდან ბონამდე და ზუსტად ნაანგარიშევი ტაქსის ფული: ექვსი  
მარკა და ორმოცდაათი პფენიგი. იმედი მქონდა, ათ მარკამდე მაინც დაამრგვა-  
ლებდა და ვეარაუდობდი რამდენი დამრჩებოდა, როცა პირველი კლასის ბი-  
ლეთს ფასდაკლებით ჩავაბარებდი სალაროში და მეორე კლასის ბილეთს ვი-  
ყიდდი. ჩემი ანგარიშით ხუთ მარკას მაინც მოვიგებდი.

— ყველაფერი რიგზეა? — მომესმა გარედან.

— დიახ, — ვუპასუხე მე, — წაეთრიეთ აქედან ბინძურიო ქრისტიანო ჭია-  
ლუავ!

— როგორ გეკადრებათ? — შემომძახა მან.

— წაეთრიეთ! — ავღრიალდი მე.

სიჩუმე ერთ წამს თუ გაგრძელდა, შემდეგ გავიგონე, როგორ დაეშვა კი-  
ბეზე.

მიწის შვილები ზეცის შვილებთან შედარებით მარტო ჭკვიანები კი არა,  
უფრო ადამიანურნიც და სულგრძელნიც არიან. არაყისა და სიგარეტებისათ-  
ვის რომ ცოტაოდენი ფული დამეზოგა, სადგურამდე ტრამვაით წავედი. პანსიო-  
ნატის დიასახლისმა იმ დეპეშის თანხაც მიანგარიშა, წინა საღამოს მონიკა  
ზილვსს რომ გავუგზავნე ბონში — ქოსთერთმა არ ისურვა ამ დანახარჯის გა-



დახდა. ასე რომ სადგურამდე ტაქსისთვის მაინც არ მეყოფოდა ფული. დეპეშა მანამდე გავგზავნე, სანამ გავიგებდი, რომ კობლენცმა მიწვევაზე უარი მითხრა. უარის თქმას მე თვითონ ვაპირებდი, მაგრამ იმათ დამასწრეს. ცოტათი ესეც მალიზიანებდა. აჯობებდა, მე თვითონ შემეთვალა დეპეშით უარი: „მუხ-ლი მაქვს მძიმედ დაშავებული. წარმოდგენას ვერ გავმართავ“. კობლენცმა კი რომ მონიკას დეპეშა გავუგზავნე: „ხვალისათვის დამახვედრეთ დამლაგებელებმა ბინა. გულითადი სალამი. ჰანსი“.

2

ბონში ყოველთვის ყველაფერი სხვაგვარად ხდებოდა. ამ ქალაქში არასოდეს გამოვსულვარ სცენაზე, ბონში უბრალოდ ვცხოვრობდი და ტაქსის რომ დავიჭერდი, სასტუმროში კი არა, საკუთარ ბინაში მივყავდი. ჯობდა მეთქვა: ჩვენ მივყავდით, მარი და მე. ჩვენ სახლს პორტიე არ ჰყავს, რომ სადგურის კონტროლიორში ამერიოს. მიუხედავად ამისა, საკუთარი ქერი, სადაც წელიწადში სამი-ოთხი კვირა თუ გამიტარებია მხოლოდ, ჩემთვის ყველა სასტუმროზე უფრო უცხოა. ბონში ჩასულმა ძლივს შევიკავე თავი, რომ ტაქსი არ მომეხმო. ეს ეესტი ისე მქონდა შესისხლხორცებული, რომ კინალამ უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ჯიბეში ერთი მარკალა მედო. გარეთ კიბეზე გავჩერდი და ჯიბეები მოვიქეჩე. თუ მაქვს-მეთქი თან გასაღებები: სადარბაზოსი, ბინისა, საწერი მაგიდის უჯრის, სადაც ველოსიპედის გასაღები დევს. დიდი ხანია ვფიქრობ შევქმნა პანტომიმა გასაღებებზე: ყინულის გასაღებების მთელი ასხმულა წარმოდგენის მსვლელობაში თანდათან დნება.

ტაქსის ფული სწორედ მაშინ არ მქონდა, როცა ცხოვრებაში პირველად მართლა მჭირდებოდა ტაქსი. მუხლი გამისივდა, სადგურის მოედანი გაჭირვებით გადავჭერი კოჭლობით და ფოსთშორასეზე შევუხვიე. ჩვენი ბინა სადგურიდან ორი წუთის სავალზეა, მაგრამ ახლა გზა უსასრულო მომეჩვენა. მცირე ხნით სიგარეტების ავტომატს მივეყრდენი და თვალი შევაღლე იმ სახლს, სადაც ბაბუაჩემმა ბინა მაჩუქა. კობტა ბინებს ლამაზად შეფერილი, მოპირკეთებული აივნები ამშვენებს. სახლი ხუთსართულიანია და ხუთივე სართულს ერთმანეთისაგან განსხვავებული აივნები აქვს ღია ან მუჭი ფერისა. მეხუთე სართულზე, სადაც ყველაფერი ჟანგისფერადაა მოპირკეთებული, მე ვცხოვრობ.

შეიძლება იმ წუთში სწორედ ჩემი ახალი პანტომიმა წარმოვიდგინე? გასაღები სადარბაზო კარის ბუდეში შევაცურე და სულაც არ გამკვირვებია, რომ არ დადნა, შემდეგ ლიფტის კარი გავაღე, მეხუთე ლილაკს თითი დავაჭირე და ოდნავი ხმაურით ზევიტკენ დავიძარი. ლიფტის ვიწრო ფანჯრიდან ვხედავდი დერეფნის ერთ ნაწილს, ხოლო დერეფნის ფანჯრიდან მზით განათებული ძეგლის ზურგს, მოედანს და ეკლესიას, შემდეგ ისევ შავი მონაკვეთი და ბეტონის იატაკი მოჩანდა, ხოლო ცოტა მოგვიანებით, ოდნავ შეცვლილ რაკურსში, ისევ მზით განათებული ძეგლის ზურგი, მოედანი და ეკლესია გამოჩნდა. ასე განმეორდა სამჯერ, მეოთხე სართულიდან მხოლოდ მოედანი და ეკლესია ჩანდა, მეხუთე სართულზე ასულმა კი საკუთარი ბინის კარი გავაღე და სულ არ გამკვირვებია, რომ კარი ადვილად გაიღო.



ყოველივე ეს ძნელი დასაჯერებელი უნდა იყოს. მოგვიანებით კიერკეგორის კითხვაც კი დავიწყე (დამწყები კლოუნისათვის სასარგებლო საკითხავია), მართალია გამიძნელდა, მაგრამ არ დავქანცულვარ. არ ვიცი, იქნებ არიან ადამიანები, რომლებიც პიკასოს ან კლემენტ სურათებს პაწია სუფრებზე ქარგავენ, მაგრამ რამ იმ სადამოს ისე მომეჩვენა, თითქოს ეს პროგრესული კათოლიკობის აქვინელის, ფრანცისკუს ასიზელის, ბონავენტურას და პაპის ლეონ XIII-ის ნააზრევისაგან იქსოვდნენ თედობზე შემოსახვევ ჩვრებს, რაც, ცხადია, მათ სიშიშვლეს ვერ ფარავდა, რადგან (ჩემ გარდა) დამსწრეთაგან არავის არ ჰქონდა ათას ხუთას მარკაზე ნაკლები თვიური შემოსავალი. თვითონაც ისე უხერხულად გრძნობდნენ თავს, რომ ბოლოს ცინიზმსა და სნობიზმს ამოეფარნენ. გამონაკლისს მხოლოდ ციუპტენერი წარმოადგენდა; იგი ისე გააწამა მთელმა ამ ამბავმა, რომ სიგარეტიც კი მთხოვა. მის ცხოვრებაში ეს იყო პირველი სიგარეტი, რომელსაც უმწეოდ აბოლებდა და მე შევამჩნიე, რომ უხაროდა, როცა კვამლი სახეს უფარავდა. მარის მდგომარეობა მაწუხებდა, რადგან გაფითრებული იჯდა და თრთოდა, ხოლო კინკელი ამ დროს ანეკდოტს ყვებოდა: ერთი კაცი თურმე თვეში ხუთას მარკას იღებდა და არა უშავდა რა, თავი გაჰქონდა, ცოტა ხნის შემდეგ ათასი მარკა დაუნიშნეს, შეამჩნია, რომ ცხოვრება გაუჭირდა, ხოლო როცა მისმა შემოსავალმა ჯერ ორი ათას მარკას მიაღწია, ბოლოს კი სამ ათასამდე ავიდა, ისევ აეწყო ცხოვრება. კინკელმა თავის ბრძნული გამოცდილება შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „თუ თვეში ხუთას მარკამდე იღებ. არაფერი გეჭირს, ხუთასიდან სამი ათას მარკამდე კი დიდ სიღუბჭირეს განიცდი“. კინკელმა ვერც კი შეამჩნია, რა ჩაიდინა: ბევრს ლაყბობდა, ეწეოდა მსხვილ სიგარას, ხშირად მიჰქონდა პირთან ღვინით სავსე ჭიქა, სანსლავდა ყველიან კვერებს და ყოველივე ამას ოლიმპიური უღარდებლობით აკეთებდა. ბოლოს მისმა საქციელმა წრის სულიერი მოძღვარი პრელატი ზომერვილდიც კი შეაშფოთა, იგი შეეცადა საუბრის თემა შეეცვალა. ზომერვილდმა, მგონი, ხელჩასაჭიდი სიტყვა „რეაქცია“ შეაპარა და კინკელი მაშინვე წამოეგო ანკესზე. აიწყვიტა, გაცოფდა, გაახურა მოხსენება იმაზე, რომ თორმეტ ათასად ღირებული ავტომანქანა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ოთხი ათას ხუთასიანი და შუა ლაპარაკში გაჩუმდა. ამჯერად მისმა ცოლმაც კი, რომელიც ქმარს აღმერთებდა და ცუდს ვერაფერს ამჩნევდა მისას, შვებით ამოისუნთქა.

## 3

ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ საკუთარ ბინაში თავი თითქმის კარგად ვიგრძენი. აქ სითბო და სისუფთავე სუფევდა და როცა პალტო საკიდზე დავკიდე და გიტარა კუთხეში მივაყუდე, გავიფიქრე, ბინა იქნებ ცოტა მეტს ნიშნავს, ვიდრე თავის მოტყუება-მეთქი. ერთ ადგილას ფეხის მოკიდება მიჭირს, ეს ალბათ ასე იქნება ყოველთვის. ამ მხრივ მარი ჩემზე უარესია, მაგრამ მაინც არჩია, საბოლოოდ სხვის ბუდეში მოკალათებულყო, არადა ისეთი დროც მახსოვს, თუ ერთ კვირაზე მეტხანს მიწევდა რომელიმე ქალაქში გამოსვლა, მარი აწრიალდებოდა ხოლმე.

მონიკა ზილვსმა ახლაც ისეთი გულისხმიერება გამოიჩინა, როგორც ყო-



ველთვის, როცა კი დებეშას ვუგზავნიდი. სახლმმართველისათვის გასაღები გამოერთმია, ყველაფერი დაესუფთავებინა, საერთო ოთახში ყავილები დაედგა, მაცივარი ნაირ-ნაირი სურსათ-სანთვაგით გამოევსო, სამზარეულოს მაგიდაზე დაფქული ყავით სავსე კოლოფი იდო, მის გვერდით კონიაკის გაუხსნელი ბოთლი. საერთო ოთახში სიგარეტები დამხვდა მაგიდაზე, ხოლო ყავილების გვერდით ანთებული სანთელი იღვენთებოდა. მონიკა ზოგჯერ უჩვეულოდ მგრძნობიარეა, შეუძლია სანტიმენტალურიც კი იყოს და ამის გამო ხანდახან გემოვნება ღალატობს. მაგიდაზე დადგმულ სანთელს ხელოვნური ნალკენთი ჰქონდა, რაც, ცხადია, ვერ დააკმაყოფილებდა „ქარგი გემოვნების დამცველი კათოლიკური წრის მოთხოვნებს“, ეტყობა ამ ფაცაფუცში სხვა სანთელს ვერ მიაგნო, ან ძვირი, გემოვნებით შერჩეული სანთლის საყიდლად ფული არ ეყო და უეცრად ვიგრძენი, რომ სწორედ ამ უგემოვნო სანთლის გამო ჩემი სინაზე მონიკა ზილვისისადმი იმ ზღვარს უახლოვდებოდა, რომლის გადალახვის საშუალებას არ მაძლევს ჩემი ავბედითი მიდრეკილება. მონოგამიისადმი, კათოლიკური წრის სხვა წევრები ვერასოდეს ვერ გაბედავდნენ უგემოვნობა ან ზედმეტი მგრძნობიარობა გამოეჩინათ. დიახ, ისინი თავიანთ სისუსტეს არასოდეს გამოამჟღავნებენ და თუ რამე შეეშლებათ, ურჩევნიათ ზნეობის სფეროში შეცდნენ, ვიდრე უგემოვნობი აღმოჩნდნენ. ჩემს ბინაში ჯერ კიდევ იდგა მონიკას სუნამოს სურნელება, მისთვის მეტისმეტად მძაფრი და მოღურა. ამ ნაზავს მგონი „ტაიგა“ ჰქვია.

მონიკას ნაყიდი სიგარეტი მონიკას სანთელზე მოვუკიდე, სამზარეულოდან კონიაკი გამოვიტანე, წინკარიდან კი ტელეფონის წიგნი და ყურმილი ავიღე. მონიკამ იმაზეც იზრუნა, ტელეფონი ჩართული ყოფილიყო, ზუმერის წკრიალი უსაზღვროდ ფართო გულის ძგერად მომეჩვენა. იმ წამს ეს ხმა უფრო მიყვარდა, ვიდრე ზღვის ღელვა, ქარიშხლის სუნთქვა ან ლომის ბრდღვინვა. ამ მკვეთრ ბგერებში ჩატეულიყო მარის ხმაც, ლეოს ხმაც და მონიკას ხმაც, ყურმილი ნელა დავდე. ეს ერთადერთი იარაღიღა დამრჩა და მალე გამოვიყენებდი კიდევ. შარვლის მარჯვენა ტოტი ავიკეცე და დაშავებული მუხლი შევათვალიერე. მუხლი მსუბუქად მქონდა დაბეჭილი, ოდნავ შეშუპებულიყო. კონიაკი დიდ ჭიქაში ჩავასხი, ნახევრამდე დავცალე და დანარჩენი მტკივან მუხლზე დავისხი. შემდეგ კოჭლობით გავედი სამზარეულოში და კონიაკი მაცივარში შევდგი. მხოლოდ ახლა გამახსენდა, რომ ქოსთერთმა მაინც არ მომიტანა დათქმული არაყი. ალბათ იფიქრა, პედაგოგიური თვალსაზრისით ასე აჯობებსო. და ამით პროტესტანტულ ეკლესიას შვიდი მარკა დაუზოგა. გადავწყვიტე დამერეკა მისთვის და ამ თანხის გამოგზავნა მომეთხოვა. ძაღლის ნაშობი ასე იოლად არ უნდა დამძრომოდა ხელიდან. ესეც რომ არა, ფული მჭირდებოდა. ხუთი წლის განმავლობაში გაცილებით მეტ ფულს ვშოულობდი, ვიდრე უნდა დამხარჯოდა და მაინც შემომეღია. ცხადია, როგორც კი მუხლი მომიჩრება, ისე როგორ წავხდები, პამპულობაში ოცდაათი-ორმოცდაათი მარკა არ მომცენ. ჩემთვის სულ ერთია სად მომიწევს გამოსვლა, უხეირო დარბაზებში მაყურებელი უფრო სიმპათიურიც კია, ვიდრე ვარიეტებში. მაგრამ დღეში ოცდაათი-ორმოცდაათი მარკა მეტისმეტად ცოტაა, ხოლო იაფფასიანი სასტუმროების ოთახები — მეტისმეტად პატარა. რეპეტიციის დროს მაგიდებსა და კარადებს



ვეჯახები. თანაც, მე, თუ მკითხავთ, არც აბაზანაა ფუფუნება, და ტაქსიც როდია მფლანგველობა ისეთი კაცისათვის, ხუთ ჩემოდანს რომ დაათრევს თან.

მაცივრიდან კონიაკი გამოვიღე და ერთი ყლუპი პირდაპირ ბოთლიდან მოვსვი. ლოთი არა ვარ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მარიმ მიმატოვა, აღკობოლი შევბას მგვრის. ვარდა ამისა, უფულობასაც გადავეჩვიე და ის ამბავი, რომელიც ბეში ერთი მარკა მედო და უახლოეს მომავალში ამ თანხის მნიშვნელოვნად გაზრდის არავითარი იმედი არ მქონდა, აშკარად მანერვიულებდა. ერთადერთი ნივთი, რომლის გაყიდვაც შემეძლო, ველოსიპედი იყო, მაგრამ თუ მოხეტიალე ჯამბაზობას მოვკიდებდი ხელს, ველოსიპედი ძალიან გამომადგებოდა, მიხსნიდა ტაქსისა და მატარებლის ხარჯისაგან. ბინის მფლობელიც იმ პირობით ვიყავი, რომ მისი არც გაყიდვა შემეძლო და არც გაქირავება. კონიაკი რომ არ დამეღია, თავს ძალა დავატანე, საერთო ოთახში გავედი და ტელეფონის წიგნი გადავშალე.

4

დავიბადე ბონში, ამ ქალაქში უამრავ ხალხს ვიცნობ, მათ შორის არიან ხათესავეები, ნაცნობები, სკოლის ამხანაგები, აქვე ცხოვრობენ ჩემი მშობლები და ჩემი ძმა, ლეო, რომელმაც ციუპფენერის ზეგავლენით რჩული შეიქცვალა, გაკათოლიკდა და ახლა თეოლოგიას სწავლობს. აუცილებლად უნდა მოვინახულო მშობლები, თუნდაც იმისათვის, რომ ჩემი ფინანსიური საქმეები მოვაგვარო. თუმცა ამ საქმის მოგვარება შემეძლია ვეჭილს დავავალო. ეს საკითხი ჯერ კიდევ გადასაწყვეტია. მას შემდეგ, რაც ჩემი და ჰენრიეტე დაიღუპა, მშობლები ჩემთვის აღარ არსებობენ. ჰენრიეტეს სიკვდილის დღიდან ჩვიდმეტი წელი გავიდა. ომი ის-ის იყო მთავრდებოდა. ჰენრიეტე, მშვენიერი, ქერა გოგონა, მაშინ თექვსმეტი წლისა იყო და ბონსა და რემაგენს შორის ჩოგბურთის საუკეთესო მოთამაშედ ითვლებოდა. იმ დროს ახალგაზრდა ქალიშვილებს მოუწოდებდნენ ნებაყოფლობით ჩაწერილიყვნენ საზენიტო სამხედრო ნაწილებში და ჰენრიეტეც ჩაეწერა. ეს მოხდა 1945 წლის თებერვალში, ყველაფერი ისე სწრაფად და დაუბრკოლებლად მოგვარდა, რომ მე ვერაფერს მივხვდი. სკოლიდან მომავალი კიოლნის ქუჩაზე გადავედი და უეცრად ბონისაკენ დაძრულ ტრამვაიში ჰენრიეტე დავინახე. მან გამიცინა და ხელი დამიქნია, მეც გავუცინე. ჰენრიეტეს ზურგზე ჩანთა ეკიდა, თავზე ლამაზი, მუქი ლურჯი ქუდი ეხურა და თბილი, საყულოზე ბეწვშემოვლებული ზამთრის პალტო ეცვა. არასოდეს მინახავს, ჰენრიეტეს რომ თავზე რამე ხურებოდა, ქუდის დახურვაზე ყოველთვის უარს ამბობდა. ქუდმა ძალიან შეცვლა, ახალგაზრდა ქალს ჰგავდა. ექსკურსიაზე თუ მიდის, გავიფიქრე ჩემთვის, თუმცა ექსკურსიისათვის აშკარად შეუფერებელი დრო იყო. მაგრამ მაშინდელი სკოლებისაგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. მასწავლებლები თავშესაფარშიც კი ცდილობდნენ შეესწავლებინათ ჩვენთვის არითმეტიკის სამთა წესი იმ დროს, როცა ჩვენს სმენამდე ქვემეხების სროლის ხმა აღწევდა, ხოლო მასწავლებელი ბრიული, მისი სიტყვებით რომ ეთქვათ, გვამღერებდა „სათნოებით სავსე ეროვნულ სიმღერებს“ და ასეთებად მიაჩნდა „გიმზერს დიდებით მოსილი სახლი“ და „აღმო-



სავლეთით ვხედავ განთიადს“. ღამღამობით, როცა ნახევარი საათით სიჩუმე დაისადგურებდა, იტალიელი სამხედრო ტყვეების (სკოლაში აგვიხსნეს, ახლა რატომ აღარ იყვნენ იტალიელები ჩვენი მოკავშირეები და რატომ ვამუშავებ-დათ დატყვევებულებს, მაგრამ დღემდე ვერ გამიგია, რატომ) ტყვეების, ტყვე ქალებისა და გერმანელი ჯარისკაცების ფეხის ხმა მესმოდა. მთელი ღამე ისმოდა მწყობრი ნაბიჯების ხმა. დანამდვილებით არავინ იცოდა, რა ხდებო-და.

მე მართლაც ისე მომეჩვენა, თითქოს ჰენრიეთე სკოლიდან ექსკურსია-ზე მიჰყავდათ. მათგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. ზოგჯერ, როცა გან-გაშიდან განგაშამდე საკლასო ოთახებში ვისხედით, ღია ფანჯრიდან თოფის სროლის ხმა მკაფიოდ გვესმოდა და თუ შეშინებულნი ფანჯრისაკენ მივაბრუნებდით თავს, მასწავლებელი ბრიული გვეკითხებოდა, თუ იცით, ეს რას ნიშნავსო. ჩვენ ეს რაბანია ვიცოდით: ზევით, ტყეში კვლავ ხერცხუნენ დეზერტირებს.

— ეს დღე ელის ყველას, ვინც გაბედავს და უარს იტყვის წმიდათა წმი-და გერმანული მიწის დაცვაზე ებრაელი იანკებისაგან, — გვეუბნებოდა ბრიუ-ლი (ამას წინათ კიდევ ერთხელ შევხვდი უკვე დაბერებულ, გაქალარაევებულ ბრიულს, რომელიც ახლა პედაგოგიური აკადემიის წევრია და იცნობენ რო-გორც „უმწიკველო პოლიტიკური წარსულის მქონე პირს“, აქაოდა, არასოდეს ყოფილა ნაციტური პარტიის წევრიო).

კიდევ ერთხელ დაეუქნიე ხელი მიმავალ ტრამვაის, რომელშიც ჰენრიეთე იჯდა და ჩვენი პარკის გავლით სახლისაკენ გავსწიე. ჩემი მშობლები და ლეო მაგიდას შემოსხდომოდნენ. სადრილად ორი კერძი გვქონდა: ჭინჭრის ნახარში და კარტოფილი საწებლით, ხოლო დესერტად თითო ვაშლი. მხოლოდ დესერ-ტის დროს ვკითხე დედას, ჰენრიეთეს სკოლამ ექსკურსიაზე საით გასწია-მეთ-ქი? დედას ოდნავ გაეცინა და მითხრა:

— ექსკურსია? რა სისულელეებს ამბობ: ჰენრიეთე იმისათვის წავიდა ბონში, რომ საზენიტო სამხედრო ნაწილში ჩაეწეროს. ასე სქლად ნუ თლი ვაშლს. შემომხედე, ჩემო ბიჭიკო! — მან ჩემი თეფშიდან ნათალი აიღო, მო-ციცქნა და თავის ხელმომჭირნეობის ნაყოფი, ვაშლის სიფრიფანა ნაჭრები პი-რისაკენ წაიღო. მე მამას შევხედე, მაგრამ მამა თეფშს დასჩერებოდა და ხმას არ იღებდა. ლეოც ჩუმად იჯდა. მზერა ისევ დედაზე გადავიტანე და მაშინ მან ღმობიერი, ნაზი ხმით მითხრა:

— ერთი რამ უნდა გესმოდეს, იმისათვის, რომ გერმანიის წმინდა მიწი-დან ებრაელი იანკები განვდევნოთ, თავის ვალი ყველამ უნდა მოიხადოს.

დედამ ისე გადმომხედა, ელდა მეცა, ხოლო როცა ლეოსაც ასევე შეხე-და, მომეჩვენა, სადაცაა ჩვენც უყოყმანოდ გაგვეზავნის-მეთქი ბრძოლის ველ-ზე ებრაელი იანკების წინააღმდეგ საბრძოლველად.

— ჩვენი წმინდა გერმანული მიწა, — დასძინა მან, — ისინი უკვე ეიფელის შუაგულში შემოიჭრნენ.

სიცილის გუნებაზე დავდექი, მაგრამ უნებურად ცრემლი წამსკდა. ხილის დანა მოვისროლე და ჩემს ოთახში გავიქეცი. შიშმა შემიპყრო, ისიც ვიცო-დი, რისიც მეშინოდა, მაგრამ ამის გამოხატვას ვერ ვახერხებდი და როცა ის წყეული ვაშლის ნათალი მაგონდებოდა, ბოლმა მახრჩობდა. გავცქეროდი



ჩვენი ბალის ჭუჭყიანი თოვლით დაფარულ გერმანულ მიწას, რაინს, მტირალა ტირიფების მიღმა აღმართულ შვიდ მთას და მთელი ეს დეკორაცია საშინელ უაზრობად მეჩვენებოდა. ერთხელ მეც კი ვნახე რამდენიმე „ებრაელი იანკი“, ვენუსბერგიდან საბარგო მანქანებით ქვევით ჩამოიყვანეს ბონის უმეტეს ქუჩებში: გათოშილი, შეშინებული ახალგაზრდები საცოდავად გამოგყურებოდნენ. თუკი საერთოდ რაიმე ასოციაციას იწვევდა ჩემში ებრაელი, უფრო იტალიელებს ვამსგავსებდი, ისინი ამერიკელებთან შედარებით იმდენად უფრო გათოშილნი და დაღლილები ჩანდნენ, რომ შიშის თავიც კი აღარ ჰქონდათ. ჩემი საწოლის გვერდით მდგარ სკამს ფეხი ვკარი და რადგან არ წაიქცა, კიდევ ერთხელ ვუთავაზე წიხლი. ბოლოს, როგორც იქნა, სკამი წაიქცა და პატარა ბაგიდის შუშა გატეხა. ლურჯქუდიანი და ზურგჩანთიანი ჰენრიეთე აღარ დაბრუნებულა და ჩვენ დღემდე არ ვიცით, სად არის დამარხული. როცა ომი დამთავრდა, ჩვენთან ვიღაც მოვიდა და გვითხრა: „ლევერკუზენთან ბრძოლაში დაეცა“.

როცა წარმოვიდგენ, რომ მურა ნახშირის მომპოვებელი საზოგადოების აქციების დიდი ნაწილი ჩვენი ოჯახის ორი თაობის ხელშია, წმინდა გერმანული მიწისათვის დრტვინვა სასაცილო მეჩვენება. აგერ უკვე სამოცდაათი წელია, რაც შნირები ქვანახშირს იღებენ, ხელს ითბობენ და წმინდა გერმანული მიწა კი იმუღტეხელია ეს მოითმინოს. სოფლები, ტყეები, ციხე-დარბაზები ექსკავატორებისაგან ისე ინგრევა, როგორც იერიქონის კედლები.

მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გავიგე, ვის შეეძლო ჰქონოდა „ებრაელ იანკებზე“ საავტორო უფლების პრეტენზია — ჰერბერტ ქალიკს, თორმეტი წლის ლაწირაკს, ჩემს ფიურერს იუნგფოლკში. დედაჩემმა მას სულგრძელად დაუთმო ჩვენი პარკი, სადაც ყველას უნდა შეგვესწავლა ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული ხელყუმბარების ხმარება. ყუმბარის სროლას ჩემი რვა წლის ძმა ლეოც სწავლობდა. ერთხელ იმასაც მოვკარი თვალი, როგორ მიაბიჯებდა ჩოგბურთის მოედნის გასწვრივ მხარზე გადებული სასწავლო ხელყუმბარით. ამ დროს ისეთი სერიოზული სახე ჰქონდა, როგორც მხოლოდ ბავშვებს შეიძლება ჰქონდეთ. ძმა გავაჩერე და ვკითხე:

— აქ რას აკეთებ?

ლეომ მომაკვდინებელი სერიოზულობით მიპასუხა:

— მინდა ვერვოლფი გავხდე, შენ არა?

— როგორ არა, — ვუპასუხე და მასთან ერთად გავსწიე ტირისაკენ, სადაც ჰერბერტ ქალიკი სწორედ იმ დროს ყვებოდა, როგორ მიიღო ერთმა ათი წლის ბიჭმა პირველი ხარისხის რკინის ჯვარი შორეულ სილუზიაში, სადაც მან ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარებით სამი რუსული ტანკი მოსპო. ერთ-ერთმა ბიჭმა ჰკითხა, რა ერქვაო იმ გმირს და უეცრად მე წამოვიძახე:

— რიუბეცალი!

ბრაზისაგან სახეგაფითრებულმა ჰერბერტ ქალიკმა მიყვირა:

— ბინძურო დეზერტირო!

მე დავიხარე და ჰერბერტს სახეში მთელი მუჭა ნაცარი შევავარე. ყველა მე მეცა, მხოლოდ ლეო იდგა განზე, ტიროდა და არ მეხმარებოდა. შეშინებულმა ჰერბერტს პირში მივახალე:

— ნაციისტო ღორო!



ეს სიტყვები რკინიგზის გადასასვლელთან წავიკითხე შლაგბაუმზე. ზუსტად არ მესმოდა, რას ნიშნავდა ეს, მაგრამ იმ წამს იხუთი გრძნობა მქონდა, რომ დროულად გამოვიყენე. ჰერბერთ ქალიკმა თანამდებობა შეიშნო, ცემატყეპას ბოლო მოუღო, მე დამაპატიმრა და სანამ ჩემს მშობლებს, მასწავლებელ ბრიულსა და ერთ-ერთ პარტიის წარმომადგენელს მოიყვანდა, ტირის ფარდულში ჩამკეტა, სადაც სამიზნეები და საჩვენებელი ჯოხები ეყარა. სიმწრისაგან ვლმუოდი, სამიზნეებს ფეხით ვთელავდი და გარეთ ყარაულად დაყენებულ ბიჭებს ვავძახოდი: „ნაცისტო ღორებო!“ ერთი სათის შემდეგ ჩვენს სახლში შემათრის და დაკითხვა დამიწყეს. მასწავლებელ ბრიულს ძლივს აკავებდნენ:

— მოვსპოთ, გავაცამტვეროთ!

დღემდე არ ვიცი, იგი ჩემს ფიზიკურ მოსპობას გულისხმობდა, თუ ზნეობრივად გაცამტვერებას. ისტორიული ქეშმარიტების დადგენის მიზნით ერთ მშვენიერ დღეს წერილს მივწერ პედაგოგიური აკადემიის მისამართით და ვთხოვ ეს საკითხი განმიმარტოს. უფრო გონივრულად იქცეოდა პარტიის წარმომადგენელი, ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოადგილე ლიოვენიჭი და ყველას ეუბნებოდა:

— ანგარიში გაუწიეთ იმას, რომ ბიჭი ჯერ თერთმეტი წლისაც არ არის. მისმა ქცევამ იმდენად დამამშვიდა, რომ პასუხიც კი გავეცი კითხვაზე, საიდან იცი ეს საშინელი სიტყვებიო.

— ანაბერგერშთრასესთან რომ შლაგბაუმი, იმაზე წავიკითხე.

— იქნებ ვინმემ გასწავლა? — მკითხა მან, — იმის თქმა მინდა, ვინმეს პირიდან ხომ არ გაიგონე?

— არა, — ვუპასუხე მე.

— ბიჭმა არც კი იცის, რას ამბობს, — თქვა მამამ და მხარზე ხელი დამადო. ბრიულმა ჯერ ბოროტად შეხედა მამას, შემდეგ კი დამფრთხალმა გადახედა ჰერბერთ ქალიკს. მამის ქცევა ჩემდამი მხარდაჭერად მიიჩნია, ხოლო ატირებულმა დედაჩემმა თავის ნაზი, სულელური ხმით თქვა:

— თვითონ არ იცის, რას სჩადის, მართლა არ იცის, თორემ ნამდვილად უარს ვიტყოდი შვილზე.

— ნეტავ მართლა უარს იტყოდე, — ვთქვი მე.

მთელი ეს ამბავი ხდებოდა ვეებერთელა საერთო ოთახში, სადაც დგას შეფერილი მუხის ავეჯი, მძიმე, სარკის მინიანი წიგნის კარადები, მუხის პანელით მოპირკეთებული კედლების გასწვრივ დამაგრებულ თაროზე ბაბუაჩემის სამონადირეო ნადავლი და თასები ალაგია. ეიფელიდან, რომელიც ოციოდე კილომეტრითაა დაშორებული ჩვენგან, ქვემეხების სროლის ხმა და შიგადაშიგ ტყვიამფრქვევების კაკანიც მესმოდა. ქერა, გაფითრებული ჰერბერთ ქალიკი, რომელსაც სახეზე ფანატიზმი ეწერა, პროკურორის მოვალეობას ასრულებდა, მოკაკულ თითებს გაუჩერებლად აკაკუნებდა სერვანტზე და მოითხოვდა:

— სიმკაცრე, სიმკაცრე, ულმობელი სიმკაცრეა საჭირო!

განაჩენი ასეთი გამომიტანეს; ჰერბერთის ზედამხედველობით პარკში ტანკსაწინააღმდეგო სანგარი უნდა გამეთხარა. შნირების ტრადიციის თანახმად ნასადილევს გერმანული მიწის თხრას შევუდექი, თუმცა საკუთარი ხე-



ლით მიწის თხრა შნირების ტრადიციას ეწინააღმდეგებოდა. სანგარს ვთხრი-  
 დი ბაბუაჩემის საყვარელი ვარდის ბუჩქების გარდიგარდმო, აპოლონ ბელ-  
 ვედერის ქანდაკების ასლის მიმართულებით და წინასწარ მახარებდა ის წაბი,  
 როცა ჩემს გულმოდგინე თხრას მარმარილოს ქანდაკება მსხვერპლად შეეწი-  
 რებოდა. მაგრამ ჩემი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. იგი შეიწირა, ~~პეტროვსკი~~  
 კორფლიანმა ბიჭუნამ, რომელსაც გეორგს ეძახდნენ. შემთხვევითი ~~ბაბუაჩემის~~  
 წინააღმდეგო ყუმბარა ხელში გაუსკდა, თვითონაც აფეთქდა და აპოლონიც  
 ააფეთქა. პერბერთ ქალიკმა ეს უბედური შემთხვევა ლაკონურად განმარტა:  
 — საბედნიეროდ, გეორგი ობოლი იყო.

5

ტელეფონის წიგნიდან იმ ხალხის ნომრები ამოვიწერე, ვისთანაც დარეკ-  
 ვა მომიწევდა: მარცხნივ ჩამოვწერე იმათი გვარები, ვისგანაც შემეძლო ფუ-  
 ლი მესესხა: კარლ ემონდსი, ჰაინრიჰ ბელენი, ორივე ჩემი სკოლის ამხანაგები  
 არიან, ერთი ოდესღაც თეოლოგიას სწავლობდა, ახლა გიმნაზიის მასწავლე-  
 ბელია, ხოლო მეორე — კაპელანი. მათ შემდეგ მოდიოდა ბელა ბროზენი, მა-  
 მაჩემის საყვარელი. მარჯვენა მხარეს ჩამოვწერე იმათი სია, ვისაც უკიდურეს  
 შემთხვევაში ვთხოვდი ფულს: ჩემი მშობლები, ლეო (ლეოსათვის ყოველთ-  
 ვის შემეძლო მეთხოვა ფული, მაგრამ არასოდეს არა აქვს, რადგან თუ რამე  
 აბადია, ყველას ურიგებს), კათოლიკური წრის წევრები: კინკელი, ფრედებოი-  
 ლი, ბლოთერთი, ზომერვილდი. ამ ორ სვეტს შორის ჩავწერე მონიკა ზილვსი  
 და მისი სახელი ლამაზ მარყუჟში ჩავსვი. კარლ ემონდისათვის დეპეშა უნდა  
 გამეგზავნა და მეთხოვა, თვითონ დაერეკა ჩემთან, რადგან ტელეფონი არა  
 აქვს. ყველაზე ადრე სიამოვნებით დავურეკავდი მონიკას, მაგრამ იძულე-  
 ბული ვარ ყველაზე ბოლოს დავურეკო, ჩვენი ურთიერთობა ისეთ სტადიაშია,  
 როცა ადამიანის არად ჩაგდება ფიზიკურადაც და მეტაფიზიკურადაც უზრდე-  
 ლობად ითვლება. ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდი. მას შემდეგ,  
 რაც მარი „მეტაფიზიკურმა შიშმა“ შეიპყრო (ეს მისი სიტყვებია) და გამექცა.  
 ჩემდა უნებურად ბერივით ვცხოვრობ, რადგან ჩემს მონოგამურ ბუნებას ვე-  
 რაფერი მოვეუხერხე. გულწრფელად რომ ეთქვა, ბოხუმში განგებ წავიფორ-  
 ხილე, და მუხლით დავეცი, მინდოდა დაწყებული ტურნე შემეწყვიტა და  
 ბონში ჩამოვსულიყავი. არაადამიანურად მტანჯავდა ის, რასაც მარის რელი-  
 გიურ წიგნებში შეცდომით „ხორციელი ჟინი“ ჰქვია. მონიკა ისე ძალიან მიყ-  
 ვარდა, არაფრით არ შემეძლო მომეკლა მასთან სხვა ქალის ნდომით გამოწ-  
 ვეული ჟინი. უხეში გამოთქმა იქნებოდა, რელიგიურ წიგნებში რომ დაეწერათ  
 „ნდომა ქალისა“, მაგრამ „ხორციელ ჟინს“ ბევრად აჯობებდა. არ ვიცი, რას  
 ვუწოდო ხორცი, თუ არა იმას, საყასბოში რომ კიდია, თუმცა მთლად ხორცი  
 არც ის არის. საკმარისია წარმოვიდგინო, მარი იმასვე აკეთებს ციუპფნერ-  
 თან, რაც მხოლოდ ჩემთან უნდა გაეკეთებინა და მელანქოლიას სასოწარკვე-  
 თილებადე მიეყავარ.

დიდხანს ვყოყმანობდი, მომეძებნა თუ არა ციუპფნერის ტელეფონის  
 ნომერი, მაგრამ ბოლოს მაინც ვიპოვე და იმათთან ჩავწერე, ვისგანაც ფუ-



ლის სესხებას არ ვაპირებდი. მარი ფულს მაშინვე მომცემდა, მომცემდა ყველაფერს, რაც კი გააჩნდა, მით უმეტეს, თუ გაიგებდა, რომ ამ ხნის მანძილზე ხელი მეცარებოდა, ცხადია, მოვიდოდა და დამეხმარებოდა, მაგრამ საქმის არის, რომ მარტო არ მოვიდოდა. ექვსი წელი დრუჟის დედა მონაკვეთია. არა, მარის არაფერი ესაქმება ციუბენერის სახლში დამეხმარებოდა, რატომ უნდა საუზმობდნენ ერთად, ერთ სუფრასთან. ერთი პირობა ისიც კი გადაწყვიტე, მარისათვის მებრძოლა, მაგრამ ეს სიტყვა ჩემთვის რაღაც ფიზიკურთანაა დაკავშირებული — სასაცილო იქნებოდა ციუბენერისათვის ჩხუბი გამემატა. მარი ჯერ კიდევ არ იყო ჩემთვის მკვდარი. აი, დედაჩემი კი ნამდვილად მკვდარი იყო. მწამს, ზოგიერთი ცოცხალი მკვდარია, ზოგიერთი მკვდარი კი ცოცხალი, მაგრამ არა იმ აზრით, როგორც ეს პროტესტანტებს და კათოლიკებს სწამთ. ჩემთვის ის ბიჭი, გეორგი რომ ერქვა და ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარასთან ერთად აფეთქდა, უფრო ცოცხალია, ვიდრე დედაჩემი. აპოლონის ქანდაკების წინ გაშლილ მდელიოზე ცხადად ვხედავ ქორფლიან, მოუქნელ ბიჭს, რომელსაც ჰერბერთ ქალიკი უყვირის: „ასე კი არა, აი ასე...“. მესმის ყუმბარის აფეთქების ხმა, აქა-იქ წამოკივლება, უმეტესობას არც წამოუკივლებია, მერე კი ქალიკის შენიშვნა: „საბედნიეროდ, გეორგი ობოლი იყო“. მესმის ის სიტყვები, ნახევარი საათის შემდეგ, სავახშმოდ გაწყობილ სუფრასთან დედამ ლეოს რომ უთხრა:

— შეილო, შენ ამ იარაღს იმ ჩერჩეტ ბიჭზე უკეთ ხომ მოიხმარ!

ლეომ თავი დაუქნია. მამამ მე გადმომხედა, მაგრამ თავის ათი წლის ვაჟის თვალბში სანუგეშო ვერაფერი იპოვა.

მას შემდეგ გავიდა დრო, დედაჩემი აგერ უკვე რამდენი წელია „რასობრივ წინააღმდეგობათა მოპრიგებელი საზოგადოების“ ცენტრალურ კომიტეტს თავმჯდომარეობს. ზოგჯერ ანუ ფრანკის სახლში მიემგზავრება, ხოლო თუ შემთხვევა მიეცა — ამერიკაშიც, სადაც ქალთა კლუბებში სიტყვებს წარმოთქვამს გერმანელი ახალგაზრდობის ცოდვების მონანიებაზე იმ თავისი ნაზი, უწყინარი ხმით, რომლითაც ალბათ გამომშვიდობების დროს ჰენრიეთეს უთხრა: „ყოჩაღად იყავი, შეილო“. დედაჩემის ხმა ყოველთვის შემიძლია მოვისმინო ტელეფონის ყურმილში, მაგრამ ჰენრიეთეს ხმას ველარასოდეს მოვისმენ. ჰენრიეთეს უჩვეულოდ დაბალი ხმა ჰქონდა და წკრიალა სიცილი იცოდა. ერთხელ, ჩოგბურთის თამაშის დროს, ჩოგანი ხელიდან გაუვარდა, მოედანზე გაშეშდა და ოცნებამორეული მიაჩერდა ცას. მეორედ სადილობისას კოვზი წვნიანში ჩაუვარდა. დედა აკივლდა, აწუწუნდა, კაბა დაგილაქიანდა. სუფრა დაისვარაო, მაგრამ ჰენრიეთეს არაფერი გაუგონია, ხოლო როცა გონს მოეგო, კოვზი წვნიანიდან ამოიღო, ხელსახოცით გაწმინდა და ჰამა განაგრძო. მესამედ, როცა ბუხართან კარტის თამაშის დროს ჰენრიეთეს კიდევ დაემართა რაღაც ამდაგვარი, დედაჩემი სერიოზულად გაბრაზდა და უყვირა:

— ისევ იმ წყეულმა ოცნებამ შეგიპყრო!

ჰენრიეთემ დედას შეხედა და წყნარად უპასუხა:

— მერე რა მოხდა, მომბეზრდა კარტის თამაში.

ამ სიტყვების წარმტყმისთანავე ჰენრიეთემ კარტი, რომელიც ჯერ კიდევ ხელში ეჭირა, ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლში ჩაყარა.

დედამ თითები კი დაიწვა, მაგრამ კარტი, გარდა გულის შეიდიანისა, რო-



მელიც ცოტათი შეირუჯა, უვნებლად გამოსტაცა ცეცხლს, მას შემდეგ ჩვენს ოჯახში კარტის თამაში ყოველთვის ჰენრიეთეს გვაგონებდა. თუმცა დედა ცდილობდა თავი ისე დაეჭირა, თითქოს არაფერი მომხდარა. დედა სრულყოფილად არ არის ბოროტი ქალი, უბრალოდ წარმოუდგენლად სულელი და ხელშიმჭირნეა. ახალი კარტი არ გვაყიდინა და მგონი იმ შერუჯული გულზე შევფიქრებო- ნით დღესაც თამაშობენ. დედაჩემს ალბათ არაფერი არ აგონდებოდა, მაგრამ სიანსს შლის და ეს შეიდიანი ხელში ხვდება. დიდი სიამოვნებით დაველაპარაკებოდი ტელეფონით ჰენრიეთეს, მაგრამ თეოლოგებს ჯერ არ გამოუგონიათ აპარატი ამგვარი ლაპარაკისათვის. ჩემი მშობლების ტელეფონის ნომერი ყოველთვის მავიწყდება და ამიტომ ტელეფონის წიგნში მოვნახე: „შნირი ალფონსი, საპატიო დოქტორი, გენერალური დირექტორი“. ჩემთვის სიახლე საპატიო დოქტორი იყო. სანამ ნომერს ავკრეფდი, ფიქრებში სახლისაკენ გავწიე, ჩავყევი კობლენცის ქუჩას, გავედი ებერთალეზე და მარცხნივ რაინისაკენ გავუხვიე. ფეხით თითქმის ერთი საათის სავალია. ამ დროს ტელეფონისტი გოგოს ხმა მომესმა:

- დოქტორ შნირის ბინა გახლავთ.
- ქალბატონ შნირთან დალაპარაკება მსურს.
- ვინ ბრძანდებით?
- შნირი, — ვუპასუხე მე, — შემოხსენებული ქალბატონის ღვიძლი

შვილი, ჰანსი.

ტელეფონისტმა ნერწყვი გადაყლაპა, შემდეგ ერთი წამით დაფიქრდა და მე ექვსი კილომეტრის მანძილზე ვიგრძენი, რომ დაიბნა. სუნი სასიამოვნო ასდიოდა, საპნისა და ფრჩხილებზე ახალწასმული ლაქის. ეტყობა, იცოდა მე რომ ქვეყნად ვარსებობ, მაგრამ როგორ მოქცეულიყო, არავის დაურიგებია. ცხადია, ჩემს შესახებ საექვო ჭორები ჩააწვეთეს ყურში — გარეწარი, ამრევდამრევიაო.

- ვინაა იმის თავდები, რომ არ მეხუმრებით? — მკითხა მან ბოლოს.
- დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, — ვუპასუხე მე, — თუ ეს საჭიროა, შემძლია ჩამოგითვალათ დედაჩემის განსაკუთრებული ნიშნები. მარცხნივ ტუჩებს ქვემოთ ხალი აქვს, მეჭეჭი კი...

— კმარა, — მითხრა სიცილით გოგომ და ტელეფონი გადაართო.

ჩვენს სახლში რთული სატელეფონო სისტემაა. მარტო მამაჩემს სამი სხვადასხვა ხაზი აქვს: წითელი — მურა ნახშირისათვის, შავი — ბირჟისათვის, ხოლო თეთრი — კერძო საუბრებისათვის. დედის განკარგულებაში მხოლოდ ორი ტელეფონია: შავი — რასობრივ წინააღმდეგობათა მომრიგებელი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტისათვის და თეთრი — კერძო საუბრებისათვის. თუმცა დედას პირად ანგარიშზე ბანკში, იმ გრაფაში, სადაც „საღლო“ წერია, ექვსნიშნა ციფრია ჩასმული, სატელეფონო ან ამსტერდამში და სხვა ქალაქებში მოგზაურობის ხარჯებს ცენტრალური კომიტეტი უნაზღაურებს.

ტელეფონისტმა შეცდომით შავი ტელეფონი ჩართო. დედაჩემმა ყურმილი აიღო და საქმიანად მიპასუხა:

- გისმენთ რასობრივ წინააღმდეგობათა მომრიგებელი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი.

ენა ჩამივარდა. მას რომ ეთქვა, ქალბატონი შნირი გახლავართო, ალბათ



ვეტყოდი, ჰანსი ვარ, როგორ ხარ-მეთქი, დედა, მაგრამ ამის ნაცვლად ვუთხარი: — ებრაელი იანკების ცენტრალური კომიტეტის დელეგატი გელაპარაკებათ, ბონში ვარ გავლით, თუ შეიძლება დამაკავშირეთ თქვენს ქალიშვილთან.

მევე შემაშინა იმან, რაც ვთქვი. დედამ ჯერ წამოიყვირა, შემდეგ მიძიმედ ამოიოხრა და მივხვდი, როგორ დაბერებულა.

— შენ ამას ალბათ არასოდეს დაივიწყებ, არა? — მითხრა მან.

თავადაც ძლივს შევიკავე ცრემლი და ჩუმად ვუთხარი:

— საჭირო კია ამის დაივიწყება, დედა?

იგი ერთხანს დუმდა და უეცრად მომესმა ჩემთვის ესოდენ თავზარდამცემი დედაბრული ტირილი. დედა ხუთი წელი არ მენახა და ახლა იგი სამოცს იქნებოდა მიტანებული. ერთი წუთით ისიც კი დავიჭერე, თითქოს დედას მართლაც შეეძლო ტელეფონი გადაერთო და ჰენრიეთესთან დავეკავშირებინე, აკი ყოველთვის ამბობდა „თუ მოვინდომე, ზეცასაც დავუკავშირდები ტელეფონით“. ცხადია, ხუმრობდა, დღეს ხომ ყველა საკუთარ ტელეფონზე ასე ლაპარაკობს: მე, ჩემო კარგო, პირდაპირი ხაზი მაქვს პარტიასთან, უნივერსიტეტთან, ტელესტუდიასთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთანო.

როგორ მინდოდა ჰენრიეთეს ხმა გამეგონა, თუნდაც მარტო „არაფერი“ ან „ნეხვი“ ეთქვა. ამ სიტყვას ისე იტყოდა ხოლმე, სულაც არ უღერდა უხამსოდ. საკმარისი იყო შნიცლერს ჰენრიეთეს „მისტიკურ ნიჭზე“ ჩამოეგდო ლაპარაკი და ჰენრიეთე მაშინვე მიახლიდა „ნეხვი“ და ეს სიტყვა ისე ლამაზად უღერდა, როგორც „ნერგი“. (შნიცლერი მწერალი იყო, ერთ-ერთი იმ მუქთახორათაგანი, ომის დროს ჩვენს ოჯახში რომ ცხოვრობდნენ) და როცა ჰენრიეთეს „თავისი მოუვლიდა“, შნიცლერი ყოველთვის მისტიკურ ნიჭზე ჩამოაგდებდა სიტყვას. ამის თქმა და ჰენრიეთეს პასუხი „ნეხვი“ ერთი იყო. ჰენრიეთეს სხვა რამეც შეეძლო ეთქვა: „ის სულელი ფოლენახი დღეს ისევ დავაპარცხე“ ანდა რომელიმე ფრანგული ფრაზა: „La condition de Monsieur de Comte est parfait“.\* ზოგჯერ ჰენრიეთე გაკვეთილების მომზადებაში მეხმარებოდა, ყველას სიცილს გვრიდა ის ამბავი, რომ სხვების გაკვეთილები კარგად იცოდა, თავისი კი ცუდად. მაგრამ ჰენრიეთეს ხმის მაგივრად დედაჩემის დედაბრული ტირილი მესმოდა და ამიტომ ვკითხე:

— როგორაა მამა?

— აჰ, მამა მოხუცდა, მოხუცდა და დაბრძენდა, — მითხრა მან.

— ლეო?

— ო, ლეო ბეჯითია, მეტისმეტად ბეჯითი და მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ თეოლოგიაში, — მიპასუხა დედამ.

— ო, ღმერთო ჩემო, — ვთქვი მე, — რალა მაინცდამაინც ლეოს მომავალი უნდა იყოს დაკავშირებული თეოლოგიასთან.

— ჩვენ დიდად გვეწყინა, როცა მან რჯული გამოიცვალა, მაგრამ ადამიანის სულიერ მისწრაფებებს ვინ აღუდგება წინ, — მითხრა დედამ.

დედამ კვლავ სავსებით დაიმორჩილა ხმა და ერთი წუთით მაცდუნებელი სურვილი გამიჩნდა, მეკითხა მისთვის შნიცლერის ამბავი, რომელიც ჩვენს ოჯახში ახლაც მიღებული კაცია. ხორცსავსე, ნაპატიები, გერმანთა ღირსების

\* ბატონ გრაფის მდგომარეობა ბრწყინვალეა (ფრანგ.).



გოძნობით შეპყრობილი ვაჰბატონი შნიცლერი იმ დროს კეთილშობილური ევროპეიზმით იყო გატაცებული. მოგვიანებით ცნობისმოყვარეობამ მძლია და წავიკითხე მისი ერთი რომანი „ფრანგის სიყვარული“. წიგნი უფრო მთა-საწყენი აღმოჩნდა, ვიდრე სათაური გაფიქრებინებდა. ვასაოცრად, ფრანგისაა ლური მასში მხოლოდ ის იყო, რომ მთავარი გმირი, ტყვე ფრანგი ლეიტენანტი ქერა გახლდათ. ხოლო გმირი ქალი, მოხელელი გერმანელი გოგონა — შავ-გერმანი. შნიცლერი ყოველთვის კრთებოდა, როცა ჰენრიეთე იტყოდა „ნებ-ვი“, — ეს ალბათ ორჯერ თუ მოხდა, მაგრამ შნიცლერი მაინც ირწმუნებოდა, მისტიკური ნიჭი შეიძლება სავსებით ესადაგებოდეს „სალანძლავი სიტყვების წამოყრანტალების დაუოკებელ სურვილს“ (თუმცა ჰენრიეთეს არავითარი დაუოკებელი სურვილი არ უბიძგებდა და ზემონახსენებ სიტყვას კი არ წამო-აყრანტალებდა, პირიქით, ჩვეულებრივად ამბობდა ხოლმე), თან ამის დასა-დასტურებლად გიორგისის ხუთტომიან „ქრისტიანულ მისტიკას“ მოათრევდა. შნიცლერის რომანებს, ცხადია, დახვეწილობა არ აკლდა. თუნდაც აი ეს რად ღირს: „ფრანგული ღვინოების სახელები ისე ეღერენ, თითქოს ბროლი წკრია-ლებს, როცა შეყვარებულები ერთმანეთს აღდეგრძელებენ და ჭიქებს უჭახუნე-ბენ“. რომანი მთავრდება საიდუმლო ქორწინებით და სწორედ ამის გამო დაატყდა მაშინ თავს შნიცლერს იმპერიის მწერალთა პალატის წყრომა: ათიო-დე თვით წერა აუკრძალეს. ამერიკელებმა კი, როგორც წინააღმდეგობის მოძ-რაობის მონაწილეს თავზე ხელი გადაუსვეს და კულტურის დარგში სამუშაოდ მიიწვიეს. ახლა იგი ბონში დაჰქრის და, თუკი შემთხვევა მიეცა, ჰყვება, ფა-შისტური რეჟიმის დროს ბეჭდვა ამიკრძალესო. თუმცა ასეთ პირმოთნე ვაჰ-ბატონს არც სჭირდება ტყუილის თქმა, თავის საქმეებს ისედაც აგვარებს მუ-ღამ. ამავე დროს დედაჩემს სწორედ მან მთააგონა ნაცისტებთან გავეგზავნეთ, მე — იუნგფოლკში, ხოლო ჰენრიეთე „გერმანულ ქალიშვილთა კავშირში“.

— ასეთ დროს, მოწყალეო ქალბატონო, ერთმანეთს გვერდში უნდა ვედ-გეთ, ერთად ვიბრძოლოთ, ერთად ვიტანჯოთ.

ახლაც ცხადად ვხედავ მოგუგუნე ბუხართან დგას შნიცლერი და ხელში მამაჩემის სიგარა უჭირავს.

— ზოგ-ზოგი უსამართლობა, რომლის მსხვერპლიც მე გავხდი, ვერავი-თარ ჩრდილს ვერ მიაყენებს ჩემს ნათელსა და ობიექტურ დამოკიდებულებას მოვლენებისადმი. ვიცი, — ამ დროს მართლა აუკანკალდა ხმა, — ვიცი, ჩვე-ნი მხსნელი იარაღი ფიურერს უკვე ხელში უჭირავს.

და ამას ამბობდა დაახლოებით ერთი დღით ადრე, სანამ ამერიკელები ბონს დაიპყრობდნენ.

— მართლა, შნიცლერი როგორ ბრძანდება? — ვკითხე დედას.

— შესანიშნავად, — მიპასუხა მან, — საგარეო საქმეთა სამინისტრო ერთ ნაბიჯსაც ვეღარ დგამს უმისოდ.

დედაჩემს, რა თქმა უნდა, ყველაფერი დავიწყებული ჰქონდა. საკვირვე-ლი ის იყო, რომ „ებრაელი იანკების“ ხსენებაზე რაღაც მაინც გაახსენდა. ამიტომაც არ ვნანობდი, ასე რომ დავიწყე ლაპარაკი.

— ბაბუა რასა იქმს? — გკითხე მე.

— მშვენივრად, — მითხრა დედამ, — ქვა და რკინასავითაა. მალე ოთხ-



მოცდამეათე წლისთავს იზეიმებს. ვერაფრით ვერ მივმხვდარვარ, როგორ მოაღწია ამ ასაკამდე.

— უბრალოდ, — ვუპასუხე მე, — ამ ხალისიან ბერიკაცებს ვერაფერი გასტეხთ, ვერც ძველის გახსენება და ვერც სინდისის ქეჩნა შენ არის?

— არა, მიპასუხა დედამ, — ექვსი კვირით გაემგზავრა ისკიაში. ერთხანს ვლუმბდით. ხმა ჯერ კიდევ არ შემორჩილებოდა, დედას კი შესანიშნავად ეჭირა თავი და ბოლოს მითხრა:

— ახლა კი მოდი იმ ნამდვილ მიზეზებზე ვილაპარაკოთ, რისთვისაც დარეკე. გავიგე, ისევ ცუდ დღეში ყოფილხარ. ისიც მიაშბეს, თურმე საქმეში ხელი მოგეცარა.

— ჰო? ვუპასუხე მე, — შენ ალბათ გეშინია, რომ ფულსა გთხოვთ. მაგრამ ტყუილად გეშინია. ხომ ვიცი, მაინც არაფერს მომცემთ. ამ საქმეს სასამართლო გადაწყვეტს. ფული კი მართლაც მჭირდება, ამერიკაში მინდა წავიდე. ერთი იქაური კაცი დამპირდა, ხელს მოგიმართავო. მართალია, ის კაცი ებრაელი იანკია, მაგრამ მე ყველაფერს ვიღონებ იმისათვის, რომ რასობრივმა წინააღმდეგობებმა თავი არ იჩინონ.

ახლა ატირება აზრადაც არ მოსვლია. სწორედ იმ დროს, როცა ყურმილს ვდებდი, გავიგონე, კიდევ რაღაც თქვა პრინციპებზე. საქმე ის იყო, რომ დედას, როგორც ყოველთვის, ახლაც „არაფრის“ სუნი არ უდიოდა. ერთ-ერთი მისი პრინციპი ღალატებდა: „მაღალი წრის ქალს არავითარი სუნი არ უნდა უდიოდეს“. შეიძლება ესაა იმის მიზეზი, რომ მამაჩემს ლამაზი საყვარელი ჰყავს. მართალია, სუნი არც მის საყვარელს უდის, მაგრამ ისე გამოიყურება, თითქოს კეთილსურნელებას აფრქვევდეს.

6

ყველა ბალიში, რაც ხელში მომყვა, ზურგს უკან ამოვიდე, მტკივანი ფეხი სკამზე ჩამოვდე. ტელეფონი ახლოს მოვიჩოჩე და იმაზე დავფიქრდი, იქნებ ჯობს სამზარეულოში გავიდე და მაცივრიდან კონიაკი მოვიტანო-მეთქი.

განსაკუთრებით მზაკვრულად ვღერდა დედაჩემის ხმა როცა მითხრა: „საქმეში ხელი მოგეცარა“. თან არცა ცდილა დაემალა, რომ სიხარულით ცას ეწია. გულუბრყვილო ვიყავი, როცა ვფიქრობდი, ბონში ჩემი ხელის მოცარვის თაობაზე არაფერი ეცოდინებათ-მეთქი. რაკი დედამ იცოდა, იცოდა მამამაც, გააგებინებდნენ ლეოსაც, ლეო ციუბუნერს შეატყობინებდა, ციუბუნერი კი მთელ წრეს მოსდებდა და, რა თქმა უნდა, მარისაც ჩაუკაკლავდა. მარის ჩემზე მეტად ეწყინებოდა ეს ამბავი. სმა თუ მივატოვე, მალე კვლავ მივალწევ იმ საფეხურს, რასაც ჩემი აგენტი ცონერერი „საშუალოზე საკმაოდ მაღალ დონეს“ ეძახის და ეს სრულიად საკმარისი იქნებოდა, წუმპემდე დარჩენილი ოცდაორი წლის გასათრევად. ერთადერთი, რასაც ცონერერი ჩემში აფასებს, ის გახლავთ, რომ „ფართო პროფესიონალური ბაზისი“ გამაჩნია. რაც შეეხება ხელოვნებას, ამ საქმისა ცონერერს საერთოდ არაფერი - გაეგება და წარმატების მიხედვით მსჯელობს მასზე, სამაგიეროდ საკმაოდ კარგად იცნობს ხელობას და მშვენივრად ესმის, რომ კიდევ ოცი წელი შემიძ-



ღია ვიპამპულო სხვადასხვა სცენაზე ოცდაათ მარკად. მაგრამ მარი ამ ამბავს სულ სხვაგვარად უყურებს. მას უთუოდ დაამწუხრებს, რომ ხელი მომეცა და უბადრუკ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რაშიც პირადად მე შემაძრწუნებელს ვერაფერს ვხედავ. შორიდან მაყურებელი ადამიანი — ამქვეყნად თითოეულისათვის ყველა შორიდან მაყურებელია — სხვის მდგომარეობას უფრო მეტ ან უფრო ნათელ ფერებში აღიქვამს, ვიდრე ის ადამიანი, ვისაც ეს უშუალოდ ეხება, სულ ერთია ბედნიერებას შეეხება ეს თუ უბედურებას, სიყვარულს, ჭმუნვას თუ შემოქმედებით მარცხს. რაში მენადვლება, როგორ წარვუდგები აყროლებულ დარბაზებში კათოლიკე დიასახლისებს ან ევანგელისტ მედიცინის დებს — როგორც კლოუნი თუ როგორც ტაკიმასხარა. სამწუხაროდ, ყველა ამ რელიგიურ კავშირებს საოცრად მცდარი წარმოდგენა აქვთ პონორარზე. ასეთი კავშირის ხელმძღვანელი ქალი ფიქრობს, რომ ორმოცდაათი მარკა გვარიანი თანხაა და თუ კაცი ასეთ თანხას თვეში ოცჯერ იღებს, თავისუფლად გაიტანს თავს. მე რომ მას მხოლოდ გრიმზე დახარჯული თანხის ანგარიში ვუჩვენო და ამავე დროს აფუხსნა, რეპეტიციისათვის რომ ცოტა უფრო დიდი ოთახი მჭირდება სასტუმროში, ვიდრე ორი მეტრი და ოცი სანტიმეტრია სამზე გამრავლებული, ალბათ გაიფიქრებს, შენი საყვარელი საბაელი დედოფალივით მფლანგველიაო. ხოლო თუ იმასაც დავსძენ, რომ მივირთმევ მხოლოდ თოხლო კვერცხს, ბულიონს, დაკეპილ კატლეტს და პომიდორს, იგი პირჯვარს გადაიწერს და გაიფიქრებს, ეს კაცი შიმშილით იკლავს თავს, მისი აზრით, ხომ კაცმა ყოველდღე უნდა ისადილოს რიგიანად და ბოლოს თუ გამოვუტყდები, რომ ჩემი მანკიერი მიდრეკილებაა საღამოს ვაზეთების კითხვა, სიგარეტის წევა და „რიჩ-რაჩის“ თამაში, არნახულ თალღითად ჩამთვლის. დიდი ხანია, რაც ადამიანებთან ფულზე და ხელოვნებაზე ლაპარაკს მოვეშვი, იქ სადაც ფული და ხელოვნება ერთმანეთს ხვდება, საქმეს ხეირიანი პირი არ უჩანს. ხელოვანს ან აკლებენ ფულს, ანდა იმაზე მეტს უხდიან, რისი ღირსიც არის.

ერთხელ მოხეტიალე ინგლისურ ცირკში ერთი კლოუნის გამოსვლას დავესწარი. ოსტატობაში ოცჯერ მაინც მჯობდა, ხოლო როგორც ხელოვანი ჩემზე ათი თავით მაღლა იდგა, მაგრამ ყოველ გამოსვლაში ათ მარკაზე ნაკლებს უხდიდნენ. ინგლისელ კლოუნს, ჯეიმს ელისი ერქვა, ორმოცდაათ წელს იყო მიტანებული. ჯეიმსი ვახშამზე დავპატიყე, მოგვართვეს ლორიანი ომლეტი, სალათა და ვაშლის პაშტეტი. საქმელმა აწყინა: ათი წლის მანძილზე ასე მსუყედ არ უვახშმია. მას შემდეგ, რაც ჯეიმსი გავიცანი, აღარც ფულზე ვლაპარაკობ და აღარც ხელოვნებაზე.

პირადად მე ცხოვრების დინებას მივყვები და არც არასოდეს მავიწყდება წუშპე. მარი კი სულ სხვაგვარად ფიქრობს: იგი წამდაუწუმ „გამოცხადებაზე“ ლაპარაკობს, მისთვის ყველაფერი გამოცხადებაა, ასე გასინჯეთ ჩემი საქმიანობაც კი. ნუ იტყვითდა, მე თურმე მხიარული კაციც ვყოფილვარ, თავისებურად ღვთის მოსაეიც და ასე შემდეგ. საშინელებაა. მაინც როგორ აქვთ ყველაფერი არეულ-დარეული თავში ამ კათოლიკებს. კარგ ღვინოსაც კი ვერ სვამენ ისე, რომ ტვინი არ იღრძონ, ლამის გასკდნენ, სანამ „შეიცნობენ“ რატომ და რისთვის არის ეს ღვინო კარგი. რაც შეეხება შეცნობას, ისინი ამ მხრივ მარქსისტებს არ ჩამოუვარდებიან. მარი აღშფოთდა, როცა ამ რამდენ-



ნიმე თვის წინათ გიტარა ვიყიდე და ვუთხარი, სულ მალე სიმღერის ტექსტს და მელოდიას მე თვითონ შევთხზავ და გიტარის თანხლებით შევასრულებ-მეთქი. მან მითხრა, ეს შენს პროფესიონალურ „დონეს“ არ ეკადრებაო, რაზე-დაც ვუპასუხე: წუმპიანი თხრილის დონეზე უფრო დაბლა მხოლოდ არხია-მეთქი. მან ვერაფერი გაიგო, მე კი არ მიყვარს მხატვრული სახეებზე განმარ-ტება. ჩემი ან ესმით ან არა. ტექსტის განმარტება ჩემი საქმე არ გახლავთ.

ვინმეს ალბათ დაფებდაწყვეტილი მარიონეტი ვეგონე, მაგრამ ასე არ იყო: ძაფები მაგრად მეჭირა ხელში, ვიცოდი, ბოხუმის რომელიღაც საზოგადოე-ბის სცენაზე მთვრალი და მუხლდაეყეული ვგდივარ, დარბაზიდან მესმოდა თა-ნაგრძნობით გამსჭვალული ჩურჩულიც და თავი ხაძირალად მიმაჩნდა. ამგვა-რი თანაგრძნობა არაფრით დამიმსახურებია, ის მირჩევნია, ერთი-ორჯერ მაგ-რად დაესტვინათ, კოჭლობითაც კი უფრო მომეტებულად ვკოჭლობდი, ვიდ-რე ფეხის ასეთმა დაშავებამ იცის. მინდოდა მარი დამებრუნებინა და ჩემებუ-რად დავიწყე ბრძოლა იმისათვის, რასაც მის წიგნებში „ხორციელი უინი“ ჰქვია.

7

ერთ საღამოს მარის ოთახში შევედი, მინდოდა ის გამეკეთებინა, რასაც ქალი და კაცი ერთად აკეთებენ, მაშინ მე ოცდაერთი წლისა ვიყავი, მარი კი ცხრაშვიტისა. ნასადილევს ციუბფნერთან ერთად ვნახე. ისინი ხელჩაკიდებულ-ნი გამოდიოდნენ ახალგაზრდა კათოლიკეთა სახლიდან, სახეზე ორივეს ღიმი-ლი დასთამაშებდა და ამან შემაგულიანა. რა ჰქონდა საერთო მარის ციუბ-ფნერთან, ასე სულელურად ხელიხელჩაკიდებულები რომ ვიხილე, ავად გავზ-დი. ჩვენს ქალაქში ციუბფნერს თითქმის ყველა იცნობდა, უმთავრესად მამა-ბისის გამო, რომელიც უფროსი მასწავლებელი იყო და ნაცისტებმა სკოლი-დან პანლურის კვრით გააგდეს. ომის დამთავრების შემდეგ მას დირექტორად ნიშნავენენ იმავე სკოლაში, მაგრამ უარი განაცხადა. ვილაცას მისი მინისტრად დანიშვნაც კი უნდოდა, რამაც ლამის გადარია კაცი. მაშინ უთქვამს:

— მე მასწავლებელი ვარ და მინდა ბოლომდე მასწავლებლად დავრჩე.

ციუბფნერის მამა მალალი, წყნარი კაცი იყო. პირადად მე, როგორც მას-წავლებელი, ცოტა მოსაწყენი მომეჩვენა. ერთხელ გერმანული ენის მასწავ-ლებელი შეცვალა და ხმამაღლა წაგვიკითხა ლექსი მშვენიერ ახალგაზრდა ფერიაზე.

ჩემი აზრი სკოლის საქმეებზე მხედველობაში მისაღები არაა. საერთოდ კი შეცდომა იყო ჩემი უფრო დიდხანს დატოვება სკოლაში, ვიდრე კანონითაა გათვალისწინებული. კანონით გათვალისწინებული დროც კი ყელში ამომი-ვიდა. ამის გამო არასოდეს არ დამიდანაშაულებია სკოლის მასწავლებლები, ყველაფერი ჩემი მშობლების ბრალი იყო. საყოველთაოდ გავრცელებულ სენს: „სიმწიფის ატესტატი ხომ უნდა მიიღოს მაინც“, ადრე თუ გვიან რასობ-რივ წინააღმდეგობათა მომრიგებელი საზოგადოების ცენტრალურმა კომი-ტეტმა უნდა მიხედოს. ეს მართლაც რასობრივი საკითხია. სკოლადამთავრებუ-ლები, სკოლადაუმთავრებულნი, მასწავლებლები, უფროსი მასწავლებლები, დიპლომიანები, უდიპლომონი — განა ესენი რასები არ არიან. როცა ცუბფ-



ხერის მამამ ლექსი წაგვიკითხა, მცირე ხანს შეიცადა და შემდეგ ღიმილით გვკითხა:



— ვის სურს აზრი გამოთქვას?

მე იმწამსვე წამოვხტი და განვაცხადე:

— ჩემი აზრით, ლექსი შესანიშნავია.

მთელი კლასი ახარხარდა, ციუპფნერის მამა კი იღიმებოდა, მაგრამ მის ღიმილში ქედმაღლობა არ იგრძნობოდა. ციუპფნერის მამა სასიამოვნო, ოღონდ ცოტათი გულცივ კაცად მომეჩვენა. მის ვაჟს უკეთ ვიცნობდი, მაგრამ არც ისე კარგად. ერთხელ სპორტულ მოედანს ჩავუარე, სადაც ციუპფნერი სხვა ახალგაზრდა კათოლიკებთან ერთად ფეხბურთს თამაშობდა. როცა საყურებლად შევჩერდი, მან დამიძახა:

— ჩვენთან თამაში ხომ არ გსურს?

მე დავთანხმდი და მარცხენა ნახევარმცველის ადგილი დავიკავე იმ გუნდში, რომელიც ციუპფნერის წინააღმდეგ თამაშობდა. როცა თამაში დავამთავრეთ, მან მითხრა:

— გინდა წამოდი ჩვენთან?

— სად? — ვკითხე მე.

— ჩვენს შეხვედრაზე.

— მე კათოლიკე არა ვარ, — ვუპასუხე მე.

ციუპფნერს გაეცინა, გაიცინეს სხვებმაც.

— ჩვენ ვიმღერებთ... შენც ხომ გიყვარს სიმღერა, — მითხრა ციუპფნერმა.

— დიახ, — ვუპასუხე მე, — მაგრამ ასეთი შეხვედრები ყელში მაქვს ამოსული, ორი წელიწადი ტყუილად ხომ არ დავყავი ინტერნატში.

ციუპფნერს ემწარა ჩემი სიტყვები, მაგრამ მაინც გაიცინა და მითხრა:

— თუ მოგესურვება, კვლავ მოდი ფეხბურთის სათამაშოდ.

მის ჯგუფთან კიდევ რამდენჯერმე ვითამაშე ფეხბურთი, შემდეგ კი ნაყინის საჭმელად გავყევი ბიჭებს. ციუპფნერს აღარასოდეს მივუწვევივარ საღამოზე. მე ისიც ვიცოდი, რომ მარი თავის ჯგუფთან საღამოებს იმავე ახალგაზრდა კათოლიკეთა სახლში ატარებდა. მარის კარგად ვიცნობდი, მეტი-მეტად კარგადაც კი, რადგან მამამისის ხშირი სტუმარი ვიყავი და ზოგჯერ, როცა მარი ამხანაგ გოგოებთან ერთად ბურთს თამაშობდა, სპორტულ მოედანზე მეც შევივლიდი და მათ თამაშს თვალყურს ვადევნებდი, უფრო სწორად, ვუყურებდი მარის, ისიც გახურებულ თამაშში დროდადრო ხელს მიქნევდა და მიღიმოდა. საპასუხოდ მეც ხელს ვუქნევდი და ვუღიმოდი. ერთმანეთს შესანიშნავად ვიცნობდით. ყველაზე ხშირად სწორედ იმ დროს დავდიოდი მამამისთან და როცა იგი ჰეგელისა და მარქსის თხზულებათა ახსნას დამიწყებდა, ზოგჯერ მარიც ჩვენთან ჩამოჯდებოდა, მაგრამ მამისეულ სახლში არასოდეს არ მიღიმოდა. ამიტომ იმ დღეს, როცა ნასადილევს ის და ციუპფნერი ახალგაზრდა კათოლიკეთა სახლიდან ხელიხელჩაკიდებულნი გამოვიდნენ, გული მეტკინა.

იმ წელს სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. სწავლას თავი დავანებე, ოცდაერთი წლისა გიმნაზიის მეექვსე კლასიდან გამოვედი. პატერებმა დიდი გულისხმიერება გამოიჩინეს, გამოსათხოვარი საღამოც კი მომიწყვეს, მოგვართვეს ლუდი, ბუტერბროტები და სიგარეტები, ხოლო იმათ, ვინც სიგა-



რეტს არ ეწეოდა, შოკოლადით უმასპინძლდებოდნენ. თანაკლასელებს რამდენიმე პანტომიმა ვუჩვენე: „კათოლიკური ქადაგება“, „ევანგელისტური ქადაგება“, „მუშები, რომელთაც კონვერტებით ხელფასი დაურიგეს“, ერთი სიტყვით. ამხანაგებს ვუჩვენე ათასგვარი ფოკუსები და ჩარლი ჩაპლინსაც კი მივბაძე. იმ საღამოს გამოსათხოვარი სიტყვაც წარმოვთქვენი „რა ყალბია აზრი, თითქოს სიმწიფის მოწმობა მარადიული ნეტარების ერთ-ერთი საწინდარია“. საღამომ მხიარულად ჩაიარა, მხოლოდ ჩემიანები იყვნენ დაბოღმილნი და გამწარებულნი. დედა საზიზღრად იქცეოდა. მამას ურჩევდა, მადაროში უკარი თავიო, მამა კი სულ ერთსა და იმავეს მეკითხებოდა, რა გინდა გამობვიდეთ?

— კლოუნი. — ვუპასუხე მე.

— შენ ალბათ მსახიობობა გინდა, კარგი. იქნებ მოვახერხო და რომელიმე შესაფერის სასწავლებელში მიგაბარო, — მითხრა მან.

— არა, — გამოვედავე მე. — მსახიობი კი არა, კლოუნი მინდა გავხდე... სასწავლებლებს ჩემთვის სარგებლობა არ მოუტანიათ.

— ამიხსენი მაინც, როგორი წარმოდგენა გაქვს ამაზე, — მითხრა მან.

— არავითარი, — ვუპასუხე მე. — არავითარი-მეთქი და სულ მალე გავეცლები აქაურობას.

გავიდა ორი საშინელი თვე, არ მეყო იმის ვაეკაცობა, რომ გუდა-ნაბადი ამეკრა და იქაურობას გავცლოდი. ყოველი ლუკმის პირში ჩადების დროს დედა ისე მიყურებდა, თითქოს ბოროტმოქმედებას ჩავდიოდი. არადა წლების მანძილზე ჩვენს ოჯახში შემოხეტებულ სხვადასხვა ჯურის მუქთახორებს ძალად ატენიდა პირში საჭმელს. მაგრამ ისინი იყვნენ „მხატვრები და პოეტები“; მჭლახელი შნიცლერი და გრუბერი, რომელიც არც ისე ცუდი კაცი ჩანდა. გრუბერმა „ამ სქელმა, ჩუმმა და ჭუჭყიანმა ლირიკოსმა ნახევარი წელიწადი იცხოვრა ჩვენთან და ამ ხნის განმავლობაში ერთი სტრიქონიც კი არ დაუწერია. დილით, როცა სასაუზმოდ ჩამოდიოდა, დედაჩემი ისე შეაცქერდებოდა სახეში ყოველთვის, თითქოს სურდა მისი დემონთან შეჭიდების იმდამინდელი კვალი აღმოეჩინა. ასეთი დაყინებული მზერა თითქმის უზნეობას უდრიდა. ერთ მშვენიერ დღეს გრუბერი უკვალოდ გაქრა და ჩვენ, ბავშვები, გაკვირვებულნი დავრჩით, როცა მის ოთახში ფურცლებად დაშლილი კრიმინალური რომანების მთელი დასტა აღმოვაჩინეთ, ხოლო საწერ მაგიდაზე რამდენიმე ბარათი, რომლებზედაც მხოლოდ ერთი სიტყვა ეწერა „არარა“. ხოლო ერთზე ორჯერ ეწერა „არარა“, „არარა“. ასეთი ადამიანებისათვის დედაჩემი სარდაფშიც კი ჩადიოდა და საგანგებოდ ამოჰქონდა ლორის ნაჭერი. მე რომ უზარმაზარი ზომის მოლბერტი მეყიდა და უზარმაზარ ტილოებზე სისულელები მეჭლახნა, დედაჩემი ალბათ ჩემს არსებობას შეეგუებოდა და იტყოდა: „ჩვენი ჰანსი ხელოვანია, მართალია, ჯერ ძიებებშია, მაგრამ თავის გზას იპოვის“. სინამდვილეში კი რა ვიყავი, ასაკგადაცილებული მეექვსე კლასელი, ვისზედაც მან მხოლოდ ის იცოდა, რომ გვარიანად ეხერხება ფოკუსების ჩვენება. მე, რა თქმა უნდა, არავითარი სურვილი არ მქონდა ლუკმაპურისათვის მეჩვენებინა მათთვის ჩემი „ხელოვნების ნიმუშები“. ამიტომ ნახევარ დღეს მარის მამასთან, მოხუც დერკუმთან ვატარებდი. ცოტას დუქანშიც ვეხმარებოდი და თუმცა საქმე კარგად არ მიუდიოდა, სიგარეტებით მაინც მამარაგებ-



და. ასე ვცხოვრობდი ორი თვე სახლში, მაგრამ ეს ორი თვე მარადისობად მეჩვენებოდა, გაცილებით უფრო ხანგრძლივ დროდ, ვიდრე ომი. მარის იშვიათად ვხედავდი, გამოსაშვები გამოცდებისათვის ემზადებოდა და ამხანაგ გოგონებთან მეცადინეობდა. ზოგჯერ მოხუცი დერკუმი მამჩნევდა, რომ ყურს არ ვუგებდები, სამზარეულოს კარს ვიყავი მიჩერებული, მაშინ თავის ქნევის შედეგად ნებოდა:

— დღეს დაიგვიანებს.

და მე სახეზე აღმური მედებოდა.

პარასკევი დღე იყო და ვიცოდი, ყოველ პარასკევ საღამოს დერკუმი კინოში დადიოდა, მაგრამ არ ვიცოდი, მარი შინ იქნებოდა თუ მეგობარ ქალიშვილთან წავიდოდა სახუთხად. ერთი შეხედვით თითქოს არაფერზე არ ვფიქრობდი, მაგრამ ამავე დროს ვფიქრობდი თითქმის ყველაფერზე, იმაზე, შეძლებდა თუ არა მარი „იმის შემდეგ“ გამოცდების ჩაბარებას. ერთი რამ წინასწარ ვიცოდი და ეს შემდეგ დადასტურდა კიდევ, ნახევარი ბონი ხომ აღშფოთდებოდა იმის გამო, რომ მე იგი შევაცდინე, თან იმასაც დაუმატებდნენ: გამოცდები კარზე იყო მომდგარიო. ვფიქრობდი იმაზეც, რომ მარის თანაკლასელი გოგონები იმედგაცრუებულნი დარჩებოდნენ. მეშინოდა იმისაც, რასაც ინტერნატში ერთმა ბიჭმა „ფიზიოლოგიური დეტალები“ უწოდა, მაწუხებდა პოტენციის საკითხიც. ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ სრულიად არ ვგრძნობდი „ხორციელ ჟინს“. ვფიქრობდი იმაზეც, რომ ჩემს მხრივ უსინდისობა იქნებოდა იმ გასაღებით შეესულიყავი მათ სახლში, მამამისმა რომ მომცა, მაგრამ არჩევანი არ მქონდა, მაინც ამ გასაღებით უნდა მესარგებლა. მარის ოთახის ერთადერთი ფანჯარა ქუჩაში გადიოდა და ის ქუჩა ღამის ორ საათამდე ხალხით იყო სავსე. ფანჯარაში გადაცოცება რომ მეცადა, შეეძლოთ პოლიციაში მივებრძანებინე და რადგან მე იმ დღეს უნდა გამეკეთებინა მარისთან „ის საქმე“, აფთიაქში შევედი და იმ ფულით ჩემს ძმას ლეოს რომ ვესესხე, რაღაც ისეთი წამალი ვიყიდე, ინტერნატის ბიჭების თქმით მამაკაცს რომ ძალას მატებს. შევედი თუ არა აფთიაქში, ყურებამდე გავწითლდი. საბედნიეროდ, გამყიდველი მამაკაცი აღმოჩნდა, მაგრამ მე მაინც ისე ჩუმად ველაპარაკებოდი, რომ გამყიდველმა მომთხოვა „ხმამალა და გარკვევით“ მეთქვა, რაც მსურდა. მე სწორედ ის პრეპარატი მომცეს, რომელიც დავასახელე და ფული მეაფთიაქის ცოლს გადავუხადე. ქალმა შემომხედა და თავი გადააქან-გადმოაქანა. მან, რა თქმა უნდა, მიცნო და როცა მეორე დღით გაიგო, რაც მოხდა, ალბათ ისეთი აზრები დაუტრიალდა თავში, რასაც სინამდვილესთან საერთო არაფერი მქონდა, რადგან გავიარე თუ არა ორიოდ ქუჩა, ის კოლოფი გავხსენი და აბები ბინძურ არხში ჩავყარე.

შვიდი საათისათვის, როცა კინოში სეანსები იწყება, გუდენაუგასეზე გავედი. გასაღები ხელში მეჭირა, მაგრამ კარი ღია დამხვდა და როცა დუქანში შევედი, მარიმ დერეფნიდან თავი გამოპყო და დაიძახა:

— არის მანდ ვინმე?

— დიახ, — გავძახე, — მე ვარ.

კიბეზე ავირბინე, მარი გაოცებული მიყურებდა, როცა ნელ-ნელა მისი ოთახისაკენ ისე დავახევი, რომ თითიც არ დამიკარებია, ხანგრძლივად ჩვენ არასოდეს გვილაპარაკია, მხოლოდ ვუყურებდით და ვუღიმოდით ერთმანეთს.



ამიტომ არც ის ვიცოდი, შენობით მელაპარაკა მასთან თუ თქვენობით. მარის ეცვა ნაცრისფერი, გაცვეთილი, დედისაგან მემკვიდრეობით მიღებული აბანოს ხალათი, მუქი თმა მწვანე ზონრით ჰქონდა უკან შეკრული. მრგვრანებით, როცა ზონარი გავხსენი, მივხვდი, რომ მამამისის ანკესის ნაწყვეტი იყო. მარის ისე შეეშინდა, რომ არათრის თქმა არ დამჭირებია, მაშინვე მშვენივრად მიხვდა, რაც მინდოდა.

ბიზნისისეა

— მომშორდი, — ეს კი მითხრა, მაგრამ როგორღაც ანგარიშმიუცემლად წარმოთქვა. ვიცოდი, რომ ასე უნდა ეთქვა, იმასაც მივხვდით ორივე, რომ ეს სიტყვა სერიოზულადაც იყო ნათქვამი და ანგარიშმიუცემლადაც, მაგრამ როგორც კი მითხრა „მომშორდი“ და არა „მომშორდით“, ყველაფერი მაშინვე გადაწყდა. ეს მოკლე სიტყვა იმდენ სინაზეს იტევდა, მეგონა მთელი სიცოცხლის მანძილზე იკმარებდა და კინაღამ ავტირდი. ეს სიტყვა მან ისე წარმოთქვა, რომ ერთ რამეში საბოლოოდ დავრწმუნდი: იცოდა, რომ მოვიდოდი, ყოველ შემთხვევაში, ჩემი გამოცხადება მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა.

— არა, არა, არსადაც არ წავალ, — ვუთხარი მე, — სად უნდა წავიდე? მან თავი გააქნია.

— შენ გინდა, ოცი მარკა ვისესხო, კიოლნში გავემგზავრო და მერე შეგირთო?

— არა, მიპასუხა მან, — ნუ წახვალ კიოლნში.

მარის შევხედე და შიში გამიქრა.

ბავშვი აღარც მე ვიყავი, მარიც დაქალბუღიყო. ვხედავდი, როგორ ეჭირა ხელში ხალათის კალთა, ვუყურებდი მის მაგიდას ფანჯარასთან და მიხაროდა, რომ სასკოლო ხარახურის ნაცვლად ზედ თარგი და საკერავი ედო. მე ქვევით, დუქანში ჩავირბინე, კარი დავკეტე და გასაღები იქ დავდე, სადაც აგერ უკვე ორმოცდაათი წელია ინახავენ — კანფეტების ქილასა და სასწავლო რვეულებს შორის. როცა ზევით ავედი, მარი საწოლზე იჯდა და ტიროდა. მეც მის საწოლზე ჩამოვჯექი, ოღონდ მოპირდაპირე მხარეს, სიგარეტს მოვუკიდე და მარის გავუწოდე. იმ დღეს მარიმ თავის სიცოცხლეში პირველად მოსწია სიგარეტი. ეწეოდა უხერხულად და უეცრად ორივეს ჩვენდა უნებურად გავვეცინა, რადგან მარი ისე სასაცილოდ უშვებდა კვამლს გამობუშტული ტუჩებიდან, თითქოს კეკლუცობსო და როცა შემთხვევით კაი გაქექილივით ბოლი ცხვირიდანაც გამოუშვა, ისევე გამეცინა. ბოლოს დავიწყეთ ლაპარაკი, ვლაპარაკობდით ბევრს. მარიმ მითხრა, იმ ქალებზე ვფიქრობ, კიოლნში „ამ საქმეს“ ფულის გამო რომ აკეთებენ, თანაც დარწმუნებულნი არიან, „ამაში“ ფული უნდა გადაუხადონ უსათუოდ, მაგრამ „ამაში“ ფულის გადახდა როგორ შეიძლებაო. ამიტომ გამოდის, რომ ქალებს, რომელთა ქმრები „იმნაირებთან“ დადიან, მათ წინაშე ბრალი მიუძღვით, მე კი არ მინდა ვინმეს წინაშე ბრალი მიმიძღვოდესო. მეც ბევრს ვლაპარაკობდი, ვარწმუნებდი, რომ ყველაფერი, რაც ეგრეთ წოდებული ფიზიკური თუ სხვაგვარი სიყვარულის შესახებ წამიკითხავს, სისულელედ მიმაჩნია, რადგან მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა არ შემიძლია-მეთქი. მარიმ მკითხა, ლამაზ ქალად თუ მიგაჩნევარო და თუ გიყვარვარო. მე ვუპასუხე, ერთადერთი ქალიშვილი ხარ, ვისთანაც „ამ საქმის“ გაკეთების სურვილი მაქვს და როცა ამაზე ვფიქრობდი, ინტერნატშიც კი მუდამ შენ მყავდი მხედველობაში-მეთქი. ბოლოს მარი წამოდგა და სააბაზანო-



ში გავიდა, მე კი ისევ მის საწოლზე ვიჯექი, სიგარეტს ვეწეოდი და იმ საშინელ აბეზზე ვფიქრობდი, ბინძურ არხში რომ ჩავყარე. ისევ შემიპყრო შიშმა. სააბაზანოსთან მივედი და კარზე დავაკაკუნე. მარი ერთხანს ყოყმანობდა, შემდეგ ნება დამართო და როგორც კი სააბაზანოში შევედი და მარი დავინახე, შიში მაშინვე გამიქრა სანამ თმაში სურნელოვან სითხეს იხეულდა. სახეზე ცრემლი დაპალუპით ჩამოსდიოდა, ხოლო როცა პუდრის წასმას დაიწყო, მე ვკითხე:

— აქ რას აკეთებ?

— ვლამაზდები, — მიპასუხა მან.

როცა სქლად წასმულ პუდრში ცრემლმა პატარა ღარები გაიკვლია, მკით-

— ხომ არ აჯობებს, წახვიდე?

— არა, — ვუპასუხე მე.

მარიმ კიოლნის წყალი დაიპყრა. მე კი აბაზანის კიდეზე ჩამოვჯექი და გავიფიქრე, გვეყოფა კი ორი საათი. ნახევარ საათზე მეტი ლაქლაქში გავატარეთ. სკოლაში იმ საკითხის სპეციალისტებიც იყვნენ, თუ რაოდენ ძნელია ქალიშვილის ქალად გადაქცევა და მე განუწყვეტლივ ვფიქრობდი გუნთერზე, რომელმაც ჯერ ზიგფრიდი გაგზავნა ბრუნჰილდესთან და მხოლოდ ამის შემდეგ ეწვია თვითონ. ვფიქრობდი ნიბელუნგების საშინელ ხოცვა-ჟლეტაზე, რაც ასეთ ამბავს მოჰყვა. როცა სკოლაში გავდიოდით „თქმულებას ნიბელუნგებზე“, მე წამოვდექი და პატერ ვუნიბალდს ვუთხარი:

— ბრუნჰილდე ხომ მართლა იყო ზიგფრიდის ცოლი.

მას გაეღიმა და მითხრა:

— მაგრამ ცოლად კრიმჰილდე ჰყავდა შერთული, უმაწვილო.

მე გავცოფდი და განვაცხადე, ასეთი პასუხი „მღვდლურ“ განმარტებად მიმაჩნია-მეთქი.

ახლა პატერი ვუნიბალდი გაცოფდა, კათედრაზე თითქმის დააკაკუნა, მთელი თავისი ავტორიტეტი მოიშველია და ბრძანა, „ასეთი შეურაცხყოფა“ აღარ მომეყენო.

მე წამოვდექი და მარის ვუთხარი:

— გეხვეწები, ნუ ტირი.

მარიმ ტირილი შეწყვიტა და ცრემლების კვალი საპუდრე ბუმბულატი დაფარა. სანამ მის ოთახში შევიდოდით, დერეფანში ფანჯარასთან შევჩერდით და ქუჩას გადავხედეთ: იანვარი იდგა, ქუჩა სველი იყო, ყვითელი ჩირაღდნების შუქი ასფალტზე ეფინებოდა, ხოლო ბოსტნეულის მალაზიის თავზე მწვანე რეკლამა ჩახჩახებდა: „ემილ შმიცი“. შმიცს კი ვიცნობდი, მაგრამ არ ვიცოდი, ემილი თუ ერქვა. ემილი რატომღაც მისი გვარისათვის შეუფერებელი სახელი მომეჩვენა. სანამ მარის ოთახში შევიდოდით, კარი ოღნავ გამოვალე და სინათლე გამოვრთე.

როცა მამამისი შინ დაბრუნდა, ჩვენ ჯერ კიდევ არ გვეძინა. თერთმეტი სრულდებოდა, გავიგონეთ, როგორ შევიდა სიგარეტებისათვის დუქანში, მერე კიბეზე მოგვესმა მისი ფეხის ხმა. ვფიქრობდით, უთუოდ შეამჩნევს რაღაცას, რადგან არაჩვეულებრივი რამ მოხდა. მაგრამ დერეკუმმა ვერაფერი შეამჩნია, მხოლოდ ერთი წამით მიაყურა კართან და ზევით ავიდა. გავიგონეთ,



როგორ გაიხადა ფეხსაცმელი და იატაკზე დაყარა. შემდეგ კი გვესმოდა მისი ხველება ძილში: ეცდილობდა წარმომედგინა, როგორ შეხვდებოდა ამ ამბავს. რელივიანზე დერკუმმა დიდი ხანია აიყარა ვული და კათოლიკურ ეკლესიას სიახლოვეს აღარ ეკარებოდა. ჩემთან საუბარში თავს ესხმოდა ბურჟუაზიული საზოგადოების „ცრუ სექსუალურ მორალს“ და ბრაზმორწყვნილობდა, მღვდლებმა ქორწინება თვალთმაქცობად აქციესო მაგრამ მე მაინც არ ვიყავი დარწმუნებული. აყალ-მაყალს არ ატეხდა ჩემს გამო, რაც მარის ვუყავი. დერკუმი ძლიერ მიყვარდა, მეც ვუყვარდი მას და ერთი სული მქონდა, შუალამისას ავმდგარიყავი, მის ოთახში შევსულიყავი და ყველაფერი შეამბნა. მაგრამ შემდეგ გადავიფიქრე. მე უკვე ოცდაერთი წლის მამაკაცი ვიყავი, მარც საკმაოდ სრულსაკოვანი, ცხრამეტი წლის ქალი იყო და ასეთ ვითარებაში მამაკაცი გულწრფელობა ზოგჯერ უფრო საჩოთიროა, ვიდრე დუმილი. გარდა ამისა, ისიც გავიფიქრე, ეს ამბავი მას ნაკლებად ეხება, ვიდრე აქამდე მეგონა-მეთქი. კაი სანახავი კი ვიქნებოდი, ნაშუადღევს გამოვცხადებელიყავი ჩასთან და მეთქვა: „იცით რა, ბატონო დერკუმ, ამალამ თქვენს ქალიშვილთან ვაპირებ დაძინებას“, ხოლო იმას, რაც მოხდა, როგორმე გაიგებს.

ცოტა ხნის შემდეგ მარი ადგა, სიბნელეში მაკოცა და ლეიბს ზეწრები გადააძრო, ოთახში უკუნი იყო გაბატონებული, ქუჩიდან სინათლე არ შემოდითოდა, რადგან ფანჯარას სქელი ფარდა ჩამოვაფარეთ. ვინ ასწავლა იმის ვაკეთება, რასაც ახლა აკეთებს. რატომ გადააძრო ლეიბს ზეწრები, რატომ გამოაღო ფანჯარა, გავიფიქრე ვაკვირვებულმა.

— მე საბაბახანოში ვავალ, შენ კი აქ დაიბანე, — მიჩურჩულა მან, შემდეგ ხელი მომკიდა, ლოგინიდან წამომაყენა, ხელჩაკიდებულმა მიმიყვანა იმ კუთხემდე, სადაც მისი პირსაბანი იდგა. ხელის ფათურით მომაძებნინა წყლით სავსე დოჭი, სასაბნე, ტაშტი და ილღობქვეშ ზეწრებამოჩრილი ოთახიდან გავიდა. სახელდახელოდ დავიბანე, ისევ ლოგინში ჩავწექი და მიკვირდა, სად დაიკარგა აქამდე მარი, რატომ არ მოაქვა სუფთა თეთრეული-მეთქი. საშინლად დაღლილი ვიყავი და მიხაროდა. შემედლო უშიშრად მეფიქრა დაწყევლილ გუნთერზე. მცირე ხნის შემდეგ ისევ შემიპყრო შიშმა, მარის რამე ხომ არ შეემთხვა-მეთქი. აეთ რამეებზე ინტერნატში შემზარავ ამბება ყებოდნენ. უზეწრო ლეიბზე წოლა არ მსიამოვნებდა, გარდა ამისა ძველი და ჩავარდნილი იყო, თანაც ტანზე მხოლოდ ზედა საცვალი მეცვა და მციოდა. ისევ მარის მაშზე დავიწყე ფიქრი. ამ კაცს ყველა კომუნისტად თვლიდა. მაგრამ როცა თმის შემდეგ ბურგომისტრად უნდა აერჩიათ, კომუნისტებმა მხარი არ დაუჭირეს და საქმეც ჩაიფუშა. ყოველთვის, როცა ნაციისტებისა და კომუნისტების შედარებას ვიწყებდი, იგი ცოფდებოდა და მეუბნებოდა:

— დიდი განსხვავებაა, ყმაწვილო, განა ერთი და იგივეა, კაცი საპნის ფირმის მიერ გაჩაღებულ ომში მოკვდება თუ იმ საქმისათვის, რომელიც შეიძლება იწამო.

აქამდე არ ვიცი, ვინ იყო იგი სინამდვილეში და როცა ერთხელ კინკელმა ჩემი თანდასწრებით „გენიალური სექტანტი“ უწოდა, მზად ვიყავი კინკელისათვის სახეში მიმეფურფებინა. მოხუცი დერკუმი იმ მცირე ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთა მიმართაც პატივისცემით ვიყავი გამსჭვალული. დერკუმი გამხდარი, ღვარძლიანი კაცი იყო, ბევრად უფრო ახალგაზრდა,



ვიდრე გამოიყურებოდა, იმდენ სიგარეტს ეწეოდა, რომ სუნთქვა უჭირდა. მთელი ის ხანი, რაც ლოგინში ვიწვექი და მარის ველოდი, მისი ხველა მესმოდა ზემოდან, მისი საწოლი ოთახიდან და თავი ვიგინდარად მიმაჩნდა, თუმცა ასეთი არ ვიყავი. ერთხელ მითხრა:

— იცი, რატომღა განლაგებული მდიდრების სახლში, აი ისევე, როგორც მშობლები რომ ცხოვრობენ, მოახლეთა ოთახები ქაბუჯობაში უნდა იყოს? აგისხნი: იმიტომ, რომ მდიდრები ოდითგანვე სპეკულანტობენ ადამიანის ბუნებით და გულმოწყალებით.

ენატრობდი ქვევით ჩამოსულიყო და მარის საწოლში ჩავორებულს თავზე დამდგომოდა. მაგრამ პირადად მე ზევით ასვლისა და მისთვის ანგარიშის ჩაბარების სურვილი არ მქონდა.

გარეთ ინათა. მციოდა და მარის ოთახია უბადრუკობა გულს მიმძიმებდა. დერკუმები დიდი ხანია გაკოტრდნენ და ამის მიზეზად მარის მამის პოლიტიკური ფანატიზმი მიაჩნდათ. ადრე მათ პატარა სტამბა, პატარა გამომცემლობა და წიგნის მაღაზია ჰქონდათ, ბოლოს კი მხოლოდ პატარა საკანცელარო ნივთების მაღაზია შემორჩათ, სადაც მოწაფეებისათვის ნაირნაირი ტყბილულობაც იყიდებოდა. ერთხელ მამაჩემმა მითხრა:

„ხომ ხედავ, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი ფანატიზმმა... თუმცა ომის შემდეგ დერკუმს, როგორც პოლიტიკურად დევნილ პიროვნებას, ყველა შანსი ჰქონდა იმისა, რომ საკუთარი გაზეთი გამოეცა“.

საოცარია, მაგრამ მოხუცი დერკუმი არასოდეს არ მიმაჩნდა ფანატიკოსად, იქნება მამაჩემს ფანატიზმი და ქედუხრელობა ერთმანეთში ერევა. მარის მამა ლოცვანებსაც კი არ ყიდდა, თუმცა შეეძლო ცოტათი ხელი მოეთბო, განსაკუთრებით კვირაცხოვლობის წინა დღეებში.

თუ რა ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, მხოლოდ მაშინ დავინახე, როცა ოთახში დღის სინადლე შემოიჭრა. კარადაში სულ სამი კაბა ეკიდა — მუქი მწვანე (ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მთელი საუკუნე ამ კაბაში ვხედავდი), მოყვითალო — თითქმის მთლად ვაცვეთილი კაბა და უცნაური მუქი ლურჯი კოსტიუმი, რომელსაც მხოლოდ საეკლესიო პროცესიების დროს იცვამდა. იქვე იდგა ძველი, მომწვანო-ბოთლისფერი პალტო და მხოლოდ სამი წყვილი ფეხსაცმელი ელაგა. იყო წამი, როცა ცდუნებამ მძლია, მინდოდა აემდგაროყავი, უჭრები გამომეღო და მარის საცვლები დამეთვალაღიერებინა, მაგრამ თავი შევიკავე. მე მგონი ქალის საცვლებს მაშინაც ვერ დავათვალაღიერებდი, როცა კახონიერად შევირთავდი ცოლად. დერკუმის ხველი კარგა ხანია აღარ მესმოდა. ბოლოს, როცა მარი სააბაზანოდან გამობრძანდა, ექვსი საათი შესრულდა. მიხაროდა, მასთან რომ ასე გავატარე დამე, როგორც ათასჯერ მიწატირია. მარის ვაკოცე და როცა გამიღიმა, თავი ბედნიერ კაცად მივიჩნიე. კისერზე მისი ვინულივით ცივი ხელები ვიგრძენი და ჩურჩულით ვკითხე:

რას აკეთებდი ამდენ ხანს?

— რა უნდა მეკეთებინა, ზეწრები გავრეცხე. სიამოვნებით გამოგიცვლიდი თეთრეულს. მაგრამ ჩვენ მხოლოდ ოთხი წყვილი გვაქვს და როცა ორი დაგებულია, ორი ირეცხება.

ჩემკენ მოვიჩიდე, საბანი გადავახურე და როცა მისი ვინულივით გათო-



შილი ხელები იღლივებში ამოვიდე, მარიმ მითხრა, ჩემი ხელები აქ ისე შესა-  
ნაშნავად და თბილად მოკალათდნენ, როგორც ჩიტები ბუდეში.

— არაფრით არ შემეძლო ასეთი თეთრეული ქალბატონ ჰუბერისათვის  
მიმეტანა. — მითხრა მარიმ, — სარეცხს ყოველთვის ის ვვერცხავს და მის-  
გან მთელი ქალაქი გაიგებდა, რაც ჩვენ აქ მოვიმოქმედეთ, მაგნიტისკარც  
გადასაგდებად გავიმეტე. ერთი კი გავიფიქრე, გადავყრი-მეთქი, მაგრამ მერე  
მაინც დამენანა.

— ნუთუ თქვენთან ცხელი წყალი არ მოდის?

— არა, ბოილერი დიდი ხანია გაგვიფუჭდა.

უეცრად ატირდა და მე ვკითხე, რა გატირებს-მეთქი. მან ჩურჩულით  
თქვა:

— ღმერთო, შენ ხომ იცი, რომ კათოლიკე ვარ.

მე ვუთხარი, ამ შემთხვევაში ყველა ქალიშვილი, სულ ერთია ევანგე-  
ლისტი იქნებოდა იგი თუ საერთოდ ურწმუნო, მაინც იტირებდა და ისიც ვი-  
ცი, რატომ. მარიმ გაკვირვებით შემომხედა, მე ავუხსენი:

— იმიტომ რომ, ის, რასაც უმანკოება ჰქვია, მართლაც არსებობს.

მარი კვლავ ტიროდა, მაგრამ აღარაფერი მიკითხავს. მიზეზი ვიცოდი, იგი  
რამდენიმე წელია ხელმძღვანელობდა კათოლიკე ქალიშვილების ჯგუფს, ყო-  
ველთვის მონაწილეობდა საეკლესიო პროცესიებში, ცხადია, არაერთხელ ულა-  
პარაკია იმ ქალიშვილებთან წმინდა მარიამის ქალწულობაზე და ახლა თავი  
აღბათ მატყუარად და მოღალატედ მიაჩნდა. ვიცოდი, რა ცუდ დღეშიც იყო,  
მაგრამ მეტი ლოდინი აღარ შემეძლო და მარის ვუთხარი, ქალიშვილებს მე  
მოველაპარაკები-მეთქი.

— რაო... ვის?

— შენი ჯგუფის ქალიშვილებს, — ვუპასუხე მე, — შენ ახლა მართლა  
გიჭირს, მაგრამ როცა კიდევ უფრო გაგიჭირდება, შეგიძლია ყველას უთხრა,  
თითქოსადა მე ვაგაუპატიურე.

მარის გაეცინა და მითხრა:

— რა სისულელეა, მაინც რა უნდა უთხრა ქალიშვილებს?

— არაფერსაც არ ვეტყვი. უბრალოდ წარვსდგები მათ წინაშე, გავითამა-  
შებ რამდენიმე ნომერს და იმიტაციას და ისინიც მაშინვე იფიქრებენ: „აი,  
თურმე ვინ ყოფილა ის შნირი, მარის რომ ის საქმე უყო“. ასე აჯობებს, რა-  
ტომ უნდა იქორაონ კუთხე-კუთხე?

მარი ჩაფიქრდა, მერე ისევ გაიცინა და მითხრა:

— არც იაე სულელი ყოფილხარ.

შემდეგ უცებ ისევ ატირდა და დასძინა.

— აქაურებს ვეღარ დაეენახვები.

— რატომ? — ვკითხე მე, მაგრამ მარი მხოლოდ ტიროდა და თავს აქ-  
ნევდა.

მარის ხელები, იღლიაში რომ მქონდა ამოდებული, გათბა, რაც უფრო  
მეტად უთბებოდა ხელები, მით უფრო მერეოდა ძილი. მალე უკვე მისი ხე-  
ლები მე მათბობდნენ და როცა მკითხა, თუ გიყვარვარ, ლამაზ ქალად თუ  
მთვლით, ვუპასუხე, ეს თავისთავად ცხადია-მეთქი, მაგრამ მან მითხრა, ასეთი  
თავისთავად ცხადი სიტყვები სასიამოვნო მოსასმენიაო და მეც ძილბურანში



წასულმა ჩავილულულე, რა თქმა უნდა ლამაზი ხარ და მიყვარხარ-მეთქი. როცა მარი ადგა, დაიბანა და ჩაიცვა, უკვე მეღვიძა. მას ჩემი არ შერცხვენია და მეც ბუნებრივ ამბად მივიჩნიე, მისთვის მეცქირა. ახლა უფრო ნათლად დავინახე, რა ღარიბულად ეცვა. სანამ ზონრებს ისკვნიდა და ღილებს იკრავდა. მე იმ ლამაზ-ლამაზ ნივთებზე ვფიქრობდი, რომელთაგანაც შეიქმნა ფული რომ მქონოდა. ხშირად ვმდგარვარ მოღური მაღაზიების წინ, ვმფიქვრები ვალიერებია ქვედა კაბები, პულოვერები, ფეხსაცმელები, ჩანთები, წარმოდგენით მივარაუდია, როგორ მოუხდებოდა ყველაფერი ეს მარის, მაგრამ მაშინ ისე იხედავდა მკაცრი იყო ფულის საკითხში, რომ ვერაფრით ვერ გავბედავდი რამე მეჩუქებინა მარისათვის. ერთხელ დერკუმმა მითხრა:

— სიღარიბე საშინელებაა, მაგრამ ისიც ცუდია, როცა თავის გატანა გიჭირს, არადა ადამიანთა უმეტესობა სწორედ ამ დღეშია.

— და თუ მდიდარი ხარ, ეს რაღაა? — გკითხე მე და გაწითლდი, მან დაკვირვებით შემომხედა, თვითონაც გაწითლდა და მითხრა:

— იცი, ჩემო კარგო, თუ ფიქრს არ მოეშვი, საქმე ცუდად წაგივა. იმდენი ვაჟკაცობა თუ შექნებოდა და იმის რწმენა, რომ ამქვეყნად რაღაცის გამოსწორება შეიძლება, იცი რას ვიზამდი?

— არა, არ ვიცი.

— დავაარსებდი ისეთ საზოგადოებას, რომელიც მდიდარი ოჯახის შვილებზე იზრუნებდა, — მითხრა მან და ისევ გაწითლდა. — ჩვენი რეგვენები კი სიტყვა ასოციალურს მხოლოდ ღარიბების მიმართ ხმარობენ.

სანამ მარის ჩაცმას თვალს ვადევნებდი, თავში ათასნაირი ფიქრი მიტრიალებდა. მახარებდა და მალონებდა კიდევ ის ამბავი, რა ბუნებრივი იყო მისთვის მისი სხეული. შემდეგ, როცა ერთად დავეხეტებოდით სასტუმროდან სასტუმროში, დილით განგებ ვდგებოდი გვიან, რათა მეყურებინა, როგორ იბანდა და იცვამდა მარი. ხოლო თუ სააბაზანო მოშორებით იყო და საწოლიდან მარის ვერ ვუთვალთვალავდი, აბაზანაში ვწვებოდი.

იმ დილას ყველაფერს მერჩია მის ოთახში ლოგინში ვწოლილიყავი და მხოლოდ იმაზე ვოცნებობდი, ჩაცმა არ დაემთავრებინა. მარი მთელი მონღოლებით იბანდა კისერს, მკლავებს, მკერდს და გულმოდგინედ იხეხავდა კბილებს. პირადად მე შეძლებისდაგვარად თავს ვარიდებდი დილით დაბანას, კბილების ხეხვა ახლაც მეზარება, აბაზანაში ბანაობა მირჩევნია, მაგრამ როცა მარი იბანდა, მე ყოველთვის სიამოვნებას მგვრიდა მისი ცქერა. ისე უყვარდა სისუფთავე, ისე ბუნებრივად აკეთებდა ყველაფერს, კბილის პასტის ტუბს სახურავსაც ისე კობტად ახრახნიდა. იმ დილით ჩემს ძმაზე, ლეოზეც ვფიქრობდი. იგი ღვთისმოსავი, კეთილსინდისიერი, სერიოზული ახალგაზრდა იყო და ყოველთვის ხაზგასმით მეუბნებოდა, შენი მწამსო. მაშინ ისიც გამოსაშვებ გამოცდებს აბარებდა და რატომღაც რცხვენოდა, რომ სიმწიფის ატესტატს წესისამებრ ცხრამეტი წლის ასაკში იღებდა, მე კი ოცდაერთი წლისა მეექვსე კლასში ვიჯექი და „ნიბელუნგების სიმღერის“ არასწორი ინტერპრეტაცია გულზე მხეთავდა. მარის ლეოც იცნობდა, ერთმანეთს რომელიღაც წრეში ხვდებოდნენ, სადაც კათოლიკე და ევანგელისტი ახალგაზრდები დემოკრატიულად და რელიგიურ შემწყნარებლობაზე კამათობდნენ. მაშინ მე და ლეო ჩვენს მშობლებს ერთგვარი საერთო საცხოვრებლის გამგებელ ცოლ-ქმრადღა ვთვლიდით.



ლევოს თავზარი დაეცა, როცა გაიგო, მამას აგერ უკვე ათი წელია საყვარელი ჰყავსო. ამ ამბავმა მეც დამცა თავზარი, მაგრამ არა მორალურად. ჩემთვის იოლი იყო იმის წარმოდგენა, რა ძნელია ცოლად გყავდეს დედაჩემი, რომლის უალბი თვინიერება ი-სა და ე-ს თვინიერება იყო. იგი იშვიათად წარმოთქვამდა წინადადებას, სადაც ა, ო, ან უ ერია, ხოლო ამის ტანჯვის მამაჩემით ისაა, რომ ლევოს სახელი ლედ შეამოკლა. მისი ორი საყვარელი წინადადება იყო: „მე ნივთებს სხვებივით ვერ ვჰვრეტ“ და „მე ჩემს პრინციპს მივსდევ, ნივთებში მიზნებს ვეძებ“. ის ფაქტი, რომ მამას საყვარელი ჰყავდა, ჩემთვის უფრო ესთეტიკური თვალსაზრისით იყო თავზარდამცემი: მის ხასიათს როგორღაც არ უხდებოდა ამგვარი რამ. მამაჩემი არც ვნებააშლილი კაცი იყო და არც ხალისიანი. ხოლო თუ უკუვაგდებთ იმ აზრს, რომ ის ქალი მამაჩემს მომვლელად ან სულია განმბანელად სჭირდებოდა (რასაც სრულიად არ შეეფერება პათეტიკური სიტყვა — საყვარელი), მაშინ უწესობა სწორედ ის იყო, რომ მამას არ შეშვენის საყვარლის ყოლა. სინამდვილეში მისი საყვარელი სასიამოვნო, ლამაზი მომღერალი ქალი იყო, რომელსაც ინტელექტი ღიდად არ აწუხებდა. მამას ისიც კი არ უცდია, ქალს დამატებითი კონტრაქტების დადებაში ან კონცერტების მოწყობაში დახმარებოდა. ამგვარ საქმეებში მეტისმეტად წესიერი კაცი იყო. მათი ურთიერთობა საკმაოდ აწეწილ-დაწეწილი მეჩვენებოდა, ლევოს წუხილის მიზეზი კი ის იყო, რომ იდეალები შეეერყა. დედაჩემმა ლევოს წუხილის აბსნა სხვაგვარად ვერ მოახერხა და თავისი აზრი ასე გამოხატა: „ლევს კრიზისი ითრევს“. ხოლო როცა საკლასო სამუშაო არადაამაკმაყოფილებლად დაწერა, დედას უნდოდა ფსიქოლოგთან წაეყვანა. მადლობა ღმერთს, განზრახვაზე ხელი ავალებინე. სამაგიეროდ ძმას მოვუხვევი ყველაფერი, რაც კი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის შესახებ ვიცოდი, თანაც ისე ინტენსიურად ვეხმარებოდი გაკვეთილების მომზადებაში, რომ შემდგომი საკლასო სამუშაოები უკვე დამაკმაყოფილებლად და „კარგზეც“ დაწერა. მხოლოდ ამის შემდეგ აიღო ხელი დედამ ლევოს ფსიქოლოგთან წაყვანაზე.

მარიმ მუქი მწვანე კაბა ჩაიცვა და თუმცა ელვაშესაკერელმა საქმე გაუჭირა, მე მაინც არ წამოვმდგარვარ საწოლიდან, არ დავხმარებივარ. ლამაზი სანახავი იყო მისი ხელები, ზურგზე რომ ფათურობდნენ, თეთრი კანი, — მუქი თმა და მუქი მწვანე კაბა. მახარებდა ისიც, რომ არ ნერვიულობდა. ბოლოს საწოლთან მოვიდა, მე ლოგინზე წამოვჯექი და კაბა შევუკარი. ვკითხე, ასე ადრე რატომ დგები-მეთქი, მიპასუხა, მამაჩემს ნამდვილი ძილით მხოლოდ განთიადის ეამს სძინავს, მე კი გაზეთები უნდა მივიღო და დუქანი გავადო, რადგან მოსწავლეები ზოგჯერ დილით მოდიან რვეულების, ფანქრებისა და მაქარაყინულის საყიდლადო.

— გარდა ამისა, — მითხრა მან, — უმჯობესი იქნება ჩვენი სახლიდან რვის ნახევარზე გახვიდე. ახლა ყავას მოვადულებ, შენ კი ხუთი წუთის შემდეგ ფრთხილად ჩამოდი სამზარეულოში.

როცა სამზარეულოში ჩავედი, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ცოლიანი ვიყავი. მარიმ ყავა დამისხა და ბუტერბროტი მომიმზადა, შემდეგ კი თავი გააქნია და მითხრა:

— მუდაა დაუბანელი და დაუვარცხნელი ცხადდები სასაუზმოდ?



— კი, — ვუთხარი, — ინტერნატშიც კი ვერ მასწავლეს, ყოველდღე დილაადრიან ხელ-პირის დაბანა.

— აბა მაშ რას შერები? — მკითხა მან, — როგორმე ხომ უნდა ბრიკეტ-ლო ჭუჭყი?

— კიოლნის წყლით ვიზელ ტანს, — ვუპასუხე მე.

— ეს ხომ საკმაოდ ძვირი ჯდება, — მითხრა მან და გაწითლდა.

— მართალია, — ვუპასუხე მე, — მაგრამ ბიძაჩემი, რომელიც ამ ფირმის გენერალური წარმომადგენელია, ერთ დიდ ფლაკონს მიგზავნის ხოლმე საჩუქრად.

ის სამზარეულო, ასე კარგად რომ ვიცნობდი, დაბნეულმა მივათვალეერ-მოვათვალეერე. ეს უფრო დუქნის უკანა ოთახი იყო — ბნელი და პატარა: კუთხეში მომცრო ქურა იდგა. როგორც ყველა დიასახლისი, ქურაში მარცხინახავდა ნაცარწაყრილ ბრიკეტებს: საღამოობით ბრიკეტებს სველ გაზეთში ახვევდა, დილით კი ნაკვერჩხლებს გაქეჩავდა, შეშასა და ახალ ბრიკეტებს დაუმატებდა და ცეცხლს გააჩაღებდა. მძაგს მხრჩოლავი ბრიკეტების სუნი. ეს სუნი ალიონზე ქუჩებში იგრძნობა, იმ დილით კი ის პატარა, შეხუთული სამზარეულო ააყროლა. სამზარეულო იმდენად პატარა იყო, რომ ყოველთვის, როცა მარის საყავის ქურიდან გადმოდგმა უწევდა, უნდა ამდგარიყო და სკამი გვერდზე გაეწია. ალბათ ზუსტად ასევე იქცეოდნენ მისი ბებიაც და დედაც. სამზარეულო, რომელსაც ასე კარგად ვიცნობდი, იმ დილით პირველად მომეჩვენა ულაზათო და ალბათ პირველად განვიცადე ის, რასაც ყოველდღიურობა ჰქვია: გინდა თუ არა. მაინც უნდა აკეთო ის, რის გაკეთებაც აღარ გეხალისება. სულაც არ მეხალისებოდა ოდესმე გავსულიყავი ამ ვიწრო სახლიდან და გარეთ მეკისრა რაიმე ვალდებულება, პასუხი მეგო იმისათვის, რაც მარის ვუყავი, პასუხი მეგო მისი ჯგუფის ქალიშვილებისა და ლეოს წინაშე. თუმცა ამ ამბავს სულ მალე ჩემი მშობლებიც გაიგებდნენ ვინმესგან. მერჩია ამ სახლში დავრჩენილიყავი და სიცოცხლის დასასრულამდე მევაჭრა შაქარყინულით, სასწავლო რეგულებით, საღამოობით კი მარისთან ერთად ჩავწოლილიყავი ზევით მის ლოჯინში და დამეძინა ისე გემრიელად როგორც ამ დილით მეძინა, როცა მისი ხელები ილღიებში მქონდა ამოჩრილი. ერთსა და იმავე დროს საშინელიც მეჩვენა და დიდებულიც ეს ყოველდღიურობა — საყავით, ბუტერბროტებით, მარის მწვანე კაბაზე აფარებული თეთრხოლოებიანი ლურჯი გახუნებული წინსაფრით, და უეცრად მომეჩვენა, მხოლოდ ქალებისათვისაა ყოველდღიურობა ისეთივე ბუნებრივი, როგორიც მათი სხეული. ვამაყობდი, რომ მარი ჩემი ცოლი იყო და ამავე დროს თავი არ მიმაჩნდა იმდენად მოწიფულ კაცად, ამიერიდან დარბაისლურად რომ უნდა მოიქცეს. ფეხზე წამოვდექი, მაგიდას შემოვუარე, მარი მკლავებში მოვიმწყვდიე და ვუთხარი:

— გახსოვს, დილაუთენია გასარეცხად რომ ადექი?

თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

— მე კი არასოდეს დამავიწყდება, როგორ გამითბე ხელები ილღიებში, — თქვა მან შემდეგ, — ახლა კი წადი, მალე რვის ნახევარი იქნება და დუქანში ბავშვები შემოცვივდებიან.

მარის ქუჩიდან გაზეთების დასტა შემოვატანიხე და გახსნაში მოვეხმარე. სწორედ ამ დროს მოპირდაპირე სახლთან ბაზრიდან დაბრუნებულმა შმიცმა



ბოსტნეულით დატვირთული მანქანა გააჩერა. ვიფიქრე, იქნებ ვერ დამინახოს-მეთქი, და მაშინვე სახლში შევევარდი, მაგრამ უკვე დამინახა. ეშმაკსაც კი არ უჭრის თვალი ისე, როგორც მეზობელს. დუქანში ვიდექი და დავყურებდი დილის ახალ გაზეთებს, ასე რომ გიჟდებიან მეტწილად კაცები. ~~მეტი~~ ~~და~~ ~~მე~~ ~~გაზე-~~ ~~თები~~ ~~საღამოობით~~ მაინტერესებს, ან მაშინ, როცა აბაზანაში ვწევარ, აბაზანაში ყველაზე სერიოზული დილის გაზეთებიც ისევე არასერიოზული მეჩვენება, როგორც საღამოს გაზეთები. მსხვილი შრიფტით აწყობილი სათაური აი, რას გვაუწყებდა იმ დილით: „შტრაუსის თანამიმდევრული პოლიტიკა“. ვფიქრობ, მოწინავე წერილის ან მსხვილი შრიფტით ასაწყობი სათაურის დაწერა კიბერ-ნეტიკული მანქანებისათვის რომ მიგვენდო, ნამდვილად აჯობებდა, გონების სიჩლუნგესაც აქვს საზღვარი, რომლის გადალახვა არაფრით არ შეიძლება.

უეცრად დუქნის ზარი აწკრიალდა და ზღურბლზე გამოჩნდა რვა თუ ცხრა წლის ახალდაბანილი, შავგვრემანი, ლოყებწითელა გოგონა, რომელსაც ილღიაში ლოცვანი ჰქონდა ამოჩრილი.

— მომეცით ათი პფენიგის გულიანი კანფეტი, — მითხრა მან.

მე წარმოდგენა არ მქონდა, რამდენი კანფეტი ერგებოდა ათ პფენიგად, მაგრამ ქილას ხუფი მაინც ავხადე, პარკში ოცი კანფეტი ჩავუყარე და ჩემს სიცოცხლეში პირველად შემრცხვა ჩემი არც ისე სუფთა თითებისა, რომელთაც სქელი მინა კიდეც უფრო ადიდებდა. როცა პარკში ოცი კანფეტი ჩავუყარე, გოგონამ გაოცებით შემომხედა, მაგრამ მე ვუთხარი:

— ყველაფერი რიგზეა, შეგიძლია წახვიდე.

ათპფენიგიანი დახლიდან ავიღე და სალაროში ჩავაგდე.

დუქანში დაბრუნებულ მარის გაეცინა, როცა ათპფენიგიანი ამაყად ვაჩვენე.

— ახალა კი უნდა წახვიდე, — მითხრა მან.

— კი მაგრამ, რატომ? ქვეყანა დაიქცევა, მამაშენის ძირს ჩამობრძანებამდე რომ აქ დავიკადო?

— მამა ცხრაზე ჩამოვა დაბლა, იმ დრომდე შენ ისევ უნდა დაბრუნდე, — მითხრა მან. — სანამ სხვებისაგან გაიგებდეს, წადი და ყველაფერი თვითონვე უამბე შენს ძმას, ლეოს.

— კი, ბატონო, — ვუთხარი მე, — მართალს ამბობ, მაგრამ შენ... — მე კვლავ გავწითლდი, — სკოლაში წასვლას არ აპირებ?

— დღეს არ წავალ და საერთოდაც აღარასოდეს აღარ წავალ, — მითხრა მან. — მალე დაბრუნდი.

მიჭირდა მისი დატოვება. მარიმ დუქნის კარამდე მიმაცილა. ღია კარში ისე ვაკოცე, რომ შმიცსა და მის ცოლს დაენახათ. მათ იმ თევზებივით გადმო-კარკლეს თვალები, გაცეცებულები ანაზღად რომ აღმოაჩენენ, თურმე კარგა ხანია წამოეგნენ ანკესზე.

გზას ისე დავადექი, უკან არ მომიხედავს. მციოდა, პიჯაკის საყელო ავიწიე, სიგარეტს მოვუკიდე. ბაზარს ჩავუყევი, თუმცა გზა ოდნავ გავიგრძელე, ფრანცისკანერშორასზე ჩავიარე და კობლენცშორასეს კუთხეში დაძრულ ავტობუსს შევახტი. კონდუქტორმა ქალმა კარი კი გამიღო, მაგრამ როცა ფულის გადასახდელად მის გვერდით გავჩერდი, თითით დამემუქრა და თავის ქნევით მანიშნა, სიგარეტი ჩააქრეო. სიგარეტი ჩავაქრე, ნამწვი პიჯაკის ჯიბე-



ში ჩავიდე, წინ წავედი და შუა ავტობუსში გავჩერდი. ვიდექი, კობლენცშორასეს გავყურებდი და მარიზე ვფიქრობდი. ჩემმა სახემ, ეტყობა, რატაცით გააგულისა ჩემ გვერდით მდგომი კაცი. მან გაზეთიც კი დაუშვა დაბლა, დროებით შეეღია „შტრაუსის თანამიმდევრულ პოლიტიკას“, სათვალე ცხვირზე ჩამოიწია, თავი გადააქან-გადმოაქანა და ჩაილულლულა: „დაუჭერებელ“.

მამაკაცის უკან ქალი იჯდა, გვერდით სტაფილოთი სავსე ტომარა მოედგა და ამ ტომარას კინალამ ფეხი წამოგვარი — მამაკაცის შენიშვნა კეუაში დაუჭდა, თავი გადააქან-გადმოაქანა და ტუჩები უხმოდ ამოძრავა.

იმ დილით მარის სარკის წინ მისივე სავარცხლით დავივარცხნე თმა, რაც „შვიათად ხდება. მეცვა ნაცრისფერი, სუფთა, ყოვლად ჩვეულებრივი კურტაკი, წვერი კი არასოდეს არ მეზრდებოდა ისე, რომ ერთი დღის გაუპარსავი „დაუჭერებელ“ მოჩვენებად ვექციე. ტანად არც ძალზე მაღალი ვარ, არც ძალზე დაბალი, არც ცხვირი მაქვს იმდენად გრძელი, პასპორტში განსაკუთრებულ ნიშნად იყოს ჩაწერილი. ამ გრაფაში მიწერია: არ აქვს. არც ჭუჭყიანი ვიყავი, არც ნასვამი და მაინც სტაფილოიანი ტომრის პატრონი ქალი უფრო შესამჩნევად დელავდა, ვიდრე სათვალეიანი მამაკაცი, რომელმაც ერთხელ კიდევ გადააქანა თავი სასოწარკვეთით, შემდეგ სათვალე მოირგო და კვლავ შტრაუსის თანამიმდევრობას დაუბრუნდა. ქალი კი მოუსვენრად აქნევდა თავს და ჩუმად იწყევლებოდა. უნდოდა გაეზიარებინა დანარჩენი მგზავრებისთვის ის, რაც მის ტუჩებს არ დასცდენია. გარეგნული ნიშნებით ებრაელებს დღემდე ვერ ვცნობ, შემეძლო მეფიქრა, ებრაელად ხომ არ ჩამთვალეს-მეთქი, მაგრამ, ჩემის აზრით, ისინი ჩემმა გარეგნობამ კი არა, ჩემმა გამომეტყველებამ უფრო გააღიზიანა, როცა ავტობუსიდან ქუჩას გავყურებდი და მარიზე ვფიქრობდი. ამ ჩემმა მტრობამ მეც გააღიზიანა. ავტობუსიდან ერთი გაჩერებით ადრე ჩამოვედი, ებერთალეე ფეხით გავიარე და რაინისაკენ გავუხვიე.

ჩვენს პარკში წიფლის ხეები ჯერ კიდევ შავი და სველი იყო. ახლად მოსანდაკებული ჩოგბურთის მოედანი კი — წითელი, რაინზე კარპაჭები საყვირს აგუგუნებდნენ. პოლში რომ შევედი, სამზარეულოდან ანას ჩუმი ლანძღვა მომესმა. ჩემამდე მხოლოდ კანტიკუნტად აღწევდა: „ცუდად დაამთავრებს... დაამთავრებს... ცუდად“. როგორც კი სამზარეულოს ჩავუარე, ღია კარში შევძახე: „ანა, დღეს სახლში არ ვისაუზმებ“. არ შევჩერებულვარ, საერთო ოთახში შევეარდი. არასოდეს მომჩვენებია ასე ჩამუქებული მუხის კედლები, ხის ფართო თაროები და ზედ შემოდებული სამონადირეო ნადავლი. სამუსიკო სალონში ლეო შოპენის მაზურკას უკრავდა. იმ ხანებში მოისურვა მუსიკა ესწავლა და სკოლაში წასვლამდე რომ ცოტათი ევარჯიშა, დილის ექვს საათზე დგებოდა. მაზურკის გაგონებამ მაფიქრებინა, თითქოს უკვე საღამო იყო. შემდეგ კი სრულიად გადამავიწყდა, ლეო რომ უკრავდა. ლეო და შოპენი ერთმანეთს არ შეეფერებოდნენ, მაგრამ ისე კარგად უკრავდა, რომ ამაზე არ დავფიქრებულვარ. ძველი კომპოზიტორებიდან ყველაზე მეტად შოპენი და შუბერტი მიყვარს. ვიცი, ჩვენი მუსიკის მასწავლებელი მართალი იყო, როცა მოცარტს ღვთაებრივს ეძახდა, ბეთჰოვენს განსაცვიფრებელს, გლუკს განუმეორებელს, ბახს კი დიდებულს. დიახ, ასეა. ბახი ყოველთვის ოცდაათ-ტომიან ღვთისმეტყველებად მეჩვენება და მაოცებს, შოპენი და შუბერტი კი



ჩემსავით მიწიერნი არიან და ამიტომაც მათი მოსმენა ყველაფერს მიჩვევ-  
ნია.

რაინისაკენ დაქანებულ პარკში, მტირალა ტირიფების წინ, სადაც ბაბუა-  
ჩემის ტირი იყო, სამიზნე დისკოები ირხეოდა. ეტყობა, მეთქვინ და ახალეს  
მათი დახეთვა. ბაბუაჩემი ზოგჯერ „ძველ ბიჭებს“ უყრიდა ხაზებს და ხარის  
ჩვენი სახლის წინ პატარა მრგვალ მოედანზე თხუთმეტამდე უზარმაზარი ავ-  
ტომანქანა მწკრივდებოდა, თხუთმეტი გათოშილი მძღოლი კი ხეებსა და მე-  
სერს შორის შექუჩდებოდა, იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად, ან ქვის სკამებზე სკატს  
თამაშობდნენ, თუ ამ „ძველი ბიჭებიდან“ რომელიმე თორმეტიანში მოახ-  
ვედრებდა, მაშინვე ატყდებოდა შამპანურის საცობების ერთი ბათქაბუთქი.  
ხანდახან ბაბუაჩემი დამიძახებდა და „ძველ ბიჭებს“ რამდენიმე ფოკუსს ვუჩ-  
ვენებდი, ვბაძავდი ადენაუერს ან ერჰარდს, რაც ძალზე მებაღვილებოდა, ზოგ-  
ჯერ კი პატარა სცენებს გავითამაშებდი, მაგალითად „მენეჯერი ვაგონ-რეს-  
ტორანში“. ვცდილობდი ჩემს სცენებში რაც შეიძლება მეტი ღვარძლი ჩა-  
მეჭსოვა, მაგრამ ბერიკაცები მაინც სიცილით იჭაჭებოდნენ, ერთხმად იძახდ-  
ნენ, შესანიშნავად გავერთეთო. ბოლოს, როცა ტყვიების ცარიელი ყუთით ან  
ლანგრით თითოეულს ჩამოვუვლიდი, მეტწილად ქაღალდის ფულს იმეტებდ-  
ნენ. ამ ცინიკოს ბებრუხანებთან შესანიშნავად ვპოულობდი საერთო ენას,  
მათთან არავითარი საქმე არ მქონდა. ასევე შესანიშნავად გამოვნახავდი სა-  
ერთო ენას ჩინელ მანდარინებთანაც. ზოგიერთები ქებასაც კი არ იშურებდნენ:  
„კოლოსალურია“, „დიდებულია“, ზოგი ერთ სიტყვას აღარ სჯერდებოდა და  
გაიძახოდა: „ამ ბიჭს აქვს რაღაც ისეთი“, ან კიდევ: „ჯერ სადა ხართ“.

სანამ შოპენს ყურს ვუგდებდი, პირველად მომივიდა აზრად, ანგაყემენ-  
ტისათვის მეზრუნა და ცოტა ფული მეშოვა. შემედლო ბაბუაჩემის ხელშეწყ-  
ობითა და დახმარებით სოლო ნომრებით გამოვსულიყავი კაპიტალისტების  
შეკრებებზე ან სამეთვალყურეო საბჭოს კონცერნების სხდომების შემდეგ ხალ-  
ხი გამემხიარულებინა. ერთი ნომერი „სამეთვალყურეო საბჭო“ დავისწავლე  
კიდევ.

შემოვიდა თუ არა ლეო ოთახში, შოპენი გაქრა. ლეო მეტისმეტად მაღა-  
ლია, ქერათმიანი, უჩარჩო სათვალეს ატარებს და ისე გამოიყურება, თითქოს  
სუპერინდენდანტი ან შვედი იეზუიტი იყოს. მისი მუქი შარვლის საგულდა-  
გულოდ დაუთოებულმა ნაკეცებმა შოპენის მუსიკის უკანასკნელი კვალი გა-  
დარეცხა. თეთრი პულოვერი როგორღაც არ უხდებოდა ახალგაუთოებულ შარ-  
ვალს, არც თეთრ პულოვერზე გადმოფენილი წითელი პერანგის საყულო ახა-  
რებდა თვალს. როცა ვხედავ, რა ამოდ ცდილობს ზოგიერთი ისე გამოიყურე-  
ბოდეს, თითქოს ჩაცმას არაფრად დაგიდევს, ღრმა მელანქოლია მიპყრობს.  
ისეთი პრეტენზიული სახელებიც მაღიზიანებს, როგორცაა ვთელბერთი ან  
გერენტრუდი. მხედველობიდან არც ის არ მჩიებოდა არასოდეს, როგორ ჰგავ-  
და ლეო ჰენრიეთეს და ამავე დროს არც ჰგავდა. ჰგავდა პაჭუა ცხვირით,  
ლურჯი თვალებით და თმის ფერით, მაგრამ პირი სულ სხვა მოყვანილობისა  
ქონდა და ყველაფერი ის, რითაც ჰენრიეთე ლამაზი და ხალისიანი იყო, ლეოს  
გულჩათხრობილსა და უსიციოცხლოს ხდიდა. სრულიად არ ეტყობოდა, რომ  
კლასში პირველი სპორტსმენი იყო, ისე გამოიყურებოდა, როგორც ფიზკულ-



ტურის გაკვეთილებიდან განთავისუფლებული მოწაფე, მაგრამ მის საწოლს ზემოთ ხუთზე მეტი სპორტული სიგელი ეკიდა.

ლეო ჯერ სწრაფად წამოვიდა ჩემკენ, მაგრამ უცებ რამდენიმე ნაბიჯს დაშორებით შეჩერდა, ხელები უხერხულად წაიღო განზე და მკითხა:

— პანს, რა მოხდა?

მან ჯერ თვალებში შემომხედა, შემდეგ მზერა ცოტა უფრო ქვევით ჩამოა-  
ცურა, თითქოს უნდოდა ენიშნებინა ჩემთვის, ლაქა გაქვსო. მხოლოდ ახლა მივ-  
ხვდი, რომ ვტიროდი. როცა შოპენს ან შუბერტს ვისმენ, ყოველთვის ვტირი. მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით ცრემლი მოვიწმინდე და ვუთხარი:

— არ ვიცოდი, ასე კარგად თუ უკრავდი შოპენს, დაუკარი კიდევ ერთხელ მაზურკა.

— არ მცალია, — მითხრა მან, — სკოლაში ვარ წასასვლელი. პირველ გაკვეთილზე გერმანულ ენაში გამოსაშვები გამოცდისათვის თემებს დაგვირიგებენ.

— დედაჩვენის მანქანით წაგიყვან, — ვუთხარი მე.

— არ მიყვარს ამ სულელური მანქანით მგზავრობა, — მითხრა მან, — შენ კი იცი, როგორ მძულს.

დედამ სპორტული მანქანა „ჩალის ფასად“ იყიდა ერთი მეგობარი ქალისაგან, ლეო კი მწვავედ განიცდიდა ყველაფერს, რასაც ბაქიობის სუნი უდიოდა. გაცოფებით კი მხოლოდ მაშინ ცოფდებოდა, როცა ჩვენი მდიდარი მშობლების გამო ვინმე ახელებდა ან ეფერებოდა. ამ დროს სახეზე ალმური ასდიოდა მუშტი-კრივსაც კი არ ერიდებოდა.

— დამითმე ამჯერად, დაჯექი როიალთან და დაუკარი, — ვთხოვე მე, — ნუთუ არ გაინტერესებს, სად ვიყავი წუხელ?

ლეო გაწითლდა, იატაკს დააჩერდა და მითხრა:

— არა, არ მაინტერესებს.

— ღამე ერთ ქალიშვილთან გავათენე, ახლა უკვე ქალთან, ჩემს ცოლთან, — ვუთხარი მე.

— აი, თურმე რა, — მითხრა ისე, რომ თავი არ აუღია. — ქორწილი როდის გადაიხადეთ?

ლეომ ჯერ კიდევ არ იცოდა, სად წაეღო თავისი მოუქნელი ხელები. უეცრად ჩემკენ წამოვიდა და უნდოდა თავჩაქინდრულს გვერდით ჩაევლო, მაგრამ მე მაგრად ჩავაფრინდი სახელოში.

— ის ქალი მარი დერკუმია, — ვთქვი ჩუმად.

ლეომ მკლავი გაინთავისუფლა, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და თქვა:

— ღმერთო ჩემო, შეუძლებელია. — მერე მრისხანედ შემომხედა და თავისთვის რაღაც ჩაიბურღლუნა.

— რაო, რა თქვი? — ვკითხე მე.


— ისა, რომ ახლა მართლაც არ ამცდება მანქანით წასვლა. წამიყვან?

— რა თქმა უნდა, — ვუპასუხე მე, მკლავში ხელი წავავლე და საერთო ოთახი მხარდამხარ გავიარეთ. მინდოდა ამერიდებინა სახეში შემოეხედა ჩემთვის.

— წადი, გასაღები გამოართვი, — ვუთარი მე, — დედა შენ უარს არ გეტყვის, არც საბუთები დაგავიწყდეს. მართლა, ლეო, ფული მჭირდება, ცოტა მაინც თუ დაგრჩა?



- სალაროში მაქვს, თვითონ შეგიძლია გამოიტანო? — მკითხა მან.
- არ ვიცი, მირჩევნია გამომიგზავნო, — ვუთხარი მე.
- გამოგიგზავნო? — მკითხა მან. — შენ რა, წასვლას აპირებ სახლიდან?
- ვაპირებ, — ვუპასუხე მე.



ქართული  
ბიბლიოთეკა

მან თავი დამიქნია და კიბეს აპყვა.

სახლში დარჩენა რომ აღარ მინდოდა, ეს ჩემთვის მხოლოდ მაშინ გახდა ცხადი, როცა ლეომ კითხვა დამისვა. სამზარეულოში შეხეტებულს ანა აბუზღუნებული დამხვდა.

- მეგონა, აღარ ისაუზმებდი შინ, — მითხრა მან.
- საუზმე არ მინდა, ყავას კი დავლევ, — ვუთხარი მე.

გაკრიალებულ მაგიდას მივუჯექი და ვუყურებდი ანას, რომელმაც ქურაზე შედგმულ საყავეს ფილტრი მოხსნა და დასაწრეტად ფანჯრის რაფაზე დადო. დილაობით მე და ლეო მუდამ მოახლეებთან ერთად ვსაუზმობდით სამზარეულოში, რადგან მოსაწყენი იყო სასადილო ოთახში საზეიმოდ გაშლილ დიდ მაგიდასთან რომ მოგვართმევდნენ საუზმეს. ასეთ დროს სამზარეულოში ყოველთვის მხოლოდ ანა იყო. მეორე მოსამსახურე გოგო ნორეთე საწოლო ოთახში საუზმეს უწყობდა დედას და ჩაცმასა და კოსმეტიკაზე ბჭობდნენ. დედას ახლა ალბათ სახეზე პლაცენტებისაგან დამზადებული უცნაური მასა აქვს ქარბად წაცხებული და თავისი შესანიშნავი კბილებით ხორბლის მარცვლებს ღრღნის, ხოლო ნორეთე გაზეთს უკითხავს. ან შეიძლება ჯერ კიდევ დილის ლოცვით არიან გართულნი, რომლის ტექსტი გოეთესა და ლუთერის გამონათქვამებისგანაა შედგენილი და მეტწილად „ქრისტიანთა მორალური აღჭურვა“ ერთვის თან. ისიც შესაძლებელია, რომ ნორეთე დედას სასაქმებელი წამლების პროსპექტების დასტას უკითხავს. დედას საგანგებო საქაღალდე აქვს წამლების პროსპექტებით გამოტენილი და შემდეგნაირად დალაგებული. „კუჭნაწლავი“, „გული“, „ნერვები“, ხოლო თუ სადმე ექიმი გამოიჭირა, მაშინვე ეკითხება, რამე ახალი წამალი თუ გამოჩნდაო. ასე ზოგავდა კონსულტაციისათვის გადასახდელ პონორარს. თუ რომელიმე ექიმი სასინჯ წამლებს გამოუგზავნიდა, სიხარულით ცას ეწეოდა ხოლმე.

ანას ზურგშექცეულსაც ვატყობდი, ეშინოდა იმ წამის, როცა უნდა შემობრუნებულიყო, ჩემთვის სახეში შემოეხედა და დამლაპარაკებოდა. მე და ანას ერთმანეთი გვიყვარდა, მაგრამ მას ვერაფრით ვერ დაეთრგუნა მომაბერებელი სურვილი — მე აღვეზარდე. ანა კაი თხუთმეტი წელი ცხოვრობდა ჩვენთან, დედას იგი ბიძაშვილმა, ევანგელისტმა მღვდელმა დაუთმო. ანა პოტსდამელი იყო და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ევანგელისტები ვიყავით, მაინც საშინელებად, არაბუნებრივად ეჩვენებოდა ის ამბავი, რომ ჩვენ რაინულ დიალექტზე ვლაპარაკობდით. ვფიქრობ, ბავარიულ დიალექტზე მოლაპარაკე პროტესტანტი მას ბოროტ სულად მოეჩვენებოდა. თხუთმეტი წლის მანძილზე ანა რაინის მხარეს ცოტათი შეეჩვია. ანა მაღალი, ტანწერწეტა ქალია და ამაყობს იმით, რომ „ნამდვილი ქალბატონივით დადის“. მამამისი ხაზინადრად მუშაობდა სადღაც. მე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ მის სამუშაო ადგილს „მეცხრე ქვეითი პოლკი“ ერქვა. აზრი არ ჰქონდა ანასათვის გემტკიცებინა, რომ ჩვენი სახლი მეცხრე ქვეითი პოლკი არ იყო. რაც შეეხება ახალგაზრდობის აღზრდის საკითხს, ვერაფრით ვერ მოაშლევინებდი შემდეგ სენტენციას: „მეცხრე ქვეით პოლკში ამას როგორ დაუშვებდნენ“. ვერ იქნა და ვერ მივხვდი, რა იყო ეს



მეცხრე პოლკი, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით ვიცოდით: ამ საიდუმლოებით ჩოცულ აღმზრდელობით დაწესებულებაში ალბათ ფეხსადგილის მწმენდავად კი არ მიმიღებდნენ. პირველ რიგში ანა ჯადოსნურ მეცხრე პოლკს მიიშველიებდა ხოლმე იმის გამო, თუ როგორ ვიბანდი ხელ-პირს. ჩემი „საშინელი ჩვეულება“ კი — ლოგინში დიდხანს ნებივრობა, ისეთ ზიზღს გვკრიჭს, თითქოს კეთრი მჭირდა. ბოლოს, როგორც იქნა, ანა შემობრუნდა და, როცა საყავით ხელში მაგიდასთან მოვიდა, თვალეზი ისე ჰქონდა დახრილი ძირს, თითქოს სახელგატეხილ ეპისკოპოსს ემსახურებო. იგი ისევე მეცოდებოდა, როგორც მარის ჯგუფის ქალიშვილები. ანას მონაზნურმა ინსტიქტმა არ უღალატა. ცხადად მიხვდა, საიდანაც მოვდიოდი, დედაჩემი კი ალბათ სამი წელიწადი რომ ვყოფილიყავი საიდუმლოდ დაქორწინებული, მაინც ვერაფერს მიხვდებოდა. ანას საყავე გამოვართვი, ყავა დავისხი, შემდეგ მკლავზე მაგრად მოვუჭირე ხელი და ვაიძულე ჩემთვის შემოეხედა. მან თავისი გამოხუნებული ლურჯი თვალეზით შემომხედა, ქუთუთოები უთრთოდა და დავინახე, რომ მართლა ტიროდა.

— დალახვროს ეშმაკმა, ანა, — წამოვიძახე მე. — შემომხედე თვალეზი: ვფიქრობ. იმ შენს მეცხრე პოლკში ადამიანები ვაეკაცურად უყურებდნენ ერთმანეთს თვალეზიში.

— მე ვაეკაცი არა ვარ, — აზლუქუნდა ანა.

ხელი გავუშვი. სახე ქურისაკენ მიაბრუნა და რაღაც ჩაიბურტყუნა ცოდვასა და სირცხვილზე, სოდომსა და გომორაზე.

— ღმერთო ჩემო, ანა, დაფიქრდი, რას აკეთებდნენ ისინი სინამდვილეში სოდომსა და გომორაში, — ვუთხარი მე.

ანამ ჩემი ხელი მხრიდან ჩამოიცილა. სამზარეულოდან ისე გავედი, მისთვის არც მითქვამს, სახლიდან წასვლა რომ მქონდა გადაწყვეტილი. ანა იყო ერთადერთი არსება, ვისაც ზოგჯერ ჰენრიეთეზე ველაპარაკებოდი.

ლეო უკვე გარაჟთან იდგა და მაჯის საათს შიშით დაჰყურებდა.

— დედა მიხვდა, წუხელის რომ შინ არ ვიყავი? — ვკითხე მე.

— არა, — მითხრა მან, გასაღები გადმომცა და გარაჟის კარი დამიკავა. მე დედის მანქანაში ჩავჯექი. გარაჟიდან გავედი და ლეო ჩავისვი. იგი ყურადღებით დასცქეროდა საკუთარ ფრჩხილებს.

— სალაროს წიგნაკი თან წამოვიღე, ფულს შესვენების დროს გამოვიტან, სად გამოვიგზავნო?

— გამოგზავნე მოხუცი დერკუმის სახელზე, — ვუპასუხე მე.

— დროა დაიძრა, — მითხრა მან.

ჩვენს ბაღში მანქანა სწრაფად გავაქროლე და, როცა ჭიშკარს გავცდი, ჩემდა უნებურად შევაყოვნე მანქანა იმ გაჩერებასთან, სადაც ჰენრიეთე ტრამვაიში ჩაჯდა და საზენიტო ქვეგანაყოფში გაეშურა. ტრამვაიში ჰენრიეთეს ტოლი ქალიშვილები სხდებოდნენ. ტრამვაის რომ გავუსწარი, ჰენრიეთეს ხნის ქალიშვილი კიდევ ბევრი დავინახე. ისინი ჰენრიეთესავით იცინოდნენ, თავზე ლურჯი ქუდები ეხურათ და პალტოზე ბეწვის საყელო ჰქონდათ შემოვლებული. ომი რომ ხელახლა დაიწყოს, მათ ალბათ მშობლები ისევე გაგზავნიდნენ საომრად, როგორც ჩემმა მშობლებმა გაგზავნეს ჰენრიეთე. ხელში ჯიბის ფულსა და ორიოდე ბუტერბროტს შეაჩეჩებდნენ, მხარზე ხელს დაჰკრავდნენ და ეტყოდნენ: „აბა, შენ იცი“. სიამოვნებით დავუქნევდი ამ ქალიშვილებს ხელს,



მაგრამ გადავიფიქრე, რა ვიცი, ახლა ყველაფერი უკუღმართად ესმით. ანდა ქალიშვილს ხელს როგორ დაუქნევ, როცა ასეთ სულელურ მანქანაში ზიხარ. ერთხელ სასახლის ბაღში ერთ ბიჭს ნახევარი ფილა შოკოლადი მივეცი და ქუჩიანი შუბლიდან ქერა თმა გადავუყარე. იგი ტიროდა, ცრემლებს ხელით იწმენდა და სახე მთლად გაეთხუპნა. მინდოდა დამემშვიდებინა, მაგრამ ამის გამო ორმა ქალმა შავი დღე მაყარა, კინალამ პოლიციელს დაუძახეს: მთელი ამ აყალმაყალის შემდეგ ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს მართლაც გათახსირებული კაცი ვყოფილიყავი. ერთი ქალი წამდაუწუმ მეძახდა: „ბინძურო სალახანავ, ბინძურო სალახანავ“. საშინელი რამ გამძხდა თავს. ამ ალიაქოთის ამტეხი დედაკაცები ისეთივე უტიფრები მომეჩვენენ, როგორც ჩემს წარმოდგენაში მართლა გათახსირებული კაცია.

კობლენცის ქუჩაზე დიდი სისწრაფით გავქანდი, თან თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი, მინდოდა რომელიმე მინისტრის მანქანა შემომფეთებოდა და გამეკაწრა. დედაჩემის მანქანას თვლების მორგეები წინ აქვს გაშვერილი და ამ მორგევებით სხვა მანქანის გაკაწვრა მართლაც შემეძლო, მაგრამ ასე ადრე და ისიც მანქანით მინისტრი ქუჩაში არ გამოდის.

— მართლა აპირებ ჯარში წასვლას? — ვკითხე ლეოს.

— ეს საკითხი ჩვენს წრეში განვიხილეთ და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ჯარში წასვლა დემოკრატიის გაღრმავებას ხელს უწყობს.

— დიდებულია, — ვუთხარი მე, — წადი და ჩაყურყუმელავდი იმ იდიოტობაში, ზოგჯერ ვწუხვარ, სამხედროვალდებული რომ არ ვარ.

ლეომ გაკვირვებით შემომხედა, მაგრამ როცა მეც მოვინდომე მისთვის შემეხედა, თავი ისევ მიატრიალა.

— რატომ? — მკითხა მან.

— ო, — ვთქვი მე, — დიდი სიამოვნებით შევხვდებოდი კიდევ ერთხელ იმ მაიორს, რომელიც ომის დროს ჩვენს სახლში ჩაასახლეს და ფრაუ ვინეკენის დახვრეტას აპირებდა. ახლა იგი ალბათ პოლკოვნიკი ან გენერალი იქნება.

მანქანა ბეთჰოვენის გიმნაზიის წინ გავაჩერე, ვიფიქრე, ლეოს გადმოვსვამ-მეთქი, მაგრამ მან თავი გააქნია და მითხრა:

— მანქანა ქვევით, კონვიქტის მარჯვნივ გააჩერე.

მე გზა განვაგრძე, ბოლოს მანქანა გავაჩერე და ლეოს ხელი ჩამოვართვი. მაგრამ ლეო გაწამებული კაცივით მიღიმოდა და ხელი უკან არ მიჰქონდა. ფიქრით მე უკვე შორს ვიყავი, არ მესმოდა, რა უნდოდა და ამასთანავე ისიც მალიზიანებდა, რომ ლეო წარამარა შეშფოთებული დაჰყურებდა საათს. რვას ხუთი წუთი აკლდა. დრო საკმარისი ჰქონდა.

— შენ რა, მართლა აპირებ ჯარში წასვლას? — ვკითხე მე კვლავ.

— რატომაც არა, — მიპასუხა გულმოსულმა, — მომეცი მანქანის გასაღები!

გასაღები მივეცი, თავი დავუქნიე და გავშორდი. მთელი გზა ჰენრიეთზე ვფიქრობდი და ლეოს გაჯარისკაცება სიგიჟედ მიმაჩნდა. შემდეგ სასახლის ბაღი გადავჭერი, უნივერსიტეტის თაღის ქვეშ გავიარე და ბაზრისაკენ გავსწიე. მციოდა, გული მარისაკენ მიმიწევდა.

როცა დუქანში შევედი, იქაურობა ბავშვებით იყო სავსე. ბავშვები თაროებიდან კანფეტებს, ფანქრებს, საშლელებს იღებდნენ და მოხუც დერკუმს დახლზე ფულს უყრიდნენ. უკანა ოთახში დიდი ვაივაგლახით გავძვერი.



დერკუმს ჩემთვის არ შემოუხედავს. ქურასთან მისული ხელებს საყავეზე ვით-  
ბობდი და ვფიქრობდი, მარი სადაცაა გამოჩნდება-მეთქი. სიგარეტი გამოჩნდება.  
მარის კი ვთხოვდი მოეტანა, მაგრამ არ ვიცოდი, უფასოდ გამომერთმინა თუ  
ფული გადამეხადა. საყავიდან ყავა დავისხი და მხოლოდ ახლა შევამჩნიე, რომ  
მაგიდაზე სამი ფინჯანი იდგა. როცა დუქანში სიჩუმე ჩამოვარდნა, ჩემი ფინ-  
ჯანი ისევ მაგიდაზე დავდგი და ვინატრე, ნეტა მარი აქ იყოს-მეთქი. ქურის  
გვერდით ჭურჭლის სარეცხ ბაქანში ხელ-პირი დავიბანე, ხოლო თმა სასაპნეში  
ჩადებული ფრჩხილების საწმენდი ჯაგრისით დავივარცხნე, საყელო გავისწო-  
რე, ყელსახვევი მაგრად ჩამოვქაჩე და კიდევ ერთხელ დავხედე ჩემს ფრჩხი-  
ლებს. ფრჩხილები სუფთა მქონდა და უეცრად მივხვდი, ბევრი ისეთი რამის  
გაკეთება მომიწევდა, რასაც ადრე არ ვაკეთებდი.

როცა ოთახში მარის მამა შემოვიდა, ახალდამჯდარი ვიყავი და იმწამსვე  
ფეხზე წამოვხტი. ისიც ჩემსავით დარცხვენილი იყო და უხერხულობას ვერ  
ძალავდა, მაგრამ გაბრაზებული არ მომჩვენებია. უბრალოდ, მეტისმეტად სე-  
რიოზული გამომეტყველება ჰქონდა. როცა ხელი საყავის ასაღებად წამოიღო.  
შესამჩნიევად შევკრთი. მან თავი გააქნია, ყავა დაისხა და საყავე მე მომაწოდა.  
ძაღლობა გადავუხადე. დერკუმს არც ამჯერად შემოუხედვს ჩემთვის. ღამე მა-  
რის საწოლში რომ ვიწექი და ყოველივე მომხდარზე ვფიქრობდი, გული სა-  
გულეს მქონდა. ძალიან მინდოდა სიგარეტის მოწევა, მაგრამ ვერ ვბედავდი  
ამომეღო მისი კოლოფიდან, რომელიც იქვე მაგიდაზე იდო. სხვა დროს, ცხა-  
დია, კოლოფიდან სიგარეტის ამოღება არ გამიჭირდებოდა. დერკუმში ადგა, თავ-  
დახრილი მაგიდას დაეყრდნო. თვალი ვკიდე მის მელოტ თავსა და აქა-იქ  
შემორჩენილ გაჩეჩილ ჭაღარა თმას. რატომღაც ძალიან ხნიერი მეჩვენა.

— ბატონო დერკუმ, — დავიწყე წყნარად, — თქვენ უფლება გაქვთ...

მაგრამ მან მაგიდას დაჰკრა ხელი, როგორც იქნა სათვალის ზემოდან შე-  
მომხედა სახეში და მითხრა:

— ეშმაკმა წაგიღოს, ნუთუ ეს ასე აუცილებელი იყო, თანაც მთელი მე-  
ზობლობა რაღად ჩარიეთ ამაში?

გამეხარდა, გული რომ არ აიყარა ჩემზე და ზნეობაზე არ დამიწყო ლაპა-  
რაკი.

— ნუთუ მართლა ასე აუცილებელი იყო. ხომ იცოდი, ყველაფერს ვიკ-  
ლებდი იმისათვის, რომ ის წყეული გამოცდები ჩაებარებინა, ახლა კი აღარა-  
ფერი... — მუშტი ისე მოკუმა და გაშალა, თითქოს ჩიტი გაუშვაო, — ყვე-  
ლაფერი წყალში ჩაიყარა.

— მარი სად არის? — ვკითხე მე.

— წავიდა, კიოლნში გაემგზავრა, — მითხრა მან.

— სად არის? — ვიყვირე მე, — სად?

— აბა, წყნარად, — მითხრა მან, — თავის დროზე გაიგებ ყველაფერს.  
ვიცი, რომ სიყვარულზე, ქორწინებაზე და ასეთ რამეებზე დამიწყებ ახლა ლა-  
პარაკს, მაგრამ თავს ნუ შეიწუხებ. მიბრძანდი, მიბრძანდი, ვნახოთ ერთი, რა  
გამოვა შენგან. აბა, მიბრძანდი!

მეშინოდა მის წინ გამეელო.

— მისამართი? — ვკითხე მე.

— აგერაა, — მითხრა მან და მაგიდაზე დატოვებული ბარათი ჩემკენ გა-  
მოაცურა. ბარათი ჭიბეში ჩავიდე.



— რაღა გინდა კიდევ, რას დგახარ, რას ელოდები? — მიყვირა მან.

— ფული მჭირდება, — ვუთხარი მე და გამეხარდა, რადგან მას უეცრად გაეცინა — ეს იყო უცნაური სიცილი, ბოროტი, მკაცრი. ზუსტად ასე გაეცინა ერთხელაც, როცა მამაჩემზე ვლაპარაკობდით.

— ფული, ეტყობა, ხუმრობ, — მითხრა მან, — თუცა წამოდი! მან სახელოში ხელი ჩამავლო და დუქნისაკენ წამათრია. შემდეგ დახლს უკან გავიდა, სალაროს უჯრა სწრაფად გამოალო და ხურდა ფული ორივე პეშვით გადმომიყარა. ათბუნეზიანები, ხუთბუნეზიანები და პუნეზიანები გაზეთებზე და რვეულებზე მიმოიფანტა. ჯერ ვყოყმანობდი, მერე ნელა შევუდექი ხურდა ფულის აკრეფას. თავიდან მინდოდა ხელის ერთი მოსმით ამეკრიფა, მაგრამ თითო-თითოდ მოვკრიფე, მარკებად დავამრგვალე და ჯიბეში ჩავიყარე. დერკუმი თვალს არ მაშორებდა, თავი დამიქნია. შემდეგ კი საფულე ამოიღო და წინ ხუთმარკიანი დამიდო. ორივენი გავწითლდით.

— მაპატიე, მაპატიე, ო ღმერთო, მაპატიე, — მითხრა მან წყნარად. დერკუმს ეგონა, შეურაცხყოფა მომაყენა, მაგრამ მე კარგად მესმოდა მისი.

— ერთი კოლოფი სიგარეტიც მაჩუქეთ, — ვთხოვე მე.

დერკუმი უკანმიუხედავად მისწვდა თაროს და ერთის ნაცვლად ორი კოლოფი გამომიწოდა. მე დახლისაკენ გადავიხარე და ლოყაზე ვაკოცე. დერკუმი ერთადერთი კაცია, ვისთვისაც მიკოცნია.

იმის წარმოდგენა, რომ ციუპუნერს შეეძლო და უფლებაც ჰქონდა ეცქირა, როგორ იცვამს მარი და როგორ ახრახნის კბილის პასტის ტუბს სახურავს, გულს შითუთქავდა. ფეხი მტკიოდა და უკვე ეჭვი მეპარებოდა, შევძლებდი კი ამიერიდან ოცდდათი-ორმოცდაათი მარკის დონეზე პამპულობას. მშხამავდა იმის გაფიქრებაც, რომ ციუპუნერი გულგრილად შესცქეროდა მარის იმ დროს, როცა იგი კბილის პასტის ტუბს სახურავს ახრახნის. ჩემი მცირე გამოცდილებით ვიცოდი, რომ კათოლიკებმა წვრილმანების ფასი არ იციან. ციუპუნერის ტელეფონის ნომერი ქალაქზე მეწერა, მაგრამ ამ ნომრის ასაკრეფად ჯერ კიდევ არ ვიყავი სათანადოდ შემზადებული. ადამიანები რას არ სჩადიან მსოფლმხედველობის ზეგავლენით, იქნებ მარი მისთხოვდა კიდევ ციუპუნერს. ტელეფონში რომ მარის ხმა გამეგონა და ეთქვა: ციუპუნერი გისმენთო, ნამდვილად ვერ ავიტანდი. მინდოდა ლეოსთვის დამერეკა, ტელეფონების წიგნში სასულიერო სემინარიების ნომერი ვეძებე, მაგრამ ვერ აღმოვაჩინე. ამავე დროს ვიცოდი, რომ ქალაქში ორი სასულიერო სემინარია იყო — ლეონინუმი და ალბერტინუმი. ბოლოს მეყო ძალა, ყურმილი ავიღე და ცნობათა ბიუროს დავურეკე. წარმოიდგინეთ, თავისუფალი აღმოჩნდა. ქალიშვილს, რომელმაც პასუხი გამცა, კილოც კი რაინული ჰქონდა. ხანდახან ისე მენატრებოდა რაინული კილოს გაგონება, რომ ნებისმიერი სასტუმროდან ბონის სატელეფონო სადგურში მხოლოდ იმისათვის ვრეკავდი, რათა მომესმინა არამხედრული, რ-ნაკლული ენა. სამხედრო დისციპლინა ხომ ძირითადად რ ბგერაზეა დაფუძნებული.

ხუთჯერ მაინც მითხრეს, გთხოვთ დაიცადოთო, ბოლოს რომელიღაც ქალიშვილმა ხმა გამცა და მე ვკითხე იმ „დაწესებულებათა“ ნომრები, სადაც კათოლიკე მღვდლებს ამზადებენ“. თან ავუხსენი, სასულიერო სემინარიებს ვეძებ და ვერაფრით ვერ მიპოვნია-მეთქი. ქალიშვილმა გაიცინა, ამიხსნა, ამ „დაწესებულებებს“ კონვიქტები ჰქვიაო, ბრჭყალებში ჩასმული სიტყვა სასია-



მოვნოდ, ხაზგხასმით მითხრა და ორივე სასწავლებლის ტელეფონის ნომერი მომცა. ქალიშვილის ხმამ ოდნავ მანუგეშა. ეს ხმა გაპრანჭულად, მინაზებულად კი არ ჟღერდა, არამედ სრულიად ბუნებრივად და მეტისმეტად რაინულიდ ამის შემდეგ ისიც კი მოვახერხე, რომ ტელეგრაფს დავუკავშირდი და კარდემონდს დეპეშა გავუგზავნე.

ვერ გამიგია პირაპირ, რატომ ცდილობს ადამიანი, ვისაც ინტელექტუალური მოაქვს თავი და მოვალეობა სძულს, ბონიც შეიძულოს. ბონს ყოველთვის გააჩნდა თავის მომხიბვლელობა, მოთენთილი მომხიბვლელობა, მსგავსად ზოგიერთი მოთენთილი ქალისა, რომელიც, ვფიქრობ, სწორედ ამის გამოა მომხიბვლელი. თავისთავად ცხადია, ბონს არ უხდება გაზვიადება, ეს ქალაქი კი მისდა უნებურად გააზვიადეს. ქალაქი, რომელსაც არ უხდება გაზვიადება, შეუძლებელია აღწერო: ეს უკვე თავისთავად იშვიათი თვისებაა. ბავშვებმაც კი იციან, ბონის ჰავა პენსიონერებს რომ რეგებს, რადგან ჰაერის წნევასა და სისხლის წნევას შორის რაღაც კავშირი არსებობს. ის, რაც ყველაზე მეტად არ შეეფერება ბონს, თავდაცვითი სიფიცხეა. ჩვენს სახლში ბევრჯერ მქონია შესაძლებლობა, მესაუბრა მინისტრებთან, დეპუტატებთან, გენერლებთან (დედაჩემს ძალიან უყვარს წვეულებები) და ყველა ისინი გაღიზიანებულნი, ზოგჯერ კი თითქმის ატირებულნი, რაღაცისაგან იცავდნენ თავს. ამავე დროს ბონის ხსენებაზე მათ ღიმილში ნაწვალეები ირონია გამოკრთოდა. ჩემთვის გაუგებარი იყო მათი მანკვა-გრება. თუ ქალი, რომლის მომხიბვლელობა მის მოთენთილობაშია, უეცრად ველურივით დაიწყებს კანკანის ცეკვას, შეიძლება კაცმა იფიქროს, დოპინგი შეუშნაპუნესო, მაგრამ მთელ ქალაქს დოპინგს ხომ ვერ შეუშნაპუნებენ, ამას ვერაფრით ვერ მოახერხებენ. შეიძლება მოხუცმა, კეთილმა დეიდამ გასწავლოს პულოვერების ჩხირებით ან ხელსახოცების ყაისნალით ქსოვა, გასწავლოს, როგორ მიიტანო ღვინო სუფრაზე, მაგრამ ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იქნებოდა, მას რომ ორსაათიანი, მახვილგონივრული, ამომწურავი მოხსენება წაეკითხა ჰომოსექსუალიზმზე ანდა უეცრად კახპების უარგონზე დაეწყო ლაპარაკი, რაც ბონში, ყველას გულის დასაწყვეტად, ნაკლებადაა გავრცელებული.

ყალბი იმედები, ყალბი სირცხვილი, ყალბი სპეკულაცია არაბუნებრივობით არ გამიკვირდება, კახპების ნაკლებობაზე ჩივილი რომის პაპის ლეგატებმაც რომ დაიწყონ. დედაჩემის ერთ-ერთ წვეულებაზე ერთი პარტიული მოღვაწე გავიცანი, რომელიც პროსტიტუციასთან ბრძოლის კომიტეტის წევრი იყო და ამავე დროს ჩურჩულით მეწუწუნებოდა ბონში კახპების ნაკლებობაზე.

ერთ დროს ბონი არც ისე ცუდი ქალაქი იყო თავისი ვიწრო ქუჩებით, წიგნის მაღაზიებით, სტუდენტთა კორპორაციებით და პატარა საფუნთუშოებით, რომელთა უკანა ოთახში ყავის დაღვევაც შეიძლებოდა.

სანამ ლეოს დავურეკავდი, აივანზე კოჭლობით გავჩანჩალდი და მშობლიურ ქალაქს გადავხედე. ბონი მართლაც ლამაზია: კათედრალური ტაძარი, კურფიურსტის ყოფილი სასახლის სახურავები, ბეთჰოვენის ძეგლი, პატარა ბაზარი და სასახლის ბაღი. ბონის ბედია ისიც, რომ მისი ბედი არავის სწამს. აივანზე ღრმად შევისუნთქე ბონის ჰაერი, რამაც მოულოდნელად გამომაცოცხლა. თუ ვინმეს ჰაერის გამოცვლა სურს, ბონს შეუძლია რამდენიმე საათით სასწაულები მოახდინოს.

აივანიდან ოთახში შევბრუნდი და უყოყმანოდ ავკრიფე იმ სასწავლებლის



ნოშერი, სადაც ლეო სწავლობდა. უეცრად შიშმა შემიბყრო. ლეო მას შემდეგ არ მინახავს, რაც კათოლიკე გახდა. სარწმუნოება რომ გამოიცვალა, ჩვეულებისამებრ, ბავშვური გულმოდგინებით მაუწყა.

„საყვარელო ძმაო“, — მწერდა იგი. — „ამ ბარათით გატყობინებ მე შენ, რომ ბევრი ფიქრის შემდეგ ჩემში მომწიფდა გადაწყვეტილება: კათოლიკურ ეკლესიას შევაფარო თავი და სამღვდლოდ მოვემზადო. იმედი მაქვს, მალე მოგვეცემა შესაძლებლობა პირადად ვიმსჯელოთ ჩემს ცხოვრებაში არსებითი ცვლილებების შესახებ. შენი მოყვარული ძმა ლეო“.

ლეო გამწარებით ცდილობდა ძველმოდურად თავი აერიდებინა წერილის მეთი დაწყებას და ნაცვლად წინადადებისა „მე შენ გატყობინებ“, მწერდა „გატყობინებ მე შენ“ — ამაში მთელი სიგრძე-სიგანიტ ჩანდა ლეო. სად იყო ის ელევანტურობა, რომელზე დაკვირის დროს რომ შეღავნდებოდა. ლეოს ჩვევა, ყველაფერს საქმიანი ხასიათი მისცეს, ჩემს მელანქოლიას ამძაფრებს. თუ ასევე განაგრძობს, ოდესმე დაფასებული, თმაშევერცხლილი პრელატი იქნება. წერილის წერა მამას და ლეოს თანაბრად უჭირთ, ყველაფერზე ისე წერენ, თითქოს მურა ნაბშირზე ლაპარაკობენ.

სანამ ლეოს სასწავლებელში ვინმე კეთილინებებდა და ტელეფონთან მოვიდოდა, დიდი დრო გავიდა. ის იყო ვემზადებოდი იმ მაგარ-მაგარი სიტყვებით შემემკო ეკლესიის უთაურობა, ჩემს განწყობილებას რომ შეეფერებოდა, სიტყვა „ნეხვიც“ კი დამცდა, რომ სწორედ მაშინ ვილაცამ ყურმილი აიღო და საოცრად ჩახლუჩილი ხმით მითხრა „გისმენთ“. გული დამწყდა, მეგონა, მონაზონის ნაზ ხმას გავიგონებდი და წყალწყალა ყავისა და გამხმარი ნამცხვრის სუნი მეცემოდა, მაგრამ ნაცვლად ამისა, აქოშინებული კაცი შემრჩა ხელში და ჩიბუხის თამბაქოსა და კომბოსტოს ისეთი გულისამრევი სუნი შემომაფრქვია, ხველებაც კი დამაწყებინა.

— მაპატიეთ, — ვთქვი ბოლოს, — შეიძლება დამალაპარაკოთ თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ლეო შნირი.

— ვინ მელაპარაკება?

— შნირი, — ვუბასუხე მე.

ეტყობა, ამდენის მიხვედრის თავი არ ჰქონდა, დიდხანს დუმდა. მე ისევ ხველა დავიწყე და, როცა აზრი მოვიკრიფე, ვუთხარი:

— იცით რა, ასო-ასო დაგიმარცვლავთ: შეგირდი, ნისლი, იდა, რიპარდი, იდა.

— ეგ რას ნიშნავს? — მკითხა მან ბოლოს და მომეჩვენა, რომ მის ხმაში ისეთივე სასოწარკვეთილება იგრძნობოდა, როგორც თავად მე დამეუფლა. იქნებ ტელეფონის ყურმილი რომელიმე ბებერმა, პირში ჩიბუხგაჩრილმა პროფესორმა აიღო, მეც სწრაფად შევაკოწიწე რამდენიმე ლათინური სიტყვა და ვუთხარი:

— Sum frater leonis\*.

არ მომეწონა ჩემი საქციელი, გულში გავივლე, ვინ იცის, ხანდახან რამდენ ადამიანს სურდა ამ სასწავლებლის აღსაზრდელებთან დალაპარაკება და თავის დღეში ლათინური სიტყვაც კი არ უსწავლიათ.

შევცბუნდი, როცა ჩემმა თანამოსაუბრემ ჩაიხითხითა და მითხრა:

\* ლეოს ძმა ვარ (ლათ.).



— Frater tuus est in refektorio\*, საქმელს მიირთმევენ, — მითხრა მან უფრო ხმადაბლა, — და ჭამის დროს მათი შეწუხება არაფრით არ შეიძლება.

— ძლიერ სასწრაფო საქმე მაქვს, — ვუთხარი მე.

— მოკვდა ვინმე? — მკითხა მან.

— არა, — ვუპასუხე მე, — ცოტალა აკლია.

— მაშ, მძიმე უბედური შემთხვევაა?

— არა, — ვუთხარი მე, — შინაგანი უბედური შემთხვევაა.

— აჰ, — თქვა მან და ხმა ცოტათი შეურბილდა, — შინაგანი სისხლჩაქცევაა?

— არა, — ვუპასუხე მე, — სულიერი ტკივილია, გამოკვეთილი სულიერი ტკივილი.

ეტყობა, სული მისთვის უცხო სიტყვა იყო. ჩვენ შორის გამყინავი დუმილი ჩამოწვა.

— ღმერთო ჩემო, ნუთუ არ გესმით, ადამიანი ხომ ხორცისა და სულისაგან შედგება.

მისი ბურტყუნი ცხადყოფდა, რომ ჩემი განცხადება საექვოდ მიაჩნდა და ბოლოს, ჩიბუხის ორ ნაფაზს შორის, ამოილულლულა:

— ავგუსტინი, ბონავენტურა, კუზანუსი — თქვენ მცდარ გზას დასდგომხართ.

— სული, — გავიმეორე ჯიუტად, — გთხოვთ გადასცეთ ბატონ შნირს, რომ მისი ძმის სული საფრთხეშია და როგორც კი ჭამას მორჩება, მაშინვე დამირეკოს.

— სული, ძმა, საფრთხე, — გაიმეორა მან ცივად, ალბათ, ასევე იტყოდა სიტყვებს: ნაგავი, ნაკელი, ნალები. ამ ამბავმა ცოტათი გამართო. იმ დაწესებულებაში, სადაც სტუდენტებს სულის მკურნალებად ზრდიდნენ, ერთხელ მაინც ხომ უნდა გაეგონა ამ კაცს სიტყვა სული.

— საქმე ძალიან საშურო, ძალიან საშუროა, — ვუთხარი მე.

ყურმილში გაისმა მხოლოდ „ჰმ, ჰმ“. ეტყობა, მისთვის სრულიად გაუგებარი იყო, რომ სულთან დაკავშირებული საქმე შეიძლებოდა საშური ყოფილიყო.

— გადავცემ, — მითხრა მან. — შეგირდზე, მგონი, რალაცა თქვით?

— არა, არაფერი, — ვუპასუხე მე, — ღმერთმანი, არაფერი, ჩემს ამბავს შეგირდებთან საერთო არაფერი არა აქვს. ეს სიტყვა მხოლოდ იმიტომ გამოვიყენე, რომ ჩემი გვარი ასო-ასო მეთქვა.

— თქვენ ალბათ გგონიათ, შეგირდებს სკოლაში ახლაც ასწავლიან სიტყვების ასო-ასო დანაწევრებას. ნუთუ მართლა ასე გგონიათ?

იგი ისე გამოცოცხლდა, რომ ვიფიქრე, ნამდვილად მის საყვარელ თემას შევეხე-მეთქი.

— დღევანდელი მეთოდები მეტისმეტად რბილია, — ყვიროდა იგი, — მეტისმეტად რბილია.

— გეთანხმებით, — ვუპასუხე მე, — სკოლებში უფრო ხშირად უნდა იყენებდნენ ცემის მეთოდს.

— მართალს ბრძანებთ, — წამოიყვირა მან მგზნებარედ.

\* შენი ძმა სასაღილოშია (ლათ.).



— დიახ, — ვუთხარი მე, — განსაკუთრებით კარგი იქნებოდა, მასწავლებლებს რომ სცემდნენ უფრო ხშირად. ხომ გადასცემთ ჩემს ძმას ჩემს, რაც გთხოვეთ.

— გადაუდებელი სულთან დაკავშირებული საქმე. სკოლის საკითხი. უკვე ჩავიწერე, — მითხრა მან. — ყური მიგდეთ, ყმაწვილო, როგორც მწერალს უფროს კაცს, ხომ მომცემთ იმის უფლებას, ერთი კეთილი რჩევა მოგცეთ?

— ბრძანეთ, ბატონო!

— მოეშვიტ ავგუსტინს. დამაჯერებლად ჩამოყალიბებული სუბიექტივიზმი ჯერ კიდევ არ არის თეოლოგია და ახალგაზრდების სულიერი ცხოვრებისათვის მხოლოდ ზიანი მოაქვს. ეს არის ორიოდე დიალექტიკური ელემენტით შევსებული ჟურნალისტიკა. იმედი მაქვს, ცუდად არ ჩამომართმევთ ამ რჩევას.

— როგორ გეკადრებათ, — ვუპასუხე მე, — ახლავე ავდგები და ჩემს ავგუსტინს ცეცხლს მივცემ.

— სწორად მოიქცევით, — მითხრა აღფრთოვანებულმა, — ცეცხლს მიეცით. ღმერთი იყოს თქვენი შემწე.

მადლობის თქმას ვაპირებდი, მაგრამ უადგილოდ მომეჩვენა, ამიტომ ყურმილი უხმოდ დავდე და ოფლი მოვიწმინდე. სუნის მიმართ ძალიან მგრძობიარე ვარ და კომბოსტოს მძაფრმა სუნმა ჩემი ვეგეტატიური ნერვული სისტემა უკიდურესად დაძაბა. უნებურად საეკლესიო უწყებების მეთოდებზეც დავიწყე ფიქრი, რა თქმა უნდა, კარგია, როცა აი ასეთ მოხუცს აგრძობინებ, ჯერ კიდევ ააქირო კაცი ხარო, მაგრამ ერთი რამ არ მესმოდა, რაღა მაინცდამაინც ასეთ გამოყრუებულ და ახირებულ ბერიკაცს მიანდეს ტელეფონის მომსახურება. კომბოსტოს სუნს ინტერნატში სწავლის დროიდან ვცნობდი. ინტერნატში ერთმა პატერმა გვითხრა, კომბოსტო ვნებას თრგუნავსო, და იმის წარმოდგენა, რომ ვილაცას შეეძლო საგანგებოდ დაეთრგუნა ჩემი თუ სხვისი ვნება, გულს მირევდა. როგორც ეტყობა, სემინარიებში დღედაღამ „ხორციელი ჟინის“ დათრგუნვაზე ზრუნავენ. სამზარეულოში ალბათ ზის სადღაც მონაზონი, რომელიც მენიუს ადგენს და შემდეგ ამის თაობაზე მასწავლებლის დირექტორს ეთათბირება. მაშინ ისინი ერთმანეთის პირისპირ სხედან, ვნებაზე საუბარს გაუბიან. მაგრამ ქალაქზე ჩამოწერილი ყოველი კერძი აფიქრებინებთ: ეს ვნებას თრგუნავს, ეს კი ალაგზნებს, ასეთი ამბავი ისეთივე უზნეობად მეჩვენება, როგორც დაწყევლილი მრავალსაათიანი ფეხბურთის თამაში ინტერნატში. ჩვენ ყველამ ვიცოდით, თამაშისაგან ისე უნდა მივსავათებულიყავით, რომ გოგოებზე არ გვეფიქრა, ამან ფეხბურთი შემაძულა. როგორც კი წარმოვიდგინე, რომ ჩემს ძმას ლეოს კომბოსტოს იმიტომ აქმევდნენ, რომ მისი ვნებათაღელვა დაეცხროთ, უდიდესი სურვილი გამიჩნდა მივსულიყავი იმ დაწესებულებაში და კომბოსტოს მთელი მარაგისათვის მარლმეჟავა გადამესხა. ახალგაზრდებს უკომბოსტოდაც ბევრი რამის ატანა უწევთ. უსაშველოდ ძნელია ალბათ ყოველდღე ისეთი გაუგებარი რამის ქადაგება, როგორიცაა „შკვდრეთით აღდგომა“ ან „მარადიული არსებობა“. ეს რაღაა: საგულდაგულოდ დაამუშავო უფლის ვენახი და მოწეული ნაყოფი თვალის დასანახავადაც არ კმაროდეს. ეს მე ერთხელ ამიხსნა ჰაინრიხ ბელენმა, რომელიც დიდი თანაგრძნობით მოგვეპყრო, როცა მარის მუცელი მოეშალა. საუბარში, თავის თავს მან უწოდა „უფლის ვენახის უბრალო მუშა, როგორც სულიერი განწყობილების, ასევე გასამრჯელოს თვალსაზრისით“.



სააქადმოყოფოდან ხუთ საათზე გამოვბუნდით და რადგან ტრამვაის ფული არ გვქონდა, ფეხით ვავუდექით გზას და სახლამდე მივაცილეთ. როცა კართან შეყოვნებულმა გასაღებების ასხმულა ამოიღო, არაფრით არ განსჯავდებოდა იმ მუშისაგან, ღამის ცვლიდან რომ ბრუნდება დაღლილი და გაუპარსავი. მივხვდი, რა ძნელი იქნებოდა ახლა შეესრულებინა მესა დასაწყის მთელე იმ საიდუმლოებებით, რომელთა შესახებ მიყვებოდა ხოლმე მარი. ჰაინრიჰმა კარი გააღო. დერეფანში შემოგვეგება ბუზლუნა, ფოსტლებში ფეხგაყრილი ეკონომი ქალი, რომელსაც შიშველ ფეხებზე კანი ერთიანად გაყვითლებოდა. ის ქალი არც მონაზონი იყო, არც ჰაინრიჰის დედა და არც ღვიძლი და:

— რა ამბავში ხართ, რა ამბავში ხართ? — ჩაიბუზლუნა ეკონომმა ქალმა, დასწყევლოს ღმერთმა უცოლო კაცის უბადრუკი ყოფა. სრულიად არ მაკვირვებს, ზოგიერთ კათოლიკეს რომ ეშინია თავისი ქალიშვილი მღვდელს სახლში მიუგზავნოს და არც ის მაკვირვებს, საბრალო მღვდლები ზოგჯერ სისულელეებს რომ სჩადიან.

კინალამ ხელახლა არ დავურევე ლეოს კონვიქტში ჩიბუხის წევისაგან ხმაჩახლეჩილ ბერიკაცს: მინდოდა მასთან „ხორციელ ეინზე“ შელაპარაკა, სხვა ხაცხოვებთან დარეკვისა მეშინოდა. ვოფოქრე, უცხო კაცი უკეთ გამოგებს-მეთქი, სიამოვნებით ვკითხავდი, სწორედ მესმის თუ არა კათოლიციზმის არსი. ჩემთვის ამჟამად მხოლოდ ოთხი კათოლიკე არსებობს, პაპი იოანე, ალექ გინესი, მარი და ყოფილი ზანგი მოკრივე, ახლა უკვე მოხუცებული გრეგორი, რომელიც ერთხელ კინალამ მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ახლა კი გაჭირვებით გაჭქონდა თავი ვარიეტეტებში ძალოსნური ნომრების ჩვენებით. დროდადრო ერთმანეთს გასტროლების დროს ეხედებოდით. უაღრესად თვინიერი, ჭეშმარიტად მორწმუნე კაცი, მესამე ორდენის წევრი იყო, ათლეტურ მკერდს ყოველთვის ბერის ოღარი უფარავდა. უმრავლესობას იგი ვონებაჩლუნგ კაცად მიაჩნდა, რადგან იშვიათად თუ იტყოდა რამეს და კიტრისა და პურის მეტს არაფერს ჭამდა და შიანც ისეთი ღონიერი იყო, რომ არაფრად უღირდა მე და მარი ავეტატებინეთ და თოჯინებით ვეტარებინეთ ოთახში. იყო კიდევ-რამდენიმე ადამიანი, რომლებიც შემეძლო კათოლიკებად ჩამეთვალა: კარლ ემონდაი, ჰაინრიჰ ბელენი და აგრეთვე ციუპფენერი. მარის კათოლიკობაში თანდათან ეჭვი მეპარებოდა: მისი „მეტაფიზიკური შიში“ ჩემთვის ყოველთვის გაუგებარი იყო და თუ ახლა წაბრძანდა და ციუპფენერთან იმასევე აკეთებს, რასაც ჩვენ ვაკეთებდით, მაშინ ისეთ რაღაცას სჩადის, რასაც მის წიგნებში არაორაზროვნად ქმრის ლალატი და მრუშობა ეწოდებოდა. მისი „მეტაფიზიკური შიში“ მხოლოდ და მხოლოდ იმან გამოიწვია, რომ მე უარი ვუთხარი ჩვენი ცოლ-ჭმრული ურთიერთობა კანონიერად გაგვეფორმებინა და შეიღები კათოლიკებად აღგვეზარდა. მართალია, შეიღები ჯერ არ გვყავდა, მაგრამ მუდამ იმაზე ვლაპარაკობდით, რას ჩავაცქევდით, როგორ დაველაპარაკებოდით, როგორ აღვზრდიდით. ყველა საკითხში ვთანხმდებოდით, მარტო კათოლიკური აღზრდა გვიჭირვებდა საქმეს, მე თანახმა ვიყავი, ბავშვები მოგვენათლა, მაგრამ მარიმ მითხრა, ამისათვის შენი წერილობითი თანხმობაა საჭირო, თორემ ისე ეკლესიაში ჯვარს არ დაგვწერენო. ბოლოს ეკლესიაში ჯვარის დაწერაზეც დავთანხმდი, მაგრამ გამოირკვა, რომ ამისათვის ხელიც უნდა გვქონოდა ოფიციალურად მოწერილი, მაშინ კი დავკარგე მოთმინება და მარის ვუთხარი, მოდი ცოტაც მოვიცადოთ, ერთ წელიწადს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს-მეთქი, მაგრამ მარი ატირდა და



მიიხრა: წარმოდგენა არა გაქვს, რას ნიშნავს ჩემთვის ასე ცხოვრება, თანაც არც იმის იმედი მაქვს, ჩვენი შვილები ქრისტიანულად აღიზრდებიანო. ეს უკვე აღარ მომეწონა. რადგან ცხადი გახდა, რომ ხუთი წელიწადი ამ საკითხზე სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობდით. მე მართლა არ ვიცოდი, რომ ჯერ ოფიციალური ხელის მოწერა იყო საჭირო და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ეფლებოდა ჯვარი და მეწერა ეკლესიაში. ეს კი, როგორც სახელმწიფოს დასჯა-ცებულ მოქალაქეს, და იმ „მამაკაცს, რომელიც თავის საქციელზე სავსებით აგებს პასუხს“. უნდა მცოდნოდა, ისევე არ ვიცოდი ყოველივე ეს, როგორც ადრე არ ვიცოდი, რომ თეთრი ღვინო სუფრაზე ჩაცვიებული უნდა მოიტანონ, წითელი კი — შემთბარი. ცხადია, ვიცოდი, რომ არსებობს ქორწინების სარეგისტრაციო ბიუროები, სადაც საქორწინო რიტუალებს ატარებენ და სათანადო მოწმობებს იძლევიან, მაგრამ მე მეგონა ასეთი დაწესებულებები არსებობს ურწმუნოთათვის, ანდა ისეთი მოწმობებისათვის, რომელთაც სურთ სახელმწიფოს პატარა სიხარული მოუტანონ როგორც კი გავიგე, ეკლესიაში თუ გინდა ჯვარი დაიწერო, ჯერ ასეთ დაწესებულებას უნდა ეწვიო, ნამდვილად ვაგბრაზდი, ხოლო როცა მარინ ისიც მიიხრა, წერილობითი ვალდებულება უნდა იკისრო, რომ ჩვენს შვილებს ქრისტიანულად აღვზრდითო, წავიზრდებო. მე ეს გამოძალვად მომეჩვენა და არ მომეწონა, მარი რომ ასე თვინიერად თანხმდებოდა წერილობითი ვალდებულების გაცემაზე. მას უამისოდაც შეეძლო მოენათლა შვილები და ისე აღეზარდა, როგორც საჭიროდ მიიჩნევდა.

იმ საღამოს შეუძლოდ იყო, დაღლილი და გაფითრებული ჩანდა, მელაპარაკებოდა საკმაოდ ხმამაღლა და როცა ვუთხარი კარგი, გეყოფა, ყველაფერს გავაკეთებ, ამგვარ ქალღმერთსაც მოვაწერ ხელს-მეთქი, გაბრაზდა და მიიხრა: — ახლა შენ ამას სიზარმაცის გამო აკეთებ და არა იმიტომ, რომ გჯერა წესრიგის აბსტრაქტული პრინციპების უფლებამოსილება.

ვალბარე, რომ ამას მართლაც სიზარმაცე მაკეთებინებდა და კიდევ ის, რომ ძალიან მინდოდა მთელი სიცოცხლე გვერდით მყოლოდა. ოღონდ ჩემთან ყოფილიყო და იმაზეც მზად ვიყავი, კათოლიკურ ეკლესიას მივკედლებოდი. ეს არ ვიკმარე და პათეტიკურად განვაცხადე, ისეთი სიტყვები, როგორცაა „წესრიგის აბსტრაქტული პრინციპები“, იმ საკანს მაგონებს, სადაც ადამიანს აწამებენ-მეთქი. ჩემმა განზრახვამ, მის შესანარჩუნებლად კათოლიკე გავმხდარიყავი, მარი შეურაცხყო. მე კი მეგონა თავი მოუქონე, ცოტათი გადავაჭარბე კიდევ-მეთქი. მარი მარწმუნებდა, ახლა საქმე მე და შენ კი აღარ გვებება, არამედ „წესრიგსო“.

ყველაფერი ეს მოხდა საღამო ეამს, ჰანოვერის ერთ-ერთ იმ ძვირადღირებულ სასტუმროს ოთახში, სადაც ყავა თუ მოითხოვე, ფინჯანს ბოლომდე კი არა, სამ მეოთხედამდე აგივსებენ. ასეთ სასტუმროებში იმდენად გაწვრთნილი მოსამსახურე პერსონალია, რომ ფინჯნის ყავით გავსება მდაბიურობად მიიჩნიათ და კელნერებმა გაცილებით უკეთ იციან, რა ეკადრება დიდკაცობას ვიდრე თვით დიდკაცებმა, სასტუმროში რომ იბლინძებიან. როცა ასეთ სასტუმროში ვცხოვრობ, თავი საგანგებოდ ძვირ და საგანგებოდ მოსაწყენ ინტერნატში მგონია. იმ საღამოს დაღლილობისაგან ცოცხალ-მკვდარი ვიყავი, ზედიზედ სამი წარმოდგენა გავმართე, შუადღეზე ფოლადჩამომსხმელთა სააქციო საზოგადოებისათვის, ნაშუადღევს მასწავლებლობის მაძიებელთათვის, ხოლო



სალამოს ვარიეტეში. სადაც ისე უხალისოდ მიკრავდნენ ტაშს, რომ უკვე მო-  
ახლოებულ მარცხს ვგრძნობდი. როცა ამ გაოხრებულ სასტუმროში ტელეფო-  
ნით შევუკვეთე, ლუდი ოთახში მოეტანათ, ობერკელნერმა ისეთი ცივი ხმით  
მითხრა „კი ბატონო“, თითქოს წუნწუბი მომეთხოვოს. მაგრამ არც ეს მარ-  
ჯეს და ლუდი ვერცხლის ტოლხით მომართვეს. დავიღალე, მინდოდა ლუდი  
დაძელია, ცოტა ხანს რიჩ-რაჩი მეთამაშა, აბაზანა მიმეღო, სალამოს ~~გაჩვენებდა~~  
წამეკითხა და მარის გვერდით დამეძინა. მარჯვენა ხელი მის მკერდზე დამეძინა  
ხოლო პირისახე ისე ახლოს მიმეტანა მის თავთან, რომ მარის თმის სურნე-  
ლება ძილშიც შეგრძნო. ჯერაც მესმოდა ყურში ტაში, უხალისოდ რომ მიკ-  
რავდნენ. ბევრად უფრო ადამიანური იქნებოდა მაყურებლებს ცერი დაბლა  
დაეხარათ. გულმოყირჭებულებმა ჩემი ნომრები ქედმაღლურად არად ჩაავდეს  
და ეს ისევე უგემური იყო, როგორც იდიოტური ვერცხლის ტოლხით მორთ-  
მეული ლუდი. უბრალოდ მე თავი არ მქონდა მსოფლმხედველურ თემაზე მე-  
საუბრა.

— მე სწორედ იმ საქმეზე გელაპარაკები, მანს, — მითხრა მარიმ ოდნავ  
ხმადაბლა და ვერ მიხვდა, რომ სიტყვებს „იმ საქმეზე“ ჩვენთვის გარკვეული  
მნიშვნელობა ჰქონდა. ეტყობა, ყველაფერი დაივიწყა. ფართო საწოლის უკან  
მარი ბოლთას სცემდა და როცა ხელებს აიქნევდა, სიგარეტით ისე მარჯვედ  
აპობდა პაერს, რომ კვამლის პატარა ბოლქვები წერტილებს ემსგავსებოდნენ.  
სწავათა შორის სიგარეტის მოწევა ისწავლა. ღია მწვანე პულოვერში მარი ლა-  
მანი ჩანდა. ქათქათა სახის კანი ჰქონდა, თმა უწინდელზე მეტად ჩამუჭებოდა,  
მის კისერზე პირველად დავინახე მყესები.

— შეშიბრაღე, — ვუთხარი მე, — დამაცადე გამოვიძინო, ხვალ კი საუბ-  
რის დროს კიდევ ერთხელ ვისაუბროთ ყველაფერზე და უპირველეს ყოვლისა  
იმ საქმეზე.

მაგრამ მარიმ ანგარიში არ გაძიწია, შემობრუნდა, საწოლის წინ გაჩერდა  
და ტუჩების მოხაზულობაზე შევატყვე, მის ამგვარ ქცევაა რაღაც ისეთი მიზე-  
ზი ასაზრდოებდა, რაშიც თავის თავსაც კი არ უტყდებოდა. როცა სიგარეტი  
მოქაჩა, პირის კუთხეებში რამდენიმე ნაოქს მოგყარი თვალი, რაც ადრე არ შე-  
მიძინებია, მარიმ თავი გააქნია, დამხედა, შემდეგ ამოიოხრა, შეტრიალდა და  
ისევე აქეთ-იქით დაიწყო სიარული.

— ვერაფერი გამოვიდა, — ვუთხარი დადლილმა. — ჯერ იმ რაღაც გამომ-  
ძალველ საბუთზე ხელის მოწერის გამო წავიხიხუბეთ, შემდეგ ქორწინების  
ოფიციალურად გაფორმებია გამო, ბოლოს, ერთხელაც თანხმობა განვაცხადე  
და შეორებედაც, შენ კი უფრო გაბრაზებული ხარ, ვიდრე მანამდე იყავი.

— დიახ, — მიპასუხა მან, — შენი გადაწყვეტილება ნაჩქარევად მიმაჩ-  
ნია, თანაც ვგრძნობ, შეხლა-შემოხლისა გეშინია. კაცმა რომ თქვას, რა გინდა?

— შენ მინდინარ, — ვუპასუხე მე, არ ვიცი, უკეთესი რა უნდა უთხრას  
კაცმა ქალს. — წამოიღე საფერფლე და დამიწიქი გვერდით. ასე გაცილებით  
უკეთ ვისაუბრებთ.

ალარ შემეძლო მისი თანდასწრებით წარმომეტქვა სიტყვა „საქმე“. მარიმ  
თავი გააქნია, საფერფლე საწოლზე დამიდო, ფანჯრასთან მივიდა და გარეთ  
გაიხედა. მე შევშინდი.

— ჩვენს საუბარში რაღაც არ მომწონს, მენი სიტყვებით არ ლაპარაკობ.



— აბა, ვისი სიტყვებით? — მკითხა მან რბილად და მისმა ხმაში კვლავ მო-  
მატყუა.

— შენს სიტყვებს ზონის, თქვენი წრის, ზომერვილდის, ციუპფნერის და  
ლმერთმა იცის, კიდევ ვისი სუნი უდის.

— იქნებ შენს ყურებს უნდათ ის გაიგონონ, რაც შენმა თველებმა წახვეს, —  
მითხრა მან ზურგშექცეულმა.

— შენი ვერაფერი გამიგია, — ვუთხარი დაღლილმა, — მაინც რას გულის-  
ხმობ?

— ოჰ, — წამოიძახა მან, — ისე ლაპარაკობ, თითქოს არ იცოდეს, ამ ქა-  
ლაქში რომ კათოლიკების ყრილობა ტარდება.

— პლაკატებს კი მოვკარი თვალი, — ვუთხარი მე.

— და აზრადაც არ მოგივიდა, რომ შეიძლება ჰერიბერთი და პრელატი  
ზომერვილდი აქ არიან.

არ ვიცოდი, ციუპფნერს თუ ჰერიბერთი ერქვა, მაგრამ როცა მარიმ ეს  
სახელი წარმოთქვა, მაშინვე მივხვდი, ვისზეც იყო ლაპარაკი, და კვლავ გა-  
მახსენდა, როგორ მოდიოდნენ ხელიხელჩაკიდებულნი. ჰანოვერში უფრო მე-  
ტი მღვდელი და მონაზონი აღმოჩნდა, ვიდრე ამ ქალაქს შეეფერებოდა და ეს  
მეც მომხვდა თვალში, მაგრამ სულ არ მიფიქრია, მარი ნაცნობს თუ შეხვდე-  
ბოდა აქ. ვთქვათ და ასეც მოხდა... როცა ორიოდე თავისუფალი დღე მქო-  
ნია, მე და მარი ბონში ჩავდიოდით და იქ მას შეეძლო გული ეჭერებინა მთელ  
„წრესთან“ შეხვედრით.

— აქ არიან, ჩვენს სასტუმროში? — ვკითხე ქანცგამოღულმა.

— დიახ, — მითხრა მან.

— მერე რატომ არ შემახვედრე ისინი?

— იყავი კი აქ. მთელი კვირა დაეხეტებოდი — ეს ბრაუნშვაიგი, ეს ჰილ-  
დესჰაიმი, ცელეო...

— ახლა თავისუფალი ვარ, დაურეკე, ჩავიდეთ ქვევით ბარში და რამე  
დავლიოთ.

— აქ აღარ არიან, დღეს ნაშუადღევს გაემგზავრნენ.

— მოხარული ვარ, რომ მოგიწია ასე დიდხანს და ასე უხვად გესუნთქა  
მართალია იმპორტირებული, მაგრამ მაინც „კათოლიკური ჰაერი“, — ვუთხარი  
მე. ეს გამოთქმაც მან მოიგონა და არა მე. ხანდახან იტყოდა, ნეტავ ისევ ვსუნ-  
თქავდე კათოლიკურ ჰაერსო.

— რატომ ბრაზობ? — მკითხა მან. მარი ისევ ქუჩისაკენ იყო პირშექ-  
ცეული და კვლავ სიგარეტს ეწეოდა. სიგარეტის თავგამოდებით ქაჩვა ისევე  
უცხო მეჩვენებოდა, როგორც მისი სიტყვები. იმ წუთში მარი ჩემთვის უცხო  
ქალი იყო, ლამაზი, მაგრამ ნაკლებად ინტელიგენტი, რომელიც რაღაც საბაბს  
ეძებდა წასასვლელად.

— არ ვბრაზობ, — ვუპასუხე მე, — და შენ ეს იცი, აბა, მითხარი, რომ  
იცი.

მარის არაფერი უთქვამს, მხოლოდ თავი დამიქნია. ნახევარ სახეს ვხედავ-  
დი მისას და ესეც საკმარისი აღმოჩნდა მივხვედრილიყავი, რომ ცრემლს ძლივს  
იკავებდა. მერედა რატომ იკავებდა? განა არ ჯობდა ეტირა დიდხანს და ცხა-  
რედ? მაშინ წამოვდგებოდი, მკლავებში მოვიმწყვდევდი და ვაკოცებდი. მაგრამ  
ასე არ მოვიქეცი. არ მინდოდა. ჩვეულების ან მოვალეობის გამო კი ქალს ვერ



ვაკოცებ. ისევ პირადმა ვიწვექი და ვფიქრობდი. მარი მთელი სამი დღე ციუბტ-  
ნერთან და ზომერვილდთან ატარებდა დროს და ჩემთვის ამის შესახებ არაფე-  
რი უამბნია. ცხადია, ჩემზეც ილაპრაკებდნენ. ციუბტნერი კათოლიკე <sup>ერის-</sup>  
კაცთა ცენტრალურ გაერთიანებას ხელმძღვანელობდა.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვყოყმანობდი — ნახევარ წუთს, ერთ წუთს <sup>წუთს</sup> <sup>წუთს</sup> <sup>წუთს</sup>  
წუთს, მაგრამ ბოლოს მაინც წამოვდექი და მარისთან მივედი, მაგტამ <sup>მაგტამ</sup> <sup>მაგტამ</sup> <sup>მაგტამ</sup>  
ვი გააქნია, ჩემი ხელები მხრებიდან მოიშორა და ისევ დაიწყო ლაპარაკი „მე-  
ტაფიზიკურ შიშზე“ და წესრიგის პრინციპებზე. ისეთი გრძნობა შემექმნა,  
თითქოს ოცი წლის შერთული მყოლოდა. მარი აღმზრდელის ტონით მელაპა-  
რაკებოდა, მე კი მეტისმეტად დაღლილი ვიყავი იმისათვის, რომ მის არგუ-  
მენტებს ღრმად ჩავწვდომოდი და ამიტომ წავიყრუე. განზრახ შევაწყვეტინე  
ლაპარაკი და ვუამბე, როგორ ჩავფლავდი ვარიეტეში პირველად ამ სამი წლის  
მანძილზე. ფანჯარასთან ერთმანეთის გვერდით ვიდექით და ქუჩას გავცქერო-  
დით. სასტუმროს წინ ყოველ წუთს ჩერდებოდნენ ტაქსები, რომელთაც კა-  
თოლიკური კომიტეტის წევრები: მონაზვნები, მღვდლები და ფრიად სერიო-  
ზული ერისკაცნი სადგურზე მიჰყავდათ. ერთ ჯგუფში შნიცლერი შევიცანი,  
მეტისმეტად დარბაისლური გარეგნობის მოხუც მონაზონს მანქანის კარი დაუ-  
ჭირა. შნიცლერი ჩვენს სახლში რომ ცხოვრობდა, ევანგელისტი იყო. მან ან  
რჯული გამოიცვალა, ანდა ყრილობას ესწრებოდა როგორც ევანგელისტთა  
მეთვალყურე. ამ კაცისაგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. სასტუმროდან  
ჩემოდნები გამოჰქონდათ და სასტუმროს მსახურებს გასამრჯელოს სჩრიდნენ  
ხელში. ისე დაღლილი და მოშლილი ვიყავი, რომ თვალწინ ყველაფერი ერთ-  
მანეთში მერეოდა: ტაქსები, მონაზვნები, სინათლეები, ჩემოდნები. ყურში კი  
განუწყვეტლივ მესმოდა მომაკვდინებელი კანტიკუნტი ტაში. მარიმ კარგა ხა-  
ნია შეწყვიტა მონოლოგი წესრიგის პრინციპებზე და აღარც სიგარეტს ეწეოდა.  
როცა ფანჯარას მოვცილდი, უკან გამომყვა, მხარზე ხელი მომხვია და თვა-  
ლებში მაკოცა.

— შენ ისეთი კარგი ხარ, — მითხრა მან, — ისეთი კარგი და ისეთი  
დაღლილი.

მაგრამ როცა მეც დავაპირე ხელი მომეხვია მისთვის, ჩუმად მითხრა:

— არ გინდა, გთხოვ, არ გინდა.

შევცდი, ხელი გავუშვი. უსაშველოდ დაღლილი გაუხდელად მივეგდე ლო-  
გინზე და იმწამსვე ჩამეძინა. მეორე დღით, როცა გამეღვიძა და მარი აღარ  
დამხვდა, დიდად არ გამკვირვებია. მაგიდაზე ბარათი იდო: „მე უნდა წავიდე  
იმ გზით, რომლითაც უნდა ვიარო“. მარი თითქმის ოცდახუთი წლისა იყო და  
შეეძლო ცოტათი უკეთესი რამ მოეფიქრებინა. მართალია, ამის გამო არ გა-  
მიკიცხავს, მაგრამ როგორღაც მეცოტავა. მაშინვე დავჯექი და გრძელი წერი-  
ლი მივწერე, საუზმის მერეც მივწერე. ბოლოს ყოველდღე ვწერდი წერილს  
და ბონში ფრედებოილის მისამართით ვაგზავნიდი. მაგრამ პასუხი არც ერ-  
თზე არ მიმიღია.

სანამ ფრედებოილთანაც ვინმე მოვიდოდა ტელეფონთან, კარგა ხანი გა-  
ვიდა. ზუმერის გაბმული ხმა მალიზიანებდა. უეცრად წარმოვიდგინე, რომ ჩა-



ძინებული ფრაუ ფრედებოილი ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა. მაგრამ ძილს თავი ვერ წაართვა და ისევ ჩაეძინა. ზარმა კვლავ დარეკა. ფრაუ ფრედებოილს ისევ გაელვიდა და მე განვიცადე ისეთივე ტანჯვა, რაც ტელეფონის დაჭინებულმა წკრიალმა მის ყურებს მიაყენა. ის იყო ყურმილის დადებას ვაპირებდი, მაგრამ თავში გამიელვა, რა მძიმე დღეშიც ვიყავი, და რეკვა განვაგრძე. თვით ფრედებოილი რომ გამელვიძებინა ღრმა ძილისაგან, დიდხანს ვერ შევძლებოდი: ეგ ვაუბატონი მშვიდი ძილის ღირსი არ არის. ავადმყოფურად პატივმოყვარე კაცია და ცალი ხელი ალბათ მუდამ ტელეფონზე უდევს, რათა სააწრაფოდ დარეკოს ან აიღოს ყურმილი, როცა მას ურეკავენ სამინისტროს განყოფილებათა უფროსები, რედაქტორები, ცენტრალური კომიტეტები, მოწინავე კავშირები და მისი პარტიის თავკაცები. მაგრამ მისი ცოლი მართლა მიყვარს. იგი ჯერ კიდევ მოწაფე იყო, როცა ფრედებოილმა კათოლიკეთა წრეში მიიყვანა. მის შემხედვარეს გული მიკვდებოდა, იჯდა, თავისთვის და ლამაზ თვალებს არ აშორებდა თეოლოგიურ-სოციოლოგიურ საკითხებზე მოკამათებებს. ვატყობდი, ცეკვა ან კინო მეტ აიამოვნებას მიანიჭებდა. ზომერვილდი, ვისთანაც ეს შეხვედრა გაიმართა, წამდაუწუმ მეკითხებოდა: „ძალიან გცხელათ, შნირ?“ ვუბნებოდი, პრელატო, არა მცხელა-მეთქი, თუმცა ოფლი წურწურით ჩამომდიოდა შუბლსა და ლოყებზე. ბოლოს ველარ გავუძელი მათ ყბედობას და აივანზე გავედი. მთელი ეს ყაყანი სწორედ ფრედებოილის მოყვანილმა ქალიშვილმა გამოიწვია. უეცრად, სრულიად უადგილოდ, სწორედ მაშინ, როცა საუბარი პროვინციალიზმის მასშტაბებსა და საზღვრებს ეხებოდა, ხმამალლა განაცხადა, ბენის\* ზოგიერთი ნაწარმოები საკმაოდ კარგია და მომწონსო. ამის თქმა იყო და ფრედებოილი, რომლის საცოლედაც იგი ითვლებოდა, ჭარხალივით გაწითლდა, რადგან კინკელმა თავისი ერთ-ერთი მრავლისმეტყველი მზერა სტყორცნა: „ნუთუ აქამდე ვერაფერი შეაგნებინე“. ამის შემდეგ საბრალო გოგონას თვით კინკელმა შეაგნებინა, რაც იყო საჭირო, და მკაცრად გააშალაშინა, ხოლო შალაშინად მთელი ევროპა გამოიყენა. ცქრიალა გოგონა მიწასთან გაასწორეს, ბურბუშელა აქეთ-იქით ცვიოდა და მე გული მომდიოდა ლაჩარ ფრედებოილზე, რომელიც ვერ გამოესარჩლა თავის საცოლეს, რადგან კინკელის „თანამოაზრე“ იყო და ერთ იდეოლოგიურ მიმართულებას ეკუთვნოდნენ. ახლაც არ ვიცი, მემარცხენეები იყვნენ თუ მემარჯვენენი, მაგრამ რომელიღაც მიმართულებას ეკუთვნოდნენ და კინკელი მორალურად ვალდებულად რაცხდა თავს, ფრედებოილის საცოლე გამოესწორებინა. ქალიშვილის დასაცავად არც ზომერვილდს ამოუღია ხმა, თუმცა კინკელისა და ფრედებოილის მოწინააღმდეგე მიმართულებას ეკუთვნოდა, ოღონდ არ ვიცი რომელს. თუ ფრედებოილი და კინკელი მემარცხენეები იყვნენ, მაშინ ზომერვილდი მემარჯვენე იყო ან იქნებ პირიქით. მარისაც წაუვიდა ფერფერი, რას იზამდა, განათლებული ხალხი მოსწონს — აი, ამას ვერაფრით ვერ გადავაჩვიე. კინკელის ფართო განათლებამ მომავალი ფრაუ ფრედებოილიც მოხიბლა. იგი კინკელის სიტყვაჯარბ დარიგებას ლამის უზნეობამდე მისული ოხვრითაც კი აღიქვამდა. ის კაცი ქარიშხალივით დაატყდა თავს, დაწყებული სულიერი მამებით, დამთავრებული ბრეხტით არაფერი დააკლო და როცა

\* გოთფრიდ ბენი (1886-1956) — ცნობილი გერმანელი დეკადენტი მწერალი, ერთხანს ნაცისტებს თანაუგრძნობდა.



სულმოთქმული- აივნიდან დავბრუნდი, ყველანი განადგურებულნი დამხვდნენ და კრუშონს მიირთმევდნენ. მთელი ეს ალიაქოთი იმის გამო ატყდა, რომ საბრალო არსებამ განაცხადა, ბენის ზოგიერთი ნაწარმოები საკმაოდ კარგია და მომწონსო.

ახლა იგი ოცდაორი წლისაც არ არის ჯერ, ფრედებოილი <sup>უჩიქუნული</sup> ორი შვილი ჰყავს. ტელეფონი კვლავ რეკავდა მათ ბინაში და წარმოვიდგინე, სრულიად უმწეო და დაბნეული როგორ დაფუსფუსებდა ჩვილის ბოთლებით, საპუდრეებით, სახვევებით და კრემებით ხელში, ამავე დროს თვალწინ დამიდგა ჩვილის დაზვინული ჭუჭყიანი თეთრეული და სამზარეულოში დახვავებული გაქონილი, გაურეცხავი ჭურჭელი. ერთხელ, როცა თავიანთი ლაყბობით გული გამიწყალეს, მე მას პურის გაფიცებაში, ბუტერბროტების მომზადებაში და ყავის მოხარშვაში მოვეხმარე, პირდაპირ ვიტყვი: ასეთი საქმის კეთება ნაკლებად მეზიზღება, ვიდრე ზოგ-ზოგებთან საუბარი.

მეტისმეტად მორიდებული ხმა გავიგონე.

— დიახ, გისმენთ, — ამ ხმამ მიმახვედრა, რომ სამზარეულოში, სააბაზანოში და საწოლ ოთახში გაცილებით მეტი უწესრიგობა სუფევდა, ვიდრე ოდესმე. ამჯერად არაფრის სუნი არ მეცა, მხოლოდ ვიგრძენი, ხელში სიგარეტი ეჭირა.

— შნირი გახლავართ, — ვუთხარი მე და ველოდი ჩემი დარეკვით გახარებული ჩვეულებისამებრ წამოიძახებდა: „აჰ, თქვენ კვლავ ბონში ხართ, რა კარგია“, ან სხვა რაიმე ამდაგვარს, მაგრამ ამჯერად დარცხვენილი ღუმდა, შემდეგ კი უხალისოდ მითხრა:

— სასიამოვნოა.

აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. უწინ ყოველთვის მეკითხებოდა, როდის შემოვივლით ჩვენთან, რას გვიჩვენებთ ახალსო. ახლა კი კრინტიც არ დაუძრავს და მე უხერხულად ვგრძნობდი თავს, მაგრამ არა ჩემს გამო, არამედ მის გამო, რადგან ჩემთვის ეს მხოლოდ გულდასაწყვეტი ამბავი იყო, მისთვის კი გამაწამებლად უხერხული.

— რა იქნა წერილები? — ვთქვი ბოლოს გაჭირვებით, — წერილები, მარის თქვენი მისამართით რომ ეუგზავნიდი?

— ჩვენთან დევს, — მითხრა მან, — გაუხსნელი დაგვიბრუნდა უკან.

— რა მისამართით უგზავნიდით?

— არ ვიცი, — მითხრა მან, — ჩემი ქმარი უგზავნიდა.

— კი მაგრამ, უკან დაბრუნებულ წერილებზე ხომ დაინახავდით, რა მისამართსაც აწერდა?

— თქვენ რა, დაკითხვას მიწყობთ?

— ო, არა, — ვუთხარი რბილად, — სრულიადაც არა, უბრალოდ ჩემი გულუბრყვილობის გამო მეგონა, რომ უფლება მქონდა დავინტერესებულიყავი, რა მოუვიდა ჩემს წერილებს.

— რომელთაც თქვენ დაუკითხავად გვიგზავნიდით, არა?

— ძვირფასო ფრაუ ფრედებოილ, გთხოვთ ცოტა მეტი ადამიანობა გამოიჩინოთ, — ვუთხარი მე.

მან ხმადაბლა გაიცინა, მაგრამ მაინც გავიგონე, თქმით კი არაფერი უთქვამს.



— ჩემი აზრით, — განვაგრძე მე, — ზოგიერთ საკითხში ადამიანები, თუნდაც იდეოლოგიური მოსაზრებით, ადამიანობას იჩენენ.

— თქვენი აზრით, აქამდე არაადამიანურად ვიქცეოდი?

— დიახ, — ვუპასუხე მე. მან ისევ ძალზე ხმადაბლა, მაგრამ მაინც გა-  
წიქუნულად

— ძალიან მწყინს ყველაფერი, რაც მოხდა, მაგრამ მეტს ვერაფერს გეტყვით, საქმე ისაა, რომ ყველას ძალიან გაგვიცრუეთ იმედი, — თქვა მან ბო-  
ლოს.

— როგორც კლოუნმა? — ვკითხე მე.

— ამ მხრივაც, — მითხრა მან, — მაგრამ ათა მართლაც ამ მხრივ.

— თქვენი ქმარი, ეტყობა, შინ არ არის?

— არა, — მიპასუხა მან, — რამდენიმე დღეში დაბრუნდება, წინა საარ-  
ჩევნო სიტყვის წარმოსათქმელადაა წასული ეიფელში.

— რა თქვით? — ვკითხე გაკვირვებულმა. ეს მართლაც ახალი ამბავი იყო. — ნუთუ ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის სახელით?

— რატომაც არა, — მიპასუხა მან ისეთი ხმით, რომ ცხადად ვიგრძენი, სიამოვნებით დაკიდებდა ყურმილს.

— რა გაეწყობა, — ვუთხარი მე, — კადნიერებაში ხომ არ ჩამოშართ-  
მევთ, რომ გთხოვოთ წერილები უკან გამომიგზავნოთ?

— სად?

— ბონში, ჩემს მისამართზე.

— ბონში ხართ? — მკითხა და მომეჩვენა, თითქოს მზად იყო ეყვირა: „რა ღვთის რისხვაა“.

— ნახვამდის, — ვუთხარი მე, — გმადლობთ ასეთი კაცთმოყვარეობისათ-  
ვის.

ვწუხდი, ასე ცუდად რომ მოვიქცევი, მაგრამ ძალ-ღონე გამომელია. სამ-  
ზარეულოში გავედი, მაკვირიდან კონიაკის ბოთლი გამოვიღე და დიდი ყლუ-  
პი მოვსვი. როცა დავრწმუნდი, ვერაფერი მიშველა, კიდევ ერთხელ მოვიყუ-  
დე, მაგრამ შვება ვერ ვიგრძენი. ყველაზე ნაკლებად ფრაუ ფრედებოილისა-  
გან მოველოდი გაწბილებას. მეგონა, გაუთავებელ ქადაგებას მოჰყვებოდა ქორ-  
წინებაზე, მისაყვედურებდა მარისადმი დამოკიდებულების გამო. ზოგჯერ იგი  
ისე იქცეოდა, როგორც ჭიუტი, მაგრამ მაინც სათნო დოგმატიკოსი. როცა ბონ-  
ში ჩამოვდიოდი და ვურეკავდი, ხშირად ხუმრობით მთხოვდა ხოლმე, ერთხელ  
კიდევ დამეხმარეთ სამზარეულოსა და ბავშვების ოთახის დალაგებაშიო. ეტ-  
ყობა, ან მე შევცდი მის შეფასებაში, ანდა ისევ ფეხმძიმედ და ცუდ გუნება-  
ზე იყო. არ მეყო სითამამე. კიდევ ერთხელ დამერეკა და მეკითხა, რა დაგემა-  
რთათ-მეთქი. ჩემ მიმართ იგი ყოველთვის თავაზიანი იყო და მისი საქციელ-  
ის ახსნა მხოლოდ იმით შემეძლო, ალბათ ფრედებოილმა დაუტოვა „ზუსტი  
ინსტრუქცია“ როგორ გავეწვილებინე. ხშირად მიმიქცევია ყურადღება იმ ამ-  
ბისათვის. რომ ცოლები ჭკუის დაკარგვამდე ლოიალურნი არიან თავიანთი ქმრე-  
ბისადმი. ფრაუ ფრედებოილი მეტისმეტად ახალგაზრდა იყო და ალბათ არ ჰქო-  
ნდა შეგნებულო, რა ძლიერ მატყენდა გულს მისი არაბუნებრივი სიცივე. მან  
არც ის იცოდა, რომ ფრედებოილი მხოლოდ კარიერისტი და ყბედი კაცი იყო  
და დაწინაურებისათვის არაფრის წინაშე არ დაიხევდა უკან, ხოლო თუ გზა-  
ზე გადაეღობებოდა, საკუთარ ბეზიასაც კი გათელავდა. ეტყობა, მან ცოლს



უთხრა: „შნირი უნდა ჩამოვიშოროთ“, და ფრაუ ფრედებოილმაც უბრალოდ მომიშორდა. იგი ხომ მორჩილი ცოლი იყო. ადრე, როცა ფრედებოილი ფიქრობდა, რამეში გამოვადგებოდი, მის ცოლსაც ჰქონდა უფლება კეთილად მომპყრობოდა, და ეს სავსებით შეესაბამებოდა მის ბუნებას. ახლა კი თავისი ბუნების საწინააღმდეგოდ უღმობლად უნდა მომპყრობოდა. იქნებ ორივეს უსამართლოდ ვწამებდი ცილს და ისე იქცეოდნენ, როგორც სინდისი უკარნახებდათ. მარი თუ ციუბფნერზე გათხოვდა, სხვის ცოლს ხომ არ შეშანვდრებდნენ, ცოდვას ხომ ვერ ჩაიდენდნენ. ხოლო ის გარემოება, რომ ციუბფნერი ფრედებოილისთვის საჭირო კაცი იყო ცენტრალურ კავშირში, რომელიც ფრედებოილს სჭირდებოდა, სინდისს სულაც არ უმძიმებდა მათ. ცხადია, კარგად და მართებულად უნდა მოიქცნენ მაშინაც, როცა ვილაცას თუ რალაცას მათთვის სარგებლობა მოაქვს. თვით ფრედებოილს ისე არ დაუწყვეტია გული ჩემთვის, როგორც მისმა ცოლმა დამწყვიტა. ფრედებოილის იმედი არასოდეს მქონია, არც ის ფაქტი გამკვირვებია, ახლა რომ ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს არჩევნებში ეხმარებოდა.

კონიაკის ბოთლი ისევ მაცივარში შევდგი და ამჯერად უკვე საბოლოოდ. უმჯობესია ყველა კათოლიკეს ჩამოვურეკო და მწვრჩე მათთან საქმეს. როგორღაც გამოვფხიზლდი, თან როცა სამზარეულოდან საერთო ოთახში გავვედი, აღარც კი ვკოჭლობდი.

წინკარში გარდერობი და ცოცხების სათავისი კარიც კი ჟანგისფერი იყო. კინკელთან დარეკვა სასიკეთოს არაფერს მიქადდა, მაგრამ მისი ნომერი მაინც ავკრიფე. კინკელი ყოველთვის ისე იქცეოდა, თითქოს ჩემი ხელოვნებით აღტაცებული იყო — საერთოდ ვისაც ჩვენი ხელობისა რამე გაეგება, იცის, სტენის მუშის უმნიშვნელო შექებაც კი მსახიობის გულს სიხარულით ისე ავსებს, რომ გასკდომას აღარაფერი უკლია. მინდოდა ქრისტიანი კინკელისათვის საღამოს სიმყუდროვე დამერღვია, გარდა ამისა, ერთი ფარული აზრიც არ მშორდებოდა. იქნებ მარის ადგილსამყოფელი გამიმხილოს-მეთქი. კინკელი მათი წრის თავკაცი იყო, თეოლოგიასაც სწავლობდა, მაგრამ შემდეგ ერთი ლამაზი ქალის გამო თეოლოგიაზე გული აიყარა და გადაწყვიტა იურისტი გამხდარიყო. ახლა მას შვიდი შვილი ჰყავდა და „ერთ-ერთ უნიჭიერეს სოციალ-პოლიტიკოსად“ მიაჩნდათ. იქნებ მართლაც ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ ამის განსჯასად შემეძლო. სანამ კინკელს გავიცნობდი, მარიმ წასაკითხად მომცა მისი ერთი ბროშურა „გზები ახალი წესრიგისაკენ“. წიგნი მომეწონა, წარმოვიდგინე, რომ კინკელი იყო მაღალი, ქერა, ფაქიზი მამაკაცი, მაგრამ გამაცნეს და სინამდვილეში იგი აღმოჩნდა პატარა, მსუქანი, ჯან-ლონით სავსე კაცი, ხოლო თმა შავი და ხშირი ჰქონდა. ვერაფრით ვერ დავიჯერე, რომ ეს კინკელი იყო. შეიძლება მის მიმართ იმიტომაც ვარ უსამართლო, რომ ისეთი გარეგნობა არ ჰქონდა, როგორც წარმომედგინა.

როცა მარი აღტაცებული ახსენებდა კინკელს, მოხუცი დერკუმი იტყოდა ხოლმე, „კინკელ-კოკტეილი“ ცვლადი შემადგენელი ნაწილების ნარევიად: მარქსი პლუს გუარდინი, ანდა ბლუა პლუს ტოლსტოი.

კინკელთან პირველივე სტუმრობაზე მე და მარი უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. მივედით მეტისმეტად ადრე, კინკელის შვილებს ერთი აღიქოთი ჰქონდათ, ბატებივით ყიყინებდნენ, დაობდნენ, ვახშმის შემდეგ სუფრა ვინ უნდა აალაგოსო და მათ ყიყინითვე აწყნარებდნენ. კინკელს ჯერ კიდ-



ევ არ ჰქონდა ლუკმა გადაყლაპული, მაგრამ მაინც გაღიმებული შემოგვეგება და სახედამანჭული ცდილობდა ჩვენი ნაადრევი სტუმრობით გამაწვეული გაღიზიანება დაეფარა. შემდეგ გამოჩნდა ზომერვილდი, იგი არაფერს არ ლეჰავდა, მხოლოდ კბილებდაკრეჭილი იფშვნეტდა ხელებს. ბენის სედრემეში ავად ჰყოდნენ კინკელის შვილები, რაც სრულიად არ ეგუებოდა კინკელის ღიმილს და ზომერვილდის კრეჭას. ერთხანს გვესმოდა, როგორ ულაწუნებდნენ ბავშვებს სილებს. — მხეცური ლაწანი — შემდეგ კარი მაგრად მიხურეს, მაგრამ მე ვიცოდი, მიხურულ კარს მიღმა ბავშვები ადრინდელზე უფრო ძლიერ კიოდნენ და წიოდნენ. მე მარის გვერდით ვიჯექი და აღელვებული სიგარეტს სიგარეტზე ვეწეოდი. სადღაც ოთახებში ამტყდარმა აურზაურმა სრულიად ამომავდო კალაპოტიდან. ზომერვილდი მარის ელაპარაკებოდა და სახეზე უცვლელი, „შეშფყნარებლური და ყველაფრის მიმტევებელი“ ღიმილი დასთამაშებდა. მას შემდეგ, რაც მე და მარი სახლიდან გავიქეციით, პირველად ჩამოვედით ბონში. მოწიწებისა და სიამაყისაგან აღელვებული მარი გაფითრებულიყო. კარგად მესმოდა მისი, ახლა მთავარი იყო, კვლავ შერიგებოდა ეკლესიას, ზომერვილდი მორიდებით ექცეოდა, ხოლო კინკელი და ზომერვილდი სწორედ ის ადამიანები გახლდნენ, რომელთაც მარი მოწიწებით შესცქეროდა თვალებში. მარიმ ჩემი თავი ზომერვილდს წარუდგინა და როცა ისევ დავსხედით, პრელატმა მკითხა:

— ხომ არ ენათესავენით მურა ნახშირის მომპოვებელ შნირებს?

ამგვარმა კითხვამ გამაბრაზა, მშვენივრად იცოდა, ვისაც ვენათესავენოდი. ბონში ბავშვმაც კი იცოდა, რომ მარი დერკუმი, რომელიც ღვთისმოსიშად ითვლებოდა, მურა ნახშირის მომპოვებელ ერთ-ერთ შნირთან ერთად გაიქცა სახლიდან „გამოსაშვები გამოცდების წინ“.

ზომერვილდისათვის პასუხი არ გამიცია, მან კი გაიცინა და მითხრა:

— ზოგჯერ ბაბუათქვენთან ერთად სანადიროდ დავდივარ, მამათქვენს კი ხანდახან ბონის კეთილშობილთა კავშირში ვხვდები, სადაც სკატს ვთამაშობთ.

ბრაზი ამ სიტყვებმაც მომგვარეს. არც ისეთი ბრიყვი იყო, რომ ეფიქრა, ამ ყმაწვილს უხეირო ნადირობასა და კეთილშობილთა კავშირზე სულელური ყბედობით თავს მოვაწონებო. თუმცა არც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, უხერხულობის გამო ეთქვას რამე, ბოლოს მეც ამოვიღე ხმა:

— სანადიროდ დადიხართ? მე კი მეგონა, კათოლიკე სასულიერო პირებს ნადირობა აკრძალული აქვთ.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა. მარი გაწითლდა, აღელვებული კინკელი ოთახში დარბოდა და კორპსაძრობს ეძებდა. კინკელის ცოლმა, რომელიც სწორედ ამ დროს შემოვიდა ოთახში, მარილიანი ნუში ზეთისხილიან მინის თეფშზე დაყარა. ზომერვილდიც გაწითლდა, რაც სრულიად არ უხდებოდა. სახე ისედაც საკმაოდ წითელი ჰქონდა.

— არ მეგონა, პროტესტანტი თუ ამდენად გათვითცნობიერებული იქნებოდა, — მითხრა მან წყნარად, მაგრამ მაინც ოდნავ გაღიზიანებულმა.

— პროტესტანტი არ გახლავართ, მაგრამ ამგვარი საკითხები მარის აინტერესებს და მეც ამიტომ მაინტერესებს, — ვუთხარი მე.

სანამ კინკელი ღვინოს გვისხამდა, ზომერვილდმა მითხრა:

— ყველა კანონს აქვს გამონაკლისი, ბატონო შნირ. ჩემი წინაპრები მთა-



ვარი მეტყვევები იყვნენ და ეს პროფესია მემკვიდრეობით მამიდან შვილზე გადადის.

მას რომ მხოლოდ „მეტყვე“ ეთქვა, გავუგებდი, მაგრამ მთავარი მეტყვე-  
ვეო, რომ თქვა, გუნება ისევ ამემღვრა. და მაინც ხმა არ ამომიღია. უკმაყოფი-  
ლება მხოლოდ სახეზე მეწერა. ამის შემდეგ თვალებით ლაპარაკზე გადავე-  
დი. ფრაუ კინკელმა თვალით ანიშნა ზომერვილდს: „თავი დაანებე ზომერვილ-  
დს, საშინლად ახალგაზრდაა“. ზომერვილდმა თვალებითვე უპასუხა: „ახალგა-  
ზრდაცაა და საკმაოდ უზრდელიც“. კინკელმა კი, რომელიც ღვინოს მისხამ-  
და, მე მითხრა თვალებით: „ღმერთო ჩემო, რა ახალგაზრდა ხართ ჯერ“, ხო-  
ლო მარის ჰკითხა:

— მამა როგორ ბრძანდება, ძველებურადაა, ხომ?

საბრალო მარი იმდენად გაფითრებული და დაბნეული იყო, რომ ხმა ვერ  
ამოიღო და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ამ დროს ზომერვილდმა თქვა:

— ჩვენი ძველი, სიკეთით სავსე, ღვთისმოსოში ქალაქი რა იქნებოდა  
ბატონ დერკუმის გარეშე.

ისევ მომერია ბრაზი. ბატონმა დერკუმმა მითხრა, ზომერვილდი კათოლი-  
კური სკოლის მოწაფეებს აფრთხილებს, მაგისგან კანფეტები და ფანქრები არ  
იყიდოთ.

— ბატონ დერკუმის გარეშე ჩვენი ძველი სიკეთით სავსე, ღვთისმოსო-  
ში ქალაქი კიდევ უფრო ბინძური იქნებოდა, — ვთქვი მე, — რაც არ უნდა  
იყოს, დერკუმი ფარისეველი მაინც არ არის.

კინკელმა გაოცებით შემომხედა, ჰიქა ასწია და თქვა:

— გმადლობთ, ბატონო შნირ, კარგი აზრი შთამაგონეთ სადღეგრძელო-  
სათვის, გაუმარჯოს მარტინ დერკუმს!

— მის სადღეგრძელოს სიამოვნებით დავლევ, — ვთქვი მე.

ფრაუ კინკელმა კვლავ თვალებით უთხრა ქმარს: „იგი მარტო ახალგაზრ-  
და და უზრდელი კი არა, უტიფარიც ყოფილა“. ვერაფრით ვერ გავიგე, რატომ  
ირწმუნებოდა მოგვიანებით კინკელი, „ჩვენი პირველი შეხვედრა იმ საღამოს  
ყველაზე სასიამოვნო იყო“. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდნენ ფრედებოილი,  
მისი საცოლე, მონიკა ზილვსი და ვილაც ფონ ზევერნი, ვის შესახებაც  
მის მოსვლამდე ითქვა, მართალია, რჯული შეიცვალა, გაკათოლიკდა, მაგრამ  
მაინც უწინდებურად დაახლოებულია სოციალ-დემოკრატებთან. ეს ამბავი  
რატომღაც ჰკუთის დასაკარგავ სენსაციად მიიჩნიეს. ფრედებოილი პირველად  
იმ საღამოს გავიცანი და მასთანაც ისეთივე ურთიერთობა დავამყარე, როგორც  
სხვებთან. მიუხედავად ყველაფრისა, ყველანი სიმპათიურ კაცად მთვლიდნენ,  
მე კი ასევე მიუხედავად ყველაფრისა ყველას არასიმპათიურ ადამიანებად ვთვ-  
ლიდი გარდა ფრედებოილის საცოლისა და მონიკა ზილვსისა. რაც შეეხება ფონ  
ზევერნს, იგი არც სიმპათიური მეჩვენებოდა და არც ანტიპათიური. მოსაწყე-  
ნი კაცი იყო, ეტყობა, მტკიცედ გადაეწყვიტა, საბოლოოდ დამშვიდებულიყო  
იმ სენსაციური ფაქტის შემდეგ, რჯული რომ შეიცვალა და მაინც გერმანიის  
სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი დარჩა. იგი იღიმებოდა, თაფლად იღ-  
ვრებოდა, ხოლო მე ოდნავ გადმოკარკლული თვალები თითქოსდა ამბობდნენ,  
„შემომხედეთ, ეს მე ვარ!“ ჩემი აზრით, ფონ ზევერნი ცუდი კაცი არ უნდა  
ყოფილიყო. ფრედებოილი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ჩემდამი,  
თითქმის სამი მეოთხედი საათი მელაპარაკა ბეკეტსა და იონესკოზე, გაუთავე-



ბლად ლაუბობდა და მე შივხვდი, ყველაფერი, რასაც ამბობდა, აქა-იქ ჰქონდა ამოკითხული. ფრედებოილს გადატყეცილი, ლამაზი, დიდპირიანი სახე ნეტარებისაგან გაუბრწყინდა, როცა ბრიყვულად ვაღიარე, ბეკეტი არ წამოკითხავს-მეთქი. ყველაფერი, რასაც ამბობდა, იმდენად ნაცნობი მეჩვენებოდა, თითქოს სადღაც უკვე ამომეკითხა. კინკელი ფრედებოილს აღტაცებით შესტყეპინებდა თვალეში, ზომერვილდი კი ირგვლივ იყურებოდა და თვალეზით ამბობდა: „რაო, ჩვენ, კათოლიკეები, ვისზე ნაკლები ვართ“. ყველაფერი ეს ხდებოდა მანამდე, ვიდრე ლოცვას დაიწყებდნენ.

— ოდილო, მე მგონია, შეგვიძლია დავიწყოთ ლოცვა, ჰერიბერტი ალბათ დღეს არ მოვა, — თქვა ბოლოს კინკელის ცოლმა.

უეცრად ყველა მარის მიაჩერდა და მაშინვე სწრაფად მოაშორეს მზერა: ვერ გავიგე, რა იყო ამ დამთრგუნველი ღუმელის მიზეზი — მე მხოლოდ მოგვიანებით, ჰანოვერის სასტუმროს ნომერში ამეხილა თვალი, მაშინ მივხვდი უეცრად, ციუპფნერს ჰერიბერტი რომ ერქვა. მოგვიანებით ციუპფნერი მაინც მოვიდა. ლოცვა უკვე დამთავრებული ჰქონდათ და ახლა გაცხარებული მსჯელობდნენ იმ საღამოსთვის შერჩეულ თემაზე. მომეწონა მარის საქციელი: ციუპფნერმა როგორც კი ზღურბლს გადმოაბიჯა, მარი შეეგება, თვალეში შეხედა და მხრები უმწეოდ აიჩეჩა. ციუპფნერი ყველას ღიმილით მოგვესალმა და ჩემ გვერდით დაჯდა. ამის შემდეგ ზომერვილდმა ამბის მოყოლა დაიწყო: ერთი კათოლიკე მწერალი დიდხანს ცხოვრობდა ერთ ქმარგაყრილ ქალთან და როცა ბოლოს და ბოლოს შეირთო, ერთმა გავლენიანმა პრელატმა ასეთი რამ უთხრა: „ძვირფასო ბეზევიც, რა გრჯიდათ, ნუთუ ჯვარდაუწერლად ცხოვრება არ შეგეძლოთ?“ ამ ამბავზე ყველას გაეცინა, იცინოდნენ თავშეუკავებლად, ხოლო ფრაუ კინკელი უხამსადაც კი. ერთადერთი, ვისაც არ გაუცინია, ციუპფნერი იყო და ამიტომ მისდამი სიმპათიით განვიმსჯვალე. გაცინებით არც მარის გაუცინია. ცხადზე ცხადი იყო, ეს ამბავი ზომერვილდმა იმიტომ გვიამბო, რომ ჩემთვის დაენახვებინა, რა დიდსულოვანი, თბილი, გონებამახვილი და ფართო ბუნებისაა კათოლიკური ეკლესია. ისინი არც კი დაფიქრებულან იმაზე, რომ მე და მარი დაუქორწინებლად-ვეცხოვრობდით. ამის შემდეგ მე ვუამბე მათ ერთი მუშის ამბავი. ის მუშა ჩვენი კარის მეზობელი იყო, გვარად ფრელინგენი, ისიც ხელმოუწერლად ცხოვრობდა გარეუბანში ერთ ქმარგაყრილ ქალთან და მის სამ შვილს არჩენდა. ერთ დღეს ფრელინგენთან მღვდელი მივიდა და სრულიად სერიოზულად, მუქარითაც კი მოსთხოვა, უზნეო ცხოვრებაზე ხელი აეღო. ფრელინგენმა, რომელიც ღვთისმოსაში იყო, ის ლამაზი ქალი და მისი სამი შვილი სახლიდან გააგდო. მოვეყვი ისიც, რაც შემდეგ მოხდა: შვილები რომ ერჩინა, ქალი გაროსკიპდა, ფრელინგენი კი გალოთდა, რადგან ის ქალი მართლა უყვარდა. ისევე, როგორც ყოველთვის, როცა მე რამეს ვამბობდი, ამჯერადაც დამთრგუნველი სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ზომერვილდმა გაიცინა და მითხრა:

— ბატონო შნირ, განა შეიძლება ამ ორი ამბის შედარება?

— რატომაც არა, — ვუპასუხე მე.

— თქვენ რომ ბეზევიცს იცნობდეთ, ამას არ იტყოდით, — მითხრა გააფთრებულმა, — ქრისტიან მწერალთა შორის, ვისაც კი ჩვენ ვიცნობთ, ბეზევიცი ყველაზე ფაქიზი გრძნობების კაცია.

უეცრად მეც გავცოფდი და ვუთხარი:



— და განა თქვენ იცით, რა ფაქიზი გრძნობები ჰქონდა ფრელინგენს და რა ქრისტიანი მუშა იყო.

მან მხოლოდ თავი გააქნია, შემომხედა და სასოწარკვეთილმა ხელები ცისკენ აღაპყრო. საუბარი შეწყდა, მხოლოდ მონიკა ზილესის ხელები ისმოდა დროდადრო. თუმცა სანამ ფრედებოილი ჩვენთან იყო, მასპინძელს ვერ უნუ და შინებოდა საუბრის შეწყვეტის. ფრედებოილი მაშინვე შეიჭრა ხანძარს და დუმბილში, საღამოსათვის შერჩეულ თემას დაუბრუნდა და დაახლოებით საათნახევარი ილაპარაკა იმაზე, თუ რა შედარებითია სიღარიბის ცნება. ბოლოს კინკელსაც მიეცა შესაძლებლობა, მოეყოლა ანეკდოტი იმ კაცზე, ვისაც უსაშველოდ უჭირდა, ვიდრე თვეში ხუთასიდან სამი ათას მარკამდე იღებდა. ციუბფნერმა სიგარეტი იმიტომ მთხოვა, რომ სირცხვილით გამოწვეული სიწითლე თამბაქოს კვამლით დაეფარა.

როცა უკანასკნელი მატარებლით კიოლნში დავბრუნდით, მეც ისევე ცუდად ვგრძნობდი თავს, როგორც მარი. ძლივს შევაგროვეთ ბონში გასამგზავრებელი ფული, მარი იმ საღამოზე დიდ იმედებს ამყარებდა და არ უნდოდა მიპატიყებაზე უარი გვეთქვა. მარტო სულიერად კი არა, ფიზიკურადაც ცუდად ვგრძნობდით თავს, რადგან ჭამით თითქმის არაფერი გვიჭამია, დალევით კი იმაზე მეტი დავლიეთ, რისი თავიც გვქონდა. გზა უსასრულო გვეჩვენა და როცა კიოლნის დასავლეთ სადგურზე გადმოვედით, შინ ფეხით წავედით, ტრანსპორტის ფული არ გვქონდა.

დავრეკე თუ არა კინკელის ბინაში, ვილაც მაშინვე მოვიდა ტელეფონთან.

— ალფრედ კინკელი გისმენთ, — მომესმა თავდაჯერებული ბიჭის ხმა.

— შნირი გახლავართ, — ვუთხარი მე, — შეიძლება მამათქვენთან დამალაპარაკოთ?

— რომელი შნირი ბრძანდებით, თეოლოგი თუ კლოუნი?

— კლოუნი, — ვუპასუხე მე.

— აჰ, — მითხრა მან, — იმედია, ამ ამბავს მძიმედ არ განიცდით.

— მძიმედ? — ვკითხე დაღლილმა, — კი მაგრამ, რას არ უნდა განვიცდიდე მძიმედ?

— გაზეთი არ წაგიკითხავთ?

— რომელი გაზეთი?

— „ბონის ხმა“, — მითხრა მან.

— მკაცრად მაკრიტიკებენ? — ვკითხე მე.

— ო, მე თუ მკითხავთ, ეს უკვე დასამარებას უდრის, ხომ არ გინდათ მოვიტანო და ხმამალლა წაგიკითხოთ?

— არა, გმადლობთ, — ვუპასუხე მე. ბიჭის ხმაში მკაფიოდ ისმოდა სადისტური ბგერები.

— გაზეთს მაინც უნდა გადაავლოთ თვალი, ჭკუის სასწავლებლად გამოგადგებათ.

ღმერთო ჩემო, პედაგოგიური მიდრეკილებებიც ჰქონია, გავიფიქრე მე.

— ვისი წერილია?

— ვილაც ქოსთერთისა, — მიპასუხა მან, — ეტყობა, ჩვენი კორესპონ-



დენტია რურის ოლქში. წერილი ბრწყინვალედაა დაწერილი, მაგრამ თვითონ ავტორი სულმდაბალი ყოფილა.

— გასაგებია, იგი ხომ ქრისტიანია.

— თქვენ არა?

— არა. — ვუპასუხე მე. — დარწმუნებული ვარ, მაშინვე დაშორდებით.

— გვთხოვა. ნუ შემაწუხებთო, მაგრამ თქვენი გულისათვის სიამოვნებით შევაწუხებ.

პირველი შემთხვევა იყო, რომ სადიზმი გამომაღგა.

— გმადლობთ, — ვუთხარი მე.

გავიგონე, როგორ დადო მაგიდაზე ყურმილი, როგორ გაიარა ოთახში, შემდეგ კი ბინის სიღრმიდან ისევ მომესმა გაბოროტებული სისინი. ისეთი ვრძნობა დამეუფლა; თითქოს გველების ოჯახში ჩხუბი ატყდა: ორი მამალი და ერთი დედალი გველი ერთმანეთს დაერჩვნენ. ყოველთვის ვწუხვარ, როცა ჩემდაუნებურად მოწმე ვხდები ისეთი ამბებისა, ჩემი ყურებისა და თვალებისათვის რომ არაა განკუთვნილი და არც ტელეფონით სუნის შეგრძნების მისტიკური უნარი მანიჭებს სიხარულს, რადგან ესეც ტვირთია. კინკელის ბინაში ხორცის ნაწარშის ისეთი მძაფრი სუნი იდგა, თითქოს ხარი მოეხარშოთ. სისინი თანდათან ძლიერდებოდა და ვილაციის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. სადაცაა ან ვაყიშვილი მოკლავს მამას ან დედა ვაყიშვილს. გამახსენდა ლაოკოონი და ის ამბავი, რომ მთელი ეს აყალმაყალი (მესმოდა ხელჩართული ჩხუბის ხმა, წივილ-კივილი, წამოიახილები: „საზიზღარო მხეცო“, „უგულო ლორო“) ხდებოდა იმ კაცის სახლში, ვისაც გერმანული კათოლიციზმის „რუხ კარდინალს“ უწოდებდნენ, ჩემთვის დიდად სასიხარულო არ იყო. გამახსენდა გათახსირებული ბოხუმელი ქოსთერთი, რომელიც მთელი გუშინდელი საღამო ალბათ ტელეფონზე ეკიდა და გაზეთის რედაქციას თავისი წერილის ტექსტს უკარნახებდა, ამ დილით კი ჩემი ოთახის კარს თავმოჭრილი კატასავით ფხაჭნიდა და კეთილ ქრისტიანად მოჰქონდა თავი.

ეტყობა, კინკელი შვილს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ხელებითა და ფეხებით უწევდა წინააღმდეგობას, რომ ტელეფონთან არ მოსულიყო. მისი ცოლი კი — ამას ოთახში ატეხილი ხმაურისა და მიხვრა-მოხვრის მიხედვით ვხვდებოდი — კიდევ უფრო სასტიკი წინააღმდეგი იყო ამისა. მაგრამ მათი ვაყიშვილიც სასტიკ უარს ამბობდა ეთქვა ჩემთვის, შევცდი, მამა შინ არ არისო. უეცრად სრული სიჩუმე ჩამოვარდა, ასეთი სიჩუმე იცის, როცა ვინმე სისხლისაგან იცლება. ეს სიჩუმე მართლაც იცლებოდა სისხლისაგან. ამ დროს მძიმე ნაბიჯების ხმა მომესმა, გავიგონე, როგორ აიღო ვილაცამ მაგიდიდან ყურმილი, მაგრამ მეგონა, იმ წამსვე დაკიდებდა. კარგად მახსოვდა, სად იდგა კინკელის ბინაში ტელეფონი. ბაროკოს სტილის სამი მადონადან ზუსტად ერთ-ერთის ქვეშ. ამ მადონას კინკელი ყველაზე იაფფასიანს ეძახდა. ლამის ვნატრობდი, ყურმილი დაეკიდა. კინკელი მეცოდებოდა, რადგან მისთვის ახლა ჩემთან ლაპარაკი ხომ საშინელება იქნებოდა. პირადად მე ამ ლაპარაკისაგან არაფერს მოველოდი, არც ფულს და არც სასარგებლო რჩევას. ჩემამდე რომ აქოშინებულ ხმას მოედწია, კინკელი შემეცოდებოდა, მაგრამ მისი ხმა ახლაც ისეთივე მჭექარე და ენერგიული იყო, როგორც ყოველთვის. ერთხელ ვილაცამ მისი ხმა მებუყეთა მთელ ბატალიონს შეადარა.





— ალო, შნარ, — არობროხდა იგი, — დიდებულად მოიქეცით, რომ და-  
მირეკეთ.

— ალო, დოქტორო, — ვუთხარი მე, — შავ ღღეში ვარ.

გესლი მე მხოლოდ სიტყვა დოქტორში ჩაეაქსოვე, რადგან <sup>იგი ისეთივე</sup>  
ახალგამოჩენილი დოქტორი იყო, როგორც მამაჩემი. <sup>ქრისტიანული</sup>

— შნარ, — მითხრა მან, — განა ჩვენ ისეთი ურთიერთობა გვაქვს, რომ  
ბატონი დოქტორი მიწოდოთ?

— წარმოდგენა არა მაქვს, (როგორი ურთიერთობა გვაქვს, — ვუთხარი  
მე.

მან მეტისმეტად მჭექარედ გაიცინა: ვიტალურად, ენერგიულად, კათო-  
ლიკურად, „ბაროკოს სიხალისე“ მენიშნა.

— ძველებურად მომწონხართ, — მითხრა მან.

ძნელი დასაჯერებელი იყო. მისი აზრით, ალბათ ისე ძალიან დავეცი, რომ  
ხელისკვრა აღარ ღირდა — მეტი რაღა უნდა მომსვლოდა.

— თქვენ ახლა კრიზისს განიცდით. — მითხრა მან, — მაგრამ ეგ არაფე-  
რია. ჯერ ახალგაზრდა ხართ. მოერიეთ საკუთარ თავს და ყველაფერი მოგვარ-  
დება.

სიტყვებმა „მოერიეთ საკუთარ თავს“ ჩვენი მოსამსახურე ანა და მეცხრე  
ქვეითი პოლკი გამახსენა.

— რას გულისხმობთ? — ვკითხე რბილად.

— რას და, თქვენს ხელოვნებას, თქვენს კარიერას, — მითხრა მან.

— ამაზე სულ არ მიფიქრია, — ვუთხარი მე, — როგორც მოგეხსენე-  
ბათ, ხელოვნებაზე პრინციპულად არ ვლაპარაკობ, კარიერაზე კი მით უმეტ-  
ეს. მე სხვა რამ მაინტერესებს... მე მინდა... მე ვეძებ მარის.

მას რაღაცნაირი გაურკვეველი ბგერები აღმოხდა ღრუტუნისა და ბოყი-  
ნისმაგვარი. ბინის სიღრმიდან კვლავ მოისმა სისანი, მაგრამ უფრო ყრუდ.  
კინკელმა ყურმილი მაგიდაზე დადო და მცირე ხნის შემდეგ ისევ აიღო, მისი  
ხმაც უფრო დაბალი და ყრუ მომეჩვენა. მივხვდი, პირში სიგარა ჩაიღო.

— შნარ, — მითხრა მან, — გადაუსვით წარსულს ხაზი, თქვენი აწმყო  
თქვენს ხელოვნებაშია.

— წარსულს? — ვკითხე მე, — ერთი სცადეთ და წარმოიდგინეთ, რომ  
თქვენი ცოლი სრულიად მოულოდნელად სხვასთან გაიქცა.

იგი დუმდა და რატომღაც მომეჩვენა, თითქოს მეუბნებოდა, ნეტავ გაქ-  
ცეულიყო. შემდეგ კი ტუჩების წკლაპუნით სიგარა მოჭაჩა და მითხრა.

— ჯერ ერთი მარი თქვენი ცოლი არ იყო, მეორეც მასთან შვიდი შვილი  
არ გაგიჩენიათ.

— მაშასადამე, ჩემი ცოლი არ იყო, არა? — ვკითხე მე.

— ნუ აყვებით ანარქისტულ რომანტიზმს, კაცი არა ხართ, — მითხრა  
მან.

— დალახვროს ეშმაკმა, — ვთქვი მწყრალად, — სწორედ იმიტომ მიჭ-  
ირს, მამრობით სქესს რომ ვეკუთვნი... რაც შეეხება შვილებს, შვილი შვილ-  
ის გაჩენას რა დაუდგება წინ. მარი მხოლოდ ოცდახუთი წლისაა...

— ჩემი აზრით კაცი ის არის, — მითხრა მან, — ვინც ყველაფერს უძ-  
ლებს.

— ეს აზრი მეტისმეტად ქრისტიანულია, — ვუთხარი მე.



— ღმერთო, ნუთუ თქვენ უნდა მასწავლოთ, რა არის ქრისტიანული?

— დიას, — ვუპასუხე მე, — რამდენადაც ვიცი, კათოლიკური ეკლესიის თვალსაზრისით ცოლი და ქმარი სულით და ხორციით ერთნი არიან.

— მართალი ბრძანდებით.

— ვთქვათ, ქალ-ვაჟი ორჯერ და სამჯერაც დაქორწინდეს, მაშინვე თუ საეკლესიო წესების დაცვით, მაგრამ სულით და ხორციით ერთნი არ არიან, გამოდის, ცოლ-ქმარი არ ყოფილან.

— ჰმ, — აღმოხდა მას.

— მომისმინეთ, ბატონო დოქტორო, — ვუთხარი მე, — თუ არ გაგიძნელებათ, სიგარას ხომ არ გამოიღებდით პირიდან. ყველაფერი ისე უღერს, გეგონება, აქციების კურსზე ვსაუბრობთო. თქვენი ტუჩების წკლაპუნი რატომღაც ამაზრზენად მოქმედებს ჩემზე.

— ეს უკვე მეტისმეტია, — მითხრა მან, მაგრამ სიგარა პირიდან მაინც გამოიღო. — დაიხსომეთ, ამ საქმეზე როგორც გინდათ ისე იფიქრეთ, ეს თქვენი საქმეა, მაგრამ ფროილიან დერკუმი სხვაგვარად ფიქრობს და ისე იქცევა, როგორც საკუთარი სინდისი უკარნახებს. შემძლია ისიც გითხრათ, რომ სწორედაც იქცევა.

— თუ ასეა, თქვე ბილწო კათოლიკებო, რატომ არც ერთი თქვენგანი არ მეუბნება, სად არის მარი, რატომ მიმაღავთ?

— თავს სასაცილოდ ნუ იხდით, შნირ, შუა საუკუნეებში როდი ვცხოვრობთ.

— ჯობდა შუა საუკუნეებში გვეცხოვრა, — ვუთხარი მე, — მაშინ მე მას ხასად დავისვამდი და სინდისის მარწუხებით სულს ვერ ამოხდიდით, მაგრამ არაფერია, მარი მაინც დაბრუნდება ჩემთან.

— თქვენს ადგილას მე ასე თავდაჯერებული არ ვიქნებოდი, შნირ, — მითხრა კინკელმა. — ცუდია, მეტაფიზიკური აზროვნება რომ თქვენთვის ორგანულად უცხოა.

— მარის არაფერი უჭირდა მანამდე, სანამ მხოლოდ ჩემს სულზე ზრუნავდა, მაგრამ თქვენ შთააგონეთ, რომ საკუთარ სულზეც უნდა იზრუნოს და მას შემდეგ ყველაფერი შეტრიალდა. ახლა მე, ე. ი. კაცი, ვისთვისაც ორგანულად უცხოა მეტაფიზიკური აზროვნება, მის სულზე ვზრუნავ. ნამდვილი ცოდვილი მხოლოდ მაშინ გახდება, როცა ციუბფენერს ცოლად გაჰყვება. თქვენი მეტაფიზიკისა ამდენი მაინც გამეგება: რასაც ახლა მარი სჩადის, უზნეობა და მრუშობაა, ხოლო პრელატი ზომერვილდი მაჭანკლის როლს თამაშობს.

კინკელმა გაცინება კი შეძლო, მაგრამ არა ისე მჭექარედ.

— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჰერიბერტი გერმანული კათოლიციზმის საერო მღვდელმთავარია, ხოლო პრელატი ზომერვილდი — საეკლესიო, თქვენი სიტყვები მართლაც სასაცილოდ უღერს.

— თქვენ კი კათოლიციზმის სინდისი ხართ, — ვუთხარი გაცოფებულმა, — ამავე დროს კარგად იცით, რომ მე მართალი ვარ.

ერთხანს დუმდა და თავის სახლში, ვენუსბერგზე, ბაროკოს ყველაზე იაფფასიანი მადონას ქვეშ იდგა და ქშინავდა.

— თქვენ განსაცვიფრებლად ახალგზრდა ხართ და მშურს თქვენი...

— მოეშვით ჩემს ახალგაზრდობაზე ლაპარაკს, დოქტორო, ნუ განცვიფ-



რღებით და ნურც გშურთ ჩემი. თუ მარი არ დამიბრუნდება, თქვენს ყველაზე მაცდუნებელ პრელატს სიცოცხლეს გამოვასალმებ, უბრალოდ მოვკლავ. განვუცხადე პირდაპირ, — რადგან დასაკარგი აღარაფერი მაქვს.

მას არაფერი უპასუხია და მე მივხვდი, სიგარა ისევ ჩაიდო პირში.

— ჩემთვის გასაგებია, — ვუთხარი მე, — რომ ახლა თქვენს სინდისში გამალებით მუშაობს. მე რომ ციუპტენერი მოვკლა, კმაყოფილი დარჩებით: მას არ უყვარხართ, თანაც თქვენთვის მეტისმეტად მემარჯვენია. სამაგიეროდ პრელატი ზომერვილდია თქვენი საყრდენი რომში, სადაც რატომღაც თქვენ მემარცხენედ გთვლიან, რაც ჩემი არაკომპეტენტური აზრით, უსამართლობაა.

— ამოიგდეთ თავიდან ეგ სისულელები, შნირ, რა დაგეპარათ ასეთი?

— კათოლიკეები ნერვებს მიშლიან, — ვუპასუხე მე, — სინდის-ნამუსი არ გააჩნიათ.

— პროტესტანტები? — მკითხა მან სიცილით.

— საკუთარ სინდის-ნამუსზე იმდენს მიედ-მოედებიან, დაგაოსებენ.

— ათეისტები? — იგი ისევ იცინოდა.

— ათეისტები მოსაწყენი ხალხია, მუდამ ღმერთზე ლაპარაკობენ.

— თქვენ, თქვენ ვილა ხარო. შნირ?

— მე კლოუნი გახლავართ და თანაც იმაზე უკეთესი, ვიდრე ამქამად სახელი მაქვს. ამქვეყნად არსებობს ერთი კათოლიკე არსება, რომელიც აუცილებლად მჭირდება, — ეს გახლავთ მარი და მაინცდამაინც ის წამართვით.

— სისულელეა, შნირ, — მითხრა მან, — ეგ „მოტაცების თეორია“ ამოიგდეთ თავიდან. ჩვენ მეოცე საუკუნეში ვცხოვრობთ.

— საქმეც ეგაა, — ვუთხარი მე, — მეცამეტეში რიგიანი კარის მასხარა ვიქნებოდი და კარდინალებსაც კი არ შეაწუხებდათ ის ამბავი, შევირთავდი მარის თუ არა. ახლა ყველა კათოლიკე ერისკაცი მის საბრალო სინდისს ქენჯნის და სულელური ფარატინა ქაღალდის გამო ლალატსა და გარყვნილებისაკენ უბიძგებს. მართლა, დოქტორო, თქვენი მადონებისათვის მეცამეტე საუკუნეში შეგაჩვენებდნენ და ეკლესიისაგან მოგკვეთდნენ. ძალიან კარგად მოგეხსენებათ, რომ ისინი ბავარიისა და ტიროლის ეკლესიებიდან მოიბარეს, ჩემგან არ გესწავლებათ, რომ ეკლესიის გაძარცვა ღღესაც საკმაოდ მძიმე დანაშაულად ითვლება.

— მომისმინეთ შნირ, — მითხრა მან, — თქვენ უკვე ჩემს პიროვნებას ეხებით, ამას კი არ მოველოდი.

— თქვენ წლების მანძილზე აფათურებთ ხელს ჩემს პირად ცხოვრებაში და როცა მე სხვათა შორის უფლება მივეცი ჩემს თავს, მცირე რამ შემენიშნა და თქვენთვის არასასიამოვნო სიმართლე მეთქვა — ცოფდებით აბა, დამაცადეთ, ფულს ვიშოვი, დაეჭირავენ კერძო დეტექტივს და იგი უთუოდ დაადგენს, საიდან მოხვდა თქვენს ხელში მადონები.

კინკელი აღარ იცინოდა. მხოლოდ ჩაახველა და მენიშნა, ჯერ კიდევ ვერ მიხვედრილიყო, რომ არ ვეხუმრებოდი.

— დადეთ ყურმილი კინკელ, — განვაგრძე მე, — დადეთ ყურმილი, თორემ საარსებო მინიმუმს გაგიხსენებთ. თქვენ და თქვენს სინდისს კარგ საღამოს გისურვებთ.

მაგრამ იგი მაინც ვერაფერს მიხვდა და ყურმილის დადება ისევ მე მომიწია პირველს.





თარგმნა გვსიმ ხარანაულვა

### ჩვენი ეპოქის ადამიანი

ჩემს თვალწინ ისტორიაა  
ათას ჭირის და ვარამის,  
გამოიარა მრავალი  
შავბედობა და წკვარამი  
ადამიანმა!  
და თითქოს  
ვიღაცამ ბრძანა: ეყოფა!  
და დაიბადა ახალი  
დიდხნის ნანატრი ეპოქა,  
მშვიდია ადამიანი  
დღეს,  
თუმც არ იცის სად მიდის,  
არ იცის ხვალე როგორი  
წამოეწევა ამინდი,  
საზრუნავი აქვს მრავალი  
და ეს ეტყობა სახეზეც,  
მაინც იმის სულს დიდების  
მოყვარეობა აქეზებს...  
დროს ეჯიბრება  
და მთვარეც  
თავის ნაბიჯით დაქარგა  
მაგრამ დაქარგა სიმშვიდღე,

მოცალეობა დაქარგა,  
და დაივიწყა,  
დრო იყო  
როს ლუკმა ენატრებოდა,  
სიცივით გაღვიძებული  
სოროდან გამოძვრებოდა  
და სხვის სიმდიდრეს შესტრფოდა,  
ითმენდა რბევას, თარეშებს  
და ჩვეულებრივ ცხოვრობდა —  
ბედნიერების გარეშე...  
თავისუფლებას შესტრფოდა,  
ის ჰყავდა უპირველესი  
და სისხლიც ბევრი გაიღო  
გლეხის, მუშის და მელექსის.  
ახლა კი თვითონ გადადდა  
თავის ჯილაგით, გვარტომით,  
კეთილდღეობით, კომფორტით,  
ინდუსტრიით და ატომით...  
აი, თურმე რას ეიბრძოდით,  
აი, თურმე რას ვნატრობდით:  
მხოლოდ ჩვენ ვყოფილიყავით  
ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი!

### „მოგონება“

ათი წელია დავტოვე  
მე ჩემი სოფლის წყალ-ქალა  
და დარდი ძველი სახლისა

გულს გამჩხერია სამსჭვალად.  
ის ბილიკები გამჭრალა  
მე რომ ვთულავდი აკვნიდან



და გზები ჩემგან თელილი  
 ბალახებისგან დაკნინდა.  
 ხეზე ამოჭრილ სახელსაც  
 შეზრდია ნაწიბურები  
 და ბავშვობისკენ სიბერის  
 ფლატედან გავიყურები.  
 არც ძველი ხიდი, არც ხალხი,  
 სუყველაფერი შეცვლილა  
 და გზაზე ვინც შემეყარა  
 უცნობებია მეტწილად.  
 დრო გარბის ჭეირანივით,  
 დრო ერთ ადგილზე არა დგას,  
 ხან სიყვარულმა ამზიდა,

ხან დამამდაბლა ლალატმა.  
 ავი ზნისაა სიბერე,  
 ვერსად ვერ დაეძალები,  
 მაგრამ ცისაკენ წასულან  
 ჩემი დარგული ალვები...  
 წასულხარ ახალგაზრდობავ,  
 მიხმობ სიბერის ჩეროდახ,  
 მინდოდა შენგან სახსოვრად  
 რაიმე შემომრჩენოდა,  
 მაგრამ წაიღე ყოველი,  
 ჯანიც, დაფიც და ნალარაც,  
 გულსევდიანი დაძაგდე  
 მოგონებების ამარა.



აღწივი

არწივი მწვერვალებისკენ  
 იჩქარის თვალანთებული,  
 — მთაში რა დაგრჩა, არწივო,  
 იქ რა სამოთხე გეგულვის...  
 ჩამოჯექ წუთით გვეჩვენე  
 ფრთა ფრთაზე დალაგებული.  
 სულ ფრენა, სწრაფვა.  
 სიმაღლე.

ზეცაში მეკობარობა,  
 მუდამდღე ქართან ჭიდილი,  
 მუდამდღე მემთაბარობა,  
 გაჭრილხარ შენი სახლიდან,  
 უცხო, ყარიბი, ხიზახი,  
 ღრძოლაა შენი სიცოცხლე  
 და სწრაფვა შენი მიზანი.

— მშვიდობით!  
 გამომეთხოვე,  
 მაგრამ ვაი ჩემს მშვიდობას,  
 ველარაფერი გამიწევს  
 მე ცრემლის ზღვაზე ხიდობას.  
 შეღამებისას ნაპოვნი  
 გამთენიისას დაგკარგე,  
 ვინ აჰკეცს ჭეირანის კვალს,  
 ვინ წაშლის ზეცის ნაქარგებს...  
 ჩემს თავს ვერ გავფრთხილებივარ  
 სხვათა გულისთვის მზრუნველი,  
 ახალმა დარღმა რა მოძცეს  
 არცა რისა ვარ მსურველი...  
 — მშვიდობით!

გამომეთხოვე,  
 მაგრამ ვაი ჩემს მშვიდობას,  
 ველარაფერი გამიწევს  
 მე ცრემლის ზღვაზე ხიდობას...  
 მშვიდობით...  
 მაგრამ რა გითხრა,  
 აბა რალა მაქვს სათქმელი,  
 შენთვის თუ მაინც გაიღო  
 ბედნიერების სარკმელი!  
 ენატრი,  
 ბედი ჩემგვარი  
 ღმერთმა თავს შენსას აცოლოს,  
 ვის უნაწილებ სიყვარულს,  
 შენ, ჩემი გულის ნაწილო!





თარგმნა გივი აღმაშენებელი

### ქანდაკების სიზღვრა

ვინ შემოიყვარებს, ჩემთვის ვინ შეძლებს  
დათმოს სიცოცხლე ნასათუთები  
და გადაეშვას ბორგნეულ ზღვაში...  
მე გავიღვიძებ მარტოდენ მაშინ  
და სიცოცხლეში კვლავ დავბრუნდები.

ქვა ხომ მუნჯია და მენატრება  
ძარღვები სისხლმა რომ აამღეროს,  
მტანჯავს სურვილი დაუფარავი,  
არ აღმოჩნდება ნუთუ არავინ,

რომ სასიცოცხლო სული შთამბეროს?!

თუ კი ოდესმე მართლა გავცოცხლდი,  
სიცოცხლის განძით ვიქმენ მდიდარი,  
მწუხრის ცრემლები თვალს გამინათებს,  
რადგან ქვადყოფნას ისევ ვინატრებ,  
რად მინდა სისხლი ღვინოდ მდინარი?!

იგი ხომ ზღვიდან ვერ გამოიხმობს,  
ვისაც ყველაზე მეტად ვუყვარდი.

### ხარება

(ანგელოზის სიტყვები)

შენ ჩვენზე ახლოს უფალთან არ ხარ,  
იგი შორს არის, უფლის ნებას ვერვინ წაუვალთ,  
მაგრამ შენს ხელის მტევნებს რომ ვნახავ —  
კურთხეული ხარ, ვგრძნობ, სასწაულად.

მწიფე სხივებით და სინარნარით  
ნათელს მოაფენ, ისე გაივლი,  
მე დღე ვარ ვრცელი, მე ვარ ცვარნამი,  
ხოლო შენ ხე ხარ — გითრთის ყვავილი.

გადავიღალე, შენს სახლამდე გზა შორეული  
გამოვიარე, დამავიწყდა, ველარ გაჩუქე,  
მისი ნათქვამი ცის ოქროში ვინც შერეულა,  
ვინც მზეშია და მზესვე აშუქებს.

რაც დამაბარეს დამავიწყდა, ვერას გავბედავ,  
ოთახის სივრცემ დამაბნია, გონი წამართვა,



ო, ფიქრიანო, აქ უცხო ვარ და ახალბედა,  
შენ ხარ შრიალი და სურნელი იასამანთა.

ფრთები გავშალე, რადგან შენკენ უნდა მეფრიხა,  
გავცდი სივრცეებს, მოველ შენს კართან  
და შენს სახლაკში მიმოეფინა  
ჩემი დიადი სამოსის კალთა.



როგორც არასდროს შენ ხარ მარტოკა,  
მეც ძლივს შემნიშნე. ჩემს ქროლვას რომ თვალი შეავლე  
მე ის ქროლვა ვარ ჭალაკები რომ შეატოკა,  
ხოლო შენ ხე ხარ ტანმოშრიალე.

ცად აღელვებულ ანგელოზთა დასი მოფრინავს,  
ყველა ცალ-ცალკე თავის სივრცეს დაუბრუნდება,  
ო, მონატრება ასე მძაფრი როდის ყოფილა?!  
ვგრძნობ მონატრებას უღიადესს, მაგრამ ბუნდოვანს.

რალაც მოხდება, უჩვეულოს თითქოს მოველით,  
ის რაც მოხდება, შენ იხილე უკვე ზმანებად,  
სალამი შენდა, ნათელია ჩემთვის ყოველი,  
თავად მწიფდები, მე ვასრულებ შენს განმზადებას.

შენ ხარ ჭიშკარი, სისპეტაკით სული აგევსო,  
შენ განიხსნები, უხილავის ნებას მიჰყვები,  
ჩემი გალობის მოყურადევ, უსაყვარლესო,  
ახლა ვიგრძენი, — ჩემი სიტყვები  
აქარგებიან შენში, როგორც ტყეთა წილში.

ათასმეერთე ეს სიზმარი ასე მორჩება,  
მე დაგანახე თუ კი რაშე გულში გავივლე,  
ბრწყინავდა ღმერთი ჩემს პირდაპირ თვალისმომჭრელად...

ხოლო შენ ხე ხარ რტომოყვავილე.

### მეზობელი

ნუთუ შენ, უცხო ვიოლინოვ, თანმდევ ნიადაგ,  
რამდენ ჭალაქში, არც კი მახსოვს, არ მიმატოვე,  
შენი ღამეა ჩემს ღამეში რომ ახშიანდა,  
სთქვი, ვინ გამღერებს: მრავალი თუ ერთი მარტოდენ?

დიდ ქალაქებში შეუმჩნევლად ნუთუ ქრებიან  
და ნუთუ ისევ მრავლად არიან,



მდინარეებში ვინც უშენოდ იკარგებიახ,  
მე რად მეხება ყველაფერი, საოცარია.



რად აღმოვჩნდები იმის შემწე და მეტყუარა  
ვინც შენ გამღერებს შიშნარევად და ნაღვლიანად  
და გათქმევინებს, რომ მძიმეა წუთისოფელი,  
ვიდრე საგანთა წონა მთლიანად.

### ჯუჯის სიმღერა

ვინ იცის, იქნებ ჩემი სული მშვენიერია,  
მაგრამ ჩემს სხეულს, რომ მოხრილა და მოშკებულა,  
უმძაფრეს ტკივილს, დაკრუნჩხულ ტანს რომ შეერია,  
არ შეუძლია რომ ატაროს სული შვეულად.

სულო, ნატანჯო, შენთვის ბალი არ დარჩენილა,  
სულო, უბაღო, უსავანო რა გაგახარებს,  
აღესილ ჩონჩხზე ბტიხარ ეულად,  
შეძრწუნებული ფრთებს აფართხალებ.

დაღონებულნი ძირს დამორევენ მძიმე ხელები,  
ამ უმომავლო ხელებს როგორ განვეშორები,  
ბტიან ხელები გაოფლილნი, განახელები,  
ვით წვიმის შემდეგ გომბეშოები.

ყოველი ნაკვთი, ყველა კუნთი ანდა კიდური  
გაცვეთილი მაქვს, მონგრეული და უნიათო,  
რას უცდი, ღმერთო, ჩემი ფიტული  
ნაგავში როდის უნდა მიაგდო?

ვინ იცის, იქნებ მიბრაზდები, ღმერთო, ძლიერო,  
რადგან გონჯი ვარ, მოქუფრული და უსახური,  
მრავალჯერ ვცადე, მე მზად ვიყავ, მაგრამ იერი  
ვერ შევიცვალე, ვერ გავნათდი სახედახრული.

ვინ მოდიოდნენ ჩემთან ახლოს, ტკივილით ვამხელ:  
ქუჩის ძაღლები,  
მაგრამ ძაღლებს არა აქვთ სახე.



მ ზ ვ რ ე ბ ე ლ ი

ხეებში ჩამდგარ ქარიშხლებს ვხედავ,  
ქარიშხალს ფრთები აღარ ეღლება,  
ჩემს შეშინებულ ფანჯრებს ეხლება,  
მესმის, — სივრცენი ამბობენ საგნებს,  
მე უმეგობროდ გზას ველარ ვაგნებ  
უშენოდ, დაო, ველარას ვხედავ.

ტყისა და დროის სივრცეს გაჰკვეთავს, —  
ქრის ქარიშხალი გარდამსახველი,  
რა უსაკო მოჩანს აქედან  
სანახი, როგორც ლექსი ფსალმუნში, —  
მარადისობის სიღინჯეა მისი სახელი.

რა უმწეოა, რასაც ჩვენ ვებრძვიტ,  
და რაც ჩვენ გვებრძვის არის ძლიერი,  
ჩვენც რომ გვეწვნია ბედი საგანთა,  
დავნებებოდით გრიგალს თანდათან, —  
ჩვენც უსახელოდ შეგვიწოვდა  
თვალსაწიერი.

რაზეც ვიმარჯვებთ, ის უძლურია  
და გამარჯვება გვამცირებს თვითვე,

მარადისობა ყველაფერს იტმენს  
და არ სურს იყოს ჩვენგან ძლეული...  
ქ რ ი ვ ე ნ ე ლ ი  
ის ანგელოზად მოევიწყებ, —  
კვლავ ძველი აღქმის მორკინალთ ეძებს,  
მათი ძარღვების ცხელი დინება,  
როგორც ფოლადი — დაიჭიმება,  
იგრძნობს თითებით მებრძოლთა  
მყესებს —  
ღრმა მელოდის მფეთქავ, სიძებად.

თუკი ბრძოლების უარყოფელი  
ანგელოზისგან არის ძლეული,  
დაგვიბრუნდება კაცი რჩეული,  
უტყუარი და თავაწეული.  
ის იარსებებს ერთი მიზნითაც —  
გამარჯვებები არ მიიზიდავს  
და იოცნებებს იყოს ძლეული —  
უფრო და უფრო დიდი ძალისგან  
ისევ და ისევ დამარცხებული.

უ ე ს ა ვ ა ლ ი

ვინც გინდა იყავ, მოდი საღამოს,  
დათმე ოთახი ამ საღამოთი,  
სჭერეტს შენი სახლი ცას უსამანოს,  
გარეთ გამოდი.

უკიდურესად დაღლილი მხერით  
გაცვეთილ ღირეს ძლივს რომ  
დაშორდი,

შავ ხეს აღმართავ თანდათან ზევით  
ცისკენ აღმავალა და ტანაშოლტილს.

შექმნი სამყაროს, ის ემგვანება  
სიტყვას, დუმბილში რომ ბწიფს  
წვალებით,  
ოდეს შეიცნობ — დაუნახებლად  
დათმობენ სივრცეს შენი თვალები.

ს ა რ ი ო ზ უ ლ ი წ უ თ ი

ვინც ახლა სადმე ტირის ამქვეყნად,  
ვინც უმიზეზოდ ტირის ამქვეყნად —  
ჩემს გამო ტირის.

ვინც ახლა სადმე იცინის ღამით,  
ვინც უმიზეზოდ იცინის ღამით, —  
ჩემზე იცინის.



ვინც ახლა სადმე მიდის ამქვეყნად,  
ვინც უმიზეზოდ შიდის ამქვეყნად,  
ის ჩემთან მოდის.

ვინც ახლა სადმე კვდება ამქვეყნად,  
ვინც უმიზეზოდ კვდება ამქვეყნად,  
მე მიმზერს იგი.

ქართული  
ბიბლიოთეკა

### ადამიანები ღამით

არ შეუქმნიათ თურმე ბრბოსთვის ღამე  
ღიადი,  
მეზობელს, ვისაც მოგწყვეტს წყვედიადი,  
ნუ ეძებ, იყოს, სხვებიც თან ახლავს,  
თუ გასურს აანთო სახლში სინათლე,  
თუ კი მავანთა ნახვა ინატრე,  
დაფიქრდი, თუ ღირს მათი დანახვა.

ადამიანებს აუსახურებს  
შუქი, სახეებს რომ ეღვენთება  
და როცა ღამით ბრბო შეერთდება,  
ატორტმანებულს სჭკრეტ სამყაროებს,—

ახორხლილები თითქოს ხარობენ,  
ფიქრს უკანასკნელს სწრაფად  
განდევნის  
შუქი, შუბლებზე ჩამონადეხი.

თვალეში ღვინო რომ ააღდება —  
ხელებში მძიმედ გაიბლანდება,  
ჩაეკიდება ბრმა მოქრაობა,  
მერე იშლება ყველა სხვაობა,  
„მე, მეს“ ყვირილი უყვართ მზვობართ  
და გულისხმობენ სულ სხვას  
ყოველთვის.

□





თარგმნა აკაკი ბაქალავტი

## მე დედათა მონასტერში მაგზავნიდნენ

მე დედათა მონასტერში მაგზავნიდნენ,  
რამაც ქალი ერთობ დამადარდიანა.  
მე არ მინდა მონაზვნობა, ცერცვის ჭამა,  
არც ადგომა მიყვარს დილაადრიანად.  
ღმერთმა ის არ გაახაროს, ავი ქალი,  
ვისაც უნდა მონასტერში გამამწესოს  
მე საწყალი!


მონასტერში, მონასტერში სულ არ წავალ!  
მონაზვნობა არასოდეს მომიხდება.  
მე იქ უნდა ეს კავები შემაკვეცონ  
და საცოდავ გოგოს გული მომიკვდება.  
ღმერთმა ის არ გაახაროს, ავი ქალი,  
ვისაც უნდა მონასტერში გამამწესოს  
მე საწყალი!

შუალამე რომ შეიქნა,  
დაირეკა ტაძრის ზარი.  
საწყალ ქალწულს არ მეძინა,  
რისი ძილი და სიზმარი!  
ღმერთმა ის არ გაახაროს, გაუჩინოს დარდი ხშირი,  
ვისაც უნდა მონასტერში გამაგზავნოს,  
მე — საბრალო ქალიშვილი!

როცა მოხუც მონაზვნებთან წამაყენეს  
და მესმოდა მათი მეავე საუბარი,  
მე, საბრალო ქალიშვილი, ვფიქრობ ჩემთვის:  
„რომ მყოლოდა ქმარი, სატრფო სანუკვარი,  
ველარავინ ამირევდა გზას და კვალსა,  
მარხვას, ლოცვას აღარავინ მიბრძანებდა  
საწყალ ქალსა“.



„ჰე, მშვიდობით, ჩემო კოხტა მონასტერო!  
 ჰე, მშვიდობით, არ მენახო დავსებული!  
 კარგად იყავ, მე მყავს ჩემი გულის სწორი  
 მელოდება სიხარულით სავსე გულით.  
 მეც ხომ ფიქრით მასთანა ვარ და გახსოვდნენ ჩვენს  
 მონასტერში აღარ მოვალ არასოდეს. შინაა ჩემი  
 ჰე, მშვიდობით, ჩემო კოხტა მონასტერო!“



თოტის ხალხური, XVI ს.

**ალმა-დალმა იცურე, ჩემო ოქროს ბეჭედო**

არაფერი მე ისე არ მახარებს,  
 ზაფხული რომ მოსდევს სხივთა  
 სიუხვეს,  
 მაისში რომ ვარდი გაიფურჩქნება,  
 გაშლილ ველზე დაფ-ნალარა  
 იქუხებს.

უკვე ისმის ბუქ-ნალარის ქუხილიც,  
 ჯარი უკვე ბრძოლის ველზე გავიდა,  
 ჩვენი ჯარი მტრისას უნდა შეებას,  
 მისი საქმე გადაწყდება დავითა.

სიმაგრეა დაბლა იმპერატორის,  
 ციხის ბაღში ლედვის ხეა მაღალი,  
 მის ქვეშ უნდა დავალაგოთ დროებით  
 თოფ-დამბაჩა, ჩვენი ფარი და ხმალი.

„ჩემო ყველავე, რა გავიგე ამ წუთას,  
 აქ დატოვო უნდა გული მფეთქავი,  
 სადღაც უცხო ქვეყანაში მიდიხარ,  
 ჩემთან როდის დაბრუნდები ნეტავი?“

როცა უცხო ქვეყანაში ვიყავი,  
 მექცა სახლში დაბრუნება ოცნებად.  
 ვაი, რატომ მივატოვე სახლ-კარი,  
 რომ ვინანო ჩემი დღე და მოსწრება!

როცა ბოლოს შინ დავბრუნდი,  
 ვიხილე, —  
 გულის სწორი იდგა სახლის კარებთან.  
 „ჩემო კარგო, ღმერთმა მოგცეს  
 მშვიდობა!  
 მწამდა, ნახვა გულს რომ გამიხარებდა!“



„არ მჭირდება შენი ნახვა, — მომიგო, —  
მე მყავს უკვე ქმარი, დიდი ხანია,  
შეძლებული, ლამაზი და ფაქიზი,  
ის მაჭმევს და მასთან მიმიხარია“.

ეს რა იძრო ჯარისკაცმა ჯიბიდან?  
ბასრი დანა, ჩასცა მთელი ძალითა,  
გულის კოვზში განუწონა გულის  
სწორს,  
„ლისფერი სისხლი ღვარად წავიდა.“

ამთაძრო სისხლიანი დანა და  
საკუთარი გულიც დააზიანა:  
„ჩემო კარგო, შენ თუ გტანჯავს  
ტკივილი,  
მინდა მოვკვდე მეც, შენს თანაზიარად“

სად დამარხეს საყვარელი ასული,  
დაჭრილმა რომ ტანჯვის სული დაღრა?  
მამის ბაღში, მამისეულ ციხესთან,  
სადაც თეთრი ზამბახები ჰყავდადნული  
გინგლირთქვა

რა წაიძრო მაშინ კაცმა თითიდან?  
ო, რა ოქროს ბეჭედია ბრჭყვიალა!  
მაშინათვე წყალში გადაისროლა  
და ზვირთებში სხივმა გაიცილა.

„სულ იცურე, ჩემო ოქროს ბეჭედო,  
ზღვაში ჩადი და ნუ გამიხუნდება,  
მომიკითხე მამიკო და დედიკო,  
უთხარი, რომ აღარ დაგიბრუნდებით“.

### პატარა მესაქრავე

სულ პირველად, როცა ვიშვი,  
მე ვიყავი აკვნის ბავშვი,  
გავიზარდე გასაჭირში,  
მესაქრავე გავხდი მაშინ.

მამულში თუ უცხო მხარეს  
ყველაა თავი შევავსარე,  
მოვეწონე მეფის ასულს  
მე უბრალო მესაქრავე.

„შემო ჩქარა სასახლეში,  
დაუკარი დანარჩენი!“  
„რისთვის მაგდებ განსაცდელში?  
ჩამომახრჩობს მამაშენი!“

„შემო ჩქარა სანადიროდ,  
ჩემზე იყოს დანარჩენი:  
ალიონზე სანადიროდ  
გაეშურა მამაჩემი!“

შემთაღო მეფემ კარი,  
არაფერი დაგვაცალა,  
ყვირის: „ქურდი! შეიპყარიო!  
ჩამოახრჩეთ მაწანწალა!“

გადის ორი-სამი ღამე,  
ნახეთ ჩემი გასაჭირი!  
სასიკვდილოდ გამოყვანეს,  
გამაყოლეს სამი გზირი.

ზის მეფე და ხალხი დელავს —  
მოიწვია შეზობლები:  
„დაკვრა მინდა — ვთხოვე ყველას, —  
ვიდრე სიკვდილს ვემოყვრები“.

მეფემ თავი დამიქნია,  
ავაჟღერე ჩემი ჩანგი.  
არაფერი დამიკლია —  
დავუკარი გლოვის ჰანგი.

ხალხი როგორ ავატირე!  
სად იყო და სად არაო! —  
მეფეს ცრემლი დავადინე:  
„მესაქრავევ, პატარაო!“

წაიყვანე ჩემი ქალი!  
იცი დაკვრა შესაშვენი!  
ჩემი ციხე, მიწა-წყალი  
და სამეფოც იყოს შენი!“







შენ შეგირთავს მეჭინბე ჰანსი,  
ამისათვის ხუთას გულდენს მივცემ.

„მე არ მინდა მეჭინბე ჰანსი,  
და თუ მომცემ იმ შენს ხუთას  
გულდენს,  
ვერთელშტაინს მივაშურებ დღესვე,  
ვესტუმრები ჩემს საყვარელ დედას“.

ვერთელშტაინს მივაშურე მართლა,  
ფეხი შევდგი მარმარილოს ხიდზე.  
გავიხედე, საყვარელი დედა  
შესახვედრად გამოსულა ხიდზე.

— აჰ, ასულო, საყვარელო ჩემო,  
რასა ვხედავ, ასეთი რა მოხდა?  
შენ ეს კაბა წინ რამ დაგიმოკლა,  
როცა უკან არის ასე გრძელი?

„ჩუმად, დედა! ჩუმად, ჩემო კარგო,  
უფრო წყნარად ლაპარაკი გმართებს!“  
— ჩუმად, ჩემო საყვარელო შვილო!  
შენი სიტყვაც იყოს უფრო ჩუმი.  
როცა ბავშვი გეყოლება წყნარი,  
ჩვენ მას უნდა შევასწავლოთ ცურვა.

„ჩუმად, დედა, ჩუმად, დედაჩემო,  
შენი სიტყვა იყოს უფრო წყნარი!  
გავუგზავნით ჩვენ მას თავის მამას,  
მე და შენ კი აქ დავრჩებით სოფლად.“

თუ მომაწვდი კალამსა და ქალაღდს,  
მე ახლავე მივწერ იმას წერილს;  
ხავერდის და აბრეშუმის ლოგინს  
თუ გამიშლით, მე სიკვდილს მიმჩნევ  
გინგლიქოთეკა

ბატონმა რომ ის წერილი ნახა,  
ორსავე თვალზე დაეკიდა ცრემლი.  
— ჰეი, ჰანსო, მეჭინბევე ჩემო,  
შემიკაზმე ერთი კარგი ცხენი.

სწრაფად მინდა ვერთელშტაინს ჩასვლა,  
ჩემს საყვარელს ვესტუმრები დღესვე,  
და გაფრინდა, ფრინველივით სწრაფი,  
გადაევილო ლობესა და ყორეს.

ვერთელშტაინს რომ ჩავიდა კაცი,  
გაიხედა და ერთ მწვანე ველზე  
მოდოდა მგლოვიარე ხალხი,  
მიცვალებულს მოჰყვებოდა ყველა.

— შეასვენეთ, შეასვენეთ კუბო,  
დამანახეთ წუთით ნეშტის სახე! —  
გადასწია სუდარა და დიდხანს  
ჩასცქეროდა მიცვალებულს თვალში.

გახსნა ჩანთა, ამოიღო დანა,  
ზე ასწია და დაიკრა გულში.  
— შენ თუ მწარე აღსასრული გერგო,  
შენთან ერთად დავიტანჯო მეცა!\*

\* ორი უკანასკნელი ბალადა („სიმღერა პფალცგრაფზე“, „სიმღერა ბატონსა და ქალი-შვილზე“) — გოეთეს მიერ ჩაწერილი ხალხური სიმღერებია, რომლებიც პერდერმა შეიტანა თავის „ძველ ხალხთა სიმღერებში“. გოეთემ ლექსები ალბათ 1771 წლის ზაფხულში ჩაწერა, როცა ზემო ელზასში იმყოფებოდა, შტრასბურგიდან მაინის ფრანკფურტში დაბრუნების წინ. ჩაწერა ისე, „როგორც ღმერთმა შექმნა“, „მხოლოდ პერდერისათვის“, რომელთან ნაცნობობასაც დიდი მნიშვნელობას აძლევდა. „სიმღერა პფალცგრაფზე“ დანიური ტიპის ბალადაა. გრაფი მოვალე იყო ცემით მოეკლა საკუთარი დაი, რომელმაც უქორწინოდ ბავშვი გააჩინა. გოეთემ ამას ბარბაროსობა უწოდა. ლექსები თარგმნილია წიგნიდან „ხალხური სიმღერები, შეკრებილი გოეთეს მიერ“, პერმან შტრობახის გამოცემა, ვაიმარი, 1982.





მ ო თ ხ რ ო ბ ა

ინგლისურიდან თარგმნა ნათელა დონნაძემ

**ზ**ღვისპირა დიუნებზე დახვავებული წვრილი სილა თეთრი შაქარით ბრწყინავდა მზეზე. თეთრ და ყვითელზოლებიანი პლასტმასის ბურთი თავგაბებრებული გველის სიღინჯით მიგორავდა ბალახებში. ნიავემა იმძლავრა და ბურთი შორს გააქანა.

ახალგაზრდა ფრანკლინი ამ დილას უკვე მესამეჯერ წამოხტა და ბურთს დაედევნა, ხელი სტაცა და უკან დაბრუნდა. იქ ყლალთმიანი ქალი ელოდებოდა. ქალს ზურმუხტისფერი საცურაო კოსტიუმი ეცვა. მანაც უკვე მესამეჯერ, უარის ნიშნად, ხელი შემართა და კაცს დაუქნია. ფრჩხილები და ტუჩები ალისფრად ჰქონდა შეღებილი.

— გაგიწყალა არა გული მაგ აბეზარმა? მეტს ნულარ შეწუხდები. მადლობის მეტი რა მეტქმის, მაგრამ სჯობს თავი დაანებო. იგოროს თავისთვის.

— მორჩა, მეტს აღარ გავეკიდები.

— მართლა, სად დაიკარგნენ ბავშვები, ან ის ჩემი ცოდვით სავსე გერმანელი გოგო რა იქნა? ბურთისათვის იმას უნდა მიეხედა.

— წელან თითქოს თვალი მოვკარი. იქითკენ მიდიოდნენ, ფიჭვნარისაკენ. ალბათ ნიჟარებს თუ ეძებენ.

— ასეც ვიცოდი. მხოლოდ ხარახურებისაკენ უჭირავს თვალი. ასეთები არიან ეგენი, ოღონდ რაიმე უმაქნისი დაანახე.

ვაჟი იდგა და ქალს დაჰყურებდა. ცოტა უხერხულობა იგრძნო და ბურთს ხელი მოუჭირა. ქალი ორმოციოდე წლის იქნებოდა; ლამაზად ჩამოსხმული და თანაბრად მზემოკიდებული, მუჭი ოქროსფერი სხეული ჰქონდა, ბრტყელ მუცელზე პაწაწინა ნიჟარისებური ჭიბი უჩანდა. ქალის გვერდით პატარა კალათა იდო. შიგ ვარდისფერი პირსახოცი, ერთი წყვილი ყვითელი პლაჟის ფეხსაცმელი და ამავე ფერის ყელსახვევი მოჩანდა. მეორე, უფრო დაბალი კალათა, სავსე იყო ბანანით, ატმითა და მსხლით.

ქალს თავისი გრძელი, ალისფერი ფრჩხილები ჭვიშას მოუცაცუნა და თქვა:

— ხილზე რას იტყობდი? მეც მინდა პატივი გცე. არ დაჯდები?



ვაეს ეტყობოდა, ყოყმანობდა. ისევ უხერხულობა იგრძნო, ბურთი რომ არ სჭეროდა ხელში, ვინ იცის რა დაემართებოდა.

— თუ ღმერთი გწამს, შეეშვი მაგ საცოდავ ბურთს, არ მოგბეზრდა? და? სანახად ველარ ვიტან.

ვაემა სასწრაფოდ მოათვალიერა დიუნები.

— აგერ, ბალახებში ჩავაგდებ. იმედია, ქარი ვერაფერს დააკლებს.

— კარგი, ოღონდ ხელი გაუშვი.

კაცმა ბურთი ბუდესავით ჩაფენილ ბალახზე დადო და უნდა დამჯდარიყო, რომ ქალმა შეაჩერა.

— მაპატიე, მაგრამ შევიძლია ერთი რამე შემისრულო?

— რა თქმა უნდა, თუკი შემეძლება.

— მოშორებით ფარდული დგას, რძეს ჰყიდიან. ძალიან დამავალებ, თუ ერთ ბოთლს მომიტან. საუზმედ რძესა და ხილსა ვარ მიჩვეული.

ვაეი ისე მოწადინებული შეტრიალდა, როგორც მეტისმეტად დამჯერ მსახურებს სჩვევიათ. ცოტაც და, გაიქცეოდა.

— მოიცა, მოიცა. რამდენიმე ფრანკი მაქვს. აჰა, შენთვისაც იყიდე რამე, ლუდი ან რაც მოგეწონება. თუ საუზმისათვის მადას გავიფუჭებ?

— მაგის არ მეშინია. სასტუმროში საუზმის გულისათვის წასვლა მაინც მეზარება. აქაურ სენდვიჩებზე ვარ შეყვარებული.

— მაინც მინდა, რომ რაღაცა იყიდო. იქნებ რამე მოგეწონოს. მეც შენსავით ზარმაცი ვარ. აქ მივირთმევ ხოლმე საუზმეს. მაღლობა ღმერთს, პეიდი და ბავშვები მე არ მგვანან, მიდიან ხოლმე სასაუზმოდ.

ვაეი წავიდა და ხუთ წუთში უკან დაბრუნდა. ერთი ბოთლი რძე, ორი ბოთლი ლუდი და ოთხი ნაჭერი ლორი მოჰქონდა. ქალი მუცელზე იწვა, ლამაზი ფეხები გაეწვართა, და ბრტყელი ქუსლები მოუჩანდა. ამ დაღარული თეთრი ტერფების დანახვამ კაცს გული აუჩქროლა. უცბად ქალი შემოტრიალდა და აფორიაქებული მამაკაცი რომ დაინახა, გაწითლდა. წამოჯდა.

— არ შეგონა. ასე მალე თუ მოხვიდოდი.

— ჩემთვის ლუდი და ლორი ვიყიდე. ხომ არ გამიწყრებით?

— არა. ალბათ ძალიან გშია.

ვაემა შეხედა. ქალს უამრავი წვრილი ქვიშა ჯიუტად მიკრობოდა მკლავებზე, თეძოებზე, საცურაო კოსტიუმსა და მოღვლილ მკერდზე. ქვიშის გადაფერთხვას შეუდგა. ერთხელ ძუძუებშიც კი ჩაიყო ხელი. ბუზღუნებდა, ასეთი საშინელი ქვიშა ჯერ არ მინახავს, ყველგან მიძვრებიანო. სენდვიჩებშიც არ შევიდესო.

კაცმა ბოთლები დააწყო და დაჯდა.

— ეშმაკმა დალახვროს. გასახსნელი დამავიწყდა.

— მაგაზე ნუ სწუხხარ, თავიდან ფეხამდე შეიარაღებული ვარ. ყველაფერი მაქვს.

შუადღის მზემ დააჭირა. პლაჟმა სასწაულებრივი სისწრაფით იწყო დაცარიელება. მთელი ოჯახებით გამოფენილი ფრანგები ნაჩქარევად იშრობდნენ ტანს, თავ-თავიანთ ნივთებს აწყობდნენ და იშლებოდნენ.

— რაღაც ბავშვებს და იმ ცოდვით სავსეს ვერ ვხედავ. შენ? ვერა ხომ? ნამდვილად სხვა გზით წავიდნენ. ჩვენ „ანგლეტერაში“ ვცხოვრობთ, შენ?

— „ლე სალ დორში“.



— საერთოდ სად ცხოვრობ?

— ჩემს მშობლებთან.

უეცრად ქალმა თავისი გრძელი ფრჩხილებით ფრანგებზე ანიშნა:

— დიდი უცნაური ხალხია ეს ფრანგები. ჩვევას არ უღალატებენ. თორმეტი ჩამოკრავს თუ არა, ვერც ერთს ველარ ნახავ პლასტმასის კვდება აქაურობა, თითქოს შავი ჭირი შეეყარაო. ფრანგები თავქარიანები არიანო, ამბობენ, მე სხვანაირები მეჩვენებიან და რა ვიცი. ერთხელ დადგენილს არამც და არამც არ გადაუხვევენ. შენ რას იტყვი? მოგწონს საფრანგეთი?

— ცოტა არ იყოს, მომბეზრდა აქაურობა.

ვაჟმა შეამჩნია, ქალი დაეინებით უყურებდა, პირველად გაუსწორა ასე თვალი. ახლად შეამჩნია, რა უჩვეულო თვალები ჰქონდა ამ არსებას. ღია ფერის გუგები ჩიტის კვერცხებს მიუგავდა, მწვანე, ფორთოხლისფერი და ყავისფერი ლაქებით დაწინწკლულს. ასე უყურა ერთ ხანს, ბოლოს თქვა:

— ძალიან კარგი, მეც ასე ვფიქრობ.

ვაჟმა თვალები დახარა და აჩქარებული შეუდგა ლუდის ბოთლის გახსნას. ლუდი აქაფდა და გადმოიქცა, ფეხები დაუსველა.

— აი ამ ნაჭრით მოიწმინდე, — თქვა ქალმა, მაგრამ ვაჟს დაასწრო და თვითონ მოუმშრალა დასველებული ფეხები.

ვაჟს სხეული დაეძაბა. სისხლი ძალუმად მოაწვა, თითქოს ცხელმა და ვნებიანმა ატლანტურმა ჰავამ მოთენთაო. არეული დაეწაფა ლუდს. ქალმა, თითქოს არაფერი მომხდარაო, მშვიდად ამოიღო წითელი პლასტმასის ტოლჩა და რძით აავსო, რძემ ვარდისფრად დაიწყო ბზინვა. ქალის ალისფერი ტუჩები ტოლჩის ტუჩს მიეტმასნა. ამან კაცს კიდევ უფრო მძაფრად დაუჭიმა სხეული.

— ჯერ სახელიც არ გითქვამს შენი.

— ფრანკლინი, უბრალოდ, ფრანკი დამიძახეთ. ყველა ასე მეძახის.

— საფრანგეთი რატომ არ მოგწონს?

ვაჟმა ყლუპი მოსვა.

თვითონაც არ იცის რატომ ალბათ მშობლების ბრალია — ხანში შესული, გასტრონომიული ექსკურსიების გიჟურად მოტრფიალე მშობლები ჰყავს. სად აღარ დადიან ახალ-ახალი კერძების გასასინჯად. ეს მართლა მობეზრდა. უამისოდაც ბედნიერია, ოღონდ ლუდი, სენდვიჩი და ზღვა ნუ მოაკლდება.

— რა შესანიშნავად გარუჯულხარ.

— თქვენც. ლამაზი ფერი დაგკრავთ.

— ეს ხომ ხელოვნებაა. ვცდილობ ზომიერებას არ გადავაჭარბო. ერთბაშად დიდხანს წოლას ვერიდები. ახლაც, შუადღე მოვა თუ არა, ჩრდილში უნდა გადავიდე.

ფრანკლინი ლორის ჭამას შეუდგა. დროდადრო ლუდს აყოლებდა. ქალმა პატარა ვერცხლის დანით ატმის ფცქვანა დაიწყო. ბუსუსებიან, ვარდისფერ კანს სათუთად აცლიდა და ასევე სათუთად და ფრთხილად დებდა სხვა ქალაქებზე. ამას რომ მორჩა, ხორცსავსე ატამი პირთან მიიტანა და ჩაკბინა. ქათქათა კბილებისა და მომწვანო-კრემისფერი ატმის ფონზე ტუჩები მთელი სისავსით გამოუჩნდა. ხანდახან წვენი ტუჩებზე ეღვრებოდა. ამას ენის ერთი მოქნევით ვხებიანად ილოკავდა.

— ჰკუთას ვკარგავ ატამზე, — დაიწყო ქალმა და უცებ გაჩერდა. შეშ-



ფოთება დაეტყო სახეზე. შორიდან ბავშვების ხმები მოისმა. ვაჟმა გაიხედა და ოცდაათი იარდის მოშორებით პატარა ბიჭსა და გოგონას მოჰყრა თვალი. მათ თან ახლდა მალალი, ქერათმიანი ახალგაზრდა ქალი. თეთრი ფერის უბრალო საცურაო კოსტიუმი ეცვა, მკლავზე კი ლურჯი მოსაცმელი კაბა ჰქონდა გადაკიდებული. ისინი ნაპირს მიუყვებოდნენ. ვაჟს მოეჩვენა, რომ ქალიშვილს ცივი, არისტოკრატიული, გულზვიადი და გულგრილი გამოხედვა ჰქონდა. ბიჭუნა, რომელსაც მხოლოდ მოკლე, ლურჯი საცურაო ტრუსები უფარავდა დედისმობილა ტანს, აქოშინებული მოვარდა.

— იცი, რა ვისეირნეთ? ლუზა ვიპოვეთ, ზედ ზღვის იხეები ჰქონდა მიკრული... კიდევ, ძველი თოფი და დიდი კიბორჩხალა... კიბორჩხალას წამოღება მინდოდა, მაგრამ ჰეიდიმ და ჯუნიმ თქვეს, დიდი ხნის მკვდარიყო და რად გინდაო..

— კარგი, საყვარელო, კარგი. ახლა სასაუზმოდ წადით.

ანაზღად ქალი გერმანელ გოგონას მიუბრუნდა და მის ღია ცისფერ, გამჟვირვალე თვალებს თავისი მომწვანო-მოყავისფრო მზერა შეაგება. საკმაოდ გამომწვევად და დაუფარავი სიძულვილით შეჰყურებდა. ეტყობოდა, გულზე არ ეხატებოდა. იმ გაყინულმა ცისფერმა თვალებმა მტრულად შეუბღვირეს.

— რამდენჯერ გითხარი, ბავშვები თორმეტ საათზე სასტუმროში იყვნენ-მეთქი. ახლა კი რომელია? არ იცი, როგორ დაძრწიან ფრანგები იმ „სალამან-ეში“<sup>1</sup>, მგლები გეგონება.

— როგორ არა, მისის პელგრეივ. მაგრამ მოგეხსენებათ ბავშვების ამბავი. არის წუთები, როდესაც ვერ დაუშლი. ამ დროს ისეთი ბედნიერები არიან, რომ...

— მიბრძანდი და ბევრ ლაპარაკს თავი დაანებე. ის სულელი ბურთიც მომავორე. დილიდან ჯვარს გვაცვა.

— ახლავე მოვიტან, — ფრანკლინი ბოთლიანად წამოხტა და ბურთის ასაღებად გაქანდა. როცა მოიტანა და გაუწოდა, გერმანელმა გოგონამ ჯერ მას შეხედა, მერე ლუდს დახედა და მეგობრულად გაუღიმა. ვაჟის გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა. ასეთ ღიმილს მისგან ნამდვილად არ მოელოდა. რატომღაც ყურადღება ქალიშვილის თმაზე გადაიტანა — ის ძალიან ღია ფერის იყო, თითქმის ქვიშისფერი. მზესაც არ დაეკლო ხელი და სითეთრემდე გაეხუნებინა. ქალიშვილმა ბურთი გამოართვა.

— გმადლობთ. კარგი ლუდი ჩანს. რომ ვუყურებ, დალევა მომინდა.

— მართლა? შემძლია შემოგთავაზო. კიდევ არის ერთი ბოთლი.

— ნეტა რას ელოლიავეები. ბევრი მოუვა. აბა მოუსვი, ჰეიდი. ხედავ, ჯუნი სად გასულა. შუა გზაზე გელოდება.

გერმანელმა ქალიშვილმა ბიჭს კიდევ ერთხელ გაუღიმა სწრაფად და ნდობით აღსავსე თვალებით. გაუღიმა და წავიდა „AU REVOIR ნახვამდის!“ დაიძახა ბიჭუნამ, გადიას წინ გაუძვრა და შეიკუნტრუშა. უცბად რაღაც გაახსენდა, გამოიქცა და დედიკოს აკოცა.

— წადი, მოუსვენარო ბიჭო, წა-დი. სად მოითხვარე ასე ხელები. საუზმის წინ აუცილებლად დაიბანე. კიბორჩხალის სუნად ყარხარ. ჰეიდი, ყურადღება მიაქციე!

<sup>1</sup> Salle a manger — სასადილო (ფრანგ.).



ათიოდე წამში ეს სიუხეზე გალხვა და დავიწყებას მიეცა. გაოგნებულმა და განცვიფრებულმა ვაჟმა დაინახა, რომ ქალს სახეზე წელანდელი გაჯავრების ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა. თითქოს არაფერიყო, ატმის წუნა განაგრძო.

— პასუხისმგებლობის გრძნობა არ გააჩნიათ, — წყნარად აუღელვებლად, უბოროტოდ წარმოთქვა. — ხანდახან მაინტერესებთ, რას აკეთებთ თავისუფალ დროს. ამის გაფიქრება, ცოტა არ იყოს, მზარავს კიდევ. ცივისსხლიანი უკარება ჩანს, მაგრამ ვინ იცის, რას წარმოადგენს. ისე როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა მასზე? ამას როგორც მამაკაცს, ისე გეკითხები.

ფრანკლინს გაეცინა.

— როგორც მამაკაცს? ოჰო, თვრამეტი წლის მამაკაცი. თუმცა რატომაც არა ვარ.

— თვრამეტის?! ღმერთო შემიბრაღე, ოცდასამი წლისა მეგონე, ან მეტის. — ქალმა ნაზად შეხედა. სახეზე ერთი რამ ეწერა მხოლოდ — აღფრთოვანება. თვალებით ლამის ზედ მიეკრა. — ჰო, რას ვამბობდი? როგორ მოგეწონა-მეთქი ის გოგო. თუ გიჭირს ერთი დანახვით ადამიანის გამოცნობა?

— ალბათ არა. პირველად მეტისმეტად ცხვირაბზეკილი მეჩვენა. მერე... არ ვიცი.

— მე კი ძალზე ჩქარა გამომაქვს დასკვნები. სულსწრაფი ვარ, ბევრ ფიქრს არ ვუნდები. თვალს დავახამხამებ და გათავდა. ხშირად მიმართლებს. აი, მაგალითად შენ...

— როგორი ვარ?

ქალმა ატმის ჭამა მოათავა და ახლა ჩვეული სიფაქიზით ქარვისფერი მსხლის თლა დაიწყო. სანამ პასუხს დაალაგებდა, მსხალს კანი ხვეულად მოათალა და რძე მოწრუპა.

— როგორი?! იქნებ ვცდებოდე, მაგრამ შენ გულუხვი ხარ და მგრძნობიარე. არამც და არამც ღვარძლიანი, ვგონებ ჩემნაირი სულსწრაფი უნდა იყო. ყოველ შემთხვევაში, ეს მეტისმეტი სიკეთით მოგდის და რაც მთავარია, დახვეწილი მანერები გაქვს. ეს კი ისე იშვიათია დღეს.

— ოჰ, ნეტავ მართლა. ასე მგონია, მაგ დონეზე ვერასოდეს ავალ.

— რა თავმდაბალი ხარ. — ქალმა თვალეში შესცინა. ეს ისე თბილად და გულწრფელად გამოუვიდა, რომ ვაჟს ისევ კრუნჩხვა დაემართა.

— რაც გითხარი, იმაში ეჭვიც არ მეპარება.

ვაჟმა მესამე ლორის ნაჭერიც აიღო და მადიანად ჩაკბიჩა. სულის მოუთქმელად დააყოლა ლუდი, მაგრამ სათქმელი არა და არ გამოუჩნდა.

— სკოლა ალბათ დაამთავრე?

— შარშან დავამთავრე.

— რას აპირებ მომავალში?

— ფოტოგრაფობას.

— ეს საინტერესოა. — ქალმა მსხალი ორად გაჭრა და გული ამოაცალა. მსხალს წვენი ჩაუდგა. ეს წვენი ქალს ჭამის დროს ნიკაპზე გადმოედვარა და მანაც ენის ჩვეული მგრძნობიარე მოსმით მოილოკა.

— მაინცდამაინც დღეს დილას არ წამოვიღე ფოტოაპარატი, თითქოს ჯიბრზე. რამ გამომაშტერა, არ ვიცი. სიგიჟემდე მინდა სურათი გადავიღოთ.

— ნუთუ მართლა? რა კარგია!

— გავიქცევი და მოვარბენინებ. საუზმის მერე აქ გავჩნდები. ბევრი მინდა



გადაგიღოთ. შემდეგ თქვენ ამოარჩევთ, რომელიც ყველაზე უფრო მოგეწონებათ; დანარჩენებს მოვსპობ.

— ვხედავ, მართალი მითქვამს. შენ მართლაც გულუხვი ბიჭი ხარ. ნახევარ საათში ვაჟი წამოდგა და სასტუმროსაკენ გაეშურა. წასვლის წინ ქალმა დაუძახა:

— ცოტა ხანში ფიქვენარში ვაპირებ გადასვლას; იქ მეძებე. შეყო, რაც დავისიცხე. ჩრდილში ვიქნები.

ფოტოაპარატით რომ დაბრუნდა, უკვე სამის ნახევარი იყო. ქვიშიდან ამოზიდული ფერად-ფერადი მხიარული ქოლგები მზეს ეფიცებოდნენ. სანაპირო თანდათან ივსებოდა.

გვერდით ვილაცამ ყურისწამლებად დაიყვირა: „კიბორჩხალასთან სათამაშოდ წავედი“. მიიხედა და იცნო გერმანელი გოგო ორი ბავშვით. ისინი თორმეტიოდე იარდის მოშორებით იდგნენ. — შეხედე, ჰეიდი, ეს ის კაცი არ არის, დედიკოს რომ ელაპარაკებოდა? — ფრანკლინი შეჩერდა და მიესალმა.

გოგომ ერთი უგემურად გაუღიმა, სალამიც კი არ აღირსა.

უცებ ფრანკლინს თავში გაუელვა, იქნებ უბრალოდ მორცხვობს და ცხვირაბზეკილობა აქ არაფერ შუაშიაო. თვითონაც ხომ გრძნობს პატარა უხერხულობას ასეთ შემთხვევებში. აი თუნდაც ახლა. თავი რომ არ გაეცა, ყურადღება ბიჭუნასაკენ გადაიტანა.

— ხელები თუ დაიბანე?

— კი, ჩემ თვალწინ დაიბანა, — დაასწრო ქალიშვილმა.

— რახან ასეთი კარგი ბიჭი ყოფილხარ, სურათს გადაგიღებ. — გერმანელ გოგოს დაბნეულად გაუღიმა, იმას კი სურათებიანი ჟურნალი ხელიდან გაუვარდა. ფრანკლინმა მკვირცხლად ასწია და მიაწოდა. — იქნებ თქვენთვისაც გადამეღო? გინდათ?

— ღიახ, რა თქმა უნდა. გიყვარს ფოტოგრაფია?

— ძალიან. მინდა პროფესიონალი გავხდე.

ვაჟს სასტუმროში მოესწრო და მენიჩბის თეთრი სპორტული ქურთუკი ჩაეცვა. ქურთუკის ჯიბიდან პატარა ფოტომზომი ამოიღო. ბიჭუნამ არ დააყოვნა და ჰკითხა, ეს რა არისო. ფრანკლინი გაეხუმრა, ეს მეტად ეშმაკი აპარატია და იმას ზომავს, ტყუილს ამბობენ პატარა ბიჭები თუ მართალსო. ბიჭუნამ ხუმრობა ვერ გაიგო: სამაგიეროდ გერმანელმა გოგონამ გადაიკისკისა მაშინვე. ეს ისე უშუალოდ გამოუვიდა, რომ ფრანკლინმა მისდამი რაღაც ენით გამოუთქმელი სიტბო იგრძნო. გოგონა თავგადაგდებული იცინოდა, პირი სულმთლად ღია ჰქონდა. ამ მოულოდნელმა ცვლილებამ ფრანკლინი გააოგნა. ეს განწყობილება მასაც გადაედო. ერთი გულიანად გაიცინა და ფოტოაპარატი თვალთან საქმიანად მოიმარჯვა.

— ნახავ, რა ლამაზი იქნები.

— მე კი მკონია, ცუდად გამოვალ.

— არა, აი ნახავ.

გოგონას სახეს ძველებური გულგრილი იერი და ისევ ის უცნაური სიმორცხვე დაუბრუნდა. ფრანკლინმა წამიერი უხერხულობის შემდეგ თქვა, კარგი იქნებოდა, სამივე ერთად დამდგარიყავითო, მაგრამ გაკვირვებულმა შენიშნა, ბიჭუნას და იქ აღარ იყო.



— როგორ გაიპარა, ვერ გავიგე. ნეტავ სად...

— ოჰ! სულ თვალი მიჭირავს და მაინც რომ არ გამეჩქვას, არ იქნება. ზღვის ნაპირას დამდგარა. ინგლისელობის არაფერი ეტყობა. სულ უნდა, დამოუკიდებელი იყოს. წავალ, მივხედავ; ამას ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელობა აქვს.

— ერთს კიდევ მოვასწრებ, შეიძლება?

— არა, სჯობს წავიდე. იმედია მომავალში კიდევ ვნახავთ ერთმანეთს.

— მჯერა და ვიმედოვნებ, რომ ასე იქნება.

წუთიც და ქალიშვილი ბიჭუნასთან ერთად ქვიშაზე მირბოდა. ფრანკლინმა თვალი გააყოლა. დაინახა, როგორ აბრჭყვიალდა მათ უკან მზის შუქზე ზღვა. ამ სანახაობამ თითქოს თვალები ატკინა. ჯიბიდან მზის სათვალე ამოიღო. შემდეგ ნელ-ნელა გაუყვა გზას ფიჭვნარისაკენ, საპირისპირო მიმართულებით.

ქალი შეპირებისამებრ ფიჭვის ჩრდილში იწვა, ზურგზე გაშოტილი. მისი გრძელი ელეგანტური ფეხები აქ რატომღაც უფრო ოქროსფერი ჩანდა, ვიდრე მზეზე.

— ოჰ, შენა ხარ? ძლივს გიცანი მაგ თეთრ ქურთუკში და შავ სათვალეში. მას შემდეგ თითქოს მთელი საუკუნე გავიდა.

ფრანკლინმა სათვალე მოიხსნა და ქალის ახლოს, წიწვიან ქვიშაზე ჩამოჯდა.

— მოულოდნელად ბავშვები და გერმანელი გოგო შემხვდა. ამიტომ თუ დამაგვიანდა.

— აა.

— ვგონებ ჰეიდის კარგი სურათი გადავუღე. დარწმუნებული ვარ, ძალიან ლამაზი გამოვა.

— მეც.

ხეებიდან ფიჭვის მძაფრი სუნი ჩამოდიოდა. ფრანკლინი შეწუხდა, ქურთუკის გახდა დაიწყო. ქალი ერთხანს ჩუმად შესცქეროდა, მერე უთხრა:

— ძალიან დამავალებ, თუ მაგას მათხოვებ. ბალიშად მინდა გამოვიყენო. ქვიშაზე რბილად ვერა ვარ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... — და დიდი მონდომებით დაკეცა ქურთუკი.

— თავქვეშ შემომიდე, თუ შეიძლება. ხელის განძრევაც კი მეზარება. ცხელი შუადღის ბრალი უნდა იყოს.

ნახევრად მთვლემარე ქალმა თავი ზანტად წამოსწია. ფრანკლინმა დაიჩოქა, ცალი ხელი წითური თმის ქვეშ ამოუღო და თავი უფრო მაღლა აუწია. მეორე ხელით დაკეცილი ქურთუკი დაუფინა.

— ოჰ, რა კარგია, გმადლობთ.

ქალმა მოთენთილი ტანი ტალღისებურად შეაქანა, თვალები წამიერად დახუჭა, ისევ გაახილა და ვაჟს ნახად, მაგრამ დაბნეულად გაუღიმა.

— ჩოგბურთელის ქურთუკია?

— ნიჩბოსნის.

— ამბობენ, ნიჩბოსნობა კუნთებს ამაგრებსო.

ქალმა უცბად ვაჟის მკლავს ჩაავლო ხელი.

— ფრთხილად, გეთაყვა, შარშან მოვიტეხე.



ქალმა კვლავ გაუღიმა ისევ ისე ნაზად და ნელა. ამ ღიმილში ხუმრობაც  
ერია და დაცინვაც, მაგრამ მაინც ვერცერთს ვერ დაარქმევდი.

— როგორ მოიტეხე? აბობოქრებულ ამაზონს ებრძოდი თუ რა?

— არა, ისე, უბრალოდ. ციგურაობის დროს.

ქალმა ხელი მოუთათუნა მკლავზე და შეუშვა.

— რანაირი ნავი დაგყავს?

— რვიანი. უფრო სწორად, დამყავდა. მკლავის გამო დავანებე.

— ბევრი დიდი შეჯიბრი გაქვს მოგებული?

— რამდენიმე კი, ერთ დროს მესამე ადგილზე გავედით „Head of the  
River“-ში<sup>1</sup>, ტემზაზე. მერე სერპენტინზე<sup>2</sup> შევეუბერეთ და სამი სიგრძით ჩა-  
მოვიტოვეთ სხვები. კიბორჩხალაც დაგვიჭერია.

— კიბორჩხალა? ისეთი ხომ არა, ჩემმა ონავარმა რომ იპოვა ამ დილით?

— არა. კიბორჩხალის დაჭერას ბიჭები იმას ეძახიან, როცა ნიჩბის ფრთა  
წყალში რალაცას წამოედება და ვერაფრით გამოგლეჯ. ამ დროს უმწეო ყე-  
ყეჩებს ვგავდით.

ქალმა საუბარი აღარ გააგრძელა. ამის სანაცვლოდ კიდევ ერთხელ გაი-  
ღიმა, გრძლად და დაჟინებით, თითქოს რალაც საიდუმლოების ამოცნობას  
ლამობდა.

უეცრად ვაჟმა იგრძნო, რომ სხეული გემის ცხვირზე შებმული თოკივით  
დაეჭიმა. სუნთქვა გაუძნელდა. ერთი-ორჯერ ღრმად გადაყლაპა ფიჭვის სურ-  
ნელი, თითქოს ნაფაზს არტყამსო. არნახულად ცხელმა და მძაფრმა ჰაერმა  
კინალამ დაახრჩო. ქალის წითური თმა ქვიშას ნელი ცეცხლივით მოსდებოდა.  
ვაჟი მონუსხულივით ჩააშტერდა მას. უგონოდ აგზნებულს ქალმა სხვათა  
შორის ჰკითხა, რატომ შენც არ დაწვები და მოისვენებო. ამის თქმა იყო და მის  
გვერდით გაჩნდა; სახე პირთან მიუახლოვა. ქალმა მსუბუქად ჩაიკისკისა და  
ხელით ვაჟის შიშველ მხარს მოეფერა. ფრანკლინმა საკოცნელად გადაიწია,  
მაგრამ ქალმა სახე გვერდით გადაიგდო და გაიღიმა — აი თურმე რით ირთობ  
ხოლმე თავს ცხელ...

სათქმელი გაუწყდა, რადგან ბიჭმა პირი ტუჩებით დაუფარა. ერთ წუთს  
ასე იყვნენ. ქალი დამორჩილდა. როცა ბიჭმა მარწუხებივით შემოჭდობილი  
ხელები მოადუნა და ქალის მხრებსა და მკერდზე ჩამოაცურა, ამ უკანასკნელმა  
მაშინლა მოახერხა ეთქვა:

— ვინ მოგცა ამის ნება?

— განა ნებათვა იყო საჭირო?

— ყოველ შემთხვევაში, პატივი მაინც.

— მაშ თუ ასეა, დამპატიე.

— დამიპატიე ნიხარ.

ისინი ხელახლა ჩაეკვრნენ ერთმანეთს. ხვევნა-კოცნით გული მოიჯერეს.  
ფრანკლინი წამოიწია, ქალს მთელ სხეულზე ვნებიანი ალერსით ჩამოუსვა  
ხელი. მას მხოლოდ ერთი ფიქრი უმღვრევდა გონებას.

<sup>1</sup> Head of the River — შეჯიბრი ნიჩბოსნობაში, რომლის დროსაც ნავები ერთმანეთს  
სიგრძივ მიყვებიან. თითოეულის მიზანია, დაეწიოს წინ მიმავალ ნავს, უბიძგოს და გაასწროს  
მას.

<sup>2</sup> სერპენტინი (Serpentine) — დიდი ტბა ლონდონში, ჰაიდ-პარკში. აქ ლონდონელებს  
შეუძლიათ ბანაობა და ნავებით სეირნობა.



— აქ არა, — თქვა ქალმა, — აქ არ ივარგებს. უკეთესი ადგილი ვიცი, კონცხზე. სანაპიროდან ორ მილზეა მოშორებული. იქ ხანდახან გვევლი ხოლმე. პატარა ყურეა, მოფარებულში. მანქანა ჩემზე იყოს.

— ახლა წავიდეთ?

— ხვალ. ნუ ჩქარობ, მთელი ზაფხული გვაქვს.

— ესე იგი დილით?

— შუადღეს. დილით მზის რაციონი უნდა მივიღო. — ქალმა ტანზე მშვიდად და თავმომწონედ დაიხედა, მკერდი თუნავ წამოსწია. — არ მიახრა, შუადღეს არა ღირსო. მაშ ასე, დილით — მზე, შუადღით — სიყვარული.

აქედან მოყოლებული, ისინი ყოველდღე დაუყვებოდნენ ხოლმე მანქანით სანაპიროსა და ფიჭვნარს შუა გამავალ გზას, სანამ არ მიაღებოდნენ დიდ ყურეში ჩაწოლილ პატარა ყურეს, რომელიც შუაში ამოკბეჩილ ქარვისფერი ნესვის ნაჭერს წააგავდა. მაღალ შავ კლდეებს სივრცე ჩაეკეტათ და შუაში მოემწყვდიათ ოცდაათი იარდის ქვიშის მოედანი. ზორბა ფიჭვები ფესვებით ისე ჩაბლაუჭებოდნენ კლდის თხემებს, როგორც მტაცებელი ცხოველი თავის მსხვერპლს.

აქ, მშვიდ გარემოში, როცა კი შემთხვევა მიეცემოდა, ქალი ათასგვარ ოინს მიმართავდა, რომ ვაჟის შესახებ უფრო მეტი გაეგო. მაგრამ თვითონ დუმდა, საკუთარ თავზე არაფერს ამბობდა. ერთხელ ბიჭმა გაბედა და ჰკითხა რაღაც, მაგრამ ქალმა მხოლოდ გაიოცა და მეტი არაფერი. — მე? ჩემი ამბავი რაში გაინტერესებს. მე აქ ვარ, შენ გვერდით. განა ეს ცოტაა?

ყოველ შუადღეს ფრანკლინი სურათებს უღებდა მას: ხან შიშველს, ხან ზღვაში მდგომს, ხანაც მეწამულ ოქროსფერში გახვეული მითიური ზღვის ქმნილების დარად, კლდის თავზე შესკუპებულს. ქალმა რამდენჯერმე აღიარა, შიშველად პოზირება მათრთოლებსო. ადრე არასოდეს მქონია ამის შეგრძნება, ახლა თითქოს ვიღაც მაღულად მითვალთვალესო.

ხანდახან ფრანკლინი ჩაფიქრდებოდა, გონების თვალთ მისტერ პელგრეის ეძებდა. არსებობდა თუ არა ასეთი კაცი? შეკითხვას აზრი არ ჰქონდა.

შუადღეები სწრაფად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს და ბოლოს, როცა ფრანკლინს მათი სათვალავი აერია, ნათელი გახდა, მისტერ პელგრეის ყოფნა-არყოფნის საკითხი მას აღარ აწუხებდა. მისტერ პელგრეივი ალბათ მკვდარი იყო, ან განქორწინებული. ეს ადამიანი უსახო და უვნებელი ლანდივით მოჩანდა შორს და არაფერი ჰქონდა საერთო ამ ქვიშისა და მზის სამყაროსთან, მარტივად გაჯერებულ ხეშეშ ჰაერთან.

ერთხელ შუადღისას ქალმა განაცხადა:

— იცი, მე მგონი შენი დატოვება მომიწევს.

ბიქს გულმა რეჩხი უწყო. ყელში რაღაც მოაწვა, ენა ძლივს ამოიდგა.

— მეგონა, მთელ ზაფხულს აქ იქნებოდით. ყველანი მიდიხართ?

— მადლობა ღმერთს არა. მარტო მე მივდივარ ლონდონში. ისიც რამდენიმე დღით, ჩემი ვეჟილები უნდა ვნახო. ბინას ვყიდულობ. ქაღალდებს ხელი უნდა მოვაწერო, კიდევ რაღაც-რაღაცები მაქვს მოსაგვარებელი.

— დიდი ხნით მიდიხარ?

— მხოლოდ სამი დღით.

— ღმერთო, როგორ მომენატრები.

— რაღაც არ მჯერა. შენ ყოველთვის იმას ცდილობ, რომ ნათქვამით მა-



სიამოვნო. ეგ არაფერი. ხომ გაგიგონია, თვალი თვალს რომ მოშორდება, გულს გადასხვაფერდებაო. მეტისმეტი სიყვარულიც მომაბეზრებელია.

— გააჩნია ვისთან. უშენოდ მომეწყინება.

— მოეწყინება! — ქალმა სიცილით გამოაჯავრა. მერედა რა, მოწყენა ხომ მოშიებას ჰგავს — რაც უფრო მეტად იქნები მოშიებული, მით უფრო გემრიელად შეეჭყევი; ხარბად, უფრო მეტიც, ვნებიანად.

გასაკვირი ის იყო, რომ ქალის სიტყვები გამართლდა. მისი წასვლა ფრანკლინს თითქმის არც უგრძვნია. მხოლოდ ეს იყო, ემოციებისაგან დაიშრიტა და დაიცალა. მის ამომშრალ გულში დაღლილობამ დაისადგურა. უჩინო გადაქანცულმა ცურვაში, პლაჟზე უსაქმოდ ხეტიალსა და მზის ქვეშ კითხვაში ჰპოვა შვება. ეს ყველაფერი მალამოდ ედებოდა მის სულსა და სხეულს.

მისის პელგრეივის გამგზავრებიდან ერთი დღის შემდეგ, სალამო ხანს, იგი ჰეიდისა და ბავშვებს გადაეყარა. მათ ის იყო სანაპირო გადმოჭრეს. ჩვეულებრივზე მეტად ცხელოდა. ჰაერი ჯერარნახულად მძაფრი მარილის სუნით იყო დამუხტული. ბავშვებს სიცხისგან გადაღლილი სახეები ჰქონდათ.

— აღარ მასვენებენ, ისე უნდათ ყინულიანი სასმელის დაღევა.

— ეგ მეც არ მაწყენდა. წამოდით, ყველას გეპატიებით. ასე მგონია, ერთი ზღვა ლუდიც არ მეყოფა-მეთქი.

ბავშვებისაგან განსხვავებით, ჰეიდი მშვიდი და თავშეკავებული ჩანდა. ჩიხურის დიდი ღია წითელი საჩრდილობლის ქვეშ სახეზე ნაზი ვარდისფერი დაედო, რაც მას უფრო მეგობრულ იერს აძლევდა. ფრანკლინი დარწმუნდა, რომ გოგონას გულგრილობა მისივე სიმორცხვის ბრალი იყო.

— გემრიელი ფორთოხალია. — შენიშნა გოგონამ და თავის მალალ ჭიქას მოუჭრია. ყინული დატრიალდა და არაკუნდა. — აქ ყოველთვის სუფთაა ფორთოხალი.

ბავშვები რალაც ჰყეტელა შინდისფერ წყალს სვამდნენ, რომელსაც ზევიდან ქულასავით ეფინა შოკოლადის პაწაწა ფიფქებით მომტვერილი ნაყინი.

— ლუდიც შესანიშნავია. მართლა რა ძალიან ცხელა დღეს.

ხუთიოდე წუთში ბავშვების ჭიქებში მეწამული კრემის ლაქებილა დარჩა.

— კიდევ გვინდა, რა, ჰეიდი. გეხვეწებით, რა, შენ ხომ კარგი ჰეიდი ხარ.

— ჯერ ცურვა. მერე ვნახოთ.

ბავშვები პლაჟზე გავიდნენ. ჰეიდი რამდენიმე წამს ჩუმად იყო, თითქოს რცხვენოდა ბიჭთან მარტო დარჩენისა. მერე თქვა:

— მისის პელგრეივი ლონდონში წავიდა რამდენიმე დღით. იცოდი?

— კი.

— რამდენჯერმე დაგინახეთ ერთად.

— ჰო...

ჰეიდი ისევ გაჩუმდა. თვალები დახარა. ჭიქას რბილად ურევდა და ყინულიც აქეთ-იქით ეხლებოდა შიშინით. ვაჟმა იგრძნო, რომ ჩამოწოლილი სიჩუმე ორივეს უფრო და უფრო აბნევდა და რომ მისი გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. უცბად გაიაზრა — ეს პირველი შემთხვევა იყო, მარტონი რომ რჩებოდნენ.

— სულ დამავიწყდა. შენი სურათი ძალიან კარგი გამოვიდა. ახლა თან არა მაქვს, მაგრამ შემდეგ მოსვლაზე მოვიტან.

— გმადლობთ.



ისევ გრძელი სიჩუმე ჩამოვარდა ამან კიდევ უფრო დიდხანს გასტანა. ბიჭმა გაიფიქრა, ნეტავ ამით თავის უნდობლობას ხომ არ გამოხატავსო. იქნებ ქალიშვილი ინსტინქტით მიხვდა კიდევ, რა ღრმად შევეტოპეთ მე და მისის პელგრევივმაო? უცბად რაღაც გაახსენდა და გოგონას მიუბრუნდა.

მისტერ პელგრევივზე ჰკითხა.

— დიახ, არის ასეთი კაცი.

ჰეიდიმ ნელა მოწრუპა ფორთოხლის წვენი. როცა დაიხარა, ერთი თუ ორი არაჩვეულებრივად ქერა კულული სახეზე გადმოუვარდა. გოგონამ თითების მსუბუქი შეხებით გადაივარცხნა უკან.

— რაღაც ბიზნესს მისდევს, მაგრამ არ ვიცი. მგონი, სიტიში უნდა მუშაობდეს.

— აქ თუ ჩამოდის ხოლმე?

— ხანდახან, კვირის ბოლოს. ორ კვირაში ერთხელ. გამუდმებით მუშაობს.

— როგორია?

— ცოლზე ბევრად უფროსი. წყნარი კაცია.

— ჰო და არას ტიპი იქნება, ძველი ბიჭი.

— ჰო, მაგრამ, უფრო „არა“, ვიდრე „ჰო“.

მისტერ პელგრევივის ღირსებებზე მსჯელობა საბოლოოდ მაინც სიჩუმის კედელს შეეჯახა. რამდენიმე წუთში ფრანკლინმა ლუდი გაათავა და ოფიციალურად ხელით ანიშნა, მეორე კათხაც მომიტანეო.

— გოგონაც ხომ არ ინებებდა კიდევ ერთს?

— გმადლობთ, არ მინდა.

სანამ ლუდს მოიტანდნენ, ვაჟმა სიჩუმის დარღვევის კიდევ ერთი საშუალება მოიგონა.

— შეიძლება ერთი რაღაც გკითხოთ?

— კი ბატონო.

— თევზი გიყვარს?

ქალიშვილს სიცილი წასკდა. ვაჟსაც გაეცინა, მაგრამ ნუთუ ეს ასე სასაცილო იყო?

— შეკითხვაც ამას ჰქვია. რომ იცოდე, რა სახე გქონდა! ვფიქრობ, მიყვარს. რატომ მეკითხები?

— მამაჩემი ამბობს, აქედან ექვსი-შვიდი მილის იქით, სანაპიროზე, გადასარევი თევზის რესტორანიაო, „ოკეანე“ ჰქვია. რანაირ თევზს არ ნახავ თურმე იქ. მოკლედ გროვად ყრია „Fruits de mer“<sup>1</sup>, რას იტყვი, წავიდეთ ამაღამ? მამაჩემს მანქანას ვთხოვ.

ქალიშვილი ჩუმად იჯდა. მხოლოდ ყინულს არ ეშვებოდა, ატრიალებდა და ატრიალებდა ჭიქაში, თითქოს ეს ნათქვამის არსის გაგებაში ეხმარებოდა.

— გმადლობთ. რახან მისის პელგრევივი აქ არ არის, მგონი, შეიძლება ჩემი წამოსვლა.

— ესე იგი, აქ რომ ყოფილიყო, ვერ წამოხვიდოდდი?

— ვერა.

— ბავშვების გამო?

<sup>1</sup> ზღვის ნობათი (ფრანგ.).



— ოჰ, ბავშვებს რა უჭირთ, ისადილებენ და შემდეგ ვირობანას ითამაშებენ.

— ვირობანას?

— აო, კარტის თამაშია.

— მაშ, თუ ბავშვები არაფერ შუაშია, რა არის შუაში? — მაინც ვერ გავსაგო კარგად ფრანკლინმა.

— აჰ, სულ უბრალოდ. მე მას არ მოვწონვარ, იმიტომ, რომ „აქეთ-იქით დავეთრევი“.

უცბად ფრანკლინმა იგრძნო, რომ შეზიზღდა მისის პელგრეივი. სიბრაზემ სპაზმასავით დაუარა. თავისდა უნებურად სიჩუმემ წარიტაცა. ფიქრით სხვაგან გადაიჭრა, წამით მოწყდა რეალობას და მოეჩვენა, რომ მის წინ ქალიშვილი აღარ იჯდა. რაღაც ახირებული, შარიანი უხერხულობა ჩამოვარდა. მიაყურადა. ჰეიდის სიტყვებმა შეაკრთო და გამოათხიზლა.

— გამომივლი? რომელ საათზე მოხვალ?

— ოჰ, რაღა თქმა უნდა — მოიბოდიშა. გაუვლის. აუცილებლად გაუვლის. შვიდისათვის მზად იქნება?

— შენ თუ ასე გინდა, მაშინ შვიდისათვის.

— იმ ადგილას არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ვფიქრობ კარგი უნდა იყოს. მამაჩემი მეტწილად მართალს ამბობს. ამ საქმეში ცოდნა და გემოვნება არ აკლია.

გოგონამ წვენი ნელა მოსვა. მერე ბიჭს შეხედა. პირველად უყურებდა ასე დიდხანს, პირდაპირ და ძალდაუტანებლად. სიმორცხვის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა.

— დარწმუნებული ვარ, — თქვა მან, — დროს შესანიშნავად გავატარებთ.

მალე ისინი სანაპიროზე მიქროდნენ. ჩაუარეს მარილ-ვაკეებს. აქ მარილი მართკუთხედებად დაეყარათ გასაშრობად. იგი ნელთბილი მზის ქვეშ უბიწო თოვლივით ელავდა. ზღვაში ჯგუფად გამოფენილიყვნენ თევზსარეწი ნავეები, ლურჯები და ზურმუხტისფერები. ალისფერი აფრები აეშალათ და დასავლეთის დინებას მიუყვებოდნენ. ოკეანეს ნათელი მომწვანო ნაცრისფერი ედო, და თითქოს კირით შეთეთრებული წყლის უკიდეგანო სივრცეში აფრები ცეცხლის ენებივით ბრდღვიალებდნენ.

„ოკეანეც“ თეთრად მოჩანდა. ეს იყო კაშკაშა, დაბალი ციხე-სიმაგრე. კლდის შავი ბასტიონიდან ისე გადაყუდებულიყო, ცოტაც და, თითქოს ოკეანეში ჩავარდებოდა. მის თავზე მწვანე ღროშა ფრიალებდა, რომელზეც დიდის ამბით მყვირალა წითელი ასთაკვი გამოესახათ.

— მოდი, ჯერ გარეთ დავლიოთ. თუ მამაჩემს დავუჯერებთ, პირველ რიგში თევზსაცავი უნდა დაათვალიერო, მერე მიდექი და აირჩიე, რომელი ასთაკვიც მოგეწონება, სანამ ცოცხალია.

ისინი გარეთ, ტერასაზე დასხდნენ, ღუბონეს<sup>1</sup> წრუპავდნენ, თან უყურებდნენ, როგორ გაეხვია და შთაინთქა ბოლო ნავი მზის ცეცხლისფერ სამო-

<sup>1</sup> ღუბონე — ფრანგული სადესერტო ღვინო. ხანდახან იხმარება როგორც აპერიტივი.



სელში. ბიჭი გაირინდა. ამ სანახაობამ თავი გაუბრუნა. მისის პელგრეივი და-  
ვიწყებდას მისცა. ეს ქალი მისთვის უკვე აღარ არსებობდა.

შეამჩნია, რომ ჰეიდის ჩვეულება დაერღვია და კაბა ჩაეცვა. ეს იყო მუქი  
ლურჯი კაბა თეთრარშიანი სახელოებითა და საყელოთი, თითქოსდა ამის გავ-  
ლენით იყო, რომ მისი ღია ყვითელი თმა კიდევ უფრო უფეროდ მოჩანდა,  
თითქმის თეთრი. უბუსუსო, გლუვი ხორბლისფერი მკლავები ჰქონდა. ახლა  
ისინი მაგიდაზე გაჭიმულიყვნენ. უბეჭდო თითებს მსუბუქად ეკავათ ჭიქა.

— წარმოშობით გერმანიის რომელი კუთხიდან ხარ?

ქალიშვილმა თქვა, ბავარიელი ვარ, მთა ზუგსპიცის მიდამოებიდანო. ზამ-  
თარში იქ დიდი თოვლი იცის, რამდენი უსრიალია თხილამურებით! ზაფხუ-  
ლობით იქაურობა ზღაპრულად ლამაზია და დიდსა თუ პატარას სასეირნოდ  
იწვევს.

— დაბრუნებას ხომ არ აპირებ? მინდოდა მეკითხა, ხომ არ ისურვებდი  
დაბრუნებას?

საკვირველი იყო სწორედ, მაგრამ ქალიშვილს დაბრუნება ნამდვილად არ  
უნდოდა. იქ ყველაფერი მართლაც ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ... არა, მაინც  
ინგლისი ერჩია. თვითონაც არ იცოდა რატომ, და ამით დიდად კმაყოფილი  
იყო.

თავის მხრივ ვაეიც კმაყოფილი იყო, მათი საუბარი რომ ასე უბრალოდ  
წარიმართა. ამ გრძნობამ სულის შფოთი დაუცხრო და გაუყუჩა. ასე ემართე-  
ბოდა ხოლმე ინტენსიური ცურვის შემდეგ, როცა გადაღლილ სხეულს მოას-  
ვენებდა. მისის პელგრეივთან მთვარეულის სიშმაგით გატარებული დღეები  
არა მარტო არარეალური მოეჩვენა, არამედ რაღაც უხერხულად უინტერესოც.  
ისინი იმ მრისხანე ლანდებს დაემსგავსნენ, რომელთა წინაშე სითბო ვერას  
ხდება ხოლმე; ხოლო ეს გოგონა, მის წინ რომ იჯდა, აგონებდა სანახევროდ  
გადაშლილ კოკორს. მისი სანდომიანი გარეგნობა იზიდავდა, თუმცა არ აღაგ-  
ზნებდა. რომ უყურებდა, ამითაც ბედნიერი იყო. მისი სახით თითქოს სიწ-  
მინდეს ხორცი შეესხა და ამ ზღვისა და ჩამავალი მზის წიაღში წარმოჩენი-  
ლიყო.

— შენი ლონდონის მისამართი უნდა მომცე, იცოდე; — თქვა ბიჭმა, —  
ჩვენ ლონდონთან ახლოს ვცხოვრობთ, ბერკშირში. ურიგო არ იქნებოდა,  
ოდესმე შევხვედროდით ერთმანეთს.

— მოგცემ, აბა რას ვიზამ. მაგრამ როგორც გითხარი, გარეთ ხშირად არ  
მიხდება გასვლა, მისის პელგრეივის გადამკიდე.

ვაჟმა სასწრაფოდ შეცვალა თემა. არ მოშივდა? რას შეჭამდა? მამა ამ-  
ბობს, აქაურ ასთაკვებს არაფერი ჯობიაო. თუმცა მას არც ნორმანდიული მი-  
დია ჩამორჩებოდა და კიდევ, თქვა ბიჭმა, ორივენი, დედამისიც და მამამისიც,  
გიჟდებოდნენ პატარა ლანგუსტებზე; მისი ჭამით ვერ ძლებოდნენ.

— მართალი გითხრა, მაინცდამაინც ვერ ვეგუები მაგ თევზს. აზიზია,  
ბევრი ამბავი უნდა. სანამ გაასუფთავენ, შენი დაგემართება. მიმიხვდი?

— თუ გინდა, მე გაგისუფთავენ.

— ოჰ, მართლა? თუ მაგ დიდ სიკეთეს მიზამ... დალევით მონტრაშე!  
დავლიოთ. როგორც მამა ამბობს, მთელ რამედ ღირს თურმე.

1-მონტრაშე — შხრალი თეთრი ღვინო, ფრანგული.



ცოტა ხანში ისინი სასტუმროში შევიდნენ. იქ შუშის გრძელ, მწვანედ განათებულ ტანკერებში მიიზღაზნებოდნენ ჯერ კიდევ ცოცხალი, ჩამუქებული ასთაკვები, თან ცეცებს აქეთ-იქით იქნევდნენ.

— ვერ ვუყურებ ამას, — აღმოხდა ჰეიდის. — საცოდავებიცაა, მათი თვის საპყრობილეა. უბედურები.

მალე ისინი ბაკნიანთა სადგომების — ვეებერთელა პირამიდების წინ აღმოჩნდნენ. შემდეგ მრგვალ აკვარიუმთან შეჩერდნენ, რომლის შიგნით, ყინულის ქვებიდან, ლანგუსტინები, თითქოს ზღვის ფრინტებიანო, ვარდისფერ და თეთრ ყვავილებად თავქვე ჩამოშლილიყვნენ.

მონტრაშე, როგორც მამამისმა იწინასწარმეტყველა, საუცხოო ღვინო გამოდგა. მაგარი იყო და კარგად ჩაცხიებული. ბიჭს ლანგუსტინებიც გვარიანი ეჩვენა; მით უმეტეს, როგორც ეს არაერთხელ აღნიშნა, ახლა, როცა გამსუფთავებელიც თან ახლდა. მეტისმეტად ხომ არ მანებივრებენ?

— მე მგონი, არაფერს ვაშავებ. ასე არ არის?

— სრული ჭეშმარიტებაა. მადლობის მეტი რა მეტქმის.

გარეთ სინათლემ იკლო. ელექტრონის ნათურებს უკან ცა ჰეიდის კაბასავით გამუქდა. მის სილურჯეში, როგორც მორკალული ისარი, დროგამოშვებით ყვითლად ჩაიქროლებდა ხოლმე შუქურიდან მოვარდნილი სხივი.

ლანგუსტინებიც გაათავეს. შეფიქრიანებულმა გოგონამ რამდენჯერმე ამოავლო ხელები წყლიან თასში. ბიჭმა ღვინო დაასხა და შემდეგ ჰკითხა გოგონას, ნასიამოვნები თუ დარჩი ამ შეხვედრითო. პასუხად მან თავის სველ ხელებს დახედა და საოცარი რამ თქვა:

— ნასიამოვნები რომელია, რაც აქ ჩამოვედი, პირველად ვიგრძენი რომ მე მე ვარ.

რას ნიშნავდა ეს? კარგად ვერ მიუხვდა ფრანკლინი.

— როცა მისის პელგრეივთან ვარ, საკუთარი თავი მავიწყდება. შიშით ვერაფერი გამიკეთებია.

აი თურმე რა ყოფილა, გაიფიქრა ვაჟმა. ამიტომაც ჩანდა ეს ქალიშვილი ერთი შეხედვით ცივი და განდგომილი. მას კი ცხვირბზეკია ეგონა. მაგრამ შიშით რატომ უნდა შინებოდა?

— არ ვიცი. ასეა და რა ექნა, — უეცრად გაიღიმა და ჰიქა ასწია. — ჩვენ გაგვიმარჯოს. მამაშენი მართალი ყოფილა. დიდებული ღვინოა.

— ხომ გეუბნებოდით. აუცილებლად უნდა შეგახვედრო მამაჩემს. კარგი გემოვნების კაცია, მოეწონები.

— მამაშენი ნამდვილად კარგი კაცი იქნება, მე კი ნუ მაქვებ.

— მოვიფიქრე. ჩვენ ყველა ერთად მოვალთ აქ. მე თვითონ ვიზრუნებ სამშაბათს ლანჩის მოწყობაზე, თუ გამოვიდა რამე. ვინიცობაა იმ დროისათვის მისის პელგრეივი ჩამოსული იყოს, კეთილი ინებოს და ამ ერთხელ საკუთარ ბავშვებს თვითონ მიხედოს. არაფერი მოუვა.

გოგონა ღუმდა. ბიჭი დიდხანს ელოდა პასუხს, მაგრამ გოგონას სიტყვა არ დასცდენია. ბიჭმა შუა გზაზე გააჩერა მანქანა. შორიდან შუქურა ძველებურად ისროდა სხივს, რიტმულად და თვალისმომჭრელად. ბიჭმა სიბნელის ერთ-ერთი ოცწამიანი შუალედი დაიჭირა და გოგონას ტუჩებზე ნაზად აკოცა. მოეჩვენა, რომ ტუჩებს კი არა, ახლად შეღებებულ ყვავილის ფურცელს და-



ეკონა. როგორ განსხვავდებოდნენ ეს მშვიდი ტუჩები მისის პელგრევის მოქნილი და მკბენარა პირისაგან!

— მითხარი, ხომ აღარ გეშინია?

იქნებ ასეთი სისულელე არ უნდა ეკითხა? ყოველ შემთხვევაში, პასუხი არ მიუღია. გოგონა სკამის საზურგეზე გადაწოლილიყო და დუმდა. როცა ნაცნობმა სხივმა ისევ შემოანათა, ბიჭმა დაინახა, რომ გოგონას სახე უცინოდა. მახვილივით ჩასრიალდა სინათლე ამ თვალებში.

ორი დღის შემდეგ ფრანკლინმა პლაჟზე ჩაიარა; სად აღარ მიედ-მოედო. მაგრამ ვერც გოგონას ჰკიდა თვალი, ვერც ბავშვებს. ამ თვალიერებაში უცბად ნაცნობი თქროსფერი ფეხები დაინახა. აგერ, უღალთმიანი თავიც გამოჩნდა დიუნების ვერცხლისფერ ქვიშაზე.

— ეი, ჰელოუ. უკვე აქა ხარ?

მისის პელგრევი საკუთარი ფრჩხილებით იყო გართული, გულმოდგინედ იმუშავებდა. ისე გულმოდგინედ, რომ თავიც არ აუწევია, რომ ვაჟისათვის შეეხებდა.

— როდის ჩამოხვედი?

— გუშინ დილით.

— საინტერესოა, აქამდე რატომ ვერ დაგინახე. უცნაურია.

— უცნაური? რომ იცოდე, რამდენი საქმე მქონდა, მათ შორის არასასიამოვნოც, მაგრამ რას ვიზამ.

ვაჟი ქალს დააკვირდა. აი ვის ჰქონდა განდგომილი, გულგრილი, და ქედმაღლური გარეგნობა. უნებლიეთ მოუნდა გვერდით მიჯდომოდა, მაგრამ სურვილმა ხელად გაუარა.

— ვერც ჰეიდისა და ბავშვებს ვხედავ რაღაც.

— რა იყო, თავხარი ხომ არ დაგეცა?

ბიჭს სიბრაზის ტალღა მოაწვა, მახრჩობელა გველივით გაუარა ყელში და პირი მოუშხამა. ქალმა დამცინავი ნიშნისმოგებით დახედა ფრჩხილებს და კარგა ხანს უყურა. შემდეგ ჩანთას მიუბრუნდა და ასევე კარგა ხანს ჩხრიკა. ბოლოს, როგორც იქნა, იპოვა, რასაც ეძებდა — ხელს სარკე ამოაყოლა.

— იქნებ დამდოთ პატივი და განმიმარტოთ, რისი თქმა გსურდათ მაგით.

— განვიმარტო? რატომ, რა საქიროა?

ქალმა სარკეში ჩარგო თავი. თითქმის მთელი წუთი ხმა არ ამოუღია.

— მაინც ვერ გამიგია, რატომ არა ჩანს ჰეიდი. გუშინ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს ყავის დასალევად. დამპირდა მოვალე.

— როგორ უნდა მოსულიყო, თუ იმ დროს აქ არ იყო.

— არ მესმის.

— შინ გავამგზავრე.

ბიჭს ყელში ისევ იმ გველმა წაკბინა, პირი მოუშწკლარტა; გული აერია.

— შინ გერმანიაში?

— რა თქმა უნდა.

— იგი ამას არ იზამდა, არც იზამს. სულ არ უნდოდა დაბრუნება.

— ხომ გითხარი, წავიდა-მეთქი: წუხელ გავისტუმრე.

ბიჭი გახევედა. არაფრის თავი აღარ ჰქონდა. სიბრაზემ ღონე წაართვა. ქალი სარკეს იყო ჩაშტერებული და საერთოდ ვერ ამჩნევდა მის არსებობას. ახლა კი ვეღარ მოითმინა ბიჭმა და წონასწორობიდან გამოსულმა იფეთქა:



— ურჩხულიც კი არ იზამდა ამას! სწორედაც, ურჩხული! ღმერთო ჩემო!

— ნუ ყვირი, ბოლოს და ბოლოს ბავშვებისათვის ასე აჯობებდა. ვის რაში გამოადგება ისეთი მოახლე, რომელიც ზურგს უჩვენებ თუ უკუაქედმუხურ თან, დიკებთან და ჰარიებთან თავაშვებული თამაშით იქცევს თავს.

— თავაშვებული თამაში? ოჰ, ღმერთო, ჩვენ მხოლოდ ვისადილეთ ერთად. ეს იყო უბრალო, წყნარი და უმანკო სადილი.

ქალმა, როგორც იქნა, ამოხედა. ღიმილი უღიმღამოდ მიყინვოდა ტუჩებზე.

— უმანკო? სათქმელად ლამაზი სიტყვაა. იქნებ შენი წინა კვირის საგმირო საქმეებიც უმანკოების სამეფოს განეკუთვნებიან?

— არაფერი მაგის მსგავსი არ ყოფილა!

— რას ნანობ ალბათ?

— არაფერს არ ვნანობ! ღვთის გულისათვის!

აქამდე კაცად თვლიდნენ, ახლა კი უცბად შეიცვალეს აზრი.

— ოჰ, თავს ნუ ისულელებ, ბიჭიკო. წადი შენი გზით, სიბრაზეს რა ჭკუა აქვს.

— სიბრაზეო? პირიქით, ძალიან კარგ ხასიათზე ვარ, გაბრაზებული შენა ხარ.

ქალმა გულიანად გადაიხარხარა.

— გაბრაზებული? შენზე? ეს კი ნამდვილად სასაცილოა. პირიქით, ძალიან გემადლიერები.

— რატომ, დალახვროს ეშმაკმა.

— რამდენი ხანია, მაგის მოშორება მინდოდა, მაგრამ საამისო საბაბი არ მქონდა, ახლა კი შენის შეწევნით ესეც მოვახერხე.

ბიჭი გახევებული იდგა. ცალკე სიბრაზემ და ცალკე დამცირებამ არაქათი გამოაცალა. ქალი ისევ სარკეს ჩაშტერებოდა, მისთვის აღარ არსებობდა ვაჟი.

მერე უცებ მოაგროვა თავისი ნივთები ხელჩანთაში და წამოდგა. თვალების მაგივრად მომწვანო-მოყავისფრო ქვებიღა შერჩენოდა.

— რახან შენ ვერ მოგაცვლევიანე ფეხი, რა გაეწყობა, მე წავალ.

— მაინც რა ნაღდად მოარტყამ ხოლმე ხანდახან!

— მაინც ვერ გამიგე. მე იმას გეუბნებოდი, რა საკადრისია-მეთქი გოგოს ამოდენა საქმე მიახლო და ის კი იაფფასიანი ინტრიგებით იყოს გატაცებული. ასეთს მე ვერ ავიტან. — უცბად ზიზლით გაყინული სახე შეატრიალა და გაშორდა.

ბიჭი კი იდგა გულმოსული და სასოწარკვეთილი. დანა პირს არ უხსნიდა. ფეხის გადადგმაც უჭირდა და სიტყვის თქმაც.

მეორე დღეს, სასეირნო მოედანზე, ბიჭმა კვლავ მოჰკრა თვალი ნაცნობ ქვალ თმას. ქალს ამჯერად უბრალო, თხელი, ყვითელი კაბა ეცვა, წელზე ზურმუხტისფერი ქამარი შემოერთყა. ამ კაბაში ფრიად პატივსაცემი და მისაღები იერი ჰქონდა, როგორიც ლედის ან ჯენტლმენს შეეფერება.

გვერდით მოჰყვებოდა სამოციოდე წლის კაცი ფართო კრემისფერ შარვალში, მუქ ლურჯ სპორტულ ქურთუქსა და საიახტო კეპში გამოწყობილი.



კაცს თქვამს ბუნებრივი ხელჯობი ეჭირა და ზღვისკენ ხშირად იშვერდა ხოლ-  
მე. მას ძალიან მისაღები იერი ჰქონდა, როგორც იტყვიან, პეწიანი.

როცა მისტერ და მისის პელგრეივები გაუსწორდნენ, ფრანკლინმა თავს  
ძალა დაატანა და „შუადღემშვიდობისა“ უსურვა. ზუსტად ამ დროს მისის  
პელგრეივმაც იმგვარივე მონდომებით გაიხედა ზღვისკენ.

ხუთი წუთიც და ბიჭი პლაჟზე მიაღაჯებდა — მცხუნვარე სანაპიროდან  
ფიქვნარის ჩრდილში გადაინაცვლა, მერე ისევ ცხელ მზეზე გავიდა.

„ჰეიდი“, იმეორებდა თავისთვის, „ჰეიდი“. ამ უიმედო და უნაყოფო  
ძახილს ეჭო არ მოჰყოლია, თეთრად გადაპენტული ქვიშა მის წინ ისეთივე  
ბრტყელი და უსიცოცხლო იყო, როგორც ის მარტილ-ვაკეები, იმ საღამოს მზის  
ქვეშ რომ ნახეს.

„ჰეიდი... ჰეიდი ...ოჰ, ღმერთო, ჰეიდი, როგორ გიპოვო?“

## ოსკარ უაილდი

### მილიონარი-მოღელი

**უ**ფულო კაცი გინდ ყოფილა, გინდ არა; სილამაზეც ვერაფერს  
უშველის. სასიყვარულო რომანებიც მდიდრების პრივილეგიაა  
და არა პირღია უმუშევრებისა. ღარიბი უნდა იყოს პრაქტიკული და პროზა-  
ული, სილამაზეს ისევ ხელფასის ქონება სჯობს ბევრად. ეს თანამედროვე  
ცხოვრების უდიდესი ქეშმარიტებაა, რასაც ვერასოდეს ჩახვდა ჰიუ ერსკინი.  
საბრალო ჰიუ! უნდა ვაღიაროთ, დიდი ინტელექტით ვერ დაიტრაბახებდა ეს  
ჩვენი ჰიუ. თავის სიცოცხლეში ერთი შნოიანი კი არა, ღვარძლიანიც არაფერი  
უთქვამს. მაგრამ მას მაინც ბევრს შველოდა თავისი საოცარი სილამაზე: ხვე-  
ული წაბლისფერი თმა, გამოკვეთილი პროფილი და ნაცრისფერი თვალები.  
კაცებშიც ისეთივე პოპულარული იყო, როგორც ქალებში და ბევრ რასმე მი-  
აღწია ამით, ბევრიც მოიპოვა, გარდა ფულისა. მამამ მას თავისი საკავალერიო  
ხმალი და „ნახევარკუნძულის ომების ისტორიის“ თხუთმეტტომეული უან-  
დერძა. ხმალი ჰიუმ სარკის თავზე დაჰკიდა, ტომები — თაროზე გამოამწკ-  
რივა „რაფის სახელმძღვანელო — მეგზურსა“ და „ბეილის ჟურნალს“ შო-  
რის, თვითონ კი დაარბენებული ცხოვრობდა თავისი მოხუცი დეიდისგან  
ბოძებულ ყოველწლიურ ორი ათასის ხარჯზე. ხელიდან არაფერი გამოსდი-  
ოდა. რა აღარ სცადა: ექვსი თვე საფონდო ბირჟაზე დაჰყო, მაგრამ რას გაბ-  
დებოდა პეპელა იმოდენა ხარ-კამეჩებთან? ეს რომ არ გამოუვიდა, ჩაით ვაჭ-  
რობა დაიწყო. ამან ცოტა მეტ ხანს გასტანა, მაგრამ პიკოები<sup>1</sup> და სუშონგე-  
ბიც მალე მობეზრდა.

მერე მშრალი ხერესის გაყიდვა სცადა, მაგრამ აქაც ვერ იხეირა — მარ-  
თლაც რომ მშრალი საქმე გამოდგა ეს ხერესობანა. საბოლოოდ რა დარჩა მის-  
გან? არაფერი — ერთი სასიამოვნო შესახედაობის ხელმოცარული ახალ-  
გაზრდა, პეწიანი პროფილი და არავითარი ხელობა.

<sup>1</sup> პიკო, სუშონგი — ჩაის ჯაშები.



საქმეს ის აუარესებდა, რომ ჩვენი გმირი შეყვარებული იყო. მას უყვარდა ლორა მერტონი, ერთი გადამდგარი პოლკოვნიკის ქალიშვილი, რომელიც ინდოეთში დაკარგულ ტემპერამენტსა და დიგესციას<sup>1</sup> მისტიროდა და ვერც ვერაფრით აღედგინა ისინი. ლორა აღმერთებდა ჰიუსს და ვაჟიკს მზად იყო, ფეხსაცმლის თასმები დაეკოცნა მისთვის. ეს იყო უმშვენიერესი წყვილი, მოეწონა ლონდონში, მაგრამ პენიანი რაა, ისიც კი არ გააჩნდათ. პოლკოვნიკს მამამ-ვილურად უყვარდა ჰიუ, მაგრამ ნიშნობას ვერ უხსენებდით.

— ჩემო კარგო ბიჭო, როცა შენი საკუთარი ათი ათასი ფაუნდი<sup>2</sup> გექნება, მოდი ჩემთან და მაშინ ვილაპარაკოთ, — ეტყოდა ხოლმე. მოიღუშებოდა საწყალი ჰიუ და ლორასთან გასწევდა სანუგეშოდ.

ერთ მშვენიერ დილას, პოლანდ-პარკისაკენ მიმავალმა, იქ, სადაც ცხოვრობდნენ მერტონები, მან თავის ახლო მეგობარს, ალან ტრევორს შეუარა შინ. ტრევორი მხატვარი იყო. ჩვენში დარჩეს და დღესდღეობით ბევრი ჩემობს ამობას, მაგრამ ტრევორი ხელოვანიც იყო, ხელოვანები კი სანთლით საძებარია. შესახედად უცნაური, ჯმუხი ბიჭი ჩანდა, ჭორფლიანი სახე და აწეწილი წითური წვერი ჰქონდა. მაგრამ ფუნჯით ხელში ეს იყო ნამდვილი სასწაულმოქმედი. ბევრი ოცნებობდა მისი ნახატის შექმნაზე. რაღა დასამალია და გაცნობისთანავე ზედმეტად თვალში მოუვიდა ჰიუ მხატვარს, მისი სხეულის ეშხით მოიხიბლა. მხატვრის ნაცნობობის ღირსი მხოლოდ შტერი და მშვენიერი ადამიანი უნდა იყოსო, — იტყოდა ხოლმე, — ადამიანი, ვისი დანახვა გრძნობებს სიამით ავიშლის და ვისთან ბაასიც გონებას დაგიწყნარებს. დენდებისა და დარლინგებისა<sup>3</sup> ეს ქვეყანა, სამყაროს მათით უდგას სული. ეს ასეა, ყოველ შემთხვევაში ასე უნდა იყოსო. ჰიუ რომ ახლო გაიცნო, მისი ხასიათიც არანაკლებ მოეწონა. იზიდავდა მისი ცინცხალი, მუდამ სიცოცხლით სავსე განწყობა და სიკეთით გაჯერებული, განუსჯელი ბუნება. ამიტომაც მისცა მას მუდმივი entree<sup>4</sup> თავის სახელსონოში.

ჰიუ შევიდა. ტრევორი ის იყო ამთავრებდა შესანიშნავ დიდ პორტრეტს, რომელზეც მათხოვარი იყო გამოსახული. სახელოსნოს ერთ-ერთ კუთხეში, შემაღლებულ ფიცარნაგზე, იდგა ნამდვილი მათხოვარი. ეს იყო ჩამომხმარი მოხუცი კაცი; სახე დაჭმუჭნულ პერგამენტს მიუგავდა, შესაბრალისად გამოიყურებოდა. მხარზე გაფშეკილი ყავისფერი, დაგლეჯილ-დაფლეთილი ლაბადა ჰქონდა მოგდებული; წაღები ფეხზე შემოცვეთოდა. ცალი ხელით ხორკლიან ჯოხს იყო დაყრდნობილი, ხოლო მეორე, გაწვდილ ხელში, მომჩვარული სამოწყალო ქუდი ეჭირა.

— მოდელიც ამას ჰქვია! — ჩუმად გამოსცრა ჰიუმ, მეგობარს ხელს რომ ართმევდა.

— მოდელიც ამას ჰქვია, ხომ? — დაიყვირა ტრევორმა, რაც შეეძლო ხმამაღლა, — მეც ამას ვფიქრობ! გინახავს სადმე ამისთანა მათხოვარი? ეს არის *trouvaille, mon cher*<sup>5</sup>, ნაღდი ველასკესის დასახატია! ოჰ, რა გრავიურას გააკეთებდა რემბრანდტი მისგან!

1 საკმლის მონელება.

2 ფაუნდი — ძირითადი ფულის ერთეული ინგლისში, იგივე გარვანჯა სტერლინგი. შეიცავს 100 პენსს.

3 საყვარელი, ძვირფასი ადამიანი. აქ: საყვარელი ქალი.

4 საშვი (ფრანგ.).

5 აღმოჩენა, ჩემო ძვირფასო (ფრანგ.).



— საბრალო ბერიკაცი! შეხე ერთი, რა ბეჩავი გამომეტყველება აქვს. ამაზე მხატვრები ვიცი, რასაც იტყვიან: ეს სახე მისთვის მთელი სიმდიდრეაო.

— რასაკვირველია, — მიუგო ტრევორმა, — ბედნიერად მომზირალი მათხოვარი რა მათხოვარია.

— რა ღირს ამათი პოზირება? — ჰიუ მოხერხებულად მოკალათდა დივანზე.

— შილინგი! საათში.

— შენს სურათში რამდენსდა იძლევიან, ალან?

— ოპ, ბევრს. ამაში ორი ათასს მაძლევენ!

— ფაუნდს?

— არა, გინეას<sup>2</sup>. მხატვრებს, პოეტებსა და ფიზიკოსებს გინეებით გვინაზღაურებენ.

— ძმავ, ამათ ნამდვილად პროცენტები ეკუთვნით ჯდომასში, — ხმამალლა გაეცინა ჰიუსს. — თქვენზე ნაკლები სამუშაო როდი აქვთ.

— კარგი ერთი! რა შედარებაა! ჯერ მარტო საღებავის ფენებად დადება, მერე კიდევ დილიდან საღამომდე ფეხზე დგომა; ეხუმრები? სალაპარაკოდ ძალიან ადვილია, ჰიუ, მაგრამ მერწმუნე, არის წუთები, როდესაც ხელოვანის შემოქმედება ფიზიკური შრომის ტოლფასი ხდება. მაგრამ ახლა სალაქლაქოდ არა მცალია. აჰა, შენ სიგარეტი და ნულარ იხმაურებ.

ცოტა ხანში შემოვიდა მსახური და ტრევორს უთხრა, მეჩარჩოეს სურს თქვენთან ლაპარაკიო.

— არ გამეჭყე რა, ჰიუ, — თქვა მან გასვლისას, — ამ წუთში მოვალ.

ტრევორი გავიდა თუ არა, მათხოვარმა დრო იხელთა და ხის მერხზე წამოწვა დასასვენებლად, თავის სკამს უკან. ისეთი უთვისტომო და უბედური ჩანდა, რომ ჰიუსს გულით შეეცოდა და ჯიბეები მოისინჯა, — რამდენი მაქვსო. ერთი სოვრინი<sup>3</sup> და ორიოდე კოპერი<sup>4</sup> აღმოაჩნდა. „საბრალო ბერიკაცი, — ფიქრობდა თავისთვის, — მას ფული ჩემზე მეტად ჰქირდება. ჯანდაბას, გავძლებ უეტლოდ ორ კვირას“. იგი მიუახლოვდა მათხოვარს და სოვრინი ჩაუცურა ხელში.

მათხოვარი შეიშმუშნა. ჩამომტკნარი ტუჩები უღიმღამო ღიმილმა შეუთამაშა. „გმადლობთ, სერ, — თქვა მან, — გმადლობთ“.

ამასობაში ტრევორიც დაბრუნდა და ჰიუ გამოემშვიდობა მას. თავისი ნამოქმედარი რომ გაახსენდა, სახე ოდნავ აელეწა. ის დღე ლორასთან გაატარა, ერთი კარგი საყვედურიც მიიღო ექსტრავაგანტურობისათვის და შინ ფეხით დაბრუნდა.

იმ ღამეს, თერთმეტზე, „პალიტრის კლუბში“ შეიარა. ტრევორი მოსაცდელ ოთახში იჯდა, რეინვეინსა და სელცერს სვამდა.

<sup>1</sup> 1971 წლამდე ფულის ერთეული იყო ბრიტანეთში, უდრიდა ფაუნდის მეოცედს.

<sup>2</sup> ფულის ერთეული, უდრიდა ოცდაერთ შილინგს. იგი არ იყო მიმოქცევაში მონეტების ან ბანკნოტების სახით; მას იყენებდნენ მხოლოდ როგორც ფასების აღმნიშვნელს ფულის მიმოქცევის სხვადასხვა სფეროში.

<sup>3</sup> ძველებური ოქროს მონეტა, ერთი ფაუნდის ღირებულების.

<sup>4</sup> წვრილი სპილენძის ფული.



— რაო, ალან, დაადგა საშველი შენს სურათს? — ჰკითხა ჰიუმ და სიგარეტს მოუკიდა.

— საშველიც დაადგა და მოჩარჩოვდა კიდეც, ჩემო ჰიუმ, — მიუგო ტრევიორმა. — მართლა, გახსოვს ბებერი მოდელი? თავდავიწყებით ყველაფერი გამომკითხა შენზე — ვინ ხარ, სად ცხოვრობ, რა რას აპირებ მომავალში.

— ჩემო ძვირფასო ალან, ახლა ალბათ სადმე ჩემი სახლის გზაზე მელოდება, არა? რა ხუმარა ხარ, გეთაყვა. საცოდავი! ნეტა შემეძლოს რითიმე დავეხმარო. საშინელი უსამართლობაა ადამიანის ასე დაჩაჩანაკება. სახლში ოხრად მიყრია ტანსაცმელი, ხომ არ დამიწუნებს, რომ შევთავაზო? ცარიელი კონკებილა ეკიდა ტანზე.

— ჩინებული კონკებია, ძალიან უხდება. სერთუკში, მაგალითად, არაფრის გულისთვის არ დავხატავდი. რასაც შენ კონკებს ეძახი, ის ჩემთვის რომანტიკაა. რაც შენთვის სილატაკეა, ის ჩემთვის ხატოვანებაა. ჯანდაბას, გადავცემ რასაც სთავაზობ.

— დიდი უგულო ვინმეები ხართ ეს მხატვრები, ალან, — თქვა ჰიუმ დინჯად.

— ხელოვანის გული მისივე თავია, — მიუგო ტრევიორმა. — და კიდეც, ჩვენი ვალია შევიმცნოთ სამყარო ისეთად, როგორაც გვეჩვენება, და არა გარდავქმნათ იმ ცოდნის მიხედვით, რაც მის შესახებ მოგვეპოვება. *A chacun son mètièr!* შენ ის მითხარი, ლორა როგორ არის, ბებერ მოდელს ძალიან აინტერესებს მისი ამბავი.

— გინდა თქვა, რომ ლორაზეც ელაპარაკე?

— რა თქმა უნდა. მან უკვე იცის შეუბრალებელი პოლკოვნიკის, მისი მზეთუნახავისა და 10 000 ფუნდის ამბავი.

— ესე იგი, შენ იმ ბებერ მათხოვარს მთელი ჩემი პირადი ცხოვრება გადაუშალე, არა? — ჰიუს სიბრაზით სახე აუჭარხლდა.

— ჩემო ძვირფასო, — თქვა ტრევიორმა და გაიღიმა. — ეს ბებერი მათხოვარი ერთ-ერთი უმდიდრესი კაცია ევროპაში. თუ გინდა, ხვალვე იყიდის ლონდონს და მის თანხას ამით დიდი არაფერი დააკლდება. აქვს ზღაპრული სახლი, სადილს ოქროს თეფშიდან გეახლება.

— ღმერთმანი არაფერი მესმის.

— ჰოდა, იმას გეუბნებოდი, — განაგრძო ტრევიორმა, — ის მოხუცი, დღეს სახელოსნოში რომ ნახე, ბარონი ჰაუსბერგი გახლავს. ჩემი დიდი მეგობარია. მთელ ჩემს სურათებს ყიდულობს; ერთი თვის წინ შემიკვეთა, მათხოვრად დამხატეო. *Que voulez-vous? La fantaisie d'un millionnaire!*<sup>2</sup> ბრწყინვალე მათხოვარი იყო იმ თავის ძონძებში, არაფერი მეთქმის. უფრო სწორად, ჩემს ძონძებში. ესპანეთში ნაყიდი ძველი კოსტუმი იყო.

— ბარონი ჰაუსბერგი! — სახტად დარჩა ჰიუმ. — ღმერთო ჩემო! მე კი მას სოვრინი მივეცი! — და უმწეოდ ჩავარდა სავარძელში.

<sup>1</sup> ყველამ თავის საქმე უნდა აკეთოს (ფრანგ.)

<sup>2</sup> რას იზამ, მილიონერსაც აქვს ფანტაზია (ფრანგ.).



— სოვრინი მიეცი? — შეჰყვირა ტრევორმა და სიცილი წასკდა. — ჩემო კარგო, დაგიკარგავს და ეგ არის! *Son affaire c'est l'argent des autres!*

— შე მგონი, ეს ამბავი ადრეც შეგეძლო გეთქვა. სულელი ვეგონე ალბათ იმ კაცს. — ჰიუ გაბუტულივით ლაპარაკობდა.

— ჰიუ, ჩემო კარგო, ჯერ ერთი, აზრადაც არ მომსულა, რომ შენ ისე უცბად მოწყალების დარიგებას მოჰყვებოდი. მაინც რამ მოგაფიქრებინა? მესმის ლამაზი მოდელი დაგეკოცნა, მაგრამ სოვრინის მიცემა, და ისიც მახინჯისათვის?! — არა ძმაო, არა. თანაც იმ დღეს არავის ველოდი, შინ არა ვარმეთქი, ასე მქონდა დაბარებული და შენ რომ შემოხვედი, საკმაოდ დავიბენი. აღარ ვიცოდი, როგორ წარმედგინა შენთვის ჰაუსბერგი. ვიფიქრე, ვაითუ არ სურს თავისი ნამდვილი ვინაობის გამხელა-მეთქი. ხომ გახსოვს, როგორ ეცვა.

— ნამდვილად შტერი ვეგონებოდი.

— პირიქით, შენი წასვლის შემდეგ ისე გახალისდა, ველარ იცნობდი, მზიარულად ხითხითებდა და თავის დანაოჭებულ ხელებს ისრესდა. ვერაფრით მიემხვდარიყავი, რითი მოხიბლე, რატომ დაინტერესდა შენი ვინაობით. მხოლოდ ახლა ჩავხვდი ყველაფერს: წავა, იმ შენს სოვრინს დააბანდებს და ყოველ ექვს თვეში ერთხელ მონაგების პროცენტებით გაგისტუმრებს, თვითონ კი ამით გენიალურ სასაუბრო თემას შეიძენს სუფრასთან.

— ბედი რომ არ გექნება, კაცს, — ჩაიბუზღუნა ჰიუმ. — ყველაფერს ისა სჯობს, დავწვე და დავიძინო. ალან, ჩემო მეგობარო, ეს ამბავი არავინ არ უნდა გაიგოს. ერთი დავიდარაბა შეიქნება, ცხვირს ველარ გავყოფ სირცხვილით გარეთ.

— რა სისულელეა! ეს ამბავი ხომ მხოლოდ შენს კაცთმოყვარეობაზე მეტყველებს, შენივე სასარგებლოდ. ნუ გარბიხარ, მეორე სიგარეტიც მოწიე ბარემ. თუ გინდა, ლორაზე მიამბე, რაც გაგეხარდება.

ჰიუ მაინც არ გაჩერდა და ფეხით გაუდგა გზას შინისაკენ. თავს უბედურად გრძნობდა. ალანს კი ამ ამბის ყოველ გახსენებაზე სიცილი აუტყდებოდა ხოლმე.

მეორე დილით, როცა ჰიუ საუზმობდა, მსახურმა მას სადარბაზო ბარათი შემოუტანა, რომელზეც ეწერა შემდეგი: *Monsier Gustave Naudin, de la part de M. Baron Hausberg*<sup>2</sup>. „ალბათ ბოდიშის მოსახდელად მოვიდა“, — ვაიფიქრა ჰიუმ და მსახურს უთხრა, ამოიყვანეო.

ოთახში ოქროსსათვალისიანი ქალარა მოხუცი ჯენტლმენი შემოვიდა და მცირე ფრანგული აქცენტით იკითხა:

— თქვენ ბრძანდებით პატივცემული ბატონი ერსკინი?

<sup>1</sup> სხვების ფული მისი საქმეა (ფრანგ.).

<sup>2</sup> ბატონი ვუსტავე ნოდენი, ბარონ ჰაუსბერგის დავალებით (ფრანგ.).



ჰიუმ თავი დაუკრა.

— ბარონმა ჰაუსბერგმა გამომგზავნა თქვენთან.

— გთხოვთ, გადასცეთ მას ჩემი გულწრფელი ბოდიში, — ღერღა ჰიუმ.

— ბარონმა დამავალა, — თქვა სტუმარმა ღიმილით, — მეცა თქვენთვის.

ჰიუმ დალუქული წერილი გახსნა. გარეთა პირზე ეწერა: „ერსკინ და ლორა მერტონებს, საქორწინო საჩუქარი ბებერი მათხოვრისაგან“, შიგნით კი იდო 10 000 გირვანქა სტერლინგის ჩეკი.

ისინი დაქორწინდნენ. ტრევეორი მეჯვარე იყო, ხოლო ბარონმა ლაზათიანი სიტყვა თქვა საქორწინო სუფრაზე.

— მილიონერი — მოდელი, ეს იშვიათობაა, — დასძინა ალანმა, — მაგრამ ვფიცავ, კიდევ უფრო დიდი იშვიათობაა მილიონერი — სიკეთის მოდელი.



ქლივის ამო-  
წერილი გადმო-

□





თარგმანი ალექსანდრე ტაბატაძემ

### ნ ი შ ა რ ა

როგორც ბნელ ღამეს, ისე მიყურებ,—  
აღარ გჭირდები (ალბათ ამიტომ).  
მე შენს ნაპირზე ვარ გარიყული,  
როგორც ნიჟარა უმარგალიტო.  
ცივად, გულგრილად ტალღებს აქაფებ  
და შენს ამ ხმაურს სიმღერას არქმევ,  
მაგრამ გაიგებ და დააფასებ  
მიტოვებული ნიჟარის სათქმელს.

შენ მიხვალ მასთან, დღეს რომ  
გაშინებს,  
ძვირფას სამოსელს მიიღებს შენგან  
და მას მარადის დაუკავშირებ  
უზარმაზარი ზარების რეკვას.  
და ამ პატარა ნიჟარის კედლებს,  
ისე, ვით გულის ცარიელ ბუდეს, —  
ქარით და წვიმით, და ნისლით კიდევ,  
ნასი ჩურჩულით გაავსებ უცებ.

ჯერ არ მოვმკვდარვარ, ჯერ არ ვარ  
მარტო,  
მე სიღარიბემ მიძმო, მიშვილა,  
გავცქერი ველებს, ვრცელსა და  
ფართოს,  
ვტკბები წყვდიადით, ქარით,  
შიმშილით.

და ამ ბრწყინვალე სიღარიბეში

მშვიდი და წყნარი — ვფათურობ  
ჩემთვის,  
შენ ერთადერთი მყავდი ნუგეშად,  
წარსულო ჩემო, გფარვიდეს ღმერთი.

ცოდოა, ვისაც ერევა ქარი,  
ვისაც ძაღლების ყუფა აშინებს  
და კიდევ იგი, ვინც ცოცხალ-მკვდარი  
მოწყალებას სთხოვს ფერმკრთალ  
აჩრდილებს.

მე შენი სახე მწვავდა და მენტო,  
ქარი და წვიმა ველარ მიქრობდა,  
მერე შეცდომით წამომცდა:  
„ღმერთო!“ —  
როცა ამის თქმას სულ არ ვფიქრობდი.

და ღვთის სახელი, ვით დიდი ჩიტი,  
გულიდან მომწყდა ფრთების შრიალით,  
წინ ღრუბლის ხროვა მოქნარებით  
მიდის,  
უკან გალია ჩანს ცარიელი.





ნაზი ქამეო, სანეტარი რამ საგანძური,  
დავკარგე სადღაც, მდორე ნევის ნაპირთან ალბათ  
„მე მებრალება რომაელი ტურფა ქალწული,“ —  
ცრემლმორეული მიყვებოდით გარდასულ ამბავს.

მაგრამ მითხარით, მშვენიერო ქალო ქართველო,  
ღვთიურ სამარხთა გვამებს რისთვის ავხადოთ რიდე  
და თოვლის ერთი მოფარფატე თეთრი ფანტელი  
დააკვდა თქვენი წამწამების მარაოს კიდევ.

და თქვენ იდექით თავდახრილი, უსიტყვოდ, უხმოდ.  
ქამეო გაჰქრა — რომაელი ქალწული გაჰქრა.  
მე შავგვრემანი თინათინი მებრალების უფრო,  
ნევის ნაპირთან რომ სეირნობს მდუმარედ ახლა.

სხვაგან ვიყავი. საქმეს რომ მოვრჩი,  
წამოველ აქეთ წელამდე თოვლში.  
გამოჩნდა ქოხი, ვთქვი, შევისვენებ  
და შიგ შევედი ვიწრო დერეფნით —  
ჩაის მარილით სვამდნენ ბერები  
და ბოშა ქალის ქადაგს ისმენდნენ.  
ის ქალი იჯდა თავსასთუმალთან  
და დაღლილ თვალებს ზანტად  
ლულავდა.

იმეორებდა სიტყვებს საწყალი...  
დიღამდე იჯდა და ცალი ხელით  
ითხოვდა იგი: სიკეთე ქენი,  
მაჩუქე ძველი რამ მოსასხამი.  
...ვიხსენებ, როგორც დასამარებულს  
მუხის მაგიდას და სამარხს  
და გამოფხეკილ იმ ძველ განჯინას...

დალევა სურდათ — მაგრამ ვერ  
სვამდნენ,  
ადგომა სურდათ — რკალივით ადგნენ,  
ეზოში გაჩნდნენ მერე ფანჯრიდან.  
გავიდა ხანი, და როგორც ხშირად,  
აახრამუნეს ცხენებმა შვრია.  
ლეჭავენ მსხვილ-მსხვილ მარცვლებს  
ცხენები,

ჭრიალებს ეზოს კარები ნისლში  
და უზანგების წკრიალი ისმის,  
უკვე თანდათან გათბნენ ხელებიც.  
რიყრაყი წყვდიადს ნელნელა ძარცვავს,  
წყალში თანდათან იხსნება ცარცი,  
სულში მოწყენის ყინული ლხვება,  
ველარ აკავენს ფერმკრთალი ტილო —  
ოთახში შედის რძისფერი დილა  
და ავადმყოფი ჭილყვავის ხმები.

მხოლოდ საბავშვო წიგნების კითხვა,  
მხოლოდ ბავშვური ფიქრები დიდხანს...  
ოცნება მიაქვს ქარსა და ქუხილს,  
მეტოვებს მხოლოდ სევდას და წუხილს.

მე აწეწილმა ცხოვრებამ, იცით,  
მრავალჯერ სიკვდილს მიმცა კინაღამ,  
მაგრამ მე ჩემი სამშობლო მიწა  
მიყვარს, რადგანაც სხვა არ მინახავს.



შორეულ ბაღში მე ვირწეოდი  
ხეთა უბრალო საქანელაზე,

ნაძვები თვალწინ შავად ელავდნენ,  
ვთვლემდი, ვბოდავდი და ვიქცეოდი.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

●

აბობოქრებულ საუკუნის ძლიერი დელვის  
და კაცთა მოდგმის დიდებისთვის ეს ტვირთი ვზიდე:  
მამათა ლხინში მე დავკარგე უფლება ყველა,  
მხიარულება და ღირსება დავკარგე კიდევ.  
როგორც მშიერ მგელს, საუკუნე მწვდება კისერში,  
თუმცა მე მგელი სულაც არ ვარ ჩემი სისხლ-ხორციით,  
უკეთესია, ციმბირული ქურქის ჯიბეში  
დამმალოს ვინმემ სასიკეთოდ, ვით ცხვირსახოცი.  
რომ ვერ ვიხილო მშიშარა თუ საბრალო მუნჯი  
და ვერც სისხლიან ძვლებს ვხედავდე გაყინულ გზაზე,  
რომ მთელი დამე მინათებდეს მელია ლურჯი,  
პირველყოფილი სილამაზით ყოველთვის სავსე.  
იქ წამიყვანე, ენისეის გრგვინვა რომ ისმის,  
ფიჭვის კენწერო ვარსკვლავთან რომ ლხენით თამაშობს,  
რამეთუ არ ვარ მგლების მოდგმის მე ჩემი სისხლით  
და ჩემი მოკვლა შეუძლია მხოლოდ თანასწორს.

●

ჰაერი არის მოღუშული და ნესტიანი,  
არ მეშინია, აღარ მინდა გახედვა ტყიდან.  
ჯვრებად დახაზულ ბილიკებზე დავხეტილებ  
და მარტოდმარტო სეირნობას მორჩილად ვიტან.

ისევ და ისევ გარეული იხვის ძახილად  
გულგრილ სამშობლოს ესმის სიტყვა სასაყვედურო. —  
მე ამ ცხოვრების ბილიკებზე ბევრჯერ დავდლილვარ  
და რომ მარტო ვარ, მე ნუ მემდური.

ვავარდა თოფი. მთვლემარე ტბაზე  
მსუბუქი ფრთები დაიკეცა, დამძიმდა უცებ...  
ორმაგი ყოფნის ანარეკლით ტბა არის სავსე  
და გაბრუებულ ნაძვებს გული კაცივით უცემს.

ფერმკრთალი ციდან უცნაური სიჩუმე ისმის,  
მსოფლიო სევდა შთანთქმეს ღრუბლებმა...  
ო, ნება დამრთე მეც ამგვარად მეხვიოს ნისლი  
და შენ რომ ასე არ მიყვარდე, მომეც უფლება.







ჩამავალი მზე

იფერფლება დაისი,  
 მინდვრებს გადაჰფენიათ  
 ფერი ჩამავალი მზის,  
 როგორც მელანქოლია.  
 მარწევს ტკბილი სიმღერა,  
 სული ნაზად მიღელავს,

ჩემს გულს გადააფიწყდა  
 სევდა ჩამავალი მზის,  
 როგორც უცხო ზმანება  
 ლანდთა იღუმალება...  
 ველურ სანაპიროზე  
 იფერფლება დაისი.

სენტიმენტალური ბაასი

მიტოვებულ და გაყინულ ბაღში  
 გამოჩნდა ორი მოხუცი ბავშვი.

დამშრალი თვალებით, დაშაშრულ  
 ტუჩებით  
 ჩიფჩიფით ვიდოდნენ სიკვდილის  
 ურჩები.

მიტოვებულ და გაყინულ ბაღში  
 ყვებოდნენ, როგორ ცხოვრობდნენ  
 მაშინ:

— ჩვენი გატაცება გახსოვს, ყმაწვილო?  
 — გინდა მოგონებით გული მატყინო?

— შენი გული ხომ ჩემთვის სცემს  
 მარად?

ხშირად სიზმრებშიც მხედავდი?  
 — არა!

— აჰ, გარდასული დღეების სიტკბო,  
 როცა მკოცნიდი!..

— ეს ალბათ იყო.

— ცა იყო ლურჯი და იმედი ღიღი...

— ცასაც და იმედსაც გადევრა ბინდი!..

ასე ვიდოდა ორივე ლანდი  
 და მხოლოდ ღამეს ესმოდა მათი.







თარგმნა კარლო არსენაშვილმა

**3**ილაც უცნაური კაცის პირდაპირ ვუზივარ მაგიდას გეშე, შუა სალონში.

მოიცათ! გემის სალონში ვზივარ-მეთქი, ვამბობ, მაგრამ არა მჯერა. მართალია, ფანჯრის მიღმა გაწოლილი ზღვა და აქაურობაც მაიძულებს ასე ვიფიქრო, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ეს ჩვეულებრივი ოთახია. არა, ეს მაინც გემის სალონია, თორემ რატომ იქანავებდა ასე? მე არა ვარ კინოსიტა მოკუტარო<sup>2</sup> და არც შემოძლია ზედმიწევნით ზუსტად განვსაზღვრო რყევის სიმალლე, მაგრამ რყევა კი ნამდვილად არის. თუ ჩემი არ გჯერათ, შეხედეთ, ფანჯრის მიღმა პორიზონტის ხაზი ხან ზემოთ ადის, ხან დაბლა ეშვება, ცა მოღრუბლულია და ზღვას კარგა დიდზე გადაჰკვრია მწვანე სიმღვრივე, მაგრამ ის ხაზი, სადაც ზღვის სიმღვრივე ლეგა ღრუბლებს უერთდება, მოქანავე ქორდით ჰკვეთს ილუმინატორის წრეს. ხოლო ცისფერი არსებანი ამღვრეულ ზღვაზე რომ დაფრინავენ, ალბათ თოლიებია.

მაგრამ ვუბრუნდები უცნაურ ადამიანს, ჩემ პირდაპირ რომ ზის. მან ბეცთათვის განკუთვნილი სქელი სათვალე ცხვირზე გაისწორა და მოწყენილი ჩააცქერდა გაზეთს. ამ კაცს ხშირი წვერი და ოთხკუთხა ნიკაპი აქვს და მეჩვენება, რომ სადღაც მინახავს, მაგრამ ვერასგზით გამიხსენებია, სად. გრძელი, გაბურძენული თმის გამო შეიძლება მწერალი ან მხატვარი ეგონოს კაცს, მაგრამ ამ ვარაუდს რაღაც არ ესადაგება მისი ყავისფერი პიჯაკი.

ერთხანს მალულად ვუთვალთვალე მდი ამ კაცს და სირჩადან ვწრუპავდი ევროპულ არაყს. მოწყენილი ვიყავი, ძლიერ მიხდოდა გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ ისეთი უემური ჩანდა, ვერ ვბედავდი.

ანაზღად ოთხკუთხანიკაპიანმა ბატონმა ფეხები გაშალა და, თითქოს მთქნარებას იკავენსო, წარმოთქვა:

— მოწყენილობაა! — შემდეგ სათვალეს ქვემოდან შემომხედა და კვლავ განაგრძო გაზეთის კითხვა. ამ წუთში თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს კაცი სადღაც მენახა.

<sup>1</sup> Menzura Zoili — ზოილის საზომი (ლათ.).

<sup>2</sup> კინოსიტა მოკუტარო (1885-1949) — იაპონელი დრამატურგი, პოეტი, ამასთანავე ექიმი.



სალონში ჩვენ ორს გარდა არავინ იყო.

ცოტა ხნის შემდეგ ამ უცნაურმა ადამიანმა ისევ წარმოთქვა:

— ოჰ, მოწყენილობაა! — ამჯერად გაზეთი მაგიდაზე დააგდო და დაბნეულმა დამიწყო ცქერა, როგორ ვწრუპავდი არაყს. მაშინ შევთავაზე:

— ხომ არ შესვამთ ერთ ჭიქას?

— გმადლობთ... — არც „ღიახ“ უთქვამს, არც — <sup>წარმოთქვა</sup> „არა“, თხევით ზღნავ დამიკრა, — მოწყენილობაა! მისვლამდე შეიძლება სული ამოგძვრეს კაცს. მე დავეთანხმე.

— სანამ ზოილიის მიწაზე ფეხს დავაბიჯებთ, კვირაზე მეტი გავა. ხომალდმა თავი მომაძულა.

— რა თქვით? ზოილიისო?

— ღიახ, ზოილიის რესპუბლიკა.

— განა არის ასეთი ქვეყანა — ზოილია?

— გამოგიტყდებით, მიკვირს! ნუთუ არ გაგიგონიათ ზოილია? უცნაურია! არ ვიცი, საით გაგიწევიათ, მაგრამ ჩვეულებისამებრ, მხოლოდ ეს გემი შედის ძველი მარშრუტით ზოილიის ნავსადგურში.

შევცბუნდი. მართალი გითხრათ, — არც კი ვიცოდი, რატომ ვიმყოფებოდი ამ გემზე. ხოლო რაც შეეხება „ზოილიას“, — ასეთი სახელწოდება რაღაც არ გამიგონია.

— მართლა?..

— ჰო, რა თქმა უნდა! ზოილია ოდითგანვე განთქმული ქვეყანაა. როგორც იცით, სწორედ ერთმა აქაურმა მეცნიერმა გამოლანძღა ჰომეროსი კარგა მაგრად. მის საპატივცემულოდ ზოილიის დედაქალაქში ახლაც დგას მშვენიერი მემორიალური დაფა.

მისი გარეგნობის შემყურე ასეთ ერუდიციას არ მოველოდი და სახტად დავრჩი.

— როგორც ჩანს, ძალზე ძველი სახელმწიფოა?

— ღიახ, ძალიან ძველია! მითებს თუ დავუჯერებთ, ამ ქვეყანაში პირველად მხოლოდ ბაყაყები ცხოვრობდნენ, მაგრამ ათინა პალადამ ისინი ადამიანებად გადააქცია, ამიტომ ამტკიცებს ზოგი, ზოილიის მცხოვრებთ ბაყაყის ყიყინს მიუგავთ ხმაო. თუმცა ეს არცთუ სავსებით სარწმუნოა. მგონი, მატინებში ზოილიის ყველაზე ადრეული ხსენება დაკავშირებულია იმ გმირთან, რომელიც ჰომეროსს უარყოფდა.

— მაშასადამე, ახლა იგი საკმაოდ კულტურული ქვეყანაა?

— რა თქმა უნდა, მაგალითად, ზოილიის დედაქალაქის უნივერსიტეტი, სადაც რჩეულ მეცნიერებს მოუყრიათ თავი, ტოლს არ უდებს მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებს. თანაც ხელსაწყო, იქაურმა პროფესორებმა ახლახან რომ გამოიგონეს და „ღირებულებათა გამზომი“ ჰქვია, — მსოფლიოს ახალ საოცრებად მიაჩნიათ. ეს ყველაფერი „ზოილიის მაცნეში“ ამოვიკითხე.

— რა არის „ღირებულებათა გამზომი“?

— ზუსტად რომ ვთქვათ, ესაა ღირებულებათა გამზომი ხელსაწყო, მაგრამ ის, ვგონებ, მხოლოდ რომანებისა და სურათების ღირებულებათა გასაზომად გამოიყენება.

— რისი ღირებულების?

— უმთავრესად, მხატვრული ლიტერატურისა, თუმც მას სხვა რაღაცე-



ბის ღირებულებათა გაზომვაც შეუძლია. ზოილიაში ცნობილი წინაპრის საპატივცემულოდ, ხელსაწყოს უწოდეს Menzura Zoili.

— გინახავთ ის ხელსაწყო?

— არა. მინახავს მხოლოდ „ზოილის მაცნეს“ ილუსტრაციებში... გარეგნულად ჩვეულებრივ სამედიცინო სასწორსა ჰგავს. ბაქანზე, სადაც ჩვეულებრივად ადამიანი დგება, დებენ წიგნებს ან ნახატებს. თუმცა ჩარჩოები და ყდები ხელს უშლის ზუსტი წონის განსაზღვრას, მაგრამ შემდეგ ამ ხარვეზებს ასწორებენ, ასე რომ, ყველაფერი რიგზეა.

— კარგი ხელსაწყო ყოფილა!

— ძალზე კარგია, ასე ვთქვათ, კულტურის იარაღია! — ოთხკუთხა ნიკაპიანმა კაცმა პაპიროსი ამოიღო და პირში გაიჩარა. — იმ დღიდან მოყოლებული, რაც ეს ხელსაწყო გამოიგონეს, ყველა მწერალსა და მხატვარს, რომლებიც ძალის ხორცს ცხვრის ხორცად ასაღებდნენ, მორჩა, ხელი მოეცარათ. ღირებულების ზომა ხომ თვალნათლივ გამოისახება ციფრებით. ძალზე ჭკვიანურად მოიქცა ზოილის ხალხი, ეს ხელსაწყოები საბაჟოებში რომ დადგა.

— ეს რატომღა დასჭირდათ?

— იმიტომ, რომ ყველა ხელნაწერი და სურათი, რომელიც საზღვარგარეთიდან შეაქვთ, მოწმდება ამ ხელსაწყოთი და უფასურ ნაწარმოებთა შეტანა იკრძალება. ამბობენ, სულ ახლახან ერთდროულად გაუზომავთ თურმე იაპონიიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, საფრანგეთიდან, რუსეთიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, ამერიკიდან, შვეიცარიიდან, ნორვეგიიდან და სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი ნაწარმოებები. სიმართლე რომ ვთქვათ, იაპონურ ნაწარმოებთა შეფასების შედეგები ძალზე დაბალია. არადა, ჩვენი მიკერძოებული შეხედულებისამებრ, იაპონიაში თითქოს გვყავს ასე თუ ისე ასატანი მწერლები და მხატვრები.

ამ საუბარში ვიყავით, რომ კარი გაიღო და სალონში შემოვიდა ზანგის ბიჭი. ილიაში გაზეთები ამოეჩარა. ამ მკვირცხლ ბიჭს საზაფხულო მუქლურჯი კოსტიუმი ეცვა. უხმაუროდ დააწყო გაზეთები მაგიდაზე და კარს უკან გაუჩინარდა.

ოთხკუთხანიაპიანმა კაცმა სიგარა დაფერთხა და გაზეთი გაშალა. ეს იყო ეგრეთ წოდებული „ზოილის მაცნე“, უცნაური, ლურსმულის მსგავსი ნიშნებიანი სტრიქონებით აჭრელებული. კვლავ გამაკვირვა ამ კაცის ერუდიციამ, ასეთი უცნაური შრიფტის წაკითხვა რომ შეეძლო.

— ისევ მხოლოდ Menzura Zoili-ზე წერენ, — თქვა მან, თან გაზეთს ათვალთვრებდა. — ოჰო, იაპონიაში გასულ თვეში გამოქვეყნებულ მოთხრობათა ღირებულებაა დაბეჭდილი! თანაც ინჟინერ-მზომელთა ანგარიშიც აქვს დართული.

— კუმეს<sup>1</sup> გვარს ახსენებენ? — ვკითხე მეგობრის ბედით შემფოთებულმა.

— კუმე? მოთხრობა „ვერცხლის მონეტა“? არის.

— მერე? როგორია მისი ღირებულება?

<sup>1</sup> კუმე-კუმე მასაო (1891-1952) იაპონელი მწერალი, აკუტაგავას მეგობარი, უცნობის გარეგნულობის აღწერა — კუმეს პორტრეტი.



— არაფრად არ ვარგა! ჯერ ერთი, ნაწარმოების იმპულსად გვევლინება აღმოჩენა, რომ ადამიანის ცხოვრება უაზრობაა, გარდა ამისა, მთელ ნაწარმოებს აუფასურებს ყოვლისმცოდნე კაცის მენტორული კილო მეწყინა.

— მაპატიეთ, ძალზე ვწუხვარ, — ოთხკუთხანიკაპიანმა კაცმა რაღაც უცნაურად გაიღიმა, — მაგრამ თქვენი „ჩიბუხიცაა“ ნახსენები.

— რას წერენ?

— თითქმის იგივეს. ამ ნაწარმოებში მხოლოდ ზოგადი აღწერააო.

— კმ!..

— და აი, კიდევ რა სწერია: „ეს ახალგაზრდა მწერალი ძალზე ნაყოფიერია...“

— ოო!..

რაღაც ნაღვლიანი, შეიძლება ითქვას, სულელური გრძნობაც კი დამეუფლა.

— მარტო თქვენ კი არა, ნებისმიერ მწერალს და მხატვარს გაუჭირდება, ვინც ამ საწყაულზე მოხვდება: არავითარი თვალთმაქცობა არ გადის. რამდენიც არ უნდა აქოს ავტორმა თავის ნაწარმოები, საწყაული უჩვენებს ჭეშმარიტ ღირებულებას და ავტორის ყველა მცდელობაც წყალში იყრება. ცხადია, ძმაცაცთა ერთსულოვან ხოტბასაც არ შეუძლია მრიცხველის ჩვენების შეცვლა. რას იზამთ, მოგიწევთ სამუშაოს ჩაუჯდეთ და დაიწყოთ ღირებულ ნაწარმოებთა შექმნა!

— როგორ ადგენენ, რომ საწყაულის შეფასება სწორია?

— ამისათვის საკმარისია სასწორზე რომელიმე შედეგრი დადონ. მოპასანის „ცხოვრებას“ დადებენ და ისარი მაშინვე აჩვენებს ყველაზე მაღალ ღირებულებას.

— მხოლოდ ესაა?

— მხოლოდ ესაა.

გავჩუმდი: მომეჩვენა, რომ ჩემი თანამოსაუბრე ცოტა მოიკოჭლებდა თეორიულ აზროვნებაში. მაგრამ ახალი შეკითხვა დამებადა:

— განა ზოილელ მხატვართა ნაწარმოებებსაც ამ საწყაულზე ზომავენ?

— ამას კრძალავს ზოილიის კანონები.

— რატომ?

— იძულებულნი იყვნენ აეკრძალათ, იმიტომ რომ ზოილიის ხალხი ამაზე არ თანხმდება: ზოილია ოდითგანვე რესპუბლიკაა, „Vox populi-vox dei“<sup>1</sup>.

— ამ პრინციპს ზუსტად იცავენ. — ოთხკუთხანიკაპიანმა კაცმა რაღაც უცნაურად გაიღიმა. — ამბობენ, როცა აქაურების ნაწარმოებნი გაზომეს, ისარმა მინიმალური ღირებულება აჩვენაო. რაკი ასეა, ზოილელები დიღემის წინაშე აღმოჩნდნენ: ან უნდა უარყონ საწყაულის შეუცდომლობა, ან უნდა უარყონ საკუთარ ნაწარმოებთა ფასი, არც ერთი და არც მეორე მათ ხელს არ აძლევდა. მაგრამ ეს მხოლოდ ჭორებია.

უცებ გემი ძლიერ გადაქანდა და ოთხკუთხანიკაპიანმა კაცმა სკამიდან ძირს მოადინა ზღართანნი. ზედ მაგიდა დაეცა. გადაყირავდა ბოთლი და სირჩები. გაზეთები მიმოიფანტა. ფანჯარაში ჰორიზონტი გაქრა. თეფშები დაიმ-

<sup>1</sup> „ხმა ღვთისა — ხმა ერის“ (ლათ.).



სხვრა, სკამები ბრაზაბრუხით გადაყირავდა, გემს ღმუილით მიენარცხნენ ტალ-  
ლები. ვიძირებით! ნამდვილად ვიძირებით, ან წყალქვეშა ვულკანმა ამოხეთქა...

გონს რომ მოვედი, დავინახე, კაბინეტში სარწეველა სავარძელში გიჯეჭი:  
თურმე St. John Ervine „The critics“-ის<sup>1</sup> კითხვისას ჩამძინებოდა, თავს უფრო  
იმიტომ მეზმანა, რომ სავარძელი ოდნავ ქანაობდა. ბიზლნიუსი

ოთხკუთხანიკაპიანი კაცი კი... ზოგჯერ მგონია, ეს კაცი კუმე იყო-  
მეთქი, ზოგჯერ კი ვფიქრობ, ის არ იყო-მეთქი. ასე რომ, აქამდე ვერ გამირ-  
კვევია.

იანვარი, 1917 წ.



<sup>1</sup> ბენტ ჯონ ერვინი, „კრიტიკოსები“ (ინგლ.).





თარგმან სილოვან ნარიშკინი

ემილ ვერჰარნი, წარმოშობით ფლამანდრიელი, დაიბადა ანტვერპენში. იგი XIX საუკუნის დიდი ფრანგი პოეტია. ამასთან დრამატურგი და კრიტიკოსიც.

ვერჰარნი მრავალი პოეტური კრებულის ავტორია. აიღიალებს სოფლურ ყოფას, ადამიანის შერწყმას ბუნებასთან, ილაშქრებს რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ. ემილ ვერჰარნი თითქოს პირისპირ აღმოჩნდა სამყაროსეულ სიცარიელესთან. მასზე დიდი გავლენა მოახდინეს ფრანგმა დეკადენტებმა, კერძოდ ბოდლერმა, მას ანცვიფრებს სიმბოლისტების, განსაკუთრებით მალარმეს საიდუმლოებით მოცული ლექსები და პოლ ვერლენის ლექსების, მელანქოლიური ღინება.

განსაცვიფრებელია ვერჰარნის ლექსების ინტიმურობა და ლირიზმი, სამყაროს სიღრმისეული წედომის მისი მანერა. მის საუკეთესო წიგნებში — „მინდვრები ბოლავენ“, „რეაფერა ქალაქები“, „შეუპოვარი ძალები“, — იგრძნობა პოეტის სოციალური პრობლემებით დაინტერესება, ის თითქოს განთავისუფლდა პესნიმზმისაგან და ქალაქების კომპარებისა და ქაოსის მიღმა დაინახა ახალი ეპოქის სილუეტი. მან დაინახა XX საუკუნის ეპოქალური გარდასახვანი და გადმოსცა აჯანყებული ეპოქის აღმავალი ძალების ამაღელვებელი სწრაფვა. მომავალი მისთვის არის შშვენეირი სამყარო სიკეთის, სილამაზისა და ამაღლებული იდეალებისა.

ემილ ვერჰარნი ფრანგულ პოეზიაში თავისუფალი ლექსის — ეგრეთწოდებული ვერლიბრის მამამთავარია.

წიგნიდან: „ქალაქები და მინდვრები“  
მოთავაზს

ო, საცოდაო მარადისობავ!  
ო, საოცარო ადამიანო!..  
ნეტა საიდან მოველინე მთვლემარ სამყაროს,  
რომ ასე უცბად და წამიერად აღმოაცენე საოცრებანი...

ოკეანეთა სიღრმეებიდან  
მნათობთა ფერმკრთალ ელვარებამდე,  
მოხეტიალე ლანდთა ფრთებიდან,  
წყვდიადიდან და უსასრულო სივრცეებიდან,  
სიმაღლეების მაძიებელი, შორეთს გაჰყურებ,  
ადამიანო...

მიწის გულში კი,  
საუკუნეთა უხმო წყვდიადში მიძინებული,  
იღვიძებს ხროვა მოწყურებული  
და ცოცხლდებიან შეშფოთებული  
სამაროვნები მივიწყებული.  
ჰაერში ჩნდება მათი სხეულის



ნაწილაკებად დაშლილი მტვერი,  
თითქოს სხვაგვარი აელვარებით  
ისევ ნათდება სამყარო ძველი...

ბუნების არსთა სამეფოში, ტყეში და ღრეში,  
დაეხეტება ადამიანი.

ის გზას მიიკვლევს ჭაობში, მთებში,  
სულ წინ და მალლა მიიწევს გზნებით.

დაუდევარი დაეძებს ყველგან,  
რომ შეიმეცნოს არსი ყოველი,

აწონ-დაწონოს სარგო ურიცხვი,  
სულ წინ ისწრაფვის დაუცხრომელი.

ის, სიახლეთა მაძიებელი — ახალ მწვერვალებს  
იპყრობს და სჯერა,

რომ დაამკვიდრებს ყველგან და მარად  
თავის სამეფოს და თავის რწმენას.

ხან მტვერში ცხოვრობს, ხან კი ატომში,  
ახალ საწყისებს ეძებს, ცდაშია,

რომ ელვარება სამყაროსი შეიცნოს სრულად,  
რომ მოაქციოს ყოველივე თავის ბადეში,

არსად ჩერდება, მუდამ გზაშია...

გმირები, ბრძენნი, ხელოვანნი, ყოვლის მომკმედნი,  
ვინ ძალაყინით, ვინ ხელებით, ჭკუა-გონებით,

საიდუმლოთა კედლებს ანგრევენ,

თვალშეუწვდენელ კოშკებს აგებენ,  
მიისწრაფვიან, ეცემიან და კვლავ დგებიან,

თვით დედამიწაც შებილწონ, არ ერიდებიან...

და ეს თქვენა ხართ, ქალაქებო, —

გაშლილ მინდვრებზე რომ აღმოცენდით!..

ვით დედამიწის გუშაგები რომ აღმართულხართ.

იმხელა შრომა ჩაატანეთ თქვენს ურდულებში,

იმხელა ფიქრი დახარჯეთ მასზე,

რომ თვითონ მზეც კი,

მზე მალალი და მეწამული,

დაბნელდა თქვენი ციხე-კოშკებით.

თქვენ სიგიჟემდე დაათვერით მოაზროვნენი,

თქვენ გააღვივეთ ვნება მათი დაუცხრომელი,

შეუდრეკელი გახადეთ კაცი,

რათა კანონად გექციათ აზრი,

მათი ყოველთა მეუფებისა...

მწვანე მინდვრებო,

თქვენ მახსოვხართ მშვიდობიანი,

საბრძანებელი სული ღმერთების,





თქვენ არ იცოდით, რა იყო ბრძოლა,  
რა იყო შუღლი, ისე დაეცით.

თქვენს დასაბურობად მტრული განგება  
ისევ მოიწევს ყოველი მხრიდან,  
და ასე კვდებით უხმოდ, მინდვრებო,  
საუკუნეთა მხეცური ზნითა.



ქალაქები კი საცეცებით წუწნიან ისევ,  
მინდვრებში ჭერაც შემორჩენილ ხასხასა ბალახს,  
მხრების გაშლაში ეჭიბრება ქალაქი ქალაქს...

სივრცეს ჰკვეთავენ საყვირები ფაბრიკებისა,  
შავ-შავმა ბოლმა ეკლესიის ჯვრები შემურა.

ფერდობზე წვება მზე დაღლილი, გვირგვინოსანი,  
დღეს ის ღვთაების მოზიარე არვის ჰგონია,  
ხალხიც სხვა გახდა, ის მოიცვა სხვა აგონიამ!

ნუთუ მიწებო, გვემულნი, კვლავაც  
იბიბინებენ, თქვენი მინდვრები?..

ცბიერ მკვიდრთაგან დაჭრილები, დაჩეხილები, —  
აყვავდებიან, ნუთუ ისევ თქვენი ბალები?  
მხიარულ ჰანგებს, შრომის ჰანგებს მოწყურებულნი,  
კვლავ იმღერებენ, მდებლოები ნირშეცვლილები?..  
ქალწულებივით ეღვარებით სავსე სასმისებს  
კვლავ ჩამოსდგამენ თქვენი ველები?..

კვლავ მოიბოვებთ ნუთუ ოდესმე,  
იმ განთიადის კამკამა ნათელს?..  
იმ ქარს და წვიმებს თქვენ რომ გიგრძენიათ,  
შეეგებებით თეთრი ცხვრის ფარებს?..  
იმ ძველ სამყაროს, ნაცნობს და ძვირფასს,  
კვლავ დაამშვენებთ და გაახარებთ?..  
ქალაქებმა რომ გადაშალეს და დაატყვევეს,  
კვლავ გააცოცხლებთ იმ სილამაზეს?..  
აღარ აღსდგებით სამოთხესავით,  
დასამშვენებლად შავი მიწისა?  
თუ შეგიძულეს სამუდამოდ დიდმა ღმერთებმა,  
და თქვენი სახეც დაივიწყა თბილმა ღიმილმა?!

ნუთუ ბრძენიც ვერ იოცნებებს  
თქვენს გაშლილ მკერდზე,  
ვერც ნეტარებით დაიძინებს შრომით დაღლილი?..

სიცოცხლე კი სჩქედს თავისი გზებით,  
სავსე სიშმაგით და ბოროტებით,  
ასე იყო და ასე იქნება!..



მოვალეობამ და უფლებამ ადამიანთა,  
 გარჯით რომ გვეტვირთავს  
 და შორეულს გვაფიწყებს ხშირად,  
 რომ გვაჯადოებს  
 და თავისკენ მოგვიხმობს მუდამ,  
 ახალგაზრდობა მომავალზეც უნდა აფიქროს!..



ლოცვა

როს სული ჩემი იგრძნობს ბრძოლის მოახლოებას  
 და მომავლისკენ მივექანები, —  
 ბავშვობის წლების მივიწყებული.  
 მხურვალე ლოცვა აელვარდება.

მე სულ სხვა სიტყვებს ვჩურჩულებდი  
 მახსოვს, ლოცვისას,  
 ის მელოდია სხვა არის მაინც, ჩემს სულს მარადეჟამს  
 რომ ამღვლვარებს,  
 და ჩემი გულის ძგერა იმ ტაქტს  
 კვლავ იმეორებს.

აღფრთოვანება მომეძალება, —  
 თავდავიწყებით მიყვარს მაშინ მთელი სამყარო.

ის ნაპერწკალი მარადეჟამს ჰღვივის,  
 ელავს წარსულ დღეთა მიღმიდან,  
 ჩემთვის ახალი ლოცვაა მუდამ,  
 ჩემთვის ახალი არის სიწმინდე!

ო, მომავალო, შენითა ვარ შთავონებული,  
 ღმერთი კი არა, შენ ცხოვრობ ჩემში,  
 ყველა მხიარულ და უბრალო ადამიანებს,  
 მონახავ კვლავ და იცხოვრებ მათშიც.  
 და შენ იქნები სხეული მათი, თვალები მათი  
 და სული მათი.

ო, შორეულნო, ოცნებებში ისე არ სჩანხართ,  
 როგორც იქნებით მომავალში, მაშინ, როდესაც  
 თქვენ ჩვენში მარად დაბინავდებით.  
 და ჩემთვის განა სულ ერთი არის,  
 თუ გააღვიძებთ ვნების სულს ახლად,  
 ფრთაშესხმულს თქვენი ძველი დიდებით?!..

თქვენი თრთოლვა და აღფრთოვანება,  
 ახლობელია ჩემთვის მარადეჟამს,  
 მომავალ დღეთა ხართ მასპინძლები,  
 შთამომავალნო ადამიანთა,



ვისმა შრომამაც ჯერ ნაყოფი ვერ გამოიღო,  
მიწამ არ მისცა დღემდე, რასაც მისგან ელოდა..



ქართული  
ბიბლიოთეკა

მიწის შეილებო, მოგიძღვნიოთ თქვენ ჩემს  
დიდ სიყვარულს,  
თქვენსავეით ნაღდს და თქვენსავეით ეულს,  
მძიმე დღეებში გამოვლილია,  
და ცოცხლობს იგი, რომ კვლავ უყვარდეს...

თუმცა არა ვარ მე წარსულზე შეყვარებული,  
ვინც მის მძინარე სიჩუმეში ჩამალულია,  
მისთვის ვიბრძოლებ, და ეს ბრძოლა მოითხოვს ძალას,  
გამაქროლებენ ფრთები ჩემი უცხო მხარეში,  
მკვდრული სიჩუმე მძულს და მხოლოდ ბრძოლა მწყურია.

მე მშფოთვარება მიყვარს ჩემთა მქუხარე დღეთა,  
შრომა და ღვაწლი, სწრაფვა მამაც ადამიანთა,  
გზები რომ გაჰყავთ შთაგონებით და უშიშარად,  
ვინაც მოელის იმ დიდ განთიადს, ჯერ რომ გზაშია და არ  
დამდგარა...

სიხარულია, თუკი იფრენ ფრთაშესხმულ ზრუნვით,  
მაშინაც, როცა ცა გუგუნებს გრგვინავს გრიგალი,  
მაშინაც როცა აინთები გმირული სულით,  
რწმენას უფერულს როცა დასთმობ სამართლის გამო.

სიხარულია, თუ შეგიძლია, გაფანტო ავი, ეჭვები მძიმე,  
დასძლიო შიში, ბრძოლაში არ დაიგვიანო,  
არ დაერიდო არასოდეს განცდის სიმძაფრეს  
და მაგალითი შენი მისცე ახალგაზრდობას.

სიხარულია, შენი ლექსი მალამოდ ექცეს,  
ბალხმა გაიგოს დედააზრი მისი ბწკარების,  
რომ ჩააქსოვოს სტრიქონებში იმათი სიბრძნე,  
სევდა, რომელიც ასე გვახრჩობს, ყელში გვაწვება.  
რომ შეაერთოს მან ერთ რგოლში სამარადისოდ,  
ჩვენი აწმყო და ფიქრი ახალ საუკუნეთა.

სიხარულია, უკანდახევა ბრძოლის ველიდან,  
როცა განგება მოითხოვს ამას,  
თუ ის გჯერა, რომ დაფნის გვირგვინი,  
შენი ერგო შენს შთამომავლობას.  
შიშს და სიძნელეს რაინდივით თუ შეებმები,  
შეინარჩუნებ მტრების ჯიბრზე ცეცხლს და ოცნებას.

სიხარულია, თუ კი იგრძნობ, შებინდებისას,  
რომ შენს სულში მზე ისევ ანთია.  
და ის, რომ მასში კვლავ შფოთავს ლოცვა,



და რწმენა ისევ ძველებურად შენი განძია.  
 საუკუნეთა სწრაფვა რათა იქცეს კანონად,  
 რომ ბრძოლის შემდეგ თავისუფლად ამოისუნთქოს,  
 სამყარომა და ადამიანმა...



●  
 დღეს შემოდგომა მოვიდა ჩვენთან,  
 მზე მიიღია,

ბილიკზე და თხრილის პირებზე  
 ხელისგულივით ჩაყანგული ფოთლები ყრია...

ნუთუ მოვიდა იგი უკვე სევდით და ურვიით,  
 ქარის ხელებით რომ ფათურობს,

ხის კენწეროებს  
 მიმოაქნევს აქეთ და იქით.

აუჩქარებლად ვწყვეტავთ ვარდებს,  
 ფურცლები მათი

ძირს ეცემიან უიმედოთ ჩვენი სახლის წინ,  
 იმის ცივსა და უჩვეულოდ ნაზ სურნელებას,  
 ვით გადარჩენილ ხსოვნის ნათელს, ისე ვინახავთ.

და კერიის წინ ჩამომსხდარებს, მოგონებებში  
 გაგვინათდება ბუხრის ალით სახე მდუმარი,  
 ხელებითა და მუხლებით ღრმად ჩავეკონებით,  
 თავს შევაფარებთ იმ ფიქრებს და იმ დანაკარგებს,  
 რაც დრომ წაგვართვა,

მცხუნვარე და მგზნებარე დღეებს,  
 ჩავეკონებით შიშს და თრთოლვას,

მახსოვრობა რომ  
 გაგვისათუთა, ბუხრის ალი გაპყრის სიძნელეს.  
 წვიმის დელგმაში საღამოთა შავმა ჩრდილებმა  
 უკვე დაჰფარეს მდელოები, ტყე და ტბორები,  
 ო, როგორ გვინდა, რომ დაგვტოვოს,  
 გასცდეს სევდის ბაღს,

მაგრამ არ მიდის,  
 ფოთოლცვენის დრო დაჰქრის ირგვლივ,

სადაც დავდივართ ჩვენ და სადაც  
 ფიქრია ჩვენი,

იქ შემოდგომის მკაცრი ხმაც ისმის!...



# ტატიანა სუხოტინა-ბოლსტაია

## მთვინეები



თარგმნა ნანა ფარჩიაშვილი

### XV თავი

როგორც იქნა, ცამეტ ივნისს კავკასიიდან ჰანა ჩამოვიდა. მერედან ეტლის ბორბლების ხმაური შემომესმა. რაოდენი სიხარულით ჩავეკარი გულში, სადაც, ვინ იცის, რამდენჯერ მიპოვია სიხარული და ნუგეში. ცრემლებს ვერ ვიკავებ. გამორბიან დედა და ბიჭები. ყველას უხარია მისი ჩამოსვლა და ისიც ყველასათვის პოულობს საალერსო სიტყვას.

აი, ჩვენთვის ნაცნობი მისი ნივთები! მივათრევთ მისთვის განკუთვნილ ოთახში, რომელიც მხოლოდ მე მეკუთვნოდა. იქ ამოვალაგეთ მისი ფუთა, გავხსენით პლედის ქამრები და ყველაფერი განჯინაში შევალაგეთ.

ჰანა ჩვენთან ჩამოვიდა, ცალკერძ, დასუსტებული და ნაავადმყოფარი და ცალკერძ, თავისი პაწია აღსაზრდელის — ჩემი დეიდაშვილის დაშა კუზმინსკაიას სიკვდილით გულმოკლული. უკვე მოესწრო მისი კარგად გაცნობა და მთელი გულით შეყვარება, როგორც სჩვეოდა ხოლმე.

იგი ყვებოდა, დაშა უჩვეულოდ კარგი იყო თავისი სიცოცხლის ბოლო დღეებში.

— ღვთისათვის ვამზადებდით, — ამბობდა ჰანა.

მის გახსენებაზე ორივენი ჩუმად ვტიროდით.

ჰანამ კეთილსინდისიერად და ბლომად დაიწყო კუმიის სმა. უნდოდა უსათუოდ გამოკეთებულიყო, რომ ისევ გამოსდგომოდა დეიდა ტანიას. იმაზე, რომ ჩვენთან დაბრუნებულიყო, სიტყვაც არ თქმულა... ჩვენ სხვა აღმზრდელი გვყავდა, თანაც ჰანას კავკასიის ჰავა უფრო რგებდა, ვიდრე იასნაია პოლიანას ცივი ჰაერი... ნუგეშად ისლა მქონდა, რომ ყოველ ზაფხულს ჩამოვიდოდა კუზმინსკებთან ერთად იასნაია პოლიანაში.

„გაკვეთილები და სხვა საქმეები მიშველიან, როგორმე ზამთარი გავიტანო, — ვფიქრობდი გულში. — ჯერ კი უნდა ვისარგებლო, რომ მის გვერდით ვარ და განშორებაზე არ ვიფიქრო“.

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 1, 2.



ჰანას ჩამოსვლამ ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა. საოცარი უნარი ჰქონდა საგულისხურო გაეხადა ყოველივე, რაც ირგვლივ იყო და ეს განწყობილება ჩემთვისაც გადმოედო.

მან დამანახა ველების თავისებური სილამაზე.

— შეხედე, ეს უზარმაზარი ცხვრის ფარა საძოვარზე ბიბლიურ ცხოველებს მოგვაგონებს, ჩვენი ბაშკირი მუჰამედშაჰი ბიბლიურ პატრიარქს ჰგავს თავისი გრძელი ჭაღარა წვერით, გრძელი ფერადი ტანსაცმლითა და თავისი ზრდილი, თავაზიანი ქცევით.

ხშირად შორს გავისეირნებდით ხოლმე. ერთხელ შიშკამდე მივალწიეთ. ის კი არა, მწვერვალზეც ავძვერით რის ვაივაგლახით, რადგან მაღალი და ციცაბო იყო, და მწვერვალს რომ მივუახლოვდით, უკვე ოთხზე მივფორთხავდით. აქ მსუბუქი ნიავი მოგველამუნა, რაც ველზე არასოდეს შეიმჩნეოდა. ირგვლივ ჩანდა ველების დაუსაბამო სივრცე, ცისფრად აკვამლებულ შორეთში რომ იკარგებოდა.

შიშკის ფერდობზე უამრავი საოცარი ფორმის გაქვავებული საგანი შევაგროვეთ. უმეტესწილად ნიჟარები და „ეშმაკის თითი“ გვხვდებოდა.

ზოგჯერ მე და ჰანა ღამლამობით გამოვდიოდით ველზე და ამ უკიდევანო სივრცის ცქერით ვტკბებოდით. ღამლამობით ველი განსაკუთრებულად დიდებული სანახავი იყო. ვარსკვლავებით გადაჭედული მთელი ცის კამარა დედამიწაზე გადმომხობილი უზარმაზარი გუმბათი გეგონებოდა. ადამიანები კი ისეთი ნამცეცა, ისეთი შეუმჩნეველი ვჩანდით ამ უკიდევანო ცასთან შედარებით...

ველის იმ ადგილებში, სადაც მიწა არასოდეს დაეზარათ, ვაციწვერა იზრდებოდა. მსუბუქი, ბუმბულივით თეთრი ბალახია. მთვარიან ღამეში, როცა ნელი სიო არხვდა, გეგონებოდა, მთელი ველი ვერცხლისფერ ნაფიფქარს დაუფარავსო. შეეკრავდით ვაციწვერას უზარმაზარ თაიგულებს და ჩვენს ოთახებს ვრთავდით.

ზოგჯერ დღისით ბაღჩაში ჩავიდოდით, სადაც უზარმაზარი საზამთროები და ნესვები მწიფდა. მოხუცი ბაბაი, ბაღჩის დარაჯი, თითო მწიფე ნაყოფს შეგვირჩევდა და თვითელს იმას გვაძლევდა, რასაც ვთხოვდით. რადგან დანა არ გვქონდა, მიწაზე დავაგდებდით, შუაზე გავაპობდით, ჩავასობდით კბილებს წვნიან, ტკბილ ნაჭერს და იქვე შევჭამდით ხოლმე. წვენი წურწურით ჩამოგვდიოდა პირსა და ნიკაპზე, თესლსაც ვაკნატუნებდით და ერთი საზამთროს შეჭმა დამთავრებული არა გვქონდა, რომ თვალებით უკვე მეორეს ვეძებდით.

ღამლამობით მოხუცი ბაბაი ძველი დაქანგული სათლის ფსკერზე ხელს ურტყამს და სევდიან აღმოსავლურ სიმღერებს მღერის.

სადაც, ველზე მოჩანს ცხენების რემა, მეჯოგე არა ჰყავთ, ისე არიან საძოვარზე გამოშვებულნი, აჯილდა ულაყები დარაჯობენ, გაწვრთნილნი რომ არიან ჭაკი ცხენების დარაჯობაში. ეს აჯილდები ძალიან ბრაზიანები არიან და მუდამ ყალყზე დგანან. ელვის უმაღ დახრავენ ადამიანს, თუკი იგი რემიდან რომელიმე ჭაკის წაყვანას მოინდომებს.

იქვე ველზე ზონზროხა, ზანტი ხარები თივას ცოხნიან და ყელზე გამობმულ ყრუ ზანზალაკებს აელარუნებენ. მწყემსებს კოცონი გაუჩაღებიათ და ერთ-ერთი მათგანი სალამურზე რაღაცას ჩუმად უკრავს.

დღისით ეს ხარები, ხუთ-ხუთ წყვილად უღელში შებმულნი, ხნავენ ველის



ბარაქიან შავ მიწას. ესმით ბრძანება და როცა გუთნისდღა დასძახებს: „ცობ!“ — მარჯვნივ ან „ცობე!“ — მარცხნივ, ისინი თვინიერად გასწევენ იქითკენ, საითაც გუთნისდღა უბრძანებს. მძიმე გუთანი აბრუნებს უზარმაზარ ბელტებს ბარაქიანი მიწისას, რომელსაც პირველად შევხვდით „გუთნისკერი“. ახლა შემოდგომის ნათესებისათვის ხნავენ. ქულაგი ეს-ეს არის დამწიფდა და ჩვენს მეურნეობაში უკვე გაჩაღდა მკა პურისა, აქ რომ „ბელოტურკას“ ეძახიან.

საზაფხულოდ დაქირავებულ მუშებს ველზე კარვები გაუშლიათ; უმეტესობა ოჯახებიანად ცხოვრობს. კერძს ღია ცის ქვეშ სამფენა ჯოჯგინებზე შემოდგმულ ქვაბებში ამზადებენ.

სალამო ხანს, მზის ჩასვლის შემდეგ, მოჩანდა ხოლმე როგორ ბრუნდებოდნენ თავიანთ კარვებში მომკელი კაცები თუ ქალები, როგორ აჩაღებდნენ კოცონს ვახშმისათვის. კვამლისა და შეჭამანდის სუნი ტრიალებდა. ადამიანები დინჯად სხდებოდნენ ოხშივარიანი ქვაბის გარშემო და საერთო ქვაბიდან მღუმარედ ხვრებდნენ შეჭამანდს ხის კოვზებით.

თავზე დაპყურებდათ აკიაფებული ვარსკვლავებით გადაჭედილი მუქი ცა, ირგვლივ კი გადაშლილიყო უკიდუგანო თვალსაწიერის სიშავეში ჩაკარგული ველი.

ერთ ველს რომ სასწრაფოდ მომკიდნენ, მომკელები მეორეს მიაშურებდნენ, ნაპურალში კი უამრავ აულებელ თავთავს ტოვებდნენ.

ჰანა ვერ ითმენდა ასეთ უყაირათობას. იგი მუდამ წინააღმდეგი იყო ყოველგვარი უაზრო ფლანგვისა.

— Wasts! უდიდესი ცოდვია, — ამბობდა ჰანა, — თვითვეული საგანი ადამიანის შრომის შედეგია და მისი მოსპობა არ ეგების. რამდენ ადამიანს გამოკვებავდა ნაპურალში მიტოვებული თავთავი, ის კი ისე დაიღუპება, ვერავის მოუტანს სარგებელს.

ერთხელ როგორღაც ჰანამ ეს ამბავი მამაჩემის თანდასწრებით თქვა და მამამაც უთხრა:

— თქვენ და ბავშვებს ასეთ დავალებას გაძლევთ: შეაგროვეთ რამდენ ძნასაც შეძლებთ და მე კი გავალეწინებ.

გაგვეხარდა და ჰანასთან ერთად ბეჯითად დავიწყეთ თავთავების შეგროვება.

— ამ საქმიანობასაც ბიბლიურ ხანაში გადავყავარ, — გვეუბნებოდა ჰანა, — როცა რუფი დაიარებოდა „gleaning“ თავთავების შესაგროვებლად.

დავეხეტებოდით მცხუნვარე მზეში ველზე, თავთავს თავთავზე ვადებდით, ასე რამდენიმე ძნა შევკარით და გასალეწად მივეცით.

სამარაში მაშინ ასე ლეწავდნენ: რამდენიმე ცხენს წრეში დააყენებდნენ და კუდით მიაბამდნენ უკან მღვარი ცხენის აღვირს. ამგვარად შეკრული წრის შუაგულში კაცი იდგა და ცხენებს მიერეკებოდა. ნაბიჯ-ნაბიჯ მიმავალი ცხენების ფეხთა ქვეშ ძნებს ყრიდნენ და მარცვალაც ცვიოდა.

ჩვენი შეგროვილი ძნებიდან თვითვეულ ჩვენგანზე დაახლოებით ფუთი ხორბალი გაილეწა. აღფრთოვანებულები ვიყავით, ამდენის შეგროვება რომ შევძელით.

<sup>1</sup> დანაკარგი (ინგლ.)



XVI თავი



მამა, სტიოპა, ჰანა და პაწია მაშაც კი ბლომად სვამდნენ კუმისს. დილიდანვე გაეშურებოდნენ ალაჩოყისკენ, სადაც მათ საოცრად ფეხმორთხმული და მშვენიერი შესახედავი მოხუცი ბაშკირი მუჭამედშაპ რომანოვიჩის წვეტიან ხელს

იატაკზე დაგებულ ხალიჩასა და ბალიშებზე თურქულად ფეხმორთხმული ბაშკირი ჯერ ტყავის ტურქულში ჩასხმულ მყავე და თხიერ კუმისს შეანჯღრევდა, შემდეგ კარელიის არყის ხის ჩამჩით ჩაასხამდა ასეთსავე ბრტყელ ფიალაში და კრძალვით მიართმევდა ხოლმე სტუმარს.

მამაჩემი აიღებდა კუმისით სავსე ფიალას ორივე ხელით და სულმოუთქმელად დაცლიდა ბოლომდე ისე, რომ პირს ერთხელაც არ მოაშორებდა. ფიალა კი დიდია — მთელ ბოთლს გაავსებს, იქნებ მეტსაც.

მუჭამედშაპი მოთმინებით ელოდებოდა, როდის შესვამდა მამა ბოლომდე, რათა ისევ შეეევსო. ზოგჯერ მამა მეორე ფიალასაც დაცლიდა და აქებდა, რა დიდებული რამ არისო...

მე კუმისს არა ვსვამ. არ მომწონს და რაკი სრულიად ჯანსაღი ვარ, არც მაძალებენ.

სანამ მამაკაცები კუმისს შეექცევიან, ჩითის ფარდის მიღმა შევდივარ, სადაც ცხოვრობენ რომანოვიჩის ცოლი — ალიფა და შვილიშვილი — ჰადია. ალიფა სანდომიანი, თავისი ქმარივით თავაზიანი და თბილი დედაბერია. ჰადია — ახალგაზრდა, ძალზე ლამაზი, ტანკენარი ასულია, ოდნავ ყვრიმალევიანი პირისახე, მშვენიერი ლამაზი თვალები და მომხიბვლელი ღიმილი აქვს.

ქალები მამაკაცებს არ ენახვებიან, და როცა ჰადია იძულებულია კარავში გაიაროს მსმელი მამაკაცების გვერდით, თავზე შავი ხავერდის ჩაღრს ჩამოიფარებს და სწრაფად გაუჩინარდება კარში.

ქალების სამყოფში შევდივარ და კუმისის ნჯღრევაში ვეხმარები. მაღალ, ცხენის ტყავისაგან გაკეთებულ ტომრებში ფაშატის რძეს ასხამენ, შემდეგ ძველი კუმისით ადელებენ და გრძელი ხის ჭოკებით ურევენ. რაც უფრო ბევრი ნანჯღრევია კუმისი, მით უკეთესად ითვლება.

ფეხის წვერებზე ვდგავარ მაღალი ტიკის წინ — ასე ეძახიან ამ ტყავის ტომრებს, — ვიღებ ხელში ჭოკს და ვცდილობ ბაშკირელი ქალებივით მოვურო. მაგრამ ვერ ვახერხებ, ნჯღრევისას ჩემს ჭოკსაც ისეთივე უწყვეტი ლბილი ხმა ჰქონდეს, როგორც მათსას აქვს.

ბაშკირელი ქალები გრძელ, ნაოჭებიან ჭრელაჭრულა ჩითის კაბებს იცვამენ. კალთაზე სხვა ნაჭრის ფურჩალი აქვთ შემოვლებული. კაბის გულისპირი გაწყობილია საყელოს ირგვლივ შემოკერებული ნაირფერი ბაფთებით და ზედ დაკერებულია სხვადასხვაგვარი მონისტები და რუსული თუ თურქული გახვრეტილი ხურდა ფული, ასეთივე სამკაულები ჰკიდიათ ბაშკირელ ქალიშვილებს გრძელი ნაწნავების ბოლოზეც.

ბაშკირელ ქალებთან ერთად ბევრჯერ ვყოფილვარ ცხენების მოსაწველად. მახსოვს, ნორჩ, ტანკენარ ჰადიას ჩექმები ეცვა და თავზე შავი ხავერდის ჩაღრი ეფარა, საიდანაც მოჩანდა მისი გრძელი, მონისტებით მორთული შავი ნაწნავის ბოლო, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე რომ ეღარუნობდა. ხელში სათლი უჭირავს. იგი გამჭრიახ მზერას არ აცილებს ველს: თავის ჭაკებს ეძებს.



ჭაყები შორიანლოს ბალახობენ, რადგანაც აქვე, ალაჩოყიდან ორიოდ ნაბიჯზე, მათი კვიცები არიან დაბმულნი.

ეს კვიცები გულში უდიდეს თანაგრძნობას მიღვივებდა. ათეულ საბრალო პატარა პირუტყვს აბამდნენ ცხენის ძუისაგან დაწნული მოკლე თოკებით მიწაში ერთიერთმანეთისაგან ორ-სამ არშინზე ჩასობილ დეჟანტეჟესე ბალოებზე. თავს მალლა ვერ სწევენ, მიწას ჩასჩერებიან, რათა ძუძუც და მწუხარებენ დედებს, იქვე ველზე რომ ბალახობენ.

ახლაც ცხადად ვხედავ ამ უბედურ კვიცებს, მიწას რომ ურტყამენ დრუნჩს და აბეზარ ბუზებს, კრაზანებსა და სხვა მწერებს იგერიებენ. ბალახი იმ ადგილას ერთიანად ამოგლეჯილია, რაკი გაშუღმებით აბაკუნებენ თავიანთ პაწია მოუსვენარ ფლოქვებს. მზე უმოწყალოდ აცხუნებს და მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ მოდიან ბაშკირელი ქალები თავიანთი ტყვეების გასათავისუფლებლად. გამოხსნიან და ველად გაუშვებენ. უნდა ნახოთ, რა სიხარულით მიკუნტრუშებენ ეს პაწია პირუტყვები თავიანთი დედებისაკენ, თვითეული როგორ შეუცდომლად სცნობს საკუთარ მშობელს — და როგორ მივარდება ძუძუზე.

## XVII თავი

ერთხელ ჰანასთან ერთად ველზე ვსეირნობდი. შევამჩნიე, შორს, ბალახში რაღაც თეთრი იწვა. გავიქეცი, რა არის-მეთქი, და ცეროდენა თეთრი კრავი არ ვნახე?

ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

— ჰანა, შეხედე, კრავი! შეიძლება წავიყვანოთ? ალბათ მწყემსებს დაავიწყდათ.

— ვფიქრობ შეიძლება, — მიპასუხა ჰანამ, — მისი გულისთვის არავინ მობრუნდება. ბატკნები აქ ისე ბლომად ჰყავთ, რომ ერთი ბატკნის დაკარგვას ვერავინ შეამჩნევს. ხოლო თუკი პატრონი გამოუჩნდება, უკან დავუბრუნებთ...

მისი ნათქვამი მაინცდამაინც არ მომეწონა, მაგრამ მაინც ავიყვანე ხელში და შინ წამოვიყვანე. ბატკანი, ჩანდა, ძალზე დაქანცული იყო, ძლივს დადგა თავის პაწია ფლოქვებზე, როცა შინ იატაკზე დავსვი. მოვითხოვე, უვარგისი თეფში მომეცით-მეთქი, დავუსხი რძე და ველოდი, როდის ალოკავდა, მაგრამ მეტისმეტად პატარა იყო, თეფშიდან რძის დაღვევა რომ მოეხერხებინა.

— თითი რძეში დაისველე და პირში ჩაუდე. ეგ ძუძუს წოვას არის ჩვეულის, დაღვევა ჯერ არ იცის, — მითხრა ჰანამ.

ასეც მოვიქეცი. და რა სიხარული ვიგრძენი, როცა ბატკანმა ჩემი თითი პირში ჩაიდო და ძალუმაღ მოწოვა, თან თავის პაწია კუდს აქიცინებდა.

ნელანელაობით გამოვაბრუნეთ ჩემი მოტკა, — ასე შევარქვი, — ვიდრე არ მომაგრდა და გაიზარდა. მერე შეეჩვია თეფშიდან რძის დაღვევას და როგორც კი მოშივდებოდა, ჩემთან მოირბენდა, თავის ხუჭუჭა შუბლს გვერდში მირტყამდა. განა მხოლოდ დღისით ვასმევდი რძეს, ყოველ ორ-სამ საათში, ღამითაც ვდგებოდი, რომ დამეპურებინა.

ზოგჯერ ჩამეძინებოდა და ძილში ვგრძნობდი, ვილაც რომ მანჯღრევდა. გამეღვიძებოდა და რას ვხედავ: ჩემი თეთრი მოტკა შუბლს მირტყამს გვერდში.



ვდგები, ვუკოცნი ლამაზ, ვარდისფერ ცხვირ-პირს, ვუსხამ თეფშზე წინა სალამოს გამზადებულ რძეს, მერე ისევ ვწვეები და ვიღრე იგი სვამს და თავის მოკლე კუდს აქიცინებს, მე ვიძინებ.

დღისით მოტკა ძალღივით დამდევს კუდში. იცის თავისი სახელი და როგორც კი დავეუძახებ „მოტკა“-მეთქი, რაც ძალი და ღონე აქვს გამოტყდეს ტყუპურ და თავის პაწია ფლოქვებს ხის იატაკზე მოაბაკუნებს.

იშვიათად მყვარებია რომელიმე პირუტყვი ისე, როგორც მოტკა მიყვარდა. და შემდგომ რამდენჯერაც დამინახავს თეთრი ბატკანი, მუდამ ჩემი პატარა აღზრდილი მომგონებია, ესოდენი სიხარული რომ მომანიჭა...

მეორედ, მე და ჰანა ველად რომ ვსეირნობდით, ადამიანების უცნაურ ჯგუფს წავაწყდით: წინ მოდიოდა გამხდარი, ჩამოძენილი თათარი და მოათრევდა პატარა საზიდარს, რომელზედაც იწვა ცეროდენა ბავშვი. გვერდით მოჰყვებოდა მასავით ჩამოფლეთილი, მტვრისაგან შეჭმული თათრის ქალი, რომელსაც ხელჩაკიდებული მოჰყავდა თმადაუვარცხნელი, ჭუჭყიანი შავთმიანი გოგონა. მთელი ოჯახი გამოფიტული, გატანჯული და ჭუჭყიანი იყო.

რომ მოგვიახლოვდა, თათარმა გვკითხა:

— რაიმე სამუშაო ხომ არ გექნებათ? ჩემს დედაკაცსაც შეუძლია მუშაობა.

ვიცოდი, მამაჩემი მუშახელს რომ ქირაობდა, სადაც კი მოახერხებდა, და ამიტომ თათარს ჩვენი სახლი მივასწავლე.

— იქ იკითხე, უთხარი, პატრონს მოახსენონ თქვენი ამბავი.

როგორც მოველოდი, თათარი და მისი ცოლი აიყვანეს შინდერის სამუშაოებისათვის; ოთხივენი ღია ცის ქვეშ, ფარდულთან დასახლდნენ.

ჰანას ძალზე ებრალებოდა ბავშვები.

— სულ მშვივრები არიან, — ამბობდა იგი და ჩვენც ხშირად ვუყოფდით საკუთარ ლუკმას.

გოგონას პირველად ეშინოდა ჩვენი, შემდეგ შეგვეჩვია და როცა მივიდოდით, აღარ იმალებოდა. პატარა ნადირივით იყო. ვერც დაელაპარაკებოდი, ვერც გაეთამაშებოდი, ერთთავად იმაზე ფიქრობდა, რა ვჭამო.

ზოგჯერ ვიჯექი ხოლმე ჰანასთან ერთად ოთახში და ფანჯრიდან მისი ხმა მესმოდა.

— დაიდა, დაიდა! ცოთა პური მომე!

გავიხედავდი — დგას პატარა თათრის გოგო, ხელი აუფარებია მზისა და მტვრისაგან დაავადებულ თვალებზე.

— მოიცადე, ახლავე მოგცემ პურს, — ვეუბნებოდი მე.

გავიქცეოდი სასადილოში, მოვეუტანდი რასაც ვნახავდი, გამომტაცებდა ხელიდან და მადლობასაც არ მეტყუოდა, ისე ხარბად დაიწყებდა ჭამას.

ვცდილობდი როგორმე თამაშში ჩამეთრია, მაგრამ აშაოდ ვირჯებოდი. ჩვენი ამომშრალი გუბურის ფსკერზე პატარა ბალებს ვაშენებდი; ჩავრგავდი მიწაში სხვადასხვა მცენარეულობას, ბილიკებს ვწმენდდი, ვთხრიდი ორმოებს და წყალს ვასხამდი, თითქოს ტბორებიას; წყალი, რასაკვირველია, მაშინვე იკარგებოდა და მხოლოდ მუქი ლაქა რჩებოდა. პატარა თათრის გოგო მიუბრუნებდა, როცა სათამაშოდ მივიპატიებდი, ველურივით ახარხარდებოდა და ამოგლეჯდა ჩემს დარგულ ნარგავებს. შემდეგ კი ძებნას დაუწყებდა მიწის სოროებში შეყუჟულ, თავისსავე ნაქსოვ აბლაბუდაში გახვეულ ღრიანკალებს,



თითით მაჩვენებდა, თავს აქნევდა და რაღაცას მეუბნებოდა ჩემთვის გაუგებარ ენაზე. ალბათ თუ მაფრთხილებდა, ღრიანკალი შხამიანია და საშიშია, არ დაგკბინოსო. ეს უიმისოდაც ვიცოდით: მამამ აღრევე გაგვაფრთხილა და ჩვენც მუდამ გულისფანცქალით ვუვლიდით გვერდს ამ ავისმაუწყებელ სოროებს, რომლებშიც თბობები ისხდნენ.

თათრის ჯალაბმა ჩვენთან მთელი ზაფხული გაატარა და ღრუბლებში მინდვრის სამუშაოები დასრულდა, ისევე წავიდნენ, როგორც მოვიდნენ. თათარი საზიდარს მიათრევდა, შიგ უმცროსი ბავშვი იწვა, დედას კი ხელჩაკიდებული მიჰყავდა თავისი ველური, თმადაუვარცხნელი გოგონა.

### XVIII თავი

სამარის ველებზე გუთნისდედები ხშირად პოულობდნენ მიწაში ძველ იარაღსა და ვერცხლის ნივთებს. მოიტანდნენ ჩვენთან და მამაც ცოტა ფულს გადაუხდიდა ხოლმე, მაგრამ მაინცდამაინც დიდ გულისყურს არ იჩენდა. სამარაში ნაპოვნი ძველი ნივთებიდან დედას შემორჩა მხოლოდ ერთი პატარა გამწვანებული ოროლი; უფრო ხშირად ამ ნივთებს ყორღანებთან პოულობდნენ მიწაში, უძველეს დროში გარდაცვლილთა საფლავებს რომ აყრიდნენ.

ვიღაცამ ამბავი მოიტანა, ჩვენი ხუტორიდან რამდენიმე ვერსში სოფლის ბავშვებმა სკვითის საფლავი აღმოაჩინეს, სადაც ყველა ნიშნისა და ჩონჩხების განლაგების მიხედვით უნდა ევარაუდათ, რომ დასაფლავებული იყო ცხენზე მჯდარი აბჯარასხმული მხედარი.

დედა გულისხმაში ჩააგდო ამ ამბავმა და იმ სოფელში წაგვიყვანა, სადაც ეს უძველესი ნეშტი აღმოჩნდა. გათხრილ ორმოში დავინახეთ ძვლები და იარაღის ნაწილები, უნაგირი და აფხანდა. მაგრამ როგორც კი ხელს შეახებდნენ რაიმე საგანს, მაშინვე მტვრად იქცეოდა.

გულგატეხილნი რაკი მივხვდით, თან ვერაფერს წავიღებდით, ავჩქარდით უკან გამოსაბრუნებლად. დედა პეტრას აწოვებდა ძუძუს და უკვე აგვიანდებოდა.

გამოვემგზავრეთ ორცხენიანი ფორნით და ფართო შარავზაზე სახლისაკენ ავიღეთ გეზი. ცას ავხედეთ და დავინახეთ, რომ ჩვენკენ პორიზონტიდან ავის მაუწყებელი შავი ღრუბელი მოიზღაზნებოდა. მალე ნახევარი ცა დაფარა. მზე აღარ ჩანდა, ჩამობნელდა და ღრუბელი ისე დაბლა ჩამოწვა, გვეგონა, რომელიღაც შენობის თაღს ვუახლოვდებოდით. ცხენების ფლოქვების თქარათქური და ბორბლების ხრიგინი მკაფიოდ გაისმოდა მტვრიან შარავზაზე.

ყველას შეგვეშინდა და ხმას არ ვიღებდით, ველოდით, მეხი როდის გავარდებოდა. თანაც მეეტლე შეაჩერებდა დროდადრო ცხენებს და დაეჭვებული იხედებოდა აქეთ-იქით. ამჯერად კოფოზე ლუთაის ნაცვლად იასნაია პოლიანადან ჩამოსული რუსი მეეტლე იჯდა.

— შენ რაო? — დედას ხმაში შიში გაერია.

— რაღაც გზა მაეჭვებს, — უპასუხა შემცბარმა მეეტლემ, — ასე მგონია, იმ მოსახვევს ავცდით, ან კი ვინ რას გაიგებს, ველია, რომელი გზა საით მიდის...

შევჩერდით. გვინდოდა რაც შეიძლებოდა სწრაფად გავცლოდით ჩვენს



თავზე გადმომხობილ შავ ღრუბლებს, აქ კიდევ მეეტლემ უკან გამოგვაბრუნა და შორეთს გახედა — გზის გაკვლევას ლამობდა.

სულში განგაში ჩამიდგა, შიშისაგან გულის კოვზთან მწიწკნიდა, მაგრამ კრინტს არ ვძრავდი, დედა არ ავადელვო-მეთქი, რადგან ისედაც მეტისმეტად დელავდა.

— ღმერთო ჩემო! რა უნდა ვქნათ? — ამბობდა დედა, — ჩემი საცოდავი პეტკა ალბათ გამწარებული ყვირის შიმშილისაგან. მერე მამა როგორ შეწუხდება! ჩვენ სადილადაც დავიგვიანებთ.

უცებ ველზე რალაცნაირი უცნაური არსება დავინახე, უძრავად იდგა ჩვენ წინ, გზიდან შორიანლო; დედას დავანახე.

— შეხედეთ! გზასთან ვილაც დგას?

— უეჭველად ვინმე ბიჭი იქნება, ალბათ ჩვენსავით აებნა გზა, — გვითხრა დედამ.

თვალი დავძაბე, მაგრამ მაინც ვერ გავარჩიე, ვინ იდგა შარავასთან. უფრო ყავისფერ ხიფთანში გამოწყობილ ბიჭს ჰგავდა, მაგრამ პატარა, რალაცნაირი უცნაური მოყვანილობის თავი ჰქონდა.

უცებ ბიჭმა ბეჭები გაშალა, თითქოს უზარმაზარი ყავისფერი ლაბადის კალთები ააფრიალაო და ლაბადის ქნევით ნელიად აფრინდა ჰაერში.

— არწივი! არწივი! — ერთხმად ავყვირდით ყველანი.

არწივი მძიმედ მიფრინავდა მალლა, თან თავის უზარმაზარ ფრთებს მიატლაშუნებდა. ჩვენ კი თავაწეულები თვალს ვადევნებდით, როგორ მიიწევდა მალლა, სულ მალლა, მერე ტყვიისფერ ცაზე მუქ ლაქად გამოჩნდა და ბოლოს სულ მიეფარა თვალს.

ჩვენი მეეტლე ისე ათვალთვლებდა არე-მიდამოს, თითქოს ეჭვობდა, სწორედ მივდივარ თუ არაო. ცაზე მეხი გრუხუნებდა შორს, მაგრამ მაინც ავისმაუწყებლად. ცა მუქი ტყვიისფერი გახდა. ჩამოცხა და ჩამოიხუთა ჰაერი. უცებ მთელი ზეცა კიდით კიდემდე გადავლიჯა ელვის ცეცხლოვანმა ზიგზაგმა.

ყველანი გავქვავდით.

რამდენიმე წამი დაძაბული სიჩუმისა და უცებ — გრუხ! — თითქოს ზედ ჩვენს თავთით გასკდა რალაც.

მთელის ძალით საითკენლაც მივისწრაფოდით, არ ვიცოდით, უკან გვრჩებოდა თუ ვუახლოვდებოდით სახლს.

ორი-სამი წუთის შემდეგ ელვამ ისევ გაარღვია ზეცა და ისევ გადაიქუხა მეხმა, მაგრამ ამჯერად უფრო მჭექარედ. მტვრიან შარავნაზე რამდენიმე მძიმე წქეთი დავარდო, შემდეგ წვეთები გახშირდა და ციდან თავსხმა წვიმა წამოვიდა, თითქოს წყლით სავსე გოვზაკი გადმოგვასხესო.

მეეტლემ გადაწყვიტა ცხენები ნებაზე მიეშვა, იმ იმედით, იქნებ შინისაკენ გზა ცხენებმა თავისით გაიკვლიონო. რამდენჯერმე გადაუხვიეს შარავნიდან გვერდით გზაზე და ბოლოს, შორს, ნაცნობი შიშკა დავინახეთ.

როგორ გაგვეხარდა!

ტყუილად კი არ ჰქონია მეეტლეს ცხენების იმედი! უტყუარმა გუმანმა ცხენებს ახლაც გაუმართლათ. მალე შინ ვიქნებით.

როგორც მოულოდნელად დაიწყო წვიმა, ისევე მოულოდნელად გადარიარა.

გალუმპულნი, მშივრები, მაგრამ მხიარულნი შევრბივართ ჩვენს ოთა-



ხეში, რათა სასწრაფოდ გამოვიცვალოთ ტანისამოსი. სადილობის დროა. დედა გზადაგზა იხსნის კაბის გულისპირს, რომ ძუძუ აწოვოს პეტრას, რომელიც შიმშილისაგან კარგა ხანია გაჰყვირის.

მე კი ჩემი მოტკა მელოდება. როგორც კი შევედი სახლში, მაშინვე სიხარულით შემომეგება იატაკზე ფლოქვების ბაკაბუკით. ისევე მშფრთხად და მეც ვასხამ ლამბაქზე რძეს და წვრილად ვუფშხვნი შიგ პურს. მოტკას საკმლის დამზადებას არც მაცლის, ხარბად ეწაფება და თან სიამოვნების ნიშნად თავის მოკლე კუდს აქიციანებს. მოტკა რაკი დავანაყრე, სასწრაფოდ გავიხადე სხეულზე მიკრული სველი, მძიმე მაშიები, კაბა, საცვლები და სასადილოდ წავედი.

## XIX თავი

მამას ვილაცამ უამბო, ბუზულუყთან მღვიმეში მოხუცი მწირი ცხოვრობს, მასთან ხალხი დაიარება, წმინდანად რაცხავენო.

მამას მუდამ ჰქონდა იმ ადამიანების ნახვის სურვილი, რომლებსაც რელიგიური მისწრაფებები გააჩნდათ. და რაკი მოხუცი მწირის ნახვაც ეწადა და თან ბუზულუყში საქმეც ჰქონდა, გადაწყვიტა გამგზავრებულიყო.

— მამა, მეც წამიყვანე, — ვთხოვე მე.

— სად წამოხვალ? ბუზულუყამდე სამოცდაათი ვერსია. დაიღლები.

— არ დავიღლები, გთხოვ! სამარიდან აქამდე ორასი ვერსი გამოვიარე და სულაც არ დავღლილვარ.

— ჰო, მაგრამ გზადაგზა ვისვენებდით, ღამეს ვათევდით ხოლმე. თუმცა... თუ დედა ნებას დაგრთავს — წავიდეთ.

ჩემდა სასიხარულოდ დედამ ნება დამართო. არ მახსოვს კიდევ ვინ იყო ჩვენთან ერთად. ის კი მახსოვს, რომ ილია არ წამოიყვანეს — თვალები სტკიოდა და ამიტომ ღრიალებდა — არც ჰანა წამოსულა.

მწირი მღვიმეში სრულიად მარტო ცხოვრობდა და მხოლოდ იმას ჭამდა, რაც იქაურ მცხოვრებლებს მოჰქონდათ, დროს ლოცვასა და მასთან მოსულ მნახველებთან საუბარში ატარებდა.

მახსოვს შემადრწუნებელი და თან მოკრძალებული გრძნობა დამეუფლა, როცა ჩაბნელებულ, დაბალ, ნესტიან მღვიმეში შევდიოდი. მოხუცმა თითო პაწია თაფლის სანთელი მოგვცა გზის გასანათებლად. მან გვიჩვენა მის მიერ და მის წინამორბედთა მიერ გათხრილი მიწისქვეშა სენაკები და აქ დახოცილთა საფლავები. თვითეულზე თავისი ჩუმი, რბილი ხმით რაიმეს უსათუოდ კარგს ამბობდა, ყველას კეთილად იხსენიებდა. თვითონ უკვე ოცდახუთი წელიწადია, რაც ამ მღვიმეში ცხოვრობდა.

ერთ საფლავს მოხუცმა უსიტყვოდ ჩაუარა.

— აქ ვინ მარხია? — ჰკითხა მამამ.

— ეს ადგილი იმის განსასვენებლად არის განკუთვნილი, ვისი რიგიც დადგება, — ჩუმად, მშვიდად თქვა მან და თავდახრილმა განაგრძო გზა.

როცა მე და მამა ბნელი, ნესტიანი მიწის სუნით სავსე მღვიმიდან გამოვედით მზის გულზე, პირველ ხანებში ვერაფერი დავინახე. მოხუცმაც გამოგვაცილა. დავემშვიდობეთ და წავედით სასტუმრო ბაკებში, სადაც ჩვენი ცხენები იდგნენ.



დიდხანს ვლუმდით ორივენი. შემდეგ მამამ მკითხა:

— შეამჩნიე, როგორა თქვა, „ვისი რიგიც დადგებაო?“ მიხვდი, ვისზე ამბობდა?

— თავის თავზე.

— ჰო, — თქვა მამამ, — მერე როგორი ტაქტითა თქვა ეს, — შეეცადე მამას მოეწონა მწირის პასუხი.

ბუზულუყში საქმეები რომ მოიღია, მამამ ცხენების შებმა ბრძანა და უკან გამოვბრუნდით.

თუმც მამას კი შეეპირდი, არ დავიღლები-მეთქი, მაგრამ უკან რომ ვბრუნდებოდით, ძილი მომერია, თან მიხაროდა, შინ მივალ და დავისვენებ-მეთქი.

### XX თავი

იასნაია პოლიანაში გამგზავრების წინ მამამ გადაწყვიტა, ბაშკირებსაც გავართობ და თან ველის ცხენის სიმარდესაც გამოვცდიო. ამიტომ გადაწყვიტა დოლი გაემართა.

დაინიშნა დღე და ეუწყა გარეშემო ყველას, რათა მონაწილეობის მიღების მსურველები დათქმულ დღეს ჩვენს ხუტორში შეკრებილიყვნენ.

ბაშკირებს ეს ჩანაფიქრი ძალზე მოეწონათ და დაიწყეს ცხენებისა და ბავშვების გაწვრთნა დოლისათვის.

რა დროც არ უნდა ყოფილიყო, უსათუოდ დაინახავდით ათი-თერთმეტით დოლი წლის ბიჭუნას, გამალეებული რომ მიაჭენებდა ცხენს ველზე.

მამამ გამარჯვებულთათვის ჯილდოები გაამზადა: პირველ ადგილზე გასულისათვის — საზღვარგარეთული იარაღი, მეორეზე — ვერცხლის საათი. სხვა ჯილდოები ასეთი იყო: აბრეშუმის პერანგები, ბაშკირები რომ იცვამენ ისეთი, აბრეშუმის თავსახვევები და ა. შ.

დოლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩვენი სახლის ირგვლივ ბაშკირელთა ალაჩოყების მთელი ბანაკი შემოკრბა. კლავდნენ და ხარშავდნენ ცხვრებს, წველიდნენ ცხენებს, ანჯღრევდნენ კუმისს. მამამ მათ დასაკლავად მისცა ორი წლის ინგლისური ჯიშის ფეხმოტეხილი ცხენი. ცხენი გაატყაპუნს და ქვაბში ჩადეს მოსახარშად.

ბაშკირები შეიკრიბებოდნენ ველზე, ღია ცის ქვეშ გუნდად დასხდებოდნენ ხალიჩებზე, სვამდნენ კუმისს, თამაშობდნენ შაშს, მღეროდნენ, ცეკვავდნენ.

მზიარული მიხაილ ივანეს ძე თავის სამ ცოლთან და უამრავ ფაშატთან ერთად ჩამოვიდა. ცოლები ჩხუბობდნენ და ხშირად გამწარებული შემოგვიჩიოდნენ ერთმანეთზე მე და დედას.

მიხაილ ივანეს ძეს არ მოუწყენია. მამას შაშს ეთამაშებოდა, როცა გაუჭირდებოდა, შუბლზე თითს მიიდებდა და თავის საყვარელ სიტყვებს იმეორებდა:

— დიიიდი ფიქრია საჭირო!

მაგრამ რამდენიც არ უნდა ეფიქრა, უფრო ხშირად მაინც მამა იგებდა.

უცნაურად ჟღერდა ჩვენი ევროპული ყურთასმენისათვის აღმოსავლური მუსიკა. ჰანგი მუდამ სევდიანი იყო, მინორული, უფრო ფაქიზი ინტერვალებ-



ბით, ვიდრე ვამა, რომელსაც შეჩვეულები ვიყავით. და ამ სევდიანი მუსიკის ხმაზე, დუდუკებსა, ზურნებსა და სხვა უცნაურ საკრავებზე დასრულდებოდა, ბაშკირები ნელა, ნარნარად ცეკვავდნენ... ბიზლიჩიშვილი

ზოგიერთი ბაშკირი ყელით უკრავდა. ეს მეტად უცნაური და იშვიათი ხერხია მუსიკალური ბგერის გამოსაცემად და ასეთი მუსიკის ოსტატებს ბაშკირები ძალზე აფასებენ, რადგან იშვიათად გამოერევა ხოლმე.

დოღზე ერთი ასეთი მუსიკოსი ჩამოვიდა. როცა უკრავდა, ყველანი ჩუმდებოდნენ და უსმენდნენ. ბაშკირი ზის ფეხმორთხმული ხალიჩაზე, პირისახე დაძაბული აქვს, შუბლზე ძარღვი ამჩნევია და ოფლი წვეთ-წვეთად ჩამოსდის შუბლიდან ცხვირზე. პირისახე ერთიანად უძრავი აქვს, ტუჩები არ ირხევა, და მხოლოდ საღდაც ყელში, თითქოს ორგანიისტი უკრავსო, ბგერა — სუფთაა, გამჭვირვალე და ფრიად მელოდოური.

მაგრამ, აი, დაასრულა. ბოლო ბგერასთან ერთად მკერდიდან კვნესა თუ ოხვრა აღმოხდება. ყველანი დუმან, გაგონილი მუსიკისაგან მოჯადოებულნი.

— აბა, ამოიღე და გვიჩვენე პატარა ორგანი, ყელში რომ დაგიმაღავს, — ეუბნება მამა.

დაღლილი ბაშკირი იღიმება და თავს აქნევს. მას აქაფებული კუმისით პირთამდე სავსე ხის ფიალას აწვდიან, იგი ხარბად ეწაფება, შემდეგ მუხლისთავეებზე ხელებს გადაიჯვარედინებს და ისვენებს.

კუმისით სავსე ფიალა ხელიდან ხელში გადადის. შუა წრეში ორი ბაშკირი ჭიდაობს. ისინი ასე ჭიდაობენ: ორივენი დასხდებიან ერთმანეთის პირისპირ და ტერფებით ერთმანეთს ებჯინებიან. შემდეგ იღებენ ხელში მაგარ ჯოხს და ექაჩებიან ვინ ვის გადაითრევს. ამ ჭიდაობაში ძალასთან ერთად მოხერხებაა საჭირო. ფეხები ოდნავ მოხრილი უნდა გქონდეს მუხლებში და ჭიდაობის დროს მარტო ხელებით კი არ უნდა მოიზიდო მოწინააღმდეგე, უნდა ეცადო მუხლიც გაშალო. როგორც კი ფეხებს გამართავ, მოწინააღმდეგე გამარჯვებულის წინაშე ზეზე წამოდგება.

მამაც მონაწილეობდა ამ ჭიდაობაში და, ჩემდა სასიხარულოდ, ვერც ერთმა ბაშკირმა ვერ გადაითრია. როგორც კი ჯოხს ხელს მოჰკიდებდა, მაშინვე ზეზე წამოაგდებდა მის პირისპირ მჯდომ ბაშკირს.

მაგრამ, აი, წრეში შემოდის უზარმაზარი, ჩასუქებული რუსი მამასახლისი და მამას შეჯიბრში იწვევს. მამა თანახმაა. მამასახლისი ხვნეშა-ხვნეშით ეშვება მიწაზე მამაჩემის პირდაპირ და ორივენი ისე დებენ ფეხებს, რომ ერთის ლანჩები ზუსტად მიედოს მეორისას. მერე ორივე ხელით იღებენ ჯოხს და ექაჩებიან.

მამას კეფა გაუწითლდა, ხელები უკიდურესად დაეძაბა და აუკანკალდა. მაგრამ მამასახლისი არ ნებდება. ზოგჯერ სულ ცოტათი წამოსწევს მამა, მაგრამ მამასახლისის უზარმაზარი სხეული ისევ მძიმედ ეშვება მიწაზე, ახლა მამა წამოიწევა.

— აბა, აბა, — ვჩურჩულებ მე და ისე ვიძაბები, თითქოს ეს მამას რაიმეთი უშველის, — აბა, ცოტა კიდევ.

ბოლოს მამასახლისმა საბოლოოდ მოიკრიბა ძალ-ლონე, მოქაჩა ძლიერად და თან მუხლები გაშალა. მამა წამოდგა წინ და თავი დამარცხებულად სცნო. იღიმება, მაგრამ ვხედავ, რომ უკმაყოფილოა. მე, სერიოზულ და ილიამ კი მთელი გულით შევიძულეთ მამასახლისი. ერთმანეთს გადავულაპარაკეთ და



დავასკვენით, რომ მამასახლისი რვა ფუტს იწონის და ამის გამო დამარცხდა ჩვენი უძლეველი მამა.

ბაშკირთა ფერხულში ჩაბმული დიდხანს ვუცქერი, როგორ ცეკვავდნენ ისინი და მუსიკას ვუსმენ.

მაგრამ როგორც კი შემოიტანეს მოხარული ცხვრის ხორცი, მსუქანი კურჭელი, შეუმჩნევლად გავიპარე. შემეშინდა ცხვრის მსუქანი სახეზე არ მომისვან, შემოთავაზებულ ხორცის ნაჭერზე უარს რომ ვიტყვი-მეთქი.

ერთხელ უკვე ნანახი მქონდა მხიარული მიხაილ ივანეს ძე როგორ უსვამდა პირისახეზე ცხვრის ხორცის ნაჭერს ერთ ახალგაზრდა ბაშკირს, რომელიც შემცბარი იდგა, ხოლო დამსწრენი ერთად ხარობდნენ. არ მინდოდა ეს ხუმრობა ახლა ჩემს თავზე განმეორებულიყო.

### XXI თავი

დოღზე ოცზე მეტი ცხენი გამოიყვანეს. ველზე მოუხნავი ვაკე ადგილი შეარჩიეს და ირგვლივ ხუთიოდ ვერსზე კვალი დახნეს. ცხენებს ხუთჯერ უნდა შემოეველოთ წრე ამ სივრცისათვის ანუ შეუსვენებლად ოცდახუთი ვერსი გაერბინათ.

დანიშნულ დღეს მთელი ველი ხალხით გაიჭედა. შეიკრიბა რამდენიმე ათასი ბაშკირი, ყირგიზი, ურალელი კაზაკი, თათარი, რუსი.

დედას შეეცოდა ბაშკირი ქალები, მუდმივი პატიმრობისათვის რომ იყვნენ განწირულნი და ვერასოდეს ვერაფერს ხედავდნენ, თავიანთი ალაჩოყებისა და ჭაკი ცხენების გარდა. ამიტომ უბრძანა შეებათ ჩვენი უზარმაზარი კარეტა, რომელშიც რამდენიმე ნაცნობი ბაშკირი ქალი მიიპატიჟა. კარეტაში ტევა აღარ იყო, მარტო მიხაილ ივანეს ძის სამი ცოლი რად ღირდა, რომელთაგან ერთი მეტისმეტად მსუქანი გახლდათ. ორიც ჩვენი ნაცნობი ბაშკირი ქალი იყო, კიდევ რამდენიმე ჩამოსულიც შემოძვრა. იფარებდნენ თავზე თავიანთ ხავერდის ჩაღრებს, მამაკაცის თვალთაგან რომ იფარავდა და ხარბად მისჩერებოდნენ ყოველივეს, რაც მათ თვალწინ ხდებოდა.

დედა, ბიჭები და მე ფორნით გავემგზავრეთ. ხოლო დოღს კარეტის სახურავიდან ვუყურებდით. ირგვლივ უზარმაზარი ბრბო შეკრებილიყო, ეცვათ ჭრელი ხალათები, ჩოხები და სხვა ეროვნული ტანისამოსი.

როცა ცხენები შეიკრიბა, მამამ ნიშანი მისცა — დოღი იწყებაო. ყველანი სულგანაბულნი ელოდნენ, როდის მოწყდებოდნენ ცხენები ადგილიდან.

ოცივე ცხენი რომ ერთდროულად გაგეშვა, უსათუოდ ერთ ხაზზე უნდა ჩაგემწყრივებინა, ეს კი უცბად არ მოხერხდა. ნახევრად ველური ველის ცხენები ერთმანეთს ეკვროდნენ, თავს მალლა სწევდნენ, ხან წინ გავარდებოდნენ, ხან — უკან, ამხედრებული ბიჭები ყოველნაირად ცდილობდნენ მოეთოკათ ისინი. ბოლოს მამამ აიქნია თავსაფარი და იყვირა:

— წავედით!

ცხენები მოწყდნენ და ისარივით გაიჭრნენ ველზე. ბიჭები უუნაგროდ ისხდნენ. ერთმანეთისაგან ადვილად რომ გაგერჩია, თვითელს თავზე ხასხასა ფერის სახოცი წაეკრა: ლურჯი, წითელი, ყვითელი, ჭრელი. ყველანი მაშინვე



აყიენდნენ, აყვირდნენ, და რაც უფრო შორს მიქროდნენ, მით უფრო აზარტულად ყიენებდნენ. როცა ისინი წრეს შემოუვლიდნენ და ისევ იმ ადგილს მიუახლოვდებოდნენ, საიდანაც დოლი დაიწყო, მათთან ერთად ყიენიც და ხმაურიც ახლოვდებოდა. ბრბოსაც გადაედებოდა მღელვარება და ისიც აყიენდებოდა, როცა ახლოს ჩაუქროლებდა რომელიმე <sup>განცოფებული</sup> ცხენი.

ერთი-ორი წრის მერე ცხენები რიგრიგობით რჩებოდნენ უკან და ჩორთით გადიოდნენ წრიდან.

ფინიშთან ცხენების ნახევარზე ნაკლები მივიდა. ამ ცხენებმა ოცდახუთი ვერსი ოცდაცხრამეტ წუთში დაფარეს.

აღზნებულმა, გახარებულმა ბიჭუნებმა ჯილდოები მიიღეს და იქვე გადასცეს თავიანთ მამებს.

დოლის ცხენებში ერთი ჩვენი ცხენიც ერია. იგი ფინიშთან მეხუთე მივიდა.

მეორე დღეს ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. მადლობას ეუბნებოდნენ მამას ასეთი სიამოვნების მინიჭებისათვის. და დიდხანს იხსენებდა მთელი გარეუბანი გრაფის ხუტორში გამართულ მზიარულ მარულას.

მთელი იმ დროის მანძილზე, რაც დროსტარებასა და დოლს დასჭირდა, არამცთუ არავის დაუნახავს, არამედ სიტყვაც არ თქმულა რომელიმე წესრიგის დამცველზე. ყველაფერი შესანიშნავად, მზიარულად ჩატარდა, არავითარი გაუგებრობა არ მომხდარა, არავითარი შეხლა-შემოხლა, ყველანი თავაზიანად, წესიერად იქცეოდნენ. მხოლოდ მიხაილ ივანის ძის ცოლები თუ წაიკინკლავებდნენ ერთმანეთში. მაგრამ ეს კარავში ხდებოდა, ქალთა სამყოფელში. თარდის მიღმა, საიდუმლოდ, და ნადიმის სვლას ვერას აკლებდა.

## XXII თავი

უფროსები უკვე იასნაია პოლიანაში დაბრუნებაზე ალაპარაკდნენ. შეეშფოთდი: მერედა, მოტკას რა მოვუხერხო?!

„როგორ მოვიქცე, რომ დედამ და მამამ ნება დამართონ თან წავიყვანო? — ვფიქრობდი მე, — სამარაში ჩაყვანას მე ვკისრულობ. თვინიერად იქნება ჩემს კალთაში მოკალათებული, მაგრამ შემდეგ? ან გემით როგორ წავიყვანო ან მატარებლით? ალბათ, არ დამანებებენ, — ვფიქრობდი დადარდიანებული. — აქ რომ დავტოვო, ვინ იზრუნებს და ვინ მოუვლის ჩემსავით? რასაკვირველია, არც არავის ეყვარება ჩემსავით“. იმაზე ფიქრსაც ვერ ვბედავდი, რომ მოტკას ისეთივე ბედი ექნებოდა, როგორც ათასობით იმ ცხვარს, ველზე რომ ნთქავდნენ. მოტკას დაკლავენ და შეჭამენ, — განა ეს შესაძლებელია?

ვუკოცნიდი ვარდისფერ დრუნჩს, რძის სუნი რომ ასდიოდა და თვალცრემლიანი ვეუბნებოდი: „ჩემო საბრალო მოტკა! რა უნდა გიყო?“ და ცრემლები აცვიოდა უგრძნობელ თეთრ ცხვირ-პირზე.

გულათრთოლებულმა და იმედგადაწურულმა ვთხოვე ჩემს მშობლებს, ჩემს საყვარელ მოტკას თან წამოვიყვან-მეთქი. გამიკვირდა, არაფრად რომ არ ჩააგდეს ჩემი თხოვნა. რამდენიმე დღე ვემზადებოდი, რომ შემებედა ჩემი სათხოვარი, მათ კი გულგრილად და შეუვალად მტკიცეს უარი.



— რა სისულელეა! — მითხრა დედამ, — ცხვრები წამაყვანივ კიდეც...  
იასნაიაშიც საკმარისად გვეყვანან.

რა უნდა მექნა. მაშინ მზარეულ ქალს მივმართე, ხუტორში რომ რჩე-  
ბოდა:

— ავდოტია, გაჩუქებ მოტკას. ოღონდაც, გეთაყვა, მოუარე. და... — არ  
ვიცოდი როგორ გამომეხატა ჩემი შიში, — თვალი გეჭიროს, ვინმემ რაიმე  
არ ავნოს...  
გინგულიცოცხა

მზარეულმა ქალმა სიტყვა მომცა. მაგრამ მაინც გული საგულეს არ ჩა-  
მიდგა, რატომღაც ვერ ვირწმუნე მისი ნათქვამი. ვშიშობდი, როგორც კი გა-  
ვემგზავრები, ავდოტია პირობას გატეხს-მეთქი.

სხვა საწუხარიც მქონდა, უფრო სამძიმო: — ჰანას გამგზავრება.

ამას მართლაც ვერ გავუძლებდი, იმედი რომ არ მქონოდა, მომავალ ზაფ-  
ხულს ჩემს დეიდასა და დეიდაშვილებთან ერთად ისევ ჩამოვა-მეთქი...

ჰანას კუმისმა მეტისმეტად არგო: გასუქდა და აღარ ახველებდა. იგი  
კავკასიაში გაემგზავრა ძალამიციემული, უნდოდა როგორმე შეემსუბუქებინა  
დეიდა ტანიასათვის ახლახან თავს დამტყდარი უდიდესი უბედურება.

ერთმანეთს გაზაფხულამდე დავემშვიდობეთ, მისი ვარაუდით სწორედ ამ  
დროისათვის უნდა ჩამოსულიყვნენ იასნაიაში კუზმინსკები.

მწარედ ვტიროდი, როცა ჩემს საყვარელ აღმზრდელს ვემშვიდობებოდი.  
რამდენი ღამე გამიკრთო ძილი ცრემლებმა და მარტოობის შეგრძნებამ. ოთახი,  
სადაც მე და ჰანას გვეძინა, ისეთი დაცარიელებული და პირქუში მეჩვენა...  
„მაგრამ იგი კვლავ დაბრუნდება და ისევ ვიხილავ“, — ვინუგეშებდი თავს.

### XVIII თავი

ავვისტოს დასაწყისი იყო. ოთახებში ისევ ჩარიგებულყო სკივრები, ჩე-  
მოღნები, კალათები, დედა ოთახიდან ოთახში დარბოდა და აწყობდა მამაჩე-  
მის, ბავშვების, საკუთარ ნივთებს.

სამარაში ისევე ჩავედით, როგორც აქეთობისას მოვდიოდით: ჩვენი უზარ-  
მაზარი ღორმეზით და ფორნებით, ამჯერად გზა უფრო მოკლე და იოლი მეჩ-  
ვენა, ვიდრე მაისში. მაგრამ სამაგიეროდ ვოლგაზე მგზავრობა ნაკლებ სასია-  
მოვნო აღმოჩნდა.

ზაფხულში მდინარე გათავთხელდა და ჩვენი გემი ფრთხილად მოძრაობდა,  
რათა მეჩეჩზე არ გარიყულიყო.

ლოცმანი ყოველ წამს ზომავდა მდინარის სიღრმეს და გაჰყვიროდა —  
ზედაპირიდან ფსკერამდე რამდენი საყენი წყალი იყო.

— ხუთ-ნახევარი! — გაბმით ყვიროდა იგი, — ოთხ-ნახევარი!

ღამლამობით ადგილზე ვიდექით, რადგან ჩვენდა საუბედუროდ ისეთი  
ნისლი იდგა, რომ წინ წასვლა სახიფათო იყო. კაპიტანს ეშინოდა, რომელიმე  
შემხვედრ გემს არ შეეჯახებოდა.

ორი დღე-ღამის ნაცვლად, რაც ჩვეულებრივ საკმარისია სამარიდან ნიენი  
ნოვგოროდში ჩასასვლელად, ოთხი დღე-ღამე დაგვჭირდა.

სულ ჩვენი მგზავრობა რვა დღე გაგრძელდა. როგორც იქნა, მივალწიეთ  
იასნაია პოლიანას და რარივ გავიხარეთ!



დღეა ატყობინებს ტანია დეიდას 1873 წლის 25 აგვისტოს:

„შინ ზუსტად ჩემი დაბადების დღეს, 22-ში, საღამოს ჩამოვედით... აღარაფერს მოგწერ სამარაში ჩვენი ცხოვრების თაობაზე, ჰანა უფრო ცხოვლად და უკეთ აგიწერს. ხომ მოიკეთა? ბოლო წუთამდე სვამდა კუმისს და უხაროდა, რომ საკმაოდ კარგად იყო. მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ახლა ტანიას ყველაფერში მივეხმარებო: ცხოვრებას, საქმეს, მწუხარებას! შეგუბნებუქებო. მას ძალიან შეუყვარდით, ხშირად ტიროდა დაშას გამრ და ვერაფრით შერიგებოდა იმ აზრს, რომ დაშა ცოცხალი აღარ არის. სწორედ ეს არის კარგი, რომ გულიანი აღამიანია, რომ ახლა მისი ფიქრი სულ შენ დაგტრიალებს თავს, როგორ შეგიმსუბუქოს ხვედრი...“

იმავე დღეს მამა სწერს ფეტს:

„თუმცა გვალვები იყო, ბევრი რამ გვაკლდა, მოუხერხებლად ვცხოვრობდით, მაინც ყველანი, ჩემი ცოლიც კი, კმაყოფილნი არიან. და ყველაფერზე უფრო მეტად ძველებურ ყაიდაზე ცხოვრება მოეწონათ...“

#### XXIV თავი

როცა სამარის ველებში ჰანას ვეთხოვებოდი, რას ვიფიქრებდი, ჩემს სიცოცხლეში უკანასკნელად ვხედავ-მეთქი.

კავკასიაში, კუზმინსკების ოჯახში რომ დაბრუნდა, ჩემი დეიდაშვილების — მაშასა და ვერას — აღზრდა დაიწყო. თუმცა კი ამბობდა მთელი ჩემი სიყვარული დაშას სიკვდილმა თან წაიღო, მაგრამ მაინც ძალიან სწრაფად შეუყვარდა ორივე გოგონა, მის მეურვეობაში რომ იყვნენ.

წერილებს ხშირად გვიგზავნიდა. წერილების კილოზე ვერავითარ ცვლილებას ვერ ვამჩნევდით. მაგრამ აი, 1874 წლის გაზაფხულზე ჰანას დის, ჯენის, წერილი მივიღეთ: ჰანა ქართველ თავადს, მაჭუტაძეს მიჰყვებოდა ცოლად.

ამ ცნობამ ყველანი განგვაცვიფრა. როგორ? ჰანა თხოვდება! ამას ვერასოდეს წარმოვიდგენდით და აღარ ვიცოდით, გაგვხარებოდა თუ გვწყენოდა.

და აი, გაჩაღდა მიწერ-მოწერა კავკასიაში და კავკასიიდან. ჰანა გვწერდა, ნიშნობა უკვე იყო და ქუთაისში გვეპატიებოდა სტუმრად.

რასაკვირველია, შევპირდით, გინახულებთ-თქო და თან ქმართან ერთად იასნაიაში მოვიპატიეთ.

როგორც შემდგომ გავიგეთ, პირველ ხანებში ქმრის ოჯახში ცხოვრებას მაინცდამაინც დიდი ბედნიერება არ მოუტანია ჰანასთვის. ქმრის მშობლები ფრიად უკმაყოფილონი ყოფილან, მათმა ვაჟმა ღარიბი უცხოელი ქალი რომ შეირთო ცოლად. მაგრამ ახალგაზრდა თავადმა ყური არ ათხოვა მშობლებს და ჰანაზე მაინც დაქორწინდა...

რადგან მოხუცმა თავადმა და მისმა ცოლმა საარსებო სახსრები შეუწყვიტეს თავის ვაჟიშვილს, ახალგაზრდები ცალკე ცხოვრობდნენ და პირველ ხანებში ძალზე უჭირდათ. ჰანა დარდობდა, ვაჟიშვილი მშობლებს რომ ჩამოაცილა.

ისინი პირველი ბავშვის დაბადებამ შეარიგა. როცა მოხუცებმა გაიგეს, შვილიშვილი შეგვეძინაო და დარწმუნდნენ, ჰანა კარგი, მოსიყვარულე, თავმდაბალი ქალი არისო, ახალგაზრდები ისევ უკან მიაბრუნეს ოჯახში.



მოხუცი თავადები, მაჭუტაძეები, ქუთაისთან ახლოს ცხოვრობდნენ და მთელი მათი საქმიანობა ის იყო, რომ გასაყიდად ამზადებდნენ ცხვრის ყველს. რაკი მათთან დაეფუძნა, ჰანა გულისყურით მონაწილეობდა მათ საქმიანობაში და ისე ჭკვიანურად წარმართა საქმე, რომ მალე მოხუცებმა მთლიანად რძილს გადაულოცეს.

მაშ ასე, ქუთაისთან ახლო მამულში გაატარა ჰანამ მთელი თავისი ცხოვრება.

პირველ ხანებში ხშირად ვუგზავნიდით წერილებს ერთმანეთს. მან თავისი გოგონას სურათი გამოგვიგზავნა, ძალიან ჰგავდა დედას. შემდეგ უფრო იშვიათად მოდიოდა წერილები, მაგრამ სავსებით არასოდეს შეგვიწყვეტია.

ჰანა გვწერდა, იმედი მაქვს, ოდესმე ისევ ვიხილავ „ჩემს ძველ საყვარელ იასნაიას“ და ჩემს გოგონასაც ჩამოვიყვანო.

არაფერი არ აღსრულებულა. ჩვენი ოჯახის წევრთაგან, სერიოჟას გარდა აღარავის უნახავს მეტად. მხოლოდ სერიოჟას ერგო წილად ეს სიხარული. უკვე თითქმის ხანშიშესული კაცი კავკასიაში საქმის გამო ჩავიდა და ქუთაისშიც შეიარა თავისი აღმზრდელის სანახავად.

მშურდა მისი და იმედს არ ვკარგავდი, ოდესმე მეც ვიხილავ-მეთქი.

შემდეგ შეგვატყობინეს, მძიმედ ავად არისო. მალე კი გავიგეთ, რომ ჩვენი ჰანა უკვე აღარ იყო ცოცხალი. მოხუცი არ გარდაცვლილა ჰანა, ალბათ ორმოცდაათს სულ ცოტათი იქნებოდა გადაცილებული.

## XXV თავი

სამარიდან მობრუნებულები მეცადინეობას შევუდექით. დაიწყო სასწავლო წელი.

ისევ მარტო დავრჩი, მაგრამ ამ წელიწადს სევდა ისე არ მაწუხებდა, როგორც წინა წლებში. იქნებ იმიტომ, რომ მეცადინეობამ გამიტაცა, ან იქნებ იმიტომ, რომ ბუზულუყელი მწირი მახსენდებოდა და მისი მაგალითი ჩემთვის ჭკუის სასწავლი იყო; ასე იყო თუ ისე, თავს მაინც უფრო მხნედ ვგრძნობდი, ვიდრე წინა წელიწადს.

ხატვა დავიწყე. ბიძგი მომცა მხატვარ კრამსკოის ჩამოსვლამ, ვისაც მაჩემის სურათი მოსკოვში სამხატვრო გალერეის მფლობელმა ტრეტიაკოვმა შეუკვეთა. უდიდესი გულისყურით ვადევნებდი თვალს მის მუშაობას, ძალზე მაინტერესებდა როგორ მუშაობდა. მაგრამ მეტისმეტად მორცხვი ვიყავი და ვიტანჯებოდი, როცა ოთახში შევდიოდი და მუხლჩაბრით ვესალმებოდი. ცნობისმოყვარე მზერას არ ვაცილებდი. აღრე არასოდეს მენახა, როგორ ხატავდნენ ზეთის საღებავებით. გაფაციცებული შევყურებდი, როცა კრამსკოი პალიტრაზე საღებავებს ერთმანეთში აურევდა, შემდეგ ფუნჯით ტილოზე წაუსვამდა და უცებ ტილოზე თითქოს ცოცხალი სახე გამოჩნდებოდა. აი, მაჩემის თვალები, ნაცრისფერი, დინჯი, ყურადღებიანი, ზუსტად ასეთი თვალები აქვს. რა სასწაულია!

კრამსკოი იასნაიადან ხუთ კილომეტრზე დასახლდა თავის ორ ამხანაგთან სავიცკისა და შიშკინთან ერთად. კრამსკოი ყოველდღიურად მოდიოდა ჩვენ-



თან სენსის ჩასატარებლად. იგი ერთდროულად მამას ორ პორტრეტზე მუშაობდა, რადგან დედამ სთხოვა, ერთი მისთვის დაეხატა.

ორივე პორტრეტი ძალიან კარგი გამოვიდა. კრამსკოიმ დედას შეარჩევინა, რომელიც უფრო მოსწონდა. ეს პორტრეტი ახლაც არის იასნაია პოლიანაში, მეორე კი ტრეტიაკოვის გალერეაშია.

კრამსკოის ჩვენსა ყოფნამ ხატვის სურვილი გამიღვიძა. ერთხელ გადმოვხატე სურათი, რომელზედაც ხის მორზე ჩამომჯდარი ბიჭუნა იყო გამოსახული. თვითონვე მომეწონა ჩემი ნახატი და მშობლებს ვუჩვენე. მათ შემიქეს.

— ხატვა უნდა ისწავლო, — მითხრა მამამ.

მამა მიხვდა, რომ მისი ნათქვამი გულზე მაღამოდ დამედო, რადგან სიამოვნებისაგან სახეზე წამოვწითლდი.

მამა ჩავიდა ტულაში, მოელაპარაკა რეალური სასწავლებლის ხატვის მასწავლებელს, კვირაში ორჯერ ჩამოსულიყო იასნაიაში და ჩემთვის გაკვეთილები ჩაეტარებინა. ბიჭებს მეტისმეტად ბევრი საქმე ჰქონდათ და ამიტომ ხატვის გაკვეთილებს ვეღარ დაესწრებოდნენ.

დიდის მონდომებით დავიწყე მეცადინეობა. ჩემს პედაგოგს, კაფანდარა კუზიანს, სიმონენკოს, უყვარდა თავისი საგანი და მეც სიამოვნებით მასწავლიდა. ვხატავდი ორიგინალიდან ადამიანებსა და ყვავილის თაიგულებს. სიმონენკომ თავისი ნახატები ჩამოიტანა და მაჩვენა. აღმაფრთოვანა ამ ნახატების სისუფთავემ და სიზუსტემ და ვფიქრობდი, ესოდენ სრულყოფილებას ვერასოდეს მივალწევ-მეთქი. მაგრამ ამ ორი ღირსების გარდა სიმონენკოს ჩემთვის არაფერი უსწავლებია, ჭეშმარიტი ხელმძღვანელობა არ გაუწევია იმის გასაგებად თუ რა არის ხელოვნება.

სიმონენკო მეორე პედაგოგმა — ბარანოვმა შეცვალა. და დავიწყეთ ზეთის საღებავებით ხატვა ნატურიდან, მაგრამ ისიც მხატვრობის მხოლოდ ტექნიკურ მხარეს მასწავლიდა.

როცა მოსკოვში გადავედით, მამამ უკვე თვრამეტი წლის ქალიშვილი ფერწერისა და ქანდაკების სასწავლებლის დირექტორთან ვ. გ. პეტროვთან მიმიყვანა. მან გამომცადა და მამას უთხრა:

— თუკი შესძლებს იმის დავიწყებას, რაც ასწავლეს, მისგან მხატვარი გამოვა, რადგან დიდად ნიჭიერი არის.

საბრალო სიმონენკო! საბრალო ბარანოვი!

მაგრამ ბავშვობაში ჩანერგილი პირველი წეს-კანონების დავიწყება ძალიან ძნელია. და როგორ არ ვცდილობდი, მაგრამ ვერ შევძელი ჩემი პირველი პედაგოგების ხელწერის ჩამოშორება.

მათი მთავარი ნაკლი ის იყო, რომ ნებას მაძლევდნენ უმნიშვნელო წვრილმანებს გამოვდევენებოდი ისე, რომ ყურადღება არ მიმექცია იყო თუ არა ზოგადად რეალური ის, რასაც ვხატავდი. მე ვხატავდი მენატურის წვერის თვითეულ ბეწვს, მაშინ როცა თვალები აცაბაცა გამომდიოდა და ცხვირი ლოყაზე ჰქონდა მოქცეული.

რამდენი მუშაობა მომიხდა შემდგომში იმის მისაღწევად, რომ ვიდრე ხატვას დავიწყებდი, სურათი ზოგადად მომეხაზა და წვრილმანებს არ გამოვდევენებოდი.

ვაი რომ, სრულად ამის გაკეთება ვერასდროს ვეღარ შევძელი.



XXVI თავი

1873 წლამდე ოჯახში არავინ გარდაცვლილა. მაგრამ ამ წლის შემოდგომიდან მოყოლებული და მომდევნო წლის განმავლობაში სიკვდილი ერთიერთ-მანეთზე მოგვადგა კარს.

1873 წლის შემოდგომაზე ჩემი უმცროსი ძმა პეტია მოკვდა. პეტია და მამა, ბუთხუზა ბიჭუნა იყო, ძალიან მხიარული და ალერსიანი, დიდხანს მსახურ-თვალეები ჰქონდა, მრგვალი, დაბრაწული ლოყები.

ავადმყოფობამდე რამდენიმე დღით ადრე ქვისიატაკიან გასასვლელში ვნახე, ავადმყოფ ლეკვს უვლიდა. ლეკვისთვის ლამბაქზე რძეში ჩაფშვნილი პური ჰქონდა მომზადებული. ლეკვს ჰამა არ უნდოდა, პეტია კი ძალად უტენიდა პირში რძეში ჩამბალ პურს. აიღებდა ლამბაქიდან და პირში უღებდა. თუ ლეკვი არ შეჭამდა, თვითონ ჰჭამდა.

ეს რომ დავინახე, ავუკრძალე, მეორედ აღარ გაბედო ლეკვის ჯამიდან რაიმე შეჭამო-მეთქი.

პეტიას ეცოდებოდა ლეკვი, თან ბაძავდა ხველებაში.

— ჰამა! ქსე, ქსე!

რამდენიმე დღეში პეტია ავად გახდა და ჩაწვა.

ღედა სწერს ტანია დეიდას:

„რა იყო ეს, ერთმა ღმერთმა უწყის. უფრო მგონია, ხუნაგი იყო. ხიხინით დაეწყო, უფრო და უფრო გაუძლიერდა და ორ დღეში ხელიდან გამოგვეცალა. ბოლო საათს ხიხინი შეუშტყირდა, იწვა თავის პაწია საწოლში, არც გაუღვიძია, არც უბორგია, ჩუმად, თითქოს დაიძინაო, მოკვდა ეს მხიარული ბუთხუზა ბიჭუნა და დარჩა ისეთივე მსუქანი, ჩამრგვალებული და მომღიმარო, როგორც სიცოცხლეში იყო. ვგონებ, ცოტა იტანჯა, დიდხანს ეძინა ავადმყოფობაში და შემზარავი არაფერი დამართნია — არც კრუნჩხვები, არც დატანჯულა. ამისათვისაც მადლობა უფალს. უკვე ათი დღე გავიდა, მე კი დავბორიალებ დაკარგულივით, სულ ველი, ახლა გავიგონებ მისი პაწია ნაბიჯის ხმას და შორიდან დამიძახებს-მეთქი. არც ერთი ბავშვი არ ყოფილა ჩემზე ასე მოჯაჭვული, ნამდვილი მხიარულებისა და სიკეთის განსახიერება იყო. როცა ნაღველი შემომაწვებოდა, როცა ბავშვებთან მეცადინეობის შემდეგ დასვენება მომესურვებოდა, ჩემს ოთახში ავიყვანდი და ვერთობოდი. ჩემი შვილებიდან არც ერთს ამდენი სიამოვნება არ მოუნიჭებია ჩემთვის“.

მამა სწერს ფეტს:

„ჩვენთან უბედურება დატრიალდა: პეტიას, უმცროსს, ხუნაგი შეეყარა და ორ დღეში გათავდა, 9-ში. ეს პირველი სიკვდილია ჩვენს ოჯახში თერთმეტი წლის განმავლობაში. და ჩემს მეუღლეს მეტისმეტად უმძიმს. თავის სანუგეშებლად ესლა დაგვრჩენია, რომ თუ ჩვენგან — სულ რვათ ვართ, — რომელიმე უნდა დაღუპულიყო, მისი სიკვდილი იყო ყველაზე იოლი და ყველასათვის იოლი ასატანი, მაგრამ გული, განსაკუთრებით დედის გული, ეს საოცარი, უმაღლესი გამოვლენა ღვთიურობისა დედამიწაზე — ვერ განსჯის გონებით და ცოლი ძალიან დარდობს...“

იმავე ხანებში მამა სწერს დეიდა ტანიას:

„...პეტია მყვირალა ბაღლი იყო... და მაინც ნაღველთან ერთად, რომ



სწორედ იგი აღარ არის, ისეთი სიცარიელე დატოვა სახლში, სწორედ გითხრა არ მოველოდი...“

გარდაცვალებიდან ორი დღის მერე დავასაფლავეთ ჩვენი პატარა პეტია. მზიანი, ყინვიანი დღე იყო. დარბაზში მაგიდაზე პატარა კუბო ესვენა, მზეზე მბრწყინავი ვერცხლისფერი ქსოვილით შემოჭედული.

სიცოცხლეში პირველად ვნახე მიცვალებული და მუხსიერებაში ნათლად ჩამეჭედა ჩემი პაწია ძმის თვითეული ნაკვთი.

დღესავით ვხედავ მკერდზე დაკრეფილ პაწაწა ხელებს, თითქოს ცვილისა არისო, და ჩალურჯებულ ფრჩხილებს. მახსოვს ამობურცული დახუჭული თვალები, მუქი წამწამები, ოქროსფერი თმა საფეთქელსა და შუბლზე და თეთრ სამოსში გამოწყობილი გაშოტილი უძრავი პაწია სხეული.

ჩემ ირგვლივ ფრთხილად მიდი-მოდიან შემფოთებულნი: ადამიანები რაღაცაზე ჩურჩულით საუბრობენ, თათბირობენ, რაღაცა მოაქვთ... მე კი სულ იმაზე ვფიქრობ, ორი დღის წინ რა მხიარული, ხმაურა ბიჭუნა იყო-მეთქი და თვალს ვერ ვაშორებ...

უცებ მესმის, რომ დაბლა, წინკარში, კარი იღება და ვიღაც შემოდის, რაღაც შემოაქვთ, მესმის რამდენიმე ადამიანის ხმა, ისინი ერთდროულად ლაპარაკობენ.

გამოვედი დარბაზიდან, კიბეზე დავეშვი და შემოსასვლელში სტუმრები დავინახე. რა უცნაურია, განა ასეთ დროს სტუმრები მოდიან?! მათ ქურქები გაიხადეს, მსახურებმა საკიდარზე ჩამოჰკიდეს, შემოიტანეს მათი ჩემოდნები. შემდეგ დავინახე, დედა გამოვიდა, გადაეხვია, გადაჰკოცნა, რაღაცას უყვებოდა და თან ტიროდა...

ეს ჩემი ნათლია გახლავთ, დიმიტრი ალექსის ძე დიაკოვი, მისი ქალიშვილი მაშა და მაშას აღზრდილი სოფეშა, მოსკოვს მიმავლებმა გზად რომ შემოიარეს და არ იციან ჩვენი უბედურების ამბავი.

დედა მათთან ერთად ზევით აღის და აღგზნებული უყვება რაც მოხდა. თვალები ნამტირალევი და დაწითლებული აქვს, ლოყები ეწვის. ვხედავ, რომ ჩვენი ძველი მეგობრების მოსვლამ კი არ შეაწუხა, პირიქით ნუგეში სცა. ისინი ისე გულითადად უსმენენ, ისე გულწრფელად თანაუგრძნობენ, რომ აღარ მეშინია სიხარულის გამჟღავნებისა და სათითაოდ ვეხვევი ყველას. ტირილი მინდა, მაგრამ თავს ვიკავებ, ჩემი ნათლია უწინდებურად აღარ მეხუმრება, მხოლოდ ალერსიანად მითათუნებს ხელს პირისახეზე.

არ მახსოვს, როგორ დაახურეს კუბოს თავი და როგორ დაასაფლავეს პეტია. მახსოვს ეკლესიაში არ წავსულვარ, ჩემი მშობლები და ნათლია წავიდნენ.

დედა სწერს ტანია დეიდას:

„სწორედ დასაფლავების დღეს, ვიდრე გამოვასვენებდით პეტიას ცხედარს, დიაკოვები ჩამოვიდნენ ჩერემოშნიდან, არაფერი იცოდნენ და სრულიად მოულოდნელად მოგვადგნენ კარს. და რა კარგი, გულითადი მეგობრები აღმოჩნდნენ. დიმიტრი ალექსის ძე ჩვენთან ერთად წამოვიდა ეკლესიაში პეტიას დასამარხავად...“



XXVII თავი

მძიმედ განვიცდიდი ყრმობის წლებს. ბევრი სულელური და მტანჯველი ფიქრი იჩენდა თავს ჩემს ჩამოუყალიბებელ გონებაში. ნახევრად შეგნებულ ბავშვობის შემდეგ, როცა არავითარი საკითხი არ გაღელვებს, ჩემს ცნობიერებაში უცებ გადაიშალა მანამდე ჩემგან დამალული აზროვნების სუსტობა. სივრცე. გაჩნდა საკითხები, აღრე არასოდეს რომ არ მომსვლია თავში, აქამდე ხომ ბავშვი ვიყავი: — სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, რელიგიასთან, სამშობლოსთან, მშობლებთან, ძმებთან, დასთან, მეგობრებთან, შინამოსამსახურეებთან დამოკიდებულების, ფულის, ხელოვნების, სქესთა ურთიერთობის საკითხი — ყოველივე ამაში უნდა გავრკვეულიყავი. და თანაც მარტო, თვითონ, სხვისი გამოცდილება არ მჭირდებოდა.

აღრეულ ახალგაზრდობაში თავი როგორღაც ყოვლისშემძლე გგონია და თვითდაჭერებულს არავისი რჩევა-დარიგება არა გსურს, თვითონ გინდა ყოველივე გადაწყვიტო. არ გინდა დაიჭერო, რომ ადამიანის გონება შემოსაზღვრული. ბოლოს და ბოლოს კი მიაღგები შეუვალ კედელს და სასოწარკვეთილებაში ვარდები, ეძიებ და არა გგონია აღნიშნულ საკითხებზე პასუხი არ არსებობდეს... როცა რწმუნდები ამაში, ყოველგვარ რწმენას ჰკარგავ, აღარ გინდა ესოდენ უაზრო სიცოცხლე, თუკი ვერ ხედავ რისთვის უნდა იცოცხო. თვითმკვლელობაზე\* იწყებ ფიქრს, და თუ ვერ აღასრულებ, მხოლოდ იმიტომ, რომ გეშინია ანდა რაღაც ბუნდოვანი იმედი კიაფობს, იქნებ რაიმე ხსნა არსებობს და წილად მხვდეს მისი პოვნის ბედნიერებაო...

ზოგჯერ სულში რაღაც გაურკვეველი ფორიაქი ჩამიდგებოდა... რაღაც სიახლე მინდოდა, ახალი გრძნობები... ვოცნებობდი სიყვარულზე. და მთლად კარგად ვერ გამერკვია, ეს სიყვარული მიზიდავდა თუ პირიქით იყო. ზოგჯერ არასპეტაკი ცნობისმოყვარეობაც იჩენდა თავს, მრცხვენოდა ვინმესთვის რაიმე მეკითხა და ველოდი, რომ შემთხვევითობა გასცემდა პასუხს ჩემს ბურუსით მოცულ ვარაუდს.

ჩემს სულში ბავშვი კვდებოდა. მწიფდებოდა ადამიანი. და როგორც ყოველი გარდამავალი ასაკი — ესეც მტანჯველი იყო.

ჩემი ყრმობის ამ ხანას რომ ვიგონებ, ახლა უკვე მუდამ განსაკუთრებული სიფრთხილითა და სინაზით ვეპყრობი ამ ასაკის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს. ვიცი, რაოდენ გულწრფელად და პატიოსნად ეძიებენ ისინი პასუხს იმ კითხვებზე, ცხოვრებამ რომ წარმოშვა და უფროსებთან შედარებით რამდენად უფრო სერიოზულად უყურებენ მომავალ ცხოვრებას — ასე რთულს, ამოუხსნელი გამოცანებითა და ყოველგვარი ცდუნებებით ასე სავსეს... ვიცი რა ძნელია ამ ასაკში გულწრფელი იყო და ამიტომ პატივისცემით ვეკიდები მათ გულჩახვეულობას. ვცდილობ, აღერსით გამოვხატო მათდამი თანაგრძნობა... და კი-

\* (სტატისტიკა გვამცნობს, რომ სახლიდან გაქცევა, თვითმკვლელობა ან მკვლელობა უმეტესად ხდება ჭაბუკობაში ცამეტი წლიდან თექვსმეტ წლამდე).



დევ ის ვიცი, რომ თუ შესაძლებელია დაეხმარო და საკუთარი გამოცდილების თუნდაც ნაწილი გადასცე, მხოლოდ იმ პირობით თუ უდიდესი სიფრთხილით იმოქმედებ და თანაც უსაზღვროდ გეყვარება იგი. „ბავშვი იცნობს საკუთარ სულს, უყვარს იგი და თვალისჩინივით უფრთხილდება. და სიყვარულის გასაღების გარეშე არავის შეუშვებს შიგ...“

უჩინებელი  
ბიზლიმთეა

### დღიურიდან

1880

11 თებერვალი. იასნაია პოლიანა

წინა კვირას ძალზე ცოტა ვიმეცადინე, „ომსა და მშვიდობას“ ვკითხულობდი, მხოლოდ დღეს დავასრულე.

7 მარტი. პარასკევი.

გუშინ ნადიასაგან წერილი მივიღე. საღამოს პასუხის მისაწერად დავჯექი. შევეკითხე, „ის ქალი“ ანუ „პირველი“ (ნადენკა და როსა ასე ეძახიან ლევიცკის — ოფიცერს, როსას რომ ეარშიყება), თუ გაემგზავრა-მეთქი მოსკოვს. ვიდრე ვწერდი, მამა შემოვიდა, დახედა წერილს. გავწითლდი. დავინახე, რომ მამას მეტისმეტად არ მოეწონა, მაგრამ მხოლოდ ეს მითხრა: „ნეტავ ამ ლევიცკებთან რა გესაქმება?“

დღეს დილით მოვიდა და მითხრა: „გუშინ შენზე ვფიქრობდი, გული მეტკინა და თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი, რომ შენ და ნადია ოფიცერებს ხატავთ“. ვიცი, რას ისურვებდა იგი, ისურვებდა, რომ მე თავადის ქალი მარია ვყოფილიყავი, რომ მხიარულებაზე სულაც არ მეფიქრა, არ მეფიქრა დელვიგებზე, კ. კ-ზე და თუ შესაძლებელი იქნებოდა, ტულაშიც აღარ წავსულიყავი მეტად, მაგრამ უკვე გვიანია, პირველად რად წამიყვანეს? თვითონაც არ მინდა ტულაზე ფიქრი და ფრიად მიხარია, რომ არ მინახავს კ. კ. შეყვარებული აღარა ვარ.

1882

29 მაისი. იასნაია პოლიანა

დღეს მოვიდა სახლკარგადამწვარი ქალი, ექვსი ბიჭი მოიყვანა, რომელთაგან უფროსი ცამეტი წლისა იყო. ქმარი არა ჰყავს, სალდათში მოუკლეს, მიწა არა აქვს, ერთადერთი ქოხი ჰქონდა და ისიც დაეწვა. ასეთი უბედური ადამიანი იშვიათად მინახავს. ბავშვებს თეთრი პური ვაჭამეთ, რძე დავალევივინეთ, უამრავი ჩასაცმელი და ცოტა ფული მივეცი. მინდოდა პირველი ივნისის ჩემი „ჯამაგირი“ მიმეცა, მაგრამ შემდეგ დამენანა, თანაც თავი შემეზიზნა, საკუთარმა გულუხვობამ ასე რომ აღმაფრთოვანა. მაგრამ შემდეგ, როცა ის ქალი წავიდა, შემრცხვა, ფული რად არ მივეცი-მეთქი. ბაფთების საყიდლად დავიტოვე მაშინ, როცა ეს ფული მისთვის ძალიან დიდი რამ იქნებოდა.



მართალს ამბობენ მამა და თავადი, როგორც გსურს, ისე უნდა მოიქცეო. რათა მაშინ, როცა ცუდს ჩაიდენ, იგრძნო ეს; მუდამ რომ კარგი აკეთო, საკუთარი თავის კმაყოფილი იქნები, ეს კი მეტად გულისამრევია.

ოჰ, როგორ გაუგებრად ვწერ ყოველივეს! თუ ვინმე ოდესმე წაიკითხავთ ჩემს დღიურს, ნუ გამკიცხავთ, რომ ასეთ სისულელეს ვწერ და სათქმელს თავს ვერ ვაბამ. ვწერ ყველაფერს, რა ფიქრებიც მიტრიალებს ჩემს ფელად მჯერა, რომ არასოდეს არავინ წაიკითხავს. გაცილებით სწრაფად ვწერ ნებოდა, მხოლოდ ჩემთვის ვწერდე და არა ვინმე სხვისთვის. უცნაურია, რომ მუდამ იმ ადამიანის კილოს ითვისებ, ვისაც ელაპარაკები, ზოგჯერ სხვებს ლანძღავ მაამებლობისათვის. რა საზიზღრობაა! ჩემს წიგნში წესები უნდა ჩავიწერო...

მამა გუშინლამ ჩამოვიდა და ჩამოიტანა შესანიშნავი გეგმა, რომლის მიხედვითაც აპირებდა არნაუტოვის სახლის გადაკეთებას. ჩემთვის მთავარია, დარბაზი იყოს დიდი, საცეკვაოდ გამოსადეგი და რომ დედაჩემისა და მამაჩემის ოთახები მათ გემოვნებას ესადაგებოდეს, თორემ ბუზლუნს დაიწყებენ.

სალამოს მამამ სიტყვა ჩამოაგდო, როგორ კაცს ისურვებდა ჩემთვის კმრად. თქვა, უსათუოდ რაიმეთი გამორჩეული უნდა იყოს, ოღონდ მაღალ საზოგადოებას არ უნდა ეკუთვნოდესო. „ასეა, თუ მაზურკას კარგად ცეკვავს, ეს იმას ნიშნავს, რომ არაფრად ვარგა“. მეც ასე მგონია. ნუთუ ჩვენზეც ასე მსჯელობენ? მე კი როგორ ვცდილობდი ყველაზე უკეთ მაზურკა მესწავლა. და როცა მიშა სუხოტინი მეუბნებოდა, მრცხვენია შენთან ერთად ვიცეკვო, რადგან შენ ჩინებულად ცეკვავ, მე კი საძაგლადო — სიამაყისაგან თავბრუ მეხვეოდა!

მამამ დღეს განმიმარტა, რად მოვწონვარ — სოფლელივით ველური, ბავშვურად მოუქნელი და გულუბრყვილო რომ ვარ, იმიტომ. დედამ კი მითხრა: «Блажен, кто смолоду был молод, кто вовремя созрел».

როგორღა უნდა მოვმწიფდე? აი, რა არის საკითხავი! მამაც ამბობს: ოცდახუთი წლის რომ შეიქნები, ეს ველურობა სასაცილო იქნებაო. იქნებ თავისთავად ისე მოხდეს, რომ დროზე მოვმწიფდე. მამა მეუბნება, სავსებით დარწმუნებული ვარ, სულ რაღაც ერთ წელიწადში მოგბეზრდება მაღალი საზოგადოება, რადგან მისაღწევი აღარაფერი დაგრჩა — მე ხომ მაშინვე მიმიღეს იმ წრეში, საითკენაც მივისწრაფოდით მე და დედაჩემი, ძალზე მანებივრებდნენ, ზომიერების ფარგლებში მეარშიყებოდნენ და, ჰოდა მეტი რა მოეთხოვება მაღალ საზოგადოებას? მე კი მგონია, არასოდეს მომბეზრდება, თუკი ზომიერად დავკარგავ დროს გართობისათვის.

მაგრამ ასევე დარწმუნებული ვარ, აქ რომ დავრჩენილიყავით, არც მაშინ მოვიწყენდი. ფერწერა ხომ მხსნელია ჩემი, მას მუდამ შეუძლია ერთიანად შთანმთქას. რაღა თქმა უნდა, ამის გამოც არის უკეთესი მოსკოვში ყოფნა! ჩემს საყვარელ სკოლაში, გინდა თუ არ გინდა, მოვალეობის გამო აუცილებლად უნდა მიხვიდე. შინ კი როცა მომესურვება მაშინ ვხატავ, მიმძიმს საკუთარი თავი ვაიძულო. მაგრამ თუკი დავიწყე საღებავების შეზავება, ყველაფერი მავიწყდება. მხატვრობა რომ არ არსებობდეს ამქვეყნად, რა უნდა გამეკეთებინა, რაზე უნდა მეფიქრა?

\* არაზუსტი ციტატა ალ. პუშკინის „ევგენი ონეგინი“-დან, თავი VIII, X სტროფი.



6 ივნისი. შაბათი

ამ დღეებში ისევ გადავწყვიტეთ მოსკოვს არ გავემგზავროთ, რადგან პატარებს აშკარად ვნებს, ხოლო მეტად საეჭვოა ის სარგებელი, რაც მოსკოვში ცხოვრებას მოაქვს ილიასათვის; ამიტომაც ამბობს დედა, მოსკოვში ყოფნის სიკეთე და მონიჭებული სიამოვნება ვერ გადასწონის უსიყვარულო შედეგებსო. ამგვარად, საკითხი გადასაწყვეტად მე მომანდეს, რადგან მამამთქვა: მხოლოდ იმიტომ თუ წავალ, ვინმეს რომ ვასიამოვნო, დედამ კი განაცხადა — ჩემთვის სულერთიაო. მე კი საკუთარი სიამოვნებისათვის ყველანი რად უნდა გამეწირა? მალე კარგი სანახავი იქნება ჩემთვის: აგერ მამას მოუწყენია, იქ კიდევ მაშას რყვნიან სხვადასხვა საბავშვო საღამოებზე, ლელიას გიმნაზიაში ენებიც ავიწყდება და მუსიკაც, პაწიებს ფერ-ხორცი ეკარგებათ და ეს ყოველივე ჩემ გამო ხდება.

ასეც ვუთხარი მამას, ჩემი სკოლა ძალიან მენანება-მეთქი, მიპასუხა, შევეცდები ჯერ რომელიმე მხატვარი გადმოვიბირო, შემდეგ კი მაღალი საზოგადოებაცო, მე ასე მგონია, ბევრჯერ დამწყდება გული და ძალიან მომინდება მოვირთო, მოვიკაზმო და თავდავიწყებამდე ვიცეკვო.

6 ივნისი

დღეს არ დამიკრავს, რადგან მამა შეუძლოდ არის. არც არაფერი დამიხატავს, ისე, ღმერთმა უწყის, რატომ. ეჭიმმა თქვა: ალიოშას ფილტვების ანთება სულაც არა აქვს, უბრალოდ ციება აწუხებს, ისევე როგორც დედასა და მამას.

დედაჩემზე დღეს დიდხანს ვფიქრობდი, როგორ უჭირს: დღედაღამ ალიოშას უნდა მოუაროს, მამასაც. ალიოშა წამითაც არ აძინებს, თანაც თვითონაც ავად არის. ასე მგონია, მის ადგილზე რომ ვიყო, ჩავწვებოდი ლოგინში და კარს არავის გავუღებდი.

24 ივნისი. ხუთშაბათი

მამა მოსკოვშია. არნაუტოვკას ყიდულობს. ერთხელ უკვე იყო, მაგრამ არნაუტოვმა უცებ მეტისმეტად ძვირად დააფასა სახლი და მამა უკან დაბრუნდა.

28 ივნისი. ორშაბათი

მამა ჩამოვიდა მოსკოვიდან, — იქ ავად ყოფილა, მაგრამ არნაუტოვის სახლი უყიდია და თურმე მშენებლობაც დაუწყია.

...საღამოს დედა და მამა სასეირნოდ წავიდნენ. ძალიან ამიჩუყდა გული. როცა მობრუნდნენ, მამას შევთავაზე, რაიმე ვიცეკვოთ-მეთქი. სერიოჟა ფორტეპიანოს მიუჯდა და ჩვენ მაზურკა ვიცეკვეთ.



12 ივნისი. ორშაბათი



მამამ ისე მიძაგა დეიდა ტანიას პორტრეტი, რომ ხელები წამერთვა. დეიდა ტანიამაც მითხრა, პოზირების გუნება წამიხდაო. მე კი რარფე<sup>1</sup> მესუარს<sup>1</sup> როცა მასთან ვზივარ და ვხატავ. ვსხედვართ, მე ვხატავ, თანხ<sup>1</sup> მესუარს<sup>1</sup> ბავშვებზე, მათ აღზრდაზე, ქალთა საკითხებზე, — ახლა რომ ძალიან გაიტაცა დეიდაჩემი, მხატვრობაზე, მხატვრებზე...

თუ მოვკვდი, ჯერ ერთი, პატიებას ვთხოვ უკლებლივ ყველას, განსაკუთრებით კი დედას, ვისაც ყველაზე მეტად ვატკინე გული.

ამაზე იშვიათად ვფიქრობ, მაგრამ როცა კი ვფიქრობ, მრცხვენია, რომ ისე ვცხოვრობდი, ვერავის ვარგე და ვერც ვასიამოვნე, უსიამოვნებანი კი მრავლად ვარგუნე წილად. ეს აღზრდის ბრალი როდია, უბრალოდ, ასეთი დავიბადე, სხვა მეტად დაუგდებდა ყურს მამის ნათქვამს, მე კი ისე მიმიძიმს, თუმცა მუდამ ვიზიარებ მის აზრებს და ზოგჯერ მინდა უსიტყვოდაც შევასრულო. აღფრთოვანებულიც კი ვფიქრობ, რა კარგი იქნებოდა-მეთქი, მაგრამ უცებ რომელიმე კაბისა ან ბაფთის გამო ყველაფერი ინგრევა.

მე ჩინებულად აღმზარდეს ანუ თავისუფლებას სწორედ იმდენს მაძლევდნენ, რამდენიც საჭირო იყო, ზომიერად მათვინიერებდნენ. ახლა სავსებით ჩემს ნებაზე მიმიშვეს და ხშირად ვცდილობ უკეთესი გავხდე, მაგრამ ფრიად სუსტი ნებისყოფის პატრონი გახლავართ და თუმცა კი ვიცი, რომ ეს ცუდია, მაინც ათასგვარ შეცდომას ჩავდივარ ხოლმე და ეს არცთუ იშვიათად მემართება. ყველაზე უფრო ის მტანჯავს, დუნიაშას რომ ვუბრაზდები, მაგრამ ამ ბოლო დროს უფრო იშვიათად, რადგან შევეცადე თავი მის ადგილას წარმომედგინა. ასეთი უბრალო აზრი ადრე არასოდეს მომსვლია თავში. რაოდენ გულისამრევი ამბავია, რა საზიზღრობაა, რომ მე, ჩვიდმეტი წლის გოგონას, ღმერთმა უწყის რატომ, უკან უნდა დამდეგდეს ოცდათხუთმეტი წლის ქალი და აღასრულებდეს ყველა ჩემს ჭირვეულობას მხოლოდ იმიტომ, რომ ფულს უხდიან, მაშინ როცა ამ ფულზეც არავითარი უფლება არ გამაჩნია.

20 აგვისტო. ორშაბათი

ახლა ჩემს ოთახში big<sup>1</sup> მაშას სძინავს. მანია რომ გაემგზავრა, მეორე დღეს ილუშა მიძიმე ავად შეიქნა. ექიმი მოიყვანეს და ტიფი აქვსო, თქვა. მალე, აივნის ოთახში აიყვანეს. ღრძილები დამისივდა და მამამ მიმკურნალა. ძმრიან, მარილიან და სპირტგარეულ ქატოიან ცხელ საფენებს მადებდა, რამაც ძალიან მიშველა.

ერთხელ ვწევარ ილუშას ოთახში, საშინელი ტკივილი მაწუხებს. ილიას სიცხე აქვს და ისიც კვნესის. უცებ მამა შემოვიდა, როგორ ხართო — გვკითხა. „ღმერთმანი, სასაცილოა“, — დასძინა მან და უცებ სამთავენი ისე ავხარხარდით, რომ მამა ჩაჯდა და სიცილისაგან ლამის იატაკზე დავარდა. მე კი არ მახსოვს ოდესმე თუ მიცინია ასე გულიანად, ილიამაც ასევე თქვა.

ამ დღეებში მამამ და დედამ იჩხუბეს რაღაც წვრილმანების გამო; დედამ უსაყვედურა მამას, სულ არ მეხმარებო და ა. შ. ეს ამბავი იმით დასრულდა,

<sup>1</sup> დიდი (ინგლ.).



რომ მამამ კაბინეტში გაათია ღამე, აქაოდა, დედა ძილს არ მანებებსო. იგი ხომ წარამარა წამოდგებოდა ხოლმე, ილიასათვის რომ დაეხედა. მაგრამ მეორე დღეს ისევ შერიგდნენ.

ღელიამ მითხრა, მოულოდნელად კაბინეტში შევედი და ვხედავ ორივენი ტირიანო. ახლა ისინი ერთმანეთს ისეთი სინაზითა და ალერსით ეპყრობიან, რომ დიდი ხანია ასე არ ყოფილან. მამა შეჰპირდა სარჯახო საქმეებში უფრო მეტად ჩავერევი და გიჩვენებთ ვინცა ვარო. დედასაც ეს უნდოდა.

**81 აგვისტო. ოთხშაბათი**

დეიდასთან ყავას ვსვამდი და თან მის სურათს ვხატავდი. თავიდან დავიწყე, თითქმის კარგი ნამუშევარი გამოდის. მამაჩემი სულ მაქებს და მაქებს და სულ მიწონებს.

**12 სექტემბერი. კვირადღე. მეხუთე საათი**

მამამ ერთხელ, დიდი ხნის წინათ, მითხრა: „როცა ჩხუბობ, შეეცადე ყველაფერში თავი დაიდანაშაულო და ისე ჩათვალო, რომ მხოლოდ შენა ხარ დამნაშავე“. ვცადე და გაცილებით ბედნიერად ვიგრძენი თავი, ვიდრე მაშინ ვიგრძნობდი, მართალი რომ ვყოფილიყავი.

ამ ცოტა ხნის წინ სალამო ხანს მამა დედასა და დეიდა ტანიას ეკამათებოდა და ძალიან კარგად ეუბნებოდა, როგორ ცხოვრებას მიიჩნევს იგი კარგ ცხოვრებად, როგორ უშლის ხელს სიმდიდრე, იყოს კარგი ადამიანი. დედა დასაძინებლად გვერეკებოდა და მე, მანია და დეიდა ტანია უკვე წასვლას ვაპირებდით, მაგრამ მამამ არ გაგვიშვა, ჩვენც გავჩერდით და თითქმის მთელი საათი ვილაპარაკეთ. მამა ამბობს, ჩვენი ცხოვრება უმეტესწილად იმაზე ზრუნვას მიაქვს, რომ ვცდილობთ ფიფი დოლგორუკაიას დავემსგავსოთ და რომ ყველაზე საუკეთესო გრძნობებს რომელიმე კაბას ვწირავთო. ვუთხარი, ყველაფერში გეთანხმები, გონებით ყოველივე მესმის, მაგრამ მაშინ, როცა სული ჩემი სავსებით გულგრილი რჩება ყოველივე კარგის მიმართ, სამაგიეროდ თრთოლა ამიტანს ხოლმე, როცა ახალ კაბას ან შლაპას შემპირდებიან-მეთქი. მამამ მითხრა: „მაშინ ჩაიცვი ისეთი კაბები, როგორც გსურს, შოპენჰაუერის მაშიები (შუმახერს ეძახის ასე), ეკეკლუცე კოლია კისლინსკის და ა. შ. მაგრამ პრინციპი, რომელსაც ჩასწვდი და თავში გიტრიალებს, მაინც გაიტანს თავისას“.

კიდევ ბევრი რამ მქონდა შესაკითხი, მაგრამ ცრემლი მომადგა და ვერ შევძელი. არადა, სატირალი არაფერიც არ იყო, ხომ მართალია? ალბათ ის თუ მატირებდა, რომ მეგონა ისეთი წყალწაღებული, სულმდაბალი ადამიანი ვარ, ჩემი გამოსწორება წარმოუდგენელია-მეთქი.

**13 სექტემბერი. ორშაბათი. დაახლოებით დილის ათი საათი**

მამა მართალს ამბობს: როცა ქალიშვილი ახალგაზრდა კაცს ხედავს, ანდა პირიქით, თავისდა უნებლიეთ ყოველთვის იმას ფიქრობს: „ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს არის „ის ქალი“ ანდა „ის კაცი““.



17 სექტემბერი. დაახლოებით საღამოს ათი საათი

ეს-ეს არის მოვედი სამოახლო ოთახიდან, სადაც დედაჩემის ~~ღლეობას~~ იხდიან. მსახურებს ვუყიდეთ გარმონი და ხორაგეული. ისეთი ცეკვა-თამაში გააჩაღეს, რომ მათმა ცეკვამ აღმაფრთოვანა. მეძროხე არინა ჩინებულად ცეკვავს, — ისე ნარნარად გაივლის, შემდეგ შეჩერდება, მხრებს გაშლის ცოცხლად შემობრუნდება და ისევ დაუვლის. ძალიან მინდოდა ავყოლოდი, მაგრამ უგერგილოდ გამომივიდოდა და იგრძნობდნენ ამას. ძალიანაც ლამაზია ვალსი და მაზურკა, მაგრამ ამ ცეკვას ვერაფერი შეედრება, უფრო მკვირცხლია და უფრო ლამაზი, პირდაპირ სულიდან გადმოიჩქეფს. რაც მთავარია, უფრო ორიგინალურია, — თვითეული ადამიანი თავისი ცეკვით თავის ხასიათს ავლენს; რა კარგია, რომ ამის სწავლება არ შეიძლება, რომ თვითეულს თავისი განსაკუთრებული მანერა აქვს.

23 სექტემბერი. ხუთშაბათი. საღამოს ათი საათი

დავბრუნდი ნადირობიდან. მამა, ლელია და მე ვიყავით მეძებრებითურთ, შორს წავედით, იასენკას გაღმა. ორი კურდღლის დევნით სული ამოგვევარდა. ერთი მამამ იგუმანა, სამივენი მივედით და ვნახეთ როგორ იწვა. რარიგ გავიხარეთ! მე ვერც ერთი ვერ გამოვრეკე, ორი ხელიდან გაგვისხლტა. ორი გაგვექცა. ისეთი აღტაცებული ვიყავი, სანადიროდ რომ წამომიყვანეს, ტუჩებს ველარ ვუყრიდი თავს და სიამოვნებისაგან ყურებამდე მეხეოდა პირი. თორმეტ საათზე გავემგზავრეთ და საღამოს რვა საათზე მოვბრუნდით უკან. დაღლას სულაც ვერ ვგრძნობდი.

მამა ორშაბათს ჩამოვიდა ლელკასთან ერთად. პოლივანოვმა ურჩია, მესამე კლასში დავტოვოთო, მაგრამ მამამ ამჯობინა გიმნაზიიდან წამოეყვანა ვაჟი-შვილი და შინ ესწავლებინა. დედა პირველად ფრიად უკმაყოფილო იყო, მაგრამ ახლა შეურიგდა ყოველივეს. ძალიან მესიამოვნა მამაჩემის დანახვა. ასეთი საყვარელი და გულისამაჩუყებელი ადამიანი მოსკოვში სკამებსა და ეტლებს ყიდულობს. კიდევ იმიტომ გამიხარდა მისი ჩამოსვლა, რომ მუდამ მომაგონებს ხოლმე, რა არის კარგი და რა არის ცუდი: ანუ მარტო კი არ მომაგონებს, არამედ როცა მის გვერდით ვარ, ნათლად ვგრძნობ, რისთვის უნდა იფიქროს და იწუხოს კაცმა და რისთვის — არა, რა არის მნიშვნელოვანი ცხოვრებაში და რა წვრილმანი.

არ მახსოვს რაზე ჩამოვარდა ეს საუბარი, მაგრამ სიტყვამ მოიტანა და სიკვდილი ახსენეს. მამამ თქვა: სამყარო მდინარეაო: ადამიანები იბადებიან, მერე სხვებს ბადებენ, კვდებიან და რომ ყოველივე მდინარის დინებას ჰგავს, ხოლო მდინარებას მიჰყვება კარგი თუ უსულგულო, კეთილი თუ ბოროტი, ყველანაირი ადამიანის სახება და ჩვენი მიზანი ის არის, რომ ამ მდინარეზე ისეთი ნაყში დავტოვოთ, როგორიც გვინდა.

მამა ალბათ ორშაბათს გაბრუნდება უკან, ჩვენ კი მომავალ ორშაბათს გავემგზავრებით.



10 ოქტომბერი. კვირადღე

აი, უკვე სამი დღეა მოსკოვში ვართ. ბოლო ხანს იასნაიში მომეწყინა და თუმცა ბევრს ვტრაბახობ, არასოდეს მწყინდება-მეთქი, მათეც საღებავების, ფორტეპიანოს, წიგნების გარეშე, თან კბილიც გასრებულს მქონდა, უსაქმოდ ვიყავი და ამის გამო საბაგელ გუნებაზე დავდექი.

არნაუტოვკაში საღამოს ჩავედით, სადარბაზოში შესასვლელი განათებული იყო, დარბაზიც, სადილისათვის სუფრა გაეშალათ, მაგიდაზე ლარნაკში ხილი ეწყობო: ერთი სიტყვით, პირველი შთაბეჭდილება დიდებული იყო, ყველგან სინათლე და სიხალვათეა, ჩანს, მამამ წინასწარ გაიზრა, რაც შეიძლებოდა უკეთ მოეწყობო ყველაფერი, და მან ეს შეძლო. გული ამიჩუყა მისმა მზრუნველობამ და ეს მით უფრო სასიამოვნო იყო, რომ მის საქციელს არ ჰგავდა. ჩვენი სახლი შესანიშნავია, ვერავითარ ნაკლს ვერ უპოვი, ყურადღების მიქცევად რომ ღირდეს; ხოლო ჩემი ოთახი და ბაღი ხომ — ენა ვერ იტყვის ისეთია!

ერთი რამ მიხარია; ვგრძნობ, აღარაფრად მივიჩნევ თუ სხვებზე ცუდად მეცმევა, თუ ჩემი ცხენები სხვებისნაირი არ იქნება, და საერთოდ ცხოვრების გარეგნული მხარის გამო აღარ შემრცხვება, როგორც შარშან მრცხვენოდა. იმიტომ კი არა, რომ ამ წელიწადს უკეთ წავა საქმე, არამედ უბრალოდ, ისე, ვიგრძენი, რომ ცხოვრებაში ეს არ არის მთავარი, და როგორც მამა ამბობს, ქონებაა სირცხვილი, თორემ არქონა სირცხვილი არ არისო.

2 ნოემბერი. სამშაბათი

ისევ ისეთსავე საზიზღარ გუნებაზე ვარ, იგივე სიავისა და უკმაყოფილების გრძნობა დამეუფლა, ასე ხშირად რომ მაწვალებს და დაძლევა მიჭირს. დღეს დილით კი საოცარ ნეტარებას ვგრძნობდი, სურათების ნახვამ მომანიჭა ეს ნეტარება. ეს არის Liezen Menets ნახატები გოეთეს ფაუსტისათვის. ისეთმა აღტყინებამ მომიცვა, რომ შინისაკენ მიმავალს სიამოვნებისაგან მთელი გზა მეღიმებოდა. იქვე იყო ძალზე ცნობილი რუსული რომანების გმირთა სურათებიც, მაგრამ არც ისე კარგად დახატული — იქ იყო ლიზა, ტატიანა, ნატაშა, ვერა „უფსკრულიდან“, მატრონა „მონადირის ჩანაწერებიდან“ და ვერა „ჩვენი დროის გმირიდან“. ეს უკანასკნელი შავი ფანქრით არის დახატული ანდრიოლის მიერ, ფაუსტი კი ნახშირით არის დახატული და თანაც რა კარგად! რაოდენ თამამად, მტკიცედ და თან როგორ რბილად! აი, რატომ მინდა ბევრი ფული მქონდეს — თუ თვითონ სურათებს ვერ ვიყიდი, ფოტოგრაფიები მაინც შევიძინო.

ჩვენი სკოლა გასულ ორშაბათს დაიწყო. ადგილი ვერ ვიპოვეთ და ალექსანდრ ზახაროვიჩმა მითხრა, მენატურეს თუ იპოვით, გასასვლელში შეიძლება დავსვათო. მაშინ მამა წავიდა და სამიკიტნოში საკმაოდ საინტერესო მენატურე იპოვა, რომელსაც ახლა „კუპეში“ ვხატავთ. ჩვენ სულ ვცდილობთ საღამოს კლასები მოვაწყუთ, მაგრამ არ გამოდის. სურიკოვი შეგვპირდა, მაგრამ უარი გვითხრა მერე, ახლა პრიანიშნიკოვის მოწვევა გვინდა, — კარგი კი იქნებოდა! დღეს დედამ ძია პეტრისათვის ტურგენევისაგან მიიღო მოთხრობა „მწყერი“, რომელსაც ძია პეტია მამაჩემის მოთხრობებთან ერთად აქვეყნებს.



17 დეკემბერი. პარასკევი. დღის 2 საათი

დღეს ჩემი ეტიუდის საქმე წინ წავიდა და პრიანიშნიკოვმა ცოტა შემისწორა. რაღაცნაირად გულგრილი გავხდი მხატვრობისადმი და ეს მაწუხებს ისე კი მეტნაკლებად ნეტავ რის მიმართ არა ვარ გულგრილი?

უკონუსული  
გინგლიფოსეპა

20 დეკემბერი. ოთხშაბათი. ხალამოს 11 საათი

არა, მოსკოვში მთლად გავფუჭდი — თუმცა ბევრი კარგი თვისება არასოდეს მქონია, მაგრამ ვგრძნობ, რომ ის მცირედიც გამიქრა. რაღა შემრჩა? — ცეკვები, მიღების დღეები, ჩაცმა-დახურვა, ყველასთან კეკლუცობა, ვისაც არ შეეხვდები; ჩემი უბედური ფუნჯები და პალიტრაც კი უხმარად ყრია, თუმცა პრიანიშნიკოვმა ძალზე კარგი „Natur morte“ დამიდგა. მაგრამ ამ სიზარმაცემ თავი მომაბეზრა — ვუბრძანე, ხვალ ადრე გამალვიძეთ-მეთქი, სტუმრების მიღებამდე ვხატავ.

დღესასწაულამდე სკოლაში გამოცდა ჩატარდა და მეორე ნომერი მივიღე გოგონას ეტიუდის გამო — კარგი ეტიუდი გამოვიდა და მამას ძალიან მოეწონა. მე რომ ბევრს ვმუშაობდე, შევძლებდი კარგად ხატვას და წერას, ღმერთს ნიჭი არ დაუმაღლებია ჩემთვის.

ამ დღეებში მე და დედამ ვიჩხუბეთ და როგორც ყოველთვის, ბავშვების გამო... ღმერთო ჩემო, რა საშინელი ხასიათი მაქვს. რაც მთავარია, ძნელი ის არის, რომ მარტომ უნდა გამოვისწორო თავი. მხოლოდ მამა მეხმარება და ისიც ცოტას.

1883.

20 აპრილი. პარასკევი

ხვალ იასნაიაში მივემგზავრებით. არ მიხარია — ამის წარმოდგენაც არ შემიძლია. ვგრძნობ, უფრო იმიტომ არ მინდა წასვლა, რომ აქ რჩება ყველა ჩემი ნაცნობი და მთელი ზაფხული ვერც ვერავის ვნახავ და ვერც ვერაფერს გავიგებ ვინმეზე. მთავარი მიზეზი ეს არის.

2 მაისი. ორშაბათი. იასნაია პოლიანა

იასნაიაში ვართ. ძალზე ბედნიერი და კმაყოფილი ვარ. მამა და დედა დღეს საღამოს „pas de geants“-ზე დარბოდნენ. ჯერ კიდევ რა ძლიერია მამა. ვერც ილია და ვერც სერიოჟა ვერ აჯობებენ.

ჩაის სმის დროს თავის შვილებს ახასიათებდა და გვეუბნებოდა ყველანი სულელები ხართო, ანუ არც ერთ თქვენგანს არა გაქვთ არც სულიერი და არც გონებრივი ინტერესები, რითაც ცოცხლობს ადამიანიო, თქვენთან შედარებით ლელიას უფრო მეტი ინტერესი აქვსო. მამაჩემის აზრით: თუმცა სულელები ვართ, მაგრამ მაინც გონებით საშუალო დონეზე მაღლა ვდგავართ.

დღეს მამა აქებდა რეპინის „შეშლილს“ და მეც ასე მგონია, შესანიშნავი რამ არის. რა ბუნებრივია, ცოცხალი და მართალი! მერე როგორ არის შესრულებული! რეპინი ოსტატიც არის და მხატვარიც.



81 ივლისი. კვირა

ამ ცოტა ხნის წინ ყველანი: ანუ მამა, ვერა და მაშა კუზმინსკები, ჩვენი მაშა, დეიდა ტანია, კოლია კისლინსკი, Helène და მე სალამო ხანს აივანზე გავედით, იატაკზე დავსხედით და მსჯელობა დავიწყეთ. მამამ შემოგვთავაზა, თვითუღს მოგვეთხრო ცხოვრებაში გადახდენილი ყველაზე ბედნიერი, ყველაზე უბედური და ყველაზე საშიში წუთები. ზოგმა გვითხრა, ვერ ვიხსენებო, უმრავლესობას კი არ უნდოდა თქმა. დავასკვენი, ალბათ საქმე სიყვარულს ეხება-მეთქი, მაგრამ არასოდეს განმიცდია სიყვარულისაგან არც დიდი ბედნიერებისა და არც ჭეშმარიტი უბედურების წუთები.

შემდეგ სიყვარულზე ვიმსჯელებთ, — მამამ იკითხა: რა უფრო სასიამოვნოა, შენ რომ გიყვარდეს, თუ შენ რომ უყვარდეთ? მხოლოდ მან და ვერამ თქვეს უფრო სასიამოვნოა, როცა შენ გიყვარსო, — დანარჩენებმა კი განვაცხადეთ, როცა უყვარხარ ვინმეს, ეს უფრო სასიამოვნოა-თქო. იმ სალამოს ბევრი ვიფილოსოფოსეთ და ძალიან სასიამოვნო იყო.

გუშინ მამამ გვითხრა, ერთი შედარება მომაფიქრდაო. აი, მაგალითად, მე გადავყლაპე ბუზი და ვფიქრობ: ნაწილი ჩემი სხეულის გამოსაკვებად გამოდგება, უვარგისი კი — გარეთ გამოვაო. ჩვენც იმ გადაყლაპული ბუზივით დედამიწაზე სარგებლობა უნდა მოვიტანოთ — მერე კი გადაგვაგდებენ, როცა დავიხოცებით და მხოლოდ ის დარჩება, რაც რამ კარგი გავვიკეთებიაო.

სამარადან მამა ჯანმრთელი, დასვენებული, მხიარული დაბრუნდა და ისევ დაგვიახლოვდა. მაშა და ჩვენ ნათიბს ვაგროვებდით, უფრო სწორად, ის თიბავდა, ჩვენ კი გავშლიდით და შემდეგ ვაბულულებდით. მთელი დღეობით თიბავდა, ჩვენ სადილი მიგვჭონდა, რამდენიმე ურემი თივა ავიღეთ. ერთი ქვრივი დედაკაცისათვის გავისარჯეთ. ამ ცოტა ხნის წინ ქმარი მოუკვდა და ვისლა უნდა ემუშავა.

ერთხელ ყველანი საბანაოდან ვბრუნდებოდით. გოგონები და მამა წინ გავიქეციით, ხრამში დავიმალენით და როცა დედამ, დეიდამ და სტრახოვმა ჩამოიარეს, მამა მათ შესაშინებლად მგელივით აყბუვლდა, მაგრამ ყველაფერი იმან გააფუჭა, რომ მეტიმეტად ხმამაღლა გამოუვიდა ნათქვამი: „ყველამ იყვირეთ!“ ავყვირდით, მაგრამ აღარავის შეშინებია.

ამას წინათ, როცა კოლია ჩვენსა იყო, მეჯლისი გავმართეთ და კოტილიონისთვის ბაფთები დავაკერეთ. ყველანი ცეკვავდნენ, დედა, მამაც და ცოლ-ქმარი კუზმინსკებიც კი.

1 აგვისტო. ორშაბათი

პიროგოვოში ვიყავით. ეტლს მამა მართავდა, მეეტლე არ წაგვიყვანია და ძალიან მხიარულად გავატარეთ დრო. მამა ათასგვარ სისულელეს მღეროდა:

„დათესეს ბარდა,  
მოთიბეს მთელი ბალახი,  
სე ტრე კოლი,  
სე ტრე კოლი,  
კომან ვუ პორტე ვუ!“

\* ძალზე სასიამოვნოა, ხომ ჯანმრთელად ბრძანდებით? (ფრანგ.).



4 აგვისტო. ხუთშაბათი

მამა ამბობს, რომ თვითეული ადამიანი წილადა: მისი ღირსება წილა-  
დის მრიცხველია, ხოლო რასაც თავის თავზე ფიქრობს — მნიშვნელი.

უკონუსული  
გინგლიქოსეკა

6 აგვისტო. შაბათი

გუშინ დედა ჩამოვიდა. Helène, მამა და მე დასახვედრად წავედით. ძალ-  
ზე მხიარული გასეირნება გამოვიდა. მე და Helène მამაჩემის ჯოხს ვისრო-  
დით, ისე, რომ იგი რამდენჯერმე გადაბრუნებულიყო პაერში და თან ხმამალ-  
ლა ვიცინოდით. რატომ ხდება, რომ მამასთან ერთად მუდამ მხიარულად ვარ,  
თანაც მე და მას არავითარი პირდაპირი ურთიერთობა არა გვაქვს? ძალიან,  
ძალიან მწყდება გული, რომ მამა ცოტას მელაპარაკება, რადგანაც როცა მას-  
თან ვსაუბრობ, მაშინვე ცხადი ხდება, ცხოვრებაში რა არის კარგი და რა  
ცუდი, რა არის მნიშვნელოვანი და რა — უმნიშვნელი.

სალამოს მეგობრებზე ვისაუბრეთ. ილიამ თქვა, ჩემი საუკეთესო მეგო-  
ბარი ბოიანუსია, თუ მამას არ ჩავთვლით, ჩემი პირველი მეგობარი კი მა-  
მამა, შემდეგ — დეიდა ტანია, შემდეგ — ვერა ტოლსტაია.

23 სექტემბერი. პარასკევი

ხვალ მოსკოვში მივემგზავრებით. მიხარია. ყვავილების შესანიშნავი თაი-  
გული დავკრიფე. ჩავუტან ვარ. ივ. მასლოვას. მამა ჯერ ისევ გუშინ გაემგზავ-  
რა, ვნახავ, ბიჭების გაკვეთილების საქმე როგორ მიდისო.

ბოლო ხანში ხშირად ვსაუბრობდით და მუდამ ვეთანხმებოდით. მიკვირს,  
როცა ეკამათებიან. ჩემის აზრით, როცა მამა ლაპარაკობს, ყველაფერი ისე ნა-  
თელია, ისე გონიერული და ლოგიკური, რომ შეუძლებელია არ დაეთანხმო.  
ყოველივე რაც კარგია ჩემში, მისი დამსახურებაა, და ყოველთვის, როცა მეს-  
მის სხვა ვინმე კარგად და ჭკვიანურად ლაპარაკობს, მგონია, ყოველივე ეს  
მამაჩემისაგან აქვს გაგონილი და ახლა მის სიტყვებს იმეორებს-მეთქი. დღემ-  
დე მამა ჩემთვის ერთადერთი ადამიანია, ვისიც მუდამ მჯერა და მუდამ დავე-  
მორჩილებოდით, რომ ებრძანებინა. მან ეს არ იცის, თორემ უფრო მეტად და-  
მეხმარებოდა ცხოვრებაში. და თუ ისე არ ვცხოვრობ, როგორც თვითონ ისურ-  
ვებდა და მოიწონებდა, იმიტომ, რომ მარტოვას არ შემოძლია საკუთარ სა-  
დაგელ სურვილებს გავუმკლავდე.

1884

2 ივლისი. ორშაბათი. იასნაია პოლიანა

მოსკოვიდან რაც ჩამოვედი, დღიური აღარ დამიწერია და ძალიან ვწუხ-  
ვარ, რადგან რაც უნდა ფუჭი იყოს აქ ჩემი ცხოვრება, მაინც უფრო სავსეა  
და ნაკლებ სამარცხვინო, ვინემ მოსკოვში.

ყოველ სალამოს ვიკრიბებით და თვითეული ვცვებით, როგორ გავატარეთ  
დღე, მამაჩემიდან დაწყებული, ვინც კი ამას მოისურვებს! ქალიშვილებს ძა-  
ლიან უგერგილოდ გამოგვდის, — მაგალითად, ავდექი თერთმეტ საათზე, ჩა-  
ვიცვი, ვისაუბრე, ვიბანავე, მოვემზადე სადილისათვის, ვისადილე და ა. შ. ამას



კიდევ რა უჭირს, თუ დღის განმავლობაში ვინმეს არ წაეკიდე. მამა თითქმის მთელი დღე სათიბშია და ზოგჯერ ვეხმარებით თივის აბულულებასა და აღებაში, მაგრამ ეს ისე ძნელია შეუჩვეველი კაცისათვის, რომ მეოთხედი დღე რომ იმუშაო, ორი დღე მაინც უნდა დაისვენო.

ეჩქუნული  
გინგლირთუკა

28 ნოემბერი. მოსკოვი. ხამოვნიკი

მალლა ვიყავი, სადაც ძალიან საინტერესო საუბარი გვქონდა, უფრო სწორად კამათი ბავშვების აღზრდის საკითხზე. მუდამ ძალზე მაინტერესებს და მაღელვებს ამ თემაზე საუბარი. ყოველთვის მეჩვენება, რომ ყველანი მეტი-მეტად იოლად და ზედაპირულად უყურებენ ამ პრობლემას. განსაკუთრებით დედა: ოღონდ მისი შვილები ფიზიკურად იყვნენ კარგად მოვლილნი, სხვა არა უნდა — მათი სული მისთვის მუდამ უკანა რიგში დგას. ამ შემთხვევაში სავსებით ვეთანხმები მამას, — ისევე როგორც მუდამ და ყველაფერში. იგი ამბობს, ყველაფერი იმ ადამიანის მაგალითზეა დამოკიდებული, ვინც გიყვარს, და რომ არაფერი არ არის ისე გადამდები, როგორც ბოროტება. ხოლო როცა ადამიანი გაბრაზებულია, იმას არ ამბობს, რასაც ფიქრობს, ან უფრო სწორად, იმას არ ამბობს, რასაც ისურვებდა რომ ეთქვა. ამიტომაც ზემოქმედებას ვერ მოახდენს ბავშვზე, რომელიც უკვე ჰკარგავს თავისი მშობლებისადმი ყოველგვარ პატივისცემას. აქ მეტად გაფიცხდა და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ giffles-ის<sup>1</sup> გარდა აღზრდის სხვა ხერხი არ არსებობსო.

მამა დღეს შეუძლოდ არის, დედას ჰგონია, ეს იმიტომ მოხდა, რომ მამა თვითონ ანთებს ლუმელს და წყლის მოსატანად დაიარება, — იქნებ ასეც იყოს.

1886

26 მარტი. ოთხშაბათი. მოსკოვი

დღეს საღამოს მამამ მოწყალე თვალთ შემომხედა. ნასადილევს სამარინებთან წავედით წიგნებისათვის, პატარ-პატარა ჩერტკოვისეულ გამოცემებად, რომ გადავაკეთოთ. მიმიყვანა. ვკითხე, რაც მჭირდებოდა, დავჯექი ცოტა ხანს სონიასთან. ათიოდ წუთში მობრუნდა ჩემ წასაყვანად. ქუჩაში პატარებისათვის თაბაშირის ეკლესია ეყიდა, გუმბათში ჩაევლო ხელი და ისე მოჰქონდა. ვთხოვეთ, წინკარში მაინც შემოსულიყო, რომ გვეთქვა, სონიასთან დავრჩები-მეთქი საღამოს გასატარებლად. იგი კი ცოტა შემცბარი ჩანდა თავისი ეკლესიის გამო — რა კარგი, გულისამაჩუყებელი სანახავი იყო. მე სონიასთან დავრჩი.

4 აპრილი. პარასკევი

ეს-ეს არის სერპუხოვის საგუშაგომდე ეტლით გავაცილეთ მამა, კოლეჩკა და სტახოვიჩი — ისინი ფეხით წავიდნენ იასნაიაში. მშვენიერი ამინდია. ოღნავ ცრის, მაგრამ თითქმის ცხელა, ისინი მსუბუქად არიან ჩაცმულნი.

<sup>1</sup> სილაქი (აქ: სიმკაცრე) ფრანგ.).



ფულისთვის უნდა გადავწერო „მაშ რა ვქნათ?“ ვსწავლობ, ვკითხულობ კორექტურას, დროა ხელი მოვკიდო „«Чем люди живут?» ნახატებიან გამოცემას. ამიტომაც მივდივარ მამონტოვის სტამბაში.

გასულ კვირას უნივერსიტეტში „ივან ილიჩის სიკვდილი“ წაიკითხეს, მაგრამ ცუდად წაიკითხეს. მიუხედავად ამისა, მანდილოსნები ტრორტინის „ვმ“ კვირას წაიკითხავენ ლეგენდებს, „ნათლულს“ და ა. შ.

გუშინდელი საღამო ძალზე სასიამოვნოდ გავატარე ძია სერიოჟასთან — იყვნენ ლოპატინები, სუხოტინი და სხვები. მამამ მომაკითხა და ფეხით წამოვედი. ჩინებული მთვარიანი ღამე იყო და გული დამწყდა, ასე სწრაფად რომ მივედი შინ.

### 6 მისი. სამშაბათი

მამა და ფომინა უკვე იასნაიაში არიან. იქიდან იწერება: ხალხში ისეთი სიღარიბე და გაჭირვებაა, ასეთი რამ არავის ახსოვს — უკლებლივ ყველანი ჩივიან, უმეტესობა ულუკმაპუროდ არის, დასათესი ხორბალი არა აქვთ. მწერს, ტყუილად ფულს ნუ დახარჯავ და მანუქიდან ცხენებს ნუ გამოიყვანო, მე კი სწორედ წინა დღეს ცხენით სეირნობაზე და ბერეიტორზე რვა მანეთი დაუხარჯე. მეტს არ ვიზამ.

კოლეჩკა გე ჩამოვიდა და ახლა დედას წიგნების საქმე მოაკლდება — კოლეჩკა შეცვლის დედას. მთავარი სადავიდარაბო ახლა მე-12 ტომია, რომელიც სათითაოდ უნდა დაიგზავნოს მთელ რუსეთში. აქ მოთავსებული სახალხო მოთხრობები ბზობას წაიკითხეს და უფრო დიდი წარმატება ჰქონდა, ვინემ „ივან ილიჩის სიკვდილს“.

ყველაზე უფრო მიყვარს მისი „განა ადამიანს ბევრი მიწა სჭირდება“, ისეთი საოცარი რამ არის, მშვიდად ვერ ვკითხულობ, — ტირილი მინდა, ისე ლამაზია სიტყვა, აზრები თუ გრძნობები, ნაწარმოებიდან რომ გამოსტყვივის. და ამ ბოლო დროს მამაჩემზე იმდენს წერენ და ყვირიან — ვგონებ, ამაზე მეტი არასოდეს არავისზე არ დაწერილა. გაზეთისა თუ ჟურნალის ყოველ ნომერში უსათუოდ არის დაბეჭდილი მასზე სტატია. თვითონ კი წერს თავისთვის იასნაიაში და არავის არაფრად აგდება.

ამ დღეებში მასთან ორი ქალიშვილი ჩავიდა: ოზმიდოვა და დიდერიხსი. — მათი ჩასვლა სულაც არ გახარებია. ის ხომ უმთავრესად მნახველებს გამოექცა, რომლებმაც საშინლად მოაბეზრეს თავი. აქ რომ არის, დღე არ გავა, სამიოთხი კაცი არ მოვიდეს: ვინ ფულის სათხოვნელად, ვინ რჩევის საკითხავად, ვინ კიდევ უბრალოდ, რომ გაესაუბროს და მერე თქვას, ტოლსტოი ვნახეო. წერილებს ხომ ბოლო არ უჩანს — აქაც უმეტესად ფულსა და რჩევას სთხოვენ. მოდიან ლოთები თუ თმაგაჩეჩილი ნიჰილისტები, მღვდლები თუ მდიდარი ვაჭრები, ეკითხებიან, ამდენ ფულს რა ვუყოთო. ერთხელ ვიდაც ოფიცერი მოვიდა და ისე ქვითინებდა, თავის ამბავს რომ უყვებოდა, რომ მეზობელ ოთახში ყველანი შევშინდით. მამა კარგად ხვდება, ვისაც მართლა სჭირდება დახმარება თუ რჩევა, მაგრამ წერილებზე თითქმის არასოდეს აძლევს პასუხს, ორი მწერალი არ ეყოფოდა საამისოდ.



2 ივლისი. იასნაია პოლიანა

დღეს წვიმს, არ თიბავენ და ამიტომ თავისუფალი ვარ. უკვე ერთი კვირაა სათიბში დაედივარ და მიხარია, ეს რომ მოვიფიქრე. ავდგები შვიდზე, თან სადილი მიმაქვს (ზოგჯერ სხვებს მოაქვთ). რვა საათამდე არ ვბრუნდები. გლეხები და გლეხის ქალები ძალიან კარგები არიან, მხიარულნი: ადგილი საოცრად ლამაზია, — მიტროფანეს ქობიდან დაწყებული მდინარეს გასდევს ზასეკამდე. ორმოცდაათამდე ხელეური უკვე ავიღეთ. მარფასთან ვმუშაობ მუნჯის სათიბში. მხოლოდ ორი დღე გამოვტოვე: ერთხელ სერიოზულ დაბადების დღის გამო (23 წლისა შესრულდა) და მეორედ, როცა ძია საშა და მიშა ისლავინი გაემგზავრნენ. და ამ დღეებშიც მარფამ ჩემ ნაცვლად მუშახელი აიყვანა, თივა გუშინ გამოგვქონდა, მე სულ ვერ შევძელი ტვირთის მიწოდება — ძალზე ძნელი საქმეა, თან მეშინოდა, ძალა მიმტყუნებს-მეთქი.

დღეს ვფიქრობდი, იასნაიაში დარჩენა კარგი იქნებოდა-მეთქი. ენების შესწავლა მინდა, განსაკუთრებით ინგლისურის. ამჟამად miss Martha არის ჩვენთან და ვგონებ, საკმაოდ რიგიანი და განათლებული ქალიშვილია, — ერთად წავიკითხავდით, დამეხმარებოდა. ზოგჯერ კი მთლად შეუძლებლად მეჩვენება აქ ზამთრის გატარება, მეშინია მარტოობისა და დარდის, და რაც მარტოობაზე უარესია, — მეშინია ყველა უცნობი მნახველისა, ასე ხშირად რომ მოდიან მამასთან და რომელთაგან თავდახსნა მოსკოვში უფრო იოლია, ვიდრე აქ. ალბათ ბევრი მათგანი ძალზე საინტერესო და კარგი იყო. მაგრამ ჩვენს სახლში მოსულები განურჩევლად ყველას უგულვებელგვყოფდნენ, გარდა მამაჩემისა, რომელსაც ატყვევებენ, ჩაიგდებენ ხოლმე ხელში და გვართმევენ ყოველ საღამოს.

დღეა ისევ კორექტურას კითხულობს — იგი ცალკე აქვეყნებს მეცამეტე ტომს და მამაჩემის იაფფასიან თხზულებათა სრულ კრებულს.

4 აგვისტო. ორშაბათი

ჩვენთან ცხოვრობს პაპა გე და ბევრს ვსაუბრობთ ხოლმე, გამომკითხა რა მწამს ამქვეყნად. მასთან საუბრისას დავრწმუნდი, რომ არავითარი რელიგია არ გამაჩნია. მართლმადიდებელი სულაც არა ვარ, არც ტოლსტოველი, მაგრამ ადრე თუ ვფიქრობდი, საკმარისია მხოლოდ ვიცოდე რა არის კარგი და რა ცუდი, ახლა უკვე აღარ მაკმაყოფილებს; მაგალითად, მამა ამბობს, საკუთრების ქონა ცუდიაო, და ისე კარგად ამტკიცებს ამას, რომ ლოგიკური გეჩვენება, მაგრამ არ შემძლია ყოველივე ჭეშმარიტებად მივიჩნიო, რადგან მაშინ ახლავე უნდა განვაცხადო უარი ყოველგვარ საკუთრებაზე.

გე ამბობს, ვიცი, არაფერს ცუდს არ ჩაიდენო, მაგალითად, ქმარს არ მოატყუებ, კარგი დედა იქნებიო და ა. შ. მაგრამ ეს ცოტააო, საჭიროა საფუძველი, საიდანაც შენი ქცევები უნდა გამომდინარეობდესო. განა შეიძლება საფუძვლების გამოგონება? ალბათ საფუძველი უკვე არსებობს, რაკი ქცევები მისგან გამომდინარეობს. განა აუცილებელია მას სახელი უწოდო? ეს იგივეა ყვავილებს ვზრდიდე და ძირში მიწა ამოვუთხარო იმისათვის, რომ დავინახო როგორი ფორმის ფესვები აქვს და სახელი დავარქვა. ეს სავსებით უსარგებლოა და მხოლოდ ცნობისმოყვარეობა თუ ჩაგვადენინებს ამას. ცხოვრებაში



ბედნიერება მჭირდება — ჩემთვისაც და ირგვლივ მყოფთათვისაც, რაც უფრო მეტი იქნება ეს ბედნიერება, მით უკეთესია. ბედნიერება კი ცუდ ქცევებს როდი მოაქვს, რაც უფრო ზნეობრივად ვიცხოვრებ, უფრო ბედნიერი ვიქნები.

ქართული  
ბიბლიოთეკა

11 აგვისტო. ორშაბათი

უცნაური სიზმარი ვნახე. თითქოს ჩვენ ყველანი და კიდევ უამრავი სტუმარი სადღაც მინდორში ვსხედვართ და ჩაის ვსვამთ. უცებ მოდის მამა, სრულიად ჯანსაღი, ქურთუკი აცვია. ისეთი ტანთხელია, ვგონებ, ასეთი არასოდეს ყოფილა. ისე გამეხარდა, ჯანმრთელად რომ არის, ხელები დავუკოცნე, მან კიდევ თავზე მაკოცა. თითქოს ვგრძნობ, რომ უხერხულია სტუმრების თანდასწრებით ასეთი სინაზის გამომქლავება, მაგრამ გრძნობების ასეთ მოზღვაებას ვითომ ვერ ვუმკლავდებოდი და ვითომ არც მინდოდა თავის შეკავება.

ახლა მხოლოდ ის მინდა, მამა რაც შეიძლება სწრაფად გამოჯანსაღდეს, მას ფეხზე წითელი ქარი გაუჩნდა, მაღალი სიციხე აქვს და საბრალო ძალიან იტანჯება. მე თვალს ვადევნებდი ფეხზე სახვევს როგორ უცვლიდნენ: მერე ასევე უნდა შევუხვიოთ ფეხი ალიონა კოროლევენას, რომელსაც მასავით ქარები აწუხებს. დავრწმუნდი, რომ ცქერა გაცილებით საშინელია, ვიდრე ის, როცა თვითონ უხვევ. სულ იოლად წავუსვი ალიონას მაღამო და მერე შევუხვიე კიდევ ჭუჭყიანი ფეხი. სოფელში უამრავი სნეულია, რომელთა ფეხზე დაყენებას ვცდილობთ. ზოგიერთი გამოჯანსაღდა, მხოლოდ ერთი, სპირიდონოვის ბიჭუნა, მგონია, იღუპება. მთლად დასივდა, დიზინტერია აქვს.

ახლა მამას სძინავს და ამიტომ თავისუფალი ვარ. როცა გაიღვიძებს, წერილებს დავუწერ.

4 სექტემბერი. დილის 9 საათი

გავიღვიძე და მითხრეს, მამა უარესად არისო. ღამით სიციხემ 40°-მდე აუწია, ფეხი საშინლად სტკიოდა, მთელი ღამე კვნესაში გალია. ჩამოიყვანეს რუდნევი, თქვა რომ ეს ახალი წითელი ქარია და თუ ყველგან მოედო, ფეხს ლარაფერი ეშველებაო. საშინელეებაა — არ შემიძლია დავიჯერო.

გუშინ გე გაემგზავრა და სრულიად მარტონი დავრჩით — სამი ქალი და სერიოჟა, ვისგანაც დახმარებასა და ნუგეშს ცოტას უნდა ელოდე. ღამით რატომ არ დამიძახეს, ნუთუ ყოველთვის ყველაზე ბოლოს უნდა გავიგო ყველაფერი, რაც მამას ეხება, ისევე როგორც ყველაზე ბოლოს ვკითხულობ, რასაც დაწერს, წასაკითხად ყოველთვის ჯერ სხვებს აძლევენ, უცხოებს, აქაოდა, თითქოს მე „ყოველთვის მოვასწრებ წაკითხვას“. თუმცა ალბათ თვითონ ვარ დამნაშავე.

5 ოქტომბერი. იასნაია პოლიანა

მამა იმდენად უკეთესად არის, რომ ცალ ფეხზე ხტუნავს, აქეთ კიდევ რომელიმე ჩვენთაგანი ხელს შეაშველებს და დადის დარბაზიდან საძინებელში,



ანდა პირიქით. დრენაეი ჯერ არ ამოულიათ და ძალიან ცუდად სძინავს. თუმცა ეს რა გასაკვირია, როცა უმოძრაოდ და უჰაეროდ ადამიანს მუდამ ცუდად სძინავს.

დღეს ჩვენთან ერთი გერმანელი Otto Spier-ი იყო, რომელმაც მამას წაუკითხა მის მიერ გერმანულ ენაზე თარგმნილი „ივან ილიჩის“ მამამ მოეწონა.

ამ დღეებში ფეტი მოვიდა, ისეთი უწყინარი, გულმომბალი იყო. მამას და მას აღარ უკამათნიათ, მხოლოდ კარგად და საინტერესოდ საუბრობდნენ, და რაც მუდამ აუცილებელია საუბარში — პატივისცემითა და ყურადღებით ეკიდებოდნენ ერთმანეთის ნათქვამს.

ამ ბოლო ხანებში მამა უფრო დამყოლი შეიქნა და სიამოვნებით ემორჩილება ყოველგვარ ზრუნვასა და მკურნალობას. ამბობდა, ქალებმა ისე დამიმორჩილეს, რომ კოფთა მაცვიაო (დედამ შეუკერა). ქალივით ამბობდა: — შევექამე, დავლიე (Я пила, я ела).

სტახოვიჩიც არის ჩვენსა სტუმრად და ფეტებს ძალზე მოეწონათ. პარასკევს ყველანი დავიშალენით. სტახოვიჩი საქმის გამო წავიდა ორი დღით, — ხვალ დაბრუნდება. ფეტები პლიუშჩიხაზე გაემგზავრნენ, მე და დედა — პიროგოვოში. შინიდან იასენკამდე ყველამ ერთად ვიმგზავრეთ. იქ ლოდინი მოგვიხდა და ფეტი პუშკინის ლექსებს გვიკითხავდა «В последний раз твой образ милый дерзаю мысленно ласкать». და ბოლოს ისე აუჩუყდა გული, რომ ატირდა. პირველად მაშინ დავინახე იგი, როგორც პოეტი, დავინახე როგორ გრძნობს სილამაზეს და ტკბება. რა ძვირფასი თვისებაა ეს და რა იშვიათად აქვთ ხოლმე ადამიანებს.

უმეტესწილად ეს მოხუცთათვის შემიმჩნევია, და განა იმიტომ, რომ მოხუცნი არიან, არა უსათუოდ იმიტომ, რომ ცოცხალი ახალგაზრდობა არ შემხვედრია — ყველანი, ვისაც მე ვიცნობ, მოსიარულე მიცვალებულნი არიან, სიბერეს რა ხელი აქვს იმ ადამიანთან, ვისაც უყვარდა მშვენიერება, შთაგონებდა, გულს უჩუყებდა, ასეთი ადამიანი ასი წლის ასაკშიც ასევე შთაგონებული იქნება და ცრემლს დაღვრის სილამაზის დამნახავი. მაგალითად, როგორც გე, როცა ხატავს: მოშორებით ზის თავისი ნახატისაგან, თვალები უცინის, ჭაღარა თმა ჩამოსწეწია და მთელი ხმით ყვირის: „Voilà un tabbu“<sup>1</sup>.

აგი ერთი იმ იშვიათ მხატვართაგანია, რომელთა ნაწარმოებებში ჩანს შთაგონება. ზოგმა ზოგჯერ ცოტა უხეში და დაუხვეწავია, მაგრამ ეს იმის გამო ხდება, რომ კარგად ვეღარ ხედავს, შინაარსი კი მის ნახატებში მუდამ საოცრად ძლიერი და გულისშემძვრელია. როცა მან ჩამოჰკიდა ნახშირით შესრულებული თავისი ესკიზები, სახარების ილუსტრაციები, და მათ ჩანაფიქრს გვიყვებოდა, ყელში რაღაც მომაწვა — აღფრთოვანებისაგან ტირილი მიხდოდა და ისიც კი მეჩვენებოდა, რომ ცრემლი მეტისმეტად მცირე რამ არის, რომ არსებობს რაღაც უმაღლესი გამოხატულება საკუთარი გულაჩუყებისა და აღფრთოვანებისა, მაგრამ არა სიტყვებითა და ცრემლებით. ამასვე ვგრძნობდი, როცა ვკითხულობდი „რა აცოცხლებთ ადამიანებს“, როცა უნივერსიტეტში

<sup>1</sup> აი, სურათი (ფრანგ.).



კითხულობდნენ „განა ბევრი მიწა სჭირდება ადამიანს“, როცა მთელი დღე ტრეტიაკოვის გალერეაში გავატარე კრამსკოის ნახატის — „ქრისტე უცდაბნოში“ — წინ, და ყოველთვის, როცა ვკითხულობ ან ვხედავ რაიმე მშვენიერს.

23 ოქტომბერი. საღამოს 8 საათი

უკრუნუნული  
გინგულირთება

სადილად მამა და მიშკა სულ ერთი თეფშიდან ჭამდნენ და ნასადილევს ანდრიუშამ და მიშამ, მარტოკებმა, შეიყვანეს მამა სასტუმრო ოთახში, ღამლამობით ისევ ცუდად სძინავს — დედა წვნიანს უცხელებს ხოლმე. ისიც ყოველ ღამე ჭამს. დედა კარგ გუნებაზეა, მუდამ ასეა თუ რაიმე საზრუნავი აქვს. მამამ სავსებით სამართლიანად შენიშნა, როცა შინ სუყველანი დაიზრდებიან, მისთვის უსათუოდ გუტაფისის თოჯინა უნდა შევუკვეთოთ, რომელსაც გამუდმებით კუჭი ექნება აშლილიო.

მამამ ახლა პატარები გამოგვიგზავნა. რათა მათთვის გვეთქვა ჩვენი სამი სურვილი. მე მაშინვე ვუბასუხე: „კარგად ვხატავდე, დიდი ოთახი მქონდეს და მყავდეს კარგი ქმარი“. მამას არაფერი უბასუხნია. მაგრამ მე დამავიწყდა, რომ ჩემი ბოლო სურვილი პირველ ორ სურვილს გამოირიცხავდა. კარგი ქმარი მეცადინეობაში ხელს შემიშლიდა და ჩემს დიდ ოთახს დაიჭერდა. მამამ თქვა, მხოლოდ ორი სურვილი მაქვს: ყველანი მიყვარდეს და ყველას ვუყვარდეთ.

24 ოქტომბერი

ბირიუკოვმა მამას მოსწერა, რომ ორმა პეტერბურგელმა ჰუსარმა — ერთია თავადი ხილკოვი, ხოლო მეორე დამავიწყდა, — როცა წაიკითხეს „Ma Religion“, ისე შეიყვარეს მამას მოძღვრება, რომ მთელი თავისი მიწა გლეხებს დაურიგეს, თადარიგში გავიდნენ და ახლა საკუთარი შრომით იცხოვრებენ იმ სამ დესეტინა მიწაზე, თავიანთთვის რომ დაიტოვესო.

25 ოქტომბერი

ტირილი მინდა. მამამ ვალსი დაუკრა და, რასაკვირველია, ეჭვადაც არ გაუვლია, რომ სული ამიფორიაქა მოგონებებით, უცებ რომ დამაცხრნენ თავზე ვალსის ნაცნობი მუსიკის ჰანგზე.

26 ოქტომბერი. კვირა დღე

ამას წინათ მამას ვუთხარი, კომედია ჩავიფიქრე, რომელსაც ალბათ ვერასოდეს დავეწერ-მეთქი. ამაზე მიპასუხა, დრამის დაწერა განვიზრახე და ეს დღეები სულ ვწერ, დღეს კი პირველი მოქმედება დავასრულეო. იგი სტახოვიჩ-მამის კითხვამ შთააგონა, რომელიც შესანიშნავად გვიკითხავდა ოსტროვსკის. კითხვის დროს მამას გული აუჩვილდა და გრძნობები აეშალა, სწორედ ამან აფიქრებინა დრამის დაწერა, მით უმეტეს, რომ დრამისათვის მასალები კარგა ხანია შეკრებილი ჰქონდა. როგორც თვითონ ამბობს, მთელი ეს ამბავი დრამატულ ფორმაში მაქვს წარმოდგენილიო.



დღეს დედა ბუტურლინს ესაუბრებოდა, როგორ ჰკიცხავდნენ მამას იმის გამო, რომ თვითონ წერს საკუთრებას უარყოფო, და მაინც ისევ ფუფუნებაში ცხოვრობს. ამის გამო მამა აუარება სალანძღავ წერილს იღებს და ამასთან ერთად ისეთ წერილებსაც, ფულს რომ სთხოვენ. მამამ გამოიანგარაღა, რომ მისგან ითხოვენ დაახლოებით ათას ხუთასს ყოველდღიურად. მამამ დალიან მტკივა გული, მით უფრო, რომ ჩემთვის ნათელია მისი ცხოვრების სტილი.

### 31 ოქტომბერი. პარასკევი

მიშკა ძალიან საყვარელი ბიჭია და მამასაც ძალიან უყვარს. საღამოობით ორ ბიჭუნას მამა უყვება „The Old Curiosity Shop“\* დღისით კი სულ თავის დრამას წერს. ჯერ არ წამიკითხავს.

გუშინ ქალიშვილების ოთახში ეკონომიურ-პოლიტიკური საუბარი გვქონდა ასეთ თემაზე: რატომ არის ამდენი შიშველ-ტიტველი ადამიანი, როცა ასე ბლომად არის მზა ჩითისა თუ სხვა საქონელი, ან მემამულეებს ბელლებში პური რატომ უღებიათ, გაძვირების მოლოდინში, როცა ამდენი მშიერი დაიარება? ჩვენი სუსტი გონებით ვერ შევძელით ამ საკითხებზე მსჯელობა და სადილზე მამას შევეკითხეთ. გვიპასუხა, ეს იმიტომ ხდება, რომ ადამიანებს ერთმანეთი არ უყვართ.

თუმცა ნათქვამი პირველად მეტისმეტად უბრალო და არამეცნიერული მომეჩვენა, მერე დავინახე, რომ სრული სიმართლე იყო. მამამ საბუთად მოიტანა შტუნდისტები: თემებად ცხოვრობენ, ეხმარებიან და ხელს უმართავენ ერთმანეთს. მათ მუდამ და ყველაფერი თავსაყრელი აქვთ და სიღარიბე არ იციანო. აი კიდევ ერთი პატარა მაგალითი: ჩვენს სოფელში იგნატი თავის ბოსტანს ღობავდა, მაშინ როცა მისი ბოსტნის გვერდით კიდევ სამს ჰქონდა ბოსტანი. მამამ თქვა, ისინი რომ შეთანხმებულიყვნენ, ოთხივე ბოსტანი ერთად შემოვლობოთო, თვითეულს გაცილებით შეუმსუბუქდებოდა შრომა, ვინემ ცალცალკე შემოვლობვისას.

აი კიდევ ერთი მაგალითი: გაუყოფელი ოჯახები, შეხმატკბილებულად რომ ცხოვრობენ, მდიდრებიც არიან, მაძღრებიც, ჩაცმულებიც, როგორც კი გაიყოფიან, ყველანი ღარიბდებიან.

### 21 ნოემბერი. პარასკევი

დაბლა, ჩემს ოთახში, მარტო ვზივარ. საშინელი ქარი ზუზუნებს და ეხეთქება ჩემს ფანჯრებს, მაგრამ სულაც არ მეშინია. მთელ სახლში მაღლა მხოლოდ მამა და მამა არიან, ხოლო ტატიანა და ძიძა — დაბლა. დედა და პატარები დღეს დღით გაემგზავრნენ. და მეტისმეტი ფუსფუსი რომ არ ამტყდარიყო გამგზავრების წინ და მამა არ შეწუხებულიყო, ჩვენ ორი დღით დავრჩით. დედა იალტაში გაემგზავრა ბებიაჩემთან, რომელსაც ცოცხალს კი ჩაუსწრო, მაგრამ მის ხელში გარდაიცვალა.

ამ ბოლო ხანში არავის არ გვეცალა, ყველას რაღაც საქმე გვქონდა და ამიტომაც სასიამოვნო მოგონებად დამრჩა აქ გატარებული შემოდგომა.

\* ჩ. დიკენსი „სიძველეთა დუქანი“ (ინგლ.).



მამამ დრამა დაწერა და დღეს მე და მაშამ მეოთხეჯერ გადავწერეთ. შემდეგ მამამ ანდაზებიანი კალენდრის გამოცემა მოიფიქრა. მაშასთან ნახა ინგლისური კედლის კალენდარი, ყოველ დღეს საკუთარი ანდაზა ჰქონდა, და მამამაც გადაწყვიტა ასეთნაირადვე დაეღაგებინა თავისივე შეკრებილი ანდაზები, დალსაც რომ აქვს და ძალიან უყვარს.

მთელი დღეობით — მამა, მაშა და მე — ვარჩევდით ორჯერ, უკანასკნელს ამხსნელ ანდაზას, ხოლო კვირადღისათვის — შესაფერის სახარების ტექსტს, ვინ კიდევ საეკლესიო კალენდრებიდან იწერდა: ოთხ დღეში ყველაფერი დაეწერეთ და სიტინს გავუგზავნეთ დასაბეჭდად.

ამ სამუშაოს გარდა, ჩემი საკუთარი სამუშაოც მქონდა. ამ ხანში დაეხატე აქაური დედაკაცების ექვსი ეტიუდი, რომლებიც საკმაოდ კარგი გამოვიდა.

ღმერთო ჩემო, როგორ მეშინია მოსკოვში ცხოვრებისა! თუმცა ჩემთვის ახლა წინანდელთან შედარებით ბიტქმის სულერთია სად ვიცხოვრებ და თუმც ვფიქრობ, რომ ბიტქებს მამასთან ურთიერთობა სჭირდებათ, მაინც ძალიან არ მინდა მოსკოვში გამგზავრება და მეშინია ისევ ძველ კალაპოტში არ ჩავვარდე: ადგომა თორმეტ საათზე, საყიდლებზე წასვლა კუზნეცკიზე და საღამოს ბანქო ანდა ფუჭი ლაყბობა ფუჭ ადამიანებთან.

დღეს მარტოკამ გავისეირნე და სულ იმაზე ვფიქრობდი, ადამიანმა როგორ უნდა იცხოვროს-მეთქი და მომეჩვენა, რომ არც ისე საშიშია, როგორც ადრე მეგონა, პირდაპირ შეხედო ცხოვრებას. ადრე ვფიქრობდი, როცა მრწამსი ჩამოგიყალიბდება, უსათუოდ რაიმე არაჩვეულებრივი უნდა მოიმოქმედო-მეთქი: ყველაფერი უნდა გასცე, უსათუოდ ქობში უნდა იცხოვრო, არასოდეს გროშს ხელი არ უნდა ახლო-მეთქი... ახლა კი ვხედავ, რომ ეს სულაც არ არის საჭირო, მთავარია ხედავდე, რა არის კარგი და ცუდი და იცხოვრო იქ, სადაც ბედისწერამ დაგაყენა, იცხოვრო რაც შეიძლება უკეთ, და რაც შეიძლება ნაკლებ ატკინო სხვებს გული და რაც შეიძლება მეტი გააკეთო მათთვის.

სადაც ჩემს დღიურში საკუთარ თავს ვეკამათებოდი, სოფლის სამუშაო ვაკეთოთ თუ არა-მეთქი. განა სულერთი არ არის სოფლის საქმეს გავაკეთებ თუ სხვა საქმეს, ოღონდაც ჩემი სამუშაო სხვებს სჭირდებოდეს ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ხელს მაინც არ უშლიდეს, როგორც მხატვრობა, მუსიკა და ა. შ. საბოლოოდ იმ დასკვნამდეც მივედი, რომ არ შეიძლება არსებობდეს ცხოვრების განაწილების არავითარი სისტემა; ყოველი წუთი უნდა იცხოვრო ისე, როგორც უკეთესია, ანდა აკეთო ის, რაც ადამიანებს შენგან სჭირდება.

მახარებს იმის დანახვა, რომ ჩემმა აღზრდამ თავისი გაიტანა და რომ მე უფრო და უფრო მიაღვილდება და მიხარია ამქვეყნად ცხოვრება. სიკვდილის შიშისაგან მამამ ცოტა განმკურნა, მითხრა, არსებითად არავითარი სიკვდილი არ არსებობსო. „თუ შენ საკუთარი სხეული გებრალეხ, მაშინ უეჭველად მისი თვითეული ნაწილი საქმეს წაადგება და არც ერთი არ დაიღუპება“, არც სული მოკვდება. თვითეული სიტყვა დატოვებს კვალს დარჩენილთა სულებში, ჩემი პირადი ნივთებიც კი არ დაიკარგება, — თუ შეიღებს არა, ძმისშვილებს, ძმებს გადაეცემათ, და მხოლოდ ჩემი ცნობიერება დაიკარგება, ანუ ცნობიერება ჩემი პიროვნებისა როგორც ტანია ტოლსტაიასი.

მამამ ეს ყველაფერი ერთ საღამოს გვითხრა, როცა დიდდას ავადმყოფობისა და მერე სიკვდილის გამო ყველანი თავზარდაცემულნი და შეშინებულნი



ვიყავით, წინ კიდევ რამდენი სიკვდილი გველის-თქო. კიდევ იმით გვანუგეშა, რომ გვითხრა, ვერავითარი სიკვდილი ვერ წაგვართმევს იმას, რაც ყველაზე ძვირფასია ამქვეყნად — ადამიანებთან დამოკიდებულება და მათი სიყვარული. და ცალკეული გამორჩეული ადამიანების სიყვარული კი არა, არამედ განუკრ-ჩევლად ყველას სიყვარული. ამასაც თანდათან ვუახლოვდებოყქვეყნებულმწერ-თო ჩემო, რა შორსა ვარ ჯერ კიდევ იმისგან, როგორც ეგებინა, მისევე მსყვანადეს ყველანი!

22 ნოემბერი. შაბათი, ღამის 12 საათი

იასნაიაში ბოლო დღე გავატარეთ. გვიან ავდექი, მოვიდა ტანია ცვეტკოვა, მაშა ამეცადინა. ამასობაში მე ჩემი ნივთები ჩავალაგე სკივრში, შემდეგ სოფელში წავედი დასამშვიდობებლად. მარფა კუბარევა ატირდა ჩვენთან დამშვიდობებისას. ტანია ისევ მობრუნდა და ერთად ვისადილეთ. შინამოსამსახურე ტატიანა რომ არ მომსახურებოდა ტანკას, თვითონ მოვემსახურეთ თავს და მერე თვითონვე დავრეცხეთ ჭურჭელი. ნასადილევს მაშა ტანიას უკითხავდა „ძმა ძმაზე“, მაშა მუშაობდა, მე კი ჩემთვის ვკითხულობდი. ჩაი ჩემს ოთახში დავლიეთ — აგაფია მიხეილის ასულმა, ტანიამ, ტატიანამ, ვასკამ, მარია ათანასეს ასულმა — ყველამ დალია ჩაი, ვინ — ჩვენს ოთახში, ვინ კიდევ გვერდით, სამოახლო ოთახში. ყოველივე ისე უბრალოდ და მხიარულად იყო, — მხოლოდ ერთი რამ არის დასანანი, ჩვენი ოჯახის ყველა წევრს უნდა ესმოდეს, მუდამ ასე რომ ვცხოვრობდეთ, კარგი იქნებოდა და ყოველივე უფრო და უფრო უკეთ წავიდოდა, უფრო და უფრო გავთავისუფლდებოდით ბატონკაცური ბორკილებისაგან, ცხოვრებას რომ გვიშლის.

მთელი დღე დედაზე ვფიქრობდი, ძალიან მეცოდება. წვალობს, მუშაობს, რომ ფული იშოვოს. თუმცა ჩვენ, ე. ი. მე, ილია და მაშა, სულ ვამბობთ, ფული რა საჭიროა ცხოვრებაში-თქო, მაგრამ კაბას ან სხვა ნივთებს მაინც ვითხოვთ და მას მუდამ აღიზიანებს ეს ჩვენი წინააღმდეგობრივი ბუნება. ძალიან მტკივა გული, რომ დედა ასე ეწინააღმდეგება ყოველივე კარგს ანუ იმას, რასაც მაშა კარგად მიიჩნევს და მართლაც კარგია, ან ასე რომ ღიზიანდება ყველას წინააღმდეგ, ვინც ცდილობს შეცვალოს თავისი ცხოვრება უკეთესობისაკენ.

არა, ეს ყოველივე მეტისმეტია, დედას არ უყვარს მაშაჩემის იდეალები, ვგრძნობ, ყოველთვის როგორ აბრაზებს ის, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც სურთ კარგად იცხოვრონ და არა ისე, როგორადაც თვითონ დედა მიიჩნევს, კარგიაო. თუმცა სისულელეს ვწერ — დაღლილობისაგან ფეხზე ვეღარ ვდგები. და ვხვდები, რომ ისე გამომდის, თითქოს ვკიცხავდე იმ ადამიანს, ვის მიმართაც სიყვარულს, სინაზესა და სიბრაულს ვგრძნობ... ხვალ დილით მოსკოვში მივემგზავრებით.

27 ნოემბერი. მოსკოვი. ხამოვნიკი

მეხუთე დღეა აქა ვართ. აქ ყოფნა საძაგლობაა. გამუდმებით თან მდევს, იმის შეგრძნება, რომ თითქოს რაღაც დავაშავე, თითქოს რაღაცის მრცხვენია, თითქმის საჭიროა რაღაცნაირად მოვიწყო ცხოვრება, რათა ყველაფერი



კარგად წავიდეს. მინდა სკოლაში შევიდე, მაგრამ მამა მეუბნება, საჭირო არ არისო, ეს იმას ემსგავსება მკვდარი კაცი ფეხზე დააყენონ და აქეთ-იქიდან მხარში ამოუდგნენო. დადგება, მაგრამ როგორც კი ხელს გაუშვებენ, ისევ იატაკზე დავარდებო. და რომ მე ჩემს ცხოვრებასაც ასე ძალადი ვაზაგრებ. თუმცა ეს ხატოვნად კი მითხრა, მაგრამ მართებული ნათქვამი არ არის: მე მინდა მხატვრობა შევისწავლო, მიყვარს ეს საქმე და ვფიქრობ, ~~სკოლაში შევიდე~~ შევისწავლი, ვინემ შინ.

დღეს საყიდლებზე ვიყავით, უფრო მაშას გულისთვის, ვიდრე ჩემთვის, და საშინლად უსიამოვნო, მაგრამ ამავე დროს სასიამოვნოც იყო ლამაზი მაშები და კაბა რომ შევეუკვეთე. საოცარია პირდაპირ, რა ძნელია მოიშორო ჩაცმის, ოთახის მოწყობის სურვილი, აქ კი ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ პირიქით წაგაქეზოს.

ამ წელიწადს არც ერთი ლატაკი არ შემხვედრია. ეს ცოცხალი საყვედურიც ჩამოგეშორდა, რათა დავივიწყოთ რომ არიან შეუმოსავი და მშვიერი ადამიანები.

## 2 დეკემბერი

ახლა ჩაი დავლიეთ, მე და მაშამ პიროგოვის «Ярлынька» ვიმღერეთ. მამა ტკბებოდა, გვაქებდა სერიოზულ და ლევიც ძალზე ხმაშეწყობილად აგვეყენენ, ჯერჯერობით საძაგელი ამინდია — ზამთრის სითბოა და თოვლი; ჯერ ისევ ბორბლებიანი ეკიბაუთ მიმოდიან, სამარხილო გზას ორ დღეზე მეტ ხანს არ გაუძლია ჯერ.

## 14 დეკემბერი კვირა

ამ ბოლო დროს როგორც აკიმი იტყოდა „ნამეტანი ცუდად ვარ“, არაფერს არ ვაკეთებ, თუმცა საქმე უამრავი მაქვს, თან ღვიძლი მტკივა, ისევ მომერია სიმძიმის, გულისრევის, ძილისაკენ მისწრაფება, ნაცნობი, საზიზღარი მოსკოვური გრძნობა, ასე რომ მძულს.

გუნებაში ხშირად ვიმეორებ მამაჩემის სიტყვებს: საკუთარ თავს ვერსად გაექცევი, ყველგან შეიძლება იცხოვრო და ყველგან ერთნაირად კარგად უნდა იცხოვრო, მაგრამ მე ჯერ მეტისმეტად სუსტი ვარ, რომ გარემოებას გავუმკლავდე.

ხშირად ალბათ ფარისეველი ვჩანვარ: ვკიცხავ სხვებისას ბევრს რასმე ისეთ საქციელს, რასაც თვითონ ჩავდივარ. მაგალითად, მძულს ადამიანები, რომლებიც თავიანთ ოთახებს რთავენ, თავის თავზე ზრუნავენ, — არადა თვითონ მე ასევე ვიქცევი. ხშირად ერთს ვამბობ, მეორეს კი ვაკეთებ და უცხო თვალთ რომ შემეხედა, ჩემნაირ ადამიანს ალბათ თავქარიან ადამიანად მივიჩნევდი.

1887

10 ივლისი. იასნაია პოლიანა

სათიბში ორი დღე ვიარეთ. ძალიან კარგი იყო, — მამა თიბავდა, ხოლო ვერა ტოლსტაია, მაშა და მე ვიღებდით. შარშანდელთან შედარებით ცუდად



ემუშაობდი, რატომ, მიზეზი არ ვიცი, მაგრამ მამაჩემის გვერდით რომ ვიყავი, ეს ყველაფერს მერჩინა.

მამა ბოლო ხანში დამშორდა — ჯერ ერთი იმიტომ, რომ საზიზღრად ვცხოვრობ, მეორეც იმიტომ, რომ მთელი კვირა პიროგოვში ვაჯობებ.

როცა დიდხანს არა ვარ შინ, მუდამ ცივად მხვდება, დრო უნდა გავიდე, რომ ისევ დავუახლოვდე. საზიზღრად იმიტომ ვცხოვრობ, რომ არაფერს ვაკეთებ, მეორეც, არ სიამოვნებს ცხენით რომ დავდივარ, ფუჭად ვყბედობ ხოლმე. მეტად ფაქიზად ვიცვამ, ბევრს ვჭამ, — ჩემს სიცოცხლეში ამდენი არ მიჭამია, და ახლა საკუთარ თავს სიტყვა მივეცი, ცოტა ვჭამო. ახლოს არ გავიქარო ტყბილეული და ღვინო, რათა უფლება მქონდეს სხვებსაც ვურჩიო ნურასოდეს ნუ დაღვეთ-მეთქი.

22 ოქტომბერი .იანაია პოლიანა. ხუთშაბათი

მშვენიერი ამინდია! უფერული დღეა, მაგრამ ისე თბილი, რომ მე და მამა კუზმინსკაია მარტო კაბებითა და ფეხსაცმელებით გამოვედით. აქ სამნი ვცხოვრობთ: ჩვენ ორნი და მამა. ხატებიან ოთახში გვძინავს. იქვე ვსვამთ ჩაის, ვსადილობთ და მთელი დღე ვსხედვართ. გვძინავს ტახტსა და სკამებზე. დედა სხვებთან ერთად ორშაბათს გაემგზავრა. ჩვენ კი შაბათს მივემგზავრებით.

მამა ჩვენთან ერთად მთელი დღეა ჩექმებს კერავს მაშასათვის, მაგრამ ალბათ პატარა ექნება, რადგანაც ჩემთვის არის პატარა. წერს და გუშინ რაღაც მომცა გადასაწერად, ამბავი მატარებელში საუბრით იწყება, — არ ვიცი მერე რა მოხდება. მამა ლუმელს ანთებს და მერე ჩვენ გვესაუბრება, განსაკუთრებით მაშას, რომელიც ძალიან გაიტაცა „რა არის რწმენა ჩემი?“ კითხვამ, რამაც ბევრ რამეში დააეჭვა, რაც ადრე სწამდა. მამამ შეშა დაჩეხა, სამუშაოდ წავიდა, მე კი გადაწერას შევეუდგები; მამამ კი ჭურჭელი დარეცხა და ისევ „რა არის რწმენა ჩემი?“ კითხვას ჩაუჭდა.

1888

20 იანვარი. ოთხშაბათი. მოსკოვი

ამ ეგრეთ წოდებულმა მაღალმა საზოგადოებამ ისე მომაბეზრა თავი, რომ ვეღარ ვიტან. გადავწყვიტე, რაც შეიძლება მოვიწოდო, რომ როგორმე ავირიდო სახლიდან გასვლა და უფრო მეტად მამასთან ვიყო. ვხედავ, მარტოდ გრძნობს თავს, ისე მიყურებს, როგორც ხელიდან წასულ ადამიანს, საღამოობით მაშას ესაუბრება, მე კი მშურს. გუშინ საღამოს ჩემს ოთახში შემოვიდა და ლიოვას ჰკითხა, ხელში რა გიჭირავსო? ლიოვას უნდა ეთქვა, რომ ეს არის სამაჯური, პოლივანოველებმა ზანკოვეცკაიას რომ მიართვესო, მამა მოწყენილი შემომიბრუნდა და მკითხა, რას კითხულობო. — „მოდების ჟურნალს“. „რას აკეთებს ამ საღამოს ვერა ტოლსტაია?“ — „თეატრშია. შემდეგ შიდლოვსკებთან წავა“. მამა იდგა, იდგა, ჩვენ თავჩაღუნული ვისხედით — შებრუნდა და გავიდა. ყველას ძალიან შეგვრცხვა.



17 თებერვალი. ოთხშაბათი

გული მწყდება, რა ჯურის ხალხი არ ზის მამაჩემთან, მე კი, ვისაც ყველაზე მეტად მჭირდება მისი თავი, ვერ ვბედავ მასთან შესვლას. უცნაური დამოკიდებულება გვაქვს; ხშირად მივმხვდარვარ, რომ მარტოსულად გრძნობს თავს, გაუხარდებოდა ჩემი ალერსი, მე კი რაღაცნაირი სულელური ყალბი სირცხვილის გრძნობა მაჩერებს, რომ მივიდე მასთან. *გაეღიანებოდა* *ლენგინგის* *lenging for him*<sup>1</sup>, მაგრამ ვიცი ახლა რომ შემოვიდეს, დავუწყებ ლაპარაკს სად ვიყავი და რა გავაკეთე, ხოლო საკუთარი სულის მცირე კუნჭულს კი არ დავანახებ. კიდევ ის მაჩერებს, რომ მაშაზე ვეჭვიანობ. ხშირად ვბრაზობ მაშაზე და ვირწმუნებ თავს, მამას „ემლიქვნელება-მეთქი“. ამიტომაც კიდევ უფრო უხეშად ვეწინააღმდეგები მამას, და ამით მინდა დავუმტკიცო, კვერს არ დაგიკრავ იმის გამო, რომ შენი მოწონება დავიმსახურო-მეთქი. რაკი ამას ვწერ, მაშასადამე ვიცი, მართალი არა ვარ, მაგრამ მაინც მიძნელდება თავი დავაღწიო ამგვარ კილოს.

რა მატირებს? სისულელე და სამარცხვინო ამბავია. ახლა მოვიდა ლიოვა და რაკი კარგა ხანს არ წავიდა, ისე გავცოფდი, რომ კინალამ სამელნე არ ვესროლე და ავღრიალდი. რა კარგი ცოლი ვიქნები?

მამა ამბობს, ვისაც ნამდვილად უყვარს, მხოლოდ მაშინ შეირთავს ცოლს ან გათხოვდება, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ გააბედნიერებ საყვარელ ადამიანს. სწორედ ამიტომ კარგა ხანს არ შეიძლება ჩემი გათხოვება.

ბოლო დროს მოვეშვი, საკუთარ თავზე აღარ ვზრუნავ და ამიტომ ხშირად ვბრაზობ ხოლმე. იყო დრო, როცა ვგრძნობდი, ვერაფერი და ვერავინ ვერ გამაბრაზებს-მეთქი. ახლა კი პირიქით არის.

17 მარტი

კიდევ იმიტომაც არა ვარ არავისთან ახლოს, რომ ზიზღით ვუცქერი იმ ადამიანებს, რომლებიც არ იზიარებენ მამაჩემის შეხედულებებს ცხოვრებაზე; მის მიმდევრებს კი ვერ დავუახლოვდი, რადგან ძალზე ცუდი ბუნების ადამიანი ვარ, სუსტი არსება ვარ, მათი სულიერი სიმაღლე მაღიზიანებს, მამოროტებს, და რათა დავუმტკიცო, არ გეთანხმებით-მეთქი, ისეთ მოსაზრებებს გამოვთქვამ, რაც მათ შეხედულებებს ეწინააღმდეგება. მაგრამ ყოველივე ეს მთავარი არ არის. ყველასათვის საჭირო უნდა გახდეს და არასოდეს არ უნდა გაბრაზდეს.

მამა მართალს ამბობს, როცა არაფერს აკეთებ, დრო არასდროს არა გაქვს, ხოლო როცა რაიმეს გაკეთებას დაიწყებ, გეჩვენება, რა ბევრი დრო მქონიაო.

დღეს ვკერავდი. წერილებს ვწერდი, ვქსოვდი და კიდევ მთელი საღამო თავისუფალი ვარ.

24 დეკემბერი

მამამ დღეს კარგი რამ გვითხრა (დროული სულაც არ არის, მაგრამ რაკი სიტყვამ მოიტანა, რომ არ დამავიწყდეს, დავწერ): ადამიანებმა რომ თავი ანე-

<sup>1</sup> ვდარდობ მასზე (ინგლ.).



ბონ გასამართლებასა და დასჯას და მთელი ძალა, რაც ამაზე იხარჯება ადამიანებზე მორალურ ზემოქმედებას მოახმარონ, ალბათ ეს უფრო შედეგიანი იქნებოდაო. რაღა თქმა უნდა, ეს ჭეშმარიტად ასეა — განა სასჯელი ადამიანს გამოასწორებს? ჩემთვის დღესავით ნათელია, რომ შეუძლებელია ასე მოქცევა და მიკვირს, სხვები რად ვერ ხედავენ-მეთქი?

საქართველო  
ბიზლიჩიძე

15 თებერვალი. ოთხშაბათი. დღის 11 საათი

ამას წინათ ჩვენთან ტანეევი იყო და დაუკრა. იმ დღით დადარდიანებული ვიყავი, ფორტეპიანოს გარშემო ვუვლიდი და მრცხვენოდა, რომ არც მე და არც არავინ ჩვენგან, შინაურთაგან, არ უკრავდა ისე მწყუროდა მუსიკა, ვფიქრობდი, ვისთან მივიდე მუსიკის მოსასმენად-მეთქი. მაგრამ შინ დავრჩი და უცებ ტანეევი მოვიდა, მამას არენსკიზე ესაუბრებოდა და შესთავაზა, რამდენიმე ნაწარმოებს დაგიკრავთო. შემდეგ ჩაიკოვსკი, „Barcaroll“-ა დაუკრა, მერე რუბინშტეინი, ბოლოს გვკითხა: „გინდათ ბეთჰოვენი?“ სიხარულისაგან სუყველამ ოჰო-შევეძახეთ. და მან „აპასიონატა“ დაუკრა.

როგორც კი პირველი ბგერები გაისმა, ყველანი სადღაც გავფრინდით, ვერაფერს ვხედავდი, თავიც დამავიწყდა და ყველაფერი, რაც აქამდე არსებობდა ამ ქვეყანაზე. მხოლოდ ვგრძნობდი ამ უზარმაზარ ქმნილებას, პირისახე ისე მეკრუნჩხებოდა, კუნთებს ვერ ვიმაგრებდი და ამიტომ შუბლი სკამის ზურგს მივაყრდენი. როცა დაასრულა დაკვრა, მამა კუთხიდან აცრემლებული გამოვიდა. ლენოჩკას შეშინებული სახე ჰქონდა, ხოლო როცა ხმა ამოვიღეთ, ყველას ჩახრინწული ხმა გვქონდა და თითქოს სხვის ხმაზე ვლაპარაკობდით. ვფიქრობ, ტანეევმა ამ საღამოს განსაკუთრებულად კარგად დაუკრა, ყოველთვის ვერ უკრავს ასე. ბეთჰოვენი ალბათ როცა ამ სონატას წერდა, სწორედ ასე ჰქონდა წარმოდგენილი. უკეთ ან სხვაგვარად დაკვრა შეუძლებელია, ე. ი. არც უნდა დაუკრა. ამბობენ, ტანეევი აპირებს გრჟიმალიდან ჩამოვიდეს მამასთან კრეიცერის სონატის დასაკვრელად. გუშინ ვნახე, მაგრამ ამის თაობაზე არ მიკითხავს.

მამა ილიასთან არის. ხვალ ჩამოდის, ძალიან მიხარია მისი ჩამოსვლა, მაგრამ მაინც ეგოისტური გრძნობა მეუფლება, თითქოს როცა მამა არ არის, მამა უფრო ალერსიანად მექცევა, ხოლო როცა ერთმანეთს გვადარებს, რასაკვირველია, თვალში სცემს, რომ მამა მეტად ცხოვრობს მისი ცხოვრებით, უფრო მეტს აკეთებს მისთვის და უფრო ბრძად სწამს მისი, ვიდრე მე.

ახლა მამა აქ იყო და მკითხა, რას აკეთებო. ვუპასუხე. მითხრა: მეც დღიურს ვწერ, მაგრამ ეს საიდუმლო არისო. უკვე სამი თვეა ვწერ და თქმით კი არავის ვეუბნები, ის კი არადა, კიდევ ვმალავო. ვკითხე, ისე წერ თუ რაიმე მიზანი გაქვს-მეთქი. მითხრა: „ისე, საკუთარ სულიერ საქმიანობაზე ვწერ. შენც?“ ჰო-მეთქი. მითხრა, ჩემი სულიერი საქმიანობა ის არის, რომ სამ მიზანს მივალწიო: სისპეტაკეს, მორჩილებასა და სიყვარულს. და როცა ვგრძნობ, რომ ვუახლოვდები მიზანს, ბედნიერი ვარო.

საღამოს 9 საათი

ძალზე ბედნიერი ვარ იმით, რომ არასოდეს არ ვბუზღუნებ ჩემ ირგვლივ მყოფ ადამიანებზე და როცა ცუდად ვგრძნობ თავს, ასე მგონია ამაში მხოლოდ



მე ვარ დამნაშავე-მეთქი, მაგრამ სამაგიეროდ, როცა კარგად ვარ, მგონია, დავიმსახურე-მეთქი. და ყოველთვის შემიძლია შევიფერო და ვისარგებლო ყველა იმ საამოვნებით, რომელთაც ღმერთი მომაგებს. მაგალითად, ძალიან ვაფასებ, რომ სწორედ ამ ოჯახში დავიბადე, რომ სწორედ ეს მამაა ჩემი მამა. არ არის დღე, არ ვგრძნობდე ტკბობასა და მადლიერების გრძობას ერთადერთად, რომ ჩემ ირგვლივ ამდენი საინტერესო რამ ხდება, ამდენი კარგი ადამიანია, ამდენი ახალი და კარგი ამბავი მესმის, რომ ხშირად შემახსენებს ხოლმე მამა როგორ უნდა ვიცხოვრო და მეხმარება კიდევ.

ჩემთვის ყველა გზა ხსნილია — შემიძლია საუკეთესო მუსიკა მოვისმინო, ვნახო კარგი სურათები, ვიცნობდე მხატვრებს, — შემიძლია თვითონ გავხდე მხატვარი, გარდა იმისა, რომ ხატვისა და მოსმენის საშუალება მაქვს, ამბობენ (მაგრამ სამართლიანად კი) საიმისო პირობებიც მაქვს ნაბობები, თვითონაც შევქმნა. მართლაც ძალზე ბედნიერი ვარ და შემეძლო უფრო ბედნიერი ვყოფილიყავ, უფრო უკეთესი რომ ვიყო, უფრო გონიერი, უფრო მკაცრი საკუთარი თავის მიმართ და საერთოდაც უფრო ჭკვიანი.

### 18 თებერვალი. შაბათი. ყველიერი

დღეს დილით მამასთან ვილაც იუნკერი იყო, რათა რელიგიაზე ესაუბრა. მამამ შემდეგ გვიამბო, ძალიან კარგად ველაპარაკებოდი და განსაკუთრებული სიფრთხილით ვეჭყეოდი, რათა მეტისმეტად უხეშად არ დამეგმო ის, რის რწმენაც ჩაუნერგესო. წამოიჭრა ღვინის საკითხი. იუნკერმა უთხრა, არ ვსვამო. მამამ შესთავაზა „ფხიზელთა საზოგადოებაში“ შესულიყო, მაგრამ მან უპასუხა, ადამიანს უსათუოდ უნდა გაუმასპინძლდეთ. ეს რატომ? — ჰკითხა მამამ. „აი, მაგალითად, როცა სკობელევს დასჭირდა მთელი მოსახლეობა ამოეხოცა და სალდათებმა ამაზე უარი უთხრეს, — სხვა გზა აღარ ჰქონდა, დაათრო სალდათები, რათა მათ ეს საშინელება ჩაედინათ“. მამამ რამდენიმე დღე ვერ დაივიწყა მისი ნათქვამი და ყველას უამბობდა.

### 5 მარტი. კვირადღე

ჩემი მხატვრობაც მაშინებს, — რა გამოვა? რამდენი დრო და შრომა დამეკარგა ფუჭად, და მაინც ვერასოდეს მივალწევ იმას, რომ საკუთარი ფუნჯით რაიმე კარგი ვუთხრა ადამიანებს. თანაც არც კარგი ადამიანი ვარ საამისოდ. მამამ გუშინ პატარა სტატია დაწერა ხელოვნებაზე. და მან დამანახა, რაოდენ ცოტა შანსი მაქვს მხატვარი გავხდე. არ არის საჭირო ამაზე ოცნება.

### 19 ნოემბერი. კვირადღე, იახნაია პოლიანა

ძალიან მეშინია სევდისა. ჯერ არ მწვევია, მაგრამ აქვია, შორიახლოს და ვგრძნობ, როცა ჩამჭიდებს ხელს, ძალზე ცუდი იქნება. საოცარი ის არის, რომ მარტობას უფრო მეტად აქ ვგრძნობ, საკუთარ ოჯახში, ვინემ უცხო ხალხში. ყოველივე განხეთქილების ბრალია, რომელიც, როგორც არ უნდა ეცადო თვალი აარიდო, ყოველ წუთს გამოჰყოფს თავს და საჩინო ხდება.

სადილად დედამ უსაყვედურა მამას, შენს კორესპონდენციებზე მეტისმე-



ტად ბევრი ფული იხარჯებაო, რომ (ის და მაშა) წერენ და გზავნიან ყოველ-გვარ წერილმანს. მამა ზის და ხმას არ იღებს. არც მაშა, მაშა ავად არის — სიცხეები აქვს და ახველებს. მარტო კარტოფილს ჭამს. დედა სთავაზობს, მინერალური წყალი გამოიწერე და რძესთან ერთად დალიეო, მაშა მოკლდე პასუხს იძლევა, არაფერს არ დავლევო. ახლა მაშა მარტო წევს <sup>ქრისტიანობაში</sup> ~~ქრისტიანობაში~~, დედა, რასაკვირველია, არ შედის მასთან, რადგან სულერთია, მაშა მის არც ერთ რჩევას არ მიიღებს და განაწყენებული უბასუხებს.

რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოვკიდო ხელი უფრო საჭირო საქმეს, რათა მთელი სულითა და გულით მას მივეცე და არავითარ ურთიერთობებზე არ ვიფიქრო. უფრო დიდი სასჯელი არ არსებობს, როცა ხარ იმ ადამიანებს შორის, ერთმანეთი რომ ეზიზღებათ.

### 11 ივნისი. იახნაია პოლიანა

გემ ჩამოიტანა თავისი ნახატი „ქრისტე პილატეს წინაშე“, რომელიც ახლა ჩვენს დარბაზში ჰკიდია. მამა ძალიან დიდად აფასებს ამ ნახატს. ახლა ცდილობს როგორმე ამერიკაში გაგზავნოს და იქ კარგად მიიღონ. ამიტომაც მე და მამამ მრავალ ჩვენს ნაცნობს გავუგზავნეთ წერილი შეერთებული შტატების სხვადასხვა ქალაქში. მე ეს სურათი უფრო მეტად შემეყვარდა მას შემდეგ, როცა შევეჩვიე. ის კი არადა, ერთხელ, როცა მე და გე სურათის წინ ვიდექით და ქრისტეზე ვლაპარაკობდით, უცებ მომეჩვენა, ცოცხალია-მეთქი და არც გამკვირვებია ასე რომ მომეჩვენა, პირიქით, თვალეში შევყურებდი, ასე მეგონა ყველაფერი მესმის-მეთქი მისი.

მამა დღეს ამბობდა, რომ ერთადერთი საქმე, რაც ადამიანმა უნდა აკეთოს, ის არის, რომ როგორც კი შეიცნობს მთელ თავის სიბილწეს, უნდა შეეცადოს როგორმე ჩამოიშოროს. მაგრამ საკუთარი სიბილწე უნდა შეიგნო, სავსებით გულწრფელად უნდა აღიარო არა მარტო ნაკლი, მისატევებლად რომ ითვლება (ზოგიერთი საქებრადაც მიიჩნევა), არამედ მთლიანად გაჰკიცხო საკუთარი თავი უშიშრად და შეუბრალებლად.

### 10 აგვისტო

ჩავუჩქეჭი ახალსა და ძალიან საინტერესო სამუშაოს, მამამ რომ მომცა: აი რა სამუშაოა: დღიურში უნდა ჩავწერო ყველა მიღებული წერილი, საინტერესო ჟურნალ-გაზეთები და წიგნები და თარიღის მიხედვით შევიტანო რვეულში.

სამ საათზე საბანაოდ წავედით და იქ შევხვდით რუგინს ერთ „უბირთან“ ერთად. საღამოს მოვიდა პასტუხოვი და კიდევ რახმანოვი, ასე რომ მამასთან „უბირთა“ მთელი ბრბო შეიკრიბა, რაც (უცნაური დამთხვევაა) ყოველთვის მაშინ ხდება, როცა დედა შინიდან მიემგზავრება.

### 16 სექტემბერი

დღეს სადილობამდე ტოლსტოები გაემგზავრნენ. მამა სულთანზე შეჯდა და კოზლოვკისაკენ გასწია, ჩვენ კი, ოთხივე ქალიშვილი, შესახვედრად წავედით.



მამამ გაგვაკვირვა თავისი სილამაზით — რა ლამაზად ზის ცხენზე, ცხენიც რა კარგად დადის. როცა შევხვდით, ცხენიდან ჩამოხდა, გადმოგვცა წერილები და ცოტა ფეხით გამოიარა. შემდეგ უნდოდა ისევ ცხენზე შემჯდარიყო, მაგრამ სულთანმა ისე ხტოდა, რომ ყველანი ავყვირდით, არ შეჭდე-თქო. გაცივნა და ფეხით განაგრძო გზა. როცა ცოტა ჩამოგვრჩა, ისევ მოინდომა შემჯდომა, მაგრამ რომელიღაც ჩვენგანმა თვალი შეასწრო და ისევ ავყვირდით. შემდეგ შევთანხმდით, რიგრიგობით მიგვეხედა და ბალამდე ისე მივედით, არ მივეციოთ საშუალება ცხენზე შემჯდარიყო. ბევრი ვიცინეთ და ან კი როგორ არ იყო სასაცილო, როცა შევედით ბაღში და რას ვხედავთ, მამა მაინც შემჯდარიყო ცხენზე და ასე ბრუნდებოდა შინ.

### 23 სექტემბერი

დილიდან თოვდა, მაგრამ ჰაერშივე დნებოდა და მიწაზე ვერ აღწევდა. გუშინ ჩამოვიდა პაპა გე, დღეს, რაკი კვირადღეა და მე და მამას გაკვეთილები არა გვაქვს, ვთხოვე მამას, დაგხატავ-მეთქი. განსაკუთრებით მინდოდა გესთანდასწრებით მეხატა, რათა მას რჩევა მოეცა.

ერთად ჩავაცვით მამას, დავაყენეთ, ყველაფერი მოვამზადეთ და გემ ნება დამართო კონტურები დამეწყო. გავაკეთე, შემისწორა; შემდეგ მითხრა, სასწრაფოდ დამეხატა საღებავით. გავაკეთე ფონი, მოვხაზე სამოსი, თმა, შუბლი — მოვიდა გე, დახედა, ყველაფერი გადაასწორა და ისე გაიტაცა ხატვამ, რომ მხოლოდ იშვიათად, ისიც სხვათა შორის, შემომთავაზებდა, განაგრძეო. მაგრამ უარი ვუთხარი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ხელი არ შემეშალა კარგი პორტრეტი გამოსულიყო; კიდევ იმიტომაც, რომ მეყურებიანა როგორ ხატავდა, რაც იმაზე არანაკლებ სასარგებლოა, როცა თვითონ ხატავ; პირიქით, უკეთესიც არის. და რაც მთავარია, იმიტომ, რომ შეუძლებელია ხატვა, როცა საღებავები სხვამ დაადო, იმან იცის რა დადო და რატომ და ზევიდან რა ფერი უნდა დაადოს, სხვისთვის ამის გამოცნობა შეუძლებელია.

### 18 ოქტომბერი

დღეს დილით მამა მკარნახობდა თავის სტატიას ერთ ამერიკულ ბროშურასთან დაკავშირებით — „დიანა“, ასე ეწოდება ბროშურას. სტატიაში იგი ამბობს, რომ მამაკაცსა და ქალს შორის არსებული ლტოლვა სულაც არ არის სავალდებულო ქორწინებით დაგვირგვინდეს, რომ ამ გრძნობას სულიერი სიახლოვე სავსებით აკმაყოფილებსო.

### 17 ოქტომბერი

მთელი დღის განმავლობაში რაღაზე არ ვისაუბრეთ, რაც სერიოზულ ფიქრებს აღძრავდა. იყვნენ ზინოვიევეები, მამა და მისი ასული, და ნადიამ ბევრი რამ გვიამბო თავის ცხოვრებაზე; გვითხრა, არ მსიამოვნებს, ლამის ვატირო, ისე შეურაცხყოფილი ვარ, როცა სხვადასხვანაირ კაბებსა და მორთულობებს ვყიდულობო. და კიდევ რამდენი რამ მეჩოთირებო ჩვენს სახლში. შემდეგ საღამოს, როცა სტუმრები წავიდნენ, იმაზე ვილაპარაკეთ, ვის რა სწამს. ვერამ



განაცხადა, მე-ღმერთი არა მწამსო, ალექსეი მიტროფანის ძემ ხელი გაუწოდა და აღიარა, მეც ათეისტი ვარო. ამაზე მამამ თქვა, სულერთია რა სწამთ ადამიანებს ან რას ფიქრობენ ისინი მომავალ ცხოვრებაზე თუ ქრისტეს ღვთიურობაზე, იმაზე, თუ სად გაფრინდება ადამიანის სული სიკვდილის შემდგომ და ა. შ. მთავარია ის, რომ ადამიანებმა იცოდნენ, რა არის კარგი და უკარისხილი.

25 ოქტომბერი

ნასაუზმევს მე, მამამ და ვერამ გავისეირნეთ და სოფელში შევიარეთ, გვინდოდა ჩვენი მოწაფეები გაგვეფრთხილებინა, ორშაბათამდე მეცადინეობა არ გექნებათ, რადგან პიროგოვოში მივდივართ-თქო (თუმცა წვიმამ ხელი შეგვიშალა, ლევიც ჩამოვიდა).

სოფელში დედას შევხვდით, რომელიც სერიოჟასა და ილიას სანახავად იყო წასული და უკან ბრუნდებოდა. დავბრუნდით შინ და ჩაი ერთად დავლიეთ. გვითხრა, სერიოჟა ძალიან კარგ გუნებაზეა, წესიერად და უმწიკვლოდ ცხოვრობსო. ამასთან დაკავშირებით დედამ გვიამბო, სერიოჟას უთქვამს, რომ თითქმის ყველა მისი ამხანაგი, სახელდობრ: ვსევოლოჟსკი, ორივე ოლსუფიევი, ტატარინოვი, ლვოვი, ორლოვი და კიდეც ვილაცები — ყველანი საესებით უმწიკვლოდ და უბიწოდ ცხოვრობენო. ამ ამბავმა ძალზე გამაკვირვა და ისე გამახარა, რომ მთელი დღე ვფიქრობდი. ეს ისეთივე ბუნებრივი უნდა იყოს, როგორიც ქალიშვილების უბიწოება, მაგრამ ჩვენ იმდენად შეუჩვეველნი ვართ ამის გაგონებას, რომ გვიხარია და ბედნიერი გამოჩაკლისივით აღვიქვამთ.

ჩვენთან ამ ბოლო ხანებში ამ საკითხზე ბევრს ლაპარაკობენ და კითხულობენ. რაც „კრეიცერის სონატა“ გამოქვეყნდა, მამა ხომ დასტა-დასტად იღებს წიგნებს ამის თაობაზე. დღეს ფოსტამ მოიტანა ზღვა ბროშურებისა, რომლებიც გადავათვალიერე და ძალზე საქმიანი მეჩვენა, და უურნალი „The Alpha“, ყველაფერი ეს ვაშინგტონიდან მოვიდა.

დღეს ჩამოვიდა მეყალიბე, რათა მამას ბიუსტი ჩამოსახას თაბაშირიდან. პაპა ძალზე აღელვებულია, ხშირ-ხშირად მივა და დახედავს ხოლმე როგორ მიდის საქმე.

4 ნოემბერი. მოსკოვი

ამ დღეებში მამა ისე ალერსიანად და ნაზად გვექცევა გოგონებს, რომ არ შემოიძლია აღფრთოვანების გარეშე ვილაპარაკო და ვიფიქრო მასზე, ხშირად ვფიქრობ მამაჩემის სიკვდილზე და თავს ვეკითხები, რა გვეშველება ან ჩვენ ან მამას, როცა აღსასრულის დღე დაუდგება-მეთქი. ასე იმიტომ ვიქცევი, რომ მაშინ, როცა ეს მოხდება, ისე აღარ ვიგრძნოთ მთელი სასოწარკვეთა და უსასოება; ალბათ ცოტა უფრო გამიადვილდება ამის გადატანა თუ მანამდე გავთხოვდები და მამას გადავეჩვევი, მაგრამ ჭერ ერთი, რატომ უნდა გავთხოვდე, როცა ის აქ არის, ხოლო მეორეც, თუ გავთხოვდი, საშინელი შიში დამეუფლება, მასთან კავშირი არ დამეკარგოს-მეთქი და კიდეც უფრო მეტად,—



ვიდრე მის გვერდით ცხოვრებისას, — შევეცდები შევინარჩუნო ის ძაფი, რითაც ვგრძნობთ ერთმანეთს.

ახლა ვწერ და ვფიქრობ იმაზე, რომ ძალიან ხშირად, მთელი კვირებით ვცხოვრობ ჩემთვის, მამასთან არავითარი ურთიერთობა არა მაქვს და ურთიერთობის სურვილიც მეკარგება. ეს ჩვეულებრივ მაშინ ხდება, როცა შეგნებულად და ზოგჯერ განზრახვაც კი ვიქცევი ისე, როგორც მამას არ მოსწონს და განსაკუთრებული სიმამაცით გამოვკვეთ ხოლმე ჩემს პროტესტს. ან კიდევ მაშინ ხდება, როცა რომელიმე მის მიმდევართაგან უმწეო აღმოჩნდება და მხოლოდ სახელს უტეხს მამაჩემის მოძღვრებას. და მაშინ ძალიან მტკივა გული, როცა ვხედავ, როგორ იცავს მათ მამა, ვცდილობ დავუმტკიცო, რომ მე არ ვეკუთვნი ამ „უბირებს“. ზოგჯერ კი უბრალოდ რაღაც ჩამითრევს ფუქსაეატურ ცხოვრებაში და მაშინ კეთილსინდისიერება ნებას არ მაძლევს დავფარო ჩემი საქციელი, პირიქით, ყველასათვის საჩინოს ვხდი, და ისე გამოდის, თითქოს თავს ვიწონებდე ამით.

შემშურდა, მამა ისე ნაზად ეპყრობა მაშას, ისე ზრუნავს (მაშა ავად არის), და თავი ეულად ვიგრძენი, ვიგრძენი, რომ არავის არ ვუყვარვარ და ისიც კი მომინდა, წავალ ერთი და თავს გავიციეებ, იქნებ მამაჩემის სინაზე მეც ვიგრძნო-მეთქი.

### 27 ნოემბერი. სამშაბათი. მოსკოვი

ზეგ შინ მივემგზავრები და უნდა გამოვტყდე, რომ სიხარულით შევეყუყუები მამას ფრთებქვეშ, თუ ხელს არა მკრავს. დედაც ნაზად მეპყრობა და მისი ნახვაც გამახარებს.

### 16 დეკემბერი

ახლა ათი საათია. კედლებზე აკრული მაუდის წიაღ მთვარის შუქი გამოკრთის. მამა ჩემს ოთახში დივანზე წევს და გაზეთს კითხულობს. ახლა ზევით ავალთ ჩაის დასალევად.

### 17 დეკემბერი

მეორე წყება ფიქრებისა გუშინ მომეჯარა იმ საუბართან დაკავშირებით, მამას რომ ჰქონდა დედაჩემთან სამი დღის წინათ შუალამისას: მიზეზი ამ საუბრისა გახლავთ შემდეგი: ივან ალექსის ძემ (ბერგერმა, მამასახლისმა) დაიჭირა გლეხები, ნარგავებს რომ იპარავდნენ. მათ ექვსი კვირით პატიმრობა მიუსაჯეს. მოვიდნენ პატიების სათხოვნელად და დედამ ასეთი პასუხით გაისტუმრა ისინი: არც მინდა და არც არაფერი შემიძლია გაგიკეთოთო. ეს რომ გაიგო, მამა საშინლად განრისხდა და აი, სამი დღის წინათ შუალამისას საკმაოდ მკაცრად ელაპარაკა დედას. მამა ისევ არწმუნებდა დედას, ყოველივე გავცეთო, ეუბნებოდა, ჩემი სიკვდილის შემდეგ ინანებ, ასე რომ არ მოიქეცი ჩვენი და ჩვენი შვილების ბედნიერების გულისთვისო.

მამა ამბობდა, სულის სიმშვიდე რომ მოვიპოვო, მხოლოდ ორ გამოსავალ გზას ვხედავო: ერთი — წავიდე სახლიდან, რაზედაც ადრე ვფიქრობდი



და ახლაც ვფიქრობ და მეორე — დავურიგო მთელი მიწა გლეხებს და ჩემი თხზულებების გამოცემის უფლება სახალხო საკუთრებად ვაქციო, იგი ეუბნებოდა დედას, რწმენა რომ გქონდეს, რწმენის გამო გააკეთებდიო ამას, მე რომ გიყვარდე, ჩემი სიყვარულის გამო გააკეთებდიო ამას, და ბოლოს, პატივს რომ მცემდე, შეეცდებოდი ყველაფერი ისევე დაგეტოვებინაო, როგორც არის, და ასეთ უსიამოვნებას არ მომაყენებდიო. ყველაფერი ეს გეუბნებოდა დედამ მიაშობო და ძალზე გულმოკლული იყო.

უნდა ვთქვა, რომ თითქმის ყოველთვის ასეთ შემთხვევებში დედა უფრო მეცოდება, ვიდრე მამა, თუმცა ძალიან მტკივა გული. ორივენი მეცოდება და ვერ გამიგია, უცებ რატომ დაატრიალებენ ამდენ უბედურებას თავისთვისაც და თვითეული ჩვენთაგანისათვის. დედა უფრო იმიტომ მებრალება, რომ არაფერი არა სწამს, არც საკუთარი და არც მამაჩემის. მეორეც, ის უფრო მარტოა, რადგანაც რაკი ამბობს და ჩადის ბევრ რასმე უგუნურს, რასაკვირველია, ბავშვები ყველანი მამის მხარეზე ვართ და იგი მტკივნეულად განიცდის თავის მარტოობას. და თანაც დედას უფრო უყვარს მამა, ვიდრე მამას იგი და დედას გოგონასავით უხარია მისი თვითეული ალერსიანი სიტყვა. დედაჩემის მთავარი უბედურება ის არის, რომ იგი ასე არალოგიკურია და ამიტომაც უამრავ ხელსაყრელ მიზეზს აძლევს გასაკიცხად.

ლევს ძალზე ატკინა გული მთელმა ამ ამბავმა და თქვა, ეშმაკსაც წაუღია მთელი ქონება, ოღონდაც ყოველივე დამთავრდესო. მაგრამ მე რაკი წინასწარ წარმოვიდგინე რა მოხდება თუ ასე მოვიქცევით, ვერავითარი განსხვავება ვერ დავინახე: ლევი განაგრძობდა უნივერსიტეტში სწავლას სტიპენდიით, სერიოჟა განაგრძობდა სამსახურს. ილია მამასახლისად წავიდოდა, მამა პოშას გაჰყვებოდა ცოლად, ბავშვებს დაწესებულებებში დაანაწილებდნენ, მე გუვერნანტად წავიდოდი, დედა რაიმე პანსიონს გახსნიდა, მამა უეჭველად მაშასა და პოშასთან იცხოვრებდა. არსებითად გარეგანი მდგომარეობის მიღმა არაფერი შეიცვლებოდა: ყველანი დავრჩებოდით იმავე იდეალებითა და მისწრაფებებით, ამასთანავე შესაძლოა ზოგიერთებს გაბოროტებაც დაგვეუფლებოდა, ასე დღეში რატომ ჩაგვაგდესო.

ჩემის აზრით, ახლა საკითხი საუკეთესოდ არის გადაწყვეტილი. არავითარი ბოროტება არ მომხდარა, მამას არა აქვს არავითარი საკუთრება, სხვებს ნებას აძლევს, რაც სურთ ის გააკეთონ, ეუბნება საკუთარ აზრს და უჩვენებს ჭეშმარიტ გზას. ვხვდები, ზოგჯერ მამას ძალიან უმძიმს, მაგრამ თვითონ არას ამბობს, მე კი ვხედავ, ამიტომ უფრო მებრალება, განსაკუთრებით მაშინ იტანჯება, როცა რაიმე სულელურ, მკაცრ ბრალდებას უყენებენ; მაგალითად, ყვებიან, რაოდენ უწესო მასკარადებს მართავენ მის სახლში და ამ დროს რაოდენ თავაზიანი მასპინძელია თვითონ — მაგრამ როგორადაც არ უნდა იცხოვროს მან, მუდამ აღმოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ვერ გაუგებენ და გაჰკიცხავენ.

13 მაისი. დღის 2 საათი

მამა ერთადერთი ნუგეში და მხარდაჭერაა ჩემს ცხოვრებაში. და ხშირად ვიტანჯები, ცოტა სიხარულს რომ ვანიჭებ. აი რა კარგია დღიურის წერა — ბოლო წინადადება შემთხვევით მოვიდა და საკუთარი მოვალეობა მომაგონა —



ხშირად ხდება, ქალაქებში რომ დაწერ, საკუთარ გონებაში განამტკიცებ ხოლმე რაიმე აზრს.

ისევ მტანჯავს მის სიკვდილზე ფიქრი და საშველად მოვუხმობ ყოველივეს, რაც კი ჩემს არსებაში არის რელიგიური, მთელ ჩემს გონებას, ლოგიკას, რათა ახსნა მოვუძებნო და შთაეგონო საკუთარ თავს, რომ ეს საშიში არ არის და თუ სასიხარულო ვერ არის, ბუნებრივი მაინც ხომალა. მესამე, რაც კიდევ მტანჯავს და კიდევ მახარებს, ის არის, რომ მამა ასეთი მაღალი აზრის არის ჩემზე. ფიქრობს, რომ სიმღერაც შემოძლია, წერაც და ფერწერაც ხშირად ამბობს, არ მესმის, რატომ არ მღერისო, და როცა ჩემი მოთხრობა „როდნიკში“ გავგზავნე და არ მიიღეს, გაბრაზდა და თქვა, საოცარია, ღმერთმანი, რა უნიჭოები უღგანან რედაქციას სათავეშიო. შემდეგ რამდენჯერმე მითხრა: მომავალი გამოფენისათვის ნახატი მოამზადეო. ხოლო მიშა ოლსუფიევს იმის გამო, რომ არ ვუყვარვარ, „ბრიყვს“ ეძახის და უკვირს, უკეთესი ნეტავ ვინ უნდაო. ეს ძალზე მსიამოვნებს, მაგრამ თან გამუდმებით მეშინია, რომ უცებ დაინახავს რა ცუდი ადამიანიც ვარ და განმიდგება. შეიძლება ასეც მოხდეს, რადგან ცვალებადი ბუნება აქვს ადამიანების სიყვარულისას.

22 მაისი

გუშინ საღამოს კუზმინსკებთან ტერასაზე ვიყავი და გაცხოველებული კამათი წამოიწყეს პირისახის ფერზე. დეიდა ტანია ამბობდა, მე ამ საქმის პროფესორი ვარო და სახის ფერისათვის გვირჩევედა ამასა და ამას, მინდოდა მეთქვა, რაც თქვენ ჩამოხვედით, სულ აგვირიეთ ცხოვრება, აღარც სიმყუდროვეა, აღარც საინტერესო საუბრები, ერთხელაც აღარ წაგვიკითხავს ხმამაღლა რამე, და რომ ეს მეტიმეტად ძნელია-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე და ჩემს ოთახში ავედი.

ღიას, ძალზე მწყდება გული, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ახლა ჩვენ უფრო იშვიათად გვაქვს ურთიერთობა მამასთან. ამას წინათ თვალები სტკიოდა, დამიძახა კაბინეტში და მთხოვა მისი კარნახით დამეწერა ახალი მოთხრობა. იწყება იმით, რომ მარია ალექსანდრეს ასული, უზარმაზარი ოჯახის დედა, სიბერეში მარტო დარჩა და მონასტერში წავიდა. მამამ მითხრა, დამიწერე მისი გათხოვების ამბავიო, მაგრამ მე სად შემოძლია, ვერც წარმოვიდგენ ვერასოდეს, ამას როგორ გავაკეთებ. რაც კუზმინსკები ჩამოვიდნენ, მამას უფრო იშვიათად ვხედავ და არ შემოძლია ამის გამო მათზე არ გავბრაზდე.

დილაობით ვწერ „თავად ბლოხინს“, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ დიდის გატაცებით ვწერდე. საშუალო მოთხრობა გამოდის, მამა კი აქებს და უკვირს, რა მახვილი თვალი გაქვს, რომ არაფერი გამოგეპარებაო, მეუბნება, შეგიძლია უანრობრივი ნახატები შექმნაო. მე კი ისევ ვფიქრობ: რატომ? ან რა სურათები უნდა დავხატო? რას ვეტყვი ჭკვიანურსა და ახალს ადამიანებს? უამისოდ კი ხელოვნებას აზრი ეკარგება...

7 ივნისი

გუშინ დავამთავრე იმ თხზულების გადაწერა, მამაჩემი ახლა რომ მუშაობდა. თხზულებამ ჩემზე სრულიად უკუ შთაბეჭდილება მოახდინა. ისე აღ-



მაფრთოვანა ამ ნაწარმოებში, რომ ტირილი მომინდა, რაოდენ სასიხარულო და სასურველი მეჩვენა ღვთისთვის იცხოვრო თუკი მთელი სულითა და გულით მოიწადინებ, ერთი, რამაც შემაშინა, ის იყო, რომ ამ ნაწარმოებში უამრავი რამ ვიპოვე, რაიც მანუგეშებდა და გაამართლებდა ჩემს ეგოისტურ ცხოვრებას.

ძალზე მიხარია, რომ ამჟამად ისე მოვიწიფე, რომ მესმის ყველაფერი, რასაც მამა წერს, გუმანით ვგრძნობ მის სულიერ ცხოვრებას და თვალს ვადევნებ, მხოლოდ ვერ გამიგია, რატომ ხდება ასე, რომ მცირედ (ან თითქმის არ) ვასრულებ იმას, რასაც კარგად მივიჩნევ: თავს სხვადასხვაგვარი მოსაზრებებით ვინუგეშებ, ერთ-ერთი მოსაზრება კი ასეთია: მგონია, რომ ჯერ საკმაოდ გონივრულად, ნათლად და პარმონიულად არ ჩამოყალიბებულა ჩემი მსოფლმხედველობა და ჯერ იმდენად მერყევი გონება მაქვს, რომ ცხოვრება ინერციით გრძელდება ძველ რელსებზე და ელოდება გონების სრულ პარმონიას, რათა შეიცვალოს.

მამა დღეს სააგარაკო მატარებლით გაემგზავრა ტულაში სასაკლაოზე და მერე მოგვიყვა ეს ამბავი. საშინელებაა და ვფიქრობ, საკმარისია მამაჩემის მოთხრობა წაიკითხო, რომ ხორცის ჭამას თავი დაანებო. მეშინია ვთქვა, უსათუოდ დავანებებ თავს-მეთქი, მაგრამ შევეცდები. მარხვის მერე ხორცი თითქმის აღარ მიჭამია. მხოლოდ მაშინ, როცა სტუმრად ვარ ან ძალიან მშობია, აი, მაშინ ვაძლევ თავს ამის ნებას.

26 ოქტომბერი. 1891 წ. იასნაია პოლიანა

ჩვენი დონზე გამგზავრების წინა დღეა. გამგზავრება გულს არ უხარია და ძალ-ღონე სულ გამომელია იმიტომ, რომ მამაჩემის მოქმედება არათანმიმდევრულია. ვფიქრობ, არ ეკადრება ფულს განაგებდეს, შეწირულებას იღებდეს ანდა დედას გამოართვას ის ფული, სულ ახლახან თვითონ რომ მისცა. ასე მგონია, თავად მიხვდება ამას.

მამა ამბობს და მეც ასე ვფიქრობ, ხალხი იმიტომ გაუბედურდა, რომ ჩვენ გავძარცვეთ იგი, ჩვენ, მემამულეებმა მივიყვანეთ იგი ამ მდგომარეობამდე, და ახლა მთავარია მისი ძარცვა შევწყვიტოთ. ეს, რასაკვირველია, სამართლიანია, და მამამაც ვააკეთა, რასაც ამბობდა — შეწყვიტა „ძარცვა“. ჩემის აზრით, მეტს ვერც ვააკეთებდა. მაგრამ ის ამბავი, რომ სხვებს გამოართვა ეს ნაძარცვი ფული და როგორც გინდა ისე მოიხმარო, ვგონებ, არ ეკადრება. აჰ, ისე მეჩვენება, არის გაუცნობიერებელი შიშის გრძნობა იმის წინაშე, რომ მას გალანძღავენ გულგრილობის გამო, რომ არ სურს იმაზე მეტი ვააკეთოს დამშეულთათვის, ვიდრე საკუთრების უარყოფაა. სულაც არ ვკიცხავ და შესაძლებელია შევიცვალო აზრი, მაგრამ ჯერჯერობით გული მწყდება, რადგანაც ვხედავ, რომ იმას აკეთებს, რასაც მერე მოინანიებს და მე კი ამ საქმეში მისი თანამონაწილე ვარ. მესმის, რომ უნდა დამშეულთა შორის იცხოვროს, მაგრამ ასე მგონია, მისი საქმეა მხოლოდ ის, რასაც საერთოდ აკეთებს — დაინახოს და შეიცნოს ყოველივე, რაც შეუძლია, წეროს და ილაპარაკოს ამაზე, ხალხთან კავშირ-ურთიერთობა იქონიოს, რამდენადაც შესაძლებელია.

კიდევ იმაზე მწყდება გული, რომ მოსკოვში დედა მეტისმეტად მოუხ-



ვენრად არის, დელავს; დედა პატარებთან მარტო დარჩა. ლევი ამ წუთში აქ არის და ჩვენთან ერთად მოემგზავრება სამარაში.

და კიდევ აი, რაზე მტკივა გული, — მამა ამბობს, ფული თუ დაგვირდება, მაშინ რალაცას გამოვაქვეყნებ ჟურნალში და ფულს ავიღებო. არ ვეტუბნები რას ვფიქრობ, იმიტომ, რომ იქნებ არა ვარ მართალი, და თუ თვითონ დაუფიქრდება, ყოველ შემთხვევაში, ვიდრე თვითონ არ მიხვდება, არ დამეთანხმება. იგი მეტისმეტად თვალსაჩინო პიროვნებაა, ამიტომაც ყველანი მეტისმეტად მკაცრად სჯიან, რომ მან შესძლოს Second best\* არჩევა. განსაკუთრებით მაშინ, როცა მას უკვე არჩეული აქვს first best\*\* მე რომ მარტო ვმოქმედებდე, უსათუოდ ავირჩევდი მეორეხარისხოვან სიკეთეს, არ მექნებოდა პირველხარისხოვანი სიკეთე, ხოლო მამასთან ერთად არ მინდა იმის გაკეთება რაც მას არ შეჰფერის. მიხარია, რომ არც ვკიცხავ და არც ზიზღის გრძნობა მაქვს მისდამი, მხოლოდ მიკვირს და თან შიშს მგვრის ის ამბავი, რომ იგი ცდება. იქნებ მეც ვცდები? ეს უფრო სარწმუნოა.

**28 ოქტომბერი. ბეგიჩევკა**

მესამე დღეა ჩავედით სადგურ კლეკოტკიში. და რადგან იქ ქარბუქი იყო, დამე სასტუმრო ბაკებში გავათიეთ. საღამოს საშინელი ნალველი შემომაწვა, ვწუხდი დედაჩემის გამო, მებრალებოდა, ვწუხდი მამაზეც. მამას ახველებდა, სურდო ჰქონდა და ვაგონის სიციხემ მთლად გააოგნა, ამიტომაც მოწყენილი და მოღუშული იყო. დედას წერილი მივწერე, წავედი სადგურში ჩასაგდებად, და ბნელმა დამემ, ქარმა, რომელიც აფრიალებდა და ლამის მხრებიდან მგლეჯდა ქურქს, კიდევ უფრო გამიძლიერა ნალველი. დამთრგუნველად იმოქმედა გარემომაც; საზიზღარმა ოლეოგრაფიებმა კედლებზე, საშინელმა ავეჯმა და შპალერმა, სულელურმა წიგნებმა. გულათრთოლებული ვფიქრობდი, ხომ არსებობს ამქვეყნად რეპინი, ხომ ვიცხოვრებ ისე, რომ ყველა სიახლეს, საინტერესოს, რაც კი არსებობს ვნახავთ ყველანი — მამა და ჩვენ, გამოვიყენებთ ამას და თან მამა ყოველივეს აგვიხსნის და ხელისგულივით გადაგვიშლის-მეთქი.

დილით დამანუგეშა სითბომ და სიჩუმემ და მამასაც ცოტა სიმხნევე მიეცა. ცხრა საათზე გავემგზავრენით: მამა, ივან ივანეს ძე და დედაბერი, მათ რომ ჩამოიყვანეს, მარხილით გაეშურნენ. ჩვენ ოთხნი კი: მამა, ვერა, მე და მარია კირილეს ასული — მეორე სამარული სამცხენიანი ეტლით. თოვლი სულ ცოტაზეა და ისიც ქარს ხეობაში გადაუყრია, ჩვენი ცხენებიც ძალიან დაიტანჯნენ და ჩვენც დაგვღალა ნჯღრევამ, სიციხემ, რადგან სამოედებივით ჩავიცვით, ასე რომ იმ დღეს არაფერი გაგვიკეთებია.

საღამოს მოვიდა მორდვინოვი და ყველანი ერთად იმაზე ვთათბირობდით, რა გავაკეთოთო. მამამ შემაგონა წამომეწყო სამუშაო გლეხის ქალები-სათვის, რაზედაც დღეს კიდევ ველაპარაკე აქაურ ქალებს. ეს აზრი დიდი ხანია მიტრიალებდა გონებაში ყოველგვარი შიმშილობის გარეშე და თუ ვინცობაა ამ საქმეს აქ დავიწყებდი, მერე იასნაიაში და გარშემო სოფლებშიც

\* მეორეხარისხოვანი სიკეთე

\*\* პირველხარისხოვანი სიკეთე



იმასვე გავაკეთებდი. შემდეგ ივან ივანეს ძემ სკოლა მოგვანდო. ამ ზამთარში გლებებს მასწავლებლის შენახვა გაუჭირდებოდათ, ამიტომაც, ვიდრე აქა ვართ, ჩვენ ვასწავლით. ამას გულისყურით არ ვეკიდები, — თუ დრო მეტნება, ვასწავლი, — ეს იქნება საშუალება დაეუახლოვდე ხალხს და შემშილზე სიმართლე გავიგო. ივან ივანეს ძემ გვიჩვენა დავთარი იმ სასაღილოებზე, ანუ „ობოლთა თავშესაფრებისა“, როგორც აქ უწოდებენ, მან კრემ-გაქსნაყ კქედან ჩანს, რომ ადამიანის გამოკვება, თუნდაც დღეში ორჯერ აჭამო, თვეში ჯდება 95 კაპიკიდან 1 მან. 30 კაპ-მდე. ამ სასაღილოებში 15-დან 30-მდე კაცი დაიარება.

ცხრა საათისათვის მორღვინოვი წავიდა და მაშინვე ნივთების ამოსალაგებლად გავეშურეთ. ქალიშვილებს მინაშენი ორი ოთახი შემოგვთავაზეს, მამასთვის კი ივან ივანის ძის კაბინეტი მოამზადეს, მაგრამ ამ კაბინეტიდან იგი დღეს გადავიდა, რადგან არ უნდოდა წაერთმია ივან ივანის ძისათვის მისი ოთახი, პატარა ოთახი მას უფრო მოსახერხებელი ეჩვენა. ასალაგებელი ცოტა იქნება და ხმაურიც ნაკლებად შეაწუხებს. მაშა და ვერა ერთად მოთავსდნენ. მე და მარია კირილეს ასული ერთად, მაგრამ იგი გამექცა, კარავში პატარა კუთხე გამონახა და მთხოვა, იქ დამტოვეთო. ძალზე სამწუხაროა, რომ ჩვენს შორის ასეთი კედელია. და ჩემთვის ძნელია მისი დანგრევა. როცა ვხედავ, რომ ჩვენთან რცხვენია, მეც უკვე უხერხულად ვგრძნობ თავს და ვფიქრობ, რაც უნდა თავის ნებაზე გააკეთოს-მეთქი. აქ ერთი ჩინებული მოხუცია, მზარეული ფედოტ ვასილის ძე, რომელიც, თუმცა მე არ მსურს, მაგრამ ის კი მოწადინებულია, რაც შეიძლება უკეთ გამოგვკვებოს.

ადრე დავწექით და ყველანი დილით რვა საათისათვის ავდექით. ყავა დავლიეთ, შემდეგ მე და ვერა სოფელში უნდა წავსულიყავით, მაგრამ მოსწავლეებმა შეგვაჩერეს, რომლებიც იმიტომ მოვიდნენ, რომ გვჩვენებოდნენ. გავყუევით მათ და სკოლაში შევედით, პატარა ჭუჭყიანი ქოხი იყო, მიწური — იქ გადავარჩიე წიგნები, გამოველაპარაკე ბიჭუნას და წავედით „ობოლთა თავშესაფარში“.

ფარღალალა ქოხია. შევედი — საშინელი კვამლი და მხუთრი დგას. თანაც სიცივეა. მოველაპარაკე დიასახლისს, ვუთხარი ჩემი განზრახვა, ტილოს მოსაქსოვად სელი იყიდეთ, მე კი შევეცდები მოსკოვში გავასალო-მეთქი. დიასახლისიც და ერთი დედაბერიც, ამ დროს რომ მოვიდა სადილის საჭმელად, თანაგრძნობით მოეკიდნენ ჩემს ნათქვამს. ჩვენ დავიანგარიშეთ (და კიდევ უნდა შევამოწმოთ) რამდენ არშინს რამდენი სელი სჭირდება, მოვილაპარაკეთ, სად შეიძლებოდა ყიდვა; მერე შემშილობაზე ჩამოვუგდე სიტყვა. აქ კიდევ რამდენიმე დედაბერი მოვიდა. შემდეგ იმ პირველმა დედაბერმა თავის ქოხში წამიყვანა.

ქოხი დიდია, ქვისა, და აქაც ისე ცივა, რომ პირიდან ორთქლი გამოდის. მაგიდაზე სამოვარი დგას, ფინჯნები, ზის ჯერ ისევ ჭარმაგი მოხუცი, მისი ვაჟიშვილი, ვაჟიშვილის ცოლი, ლოყებლაყდაყა, ფაშფაშა ქალი და მისი ძმა. ვკითხე: თქვენსა ასე რატომ ცივა-მეთქი, მაგრამ თითქოს გაუკვირდათ ჩემი შეკითხვა, ალბათ შეჩვეულები არიან ასეთ ტემპერატურას. ვკითხე, რით ანთებთ-მეთქი? ტორფითო. მაგრამ ცუდი ტორფია, მიწასავით, უშეშოდ არ ინთებაო, შეშას მხოლოდ ისინი ყიდულობენ, ვინც უფრო მდიდრები არიან, თორემ ისე კარტოფილის ფოთლებით, წივით, ფოთლებით, ნაფოტებით



აჩალებენ, ვისაც რა აქვს. ვკითხე, სადილობის დროა და ჩაის რატომ სვამთ-მეთქი? მიპასუხეს, პური არა გვაქვს, არც რამე საჭმელი, ჩაი მაინც დავლიოთო. ჩაი ხილისა არის: პაწია კოლოფი ხუთი კაპიკი ღირს.

აქ კიდევ რამდენიმე დედაკაცი მოვიდა, ყველანი ლოყაწითელნი და შესახედად ჯანსაღნი ჩანან. პური არავის არა აქვს და რაც ყველაზე უარესია ვერსად იყიდი. მეზობელმა მიაშბო, ამას წინათ ბოლო ოთხი ქართული კაპიკად გავყიდე, გავგზავნე კაცი პურის საყიდლად, მაგრამ ვერსად მიაგნო. გამომცხვარი პურის ყიდვა ურჩევნიათ, რადგან ტორფით არ ჩალება ისეთი ცეცხლი, პურის გამოცხობას რომ სჭირდება. მეორე დედაკაცმა ჩემი თხოვნით საჩვენებლად მოიტანა თათაბოს პურის ნატეხი. პური შავია, მაგრამ მეტისმეტად მწარე არ არის — ჭამა შეიძლება. „ბევრი გაქვთ ასეთი პური?“ — „ბოლო ნატეხია“ (თვითონვე ეცინება). „მერე რას იზამთ?“ — „რას ვიზამთ და მოვკვდებით“. „მერე რა გაციინებს?“ ამ დედაკაცს არაფერი უპასუხნია, მაგრამ უეჭველად იგივე ფიქრი უტრიალებდა თავში, თითქმის ყველანი რომ გამოთქვამენ: მთავრობა გამოგვეკვებავს. ამაში ყველა დარწმუნებულია და ამიტომაც არიან ასე მშვიდად. ნატაშამ თქვა, მე ისეთებიც ვნახე, უკვე რომ ველარ ითმენენ, გაბოროტებულნი არიან, დრტვინავენ, მთავრობა ჩვენს მოლოდინს არ ამართლებსო.

სადილობამდე გორკიში წავედი — ეს სოფელი აქედან ნახევარ ვერსზეა. იქ, „ობოლთა თვშესათარში“ უკვე სადილობდნენ. აქაც ისეა მოწყობილი, როგორც ბეგიჩევკაში, ქვრივთან. პატარა, საქათმესავით ქოხია, საკმაოდ თბილი. მაგიდასთან ათზე მეტი ბავშვი იჯდა, პურს დინჯად აშველებდნენ კოვზს ქვემოდან და ქარხლის მკლავს ჭამდნენ. ბავშვები კარგები არიან, საკმაოდ ჯანსაღნი, მაგრამ ზოგიერთს დიდი, სერიოზული ადამიანის გამომეტყველება აქვს, ჩვეულებრივ ასეთი სახე ისეთ ბავშვებს აქვთ, ბევრი გაჭირვება რომ უნახავთ. იქვე დედაბრები იდგნენ და თავის რიგს ელოდნენ. როგორც ცხოვრობთ-მეთქი, გამოვკითხე რაღაც-რაღაცები. ერთმა დედაბერმა მიპასუხა, ცუდად არის ჩემი საქმე, არსად არაფერს მაძლევენ და თან მსაყვედურობენო. ჩანდა, ამის გამო ძალზე წყდებოდა გული. მითხრა: ეს სასადილო მაცოცხლებს და სადილობამდე სული ძლივს მიმაქვს, რადგან შინ არაფერი მაბადიაო. „აქ რომ არ გვაჭმევდნენ, დიდი ორმო უნდა გავთხაროთ და ყველანი ერთად ჩავწვეთ“. ამის გამგონე დედაბრები ატირდნენ და როცა ღიასახლისმა გვითხრა, სულ გვეკითხებიან, ღმერთს ვინ შევავედროთო, ყველანი აქსუტუნდნენ, ავიშვიშდნენ, პირჯვარს იწერდნენ და თან სიტყვას აყოლებდნენ. დაველოდე კიდევ რას მისცემდნენ ბავშვებს, ცივი ქარხლის მკლავის მერე შჩი, თითონაჭერი პური და შეჭამანდი მისცეს.

ჩამოვიდა მაშა და რამდენიმე საინტერესო ამბავი ჩამოიტანა — თურმე ბავშვებს პირველად არ სჯეროდათ, რომ თათაბოს პური ნამდვილი პურია, ამბობდნენ, მიწა არისო, ძირს აგდებდნენ და ტიროდნენ. ახლა შეეჩვივნენ. კიდევ ერთმა ქალმა თქვა, რომ იქ უამრავი გადაუხურავი ქოხია — სახურავები შეშად მოიხმარეს, ახლა საჩეხებს მიადგნენ დასამტკრევად და დასანთებადო.

საღამოს ერთი დედაკაცი მოვიდა, ცდილობდა როგორმე ატირებულყო, კაბას ითხოვდა, ფულსაც ითხოვდა, ტილო მიყიდეთო, გვითხრა და მომეჩვენა, თითქოს მხოლოდ იმიტომ იყო მოსული, რომ ალბათ გაიგო, დასახმა-



რებლად არიან ჩამოსულები და არიქა, შემთხვევა ხელიდან არ გავუშვავო. არაფერი არ მიმიცია, ვუთხარი, შენს ამბავს ივან ივანეს ძეს გამოვკითხავ-მეთქი. იფიქრა ალბათ, ჩემი „ობოლთა თავშესაფარში“ მიღება უნდა სწორედ სოციალური და ამაყად და კვებნით მიიხრა, იქ საჭმელად არ წავალო. ვკითხე, რატომ არ წავალ-მეთქი? „არა, გეთაყვა, რას ამბობთ, ქმარი მყავს, რუგორ შეიძლება?“ ჩანს, სირცხვილად მიაჩნია. მით უკეთესი. მეშინოდა, ასეთ მსადასოვნებში მაცდუნებელი აღმოჩნდება და საჭმელად ისეთებიც მივლენ, ვისაც არც ისე უჭირთ-მეთქი. გამოდის, მხოლოდ ისინი მიდიან, ვინც უკიდურესად გაჭირვებულია და სხვა გზა არა აქვს.

ვკითხულობ „Robert Elsmere“ და თავს გამოვუტყდი, რომ როცა ვკითხულობ იმ ადგილებს, სადაც აღწერილია საინტერესო საზოგადოება, მუსიკა, ლიტერატურული წრეები და საერთოდ მაღალი წრის ხალხი, სიამოვნებით გადავდივარ ოცნებით იმ სამყაროში და ვფიქრობ, მუდამ ხომ არ ვიცხოვრებ მივარდნილ ადგილას, დადგება დრო, როცა დავინახავ კარგ ნახატებსაც, ცივილიზებულ და ჩინებულ ადამიანებსაც და მუსიკას გავიგონებ-მეთქი. ჯერ არ მინდა აქედან წასვლა და მიხარია, აქ რომ ვარ. საკუთარ მოვალეობად მიმაჩნია ვიტვირთო ამ წლის მძიმე ხვედრი, თანაც აქ მამაჩემია ჩემ გვერდით და მან შემივსო ცხოვრება. მაგრამ მთელი ეს სამყაროც მომხიბლავია და სამუდამოდ რომ განუდგე, აუტანელი და მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება, უიმედო, სასოწარმკვეთი.

### 31 ოქტომბერი. დღის 10 საათი

გუშინ რვა საათზე ავდექი. ცოტა გადავწერე მამაჩემის ნაწერი, გამოვჭერი ბამბაზის კოფთა და მარია კირილეს ასულთან ერთად ეკატერინენსკოეში წავედი. პირველად გზა მიგვასწავლეს არა იმ ეკატერინენსკოეში, ჩვენ რომ გვინდოდა, ტყუილუბრალოდ ჩავედით გორკიში და ისევ უკან გამოვბრუნდით. მშვენიერი ამინდი იყო, მზე ანათებდა, მაგრამ ყინავდა. თოვლი ჯერ კიდევ არ მოსულა. ისევ გადავიარეთ დონზე, შევედით სოფელში და პირველსავე შემხვედრ სამ ბაღს ვკითხე, „ობოლთა თავშესაფარი“ სად არის-მეთქი. წამობრძანდითო, გვითხრეს, სწორედ იქ მივდივართო. ორნი ბიჭები არიან, ასე 10-12 წლისანი. გოგონა ბევრად უმცროსია, ხელები სახელოებში ჩაუმაღავს და ისე მისდევს გვერდით. პაწაწა ფეხებზე პაწია ქალამნები აცვია.

ვიდრე სოფლის იმ მხარეს მივდიოდით, სადაც სასადილოა, ბავშვებმა სხვა ბავშვებიც გამოიყოლეს და ასე ათიოდ ბავშვი შეგროვდა. ყველას ცუდად აცვია, განსაკუთრებით სამ ბავშვს სოლოვიოვების სახლიდან. ჩამოგლეჯილი კაზინეტის ტყაპუკები ნიდაყვებთან და წელში სულ ჩამოძენძილა. უფროს გოგონას ოთხი წლის ძმა ხელით მოჰყავს. მეორე ხელი უბეში ჩაუმაღავს, — გალურჯებული და შეშინებული სახე აქვს, ჩოროთით მისდევს დას.

მივედით „ობოლთა თავშესაფარში“ — იქ უკვე ბლომად შეკრებილა ხალხი. დიდი სოფელია, სამოცდათექვსმეტი კომლი ცხოვრობს და ბევრს უარს ეუბნებიან ამ თავშესაფარზე. აქვე, ფარდულში მოხუცი, დაგრეხილი დედაბერი კვნესის. კარდაკარ მოსიარულე მათხოვარია, მეორე სოფლიდან არის, აქ ძალღმა წააქცია და ამის შემდეგ ფეხები წაერთვა. მოიტანეს ხელით „თავშესაფარში“ და თვეზე მეტია აქ წევს. შიშველ სხეულზე დაგლეჯილი



კოფთა აცვია. ქოხში ტორფის საშინელი მყრალი სუნი დგას. დედაბერი რამდენჯერმე დაიხუთა. სიკვდილს უხმობს და ჩივის, რად არ მოდისო. ზრს ნარზე, ცალ თვალზე ლიბრი აქვს გადაკრული, გამხდარი გრძელი კისერი სულ დანაოჭებია, სუსტი ხმით ლაპარაკობს და ცოტა თავს აჭიციანებს ერთ მხარეს. დიასახლისი ჯერ არ მოსულიყო, აღარც დავლოდებოდა, რადგან მანამდე იყირილეს ასულს აზიდებდა ამ სიმყრალისა და შმორისაგან და შინ წამოქედიტ.

გზად გვერდით ჩაუთარეთ ერთ გლეხს, რომელიც ბარდას ანიავებდა, მეორე კი დედაკაცთან ერთად შვრიას ცეხავდა. გამოველაპარაკე. მითხრეს, მეტი აღარ დაგვრჩა და სათესლედ უნდა შევინახოთო. ერთი ქოხიდან დედაკაცი გამოვიდა, როგორც ყველას, მასაც მოკლე კაბა ეცვა, სარაფანი ძლივს უფარავდა მუხლისთავეს, ფეხშიშველა იყო, გამოველაპარაკე და ქოხში შევედი. ისხდნენ: მისი ქმარი და სამი წლის გოგონა. ორი ბავშვი „თავშესაფარში“ იყო წასული სადილის საქმელად. გოგონა უფერულია, სულ კრუსუნებს და საითკენღაც თითს იშვერს, თითქოს რაღაცას თხოულობსო. ვკითხე, თუ ისადილეთ-მეთქი. არაო-მითხრეს, „რა უნდა სჭამოთ“? — „პური“. „მაჩვენეთ როგორი პურია“. დიასახლისმა გამოიტანა მიწასავით შავი თათაბოს პური. „გოგონას რას მისცემთ?“ „გოგონას კარტოფილი აქვს“. მან ლუმელიდან გამოიღო და თიხის ჯამზე რამდენიმე კარტოფილი დადო. ერთი გოგონას გაუწმინდა. გოგონა ჭამდა და მაინც კრუსუნებდა. სახე დარდიანი ჰქონდა, მოზრდილი ადამიანი გეგონებოდა.

ქალმა მითხრა, ძალიან კარგი გოგონა იყო, მხიარული, უკვე დადიოდა, ის კი არადა, ხტუნვა-ხტუნვით დარბოდაო, ახლა კი სიარულს თავი დაანებაო. ვკითხე, ავად ხომ არ არის-მეთქი, არაო, მითხრა, ღმერთმა დაგვიფაროს, ისე სულ ტირისო. ამ დედაკაცს გავაცანი ჩემი გეგმა ტილოსთან დაკავშირებით და ისიც სხვებივით თანაგრძნობით შეხვდა ჩემს წინადადებას. მერე სახლში წამოვედით, გზად მხოლოდ მამასახლისთან შევიარეთ, რათა გვეკითხა კიდევ სად შეიძლებოდა თავშესაფრის მოწყობა. აქ კიდევ დედაბერი მოვიდა, მეც მიმიღეთო.

ნასადილევს ივან ივანეს ძემ მოგვცა სია იმ პირებისა, რომელთა ხვედრი უნდა გაგვეგო და შემდეგ ცნობები წითელ ჯვარში მიგვეწოდებინა. ავიღე ეკატერინენსკოელ ლატაკთა სია და ისევ უკან დავბრუნდი, სამი ოჯახის მდგომარეობა უნდა გამეგო.

პირველი ოჯახი იმდენად საცოდავი არ მომჩვენებია. მდაბალი აზნაურია— ცოლი, დედა და ოთხი ბავშვი ჰყავს — ერთი ავად არის, არც დასანთები აქვთ რაიმე და არც საქმელი, მაგრამ ქოხში თბილა და მაგიდაზე ნახევარი მრგვალი პური დევს ჩამონაჭრებით. ადრე ივან ივანეს ძესთან ცხოვრობდა. მაგრამ ახლა ქარხანაში სამუშაო აღარ არის და ჯამაგირს ვინ მისცემს. აქ დამხვდა ქალი, დილით სასადილოში რომ ვნახე, მან თავის ქოხში წამიყვანა. პაწია ქოხია, ერთი ფანჯარა აქვს და ისე ცივა, ამონასუნთქი ჩანს. „რით ანთებ ლუმელს?“ — „ფიჩხი შემოდგომაზე მოვაგროვე და ცოტაცოტაობით ვიზოგებ“. „კიდევ თუ მაინც დაგვრჩა?“ „მაქვს ჯერ ცოტა—ჭერში“.

მერხი არა აქვს, მხოლოდ ერთი ძელსკამი უდგას. ვიდრე მასთან ვიჯექი, შემოვარდა მისი გოგო აყვირებული, გაბრაზებული და ატირებული. მოვკვდი. ხელები გალურჯებული ჰქონდა, ცდილობდა მიტყუებებული თითები პირში გაეთბო. დედამ მაშინვე ჩხრეკა დაუწყო, რადგან გოგონა წისქვილიდან მოვი-



და, სადაც ფქვილის სათხოვნელად იყო წასული. უბეში აღმოუჩინა ქერელის ნატები, ჭიბეში — მეორე ნატები. ფქვილი არავის მიუცია. დედაც კი გადავეცი, რაც მიპასუხა ივან ივანეს ძემ, ეკატერინენსკოეში მეორე სასადილოს გახსნის თაობაზე. არათუ მეორეს გახსნიან, ამ სასადილოშიც დღეის მეტად აღარავის აჭმევდნო. ქალი მთლად გაშტერდა. „რა უნდა ექნათ, უნდა დავიხოცოთ?“ დავამშვიდე, პურს ხელზე დაგირიგებენ, მე კი რაღაცას ვიღონებ, რომ სასადილო ისევ გახსნან-მეთქი. სწორედ ამის გაკეთება მაქვს განზრახული.

მერე მოხუც ცოლ-ქმართან მივედი. ორნი ცხოვრობენ ქოხში. მოხუცი ღუმელზე წევს — ავად არის. ქოხიც ძალიან პატარაა, ბნელი და ცივი. მიწა არა აქვთ, ასე რომ, არც არაფერი აბადიან...

### 6 ნოემბერი. დღის 11 საათი

წინათგრძნობისა რომ მჭეროდეს, ვიტყვოდი, გული რაღაცას ცუდს მიგრძნობს-მეთქი: გამუდმებით რაღაცნაირი მძიმე შეშფოთების გრძნობა არ მცილდება, თანაც სავსებით უმიზეზოდ და პირდაპირ მტანჯავს, განსაკუთრებით საღამოობით. ამ გრძნობას ვასაქანს არ ვაძლევ, თორემ უსაშველოდ გაიზრდებოდა. დედაჩემის ამბავი მაწუხებს, ლევიც სამარაშია და იმაზეც ვდარდობ, ხოლო მამის გამო ისეთი შიში მეუფლება, რომ თუ სასეირნოდ წავა და დაბრუნება დაავიანდება, ან თუ რაიმეს საზიანოს შექამს, მაშინვე გული მწიწკნის, მტკივა და მინდა სირაქლემასავით თავი ქვიშაში ჩავრგო, რომ არც არაფერი გავიგო და არც არაფერი დავინახო.

აქ იმდენი საქმეა, რომ სასოწარკვეთილებაში ვვარდები — ყველა გაჭირვებულია, ყველა უბედური, დახმარება კი შეუძლებელია. ყველანი რომ ფეხზე დააყენო, თვითეულ კომლზე ასი მანეთი მაინც არის საჭირო, მერე კიდევ ბევრი ლოთობისა და სიზარმაცისაგან ასეთსავე დღეში ჩაცვივდებიან. ამ წლის მოუსავლიანობა კი არ არის ასეთი გაჭირვების მიზეზი, არამედ მძიმე ცხოვრება. საქმე ის არის, როგორც მამა ამბობს, რომ არსებობს უზარმაზარი უფსკრული გლეხებსა და ბატონებს შორის და რომ ბატონებმა ისე დაიმონეს გლეხები, რომ მათ არავითარი სამოქმედო სივრცე აღარ დარჩათ. ვფიქრობ, ახლანდელი მდგომარეობა დიდხანს არ გასტანს და ამ წელიწადს იქნებ საქმე უცაბედად შემობრუნდეს.

აქ ხშირად გაიგონებ ჩივილს ბატონებზე, საერობოზე და თვით „იმპერატორზე“. გუშინ ერთმა გლეხმა გვითხრა, იმპერატორს რაში ვენაღვლებით, თუნდაც ყველანი შიმშილით ამოვწყდეთო. ამდაგვარი ამბავი გუშინ ივან ივანეს ძემაც მოიტანა: თურმე უამბეს, რომ პისარევის მეზობელი სოფლის რამდენიმე გლეხს ოცი მანეთი შეუკრებია და მოსკოვში საჩივლელად წასულან სერგეი ალექსანდრეს ძესთან. ამბობენ, გლეხები ამის გამო დაუჭერიანო.

ახლა კიდევ გამოიცა ეს იდიოტური და სასტიკი ბრძანება მინისტრისა, რასაც ზინოვიევი ყველას უგზავნის. ბრძანების თანახმად, საერობო უნდა დაეხმაროს მხოლოდ იმ გლეხებს, რომლებიც ამას იმსახურებენ, და წაართვას შემწეობა იმათ, რომლებიც უარს განაცხადებენ რომელსამე შეთავაზებულ სამუშაოზე. ასე რომ, თუ გლეხს დაიჭირავენ აქედან კლექოტოკში (30 ვერსშია) ორ შაურად და იგი არახელსაყრელად მიიჩნევს, მაშასადამე, მას ყოველგვარი დახმარება უნდა მოუსპო და შიმშილით სასიკვდილოდ გაიმეტო.



საშინელებაა პირდაპირ, თავიანთ კაბინეტებში მოკალათებული ადამიანები რას არ მოიფიქრებენ! და ამ ზომებს ხომ იმ გლეხების მიმართ იყენებენ, რომლებიც ასჯერ უფრო ჭკვიანები არიან ყველა ზინოვიევსა და ლურნოვოვზე. მათ კი ისე ეპყრობიან, როგორც პაწია ბავშვებს, ღვანან და ყოყმანობენ, ღირსნი არიან თუ არა ეს ბავშვები კამფეტისა.

ამას წინათ წერილი მივიღე რეპინისგან. მწერს, რომ ჩემი წერილი მისთვის უდიდესი სიხარულია. ნეტავ მაცოდინა, ისევე სასიხარულოა, როგორც მისი წერილებია ჩემთვის? რა დამოკიდებულება აქვს და რას ფიქრობს ჩემზე — ძალიან მაინტერესებს.

მე იგი ძალიან მომწონს, როგორც მხატვარი, და მიყვარს, როგორც ადამიანი. მაგრამ ვგრძნობ, რომ თუმცა მე მისი მეგობარი ვარ, იგი ჩემი მეგობარი ვერ იქნება. ალბათ არც უნდა. მას სიამოვნებს, რომ რაღაც წვლილი მიმიძღვის მის ცხოვრებაში, და ისიც, მასთან რომ ვმეგობრობ. სიამოვნებს, რომ სწორედ მამაჩემის ასული ვარ და რომ ჩემი მეშვეობით აქვს ურთიერთობა მამასთან. ვგონებ, ჭკვიანადაც მივაჩნივარ. ყოველივე ეს კმაყოფილებას მანიჭებს.

იასნაიაში მისი ყოფნის ბოლო დღეებში დეიდა ტანია მსიტყვა გადმომკრა, მისი გრძნობა შენდამი უფრო მეტია, ვინემ უბრალო თანაგრძნობა. და რომ იგი სწორედ ამის გამო მიემგზავრებაო. ზოსიაც ამასვე მეუბნებოდა და თვითონაც ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ჩვენი დამოკიდებულება რაღაც სხვანაირი იყო, მაგრამ ახლა მიწერ-მოწერით დავამყარეთ ის ურთიერთობა, როგორც სასურველია და ამ ურთიერთობას არასგზით არ დავკარგავ.

იგი მწერს თავის ნახატებზე — ნეტავი მაცოდინა, რას ფიქრობს ან რას გრძნობს; როცა მათ ხატავს! გამომგზავრების წინ გამომიგზავნა თავისი სურათების მთელი სერიის ფოტოგრაფიები და როცა ვათვალიერებდი, მიკვირდა: საიდან იღებდა ყოველივე ამას? თვითონ ისეთი გაუბედავია, შეიძლება იფიქრო, სუსტი ნებისყოფის კაციო, და უცებ ასეთი ძლიერი, თამამი და ორიგინალური ნახატები კი აქვს. როგორ ხდება ეს? უდავოდ, ნიჭი რაღაც ზებუნებრივი სტიქიური ძალაა, და ალბათ არა მხოლოდ გაუცნობიერებლად გადმოჩქეფს, არამედ თითქმის ადამიანის ნება-სურვილის გარეშე.

დღეს ქარბუქია, მაგრამ მაინც მომიხდება ეკატერინენსკოეში წასვლა სასადილოს გასახსნელად. რა მრავლად არიან საცოდავი ადამიანები! იშვიათია დღე, მაშა და ვერა რომ არ ქვითინებდნენ და თუმცა მე უფრო მტკიცე ხასიათი მაქვს, ზოგჯერ მეც ამიჩვილდება გული. ამ დღეებში გლეხის ქოხში შევედი — უამრავი ბავშვია, საჭმელი კი არაფერი აქვთ. იმ დღეს დილიდანვე არაფერი ეჭამათ. ქოხის ერთი კედელი ცეცხლს შეუკეთეს გასათბობად და მის სანაცვლოდ გლეხმა ქვის კედელი ამოიყვანა. „რამდენი ბავშვი გყავს?“ — „ექვსი“. „რა ჭამეთ დღეს?“ „დილიდან არაფერი გვიჭამია, ბიჭი წავიდა სამათხოვროდ, იმას ველოდებით“. „ეს როგორ იქნება, ბავშვები ცოდონი არიან“. „სწორედ ესენი მედარდება, ჭირიმე“. გლეხი შებრუნდა და აქვითინდა.

7 ნოემბერი. დილის 11 საათი

ეს-ეს არის მოვბრუნდით მორღვინოვებისაგან, სადაც ღამე გავათიეთ, რადგან ქარბუქში ვერ შევძელით უკან დაბრუნება. იქით ფეხით წავედით,



დონს გავყევით, პირქარი გვცემდა, ძლიერი ქარბუქი მძვინვარებდა, იქიდან კი უკვე ვეღარ გამოვალწევდით.

დედამ წერილი გაგზავნა „რუსკიე ვედომოსტიში“ და მალე ერთ მშვენიერ დღეს ოთხას მანეთამდე გამოუგზავნეს, მერე კიდევ სტრაზოვმა მისცა ასი მანეთი, მამას სპექტაკლ „განათლების ნაყოფის“ ყოველდღიური მთლიანი შემოსავალი, რომელიც გამიზნული იყო დამშეულთათვის, მაგრამ სპექტაკლზე გრანდიოზული შემოწირულებანი ალბათ ინგლისიდან მოვა, რადგან მამამ წერილი მიიღო, ინგლისელები შეწირულებას სთავაზობდნენ. მამამ თანხმობა გაუგზავნა და მისწერა, რომ იმ ფულს, რომელიც აქ არ დასჭირდებათ, იგი გადასცემს უფრო გაჭირვებული გუბერნიების ერობას. ისევ არ მომწონს მამაჩემისა და ფულის ხსენება ერთად. *Il ya quelque chose qui cloch\**. მდიდარ ქალიშვილს რომ ურჩია, 200 ათასი დასწვიო, გაცილებით უფრო ესადაგება მის შეხედულებებს. აქ კი რაღაც კომპრომისია, თუმცა ნათლად ვერ გამომიტყვამს, რაში გამოიხატება ეს კომპრომისი.

გუშინ და დღეს არაფერი გამიკეთებია — ეს მტანჯავს. მთელი ორი დღე ვილაცამ უნდა იშიშვლოს მხოლოდ იმის გამო, რომ გუშინ მე ვშფოთავდი, მამა რომ მარტო გავუშვი მორდვინოვებთან, დღეს კი მრცხვენია მეორედ ვუბრძანო ცხენების შებმა, განა ეს მიზეზია, და თუ ოდნავ მაინც შესაძლებელი იქნება, ნასადილევს ან ფეხით წავალ ან გავემგზავრები ეკატერინენსკოეში სასადილოს გასახსნელად.

ძლიერი ქარბუქია და ალბათ არ გამიშვებენ, მაშინ უნდა დავწერო ის, რაც მინდოდა; გაზეთებს მივწერ, როგორ უნდა გამოვიყენო გამოგზავნილი ფული. უკვე მივიღე ფულადი განცხადება ექვს მანეთზე. აქ თავმოყვარეობა და ლიტერატურა გვერდზე უნდა მოისროლო და დაწერო მარტივად და რაც შეიძლება მართლად ყველაფერი, რასაც ხედავ, იმიტომ, რომ ეს აუცილებლად საჭიროა. ჯერ ერთი, ბევრნი, რომლებიც ამბობენ, არ არსებობს შიმშილი, გაიგებენ, რომ არსებობს და თანაც როგორი შიმშილი! მეორეც, რაკი საქმეში გამოვცადეთ დახმარების ისეთი ფორმა, როგორიც არის სასადილოები, მათზე დაწვრილებით უნდა ეუწყოს ყველას და, ვინ იცის, ეგების სხვებმაც მოგებადონ, შესაძეც, ეგების ვილაც-ვილაცებს სიბრაღის გრძნობა და დახმარების სურვილი აღუძრას, რაიც მუდამ სასურველია.

აქ ისე ძალიან ცივა, წერაც მიძნელდება.

სალამოს შვიდი საათია. თუმცა ძნელი იყო, მაგრამ ნასადილევს ეკატერინენსკოეში წავედი და მიხარია. ამოვირჩიე ქოხი, სადაც სასადილო იქნება, მასახლისთან მივედი და ვუთხარი, საზიდარი გამოჰყავი სურსათის ჩამოსატანად-მეთქი. რამდენიმე გლეხიკაცი ვნახე და დღეს შიმშილობის საკითხის კიდევ ერთი მხარე აღმოვაჩინე — გლეხებმა უკვე იციან, რომ გაზაფხულისთვის მიწა შემოეჭმებათ, ამიტომაც არ უფროთხილდებიან არც ცხენებს, არც თესლს. ვთქვამთ და, რომც სურდეთ, მაინც ვერ შეძლებდნენ. მაშინ რა მოხდება?

ხშირად ვფიქრობ, ნეტავ რით დამთავრდება ეს წელიწადი-მეთქი. და ვერც წარმომიდგენია, რა დღეში ჩაცვივდებიან გლეხები. მათ მეურნეობაში ხომ ქვა ქვანზე აღარ დარჩება. ხოლო კულაკები, ვაჭრები, მავანი მეწისქვილეები და სხვები, რომლებმაც ახლა გროშებზე იყიდეს პურიც, საქონელიც, — გამდიდრ-

\* საძრახი შეჩვენება (ფრანგ.).



სელი გააკეთებინა, რასაც დიდი მოწონება ჰქონდა. კერძი ყუათიანია და თანაც იაფი, ამიტომ გვინდა სხვაგანაც შემოვიღოთ მისი კეთება.

დღეს ივან ივანეს ძემ გასაყიდი შეშა აღმოაჩინა, ძალიან მიხარია, თორემ არ იცოდა ტორფით ლუმლის დანთება. ან იქნებ არც შეიძლება. ივან ივანის ძემ ეპიფანიდან ხაბაზი გამოიწერა, და სუროგატებისაგან პურის სხვადასხვა სინჯებს ამზადებინებს. ყველაზე უკეთესი გამოდგა ქართლში<sup>1</sup> ჩინი პური — ორ ფუთ პურის ფქვილს ურევენ წინასწარ მოხარშულ და დასრულს ორ ფუთ კარტოფილს, ჩინებული პური გამოდის. ჩვენ სადილად ასეთ პურს გვაძლევენ და ნამდვილი პურისაგან თითქმის არ განსხვავდება. ხელსაყრელი იმითაც არის, რომ უფრო იაფია და მაშინ როცა კარტოფილის გადატანა ყინვაში არ შეიძლება, სამაგიეროდ კარტოფილის პურისა შესაძლებელია. სცადეს პურის გამოცხობა ქარხლის ნარჩენებისაგან, რომელსაც შაქრის ქარხნებში ფუთს ორ კაპიკად ყიდიან და ფრიად ყუათიანია, მაგრამ პირველი სინჯი არ გამოდგა, პურის ცომი ჩავარდა და ნოტიო გამოვიდა, ახლა კი შევეცდებით ბორში მოვხარშოთ. წამოიჭრა საკითხი, შეიძლება თუ არა მოყინული კარტოფილისა და შაქრის ქარხლის მოხარშვა, ვსინჯეთ და აღმოჩნდა, რომ თუ გაუმლავალს პირდაპირ მოვხარშავთ, ვერც განასხვავებ გაუყინავისაგან.

ბევრს რასმე გვასწავლის წლევიანდელი წელიწადი, მაგრამ ნეტავ როგორ დამთავრდება იგი?

### 9 ნოემბერი. დღის 2 საათი

დღეს დილით ეკატერინენსკოეში წავედი და უკან რომ ვბრუნდებოდი, ასეთი აზრი მომივიდა: რა მოხდება, თუნდაც ერთი „თავშესაფარი“ გავხსნა ისეთი, რომ წინასწარ არ შევადგინოთ მსურველთა სია და ყველა მსურველი შევუშვათ შიგ. ეს იმიტომ მომაფიქრდა, რომ სინდისის ქენჯნა ვიგრძენი: ხელთ მიპყრია იმ ადამიანების ბედი და *du haut de mou lux\** ვმსჯელობ, ვის ნაკლებად და ვის მეტად შია-მეთქი. საერთოდაც, არასდროს ისე არ მრცხვენოდა, მდიდარი რომ ვიყავი, როგორც მაშინ, როცა მოდიოდნენ დედაბრები და მუხლებში მივარდებოდნენ ორშაურიანისა ან ნატეხი პურის გამო. მე კი მაგიდის უჯრაში ასობით მანეთი მედო, რომელზედაც მათი ბედი იყო დამოკიდებული. არა, არ უნდა მქონდეს ფული, აქ რაღაც სხვა ამბავია, ტყუილად კი არ ვეთაკილება, როცა ფულთან გაქვს საქმე.

მამამ ძალიან მოიწონა ჩემი გეგმა, სასადილოში განურჩევლად ყველანი რომ შევიდნენ, ივან ივანეს ძეს კი ეშინია, არეულობა იქნებაო, მაგრამ მაინც უნდა ვცადო. გორკის ავირჩევ, რადგან ახლოსაა და ყოველდღე შემეძლება წასვლა. მამამ თქვა, თავდაპირველად მეც ასეთი გეგმა მქონდაო.

### კვირადღე, 17 ნოემბერი. დღის 12 საათი

სიცხე მაქვს, 38, 40, მაგრამ თავს საკმაოდ სასიამოვნოდ ვგრძნობ. ყურებში რაღაც მიგუგუნებს და საფეთქლებში მირტყამს. დღისით ისე მტკიოდა ზურგი, რომ ვიწექი საწოლში და ტკივილისა, მოუთმენლობისა და სიბრაზისაგან ვტიროდი. მოვიდა მამა, სთხოვა მარია კირილეს ასულს, კარგად დაზილეთო, რის შემდეგაც ჩამეძინა.

\* საკუთარი ფუფუნებიდან გამომდინარე (ფრანგ.).



დებიან და გლებებს სულ დაიმონებენ, თუ, რა თქმა უნდა, გლებები ამის ნებას მისცემენ და არ აღუდგებიან, რაც სავსებით შესაძლებელი და მოსალოდნელია.

ობოლენსკისაგან წერილი მივიღე — ცენზურა ჩემს კრებულს რაღაც დაბრკოლებებს უქმნის, მაგრამ იმედი მაქვს, ვაჯობებო.

ახლა მოვიდა გლები და მითხრა, ორი დღეა არაფერი შექმნილი, მალე ასეთები ბევრი იქნებიან.

კიდევ ერთი ნიშანი სილატაკისა — სალამობით იშვიათად თუ გამოჩნდება ქობში სინათლე...

### 8 ნოემბერი. ხალამოს რვა საათი

ვივარდით და ჩვენ-ჩვენს ოთახებში წავედ-წამოვედით. დილით დედას წერილი გავუგზავნე და ჩერნოვიდან გამოგზავნილი დედაჩემის „აპუბტინისა და სხვების წერილები წავიკითხე.

დედა მწერს, მამას სტატია გაუშვეს, მე და სტრახოვმა ფეტთან ვისაძილეთო, იქ წაიკითხეს და ძალიან მოეწონათ ეს სტატია. აპუბტინი სწერს მამას, ჩემთვის პირადი უბედურებაა ის ამბავი, რომ თქვენ, შემოქმედი ადამიანი, მქადაგებლად გადაიქცეით და რომ თქვენი ქადაგება თქვენთან ერთად მოკვდება, ხოლო თქვენი მხატვრული ქმნილებები მუდამ მოახდენენ გავლენას ადამიანთა ცხოვრებასა და განვითარებაზეო. წერილი მეტად თავაზიანად, სიფრთხილით და შეძლებისდაგვარად მოფიქრებულად არის დაწერილი, მაგრამ იგრძნობა, რომ წერილის ავტორი განცხრომის მოყვარული ადამიანია, შემოფოთებული იმის გამო, რომ სურთ ყველა სიამე წარსტაცონ. მას ძალზე უკვირს, როგორ შეუძლია მამას ასეთი რამ დაწეროს: „არ არის საჭირო გემრიელი საჭმლის ჭამა“. მისთვის ყოველგვარი აკრძალვა სიხარულის მომნიჭებელი კი არა, რაღაც აღმაშფოთებელია და უსამართლო. იგი წერს, რა საჭიროა ასე მოიქცე, შენს თავს ცუდი გაუკეთო და არ ეცადო, სხვებს კარგი გაუკეთო. თითქოს მხოლოდ მაშინ მოიპოვებს კაცი უზრუნველსა და ყოველივე ამქვეყნიური სიამით სავსე ცხოვრებას, როცა საკუთარ სიცოცხლეს გაიღებ მსხვერპლად სხვათა ბედნიერებისათვისო.

მოსკოვიდან ჩამოვიდნენ ვანია და პეტია რაევსკები, ი. ალ. ბერგერი. დედამ მათ წერილი გამოატანა, ოთხივე ბავშვს სიცხე ჰქონია, მაგრამ ფილატოვს უთქვამს, ეს ინფლუენცია არისო და სამ დღეში სავსებით გაუვლითო.

დედას სამი ათას მანეთზე მეტი შეუკრიბავს და ჩვენ გამოგვიგზავნა ათასი მანეთი მოროზოვისაგან და ორას სამოცდაცამეტი მანეთი მამაჩემის სტატისათვის „რუსკიე ვედომოსტისაგან“. ლამის დამატროს ამდენმა ფულმა, მაგრამ თან არც მსიამოვნებს, სად უნდა წავილოთ, როგორ გავანაწილოთ.

დღეს ჩამოვიდნენ ეკატერინენსკოედან მარაგის წასაღებად და ხვალ გაიხსნება ჩემი „თავშესაფარი“, მაგრამ იქვე მეორეც უნდა გაიხსნას, თორემ სოფელი დიდია — სამოცდათექვსმეტი კომლი ცხოვრობს.

11 საათი. ძილი მერევა, მაგრამ უსათუოდ უნდა მივწერო წერილი რეპინს, სონია მანონოვას და დავამთავრო სვეჩინთან გასაგზავნი წერილი; მამამ მე მომანდო ეს საქმე უნდა ვაცნობო, რა კეთდება ჩვენთან, და ვკითხო, როგორ იყენებენ მასთან სიმინდს. მამამ აქაურ „თავშესაფარში“ შვრიის კი-



გუშინ საღამოს მამამ, იმ კაცმა, ბოგოიავლენსკიმ, ჩისტიაკოვმა და მე ბევრი ვისაუბრეთ იმაზე, რა ელის რუსეთს და თუმც მამა ამბობდა, რამდენსაც არ უნდა ვეცადოთ, წინ მაინც გარდაუვალი დაღუპვა არისო — ამან როდღი წარმიკვეთა სასო. სხვებს როცა ვუსმენ და თვითონაც ვფიქრობ, არ შემიძლია არ დავეთანხმო ამ აზრს, მაგრამ ვფიქრობ, მაინც არსებობს რაღაცეები, თუ ადამიანების უმეტესობა არ დაზოგავს ძალ-ღონეს რაიმეს მისაღწევად, მაშინ დანარჩენებიც გამოიღებენ ხელს, მათ მაგალითს მიბაძავენ და, ვინ იცის, ეგების დაღუპვას გადავრჩეთ. ის მაშინებს, რომ ეს სიღარიბე და შიმშილი მავანთათვის ადამიანების დამონების გზაა და ყოველივე იმით დასრულდება, რომ ან ისევ გაჩნდებიან ყმაგლეხებზე უარესი მონები, ანდა აჯანყება მოხდება, რაც ჩემი აზრით და ეპოქის სულისკვეთების მიხედვით სავსებით მოსალოდნელია.

სწორედ გუშინ ვისაუბრე ყველა ამ ხალხს და გავიფიქრე, მე ხომ სულ ახლახან ჩავვარდი ჭკუაში, — დარბაისელი ადამიანები მიზიარებენ თავიანთ მოსაზრებებსა და შეხედულებებს, აზრს მეკითხებიან, რა დასამალია, რომ არც ისე დიდი ხანია, რაც საკუთარი შეხედულებები გამიჩნდა.

მამა ხშირად ამბობს და წერს თავის წერილებში, რომ ეს საქმე, ახლა რომ აკეთებს, მთლად ის არ არის, რისი გაკეთებაც სურდა. მხოლოდ დათმობაზე წასვლაა და სხვა არაფერი, მიხარია, ჩანს, არ შევმცდარვარ.

ისევ ვიღებთ შემოწირულებას და ეს ამბავი მაშინებს. ამჟამად ჩვიდმეტი სასადილო გვაქვს. რამდენიმე დღის წინათ მე და ჩისტიაკოვი სასადილოს გასახსნელად წავედით ორ შორეულ სოფელში — გრიაზნოვკასა და ზაბოროვკაში. ზაბოროვკა განსაკუთრებით ღატაკი სოფელია. თითქმის ყველას ნელ-ნელა შემოეწვათ თავიანთი სახლ-კარი. ზოგიერთს კი სულაც არ ჰქონია. შევედი ერთ-ერთ ასეთ ქოხში: ქმარი, ცოლი და ხუთი ბავშვი ცხოვრობს. მარტო ერთი სულის სამყოფი მიწა აქვთ. ქოხი საკუთარი არ არის — ძმისგან უჭირავებიან წელიწადში შვიდ მანეთად. მამა და ქალიშვილი ზაფხულში საქონელს აბალახებდნენ, მწყემსავდნენ და ოცდაათხუთმეტი მანეთი მიუღიათ, მაგრამ უკვე დაუხარჯავთ. ახლა არაფერი აქვთ. პური მაშინ აქვთ, როცა მეზობლები ასესხებენ. ვუთხარი, „თავშესაფარი“ იხსნება და ბავშვები გაუშვით-მეთქი. გაუხარდათ და მადლობა გვითხრეს. გამახსენდა, ერთ-ერთ ქოხში რომ მითხრეს, შვიდ კაცს ერთი ქალიამანი გვაქვსო და ვკითხე, რას ჩაიცმევთ იქ წასასვლელად-მეთქი: მამამ გოგონა ხელში აიყვანა, ქურქის კალთა შემოახვია და მითხრა: აი, ასე წავიყვანო თვითეულსო.

თან შალი მქონდა წაღებული და დავუტოვე. ჯერ გაშეშდნენ, ვერ მიხვდნენ, რომ ვაჩუქე, მერე კი ატირდნენ. ყველა ასე ტირის, როცა რაიმეს აჩუქებ. ძალიან სასიამოვნო იყო ჩემთვის, ეს შალი რომ დავუტოვე, — ერთადერთი სიკეთეა, რაც შეგიძლია მოიმოქმედო, გასცე საკუთარი — არა საკუთარი ფული, არამედ ის, რაც გჭირდება და რასაც იკლებ სხვისი გულისთვის. და ეს არც შურს აღძრავს — გავეცი, რაც მქონდა — სხვა შალი არა მაქვს, ვერც ვერავინ მომთხოვს და არც მოლოდინი ექნება, იქნებ მეც მაჩუქოსო, ახლა მე ტყაპუჭები უნდა შევუკვეთო, ეს სულ სხვა საქმე იქნება, ვინც კი გაიგებს, რომ ტყაპუჭები მაქვს, ეცდება შემთხვევა ხელიდან არ გაუშვას და მომთხოვოს, მე კი ვერ მივხვდები, რომელს უფრო მეტად სჭირდება. ზაბო-



როგვანაში თითქმის ყველანი ჩაუცმელნი და ფეხშიშველნი არიან და სწორედ იქ უნდა გავანაწილო ეს ტყაბუჭები.

იმ ქოხის გვერდით, რომელზედაც ახლა ვწერდი, ასეთივე ქოხი დგას, მაგრამ უფრო პატარაა, თანაც ერთფანჯრიანი. იქაც შევედი უკუქაღალწი შინ არ იყო. ავადმყოფი დედაკაცი (ვგონებ, ქლექიანი) ბავშვებს მუძუქს აწვავდა. იქვე არიან მოზრდილი ბავშვები და მეზობლის გოგო. ქალმა მითხრა, გუშინს აქეთ არაფერი გვიჭამიათ, ბავშვები მშივრები არიან, ქმარი წისქვილში წავიდა, ერთი ფუთი ჭვავი უნდა დააფქვევინოს, გუშინ რომ მოგვცესო. ამას რომ მეუბნება, ქალი ტირის, გოგო უსმენს და ცრემლი სცვივა. უფროს ბავშვებს ასაკის შეუფერებელი სერიოზული და სევდიანი გამომეტყველება აქვთ. მხოლოდ პაწია, ძუძუთა ჩვილი იღიმება, დედას პირსა და ნიკაპზე უცაცუნებს ხელს, რათა ყურადღება მიიქციოს.

ბავშვები განსაკუთრებით მებრალება. გუშინ სამი ბავშვის სანახავად ვიყავი, რომლებსაც აგერ მეორე კვირაა, ღებინება აქვთ და კუჭის აშლილობა აწუხებთ. წვანან ღუმელზე ერთმანეთის გვერდით ისეთი თვინიერნი, საცოდავნი, საწყალნი. დედა ქვრივია. დღეს ჩემთან მოვიდა — მივეცი ბურღული, ჩაი, ბლითები, წამალი და პურის ფულად ერთი უხალთუნი. რაც მეტს ვაძლევდი, უფრო და უფრო ტიროდა. საცოდავი, საცოდავი ხალხი. მათებს მათი მორჩილება, მაგრამ ვფიქრობ — მორჩილებასაც ექნება დასასრული.

ელენა პავლეს ასულმა მითხრა, მოსკოვში ძალიან უკვირთ, აქ ცხოვრების რომ არ გვეშინია, ჩვენ კი მარტონი დავდივართ და ვერაფერს ვერა ვხედავთ, გარდა ალერსიანი დამოკიდებულებისა. საერთოდ, ქალაქელებს ის საქმე, რაც აქ კეთდება, სავსებით უკუღმართად ესმით. ძალიან მინდა გაზეთებში დავწერო მრავალი ჩემი დაკვირვების ამბავი, მაგრამ ცოდნა არ მყოფნის. სხვათა შორის, იმის განცხადებაც არ იქნებოდა ურიგო, რომ უკვე სამი კვირაა აქ ვცხოვრობ და არც ერთი მთვრალი არ მინახავს.

ბოლო ხანებში გამიქრა შეშფოთების ის მძიმე გრძნობა, აქ ჩამოსვლის პირველ დღეებში რომ მაწუხებდა; მაშინ, უბრალოდ, დედაჩემის გამო ვწუხდდი. ახლა იგი მშვიდად და ჯანმრთელად არის და მეც დავმშვიდდი. მომენატრა დედაც და ბავშვებიც. მოსკოვში ჩავიდოდი, მაგრამ დედა ნებას არ მაძლევს მარტო დავტოვო მამაჩემი და თანაც მალე ალბათ ყველანი ჩავალთ იქ. მეშინია მოსკოვში მხატვრობამ არ გამიტაცოს და ვაითუ აღარ მომესურვოს აქეთ დაბრუნება, — მაგრამ თუკი ეს მოხდება, თავს ვაიძულებ.

(ვაგრძელება იქნება)





ინგლისურიდან

თარგმნა ინგა პაპავაძე

ერთი ოთახი საკუთრად

მეოთხე თავი\*

უეჭოვებელია, შეთქვსმეტე საუკუნეში ქალს ჰქონოდა ამგვარი განწყობა. გაიხსენეთ ელიზაბეთ დედოფლის დროინდელი საფლავის ქვები — უამრავი დაჩოქილი ბავშვის გამოსახულება შეტყუებული ხელებით; გაიხსენეთ, რა ადრეულ ასაკში იხოცებოდნენ; ნახეთ, რა ბნელ ოთახებში ცხოვრობდნენ და მიხვდებით, რომ იმ დროს ვერც ერთი ქალი ვერ შექმნიდა პოეზიას. დიდი-დიდი, მოგვიანებით რომელიმე წარჩინებული ქალბატონი გამოიყენებდა თავის შედარებით თავისუფალ და უზრუნველყოფილ ცხოვრებას, გამოაქვეყნებდა რაიმეს საკუთარი სახელით და არ შეეშინდებოდა, მასზე რომ ეფიქრათ, ეს ვინ ოხერიაო. კაცები სულაც არ არიან სწობები, — განვაგრძე შე და ფრთხილად ავერჩიდე მის რებეკა უესტის „შეკარა ფემინიზმს“, — ისინი თითქმის თანაუგრძნობენ, როდესაც

წარჩინებული ქალბატონი ცდილობს, დაწეროს ლექსი. იმ დროს მაღალი წრის ქალს უფრო მოუწონებდნენ ასეთ საქმიანობას, ვიდრე ვიღაც უცნობ მის ოსტინს ან მის ბრონტის. მაგრამ ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ქალს გონებას აუმღვრევდა უცხო განცდები, შიში და მძულვარება და მის ლექსებს დაემჩნეოდა შეკირვების კვალი. აი, მაგალითად, ლეიდი უინჩილსი, გავიფიქრე და მისი ლექსების წიგნი გადმოვიღე. დაბადების წელი 1861. დიდებულის ოჯახიდან იყო და დიდებულსაც გაჰყვა ცოლად, უშვილო იყო, წერდა ლექსებს; საკმარისია გადაშალოთ მისი წიგნი, ნახავთ, როგორი აღშფოთება ამოხეთქავს ქალთა მდგომარეობის წინააღმდეგ:

როგორ დავეციო! დავეციო მეცდარი  
კანონებით,  
განათლების და არა ბუნების სისულელით;  
გონების ყველა სავარჯიშო გზა მოჭრილი  
გვაქვს,  
მოელიან და გვექმნიან ისე, რომ ვიყოთ  
ჩლუნგი;  
და თუ კი ვინმე ამალდებდა სხვებზე  
უშეტეს,  
უფრო ცოცხალი ფანტაზიით და  
სურვილებით,  
მას გააფთრებით აღუდგება მტრული ბანაკი  
და წარმატების მოლოდინი ვერ სძლევს  
შიშის ზარს.

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“, 1984 წ. № 4, 1985 წ. № 1.  
! ფემინიზმი — ქალთა მოძრაობა, რომელიც გაძლიერდა XIX ს. ბოლოდან. მოითხოვდნენ მამაკაცებთან გათანაბრებას, როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიურად. 1882 წ. შეიქმნა „ქალთა საერთაშორისო საბჭო“. ისინი ადგენდნენ პეტიციებს, მანიფესტაციებს აწყობდნენ ქუჩებში. განსაკუთრებით ძლიერი იყო ფემინისტური მოძრაობა ინგლისსა და ამერიკაში „საფორჯის კამპანია“. 1918 წელს ინგლისში, ხოლო 1920 წ. ამერიკაში ქალებმა მიიღეს ხმის უფლება. დღევანდელი ფემინისტური ორგანიზაციები იბრძვიან ქალთა უფლებების გაფართოებისათვის, მშვიდობისათვის, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებებისათვის და ა. შ.

ცხადია, მის გონებას არ „შთაუნთქავს ყველა დაბრკოლება და არ გამობრწყინებულა“. პირიქით, სიძულვილმა და მწუხარებამ მოქანცა და სიგიჟემდე მიიყვანა. მისთვის კაცობრიობა ორად და გათიშული: მამაკაცები „მტრული ბანაკია“, ეშინია მათი და ეწიზლება ისინი, რადგან ძალი



შესწავთ, გზა გადაუღობონ იმისაკენ, რისი გაკეთებაც სურს, — მას კი სურს წეროს:

ვინ რომ, ქალი თუ ელტვის კალამს,  
მასზე ამბობენ, თავზედიაო,  
ვერც რა ღირსებით შეავსებთ ამ ნაკლს.  
ო, გეშლებო სქესი და ქცევა;  
აღზრდა, ზნე, ჩაცმა, ცეკვა თამაში —  
ესაა სრულქმნა, რაც უნდა გვსურდეს;  
თუ ვწერთ, ვკითხულობთ, ვაზროვნებთ,  
ვიკვლევთ,  
მშვენიერება ქრება, დრო დაგველევა,  
ვიდრე გაფურჩქნის ასაკში ვხარობთ;  
მონურ ყოფაში მოსაწყენ საქმეს  
უმიზნოდ ვწირავთ შრომა და ლაზათს.

თუ მაინც წერდა ლექსებს, იმით იმხნეებდა  
და თავს, რომ მათ არასოდეს გამოაქვეყნებდა;  
თავს იმშვიდებდა ნადვლიანი ხიმღერით:

ტოლებს უმღერე, საკუთარ წუხილს,  
დაფნის გვირგვინი არ გიძებნია;  
შენს ჩრდილში იდექ და ამითაც  
დაკმაყოფილდი.

და მაინც აშკარაა, მას რომ თავი დაედწია სიძულვილის და შიშისგან, რომ არ გავსილიყო სიმწრისა და წინააღმდეგობის ბაღდათით, — მასში ერთი გზების ცეცხლი. დროდადრო წმინდა პოეზია გამოსტყვივის მის სტროფებში:

ვით გაიშალოს უზადო ვარდი,  
თუ აბრეშუმი ჩაფერფლილია.

ამ პოეზიას საკადრისად აფასებდა მ-რ მარი, ამბობენ, პოუბსაც შეპირად უთქვამს და დიდად შეუქია მისი სხვა სტროფი:

ახლა ნარგიზი მორევია მისუსტებულ  
ცნობიერებას,  
გონი წარგვტაცა სურნელებამ  
დამათრობელმა.

ათასჯერ სამწუხაროა, რომ ქალს შეეძლო ასე ეწერა, მისი გონება შეხმატკბილებოდა ბუნებასა და აზროვნებას, სიბრაზე და სიმწარე კი მორეოდა. რითი ეხსნა ქალს თავი? ვკითხე და წარმოვიდგინე: ზოგი დასცინოდა და ზოგი ხითხითებდა, ზოგი მლიქვნელურად ეპირფერებოდა, ზოგი პროფესიონალი პოეტი კი ეჭვით უყურებდა. სოფელში თუ გამოიკეტებოდა, თავის სახლში, რათა ეწერა. ალბათ, სიმწარე და სინდისის ქენჭნა გულს უკლავდა, თუმცა შესანიშნავი ქმარი ჰყავდა და მათ ოქაბურ ყოფას ხინჯი არ ჰქონდა. ვამბობ „ალბათ“, რადგან ადამიანი რომ დაინტერესდები, როგორც წესი, არაფერია ცნობილი ლეიდი უინჩილსიზე. მელანქოლიამ დარია ხელი. ამის მიზეზს, ერთგ-

ვარად, გვიხსნის მისი სიტყვები: მელანქოლია რომ მოშერია, წარმოვიდგინე:

როგორ თათხავენ ჩემს სტროფებს,  
თვლიან/საქმეა  
ფუჭი სიბრიყვე, თავზედური დაწაშული.  
ეს იყო, მინდორ-მინდორ ბეტიალი და ოცნება უყვარდა — ამიტომ შეკლავდნენ.

სიამით ვებები უცხო რამ საგნებს,  
და განვერიდები ცნობილ, ჩვეულ გზას  
ვით გაიშალოს უზადო ვარდი,  
თუ აბრეშუმი ჩაფერფლილია.

თუ ასე სჩვეოდა და ეს ახარებდა, სხვას რას მოელოდა — ბუნებრივია, დასცინებდნენ; პოუბს თუ გვის გაუშასხარავებია: „ქლახის ქავილი ასტებიაო ქალბატონ ლურჯწინდას“. იმასაც ამბობენ, ლეიდი უინჩილსი დასცინა, შეურაცხყოფა მიაყენაო გვის. მას უთქვამს: გვის წიგნი „წვრილმანები“ ამუღავნებს — მის დამწერს ბენება ვერ შესძლებია, თოხარიკით დადისო.

მაგრამ მ-რ მარი წერს, ეს უველაფერი „ცილისწამებაა და არა საინტერესო“; ვერ დავეთანხმები მ-რ მარის; ნეტავ, მეტიც ვიცოდეთ თუნდაც ასეთი ცილისწამება, რომ რაღაცაში გავერკვეთ და წარმოდგენა შეგვექმნას ამ მელანქოლიურ ქალბატონზე, რომელსაც მინდორ-მინდორ ბეტიალი და უცნაურ ფიქრებში წასვლა უყვარდა, და უყოყმანოდ, უდიერად ლანძღავდა „მონურ ყოფაში მოსაწყენ საქმეს“. მ-რ მარის თქმით, ლეიდი უინჩილსი დაწვრილმანდა. მის ნიჭს სარველა შემოეჭარა და ეკალმა შებოჭა. მის გამორჩეულ ნიჭიერებას საშუალება არ ჰქონდა, თავი გაემუღავნებინა. ლეიდი უინჩილსის წიგნი თაროზე დავაბრუნე და ახლა მივმართე მეორე ცნობილ ქალბატონს, ლეიდი უინჩილსიზე უფროსს, მაგრამ მისსავე თანამედროვეს, ნიუკასლის ჰერცოგის მეუღლეს მარგარეტს, რომელიც ლემს ძლიერ უყვარდა. გონებას არ მონებდა ეს უმშვენიერესი ბანოვანი. ისინი ძალიან განსხვავდებოდნენ, თან ჰგავდნენ კიდევ ერთმანეთს — ორივე კეთილშობილი წარმოშობისა იყო, უშვილო და ორივეს უშესანიშნავესი მეუღლე ჰყავდა. ორივე

მ ნიუკასლის ჰერცოგის მეუღლე მარგარეტი, ქ. გ. ლუკასი (1624-1674) — ინგლისელი ესეისტი, დრამატურგი. ზოგი უცნაურს, გიჟსაც უწოდებდა, ჩ. ლემი კი ღირსეულ, დიდებულ ქალად იხსენიებდა. მეფე ჩარლზ II კარზე არ მიიღეს. ცხოვრობდა პარიზში, ანტვერპერში. დაასაფლავეს უესტმინსტერის სააბატოში.

მ იგულისხმება ინგლისელი კრიტიკოსი ჩარლზ ლემი.



აენთო პოეზიის გზებით, ორივე ერთმა მიწვე-  
მა გატანჯა და ამ მიწვევა ორივეს დაუბნო სუ-  
ლი. გადაშალეთ მარგარეტის წიგნი და ნახეთ  
რა მძინვარება ამოხეთქს: „ქალები ღამურასა  
და ბუსავით ცხოვრობენ, ხარვეთ შრომობენ  
და მატლივით კვდებიან...“ მარგარეტაც ვაბდე-  
ბოდა პოეტის, ჩვენს დროში ერთ ბორბალს მაინც  
დაატრიალებდა. მაშინ კი, რა შეკრავდა, რა მო-  
თოკავდა, რა გაანათლებდა, ან რა წარმართავ-  
და ადამიანის სასარგებლოდ ამ ველურ, უხვად  
მომდინარე, გაუწვრთნელ ნიჭიერებას? ლექსი-  
სა და პროზის, პოეზიისა და ფილოსოფიის ნაკა-  
დად გადმომსკდარა, უსწორმასწოროდ მოემარ-  
თება, ქვარტოვებად და ფოლიოვებად გაყინულა  
და აწყვია წაუკითხავი დღემდე და სამარადი-  
სოდ. მას ხელში უნდა სჭეროდა მიკროსკოპი.  
მისთვის უნდა ესწავლებინათ ვარსკვლავებზე  
დაკვირვება და მეცნიერული აზროვნება, მარ-  
ტოობამ და უსაქმურობამ გონება აურია. არავინ  
არაფერს უშლიდა, არავინ ასწავლიდა, პროფე-  
სორები უზბლშეკრული უყურებდნენ. სასახ-  
ლეში დასცინოდნენ. სერ ეჯერტონ ბრიჯში<sup>4</sup>  
უჩიოდა, უხეშიაო — „განა ეს შეშვენიის მაღა-  
ლი საზოგადოების ბანოვანს, რომელიც სასახ-  
ლის კარზე აღიზარდაო“. და ისიც უელბეკში გა-  
მოიკეტა მარტოდმარტო.

რა მარტოობასა და სულიერ დრტვიანებაში გა-  
ატარა სიცოცხლე მარგარეტ ქევენდიში<sup>5</sup> თით-  
ქოს გიგანტური კიტრი გადაშფოფრებოდა ბაღს,  
ვარდები და შიხაკები სასიკვდილოდ მოეგუდა.  
რაოდენ სამწუხაროა, რომ ქალი, რომელიც წე-  
რდა; ყველაზე უკეთ ის ქალები არიან აღ-  
ზრდილნი, ვინც ყველაზე განათლებულნი არი-  
ანო“, დროს ფლანგავდა, სისულელეს ჭდაბნი-  
და, სულ უფრო ღრმად ეფლობოდა გაურკვევ-  
ლობასა და უაზრობაში, და იქამდე მივიდა,  
რომ ერთხელ როცა სიგიჟემ თავი აღარ დაშა-  
ლა, ხალხი შემოებნია მის კარეტას. ექვი არაა,  
ჭერცოვის შეშლილი მეუღლით, როგორც სა-  
ფრთხობელათი, აშინებდნენ ქვეიან გოგოებს.  
მისი წიგნი გადავდე და დოროთი ოსბორნის  
წერილები გადავშალე. გამახსენდა, რას წერს  
დოროთი ეკლესიას ჭერცოვის მეუღლის ახალ  
წიგნზე: „ცხადია, საწყალი ქალი ცოცხა გონს  
შემცდარა. ასე არ გაიმასხარავებდა თავს, რომ  
არ გაეხედა წიგნების წერა, თანაც ლექსებისა.

ორი კვირა აქ რომ არ გამეტარებინა, ამას ვერ  
მივხვდებოდი“.

და ამგვარად, რადგან გონიერა და მოკრძალებ-  
ბული ქალი წიგნების წერას არ დაიწყებდა,  
დოროთიც, მგრძნობიარე და მეღაწკოლიური  
პიროვნება, ხასიათით ჭერცოვის მეუღლის სრუ-  
ლიად საპირისპირო, არაფერს ქმნიდა. წერილე-  
ბი არ ითვლებოდა სერიოზულ საქმედ. ქალს  
შეეძლო ეწერა წერილები, ვიდრე იქდა ავად-  
მყოფი მამის სასთუმალთან. შეეძლო ბუხრის პი-  
რას ეწერა ისე, რომ ხელი არ შეშლოდათ მამაკა-  
ცებს საუბარში. რა უცნაურია, ვფიქრობდი მე  
და დოროთის წერილებს ვფურცლავდი, ეს უს-  
წავლელი და მარტოსული გოგო რა ნიჭიერად  
კრავს წინადადებას, გვიხატავს სურათს. მოუს-  
მინეთ, როგორ აღწერს: „სადილის შემდეგ  
ვსხედვართ და ვმუსაიფობთ, ვიდრე მ-რ ბ. არ  
შემოგვიერთდება, შემდეგ მე მივდივარ. დღი-  
სით, სიცხეში ვკითხულობ ან ვმუშაობ და და-  
ახლოებით ექვს-შვიდ საათზე სასიერნოდ გავ-  
დივარ მინდორში, რომელიც სწორედ ჩვენს  
საბღს აკრავს, სადაც გოგოებს ცხვარი და  
ძროხა გამოუდენიათ, დამსხდარან ჩრდილში და  
ბალადებს მღერიან; მათთან მივდივარ და მათ  
ხმასა და მშვენიერებას ვადარებ უძველესი  
მწყემსი გოგონებისას, ვისზეც წამიკითხავს, და  
დიდზე დიდ სხვაობას ვხედავ. მაგრამ მენდეთ,  
მგონია, რომ ესენი მათსავით უცოდველები  
არიან. გამოველაპარაკები და ვხვდები, რომ ქვე-  
ყანაზე ყველაზე ბედნიერად რომ იგრძნონ თა-  
ვი, არაფერი სურთ გარდა იმისა, თავად სჭერო-  
დეთ, ბედნიერი ვართო. ჩვეულებრივ, შუა საუ-  
ბარში რომ ვართ, ვინმე მიმოიხედავს და თავის  
ძროხას მოიძიებს, ხორბლის ყანაში რომ შეპა-  
რულა, მაშინ ყველა გარბის, თითქოს ქუსლებ-  
ზე ფრთები გამოსხშიათ. მე მკვირცხლად ვერ  
გავრბივარ, უკან ვრჩები, და როცა ვხედავ, სა-  
ქონელს მიერეკებიან სახლისკენ, ვხვდები, ჩემი  
დაბრუნების დროც დამდგარა. ვახშმის შემდეგ  
ბაღში გავდივარ; ბაღს პატარა მდინარე ჩაუ-  
დის. მე მდინარის პირას ჩამოვჭდები და მინდა,  
თქვენც ჩემთან იყოთ...“

შემიძლია დავიფიცო, რომ ამ ქალში მწერა-  
ლი ცოცხლობდა. „ორი კვირა აქ რომ არ გამე-  
ტარებინა, ამას ვერ მივხვდებოდიო“, — შეგი-  
ძლიათ წარმოიდგინოთ, როგორი წინააღმდეგო-  
ბა ხვდებოდა ქალს, ვისაც სურდა ეწერა, თუკი  
ის ქალიც კი, რომელიც მწერლობის დიდი ნი-  
ჭით იყო დაჭილდოებული, იმ შეხედულებამდე  
მისულა, რომ ქალი, წიგნს თუ წერს, სასაცი-  
ლოა, თუნდაც სურდეს, პირადი უხედურება გა-  
მომამწეუროს. ახლა კი მივადექით — განვაგრძე  
მე და დოროთი ოსბორნის წერილების ერთად-  
ერთი, მომცრო ტომი თაროზე დავაბრუნე, — მი-

<sup>4</sup> სემიუელ ეჯერტონ ბრიჯი (1762-1837) — ინგლისელი ბიოგრაფი და გენეალოგისტი.

<sup>5</sup> ქევენდიში — ინგლისელ დიდებულთა გვა-  
რი, რომელიც მეთოთხმეტე საუკუნიდან მოდის,  
მათი მამული შემდგომ ქალთა ხაზით გადავიდა  
ბენტინკების ოჯახში და მიიღეს გვარი ქევენ-  
დიშ-ბენტინკი.



სის ბენს .

მისი ბენით იწყება მნიშვნელოვანი პერიოდი ჩვენი ქვეყნის განვითარების. თავი ვანებოთ, საკუთარი ნაწერებით საკუთარ მამულში გამოკეტილ მდიდარ ბანკონებს, რომლებიც წერდნენ, მაგრამ არც მკითხველი მყავდათ და არც კრიტიკოსი, წერდნენ მხოლოდ პირადი სიამოვნებისთვის. ახლა ქალაქში ვართ, ქუჩაში, უბრალო ადამიანების გვერდით. მისი ბენი საშუალო წრის ქალი იყო, დაუხვეწავი მანერებით მაგრამ ცხოვრებისათვის ბრძოლა იცოდა, მხნეობა არ აკლდა და იუმორი; ქმრის სიკვდილმა და ბედის სხვა უკუღმართობამ აიძულა, ეცადა, საკუთარი ჭკუით ერჩინა თავი. მამაკაცით უნდა ემუშავა. ისიც დაულაღვად შრომობდა და თავს ირჩენდა კიდევ. ეს ფაქტი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მთელი მისი შემოქმედება, თუნდაც მშვენიერი ლექსები „ათასი წამებული, რომელთაც მე ვუმღერე“ ან „სიყვარული გამარჯვებას ზეიმობდა“, რადგან აქედან იწყება გონების თავისუფლება. უკეთ რომ ვთქვათ, გაჩნდა რწმენა, რომ შესაძლებელი იყო, დროთა განმავლობაში, გონება იმდენად განთავისუფლებულიყო, ქალს ეწერა, რაც სურდა. ახლა, ეფრა ბენის წაბადვით, გოგონები მივიდოდნენ მშობლებთან და ეტყოდნენ: არაფერში გვჭირდება თქვენი ნებართვა, ეწერთ და იმით ვირჩინთ თავსო. რასაკვირველია, მრავალი წლის შემდეგაც პასუხად მიიღებდნენ: როგორ არა, თუ ეფრა ბენით იცხოვრებთ! სიკვდილი უნდა გერჩინოსთ! და კარს ისე მაგრად მიუჭახუნებდნენ, როგორც არასდროს. მართლაც, საკვლევად უადრესად საინტერესო თემაა. მამაკაცები თვლიან, ქალის ღირსება უბიწოებააო, და ამას გავლენა აქვს ქალთა განათლებაზე; ეს პრობლემა რომ შეესწავლა გერტონის ან ნიუნბემის კოლეჯის რომელიმე სტუდენტს, საინტერესო წიგნი გამოვიდოდა. ლეიდი დადლის სურათი გამოდგებოდა წიგნის წინა გვერდზე განსაშვებად: მარგალიტებით მოკაშვული ქალბატონი შოტლანდიის ჰაობების კოლონებში წის. ამას წინათ, ლეიდი დადლის გარდაცვალებაზე გაზეთი „ტაიმზი“ წერდა: ლორდ დადლი „ნატიფი გემოვნების კაცი იყო და ბევრი სხვა ღირსებით სავსე, კეთილშობილი და გულუბვი, მაგრამ უცნაური დესპოტი. მტკიცედ მოითხოვდა, რომ მისი ცოლი ყოველმხრივ ხაზიემოდ

გამოწყობილი ყოფილიყო, თუნდაც მივარდნილ სამონადირო სახლში, მაილენდში. ბრწყინვალე ძვირფასეული და კიდევ რა არ დაახვავა, ყველაფრით უზრუნველყო, რაიმეს შეხსენება არასოდეს დასჭირებია“. შემდეგ ლორდ დადლის დაშლა დაეცა და [ლენდონში] მასაც უვლიდა და მის მამულსაც უნარიანად მართავდა სიცოცხლის ბოლომდე. მსგავსი უცნაური დესპოტიზმი მეცხრამეტე საუკუნეშიც გვხვდებოდა.

საკითხს დავუბრუნდეთ. ეფრა ბენმა დაამტკიცა, რომ შეეძლო ეწერა და ფული ეშოვნა, თუმც, ალბათ ზოგი რამ სათნო თვისება მსხვერპლად უნდა მიეტანა. და ასე თანდათან, მწერლობა აღარ ითვლებოდა ქალის სისულელის და გონებააშლილობის ნიშნად, პრაქტიკული მნიშვნელობა მიეცა: ან ქმარი მოუკვდებოდა ქალს, ან ოჯახს რაიმე უბედურება დაატყდებოდა. მეოთხრამეტე საუკუნე რომ მოახლოვდა, ასობით ქალმა, ჰიბეში ფული მოვიმარაგლოთო ან ოჯახს დავებმაროთო, და ხელი მიბყო თარგმნას, ანდა წერდნენ უთვალავ უფარგის რომანს, რომლებიც ქრესტომათიებშიც აღარაა აღრიცხული, მაგრამ ჩერინგ ქროს როუდის<sup>7</sup> იაფფასიან ბუკინისტურ მაღაზიებში იშოვნით. მეოთხრამეტე საუკუნის დასასრულს მკვეთრად გაიზარდა ქალთა გონებრივი აქტივობა: თავს იყრიდნენ, მსჯელობდნენ შექსპირზე, წერდნენ ესეებს, კლასიკოსებს თარგმნიდნენ — ყველაფერი ემყარებოდა იმ დიდად მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ქალს შეეძლო ეწერა და ფული ეშოვნა, რაც უფულოდ სისულელია, ფულით — ღირსებით სავსეა. კარგი, დასცინეთ, ჭლახნის ქავილი ასტეხიაო. იმას კი ვერ უარყოფთ, რომ ამ ქალებს უნარი შესწევდათ ქისაში საკუთარი ფული მქონოდათ. ამგვარად, მეოთხრამეტე საუკუნის დასასრულს მოხდა ისეთი რამ, რასაც, ისტორია ხელახლა რომ დამაწერინა, უფრო ვრცლად აღწერდი და ჭვაროსნულ ან ვარდების ომზე უფრო დიდმნიშვნელოვან ფაქტად მივიჩნევდი — საშუალო წრის ქალმა წერას მომკიდა ხელი. თუ რამედ ღირს „სიამაყე და ცრურწმენა“, მაშინ „მიდღმარჩიც“ და „ვიღეტიც“ და „ქარიშხლიანი მადლობებიც“<sup>8</sup> რამედ ღირს, და ისიც ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ფაქტია, ვიდრე შემიძლია წარმოვაჩინო ერთსაათიან ლექციაში, რომ საერთოდ ქალებმა — და არა მხოლოდ ფოლიოებითა და მლიქვნელობით გარემოცულმა, საკუთარ მამულებში გამოკეტილმა მარტოხელა არისტოკრატებმა, — ხელი მომკიდეს წერას. წინამთხვეული რომ არა, ვერც ჭიინ ოსტინი და ვერც დები ბრონტები ან ჯორჯ

7 ლონდონის ქუჩის სახელწოდება.



ელიოტი შექმნიდნენ რაიმეს ისევე, როგორც ვერც შექსპირი შექმნიდა იმდენს, მარლოუ რომ არ ჰყოლოდა წინამორბედად, მარლოუს — ჩოსერი, ჩოსერს კი ის მივიწყებული პოეტები, რომელთაც გაკვალეს ბილიკი და მოთოკეს გაუხედნავი შეტყველება, რადგან შედეგრი თავისით არ წარმოიქმნება, იგი შედეგია მრავალი წლის საზოგადოებრივი აზროვნებისა, მასის გამოცდილება თავს იყრის ერთის ხმაში. ჭეინ ოსტინს უვავილების გვირგვინი უნდა მიეტანა ფენი ბერნის საფლავზე, ხოლო ჯორჯ ელიოტს საკადრისი პატივი მიეგო ილიაზა ქარტერის<sup>8</sup> — მამაცი ქალის მოუსვენარი აჩრდილისათვის, ვინც თავისი საწოლის ფეხს ზარი გამოაბა, რათა ადრე გადავიძებოდა და ბერძნული ესწავლა. უველა ქალს კი ერთად უვავილები უნდა დაეხვავებინა ეფრა ბენის საფლავზე, რომელიც, მართალია, დიდი აუღამაულის შემდეგ, მაგრამ მაინც ღირსეულად განისვენებს უესტმინსტერის სააბატოში, რადგან სწორედ მან მოუპოვა ქალებს უფლება, ტვინი გაეძრიათ, სწორედ ის მაძლევს საშუალებას — თუმც საეჭვო უოფაქცივის ქალი იყო და სასიუვარულო თავგადასავლებს დაეძებდა, — არც თუ დიდ საოცრებად ჩავთვალო, რომ შე დღეს თქვენ მოგმართონ: საკუთარი გონებით იშოვნოთ ზუთასი გირვანქა წელიწადში.

ახე მოვალწიეთ მეცხრამეტე საუკუნეს და ახლა პირველად, რომ რამდენიმე თარო მთლიანად უკავია ქალთა ნაწერებს. ნეტავ რატომია, — თავი ვერ შევიკავებ, არ შევითბა, როცა თვალი გადავავლე წიგნებს, — რომ უველა, მცირე გამონაკლისის გარდა, რომანია? უპირველესად იყო ლტოლვა პოეზიისაკენ. პოეტი-ქალი „სიმღერის გვირგვინიაო“. საფრანგეთშიც და ინგლისშიც პოეტი-ქალები წინ უსწრებდნენ რომანისტ-ქალებს, ოთხ ცნობილ სახელს შეეცქეროდი და ვფიქრობდი, მაინც რა აქვთ საერთო ჯორჯ ელიოტს და ემილი ბრონტის? შარლოტ ბრონტიმ ხომ სულ ვერ გაიგო ჭეინ ოსტინი? მათ ისლა აქვთ საერთო, რომ არც ერთს არ ჰყავდა შვილი. ოთხი უფრო შეუთავსებელი ბუნების ადამიანი ვერ მოიყრია თავს ერთ ოთახში — იმდენად განსხვავებული, რომ ხუთი წაგძლევს, შეთხზა ამბავი მათი შეხვედრისა და ხაუბრისა. და მაინც, რადაც უცნაურმა ძალამ აიძულა ისინი, დაეწერათ რომანი, ოთხი-

ვე საშუალო წრის ქალია, შეიძლება ამანაც განაპირობა, — შევეცოთხე ჩემს თავს; და იქნებ იმანაც, რაც მის ემილი დევიის<sup>10</sup> ცოტა მოგვიანებით მშვენივრად გამოიკვლია: მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საშუალო წრის ოჯახს გააჩნდა მხოლოდ ერთი საერთო სასტუმრო ოთახი; თუ ქალი წერდა, იმდენივე უკნებოდა, ეწერა საერთო სასტუმროში. და, ალბათ, მის ნაიტინგილის აღშფოთებისა არ იყოს — „ქალებს ნახევარი საათიც კი არ გააჩნიათ, ...რომ თქვან, ჩვენთვის გვაქვსო“, — წამდაუწყუმ აწყვეტილებდნენ. პროზასა და რომანს უფრო დაწერდა, ვიდრე პოეზიას, ან პიესას. უურადლების ნაკლები თავმოყრაა საქირო. ახე წერდა ჭეინ ოსტინი სიცოცხლის ბოლომდე, „როგორ ახერხებდა მუშაობას, — წერს მისი ძმისშვილი მემუარებში, — გასაოცარია, რადგან მას არ ჰქონდა საკუთარი კაბინეტი, სადაც ხელნაწერს გაასწორებდა; უმეტესად მუშაობდა საერთო სასტუმროში, სადაც ათასი წვრილმანი შეაწყვეტილებდა წერას. ფრთხილობდა, რომ მსახურებს, სტუმრებს ან ვინმეს, ოჯახის წევრებს გარდა, არ გაეგოთ, რას აკეთებდა“<sup>11</sup>. ჭეინ ოსტინი მალავდა თავის ხელნაწერს, ან საშრობს აფარებდა. და კიდევ ლიტერატურული მუშაობისთვის საქირო გამოცდილება, რაც შეიძლებოდა ჰქონოდა ქალს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, საქმარისი არ იყო. ისლა შეეძლო, დაკვირვებოდა ხასიათებს, გაეანალიზებოდა გრძნობები. საუკუნეების მანძილზე მისი გრძნობათა სამყარო უალიბდებოდა ამ საერთო სასტუმროში. ადამიანთა განცდები მოქმედებდა მასზე; პიროვნული ურთიერთობები მის თვალწინ იშლებოდა. და როდესაც საშუალო წრის ქალმა ხელი მიხყო წერას, ბუნებრივია, რომანები შექმნა, თუმცა საქმაოდ აშკარაა, რომ დასახელებული ოთხი ცნობილი ქალიდან ორი ბუნებით არ იყო რომანისტი. ემილი ბრონტის უნდა შეექმნა პოეტური პიესები. ჯორჯ ელიოტს ნათელი გონება ისე უხვად ჰქონდა მომადლებული, რომ, როცა შემოქმედებითი იმპულსი დაეშრიტა, ისტორიული ან ბიოგრაფიული ნა-

10 სარა ემილი დევიისი (1830-1921) — იბრძოდა, რომ ქალებს ჰქონოდათ უფლება, ესწავლათ უმაღლეს სკოლაში. 1858 წელს მონაწილეობდა საფრიჯელთა მოძრაობაში. 1867 წელს მისი აქტიური მოღვაწეობის შედეგად პიჩინში გახსნეს ქალთა კოლეჯი, რომელიც 1873 წელს გადაიტანეს კეიმბრიჯში და უწოდეს გერტონის კოლეჯი, ე. დევიისი ორ წელიწადს იყო მისი ხელმძღვანელი.

11 ჭეიმზ ედუარდ ოსტინ-ლის (ძმისშვილის) „მოგონებები ჭეინ ოსტინზე“. (ავტ.).

<sup>8</sup> ჭეინ ოსტინის, ჯორჯ ელიოტის, შარლოტ ბრონტის და ემილი ბრონტის რომანები.

<sup>9</sup> ელიზაბეთ ქარტერი (1717-1806) — ინგლისელი მეცნიერი, პოეტი, კლასიკური და თანამედროვე ენების მცოდნე. თარგმნიდა ფრანგულიდან, იტალიურიდან.



წარმოების შექმნაზე უნდა გადასულიყო. ამგვარად, ისინი წერდნენ რომანებს; უფრო შორს შეიძლება წავიდეთ, — ვთქვი და „სიაშაყე და ცრურწმენა“ გადმოვიღე თაროდან, — წერდნენ და კარგ რომანებსაც წერდნენ. არც კვებისაში ჩამოგვეერთმევა და არც მეორე სქესს დარჩება საწყენად, თუ ვიტყვით, რომ „სიაშაყე და ცრურწმენა“ კარგი წიგნია. ყოველ შემთხვევაში, ადამიანს არ უნდა შერცხვეს, თუ წაასწრებენ „სიაშაყესა და ცრურწმენის“ წერილს. და მაინც ჭეინ ოსტინს უხაროდა, რომ კარი კრიკლებდა: სხვის შემოსვლამდე გადაშალავდა ხოლმე ხელნაწერს. ჭეინ ოსტინს, ეტყობა, ერცხვინებოდა რომ წერდა. დამაინტერესა, „სიაშაყე და ცრურწმენა“ უკეთესი რომანი თუ იქნებოდა, ჭეინ ოსტინს რომ არ ეფიქრა, აუცილებლად უნდა დაეუშალო ხელნაწერი სტუმრებს? ერთ-ორ გვერდს გადავხედე. არაფერი მომხვდა თვალში ისეთი, რომ შეეფიქრა, ისეთ პირობებში წერდა, ოდნავ მაინც იგრძნობა-მეთქი. ალბათ, უველაზე ხალხური ესაა: 1800-იან წლებში წერდა ქალი და მის ნაწერებში არაა სიმწარე, შიში, პრეტენსია, ქადაგება. აი, ასე წერდა შექსპირი, — გავიფიქრე, თან „ანტონიოს და კლეოპატრას“ ვფურცლავდი; როდესაც ადარებენ შექსპირს და ჭეინ ოსტინს, ალბათ, გულისხმობენ, რომ ორთავემ შეიწოვა უცხო სხეულები, ამიტომაც, ჩვენ არ ვიცნობთ ჭეინ ოსტინს და არც შექსპირს ვიცნობთ; ამიტომაც, ჭეინ ოსტინი ყოველ სიტყვას ჩაბკირკიტებს, და ასეა შექსპირიც. მთელი მისი ცხოვრების პირობებიდან, თუ რაიმე უშლიდა ხელს ჭეინ ოსტინს, ერთადერთი ის იყო, რომ ცხოვრებისეული გამოცდილების არც მალე ვიწრო მქონდა. ქალი ვერ ივლიდა მარტო. მას არასოდეს უმოგზაურია, ომნიბუსით არ მოუვლია ლონდონის ქუჩები და არც სასაღილოში უჭამია მარტოს. ალბათ ბუნებაში მქონდა ჭეინ ოსტინს: რაც არ გააჩნდა, იმისი ნდობა არც აწუხებდა. მისი ნიჭი და გარემო პირობები ურთიერთს შეეხამა, ვეჭვობ, ამის თქმა შეიძლებოდეს შარლოტ ბრონტისზე, — ვთქვი მე, გადავშალე „ჭეინ ეარი“ და გვერდით მივუღე „სიაშაყესა და ცრურწმენას“.

გადავშალე წიგნის მეთორმეტე თავი და თვალში მომხვდა ფრაზა „უველახ, ვისაც მოეხურება, შეუძლია ბრალი დამდოს“. რა ბრალს ხდებდნენ შარლოტ ბრონტის? დამაინტერესა და გადავიკითხე, როგორ აღიოდა ჭეინ ეარი ჭერში, როდესაც მისის ფიერფიქსი ფელეს ამწადებდა და თვალს გაუწვდენდა შორეულ მინდვრებს და შემდეგ ოცნებობდა, — სწორედ ამ ოცნებაში ხდებდნენ ბრალს.

„ვნატრობდი, დამენახა ამ ჩარჩოებს იქით მდებარე საქმიანი სამყარო, ის ქალაქები და ადგილები, სადაც დულდა და გადმოდულდა

ცხოვრება, რომლებზედაც ბევრი რამ გამეგონა, მაგრამ მე თვით არასოდეს არ მენახა. მაღლიან მინდოდა მქონოდა მეტი ურთიერთობა და ნაცნობობა სხვადასხვა ხასიათის ადამიანებთან, ვიდრე გარს მებვია ვაფასებდი კიდევ, რაც კარგი რამ თვისებებზე მქონდა. მისი ფიერფიქსისა და ადელს, [შექსპირი] [შექსპირი], რომ არსებობდა რაღაც სხვა, უფრო მეტი სიკეთე, და რაშიც დარწმუნებული ვიყავი, მინდოდა თვალითაც მენახა.

ვინ მადანაშაულებდა? უეჭველია, ბევრი ალბათ უშალოდაც კი მიწოდებდა, მაგრამ რა უნდა შექნა? მე რომ ბუნებით დაუდგრომელი ვიყავი და ხანდახან ტკივილსაც კი ვგრძნობდი მეტისმეტი მღელვარებისაგან...

შართალი არ იქნება, თუ ვინმე შეეცდებოდა იმის მტკიცებას, რომ ადამიანი მშვიდი ცხოვრებით უნდა დაეყოფილდეს. ადამიანისათვის აუცილებელია მოქმედება და თუ ეს არა აქვს, სულ ერთია, ის მაინც შეიქმნის საქმიანობით აღსავსე ცხოვრებას. მილიონობით ადამიანებს მისჯილი აქვთ მეტისმეტად ერთფეროვანი არსებობა, ვიდრე თუნდაც მე მომაკუთვნა ბედისწერამ. მილიონობითვე ადამიანები უსიტყვოდ აუჭანყდებიან ასეთ ვითარებას. არავინ უწყის ამქვეყნად, პოლიტიკურ მემამბოხე ადამიანთა გვერდით კიდევ რამდენი მემამბოხე სულა. იგულისხმება, რომ ქალები საერთოდ მეტად მშვიდად უნდა ატარებდნენ ცხოვრებას, მაგრამ ისინიც ხომ მუდამ იმასვე გრძნობენ და განიცდიან, რასაც მამაკაცები. მათაც ხომ სწორედ ისევე სჭირდებათ გამოავლინონ თავისი ნიჭი, უნარი და შექმნან სამოღვაწეო ასპარეზი, როგორც მათს ძმებს. ისინიც ხომ სწორედ ისევე იტანჯებიან სასტიკი ტრადიციული თავდაპირველობითა და ცხოვრების შეზღუდული პირობებით, როგორც დაიტანჯებოდნენ მამაკაცები მათ ადგილზე. მრავალ უპირატესობათა მფლობელი სქესის გონებაშეზღუდულობას უნდა მიეწეროს, როდესაც გვარწმუნებენ, რომ ქალები ისე უნდა შეზღუდულთ, მხოლოდ პუდინგი აცხონ, წინდები ქსოვონ, ისწავლონ ფორტეპიანოზე დაკვრა და ჩანთები ქარგონო. უფრო მეტი სიმდაბლეთა მათი გაკიცხვა და დაცინვა, როდესაც ისინი ეძიებენ მეტ საქმიანობას და ცოდნას ცხოვრებაში, ვიდრე ჩვეულებრივად არის დაკანონებული მათი სქესისათვის.

ბშირად დერეფანში მარტო დარჩენილს მესმოდა გრეის პულის სიცილი...“<sup>12</sup>.

ეს გრეის პული საიდან მოიტანა, გავიფიქრე

12 შარლოტა ბრონტე. ჭეინ ეარი, თბილისი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1986, თავი XII, (თარგმანი თ. მალრაძისა და ზ. ხანაშვილის).



მე. დახანანია, გრეის პულს რომ წააწყდები ასე უაღილო ადგილზე. მოქმედების მიმდინარეობა შეფერხდა. „სიამაყისა და ცრურწმენის“ გვირდით დავღე წიგნი და განვაგრძე ფიქრი. ამას დამწერი ჭეინ ოსტინზე ნიჭიერი ეგონება ვინმეს, მაგრამ კიდევ და კიდევ თუ გადაიკითხავს, შენ: შენავს — ზოგი ადგილი უსწორმასწოროა, ზოგან ბორგავს ავტორი და გასაგებია რომ იგი, ვერასოდეს გამოთქვამს სათქმელს მთლიანად და განუყოფლად. დაღვლარჭნილი და დაკრუნჩხული ჭრაზებით წერს. მშვიდად სათქმელს გაბრაზებით ამბობს, ჭკვიანურად განსასჯელს სულელურად სჯის, თავის გამირებზე თხრობის ნაცვლად საკუთარ თავზე გვიამბობს, თავის ხვედრს ებრძვის. სხვა საშველი არაა, უნდა მოკვდეს ახალგაზრდა, დაკრუნჩხული და დაღვლარჭნილი.

სული წაგძლევს, ერთ აზრს გაეთამაშო: რა იქნებოდა, რომ შარლოტ ბრონტის ჰქონოდა სამასი გირვანქა წლიური შემოსავალი (სულელმა ქალმა კი თავისი რომანების გამოცემის სრული უფლება გააჩნდა ათას ხუთას გირვანქად), რომ უკეთ სცოდნოდა საქმოსნური სამუარო, ქალაქისა და სოფლის სისხლსავსე ცხოვრება; რომ მეტი გამოცდილება ჰქონოდა და ტოლებში გამოსულიყო, რომ მრავალგვარი ხასიათის ადამიანებში ეტრიალა... ამ ნაწყვეტში ბრონტი ამულავნებს არა მარტო პირად ნაკლს რომანისტიხას, იგი ამულავნებს მთელი თავისი სქესის ნაკლს იმ ეპოქაში. მასავით არავის ესმოდა, რამდენს მოიგებდა მისი ნიჭი, რომ, შორეულ ველებს მიშტერებულს, მარტოობაში არ დაეღია დღენი, რომ მიეღო გამოცდილება, რომ ხალხში ეტრიალა და მოგზაურობის საშუალება ჰქონოდა: მაგრამ არც ერთი არ ერგო, უველაფერი დააკლდა; და ისღა დაგვრჩენია, ვალიაროთ, რომ უველა ეს კარგი წიგნი „ვილეთი“, „ემა“, „ქარიშხლიანი მალლობები“, „მიდლმარჩი“ დაწერეს ქალებმა, რომელთაც თავის სიცოცხლეში იმაზე მეტი გამოცდილება არსად მიუღიათ, რაც ღირხეული საშლვდელო პირის ოჯახში ერგოთ: ეს რომანებიც ღირხეული ოჯახების საერთო სასტუმრო ოთახებში შექმნეს ისეთმა ხელმოკლე ქალებმა, რომელთაც უქონელობა საშუალებას არ აძლევდა, ბლომად ქალაღდი შეეძინათ ერთ უიდვაზე, რომ ფურცელზე გადაეტანათ „ქარიშხლიანი მალლობები“ ან „ჭეინ ეარი“. მართალია, ერთ-ერთმა მათგანმა, ჯორჯ ელიოტმა, დიდი უბედურებით თავი დააღწია ამ სიძნელეებს სეინტ ჯონსვუდის განმარტოებულ ვილაში — იქ დაწახლდა, მაგრამ ჩრდილად სდევდა ქვეყნისაგან გაკიცხვა. ის წერდა: „გთხოვთ, გამიგოთ: ჩემთან ვერავის მოვიპატიუებ, ვინც თვით არ მომმართავს თხოვ-

ნით“. ის ხომ ცოდავდა, ცოლშვილიან კაცთან ცხოვრობდა, და განა მისის სმითს ან სხვა ვინმეს, ვინც ეწვეოდა, ღირხებას არ შეუბღულავდა ამის ხილვა? ადამიანი უნდა დაშორჩოდეს საზოგადოების პირობითობას და უსწორედს, რასაც ქვეყანა ჰქვია“. იმავე დროს ეწვეოდა ერთ კიდევ, ერთი ვაჟი თავისუფლად ცხოვრობდა ხან ვინმე ბოშა ქალთან, ხან მაღალი წრის ქალბატონთან; ომებში მონაწილეობდა, დაუბრკოლებლად და შეუზღუდავად იღებდა უველაფერს, რაც ადამიანის ცხოვრებას ამრავალფეროვნებს. ეს ძალიან გამოადგა შემდგომ, როდესაც ხელი მიჰყო წერას. ტოლსტოის რომ ეცხოვრა საგვარეულო მამულში, განმარტოებულს თავის კანონიერ ცოლთან, „მოწყვეტილს იმას, რასაც ქვეყანა ჰქვია“, რაგინდ მორალურად სანიმუშო უოფილიყო ეს გაკვეთილი, მის საფუძველზე ტოლსტოი ვერ დაწერდა „ომსა და მშვიდობას“.

შეიძლება, ადამიანი უფრო ღრმად ჩაუკვირდეს საკითხს: როგორ ქმნიან რომანს და რა გავლენა აქვს რომანისტიხის სქესს. თვალი თუ დახუჭე და იფიქრე რომანზე საერთოდ, მოგეჩვენება, რომ რომანი სარკესავით ასახავს ცხოვრებას, თუმცა ხშირად ამარტივებს და ამახინჯებს. უოველ შემთხვევაში, ესაა სტრუქტურა, რომელიც ადამიანზე ტოვებს შთაბეჭდილებას ხან კვადრატისას, ხან პაგოდისა, ხან ფრთებგადმოყრილი და თაღებიანი ფლიგელისა, ხან კი ემსგავსება კონსტანტინოპოლის წმ. სოფიის საკმაოდ კომპაქტურ და გუმბათოვან კათედრალს. ეს ფორმა, — გავიფიქრე მე და გონების თვალი გადავაღლე რამდენიმე ცნობილ რომანს, — ადამიანში წარმოშობს შესაბამის ემოციებს, რადგან ამ „ფორმას“ არ ბადებს ადამიანის ურთიერთობა ადამიანთან... ამგვარად, რომანი ჩვენში იწვევს ურთიერთსაპირისპირო ემოციებს, ცხოვრება უპირისპირდება რალაცას, რაც არაა ცხოვრება. ამიტომ ძნელია, შევთანხმდეთ, რა არის რომანი: ჩვენი პირადი ცრურწმენა უდიდეს გავლენას ახდენს ჩვენზე. ერთი მხრივ, ვგრძნობ: შენ, ჯონ, რომანის გამირმა, თუ არ იცოცხლე, ჯავრი ბოლოს მომიღებს. მეორე მხრივ, ვგრძნობ: საუბედუროდ, შენ, ჯონ, უნდა მოკვდე. წიგნის ფორმა მოითხოვს ამას. ცხოვრება უპირისპირდება რალაცას, რაც არაა ცხოვრება. და რადგან რომანი ნაწილობრივ მაინც არის ცხოვრება, მასზე ვმსჯელობთ, როგორც ცხოვრებაზე. ერთი ამბობს, უველაზე უფრო მეჭავრება ჭეიმშის მსგავსი მამაკაციო. ან, ეს სრული აბდა-უბდაა, ამგვარი განცდა არასოდეს მქონიაო. მთელი სტრუქტურა რომანისა, — ნებისმიერი ცნობილი ნაწარმოები რომ გავიხსენოთ, — ერთობ ჩახლართულია, სხვადა-



სხვა მსჯელობა, სხვადასხვა ემოციაა შეკონსტიტუციონირებული. საოცარია, თუ ამგვარად შედგენილი ნაწარმოები ერთ-ორ წელიწადზე მეტს გაძლებს. ისიც გასაკვირია, რომ ეს ნაწარმოები, შეიძლება, ინგლისელი მკითხველისათვის იმასვე ნიშნავდეს, რასაც რუსისა ან ჩინელისათვის. მართლაც, ძალიან იშვიათად შეიკვრება ნაწილები, და ამ იშვიათ შემთხვევაში, როცა წიგნი შეკრულია (მე ვგულისხმობ „ომსა და მშვიდობას“), ის, რაც მას კრავს, არის რაღაც, რასაც შეიძლება ვუწოდოთ პატიოსნება, თუმცა ამას არაფერი აქვს საერთო არც ანგარიშის გადახდასთან, არც იმასთან, გაჭირვებაში თუ ღირსეულად მოიქცევა ადამიანი. როცა რომანისტის პატიოსნებაზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ, რომ ის გვაჩერებს — რაც დახატა, სიმართლეა, დიახ, გრძობ ადამიანი, ვერ წარმოიდგენდი, თუ ასე იქნებოდა, არავის იცნობ, ასე მოქცეულიყო, მაგრამ ავტორი გვარწმუნებს, რომ ასეა, ასე ხდება. როცა კითხულობ, გახედავ უოველ ფრაზას, უოველ სცენას სინათლის შუქზე. ჩანს, ბუნებამ, თავისთავად უაღრესად ირაციონალურმა, უხილავი კვალით დაამჩნია გონების კედელს წინასწარმეტყველება, რასაც დიდი ხელოვანი ადასტურებენ: საკმარისია ეს მონახაზი მივუშვიროთ გენიის ცეცხლს, რომ იგი ხილულ იქნეს. როდესაც გენიალურობა ასე გამოხედავდება და თავს განაცხადებს, ადამიანი შესძახებს აღფრთოვანებით: ამას ხომ უოველთვის ვგრძნობდი, და ვიცოდი, და მწყურროდა! გრძობამორეული შინაგანად დულს, წიგნს ბურავს მოწიწებით, თითქოს, ის რაღაც განძი იყოს, რაღაც იშედი, რომელსაც მთელი სიცოცხლე შეიძლება მიუბრუნდე, და თაროზე აბრუნებს, — ვთქვი მე, ხელში ავიღე „ომი და მშვიდობა“ და დავაბრუნე თავის ადგილზე. ახლა, მეორე მხრივ, თუ ეს საცოდავი წინადადებები, რომლებსაც აიღებენ და სცდიან, გამოიყენონ, წარმოშობს მუისიერ და ცხოველ რეაქციას ბრტყელია ფერადოვნებით და მღელვარე შესტიკულაციით, საქმე ამით მთავრდება: რაღაც დააუოვნებს მათ განვითარებას; ან თუ გამოჩნდება აქ რაღაც ნაქლაბნი, იქ რაღაც ნათხიპნი და არაფერია მთლიანი და განუყოფელი, მაშინ ადამიანს იმედგაცრუების კვნესა აღმოხდება და იტყვის, კიდევ ერთი მარცხიანო. ამ რომანს საღღაც ხელი მოეცარათ.

უმეტესად ასეცაა — რომანი რაღაცაში მარცხდება. წარმოსახვა დაძაბულია და ვიმტყუნებს. შინაგანი ხედვა მოიშლება; ვეღარ არჩევს სიმართლეს სიყალბისგან. ძალა აღარ შესწევს იმხელა შრომა გასწიოს, რამდენიც უოველ წუთს საჭიროა სხვადასხვაგვარი უნარის ასამოქმედებლად, რომ შეიქმნას რომანი. მაგრამ,

ნეტავ როგორ მოქმედებს რომანისტის სქესი ყველაფერ ამაზე, — გავიფიქრე, თან „ქინ ეარს“ და სხვა წიგნებს ვუკუბრუნდი. ავტორი თუ ქალია, ეს რაიმეთი მოქმედებს, თუ არა მის უნარზე, იყოს პატიოსანი ქალი-რომანისტი? პატიოსნება ხომ მწერლის დერეკტაა. თუ გავიხსენებთ ზემოთ მოტანილ წიგნებს — „ქინ ეარს“, ნათელია, რომ მწერლის დერეკტა პატიოსნება შარლოტ ბრონტის-რომანისტისა. მან მიატოვა ამბავი, რისთვისაც მთელი გულისყური უნდა დაეთმო და პირად მწუხარებას აპყვა. გაახსენდა, რომ დიდი გამოცდილება სწყუროდა — იძულებული იყო მამისეულ სახლში დაკუთვლი მჭდარიყო და წინდები ეკემსა, მას კი გული მიუწევდა, თავისუფლად შემოევლო ქვეყანა. გაბრაზებისაგან მწერლის წარმოსახვა ასცდა სწორ გზას და ჩვენ ვგრძნობთ ამ გამრუდებას. გაბრაზების გარდა, კიდევ ბევრი სხვა რამ მოქმედებს, ექაჩება და სწორი გზიდან აცდენს წარმოსახვას, მაგალითად, არცოდნა. როჩესტერის პორტრეტს წუვდიადში ხატავს იგრძნობა, რომ შიშით დაუხატავს, ბოლმასაც გამუდმებით ვგრძნობთ. დარაგრულობის, შულლისა და დამარბული ტანჯვისაგან უნდა იყოს ეს ყველაფერი, მის ვნებაში რომ შეყუთულა. და რაც უნდა შესანიშნავი იყოს მისი წიგნები, მათში არეკლილი შუდლი გვაგონებს ტკივილის სპაშმებს.

რადგან რომანი ასახავს ცხოვრებისეულ სინამდვილეს, რომანშიც იგივე ფასეულობაა, რაც ცხოვრებაში. მაგრამ ხომ აშკარაა, ქალისათვის სულ სხვა რამაა ფასეული, ვიდრე მეორე სქესს მიუჩნევია. ეს ბუნებრივიცაა. მაგრამ მამაკაცური ფასეულობანი ხატონობს. უბრალოდ რომ ვთქვათ, ფეხბურთი და სპორტი „მნიშვნელოვანია“, მოდის აყოლა და ტანსაცმლის შეძენა კი — „უმნიშვნელო“. ეს ღირებულებანი უცილობლად გადადის ლიტერატურაშიც. ეს მნიშვნელოვანი წიგნია, ვარაუდობს კრიტიკოსი, რადგან ომს ასახავს. ეს წიგნი უმნიშვნელოა, რადგან ასახავს სასტუმრო ოთახში გამომწყვდეული ქალების გრძობათა ღელვას. ბრძოლის სცენა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სცენა მალაზიაში — ღირებულებათა ამგვარი და კიდევ უმნიშვნელო სხვაობა ყველგან და ყველაფერშია. ამიტომ, ადრეული მეცბრამეტე საუკუნის რომანის მთელ სტრუქტურას, თუ ქალი იყო ავტორი, ადგენდა გონება, რომელიც სწორი გზიდან ოდნავ გადახრილა და საკუთარი, განსხვავებული ნათელხილვა შეუგუებია გარე ავტორიტეტიხათვის. გადაფურცლით ძველი, მივიწყებული რომანები, უური ათხოვეთ, როგორაა დაწერილი და მიხვდებით, რომ მწერალი კრიტიკას ეპასუხება; ხან ამას იტყვის გა-



ბრაზებით, ხან იმას ამბობს მოთვინიერებული. „მე მხოლოდ ქალი ვარ“, აღიარებს, ან გაბრაზებული ამბობს, „არაფერში ჩამოვრჩებიო მამაკაცებს“. ზოგი მორჩილად და მოკრძალებით ზედებოდა კრიტიკას, ზოგი გაბრაზებით და ხაზგასმით, გააჩნია ტემპერამენტს. მნიშვნელობა არ აქვს, როგორ ზედებოდა; მთავარია, ავტორი არ ფიქრობდა თავად რომანზე. და რომანიც მარცხს განიცდიდა. წარმოვიდგინე, ქალთა რომანები როგორაა მიყრილი-მოყრილი, — როგორც ბაღში მიმოფანტული დაქორფლილი ვაშლები, — ლონდონის ბუკინისტურ მაღაზიებში. შუაგული რომ ჩაშლიათ, ამას დაუღპია წიგნები. ქალს შეუცვლია საკუთარი ღირებულებანი, რომ პატივი მიეგოს სხვათა შეხედულებებისათვის.

თითქმის შეუძლებელი იქნებოდა არ გადახრილიყვნენ ან ერთ მხარეს, ან მეორე მხარეს. რა გენია, რა პატიოსნება უნდა ყოფილიყო ქალში, რომ ამ კრიტიკას დაპირისპირებოდა, პატრიარქალური საზოგადოების შუაგულში მტკიცედ მდგარიყო იმაზე, რასაც თვით ზედავდა და არ შემკრთალიყო. ეს შეძლეს მხოლოდ ჭეინოსტინმა და ემილი ბრონტიმ. ეს კიდევ ერთი, და შეიძლება, ყველაზე ძვირფასი, დამამშვენებელია მათი გვირგვინის. ისინი წერდნენ ისე, როგორც უნდა წერდეს ქალი, არა როგორც მამაკაცი. შეიძლება ათასი ქალი წერდა მაშინ, მაგრამ მხოლოდ მათ შეძლეს, უურად არ ელათ მარადიული ბედაგოგის მარადიული გაფრთხილება — ამაზე წერეთო, ასე იფიქრეთო. მხოლოდ მათ წაუყრუეს დაჟინებულ ხმას, რომელიც ხან ბუზლუნა იყო, ხან მუარველური, ხან მბრძანებლური, ხან დამწუხრებული, ხან თავზარდაცემული, ხან გაბრაზებული, ხან შინაურული, ხმა, რომელიც ვერ მიატოვებს ქალებს, სულ თან დასდევს, როგორც მეთისმეტად კეთილსინდისიერი გამწრდელი, რომელიც, სერ ეჭერტონ ბრიჯის არ იყოს, სინათლეს უქადაგებს, პოეზიის კრიტიკაშიც კი სქესის კრიტიკას ჩაურთავს<sup>13</sup>, კეუას არიგებს, თუ ივარგებთ და ჩემსავით მოიგებთ რაიმე ბრჭყვიალა პრიზს, ცხადეთ, დაეტიოთ განსაზღვრულ ფარგლებში, რაც ვინმე ჭენტლმენს მიაჩნია თქვენთვის შესაფერისადამ „... ქალი-რომანისტები მხოლოდ

<sup>13</sup> „(ამ ქალს) მეტიფიზიკური მიზანი დაუსახავს, და ეს საბიფათო აკვიატებაა, განსაკუთრებით ქალის მხრივ, რადგან ქალების იშვიათ გამონაკლისს გააჩნია მამაკაცური ჯანსაღი ლტოლვა მჭკრმეტყველებისაკენ. ეს უცნაური ნაკლი აქვს ამ სქესს, სხვა მხრივ უფრო მარტივი და მიწიერი“. „ნიუ კრიტიკერიონი“, ივნისი, 1928 (ავტ.).

უნდა მიილტვოდნენ დაოსტატებისაკენ და აღიარონ, რომ მათი სქესი დასაზღვრულია“<sup>14</sup> ასე ლოქვა საქმე ნაკუჭში, და, ალბათ, გაგაკვირვებთ კიდევ, როდესაც მოგახსენებთ, რომ ეს წინადადება 1828 წლის აგვისტოში კი არა, 1828 წლის აგვისტოში დაწერეს, მე მგონი, დამეთანხმებით, — სასიამოვნოა ვერც, თუ არა — რომ ესაა ფართო საზოგადოებას შეხედულება — ძველ ამბებს არ ვღევი; რაც შემთხვევით წამოშიტივტივდა გონებაში, ის მოგახსენეთ — ერთი საუკუნის წინათ ამ საკითხს შეუდარებლად უფრო უხეშად იხსენიებდნენ და შეუდარებლად უფრო დიდ აურზაურს იწვევდა. ქალი თავგადადებული უნდა ყოფილიყო, რომ 1828 წელს ამდენი შეურაცხყოფა, შენიშვნა და დაპირებული ჭილდო არაფრად ჩაეგდო. დიდი დავიდარაბის თავი უნდა მქონოდა, რომ ადამიანს ეთქვა: ყველა, ყველა და ლიტერატურას მაინც ვერ მოისყიდინ, ლიტერატურა ყველასთვის ხსნილია... ნებას არ მოგცემთ, თუმცა შედამხედველი ბრძანდებით, მინდვრიდან გამაძევოთ. თუ გსურთ, გამოკეტეთ თქვენი ბიბლიოთეკები. მაგრამ ვერც ჭიშკარს დაუკეტავთ, ვერც ბოქლომს დაადებთ, ვერც რაზით ჩარაზავთ ჩემი გონების თავისუფლებას.

რა გავლენაც უნდა მქონოდა გულისგატეხასა და კრიტიკას ქალთა შემოქმედებაზე, — დარწმუნებული ვარ, ამან ქალიან დიდი შემოქმედება იქონია — ეს გავლენა მაინც უმნიშვნელოა იმ სიძნელესთან შედარებით, რაც მათ წინაშე წამოიჭრა (მე კვლავ ვგულისხმობ ადრეული მეცხრამეტე საუკუნის რომანისტებს), როდესაც ქალებს დასჭირდათ თავიანთი აზრების გადატანა ქალაქზე — საქმე იმაშია, რომ ქალებს არ გააჩნდათ ტრადიცია, ან გააჩნდათ იმდენად უმნიშვნელო და ცალმხრივი, რომ დიდი ვერაფერი დახმარება იყო. რადგან ჩვენ ვაზროვნებთ ჩვენი დედების აზროვნებით, თუ ვართ ქალები, აზრი არა აქვს, დიდ მამაკაც-მწერლებს მივმართოთ დახმარებისათვის, სიამოვნებისთვის კი შეიძლება, მრავალჭერაც გადაიკითხო. ლემი, ბრაუნი, თეკერი, ნიუმენი, სტერნი, დიკენსი, დე ქუინსი<sup>15</sup> ვინც არ უნდა

<sup>14</sup> „თუკი იმ რეპორტიორივით თქვენც დარწმუნებული ხართ, რომ ქალი-რომანისტები უნდა მხოლოდ მიილტვოდნენ დაოსტატებისაკენ და აღიარონ, რომ მათი სქესი დასაზღვრულია (ჩვენ ოსტინმა გვიჩვენა, როგორ მშვენიერად შეიძლება ეს შესტი სრულყოთ...)“. „ლაიფ ენდ ლეტერზ“, აგვისტო, 1928 (ავტ.).

<sup>15</sup> თომას დე ქუინსი (1785-1859) — ინგლისელი მეცნიერი და ბელეტრისტი, ახლოს იყო „ტობის სკოლის“ რომანტიკოს პოეტებთან. კარ-



დავასახელო, ჭერ არავინ არასოდეს დახმარებია ქალს, თუმცა ქალმა, აღბათ, მათგან ისწავლა რაღაც-რაღაცა და ერთგვარად მიუსადაგათვის საჭიროებას. მამაკაცის გონების წონა, მუშაობის ტემპი და მასშტაბი სავსებით განსხვავდება ქალის თვისებებისაგან. ამიტომ საეჭვოა, ქალმა შეძლოს, რაიმე მნიშვნელოვანი შეიძინოს მამაკაცისგან. პირველი, რაც ქალმა აღმოაჩინა, როდესაც ქალამ მოხკიდა ხელი, იყო ის, რომ მისთვის გამოსადეგი უბრალო წინადადება ჭერ არ არსებობდა. ყველა დიდი რომანიისტი, როგორც იყვნენ თეკერი, დიკენსი თუ ბალზაკი, ბუნებრივ პროზას თხზავდა, გონებამახვილურს, მაგრამ დანაგვიანებულს, ემოციურს მაგრამ დაუხვეწავს, საკუთარი სახეც რომ გააჩნდა და არც საერთო იერი დაჰქარგვოდა. მათი პროზის საფუძველია წინადადება, რომელიც ბუნებრივი იყო მეტბრამეტე საუკუნის დასაწყისში, დაახლოებით ასეთი: „მათ პირად დიდებას მათი ნაწარმოებები ღაღადებდა, სწრაფად წარმავალს კი არა, ხანიერს. არა ანიჭებდა რა მათ უფრო დიდ სიამოვნებას და არა ჰგვრიდა რა უფრო დიდ მღელვარებას ვიდრე ის, რომ საკუთარ ხელოვნებას მიმყვებოდნენ, კიდევ და კიდევ ეძიებდნენ ჰერმეტიკობას და ხორცს ასხამდნენ მშვენიერებას. წარმატება გვიბიძგებს ძალისხმევისაკენ, ჩვეულება ხელს უწყობს წარმატებას“. ესაა მამაკაცის წინადადება: ეს შეიძლება დაეწერა ჯონსონს<sup>16</sup>, გიბონს<sup>17</sup> ან სხვას. ეს წინადადება არ გამოადგება ქალს. შარლოტ ბრონტი, თუმცა დიდად ნიჭიერი პროზაიკოსი იყო, ბორძიკობდა და ეცემოდა ასეთი მოუქნელი იარაღით ხელში. ჭორჭ ელიოტმა ენით აუწერელი საშინელება შექმნა ამ იარაღით. ჭინოსტინმა ერთი შეხედა ამ წინადადებას, გაიციინა, და გამოძერწა სავსებით ბუნებრივი, ჩამოქნილი წინადადება, თვითონ რომ გამოადგებოდა, და აღარც განშორებია მას. თუმცა შარლოტ ბრონტის ნაკლები ნიჭი ჰქონდა წერისა, მეტის თქმა შეძლო. და თუ ხელოვნების არსი არის — თავისუფლად და სრულად გადმოსცეს სათქმელი, მაშინ განუსაზღვრელი გავლენა ექნებოდა ქალთა მწერლურ უნარზე იმას, რომ მათ აკლ-

დათ ტრადიცია, მათი იარაღი უფრო ღარიბული იყო და მოუქნელი. კიდევ მეტი, წიგნი არაა ერთი ერთზე მიწყობილი წინადადებები, არამედ წინადადებებით აწყობილი, თუ ფანტაზიაც ხელს გვიწყობს, — თაღები და გუმბათები. ეს ფორმაც მამაკაცმა შექმნა, ასეთი სტირდებოდა, ასეთით სარგებლობდა უნდა გვეგონოს, რომ ფორმა ეპიკური და ბრეტონული უფრო მიესადაგებოდა ქალს, ვიდრე თვით წინადადება. მაგრამ ლიტერატურის ყველა ძველი ფორმა უკვე გაქვავებული და დაშკვიდრებული იყო იმ დროისათვის, როცა ქალი გახდა მწერალი. რომანილა იყო ჭერ კიდევ ახალგაზრდა, დაწყობილი. კიდევ ერთი მიზეზი, ჩემი აზრით, რატომაც ქალი წერდა რომანს და მაინც, ვინ იტყვის, რომ „რომანი“ (ბრეტონებს ვხმარობ, რადგან მიმაჩნია, რომ ეს სიტყვა არაა აღსანიშნის შესატყვისი) ფორმათა შორის ეს თუნდაც ყველაზე მოქნილი ფორმა, გამოადგება ქალს? ეჭვი არაა, როცა ქალი ისწავლის, როგორ მოიხმაროს კიდურები თავისუფლად, ფორმასაც გამოეყვანოს შესაფერისს და კიდევ, გამოსაზღვის რაღაც სხვა საშუალებას მიაკვლივს; აუცილებელი არაა, ლექსად გამოთქვას მასში ჩამარბული პოეზია. პოეზიას იმიტომ ვახსენებ, რომ სწორედ ლექსს აქვს დღემდე დახშული ასპარეზი. ისევ იმაზე ვფიქრობთ, დღეს როგორ შექმნის ქალი ხუთმოქმედებიან პოეტურ ტრაგედიას. ლექსად დაწერს თუ უფრო პროზას მიმართავს?

მაგრამ ეს რთული საკითხებია, მომავლის ბურუსში გახვეული. თავი უნდა ვანებო ასეთ საკითხებს თუნდაც იმიტომ, რომ მიბიძგებენ ჩემი თემიდან გადავუზვიო უგზოუკვლო ტივრებში, სადაც დავიკარგები და ისიც შეიძლება, გარეულმა მხეცებმა გადამსანსლონ. არ მსურს, და მჭერა, არც თქვენ მისურვებთ, რომ მე განვიხილო ასეთი უინტერესო საკითხი — მხატვრული ლიტერატურის მომავალი. ახე რომ ერთს შევეყოვნებო მხოლოდ და თქვენს ყურადღებას მივაქცევ, და დიდი მნიშვნელობა შეიძლება ექნეს მომავალში ქალის ფიზიკურ მონაცემებს. წიგნი, ერთგვარად, უნდა შეეფარდებოდეს სხეულს. ზოგადად შეიძლება ვთქვათ, რომ ქალების წიგნი უფრო პატარა, უფრო შეკუმშული უნდა იყოს კაცებისაზე, და ისე შეკრული, რომ მათზე მუშაობა არ მოითხოვდეს რამდენიმე საათის ბეჭით და შეუფერხებელ შრომას. შეფერხებები კი ყოველთვის ექნებათ. და კიდევ, ნერვები, რომლებიც კვებავს გონებას, განსხვავებული აქვთ კაცებს და ქალებს, და თუ გნებავთ, რომ ნერვებმა იმუშაოს რაც შეიძლება უკეთ და სრული დატვირთვით, უნდა შეისწავლოთ როგორ გამოიყენოთ უკეთ. მაგალითად,

გად იცოდა ლათინური, ძველი და ახალი ბერძნული. იკვლევდა პოლიტიკონომიის, ფილოსოფიის და ფილოლოგიის საკითხებს. მას ეკუთვნის „ინგლისელი მორფინისტის აღსარება“, რომელიც მის საკუთარ გამოცდილებას ასახავს.  
<sup>16</sup> სემიუელ ჯონსონი (1709-84) — ინგლისელი ლიტერატორი.  
<sup>17</sup> ედუარდ გიბონი (1737-94) — ისტორიკოსი, სამეფო აკადემიის ანტიკური ისტორიის კათედრის პროფესორი.



ლექციების განრიგი, რაც დაადგინეს ბერებმა მრავალი წლის წინათ, მიესადაგება ქალებს? იქნებ მათ ურჩევნიათ მუშაობა და დასვენება სხვაგვარად შენაცვლონ. დასვენება უნდა გავიგოთ არა როგორც უსაქმურობა, არამედ როგორც საქმიანობის შეცვლა; მაინც რისი შეცვლა შეიძლება? უველაფერი ეს ნაწილია საკითხისა „ქალები და რომანი“. და მაინც, განვაგრძე მე, და კვლავ მივუახლოვდი წიგნის კარდას, შეიძლებოდა, დაგვედგინა — შეისწავლა თუ არა ქალმა დაწვრილებით ქალის ფსიქოლოგია? იქნებ ქალებს მხოლოდ იმიტომ არა აქვთ ნება მედიცინას მოჰკიდონ ხელი, რომ ვერ თამაშობენ ფეხბურთს. —

საბედნიეროდ, ჩემმა ფიქრებმა კიდევ ერთხელ იცვალეს გეზი.

### მეხუთე თავი

ამდენ ხეტიალში, ბოლოს და ბოლოს, მივადექი თაროებს, სადაც ეწყო ცოცხალ ავტორთა წიგნები, ქალებისაც და მამაკაცებისაც; ახლა ქალები ხომ თითქმის იმდენსვე წერენ, რამდენსაც მამაკაცები. მთლად ასე თუ არაა, თუ მამაკაცი ჭერ კიდევ არის უფრო სიტყვაუხვი სქესი, ის მაინცაა ჭეშმარიტება, რომ ქალები აღარ წერენ მხოლოდ რომანებს; ჭეინ ჰერისონს<sup>18</sup> ეკუთვნის წიგნები საბერძნეთის არქეოლოგიაზე; ვერნონ ლის<sup>19</sup> — ესთეტიკაზე, გერტრუდ ბელს<sup>20</sup> — სპარსეთზე, ქალებისაა ლექსები, პიესები და კრიტიკული წერილები, ისტორიული

<sup>18</sup> ჭეინ ელენ ჰერისონი (1850-1928) — ინგლისელი მეცნიერი, ხელოვნებათმცოდნე, არქეოლოგი. იკვლევდა ბერძნულ ხელოვნებასა და რელიგიას, შემდეგ — სპარსულ ხელოვნებას. ლექციებს კითხულობდა ნიუნჰემის კოლეჯში კლასიკურ არქეოლოგიაზე. მრავალი ნაშრომი დაგვიტოვა, მათ შორის „ბერძნული რელიგიის კვლევის შესავალი“, „ოღისევსის მითები ხელოვნებასა და ლიტერატურაში“ და სხვ.

<sup>19</sup> ვერნონ ლი (1856-1935) — ინგლისელი ქალი — რომანისტი, ლიტერატორი. წერდა ფრანგულად, ინგლისურად და იტალიურად.

<sup>20</sup> გერტრუდ მარგარეტ ბელი (1868-1926) — ინგლისელი მოგზაური, პოლიტიკური მოღვაწე და აღმოსავლური ხელოვნების მოყვარული. ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა აღმოსავლეთში: თეირანში, იერუსალიმში, სირიაში, პალესტინაში, დამასკოში. არაერთხელ ჩაერია ერაყის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბოლოს შექმნა აღმოსავლური კულტურის მუზეუმი ბაღდადში, რომელსაც დიდხანს ხელმძღვანელობდა.

და ბიოგრაფიული წიგნები, გამოკვლევები, სათავგადასვლო და კვლევითი ლიტერატურა, რამდენიმე ფილოსოფიური, სამეცნიერო და ეკონომიკური წიგნი; რომანი ხუარბობს, მაგრამ ამ ნაირ-ნაირი წიგნების გავლენით თავად რომანმაც საქმოდ იცვალა სახე. ქალებმა კრიტიკური თხრობა სჩვეოდათ ქალებს, მაგრამ ქალებათ, ამ მანერასაც უავლი გაუვიდა. კითხულობდნენ, კრიტიკულად აზროვნებდნენ და ქალებსაც გაეხსნათ პორიზონტი, გაუფაქიზდად გრძნობა. აღბათ, დაიხარჯა იმპულსი ავტობიოგრაფიების წერისა, აღბათ, ქალი აპირებს, თვითგამოხატვას არ დასჯერდეს და წერა ხელოვნებად აქციოს. რამდენიმე ამგვარი კითხვის პასუხს შეიძლება მივაგნოთ თანამედროვე რომანებში.

ალაბზელზე ერთ-ერთი გადმოვიღე. თაროს ბოლოში იყო და ეწერა „ცხოვრების თავგადასავალი“, თუ რაღაც ამგვარი, მეარი ქარშიაკლისა, სულ ახლახან ოქტომბრის თვეში გამოუციათ. ავტორის პირველი წიგნი უნდა იყოს, ვთქვი ჩემთვის, — მაგრამ წაკითხვით ისე უნდა წავიკითხოთ, თითქოს ეს იყოს უკანასკნელი ტომი წიგნების საკმოდ გრძელ მწყობრში; იგი გაგრძელებაა უველა იმ წიგნისა, რომლებიც აქამდე მოვიხილეთ — ლეიდი უინჩილსის ლექსების, ეფრა ბენის პიესებისა და ოთხი დიდი რომანისტიკის ნაწარმოებებისა; წიგნები აგრძელებენ ერთმანეთს, თუმცა მათზე ცალ-ცალკე ვმსჯელობთ. ავტორიც, ეს უცნობი ქალი, აღბათ, შთამომავალია ქალებისა, ვის ცხოვრებასაც გადავხედეთ და გავარკვიეთ, რა ღირსებები თუ ნაკლოვანებები მიიღო მათგან მემკვიდრეობით. ერთი ამოვიხორციე: რომანი ბანგს უფრო მოგვგრის, ვიდრე გამოგაფხიზლებს, ღრმა ძილში ჩავითრევს — ცეცხლით არ აღგანთებს. ასე და ამგვარად, რვეული და ფანქარი მოვიმარჯვე, რომ გამერკვია ავ-კარგი მეარი ქარშიაკლის პირველი რომანისა „ცხოვრების თავგადასავალი“.

დავიწყე იმით, რომ ფურცელი ავთვალეირჩავათვალეირე; ვნახოთ-მეთქი, როგორ გამოიყურება გვერდი, ვიდრე გონებას დავიტვირთავდე ქლოს და როჭერის ურთიერთობით — ამის გაგებას მერეც მოვესწრები, როცა დავადგენ, ავტორს კალამი უჭრის თუ „ჩეხავს“. მოვსინჯე, ერთი-ორი წინადადება ჩავიკითხე, მალე მიეხვდი, რაღაც მიშლიდა, წინადადებები სრიალ-სრიალით არ მისდევდნენ ერთმანეთს, რაღაც აფერხებდათ. სიტყვამ ხან გამკაწრა, ხან გამფხაქნა, ალაგ-ალაგ მაშხალასავით შემოშინათა, თითქოს უკულმა აკეთებდა უველაფერს; ერთი კაცივით მოსდიოდა — ასანთს მკრავდა, თუმცა იცოდა, არ აინთებოდა. ნეტავ, რად ვერ მოირგო ჭეინ ოსტინის წინადადება, — ვიკითხე, — თითქოს ავტორი იქვე ყოფილიყო. რადგან



ემა და მ-რ ვუდჰაუზი მიიცივალენენ, წინადადებებიც დაგლეჯილი უნდა იყოს? სამწუხაროა, მაგრამ ასეა. ჰეინ ოსტინს რომ კითხულობ, მელოდია იღვრება მელოდიაში, როგორც მოცარტის სიმღერა სიმღერაში. ამ ნაწერს რომ კითხულობ, თითქოს შუა ზღვაში ხარ ნავით: ზევით აგისვრის, ძირს დაგაქანებს, კუმშავს სათქმელს, მოკრით ამბობს. ალბათ, ეშინია რაღაცის, იქნებ იმისა, „სანტიმენტალობა“ არ დამწამონო; ან ახსოვს, რომ ქალების ნაწერზე ამბობდნენ, უვადოლებით მოჩითულიაო, და მასაც ეკლებით გაუფსია; მაგრამ ვიდრე უურადლებით არ წავიკითხავ ერთ ეპიზოდს მაინც, ვერ ვიტყვი, მისია თუ სხვისი, რაც გააჩნია. უოველ შემთხვევაში, კითხულობ და არ გადუნებს, — გავიფიქრე, როცა უფრო დაკვირვებით წავიკითხე. მაგრამ ფაქტების ზედახორა დააუენა, ასეთი ზომის წიგნში ამდენ ფაქტს ვერ გამოიყენებ. („ჰეინ ეარის“ ნახევარი იქნებოდა სისქით.) ასე იყო თუ ისე, მოახერხა და უველა გმირი — როჭერი, ქლოი, ოლივია, ტოუნი და მ-რ ბიგამი — ერთ ნაწილში ჩასხა და მდინარეს აღმა აუყოლა. მოითმინეთ, — ვთქვი და სკამის ზურგს მივეყრდენი, — კარგად უნდა დავუკვირდე, ვიდრე გავაგრძელებდე.

თითქმის დარწმუნებული ვარ, ვთქვი ჩემთვის, რომ მეარი ქარმაიკლი გვასულელებს. ისეთი გრძნობა მაქვს, როგორც ადამიანს მოულოდნელობისაგან დაეუფლება: რკინიგზის გადასასვლელზე მანქანა რომ შედგება, გგონია ნელა დაეშვებაო, ის კი შეგახტუნებს. მეარი განგებ ანგრევს მოსალოდნელ წყობას. ჰერ წინადადება დატება, ახლა წინადადებების წყობას ამსხვრევს. ძალიან კარგი, სრული უფლება აქვს დატებოს კიდევ და დაამსხვრიოს კიდევ, თუკი ამსხვრევს, რომ შექმნას. ვერც ასე ვიტყვი და ვერც ისე, ვიდრე ერთ სიტუაციას მაინც არ დახატავს. რა სიტუაციაც სურს, აირჩიოს, სრული თავისუფლება მიმიცია, ვთქვი მე. თუ უნდა, თუნუქის ქილებისა და ძველი ჩაიდნებისგან შექმნას, მაგრამ უნდა დამარწმუნოს, რომ მას სჯერა, რომ ეს სიტუაციაა, და როცა შექმნის სიტუაციას, უნდა დაასრულოს კიდევ. უნდა გადახტეს. მტკიცედ გადაწყვეტიტი, სრულად მომებადა ვალი როგორც მკითხველს, თუკი ისაც სრულად მოიხდიდა ვალს, როგორც მწერალი. ასეთი გადაწყვეტილებით გადავშალე გვერდი და დავხედე... მამაკით, უცებ რომ შევწყვიტე. მამაკაცები ხომ არ გვირევიან? შეგიძლიათ, დაიფიცოთ, რომ იმ წითელი ფარდის იქით სერ ჩარტრის ბაირონი არ იმალება? მარწმუნებთ, რომ მხოლოდ ქალები ვართ? მაშინ თავს ნებას მივცემ, მოგახსენოთ, რომ წიგნს დავხედე თუ არა, ეს სიტუაციები წავიკითხე —

„ქლოის მოსწონდა ოლივია...“ ნუ შეკრთებით. ნუ გაწითლდებით. მამაკაცი ხომ არ გვირევიან, და ჩვენს შორის ვალდართ, რომ ასეთი რამ ზოგჯერ ხდება. ზოგჯერ ქალს, დეახაც, მოსწონს ქალი.

„ქლოის მოსწონდა ოლივია“ წავიკითხე მე. და უცებ მივხვდი, რა დიდი ცვლილება მომხდარა. ალბათ, პირველად იყო ლიტერატურაში, რომ ქლოის მოსწონდა ოლივია. კლეოპატრას არ მოსწონდა ოქტავია. ო, ხომ ძირფესვიანად შეიცვლებოდა „ანტონიოს და კლეოპატრა“, ოქტავია რომ მოსწონებოდა კლეოპატრას! პიესაში კი — გავიფიქრე და ვშიშობ, ცოტა დავშორდი „ცხოვრების თავგადასავალს“ — ხაკითხი გამარტივებულა, თუ გავხედავთ და ვიტყვი, იდიოტურად გაუბრალოებულა. შეგრძნებას, რომელიც კლეოპატრას აწუხებს ოლივიას მიმართ, მხოლოდ ეჭვი შეიძლება ვუწოდოთ. ჩემზე მაღალია? როგორ ივარცხნის თმას? იქნებ, პიესას მეტი არც სჭირდებოდა. მაგრამ, რამდენად საინტერესო იქნებოდა, ამ ორი ქალის ურთიერთობა უფრო ჩახლართულიყო. ქალთა შორის დამოკიდებულება, — გავიფიქრე და გონების თვალი გადავავლე მშვენიერი ლიტერატურული გმირი ქალების წყებას, — ყველგან მეტად მარტივია. რამდენი რამ ვერ შენიშნეს, არც უცდიათ გადმოეცათ. ერთ მაგალითს მაინც თუ გავიხსენებ, რაც წამიკითხავს, რომ ქალები იყვნენ მეგობრები. რომანში „გზაჯვარედინის დაიენა“<sup>21</sup> თითქოს არის რაღაც ამგვარი. რასინისა და ბერძნული ტრაგედიების ქალებიც მეგობრობენ, ზოგი დედა-შვილია; მაგრამ, როგორც წესი, ქალი ნაჩვენებია მამაკაცთან ურთიერთობაში. უცნაურია, რომ დაუკვირდები: ჰეინ ოსტინამდე ყველა დიდი ლიტერატურული პერსონაჟი-ქალი დახატეს მეორე სქესის წარმომადგენლებმა, და დახატეს მხოლოდ მეორე სქესთან ურთიერთობაში. ეს ხომ ქალის ცხოვრების ძალიან მცირე ნაწილია; რა იცის კაცმა თუნდაც ამ ურთიერთობის: სქესი ხან შავ სათვალეს მოარგებს და ხან ვარდისფერს, ამიტომ აღწერენ ლიტერატურაში ქალს სხვადასხვაგვარად. გასაოცარი უკიდურესობაა: ქალი ხან ულამაზესია და ხან საშინელი, ხან ზეციურად წმინდაა და ხან ჭოჭობითურად ცოდვილი. ასე ხედავდა მას შეყვარებული, იმის მიხედვით, მამაკაცის სიყვარული იფურჩქნებოდა, თუ იფერფლებოდა, ბედნიერი იყო კაცი, თუ უბედური. მეცხრამეტე საუკუნის რომანებზე მთლად ასე არ ითქმის, რახაკვირველია. აქ ბევრად უფრო მრვალწახნაგოვანი და რთულია ქალთა ხასიათები. სწორედ ქალზე წერის

<sup>21</sup> ჯორჯ მერვედითის რომანი.



სურვილმა მიატოვებინათ პოეტური დრამა. ქალთა ხასიათების განვითარების საშუალებას არ იძლეოდა საშინელებათა დრამა; მწერლებმაც მიმართეს რომანს, როგორც უფრო შესაფერ კალიბს. და მაინც, თვით პრუსტის ნაწარმოებებშიც კი, აშკარად ჩანს, რომ მამაკაცი ძალიან შეზღუდულად და ცალმხრივად იცნობს ქალს, ასევე ქალი — მამაკაცს.

ამავე დროს, განვაგრძე და კვლავ დავხედე გვერდს, ნათელია, რომ ქალს, მამაკაცის მხგავსად, სხვა ინტერესებიც აქვს, გარდა ყოველდღიური საოჯახო საქმიანობისა. „ქლოს მოსწონდა ოლივია. ორნი მუშაობდნენ ლაბორატორიაში...“ განვაგრძე კითხვა; აღმოჩნდა, რომ ეს ორი ქალი ღვიძლს ხეხავდა, თურმე ავთვისებიან ანემიას კურნავს; ამასთან, ერთ-ერთი გათხოვილი იყო და ჰყავდა — მგონია, არ ვცდები — ორი ბავშვი. უველაფერი ეს, იქნებ ზედმეტიც იყოს, მაშინ მშვენიერი პორტრეტი ლიტერატურული პერსონაჟისა იქნებოდა ბევრად უფრო მარტივი და ბევრად უფრო ერთფეროვანი. დავუშვათ, მაგალითად, რომ მამაკაცი წარმოესახათ ლიტერატურაში მხოლოდ როგორც ქალის საყვარელი, და არასოდეს, როგორც მამაკაცის მეგობარი, ჭარისკაცი, მოაზროვნე, მეოცნებე. რაღა დარჩებოდა შექსპირის პიესებიდან; რა დანაკლისი იქნებოდა ლიტერატურისათვის! შემოგვრჩებოდა ოტელო თითქმის მთლიანად, ანტონიუსის დიდი ნაწილი; მაგრამ აღარ იქნებოდა არც ცეზარი, არც ბრუტუსი, არ მამლეტი, არც ლირი, არც ჭეიქვიზი. ლიტერატურა ენით აუწერლად გაღარიბდებოდა ისევე, როგორც ახლაა, ვინ იცის რამდენად, გაღარიბებული იმ მიწეზით, რომ ქალებს დახშული ჰქონდათ კარი. საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ათხოვებდნენ, ერთ ოთახში ჰყავდათ გამოკეტილი და საქმეც ერთფეროვანი ჰქონდათ — როგორ დაეხატა დრამატურგს ქალის სავსე, საინტერესო და მართალი სახე. მხოლოდ სიყვარულში გამომჟღავნდა ქალი სრულად. ამიტომ პოეტი ან გაშმაგებულ გრძნობას უმღერდა, ან სიყვარულის სიმწარეს, თუკი „ქალთმომძულეობას“ არ არჩევდა, რაც უმეტეს შემთხვევაში, და არა იშვიათად, ნიშნავდა, რომ ქალები შეუხედავად თვლიდნენ.

თუ ქლოს მოსწონს ოლივია და ორნი ერთ ლაბორატორიაში მუშაობენ — რის გამოც მათი მეგობრობა უფრო მრავალფეროვანი და ხანგრძლივი იქნება, რადგან ექნებათ მეტი, ობიექტურად ხელშემწყობი პირობა; თუ მეარი ქარმაიკლმა იცის წერა — თანდათან მომწონდა მისი სტილური ნიუანსები; თუ მას გააჩნია ერთი ოთახი საკუთრად — ამის იმედი მაინც და მაინც არ მაქვს; თუ მას ხუთახი დოღარი წლი-

ური შემოსავალი ახალია — რაც ჭერ-ჭერობით გაურკვეველია — მაშინ, მე ვფიქრობ, რომ მომხდარა რაღაც მნიშვნელოვანი.

რადგან, თუ ქლოს მოსწონს ოლივია და მეარი ქარმაიკლმა იცის, მთავარი გადაწყვეტის ეს, მაშინ ის ანთებს მათსაღას-უწარმანს და არბაზში, სადაც ჭერ არავის შეუდგამს ფეხი. შუქი ნახევრად ანთებს საგნებს, ჩრდილი დაფენილა ირგვლივ; თითქოს გველებდაბუდებულ გამოქვაბულში იყო, სანთლის შუქზე ზევით-ქვევით აპარებ თვალს, გეშინია ფეხი არაფერს და აბიჯო. კვლავ მივუბრუნდი წიგნს, და წავიკითხე: ქლოი თვალს ადევნებს; აი, ოლივიამ დადო ქოთანის თაროზე; აი, ის ამბობს, დროა სახლში წავიდეთ ბავშვებთან. ასეთი სცენა ჭერ არავის აუწერია ამ ქვეყანაზე, შევძახე მე. ახლა მეც ვადევნებ თვალს, მაინტერესებს, დავინახო, როგორ მოახერხებს მეარი ქარმაიკლი, აღწეროს ქცევის ნიუანსები, უთქმელი და ნახევრადნათქვამი სიტყვები, რომელთაც უფრო უკეთ ვერ შეიგრძნობ, ვიდრე ჩრჩილის აჩრდილი ჩანს ჭერზე და რომლებიც თავს იჩენს, როდესაც ქალები მარტონი არიან, როდესაც მათ არ ანათებთ დაუდგრომელი და ფერადოვანი შუქი მეორე სქესისა. სუნთქვაშეკრული უნდა შეუდგეს საქმეს, თუ იკისრებს ამის აღწერას, — ვთქვი და წიგნს მოვკიდე ხელი, — ქალები ხომ ისეთი ეჭვიანები არიან, თუ რაიმე აშკარა მოტივი არ ჩანს, რატომ დაინტერესდი, იმდენად მიეჩვივნენ მალულ ქცევას და სხვისაგან ჩაგვრას, რომ, როგორც კი შეამჩნვევენ, ვილაცამ ცალი თვალით ჩვენკენ გამოიხედაო, მაშინვე თავიანთ ნაჭუჭში ჩაიკეტებიან. თუ გსურს, შესძლო, ვაღმოსცე ეს სცენა, — გავიფიქრე და გუნებაში მეარი ქარმაიკლს მივმართე, ვითომ ჩემ გვერდით ყოფილიყო, — ერთადერთი სწორი გზა იქნება, სულ სხვა რაღაცაზე ილაპარაკო, ფანჯრიდან იმზირო თვალგაშტერებულმა და ამგვარად შენიშნო, მოკლედ კი არ ჩაინიშნო ბლოკნოტში, და ძლივს გასარჩევი სიტყვებით თქვა, რა მოხდება, როდესაც ოლივია — ეს ორგანიზმი, რომელიც კლდეს მილიონობით წლის განმავლობაში ჩრდილქვეშ მოექცია — იგრძნობს, რომ სინათლეში მოხვდა და დაინახავს, რომ აქამდე მისთვის უცხო რამ ხილი იგემა: ცოდნა, თავგადასავალი, ხელოვნება. ისიც ხელს გაიწვდის, — გავიფიქრე და თვალი მოვწყვიტე ფურცელს — სურს, რომ სულ ახლებურად შეახამოს ერთმანეთს თავისი შესაძლებლობანი, განვითარებული სხვა მიწნებისთვისაც ისე, რომ ახალი ძველს შეერწყას, რათა არ დაირღვეს უსაზღვროდ რთული და უცვლელი ბალანსი მთლიანობისა.

აი, უბედურებავე, სწორედ ის ვქენი, რაც გა-



დაწვევითი მქონდა, არ მექნა: გაუცნობიერებლად მოვეყვი ჩემი სქესის ქებას. „განვითარებული“, „უსაზღვროდ რთული“ — ეს სიტყვები, უდავოდ, ქებისაა, საკუთარი სქესის ქება კი ყოველთვის ეჭვის აღმძვრელია, ხშირად, სისულელიც. და კიდევ, ამ შემთხვევაში, რით გავამართლო? რუკასთან ვერ მივალ და ვერ ვიტყვი: „კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა და კოლუმბი იყო ქალი“; ან ვერ ავიღებ ვაშლს და ვერ შევნიშნავ: „ნიუტონმა აღმოაჩინა გრავიტაციის კანონი და ნიუტონი იყო ქალი“, ვერც ცას შევხედავ და ვიტყვი: „თვითმფრინავები ჩვენს თავზე დაფრინავენ და თვითმფრინავი ქალებმა გამოიგონეს“. არავითარი ნიშანი არაა კედელზე, რომ ზუსტად გავზომოთ ქალის სიმაღლე. არც სიგრძის ისეთი საზომი არსებობს, კონტად დაუოფილი მილიმეტრებად, რომ გავზომო დედის სიკეთე და ქალიშვილის თავდადება, დის ერთგულება და დიასახლისის უნარი. ახლაც კი მცირეა ქალთა რიცხვი, ვისაც მიენიჭა ხარისხი უნივერსიტეტში; არმია და ფლოტი, ვაჭრობა, პოლიტიკა და დიპლომატია უცხო ხილია მათთვის. თითქმის დღემდე ქალები ერთგვაროვანი მასაა. თუ დამჭირდება, რაც კი აღაშინებდა შეიძლება იცოდეს სერ პოლი ბატსზე, საკმარისია გადავფურცლო ბერკი<sup>22</sup> ან დებრეტი და გავიგებ, რომ მას ესა და ეს ხარისხი უბოძეს; აქვს მამული; ჰყავს მემკვიდრე ვაჟი; იყო მინისტრი; დიდ ბრიტანეთს წარმოადგენდა კანადაში; ფლობდა რამდენიმე ხარისხს, თანამდებობას, მედალს და წარჩინების სხვა ნიშნებს, რომელთა წყალობით წარუშლელია მისი დამსახურება. მხოლოდ განგებამ შეიძლება იცოდეს ამაზე მეტი სერ პოლი ბატსზე.

ამიტომ როდესაც ქალებზე ვამბობ „განვითარებული“ და „უსაზღვროდ რთული“-მეთქი, ვერ ვადასტურებ ჩემს სიტყვებს ვერც უიტიკერი<sup>23</sup>, ვერც დებრეტით და ვერც საუნივერსიტეტო კალენდრით. ეს ართულებს საქმეს. როგორ მოვიქცე? კვლავ შევხედე წიგნ-

ბის კარადას. ჩამწკრივებულან ბიოგრაფიები: ჯონსონი და გოეთე, კარლაილი და სტერნი, კაუპერი და შელი, ვოლტერი და შრაუნიინგი და კიდევ ბევრი სხვა. გავიხსენე ეს დიდი პიროვნებები, რომლებსაც, ამიტომ თუ იმიტომ, აღფრთოვანებდნენ ქალები. რამდენად ქალებს, ცხოვრობდნენ ქალებთან, სჯეროდათ ქალების, უყვარდათ ქალები, წერდნენ ქალებზე, ენდობოდნენ ქალებს და აღწერდნენ, როგორც შეიძლება აეწერათ მეორე სქესი, რომელიც ესაქრობოდათ და რომელზეც იყვნენ დამოკიდებულნი. ვერ ვამტკიცებ, თითქოს, ყველა ეს ურთიერთობა პლატონური იყო და რომ მემტკიცებინა, სერ უილიამ ჯონსონ ბიკსი უთუოდ უარყოფდა. მეორე მხრივ, დიდად შევურაცხყოფთ ამ ცნობილ აღაშინებებს, თუ დავიფინებთ, რომ ამ კავშირით მათ მიიღეს მხოლოდ მუუდრობა, ყალბი აღერხი და ხორციელი სიამოვნება. ცხადია, მათ მიიღეს ის, რასაც ვერ მიიღებდნენ საკუთარი სქესისაგან; და არ შევცდებით, თუ ვიტყვით — და ამისათვის არ დაგვჭირდება მოვიტანოთ ციტატა პოეტის უდავო და მალაღმარდოვანი სიტყვებისა, — რომ ისინი იღებდნენ სტიმულს შემოქმედებითი ძალის განახლებისა, რადგან მხოლოდ მეორე სქესს შესწევს ძალა ეს სტიმული მოგვანიჭოს. როდესაც კაცი შეაღებდა სასტუმრო ან საბავშვო ოთახის კარს, — ვფიქრობდი მე, — სულ ერთია ბავშვებთან ერთად დაინახავდა ქალს თუ მუხლებზე დადებული ხელსაქმით, სხვაგვარი ცხოვრების წესისა და მდინარების ცენტრში აღმოჩნდებოდა და კონსტრასტი ამ სამყაროსა და მის საკუთარ სამყაროს შორის, იუსტიციის სამინისტრო იყო ეს, თუ თემთა პალატა, მაშინვე გამოაცოცხლებდა და ძალას მისცემდა; შემდეგ, სულ უბრალო საუბარშიც თავს იჩენდა ისეთი ბუნებრივი სხვაობა შეხედულებებისა, რომ მასში ერთხანს გახევებული იდებები ხელახლა გამოხიერდებოდა; ცოლის ხულ სხვაგვარი შემოქმედებითი სამყაროს ხილვა კაცის შემოქმედებით ძალას ისე აამუშავებდა, რომ მისი დაცლილი გონება ქვეცნობიერად კვლავ შეასხამდა ხორცს რაღაცას და კაცი მიაგნებდა ფრაზას თუ სცენას, რაც აკლდა, როდესაც ქალთან წამოსასვლელად ქუდი დაიხურა. ყოველ ჯონსონს ჰყავს თავისი ტრეილი და რაღაც ამგვარისთვის ჩასტიდება მას, და როდესაც ტრეილი ცოლად მიბყვება იტალიელ მუსიკის მასწავლებელს, ჯონსონი, ბრაზითა და სიძულვილით აღვსილი, ნახევრად გიჟს ჰგავს. იმიტომ არა, რომ მოენატრება სასიამოვნო საღამოები სტრეტამში, ეშინია, არ დაეშთოს სიცოცხლის სწივი.

<sup>22</sup> ჯონ ბერნარდ ბერკი (1814-1892) — ინგლისელი გენეალოგისტი. ვერ კიდევ 1826 წელს მამამისმა გამოსცა „გენეალოგიური და პერალდიკური ლექსიკონი“, რომელიც ცნობილი გახდა როგორც „ბერკის პერთა წიგნი“. 1847 წლიდან ჯ. ბერკი ყოველ წელს გამოსცემდა ამ ცნობარს.

<sup>23</sup> ჯოუზიფ უიტიკერი (1820-1895) — ინგლისელი გამომცემელი. 1869 წელს პირველად გამოსცა ყოველწლიური ცნობარი „უიტიკერის აღმანახი“. 1874 წელს კი გამოსცა „თანამედროვე ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ცნობარი“.



თუნდაც არ იყო დოქტორ ჯონსონი ან გოეთე ან კარლაილი ან ვალტერი, ადამიანი იგრძნობ — თუმცა ამ დიდი პიროვნებებისაგან ძლიერ განსხვავებულად — ქალის სულის ლაბირინთებს და მათ დიდ შემოქმედებით ძალას. ქალი შედის ოთახში — მაგრამ ენის მთელი საგანძური უნდა ამოწურო და უველაზე ფრთიანი სიტყვები გამოიყენო, თანაც ლოგიკის კანონების გარეშე, ვიდრე ქალს ათქმევინებ, რა ხდება, როცა ის შედის ოთახში. ოთახები ხომ ძალიან განსხვავდება: ერთში სიწყნარეა და შეორეში ქექა-ქუხილი; ერთში ზღვას გადაპურებენ და სხვებს, პირიქით, ციხის ეზოსაკენ უქმნიათ პირი; ზოგან ხარეციბი ჭკიდია, ზოგან რძისფერი და აბრეშუმი ლივლივებს; ზოგი ცხენისძუასებრ გაფშვილია და ზოგიც ბუმბულივით რბილი — საკმარისია ნებისმიერ ქუჩაზე ნებისმიერ ოთახში შეხვიდეთ, რომ აშკარად იგრძნოთ უაღრესად ძლიერს გავლენა ქალური ფენომენისა. სხვაგვარად არც შეიძლება, უხსოვარი დროიდან ქალები სხედან სახლში, ისე რომ დღესდღეობით კედლებიც კი გაუღწეოთ ქალის შემოქმედებითი ძალით, აგურს და ცემენტს აჭარბებს სიმტკიცით. მეტი გზა არაა, ქალის შემოქმედებითი ძალა უნდა მოეჭიდოს კალამს და უალამს, ბიზნესს და პოლიტიკას. მაგრამ ქალის შემოქმედებითი ძალა განსხვავდება მამაკაცის შემოქმედებითი ძალისგან. ერთი დასკვნა უნდა გააკეთოს კაცმა: ათასჯერ სამწუხარო იქნებოდა, ქალის შემოქმედებითი ძალა შეეფერებინა ან გაეფლანგა ვინმეს; საუკუნეების მანძილზე ქალი იცავდა უმკაცრეს დისციპლინას, ასე მოიპოვა საკუთარი სახე და მას ახლა ვერაფერი შეცვლის. ათასჯერ სამწუხარო იქნებოდა, ქალი რომ წერდეს მამაკაცისებრ, ან ცნოვრობდეს მამაკაცისებრ, ან ჩამოგავდეს მამაკაცს. თუკი ორი სქესი სრულიად განსხვავდება, ქვეყანა კი უზარმაზარი და მრავალფეროვანია, როგორ გაუძღვება სამყაროს მხოლოდ ერთი სქესი? განა განათლება უფრო აშკარად და მკვეთრად არ წარმოაჩენს განსხვავებას, ვიდრე მსგავსებას. ქალი და მამაკაცობუნებით ძალიან ვგავართ ერთმანეთს, და თუ მკვლევარი დაგვიბრუნდება და ჩამოგვიტანს ამბავს, რომ სხვა სქესიც არსებობს, რომ ისინი სხვა ხეების ტოტებს შორის გაპურებენ სხვა ცაბ, ადამიანთა მოდგმას ამაზე უკეთეს სამსახურს ვერ გაუწევს; ეს რომ მომხდარიყო, ნიძლავს ვღებ, ასეთი სანახაობის მოწმე გავხდებოდით: პროფესორი X მოიმარჯვებდა საზომს, რომ ამ შემთხვევაშიც დაემტკიცებინა თავისი უპირატესობა.

მეარი ქარმაიკლმა, — გავიფიქრე და გონე-

ბაში ჯერაც დავტრიალებდი იმ გვირდს, — საკუთარ ნაწარმოებს უნდა შეხედოს, როგორც გარეშე დამკვირვებელმა; ნამდვილად მეშინია, გარემოებამ არ მიიტყუოს და არ აწიაროს, ჩემი აზრით, მწერლობის უველაზე უინტერესო სახეობას — ნატურალისტურ, რეალისტურ შედეგად ქვერეტითი რომანისა. ბევრჯერ უნდა ვთქვამო მისახილველი. აღარ სჭირდება, თავი შეიზღუდოს საშუალო კლასის ზედა ფენების მდიდარი ოჯახებით. არც იმის თქმა სჭირდება, ნება მომეცითო, არც იმის პატივი დამდეთო. შეუძლია მეგობრულად შეაღოს ამ პატარა სუნამოთი ავსილი ოთახების კარი, სადაც ჩამომსხდარან კურტიზანები, მეძავეები, ზოგ ქალს ძალი უზის კალთაზე. დღემდე იქ სხედან უხეშ და მზა ტანსაცმელში, რაც მამაკაცმა-მწერალმა საქიროების მიხედვით მოასხა ბეჭებზე. მაგრამ მეარი ქარმაიკლმა მაკრატელი უნდა მოიმარჯვოს და ტანსაცმელი მოარგოს ხეულის ყოველ ნაკვეთს. საინტერესო სანახავი იქნება, როდესაც ავტორი წარმოგვიდგენს ქალებს, როგორც ისინი არიან. მაგრამ ცოტა უნდა მოვითმინოთ, რადგან მეარი ქარმაიკლს ჯერ კიდევ დააბრკოლებს სირცხვილის გრძობა, როდესაც ამ „ცოდვას“ აღწერს, ჩვენი სექსუალური ველურობა სწორედ ამაში ჩანს. ქალს ჯერ კიდევ უბორკავს ხელფებს თავისი სქესის ძველი ბორკილები.

მაგრამ ქალების უშეტესობა არც მეძავეა და არც კურტიზანი, არც ზაფხულის საღამოებს ატარებენ ოთახში და არც პატარა ძაღლებს მოუკალათებიათ მათ მუხლებზე დაფენილ დამტვერილ ხავერდზე. მაშ, რას აკეთებენ? ამ დროს წარმოამიდეგა მდინარის სამხრეთით გადაქიშული ქუჩები: სახლების უსასრულო მწყრივი, ურიცხვი მოსახლეობით. წარმოსახვამ თვალწინ დამიხატა სურათი: ხნიერი მანდილოსანი ქუჩაზე გადადის, შუაზნის ქალის მკლავს დაყრდნობილია, ალბათ, მისი ქალიშვილია. ორივე ისეა გამოწყობილი — შალალუელიანი ფეხსაცმელი და ბეწვმოვლებული ტანსაცმელი აცვიანთ, — რომ ალბათ, მათთვის მთელი რიტუალია საღამოს ჩაცმა. ტანსაცმელი კი გარდერობში უკიდიათ, კამფორაც იქვეა; წლიდან წლამდე, მთელ ზაფხულს. ისინი გადაჭრიან ქუჩას და ამ დროს ნათურებიც ინთება (შებინდებისას უფვართ სეირნობა, ალბათ ასეა ყოველდღე. უფროსმა ოთხმოცს მიუკაკუნა, მაგრამ, რომ ჭკითხოთ, რა არის მისთვის ცხოვრება, გიპასუ-

<sup>24</sup> ყირიმის ომში ბალიკლავა იყო ინგლისის ჯარების ბაზა. 1854 წ. 13 ოქტომბერს ბალიკლავასთან ბრძოლაში ინგლისელებმა გაიმარჯვეს.



ხებთ, რომ ახსოვს, როგორ გააჩაბჩაბეს ქუჩებში ბალაკლავის<sup>24</sup> ბრძოლის აღსანიშნავად, ან როგორ დაიქუხეს ქვეშებებმა ჰაიდ პარკში<sup>25</sup> მეფე ედუარდ მეშვიდის<sup>26</sup> დაბადების პატივსაცემად. მაგრამ თუ დღისა და რიცხვის დაწუსებებს მოინდომებთ და ჰკითხავთ — რას აკეთებდა 1848 წლის თხუთმეტ აპრილს ან 1875 წლის ორ ნოემბერს, დაბნეული შემოგხედავთ და გეტყვით, რომ არაფერი ახსოვს. რადგან: რაც ხადილი იყო მოსახარში — მოხარში; რაც თეფშები და ჭიქები იყო დასარეცხი — დარეცხა; ბავშვებს სკოლა დაამთავრებინა და გზაზე დააყენა. არაფერი დარჩა გასაკეთებელი. უველაფერმა ჩაიარა. არც ბიოგრაფიებში უხსენებიათ და არც ისტორიას შემორჩენია თუნდ ერთი სიტყვა ამაზე. რომანებში კი, იქნებ უნებურადაც, მტკნარი სიტყუა.

მთელი ეს ნისლით მოცული ცხოვრება ჯერ კიდევ აუწერელია, ვთქვი და მერაი ქარმაიკლს მივმართე, თითქოს ჩემ გვერდით მჯდარიყო, ფიქრით კი ლონდონის ქუჩებს დაფუყვი: ვგრძნობდი, მაწუხებდა უთქმელი სიტყვა, ბევრი აუწერელი ცხოვრება: აი, ქალები დგანან ქუჩის კუთხეში, დონჯი შემოუდგამთ, სქელ, კოტიტა თითებზე ბეჭდები ჩაქედვიათ, საუბრისას ხელებს აქეთ-იქით იქნევენ, თითქოს შექსპირის ლექსის რიტმში ირბევიან; აი, სადარბაზოსთან ატუწულან, იების გამყიდველები, ასანთის გამყიდველები და ბებერი ქალები; აი, გოგონები მიირწევიან: როგორც ტალღებში აირეკლება მზე და ღრუბლები, ისე მათი ხახის გამოშეტყველება გვამცნობს, მამაკაცი მოდის მათკენ თუ ქალი, თუ ვიტრინის ჩაბჩაბა სინათლეს უაბლოვდებიათ. ეს უველაფერი უნდა შეისწავლო, — ვუთხარი მერაი ქარმაიკლს, — და ხელში მტკიცედ გეპყრას ლამპარი. ამას გარდა, შენი საკუთარი სული უნდა გაანათო — სულის ქვესკნელი და სულის ზესკნელი, ამოებას ადევნებული და გულუბვი, და ისიც თქვა, რად გიღირს შენი სილამაზე თუ ულამაზობა, და როგორ იკიდები მარად ცვალებად და მბრუნავ სამყაროს (საკაბე ქსოვილის დახლებ ქვეშ, ბელოვნური მარმარილოს იატაკზე ჩამწკრივებული წამლების სუნით გაჟღენთილია საქონელი — ხელთათმანები, ფეხსაცმელი და სხვა ჩამოკონწიალებული ნივთები). წარმოვიდგინე, რომ მაღაზიაში შევედი, იატაკზე ეგო თეთრი და შავი ფილები, ოთახი მორთული იყო მშვენიერი ფერადი ბაფთებით. მერაი ქარმაიკლს შე-

ეძლო შეეთვალეებინა ჩავლისას, გავიფიქრე, რადგან კალმით ასაწერი სანახარშია, როგორც თოვლიანი მწვერვალი ან კლდოვანი ზეობა ანდებში. აქვე, დახლის უკან გოგონაა — ისევე ადვილია, შეიქმნას მისი ცხოვრების წამდვილი ამბავი, როგორც ასორწოდამათე ბიოგრაფია ნაპოლეონისა ან მეჩვიდმეტი გამოკვლევა კიტსზე და იმაზე, თუ როგორ გამოიყენა კიტსმა მილტონისეული ინვერსია, რასაც პროფესორი და მისი მსგავსნი ახლა წერენ კიდევ. და შემდეგ, განვაგრძე მეტად დადლილმა, თითის წვერებზე შემდგარმა (ისე დავფრთხი, ისე შევშინდი, ზურგზე მათრახი კინალამ მეც რომ გადამიჭირეს), ჩავიჩურჩულე: ქალმაც უნდა ისწავლოს სიცილი, რომ სიმწრის გარეშე გაიცინოს მეორე სქესის ნაკლოვანებებზე, უოველ შემთხვევაში, თავისებურებებზე, — ეს სიტყვა შეიძლება ნაკლებად საწყენია — რადგან უოველ ადამიანს უკან, თავზე აქვს კაპიკიანისოდენა ლაქა, რომელსაც თავად ვერ ზედავს. თუ ერთ სქესს შეუძლია რაიმე სამსახური გაუწიოს მეორე სქესს, ესეც კარგი სამსახური იქნება — აღწეროს ის კაპიკიანისოდენა ლაქა, კაცს უკან, თავზე რომ აქვს. გაიხსენეთ, რამადენად სასარგებლო გამოდგა ქალებისათვის ჭუვინალის შენიშვნები. ახლა სტრინდბერგისეული კრიტიკა! გაიხსენეთ, ჯერ კიდევ ადრეულ ეპოქებში რა სითბოთი და ტაქტით მიუთითებდნენ მამაკაცები იმ შავ ლაქაზე, ქალებს უკან, თავზე რომ აქვთ! მერაი ქარმაიკლი ძალიან უოჩალი და ძალიან პატიოსანი თუ არის, ზურგიდან შემოუვლის მეორე სქესს და მოგვიყვება, რა დაინახა. მამაკაცის სრული და მართალი სურათი არ გვექნება, ვიდრე ქალი არ აღწერს იმ კაპიკიანისოდენა ლაქას. მ-რ ვუდჰაუზი და მ-რ კენოზონი სწორედ იმ ზომისა და ისეთი ბუნების ლაქაა. რასაკვირველია, ჭკუათმყოფელი არ ურჩევს ავტორს, განზრახ მიაყენოს შეურაცხყოფა და დასცინოს სხვას — რაც ამ მიზნით შეუქმნიათ, არა ქცეულა ლიტერატურულ ფაქტად. ჩვენ ვურჩევთ, იყოს მართალი და შედეგაც წამდვილად საინტერესო იქნება. კომედია აუცილებლად გამდიდრდება, ახალი ფაქტები აუცილებლად მოიძებნება.

დრო იყო, თვალები კვლავ დამებარა ფურცლისაკენ. იმაზე მსჯელობის მაგიერ, თუ რა შეიძლებოდა დაეწერა და რა უნდა დაეწერა მერაი ქარმაიკლს, ჯობდა მენახა, სინამდვილეში რა დაწერა. ამიტომ კვლავ შევუდექი კითხვას. გამახსენდა, რომ მასზე ნაწყენი ვიყავი — მან დაამსხვრია ჯეინ ოსტინის წინადადება და საშუალება მომისპო, თავი მომეწონებინა ჩემი ნატიფი გემოვნებითა და ფაქიზი ხმენით. რა აზრი აქვს, ვთქვა: „ღიამ, ღიამ, ძალიან კარგია,

<sup>25</sup> დიდი პარკი ლონდონის ცენტრში.  
<sup>26</sup> ედუარდ VII — ინგლისის მეფე 1901-1910 წლებში.



მაგრამ ჭეინ ოსტინი თქვენზე ბევრად უკეთ წერდა, როცა უნდა ვაღიარო, რომ ისინი არაფრით გვანან ერთმანეთს. ის უფრო შორს წავიდა და მიმდევრობაც დაარღვია — რას რა მოჰყვებოდა, არა: შეიძლება არც აურევია განგებ, შეიძლება თავისთავად გამოსდიოდა ასე — თუ წერდა, როგორც ქალი უნდა წერდეს. მაგრამ შედეგმა თავგზა ამიზნია; ვერ იგრძნობდი, რომ ერთი ამბის ტალღამ წამოიწია, ან კრიტიკული სიტუაცია დაიძაბა. ამიტომ ვერსად გამოვიჩინე თავი — ასე მწვავედ შევიგრძნობ და ასე ღრმად ვიცნობ ადამიანის გულს-მეტყი. თითქოს ვგრძნობდი, ჩვეულებრივი ამბავი ჩვეულებრივად ვითარდებოდა — უყვარდათ, კვდებოდნენ, მაგრამ ეს აბეზარი ავტორი შემაცდენდა, ვითომ უფრო მნიშვნელოვანი ამბავი შემდეგ მოჰყვებოდა. ამგვარად, საშუალება არ მომეცა გამომემწეურებინა ჩემი მალაფარდოვანი ფრაზეოლოგია: „პირველყოფილი შეგრძნებანი“, და „ადამიანური ბუნების არსი“, და „ადამიანის სულის სიღრმე“ და მრავალი სხვა ფრაზა, რომლებიც გვიმტკიცებენ რწმენას, რომ, რაც უნდა კვიციანი ვჩანდეთ ზედაპირზე, ჩვენ შინაგანად ვართ უფრო სერიოზული, უფრო ღრმა და უფრო ადამიანური. მან კი პირიქით, მაგრძნობინა: იმის მაგიერ, რომ კაცი იყოს სერიოზული, ღრმა და ადამიანური, ის შეიძლება იყოს, — ეს აზრი კი არც ისე სასიამოვნოა — გონებაჩლუნგი და ამასთან ჩვეულებრივი.

ცოტა კიდევ წავიკითხე და სხვა ფაქტებიც შევნიშნე. „გენიოსობას“ ვერ დავწამებდი. მისთვის უცხო იყო ბუნების სიყვარული, ადგნებული ფანტაზია, ლაღი პოეზია, სხარტი გონება, დაუნჭებული სიბრძნე, რაც ჰქონდათ მის წინამორბედებს — ლეიდი უინჩილსის, შარლოტ ბრონტის, ემილი ბრონტის, ჭეინ ოსტინს და ჯორჯ ელიოტს. მისი ნაწერი არ იყო ისე მელოდური და ღირსებით სავსე, როგორც დოროთი ოსბორნისა. მართლაც ის მხოლოდ ერთი კვიციანი გოგო იყო, ვის წიგნებსაც გამომცემლები ათიოდ წელიწადში მიაგდებენ. მაგრამ მას ერთგვარი უპირატესობა აღმოაჩნდა, რაც აკლდათ ბევრად უფრო ნიჭიერ ქალებს, თუნდაც ნახევარი საუკუნის წინ. მისთვის მამაკაცი აღარ არის „მოპირისპირე ძალა“, აღარ სჭირდება, დრო გაფლანგოს მათ ლანძღვაზე; აღარ სჭირდება, სახურავზე აძვრეს და სულის სიმშვიდე დაიფრთხოს ოცნებით: ნეტავ მამოგზაურა, გამოცდილება მიმადებინა, ქვეყანა და ხალხი მანახა, სულ ჩაკეტილში რომ ვარო. შიში და სიძულვილი თითქმის გაუქრა, ან მათი მხოლოდ კვალი იგრძნობა. თითქოს აღტკინებულია თავი

სუფლებით და მეორე სქესზე. წერს უფრო აბედებულად და დამცინავად, ვიდრე რომანტიკულად. ამასთან, მას, როგორც მწერალს, ერთი უპირატესობაც ერგო. მისი გონება იყო მრავალმხრივი, ცოდნას დაწაფებული და შეუზღუდავი. თითქოს უჩინარ შეტეხვებზე უფრო ახლადგამოსულ მცენარესავით „შეიქარებდა“ ყოველ ხილვას და უოველ ბგერას, რაც შემოვდებოდა. და კიდევ, დაბორიალობდა შეუმჩნეველი და თვალდაჭერილი თითქმის უცნობ და ჩერაუწერილ სიტუაციებში; აშუქებდა რაღაც პატარას და გამოაჩენდა, რომ თურმე სულაც არ იყო პატარა, დამარხულ ამბებს გამოამწეურებდა და გააოცებდა ადამიანს, რისთვის დამარხებოდა. თუმც მოუქნელობა ემჩნეოდა და არც მის ქვეცნობიერებაში თვლემდა ფესვგადგმული მემკვიდრეობა, რომლის ძალითაც ვინმე თეკერის ან ვინმე ლემის კალმის ერთი მოსმაც კი უტრს ელამუნება, მას მაინც — ამ აზრმაც გამოეღვია — აეთვისებინა პირველი დიდი გაკვეთილი: ის წერდა როგორც ქალი. მაგრამ ქალი, რომელსაც დავიწყებია, რომ ქალია; მისი ნაწერი სექსუალურია, მაგრამ გაუცნობიერებლად სექსუალური.

ეს იყო წინ გადადგმული ნაბიჯი. თუმცა ვერც კარბი გრძნობა უშველის და ვერც ნატიფი აღქმა, თუ წარმავალისა და პიროვნულისაგან ვერ ააგო მყარი შენობა, რომელსაც ვერაფერს დაანგრევს. შემოთ მოგახსენეთ, რომ ვუცდიდი, როდის შექმნიდა „სიტუაციას“. ამით მსურდა მეთქვა შემდეგი: მან უნდა დაამტკიცოს, რომ მხოლოდ ზედაპირზე არ დასრიალებს; ვილაცას დაუძახოს, ვილაც მოიხმოს, ვილაცებს თავი მოუყაროს და ამით გვაჩვენოს, რომ საქმეში ღრმად არის ჩახედული. დრო იყო, ეთქვა თავისი თავისთვის: ახლა დავიდარაზის გარეშე უნდა ვაჩვენო, რა აზრი აქვს ყველაფერ ამას; დიახ, უნდა დაეძაბა ვილაციასთვის, მოეხმო ხან ეს ფაქტი, ხან ის — ძალიან კი გამოაცოცხლებდა ყველაფერს — და მაშინ ცნობიერებაში წამოტივტივდებოდა ნახევრად მივიწყებული, ალბათ, სრულიად უბრალო ამბები, რაც წინა თავებში შეუმჩნეველი დაგვრჩა. ავტორი გვაგრძნობინებდა, რომ ისინი არსებობენ: ვილაც კერავს, ვილაც ჩიბუხს ეწევა, რაც შეიძლება ბუნებრივად, და ადამიანის ისეთი გრძნობა გაუჩნდებოდა, როცა ავტორი განაგრძობდა წერას, თითქოს ქვეყნიერებას წვერზე მოექცა და მის წინ გადაშლილი მსოფლიო დაინახა, ქვემოთ დიდებულად გადაშლილი.

ყოველ შემთხვევაში ის თავისას ცდილა, და ხელი რომ გამოიღო საცდელად, დავინახე — თუმცა იმედი მაქვს, მან მაინც ვერ დაინახა —







ში, — ასე ვთქვათ, მაზიარა კმაყოფილების გრძნობას, რაც მათ სახეზე ეწერათ. როცა უყურებ, ორი ადამიანი მოდის ქუჩაში და კუთხეში ხვდება ერთმანეთს, თითქოს გონება თავისუფლდება დაძაბულობისაგან — გავიფიქრე და ვუყურებდი, როგორ მიუხვია ტაქსმა და გაუჩინარდა. ამ ბოლო ორ დღეს ბევრი ვიფიქრე იმაზე, რომ ერთი სქესი განსხვავდება მეორისაგან და ამდენ ფიქრს ძალისხმევა სჭირდება. ეს კი გონების მთლიანობას გვირღვევს. ახლა ძალდატანება აღარ მჭირდება და გონების მთლიანობაც აღდგენილია — დავინახე, ორი ადამიანი შეხვდა ერთმანეთს და ტაქსში ჩაჯდა. გონება, როგორც ორგანო, მართლაც, საიდუმლოებითაა მოცული, — ვთქვი და ფანჯარას მოვცილდი, — რომელზეც არაფერი ვიცი, თუმცა მთლიანად მასზე ვართ დამოკიდებული; საიდან ვგრძნობთ, რომ გონებაში ბზარები და ქედებია, როგორც ნაიარები სხეულზე? რას გულისხმობს ადამიანი ფრაზაში „გონების მთლიანობა?“ — გავიფიქრე, — გონებას ხომ შეუძლია თავი მოიყაროს ნებისმიერ წერტილში ნებისმიერ წამს; მართლაც, წარმოუდგენელია, გონება მხოლოდ ერთ, გარკვეულ მდგომარეობაში იყოს. მაგალითად, გონებას შეუძლია გამოეყოს ხალხს ქუჩაში და თავის თავზე იფიქროს განცალკევებით ისევე, როგორც ეს ფანჯარა ცალკე. სხვა ადამიანებთან ერთადაც შეუძლია იაზროვნოს, მაგალითად, როდესაც თავშეყრილი ხალხი ელის, რომ ახალ ამბავს ხმამალა წაუკითხავენ. გონება აზროვნებს მამებისა და დედების აზროვნებით, როგორც შემოთაც მოგახსენეთ, როცა ვთქვით, რომ ქალი, ვინც წერს, აზროვნებს დედის აზროვნებითაც. და კიდევ, ქალს ხშირად აოცებს, რომ ცნობიერება მოულოდნელად ორ ნაწილად იხლიჩება, მაგალითად, უაიტჰოლის წინ სერიზობისას თუმცა ბუნებით ამ ცივილიზაციის შემკვიდრება, მის გარეთ რჩება, გაუცხოებული და კრიტიკულად განწყობილი. აშკარაა, გონება სულ იცვლის ფოკუსს და ამ ქვეყანას სხვადასხვა წერტილიდან ხედავს. ზოგიერთი განწყობა, თუნდაც გაუცნობიერებელი, უფრო სასიამოვნოა. ამგვარი განწყობა რომ შეინარჩუნოს, ადამიანი ქვეცნობიერად ზღუდავს სხვა გრძნობებს. ასე, შეზღუდვით იწყება და თანდათან მცდელობაში გადადის. მაგრამ, ალბათ, არსებობს ისეთი განწყობაც, როდესაც ადამიანს ცდაც არ სჭირდება, რადგან არაფრით იზღუდავს თავს. ალბათ, იმ წუთს ჩემი განწყობა — გავიფიქრე და ფანჯარას მოვშორდი, — სწორედ ამგვარი იყო. როდესაც დავინახე, წყვილი მანქანაში ჩაჯდა, ჩემი გონება, მანამდე თითქოს გაყოფილი, ბუნებრივად გამთლიანდა. ადამიანები შინაგანად, ქვე-

ცნობიერად გრძნობენ, რომ ქალისა და მამაკაცის კავშირი უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს ადამიანებს. ტაქსში რომ ორი ჩასხდნენ და ამ ფაქტმა რომ კმაყოფილების გრძნობა მომანიჭა, ახალი კითხვა დამეუფლა. იქნებ სულშიც, ხორცის კვალად, ორგვარი სქესი განფენილია? იქნებ ეს სულელები რომ შეერწყან, ადამიანმა შიდაწიოს უმაღლეს კმაყოფილებას და ბედნიერებას? მეცნიერებისგან შორს იდგა სულის აღნაგობის ჩემიული სქემა: თითოეულ ჩვენთაგანში ორი ძალაა განფენილი, ერთი — მამაკაცური, მეორე — ქალური; მამაკაცის გონებაში მამაკაცური სული სჭარბობს ქალურს, ქალის გონებაში კი ქალური სჭარბობს მამაკაცურს. ნორმალური მდგომარეობაა და სიამტკბილობა სუფევს, ანუ მამაკაცი და ქალი შეგობრულად ცხოვრობენ, როდესაც სული სულს ერწყმის. მამაკაცის გონებაში ქალური საწყისიც უნდა მონაწილეობდეს, ქალიც თავის თავში უნდა გრძნობდეს მამაკაცურ საწყისს. ალბათ, ამას გულისხმობდა კოლრიჯი, როდესაც წერდა: გენიოსის გონება ანდროგენულიაო. გონება მამაკაცური უნდა იყოს და მამაკაცი და მამაკაცი უნდა იყოს. მთელ თავის შესაძლებლობას, როდესაც მასში ორივე სქესია შერწყმული. ჩემი აზრით, გონება, რომელიც წმინდად მამაკაცურია, იმაზე მეტს ვერაფერს შექმნის ვიდრე გონება, რომელიც წმინდად ქალურია. კარგი იქნებოდა, მცირედ დავფიქრებულიყავი, ერთი-ორი წიგნი გადამეთვალთვალებინა და იმაშიც გავრკვეულიყავი, რას ვგულისხმობთ კაცურ-ქალურ და, პირუკუ, ქალურ-კაცურ თვისებებში. როდესაც კოლრიჯმა თქვა, გენიოსის გონება ანდროგენულიაო, რასაკვირველია, ის არ გულისხმობდა, თითქოს ასეთი გონება მაინცდამაინც ქალებისადმი სიმპატიით გამოირჩევა, ან სულ ქალთა საკითხზე ფიქრობს და მათი პრობლემები აწუხებს. უფრო მოსალოდნელია, რომ ანდროგენული გონება ნაკლებ მგრძობიარეა სქესის მიმართ, ვიდრე ცალმხრივი სქესის გონება. საფიქრებელია, მას მიაჩნდეს, რომ ანდროგენული გონება იოლად ეხმარება და ითვისებს სამყაროს; რომ ის ყველა გრძნობას დაუბრკოლებლად გადასცემს; რომ ის, თავისთავად ცხადია, შემოქმედი, ცეცხლოვანი და განუყოფელი. ანდროგენული, კაცურ-ქალური გონების მაგალითად, ფაქტიურად, ისევ შექსპირი გამოდგება, თუმცა ვერაფერს ვიტყვით, რას ფიქრობდა შექსპირი ქალებზე. და თუ მიგვაჩინა, რომ სრულყოფილად განვითარებული გონება განსაკუთრებულად და გამორჩეულად არ შეჩერდება სქესის საკითხზე, დღეს, როგორც არასდროს, სულ უფრო ძნელი შეიქმნა, ამგვარად წერო. ახლა უკვე ცოცხალ ავტორთა წიგ-



ნებს შივადეკი და შევჩერდი: ნეტავ, ეს ფაქტი ედო საფუძვლად იმ რაღაცას, რაც მე დიდი ხანია, მაწუხებდა? არც ერთ ეპოქას არ გაუშიშვლებია სქესი ისე, როგორც ჩვენმა გააშიშვლა; ამას ადასტურებს უთვალავი წიგნი ბრიტანეთის მუზეუმში<sup>27</sup>, რომლებიც კაცებს დაუწერიათ ქალებზე. ხმის უფლებებისთვის ქალთა ბრძოლამაც (ე. წ. საფრიჯის კამპანია)<sup>28</sup> განაპირობა სქესის გააშიშვლება. კაცს გაუჩნდა დაუოკებელი სურვილი, დაეცვა საკუთარი „მე“; ალბათ ამიტომ მამაკაცმა მკვეთრად წარმოაჩინა თავისი სქესი და თვისებები, რაზეც წინათ, შეიძლება, არც კი დაფიქრდებოდა, ქალებს ხმა რომ არ აქვთ — როდესაც გამომწვევად იქცევა თუნდაც რამდენიმე შავკუდიანი ქალი, მამაკაცებს უჩნდებათ სურვილი, სამაგიერო გადაუხადონ. ეს უნდა იყოს მიზეზი შთაბეჭდილებისა, რაც, მახსოვს, ამ წიგნმა დატოვა ჩემზე, — გავიფიქრე და მ-რ ა-ს ახალი რომანი თაროდან გადმოვიღე; ის ახლა დიდების ზენიტშია და კრიტიკოსები ქებით იხსენიებენ. გადავშალე წიგნი. რა დასამალია, გესიამოვნება, ისევ მამაკაცის ნაწერს რომ კითხულობ. სათქმელს პირდაპირ ამბობს, არ მიკიბ-მოკიბავს ქალივით. იგრძნობა გახსნილი გონება, რწმენით აღსავსე, თავისუფალი პიროვნება. თავს კარგად გრძნობ ამ კარგად ნაკვებ, ღრმად განათლებულ, თავისუფალ გონებასთან შეხვედრისას, რომელიც არც არასოდეს დაუტანჯავთ, არც არასოდეს დაუთრგუნავთ; პირიქით, სრული თავისუფლება მქონდა მინიჭებული დაბადებიდან; როგორც სურდა, ისე გაშალა ფრთები. მოხიბლული ხარ ადამიანი — მაგრამ ერთიორი გვერდი რომ წავიკითხე, რაღაც ჩრდილი გადაწვა ფურცელზე. სწორი, ბნელი ხაზი გაჩნდა, ინგლისურ 1 („მე“) ასოს მოგაგონებდათ. ხან ერთი მხრიდან შევიჭვრიტე, ხან მეორედან, იქნებ გავარჩიო, რა არის-მეთქი ქვეშ: ხე თუ გზაზე მიმავალი ქალი; ვერ დავადგინე, ისევ და ისევ „მეს“ მაგონებდა. ბოლოს და ბოლოს

<sup>27</sup> ბრიტანეთის მუზეუმს აქვს დიდი, უძველესი ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით.

<sup>28</sup> საფრიჯის კამპანია („საფრიჯ“ — ინგლისურად „ხმის უფლება“) — ქალთა მოძრაობა არჩევნებზე ხმის უფლების მოსაპოვებლად. საფრიჯელთა მოძრაობა დაიწყო XIX ს. მეორე ნახევარში, გავრცელდა ამერიკაში, გერმანიაში და სხვა ქვეყნებში. გაძლიერდა XX ს. დასაწყისში. საფრიჯელები აწყობდნენ მანიფესტაციებს, არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს, რომ მიეპყროთ ყურადღება. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ქალებმა მიიღეს ხმის უფლება და საფრიჯელთა მოძრაობაც დაიშალა.

დამალა ამ „მემ“. იმან კი არა, რომ „მე“ იმხანურებდა პატივისცემას, იყო პატიოსანი და გონიერი, კაკალივით მაგარი და ღრთა განმავლობაში დახვეწილი, ღრმად განათლებული და კარგად ნაკვები. ასეთ „მეს“ პატივს ვცემ მთელი გულით, მაგრამ — ერთგულად გვერდი გადავშალე, რაღაცას ვეძებდი. მის ჩრდილში უველაფერი არის უფორმო, როგორც ნისლი. ზეა? არა, ქალია, მაგრამ... უხერხემლო სხეული აქვს, გავიფიქრე, როდესაც პლაუზე მომავალ ფიბს დავაკვირდი — ასე ერქვა ქალს. შემდეგ ელანი წამოდგა და მისმა ჩრდილმა მაშინვე შთანთქა ფიბი, რადგან ელანს თავისი შეხედულება მქონდა უველაფერზე, ფიბი კი ჩაიკარგა მის შეხედულებათა ნაკადში. გარდა ამისა, ელანს, ჩემი აზრით, გრძნობები გააჩნდა; რამდენიმე გვერდი ზედიზედ სწრაფად გადავშალე, ვგრძნობდი, გადამწყვეტი წუთი ახლოვდებოდა — დადგა კიდევ. მოსახდენი მოხდა, ზღვის პირას, დღისით, მზისით. მამაკაცი სირცხვილს არ შეუწუხებია. მოურიდებლად გააკეთა უველაფერი. ამაზე დიდი უსინდისობა წარმოუდგენელია. მაგრამ... ძალიან ხშირად ვამბობ „მაგრამს“. სულ—„მაგრამს“ ხომ ვერ ვიტყვი. რითმე ხომ უნდა დავამთავრო, ვუსაუვედურე თავს. იქნებ, ბოლოს მეთქვა: „მაგრამ — მე მომბეზრდა!“ მაგრამ, რა მომბეზრდა? ნაწილობრივ ის, რომ „მე“ ბატონობდა და უზარმაზარი წიფლის ხესავით ირგვლივ უველაფერს ახმობდა, რაც მის ჩრდილში მოექცეოდა; და კიდევ, იყო რაღაც გაუცნობიერებელი. საფიქრებელია, რომ მ-რ ა-ს გონებაში რაღაც დაბრკოლება იყო, რაღაც ზღუდავდა მისი შემოქმედებითი ენერჯის შადრევანს და ვიწრო კალაპოტში აქცევდა. უველაფერი ერთად მომაგონდა — ლანჩის თავყრილობა ოქსბრიჯში, სიგარეტის ფერფლი და მენური კატა და ტენისონი და ქრისტიანა როსეთი — შეიძლება სწორედ ეს მოგონება მზღუდავდა. რა ქნას ელანმა, როდესაც მიუახლოვდება ფიბს, თუკი ელანი აღარ შეშლილინებს პლაუზე მომავალ ფიბს — „უნების უვაკილმა კიშკართან ცრემლი დაღვარა წრფელი“, და აღარც ფიბი პასუხობს — „ჩიტვით გალობს ეს გული, ბუდე რომ ნამიან ტოტზე აქვს“; ვიყოთ გულწრფელი, ნუ ვიქნებით ყალბი — მას მხოლოდ ერთი რამ შეუძლია. შეუძლია და იქმს კიდევ, ისიც უნდა აღინიშნოს, კიდევ და კიდევ (ვთქვი და გადავფურცლე) და კიდევ. სწორედ ესაა მოსაწყენი, — ვთქვი მე, რომ გამახსენდა, რა საშინელებაა აღსარებები. შექსპირი რომ სიტყვაბილწობს, უამრავ სხვა აზრსაც აღგიძრავთ და ძნელად თუ ვინმე იტყვის, მოსაწყენიაო. მაგრამ შექსპირი ამას იქმს სიამოვნებისათვის; მ-რ ა.



კი, როგორც მასწავლებლები იტყვიან, განგებ იქცევა ასე. ის პროტესტს აცხადებს. თავის უპირატესობას ამტკიცებს და ამით აცხადებს პროტესტს — მეორე სქესი ჩემი თანასწორი არ არისო. ამიტომ რაღაც აყოვნებს, რაღაც აბრკოლებს და მას ერიდება; ასეთ დღეში ჩაჯარდებოდა შექსპირიც, რომ სცნობოდა მის ქლოი და მის დეივიზი. ექვი არაა. ელიზაბეთის ზანის ლიტერატურა სულ სხვაგვარი იქნებოდა, ქალთა მოძრაობა მეთექვსმეტე, და არა მეცხრამეტე საუკუნეში რომ დაწყებულიყო.

მაშ, თუ მისაღებია თეორია, რომ გონება ორგვარი ბუნებისაა, ამით აიხსნება, რომ დღევანდელი ლიტერატურა მორცხვად ეკიდება სქესის სიმწიფეს — სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახლა მამაკაცები წერენ თავიანთი გონების მხოლოდ მამაკაცური წილით. ქალს არას არგებს მათი ნაწერების წაკითხვა, რადგან ის დაუწყებს ძებნას იმას, რაც იმ ნაწერებში არ მოიპოვება. თანამედროვე ლიტერატურის ნაკლი ისაა, რომ იგი არ ბადებს ახალ აზრებს, — ვფიქრობ, — როდესაც ავიღე ერთი კრიტიკოსის მ-რ ბ-ის წიგნი და გადავიკითხე მომეტებული უურადლებით და პასუხისმგებლობის გრძნობით მისი მოსაზრებანი პოეზიის ხელოვნებაზე. აზრიანად წერდა, კარგად გადმოსცემდა სათქმელს და განსწავლულიც ჩანდა; სხვა უბედურება სჭირდა — გრძნობადაქსაქსული იყო; მისი გონება თითქოს დაეტიხრათ და ტიხარს აქეთ რა ბდებოდა, იქით ჩქამიც არ გადიოდა. ამიტომ იყო, რაღაც აზრს ამოკრეფდით მ-რ ბ-ის ნაწერიდან და ტყაპანს მოადენდა ძირს, მკვდარი; კოლრიჯის ნაწერებიდან ამოკრეფილი აზრი კი იფეთქებს და ახალ აზრს ბადებს — აი, მხოლოდ ასეთ ნაწერზე შეიძლება ვთქვათ, მარადიული სიცოცხლის საიდუმლოს ფლობსო.

რაც უნდა იყოს მიზეზი, მაინც დასაინარაღგან სწორედ ამის გამო — ამგვარად მ-რ გოლზუორთის და მ-რ კიპლინგის წიგნების მწკრივს მივადექი — უდიდეს ცოცხალ ავტორთა ზოგიერთმა ჩინებულმა ნაწარმოებმა ვერ მოიპოვა მკითხველი. თუმც კრიტიკოსები ირწმუნებიან, ამ წიგნში მარადიული სიცოცხლის შედრევანი მოჩქეფსო, მას ვერ ნახავს ქალი, რაც უნდა ეცადოს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათთვის მამაკაცური ღირებულებანი ფასობს, მამაკაცურ ღირებულებებს ამტკიცებენ და მამაკაცთა სამყაროს აღწერენ; მთავარია, რომ წიგნი გამოხატავს გრძნობებს, რომლებიც ქალისათვის გაუგებარია. დიდი ხნით აღრე გრძნობ, დასახრული ახლოვდება, თითქოს ღრუბელიაო, თავს იყრის, რომ მეხვიით დაგაყდვს. ის სურათი მოხუც ქალიონს დაეცემა; მოხუცი ისე დაჩუქიანდება, მოკვდება; ბებე-

რი ჩინოვნიკი ერთ-ორ სამგლოვიარო სიტყვას იტყვის მის ცხედართან და ტემზაზე ყველა გედი ერთხმად წამოიწყებს სიმღერას, ვიდრე ეს მოხდებოდეს, გავარდები და ბუნებებში დაიმალები, რადგან კაცის ასე ღრმა, ასე მწვავე გრძნობები ქალში მხოლოდ გაცუებას იწვევს. მაგალითად, მ-რ კიპლინგის *„ღრუბლები“*, რომლებიც გარბიან ბრძოლის ველისდან; მისი მთესველები, რომლებიც თესლს თესავენ; და მისი მამაკაცები, რომლებსაც ისლა დარჩენიათ, იშრომონ; და მისი დროშა — კაცი გაწითლდება ამდენი ხაზგასმით, თითქოს წაგასწრეს, როდესაც უურმიდებული უსმენდი ღრეობას, რომელსაც მხოლოდ მამაკაცები ესწრებოდნენ. არც მ-რ გოლზუორთის და არც მ-რ კიპლინგს არ გააჩნდა ქალური ნაპერწკალი. ერთი სიტყვით, მათი ყველა თვისება ქალისთვის უში და უნდილია. ახალ აზრს არ ბადებენ ჩვენში. და თუ წიგნი ვერ ბადებს ახალ აზრს ჩვენში, როგორც უნდა მოქმედებდეს ჩვენი გონების ზედაპირზე, სიღრმეში ვერ შეაღწევს.

აფორიაქებული ვიყავი — აღამიანი ამ დღეში ხან გადმოიღებ წიგნს, ხან უკანვე შედებ ისე, რომ არც დახედავ — ვფიქრობდი მომავალზე: შეიძლება შიშველმა მამაკაცურმა საწყისმა იმძლავროს, როგორც წინასწარმეტყველებენ პროფესორების (მაგალითად, სერ უოლტერ როლის) წერილები და რაც იტალიის მმართველებმა უკვე განახორციელეს. რომში ყოფნისას არ შეიძლება აშკარად არ იგრძნოთ მამაკაცური საწყისის ბატონობა; ამ შიშველ მამაკაცურ საწყისს რომ აქვს გავლენა სახელმწიფოზე, ეს ცხადზე ცხადია, მაგრამ საკითხავია, როგორ მოქმედებს პოეზიის ხელოვნებაზე. გაზეთების ცნობით, იტალიის ლიტერატურული სამყარო აფორიაქებულია, იტალიური ლიტერატურის დედაბოძნი შეიკრიბნენ „იტალიური რომანის განვითარების“ საკითხებზე. „წარჩინებულნი წარმოშობით, დაწინაურებულნი ფინანსურ და ინდუსტრიულ სამყაროში თუ ფაშისტურ ლიგაში, შეიკრიბნენ ამასწინათ განიხილეს იტალიური ლიტერატურის განვითარების საკითხები და დუჩეს გაუგზავნეს ტელეგრაფი: იმედს გამოეთქვამთ, რომ „ფაშისტური ერა, მალე წარმოშობს მის ღირსეულ პოეტებსო“. ჩვენ ყველანი ვუერთდებით მათს ზეციურ რწმენას, მაგრამ შეეკვება, რომ ინკუბატორში პოეზია შეიქმნას. პოეზიას ისევე სჭირდება დედა, როგორც მამა. ვშიშობ, ფაშისტური პოემა უდროოდ მოწყვეტილ ნაყოფს ჰგავს, რომლის მსგავსიც შეიძლება ნახოთ პროვინციული ქალაქის მუზეუმში, მინის ქილაში დაკონსერვებული. ამბობენ, ასეთი



ურჩხულები დიდხანს არ ცოცხლობენო; ასეთი სასწული მინდორში ბალახს ძოვდეს — არავის უნახავს. ერთ სხეულზე ორი თავი არაა ხანგრძლივი სიცოცხლის გარანტია.

და მაინც, ყველაფერში ბრალი ედება — თუ მაინც და მაინც გვინდა ბრალი დავდოთ — ერთ სქესს არა ნაკლებ, ვიდრე მეორეს. პასუხს აგებს ყველა მაცოთუნებელი და რეფორმატორი: ლეიდი ბეზბრე, ვინც ეცრუებოდა ლორდ გრენვილს; მის დეივისი, ვინც არ ეცრუა მ-რ გრეგს; ბრალი უნდა დავდოთ ყველას, ვინც სქესობრივი სიმორცხვე დაამკვიდრა, და როდესაც, რაც შეეძლოა, ვცდილობ, დავწერო წიგნი, სწორედ ისინი მიბიძგებენ, ვეძიო სქესობრივი სიმორცხვე იმ ბედნიერ ხანაში, ვიდრე მის დეივისი და მის ქლოი დაიბადებოდნენ და როდესაც მწერალი ერთგვარად იყენებდა გონების ორივე მხარეს; მაშინ უნდა მივუბრუნდეთ შექსპირს, რადგან შექსპირი იყო ანდროგენული; ასევე, კიტსი<sup>26</sup> და სტერნი და კაუპერი<sup>27</sup> და ლემი და კოლრიჯი. შელის პოეზიაში სქესი არ იგრძნობა. მილტონი და ბენ. ჯონსონი აშკარად გამოსახული მამაკაცური აზროვნებისა არიან. ასევე უედშუერთი და ტოლსტოი. ჩვენს დროში პრუსტი ნამდვილად ანდროგენულია, იქნებ, ქალური საწყისი ჰარბობდეს კიდევ მასში. ამგვარი გამონაკლისი იშვიათია და მათზე დაფიქრებაც არ ღირს, რადგან, ასეთ გადახრებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, თანამედროვე ადამიანის გონებაში, მრავალ თვისებათაგან ინტელექტი მომძლავრდა, გონების სხვა გარდამავალი პერიოდია-მეთქი, თავი დავიშვიდეთ; როგორც დაგპირდით, ჩემს ფიქრებს გამოგაცემთ მიმდევრობით, თუმცა ჩემი ნათქვამიდან ბევრი ძველმოდურად მოგეჩვენებათ; თქვენ, ვინც ჭერაც არ ხართ სრულწლოვანი, ალბათ, არაფრად გიღირთ ბევრი რამ, რაც ჩემთვის ძვირფასია.

თუნდა ასე იყოს, პირველივე წინადადება, რასაც დავწერდი, — ვთქვი მე, გავემართე საწერი მაგიდისაკენ და ავიღე ფურცელი, რომელზეც ეწერა სათაური „ქალები და ლიტერატურა“ — იქნებოდა შემდეგი: როდესაც წერ, სქესზე არ უნდა იფიქრო, თორემ დამარცხდები. დამარცხდები, თუ კაცი ხარ ან ქალი მეთი არაფერი; ადამიანი უნდა იყოს ქალურ-კაცური ან კაცურ-ქალური. დამარცხდები, თუ ზედმეტი მწუხარება გამოხატე, ან ზედმეტი მუდა-

რა, თუნდაც სამართლიანი მიზეზით, მოკლედ, თუ ნაწარმოებში შეგნებულად გამოსქვივის ქალი. დამარცხდები არა იმიტომ, რომ ასეთი გადახვევა რიტორიკულია — ცნობიერების ამგვარი გამოვლინება განწირულია სასიკვდილოდ. მას აღარაფერი გაამდიდრებს. ასეთი ნაწარმოები იქნებ ერთ-ერთ „ტოვებდეს“ შთაბეჭდილებას, რომ „[ბრწყინვალე] და ეფექტურია, ძლიერი და ოსტატური, დაბინდებისას მაინც დატკნება; სხვის გონებაში ვერ გაიხარებს. ადამიანის გონებაში ურთიერთს უნდა შეერწყას მამაკაცური და ქალური საწყისი, რომ შემოქმედებითი პროცესი განხორციელდეს. დაპირისპირებულთა ჯვრისწერა უნდა შედგეს. გონება მთლიანად უნდა გადაიხსნას, თუ გვსურს ვიგრძნოთ, რომ მწერალი სრულად გადმოგვცემს თავის გამოცდილებას. ლალად უნდა გადმოსცეს, მშვიდად: ბორბალმა არ გაიქრიალოს, სინათლე არ აციმციმდეს, ფარდები კარგად დაეშვას. მწერალი — გავიფიქრე მე, — როცა შთაგონება დაეშრიტება, უნდა წამოწყდეს და სიბნელებში დატკნეს მის გონებაში ორი საწყისის ქორწინებით. არ უნდა უთვალთვალოს და არც გამოიკითხოს, რას შვრებიან. ის ურჩევნია, ვარდს თითო-თითოდ დააცალოს ფურცელი და მდინარეზე მშვიდად მოცურავე გოდებს უმწიროს. ისევ შევხედე ნაკადს, რომელსაც ნავი მიშქონდა, სტუდენტები მიპყვებოდნენ და წყალში ფოთლები მიტივტივებდა; ტაქსმა, იქ ის ქალი და კაცი წაიყვანა, — გავიფიქრე და გამახსენდა, როგორ გადმოჰრეს ქუჩა, ნაკადმა გაიტაცა ისინი — უურს მოსწვდა ლონდონის ტრანსპორტის შორეული გუგუნი — და უზარმაზარ ნიაღვარს შეუერთდნენ.

ასე დაასრულა მეარი ბიტონმა. მან მოგითხროთ, როგორ მივიდა დასკვნამდე — პროზაულ დასკვნამდე, რომ ქალს ესაქიროება ხუთასი გირვანქა წლიური შემოსავალი და ერთი ოთახი, რომლის კარსაც საკეტი აქვს — თუ ქალს სურს, დაწეროს რომანი ან ლექსი. მან გულახდილად გადაგიშალათ თავისი ფიქრები და შთაბეჭდილებანი, როგორ მივიდა ამ დასკვნამდე. თხოვნით მოგმართათ და თქვენც თვალი შეადევნეთ, როგორ შეერება ზედამხედველს; აქ ლანჩი მიირთვა, იქ სადილი; წიგნები გადმოიღო თაროდან; ფანჯარაში იყურებოდა. ის რომ ყველაფერ ამას აკეთებდა, თქვენ უსათუოდ დააკვირდებოდით მის ნაკლსა და სუსტ მხარეებს, და იმასაც განსაზღვრავდით, როგორი გავლენა იქონია ამან მეარი ბიტონის შეხედულებებზე. თქვენ, ალბათ, სხვაგვარი აზრის ბრძანდებოდით, რაღაცას უმატებდით, რაღაც დასკვნები გამოგქონდათ, თქვენი აზრით, უფრო ლოგიკური. ასეც უნდა იყოს, ათასნაირი

<sup>26</sup> ჯონ კიტსი (1745 -1821) — ინგლისელი რომანტიკოსი პოეტი, პ. შელის მეგობარი.

<sup>27</sup> უილიამ კაუპერი (1731-1800) — ინგლისელი პოეტი, პროზაიკოსი. თარგმნა ჰორაციუსისა და პომპროსის ნაწარმოებები.



შეცდომა შეცდომას უნდა დაეფინოს, რომ ამ-  
გვარ საკითხში ქეშმარიტებას მიაკვლიო. და  
ბოლოს, მსურს ვუპასუხო ორ შენიშვნას, რომ-  
ლებიც, შეუძლებელია, არ გაგიჩნდეთ.

ალბათ, მეტყვიით, რომ არ შევაფასე ორი  
სქესის შედარებითი ღირებულება, თუნდაც,  
როგორც მწერლებსა. შეგნებულად მოვიქცეი  
ასე, რადგან, დროც რომ იყო, შევადაროთ, —  
დღეს კი უფრო მნიშვნელოვანია, გავიგოთ, რამ-  
დენი ფული ჰქონდა ქალს და ოთახი თუ გა-  
აჩნდა, ვიდრე გავაბათ თეორიული მსჯელობა,  
რა შეუძლია მას — თუნდაც რომ დრო იყო,  
მე არ მჭერა, რომ ნიკი, გონებრივი თუ თვი-  
სებრივი, შეიძლება ავწონოთ, როგორც შაქა-  
რი ან კარაქი, თუნდაც კეიშბრიჯში, სადაც სჩვე-  
ვიათ: ადამიანებს კლასებად დაყოფენ, თავზე  
კეპს ჩამოაცვამენ და სახელს დააწებებენ. არ  
მჭერა, რომ თუნდაც უიტიკერის „ადმანახის“  
წარმომავლობის სიაში ღირებულებანი საბო-  
ლოდაა განლაგებული. ან კიდევ, ხალი აზრით  
თუ არის გამართლებული, რომ აბანოს მფლო-  
ბელი მხოლოდ ფსიქიატრიულ მეცნიერებათა  
კანდიდატის შემდეგ უნდა შევიდეს სასადი-  
ლოდ. სქესს უპირისპირებენ სქესს, თვისებას —  
თვისებას, იჩემებენ, სხვებზე უკეთესი ვართო  
და სხვას აბრალებენ, ჩვენზე დაბლა დგახართო  
— ეს ყველაფერი შედეგია იმისა, რომ დღეს-  
დღეობით განათლებას იღებენ კერძო სკოლებ-  
ში, სადაც ასწავლიან, რომ არსებობს „მხარე-  
ები“ და ერთმა მხარემ აუცილებლად უნდა  
სძლიოს მეორე მხარეს, და ცხოვრებაში დიდი  
მნიშვნელობა აქვს, რომ ახვიდრე პლატფორმაზე  
და თავად სკოლის დირექტორმა გადმოგცეს  
ორნამენტებით მორთული თასი. როცა დაღვი-  
ნდებიან, აღარ სჭერათ არც მხარეების, არც  
სკოლის დირექტორის და არც ორნამენტებით  
მორთული თასისა. ყოველ შემთხვევაში, რაც  
შეეხება წიგნებს, აშკარად ძნელია ღირებულებ-  
ის იარლიყი მიაკერო ისე, რომ იარლიყი არ  
მოსძვრეს. ლიტერატურის მიმოხილვა აშკარად  
გვიჩვენებს, რა ძნელია მსჯელობა ლიტერატუ-  
რაზე. „ეს შესანიშნავი წიგნი“, „ეს სამარცხვი-  
ნო წიგნი“ — ორივე სახელით იხსენიებენ ერთ-  
სა და იმავე წიგნს. არც ქება ნიშნავს რაიმეს  
და არც ბრალდება. საწყაოთი არწყვა იქნებ  
სახალისოცაა, მაგრამ ამაზე უმაქნისი რა უნდა  
იყოს ქვეყანაზე? ამ კანონმდებელთა აზრის  
დამორჩილება კი მონური დამოკიდებულების  
უმაღლესი გამოვლინება იქნებოდა. თუ წერ,  
რაც გსურს — ესაა მთავარი; დიდხანს ექნება  
ფასი, თუ რამდენიმე საათს, — ვერავინ იტ-  
ყვის. იმაზე დიდი ღალატი წარმოუდგენელია,  
თუ შენს ხილვას ერთი ბეწვი ან რაღაც ელ-  
ფერი დააკელი, რომ პატივი სცე ვიღაც ქუდბე-

დიან უფროსს, ვიღაც დირექტორს, ვისაც ბედმა  
არგუნა, რაღაცით გამორჩეული ყოფილიყო ან  
ვიღაც პროფესორს, ვისაც ხაზომი ქონი ფარუ-  
ლად მოუმარჯვებია; სიმდიდრისა და ქალწუ-  
ლობის მსხვერპლად შეწირვა, რაღაც ადამიან-  
თა მოდგმის უდიდეს უბედურებად შეიჩნევდ-  
ნენ, არაფერია ამასთან შედარებით.

და კიდევ, ვფიქრობ, თქვენ იტყვიან: შედმეტ  
მნიშვნელობას ანიჭებსო მატერიალურ მხარეს,  
დიდ ადგილს უთმობსო სიმბოლურ მინიშნე-  
ბებს; მაგალითად: რომ წელიწადში ხუთასი  
დოლარი უფლებას გვაძლევს, ჰქრეტას მივცეთ  
თავი; რომ კარზე დადებულ ბოქლოში ნიშნავს,  
შეძლო დამოუკიდებლად იაზროვნო; და, აღ-  
ბათ, მიგაჩნიათ, რომ ჩვენი ცნობიერება ასეთ  
რამეზე მალდა უნდა იდგეს და რომ უდიდესი  
პოეტები ხშირად იყვნენ ღარიბნი. მაშინ, ნება  
მომეცით, წაგიკითხოთ თქვენივე ლიტერატუ-  
რის პროფესორის სიტყვები, ვინც ჩემზე უკეთ  
იცის, რად უღირთ ადამიანებს პოეზიის შექმნა.  
სერ ართურ ქვილერ-ქუჩი წერს<sup>31</sup>:

„ვის დავასახელებ გასული ასწლეულის დიდ  
პოეტთაგან; კოლრიჯი, უიდზუერთი, ბაირონი,  
შელი, ლენდორი<sup>32</sup>, კიტსი, ტენისონი, ბრაუნინ-  
გი, არნოლდი, მორისი<sup>33</sup>, როსეტი, სუინბერნი<sup>34</sup> —  
აქ შეიძლება შევწყვიტოთ. ყველა მათგანმა,  
გარდა კიტსის, ბრაუნინგის და როსეტისა, უნი-  
ვერსიტეტში მიიღო განათლება. ამ სამთაგან,  
კიტსი — ახალგაზრდა გარდაიცვალა, დიდების  
მწვერვალზე და ერთადერთია, ვინც მაინც და  
მაინც კარგად ვერ ცხოვრობდა. უსიამოვნოა  
ამის თქმა და სამწუხაროცაა, ვალიარო, მაგრამ  
ფაქტია, და უცილობელი ფაქტიც — თეორია,  
რომლის თანახმად პოეტური გენია დაჰბერავს  
იქ, სადაც უნდა დაჰბეროს, ღარიბებშიც და  
მდიდრებშიც ერთგვარად, არ შეიცავს ქეშმარი-  
ტების მარცვალს. ფაქტია, და უცილობელი

<sup>31</sup> ართურ ტომას ქვილერ-ქუჩი (1863-1944) — ინგლისელი რომანისტი, კრიტიკოსი. ინგლი-  
სური ლიტერატურის პირველი პროფესორი კე-  
იმბრიჯის უნივერსიტეტში.

<sup>32</sup> უოლტერ სევიჯ ლენდორი (1775-1864) —  
ინგლისელი პოეტი, წერდა ინგლისურად და ლა-  
თინურად. სუინბერნი თვლიდა, რომ მისი ტრა-  
გედია „გრაფი ჯულიანი“ უბრწყინვალესი პო-  
ეტური ნაწარმოებია. ცხოვრობდა ფლორენ-  
ციაში. „ელინგლები“ მისი ყველაზე სრულყო-  
ფილი ნაწარმოებია.

<sup>33</sup> ლუის მორისი (1833-1907) — ანგლო-  
უელსელი, პოეტი. დიდი წვლილი მიუძღვის  
უელსის უნივერსიტეტის ჩამოყალიბებაში.

<sup>34</sup> ელჯერნონ ჩარლზ სუინბერნი (1837-1909) —  
ინგლისელი პოეტი.



ფაქტიც, თორმეტიდან ცხრამ დაამთავრა უნივერსიტეტი, რაც ნიშნავს, რომ მათ ასე თუ ისე მოახერხეს, მიეღოთ საუკეთესო განათლება, როგორც კი შესაძლებელია, კაცმა მიიღოს ინგლისში. ფაქტია, და უცვილობელი ფაქტიც — დარჩენილ სამთავან, ბრაუნინგი, ცნობილია, რომ შეძლებულად ცხოვრობდა და ნიძლავს ვდებ, შეძლებული რომ არ უოფილიყო, ვერ შექმნიდა „სოლის“, ვერც „ბეჭედსა და წიგნს“ ისევე, როგორც რასკინი ვერ დაწერდა „თანამედროვე მხატვრებს“, მამამისი რომ არ უოფილიყო მდიდარი ბიზნესმენი. როსეტის ჰქონდა მცირე პირადი შემოსავალი, ხატავდა კიდევ. კიტსილა დარჩა; ატროპოსმა განგმირა ჭერ კიდევ ახალგაზრდა კიტსი, როგორც განგმირა მან ჯონ კლეარის საგიუეთში და ჭეიმუზ ტომსონი ოპიუმით — ტომსონმა ოპიუმში მიიღო, რომ იმედგაცრუება ჩაეხშო. შემზარავია მათი ბედი, მაგრამ სინამდვილეს პირდაპირ უნდა შეხედო ადამიანმა, აშკარაა — უნდა ვათიაროთ, რაც უნდა სამარცხვინო იყოს ჩვენთვის, როგორც ერისთვის — რაღაც ვერაა წესრიგში ჩვენს თანამედროვეობაში; ღარიბ პოეტს დღეს-დღეობით, და ასე იყო ორასი წლის წინათაც, — ძალღური ცხოვრება აქვს. დამერწმუნეთ — მე ხომ თითქმის ათ წელს ვაკვირდებოდი სამას ოც დაწეებით სკოლას — ჩვენ შეგვიძლია ვიტრაბახოთ, დემოკრატები ვართო, სინამდვილეში ღარიბ ბავშვს იმაზე მეტის იმედი არ გააჩნია, ვიდრე ათენელ მონას ჰქონდა, რომ შიადწევდა ისეთ ინტელექტუალურ თავისუფლებას, როდესაც ძალუძთ შექმნან დიდი ნაწარმოები“.

უფრო ნათლად ვერავინ ჩამოაყალიბებდა სათქმელს. „ღარიბ პოეტს დღესდღეობით, და ასე იყო ორასი წლის წინათაც, — ძალღური ცხოვრება აქვს... ღარიბ ბავშვს იმაზე მეტის იმედი არ გააჩნია, ვიდრე ათენელ მონას ჰქონდა, რომ შიადწევდა ისეთ ინტელექტუალურ თავისუფლებას, როდესაც ძალუძთ შექმნან დიდი ნაწარმოები“. ხედავთ? ინტელექტუალური თავისუფლება დამოკიდებულია მატერიალურ მდგომარეობაზე. პოეზია დამოკიდებულია ინტელექტუალურ თავისუფლებაზე. ქალები უოველთვის იყვნენ ღარიბნი, მხოლოდ გასულ ორას წელს კი არა — რაც არსებობენ. ქალებს უოველთვის ჰქონდათ მონების შვილებზე ნაკლები ინტელექტუალური თავისუფლება. მაშ, ქალებს არასოდეს ექნებოდათ შესაძლებლობა, შეექმნათ პოეზია. აი, ამიტომ ვიჭეორებ დაჟინებით: ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გქონდეს ფული და ერთი ოთახი საკუთრად; მაგრამ წარსულში ჩაკარგული ქალების, რომელთა სახელი ისტორიას არ შემოუნახავს, — ნეტავ,

მეტი ვიცოდეთ მათზე, — მცდელობამ და, იქნებ უცნაურიც იყოს, მაგრამ ორმა ომმა — უირიზისამ, რომელმაც ფლორენს ნიტიინგეილი სასტუმრო ოთახიდან გამოაყვანა და ევროპულმა ომმა, რომელმაც ასე სამოცდაათიოდე წლის შემდეგ კარი გაუხსნა ნაწილობრივ ქალებს — ხელი შეუწყო, ესტრუქტურული კონდათან გამოსწორებულიყო. საქმე რომ სხვაგვარად წასულიყო, დღეს თქვენ აქ არ ისხდებოდით და წარმოუდგენელი იქნებოდა წელიწადში ხუთასი გირვანქა გეშოვნათ, თუმც ეტვი მეპარება, დღესაც რომ შეძლოთ.

მაშ, იტყვიოთ თქვენ, რატომ ამახვილებთ ყურადღებას, წერენ თუ არა ქალები წიგნებს, თუკი, როგორც თქვენ ამბობთ, ასე ძნელია, დაწერო წიგნი; მამიდის სიკვდილსაც მოგანდომებს, ლანჩუც დაგაგვიანებს და უსიამო კამათსაც შეგახვედრებს სასიამოვნო უმაწვილებთან? უნდა ვაღიარო, რომ მე ნაწილობრივ ეგოისტური გრძნობებიც მამოძრავებს. სხვა ინგლისელი ქალების მსგავსად, ვისაც განათლება არ მიუღია, მეც მიუვარს წიგნების კითხვა — ბევრს ვკითხულობ. ბოლო დროს, ცოტა არ იყოს, ერთგვაროვანი დიეტა გამომივიდა: ისტორია სულ ომებზეა; ბიოგრაფიები ხულ ცნობილ ადამიანებზეა; პოეზია, ჩემი აზრით, შედმეტად სტერილური ვახდა და პროზა — მაგრამ უკვე შემატყობდით, რა კრიტიკოსიც ვარ თანამედროვე პროზის და ამიტომ აღარაფერს ვიტყვი პროზაზე. გთხოვთ, წეროთ უოველნაირი წიგნი, თემას არ მოერიდოთ, რაგინდ უმნიშვნელო ან რაგინდ მასშტაბურიც უნდა იყოს. ნემსის უუნწში რომ დაგჭირდეთ გაძრომა, უნდა შეიძლოთ, გქონდეთ სახსარი, იმოგზაუროთ და ინეტალოთ, იფიქროთ ამ ქვეყნის მომავალსა და წარსულზე; წიგნს რომ წაიკითხავთ, შეგეძლოთ, ოცნებას მიეცეთ, ქუჩის კუთხეში შედგით და ფიქრის დინებას გაჰყვეთ, ღრმა ნაკადად აქციოთ. მე სულაც არ მოგიწოდებთ, მხოლოდ პროზას მიმართოთ. გასახარი იქნება, თუ თქვენ — და ათასობით სხვა ახალგაზრდა ქალი — შექმნით სათავგადასავლო და სამოგზაურო ლიტერატურას, კრიტიკულ წერილებს; ფილოსოფიურ და მეცნიერულ ლიტერატურას. წიგნებს ხჩვევიათ, გავლენა იქონიონ ერთმანეთზე. პროზა ბევრად მოიგებს, თუ ახლოს იდგება პოეზიასა და ფილოსოფიასთან. კიდევ მეტიც, თუ გავიხსენებთ წარსულის ნებისმიერ დიდ პიროვნებას, ვთქვათ, საფოს, ან ქ-ნ მურასაკის<sup>35</sup>, ან ემილი ბრონტის, აშკარაა,

<sup>35</sup>. სიკიბუ მურასაკი — X-XI ს. ს. დიდი იაპონელი პოეტი ქალი, დიდებულია წრიდან. შექმნა დიდი მოცულობის (2000 გვ.) რომა-



რომ თითოეული მათგანი შემკვიდრეცაა და ახალი საფეხურიც და ისინი არსებობენ, რადგან ქალებმაც დაიწყეს ბუნებრივად წერა; იქნებ ეს მხოლოდ პრელუდია იყოს პოეზიისა, მაგრამ ამგვარი აქტივობა ფასდაუდებელია.

როცა გადავიკითხე ჩემი ნაწერი და თვალს გადავდევნე, როგორ გადმოგვიცოთ ჩემი გონების ვარჯიში, მივხვდი, რომ მხოლოდ ეგოიზმი არ მალაპარაკებდა. ხან ეს ვთქვი და ხან ის; ყველაფერში ჩანს რწმენა, — თუ ინსტიქტი — რომ კარგი წიგნები საჭიროა და კარგი მწერლები, თუნდაც მათ ასახონ ადამიანის დაცემის სხვადასხვა სურათი, კეთილშობილი ადამიანება არიან. ამიტომ, როდესაც გთხოვთ, წიგნები წეროთ, ვგულისხმობ — გააკეთოთ, რაც სასარგებლო იქნება თქვენთვისაც და მთელი ქვეყნისთვისაც. არ ვიცი, როგორ დავასაბუთო ეს ინსტიქტი თუ რწმენა, რადგან ფილოსოფიური ლექსიკა, თუ ადამიანს უნივერსიტეტში არ მიუღია განათლება, შეიძლება არასწორად გამოიყენოს. რას ნიშნავს სიტყვა „სინამდვილე“? ალბათ, რაღაც უწესრიგობაა: ხან მტვრიანი გზაა, ხან ქუჩაში დაგდებული ქაღალდის ნაგლეჯი, ხან მზეს მიფიცებულ ნარცისი — აშკარად რაღაც უწესრიგობაა, გარკვევით ვერ განსაზღვრავ. განათებულ ოთახში ადამიანების ჯგუფიც სინამდვილეა და აქა-იქ წამოსროლილი სიტყვებიც. სინამდვილის განცდა დაეუფლება ადამიანს, სახლისკენ მიმავალს ვარსკვლავები რომ დაანათებს ზემოდან; ეს უტყვი სამყარო უფრო რეალურია, ვიდრე სამყარო სიტყვებისა და კიდევ — სინამდვილე განსხვავებულია ომნიბუსში, პიკადილის<sup>36</sup> ღრიანცელში; ხან კი სინამდვილე ისეთ ფორმაში ბუდობს, ვერც კი ვარჩევთ მის ბუნებას. მაგრამ რასაც სინამდვილე შეეხება, ქვად აქცევს და მარადისობას ანიჭებს. სინამდვილე რჩება მას შემდეგ, რაც დღე ტყავს გაიძრობს და ბუჩქებში მოისვრის; ესღა რჩება წარსული დღეებისგან, ჩვენი სიყვარულისგან და სიძულვილისგან. მწერალს, ჩემი აზრით, შეიძლება სხვებზე ხანგრძლივი სიცოცხლე ერგოს ამ ცის ქვეშ. მწერლის ვალია, დაიჭიროს სინამდვილის მომენტები, თავი მოუყაროს და გადმოგვცეს სხვებს. ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობ „ღირის“, „ემას“, „დაკარგულ ღროის ძიებაში“ წაკითხვის შემდეგ. ამ წიგნებს რომ კითხულობ, თითქოს გრძნობები იწვრთნება; მათ შემდეგ უკეთ აღიქვამ სამყაროს; თითქოს ქვეყანა შიშვლდება და სისხლი აჩქროლდება.

ნე-არისტოკრატი გენძის ცხოვრება. რომანი რუკლისტურად ასახავს როგორც არისტოკრატიის, ასევე სამღვდლოებისა და ღარიბთა ყოფას.

<sup>36</sup> ლონდონის მდიდრული ქუჩა.

შეიძლება შურიც შეხედო ადამიანებს, ვინც არ ეგუება რეალობას; შეცოდების ღირსია, ვისაც თავში წაუთაქებენ, რადგან აკეთებს, რაც არც იცის და არც ენაღვლება. ასე რომ, როდესაც მე მოგმართავთ — თქვენი შრომით რწმენით ფული და ერთი ოთახი ზეგუთრად შექმნილი წოდებით, იცხოვროთ რეალურ-სამყაროში, იცხოვროთ მჩქეფარე ცხოვრებით. შეძლებთ თუ არა სხვებსაც გადასცეთ ასეთი აღქმა, სულ ერთია.

ამით დავამთავრებდი, მაგრამ აუცილებლად ითვლება, ყოველი გამოსვლა დასკვნებით დამთავრდეს. როდესაც ქალებს მივმართავთ, დამეთანხმებით, განსაკუთრებით ამაღლებელი და კეთილშობილური აზრებით უნდა დავაგვირგვინოთ სათქმელი. უდიდესი თხოვნით უნდა მოგმართოთ: გახსოვდეთ თქვენი მოვალეობა — იყავით ამაღლებულნი, სულით ძლიერნი. მოვალე ვარ შეგახსენოთ, რაოდენ ბევრია თქვენზე დამოკიდებული და რა დიდი გავლენა შეგიძლიათ მოახდინოთ მომავალზე. მაგრამ ასეთი მოწოდებანი, ჩემი აზრით, ადვილად შეიძლება მივანდოთ მეორე სქესს, ისინი ჩამოაყალიბებენ — აქამდეც ხომ არაერთხელ ჩამოუყალიბებიათ — უფრო მჭევრმეტყველურად, ვიდრე ჩვენ შევძელით გვეთქვა. ჩემს გონებას რომ გადავქექავ, ვერ მოვიძიებ კეთილშობილურ აზრებს: ვიყოთ მეგობარნი და თანასწორნი, უკეთესი მომავლისაკენ გავუძღვეთ კაცობრიობას. შემიძლია გითხრათ მოკლედ და პროზაულად: ყველაზე მნიშვნელოვანია, ვიყოთ თავისთავადნი. ნუ იოცნებებთ, გავლენა მოახდინოთ სხვებზე — ასე გეტყოდით, რომ ვიცოდეთ, როგორ გითხრათ ეს მოწოდება. დაუკვირდით თავად საგნებს.

გაზეთებს, რომანებს და ბიოგრაფიებს რომ კითხულობ, ასეთ აზრს წააწყდები — როდესაც ქალი ლაპარაკობს ქალზე, აუცილებლად ექნება შემონახული რაიმე უსიამოვნო სათქმელით. ქალები მკაცრად სჭიან ქალებს. ქალებს ეჭვრებათ ქალები. ქალები — მაგრამ არ მოგბეზრდათ ეს სიტყვა? მე, გარწმუნებთ, მომბეზრდა. მაშ, მეთანხმებით, რომ თუ ქალი უკითხავს ლექციას ქალებს, ძალიან უსიამოვნო რაღაცით უნდა დაამთავროს.

რა ვთქვა? რა მოვიფიქრო? ფაქტიურად, მე მომწონს ქალები. მომწონს, რომ ისინი არ ემორჩილებიან პირობითობას. მომწონს, რომ ჩამოყალიბებული ხასიათი აქვთ. მომწონს, რომ ანონიმად რჩებიან. მომწონს, რომ... ასე გაგრძელდება არ შეიძლება. იმ კარადაში — თქვენ მეთქვით, რომ მასში მხოლოდ სუფთა ხელსაწმენდებია, მაგრამ, ვაი თუ სერ არჩიბალდ



ბოტკინი იქაა დამალული? ამიტომ ნება მომეცით, უფრო თავშეკავებულად ვილაპარაკო. რაც ვთქვი, ვთქვი იმიტომ, რომ თქვენ შეიშინათ, როგორ ვაფრთხილებთ და გკითხავთ ეს ქვეყანა. მოგახსენეთ, რა მდაბალი აზრისაა თქვენზე მ-რ ოსკარ ბრაუნინგი. შეგახსენებთ, ერთ დროს რას ფიქრობდა თქვენზე ნაპოლეონი და რას ფიქრობს მუსოლინი ახლა. შემდეგ, თუ რომელიმე თქვენგანი აღინთება ლიტერატურის სიყვარულით, გაგიმეორეთ ერთი კრიტიკოსისგან თქვენს სასარგებლოდ ნათქვამი, რომ თქვენ უნდა აღიაროთ თქვენი სქესის შეზღუდულობა. მე მოვისხენიე პროფესორი X და ჯაჯაცანით მისი განცხადება, რომ ქალები ინტელექტუალურად, მორალურად და ფიზიკურად ჩამორჩებიან მამაკაცებს. რაც ვიცოდი, უბრალოდ მოგაწოდეთ, არ გამიანალიზებია. და აი, კიდევ ერთი, საბოლოო ვაფრთხილება მ-რ ჯონ ლენგდონ დეივისისაგან\*. მ-რ ჯონ ლენგდონ დეივისი აფრთხილებს ქალებს: „როდესაც ქალებს აღარ ენდომებათ ბავშვები, ქალებიც აღარ იქნებიან საქირი“. იმედია ვაითვალისწინებთ ამ ვაფრთხილებას.

მაშ, რითიღა გაგამხნევოთ, რომ იცხოვროთ საქმიანი ცხოვრებით? ახალგაზრდა ქალებო, გეტყვით მე — და თუ შეიძლება, უურადლებით იყავით, რადგან დასკვნა იწყება, — თქვენ, ჩემი შეხედულებით, სამარცხვინოდ უფიცნი ხართ. თქვენ არასოდეს არაფერი მნიშვნელოვანი არ აღმოგიჩენიათ. თქვენ არასოდეს არც ერთი იმპერია არ დაგინგრევიათ და არც არმიას გასძლიობხართ ბრძოლაში. შექსპირის პიესები თქვენი არაა, და არც ველურ რანგში შეგიტანიათ ცივილიზაციის სიკეთე. რით იმართლებთ თავს? კი, შეგიძლიათ, მიუთითოთ ჩვენი პლანეტის ქუჩებს და მოედნებს და ტყეებს შავი და თეთრი და ყავისფერი მოსახლეობით მოფენილთ (ზოგი ტრანსპორტით მიდის, ზოგი ქარხანაში მუშაობს, ზოგიც სიყვარულს მისცემია) და თქვათ: ჩვენ სხვა საქმეები გვქონდაო. ჩვენ რომ არ გავგეკეთებინა ჩვენი საქმე, ვერავინ იცურავებდა ზღვებზე და ნოყიერი ნიადაგი უდაბნოდ დაშთებოდაო. ჩვენ ვშვით და ვზარდეთ და ვბანეთ და ვასწავლეთ, ასე ექვ-შვიდ წლამდე, ათას ექვსას ოცდასამ მილიონ ადამიანს — სტატისტიკური მონაცემით ასეთია მსოფლიოს მოსახლეობა, — და თუნდაც ვინმე წაგვხმარებოდა — ამას დრო სჭირდებოდაო.

თქვენს ნათქვამში არის სიმართლე — არ

\* ჯონ ლენგდონ დეივისი, „ქალთა ნოკლე ისტორია“.

უარყოფ. მაგრამ იმავე დროს შეიძლება შეგახსენოთ, რომ 1866 წლიდან ინგლისში ორი კოლეჯი მაინც არსებობს ქალებისთვის; 1880 წლიდან გათხოვილ ქალს კანონით აქვს უფლება, მქონდეს საკუთარი ქონება; 1919 წლიდან, აი უკვე ცხრამ წელიწადი ქალებს მისცეს ხმის უფლება. შეიძლება, ისიც შეგახსენოთ, რომ ამ ბოლო ათწლეულში უველა პროფესიისკენ გაგებხნათ გზა? თუ დაუფიქრდებით ამ მნიშვნელოვან პრივილეგიებს, რომლებიც ერთი ხანია მიიღო ქალმა, და იმასაც ვიტყვით, რომ დღეისათვის ორი ათას ქალს მაინც უნდა შეეძლო, ხუთასი გირვანქა იზოვოს წელიწადში, ამ გზით თუ იმ გზით, მაშინ დამეთანხმებით, რომ აღარ გამოდგება მიზეზად, თითქოს არ გქონდეთ შესაძლებლობა, განათლება, მხარდაჭერა, თავისუფალი დრო და ფული. უფრო მეტიც, ეკონომისტები ამბობენ, მისის სიტონს ბევრი შეილი ჰყავდაო. რასაკვირველია, თქვენ უნდა გააჩინოთ ბავშვები, მაგრამ, ასე, ორ-ორი ან სამ-სამი და არა ათ-ათი და თორმეტ-თორმეტი.

ამგვარად, ცოტა დრო რომ გექნებათ და ცოტა განათლებაც — სხვაგვარ მდგომარეობაში საკმაოდ დიდხანს იყავით, და ახლა კოლეჯში იმიტომ გაგზავნიან, ნაწილობრივ კვლავ დარჩეთ გაუნათლებელი — თქვენ უნდა შედგათ ფეხი შორსგამიზნული, ძალიან შრომატევადი და სრულიად უჩვეულო კარიერის ახალ საფეხურზე. ათასობით ქალმა მზადაა, გირჩიოთ, რა უნდა გააკეთოთ და რა შედეგი შეიძლება მიიღოთ. ჩემი წინადადება ცოტა ფანტაზიაა, გეთანხმებით; ამიტომ მირჩევნია, ლიტერატურული ფორმით მოგაწოდოთ.

შემოთ მოგახსენეთ, რომ შექსპირს ჰყავდა ერთი და; ნუ დაუწყებთ მას ძებნას სერ სიდნის წიგნში პოეტის ცხოვრებზე. ის და ახალგაზრდა გარდაიცვალა — საუბედუროდ, ერთი სიტყვაც არ დაუწერია. მარხია ომნიბუსის გაჩერებასთან, „სპილოსა და ციხე-კოშკის“ პირდაპირ. მე მჭერა, რომ ეს პოეტი, ვისაც ერთი სიტყვაც კი არასოდეს დაუწერია და ვინც გზაჯვარედინზე ასაფლავია, — დღესაც ცოცხლობს. ის ცოცხლობს თქვენში და ჩემში, და ბევრ სხვა ქალში, ვინც ამ საღამოს აქ არაა, რადგან ისინი თეფშებს რეცხავენ და ბავშვებს ამინებენ. მაგრამ ის დღესაც ცოცხლობს, რადგან დიდი პოეტები არ კვდებიან; ისინი განაგრძობენ არსებობას; შემთხვევას ელიან, ხორცი შეისხან და კვლავ ჩვენს შორის იარონ; მე ვფიქრობ, თქვენ შეგწევთ ძალა, სულ მალე მისცეთ მას შესაძლებლობა, თავი განაცხადოს. მჭერა, ერთ-ორ საუკუნეში — მხედველობაში მაქვს საზოგადოებრივი ცხოვრება (სწორედ ესაა რეალური ცხოვრება და ათა ხანმოკლე, ინ-



დივიდუალური სიცოცხლე) — თითოეულ ქალს ექნება ხუთასი დოლარი წელიწადში და ერთი ოთახი საკუთრად; თავისუფლებას შევისისხლხორცებთ და გავბედავთ, დავწეროთ, რასაც ვფიქრობთ; საერთო-სასტუმრო ოთახს ოდნავ მაინც თავს დავაღწევთ და ადამიანებს დავაკვირდებით არა მარტო ერთმანეთთან, არამედ სინამდვილესთან ურთიერთობისას — ადამიანი შეჭყურებს ან ცას, ან ხეს, ან საერთოდ ბუნებას; თავს დავაღწევთ შილტონის აჩრდილებს — არაფერი არ უნდა გვიფარავდეს ხედს; გავაცნობიერებთ ფაქტს — ეს კი ფაქტია: ვერავის ჩაჰკიდებ მკლავში ხელს, ადამიანი მარტოხელა მიდის გზაზე და უკავშირდება მთელ ბუნებას, და არა მხოლოდ ქალთა და მამაკაცთა სამყაროს, — აი, მაშინ შე-

იქნება შესაძლებლობა და მკვდარი პოეტი, შექსპირის და, ხორცს შეისხამს, რაც აქამდე ბევრჯერ სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. მისი სიცოცხლე აღმოცენდება მის წინამორბედთა სიცოცხლისაგან, როგორც მესიქის სიცოცხლე აღმოცენდა მის წინამორბედთაგან და იგი იშვება. თუ ასე არ შევამზადებთ მისი გამოჩენა, თუ ჩვენ ჩვენი არ ვცადებთ, თუ არ ვირწმუნებთ, რომ, როდესაც იგი კვლავ დაიბადება, მან უნდა შეძლოს, იცხოვროს და შექმნას პოეზია — თუ არ ვირწმუნებთ ეს, არც უნდა მოველოდეთ და ვერც ვერაფერს შექმნის. შე კი ვამტკიცებ: ის დაიბადება, თუ ჩვენ გავირჩებით, რომ ის დაიბადოს; ჩვენ თუნდ ღარიბნი და უსახელონი დავრჩეთ, ღირს, ვიცოცხლოთ და ამისთვის გავისარჯოთ.

## გიიომ აპოლინერი

თარგმნა მაია დიასაშიძემ

### ახალი ცნობიერება და პოეტები

ახალი ცნობიერება, რომელიმაც მთელი მსოფლიო უნდა მოიცვას, არც ერთი ქვეყნის პოეზიაში ისე არ გამოვლენილა, როგორც ფრანგულში. აქ ოდითგანვე დაკანონებული მკაცრი გონითი დისციპლინა თავად ფრანგებსაც და მათთან სულიერად ახლობელ ხალხებსაც ხელს უწყობს ცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი ის თვალსაზრისი შეინარჩუნონ, რომელიც არც ანტიკურობის უბრალო ასლური ანაბეჭდია და არც რომანტიზმის დეკორატიული მშვენიერების გამოძახილი.

ახალ ცნობიერებას გამიზნული აქვს კლასიკოსებისგან შემკვიდრებად მიიღოს, უპირველეს ყოვლისა, ხალი აზროვნება, მტკიცე კრიტიკული შემართება, სამყაროსა და ადამიანის სულიერი ცხოვრების ერთიანი ხედვა, ამასთანავე, მოვალეობის გრძნობა, რომელიც განწმენდს ემოციებს და საზღვრავს, ან, უკეთ რომ ვთქვათ, აკავებს მათ გამოვლენას.

ამ ნიშნებს გარდა ახალი ცნობიერება რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელი ცნობისწადილის გათავისებას ცდილობს. ეს ცნობისწადილი ერთგვარი ბიძგია ახალ-ახალ სფეროთა საკვლევად, რომლებშიც ცხოვრების გან-

დიდებისათვის ხელშემწყობი სამწერლო მასალა შეიძლება მოვიძიოთ.

ჭეშმარიტების კვლევა-ძიება, ეთიკურ სფეროში იქნება ეს თუ წარმოსახვითში, ახალი ცნობიერების ძირითადი ნიშან-თვისებაა.

ახალ ცნობიერებას ყოველთვის ჰყავდა თავგამოდებული მიმდევრები, მაგრამ მათ ყოველთვის როდი ჰქონდათ გაცნობიერებული ამ მიმართულების შინაარსი, რომელიც უკვე დიდი ხანია უაღიბდებოდა და ზემოქმედებდა, მაგრამ მხოლოდ ახლა ეძლევა მას ცნობიერი შინაარსი, ვინაიდან აქამდე ლიტერატურული ასპარეზი ვიწრო ჩარჩოებით იყო შემოზღუდული. ერთნი პროზას არჩევდნენ, მეორენი — ლექსს. პროზის ფორმა გრამატიკულ წესებს ემორჩილებოდა. პოეზიის ერთადერთი კანონი კი რითმული ლექსტწყობა იყო და მუდმივი მცდელობა, რამენაირად დაერღვიათ იგი, უნაყოფოდ დასრულდა.

თავისუფალმა ლექსმა თავისუფალი გასაქანი მისცა ლირიკას, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯები იყო ფორმის ძიების რთულ გზაზე.

ამიერიდან ფორმის ძიებამ უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა და ეს კანონზომიერიცაა.

განა შეიძლება ამგვარი ძიებანი უმნიშვნელო



იქოს პოეტისთვის. ისინი ხომ აზრთა სამყაროსა და ლირიკაში ახალ-ახალი აღმოჩენების წინაპირობას წარმოადგენენ?

ასონანსები და ალიტერაცია, ისევე როგორც რითმა, გარკვეული პირობითობებია და უოველ მათგანს თავისი ღარებულება გააჩნია.

მეტისმეტად თამამი და განვითარებული ტიპოგრაფიული ხერხები იმითაა ფასეული, რომ ისინი ქმნიან ჩვენამდე თითქმის არნახულ ვაჭუალურ ლირიკას. ამ ხერხების კიდევ უფრო განვითარებამ შეიძლება სხვადასხვა ხელოვნების — მუსიკის, ფერწერისა და ლიტერატურის სინთეზამდე მიგვიყვანოს.

ამ ძიებებს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: შექმნას ახალი, სავსებით გამართლებული გამომსახველობითი საშუალებები.

ვინ გაბედავს იმის შტკიცებას, რომ რიტორიკულმა საფარჯიშობმა — ვარიაციებმა თემაზე: „წყაროს პირს გვედები მწყურვალნი“<sup>1</sup>, გადამწყვეტი ზეგავლენა არ იქონია ვიონის გენიაზე? რომ რიტორიკული მიმართულებების<sup>2</sup> ფორმალურმა ძიებებმა და მაროტიულმა სკოლებმა<sup>3</sup> ხელი არ შეუწყვეს გემოვნების სრულ დახვეწას მეჩვიდმეტე საუკუნის საფრანგეთში?

უცნაურიც იქნებოდა იმ ეპოქაში, რომელშიც უადრესად ხალხური ხელოვნება — კინო — ხააღბომო სურათებად ქცეულა, პოეტები არ ცდილიყვნენ შეექმნათ სახეები ჩაკვირებულ და ძალზე გაფაქიზებულ გონებათათვის, კინოფაბრიკანტოა უხეში ფანტაზიები რომ არ აკმაყოფილებო. კინოფაბრიკანტოა ფანტაზია და იხვეწება და შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ კიდევ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ფონოგრაფი და კინო გამოსახვის ერთადერთ უოფით საშუალებად იქცევა, პოეტები მათთვის ჭერაც არნახულ თავისუფლებას მოიპოვებენ.

არცაა დასაკვირი: ვიდრე პოეტები მხოლოდ დღევანდელ გამომსახველობით საშუალებებს ფლობენ, ისინი უოველმხრივ ეცდებიან განემზადონ ახალი ხელოვნებისათვის (რომელიც წმინდა სიტყვიერ ხელოვნებაზე უფრო ტევა-

დია). რის შემდეგაც მთელი სამყარო გაუგონარი მასშტაბების მქონე ორკესტრის სათავეში მყოფთა კუთვნილება გახდება თავისა ხმებითა და მოვლენებით, ადამიანის ფიქრითა და ენით, ცეკვითა და სიმღერით, ხელოვნებით, უოველგვარი საშუალებებზე დაქვემდებარებული ცხოველი ხილვებით, ვიდრე მორგანას შეიძლო გამოეხმო მონჯიბელოზე<sup>4</sup>. ასე და ამგვარად შეიქმნება ზილვადი და სმენადი მომავლის წიგნი.

მაგრამ, როგორც წესი, საფრანგეთში ვერ შეხვდებით „განთავისუფლებულ სიტყვას“, ნიშნულს უკიდურესი იტალიური და რუსული ფუტურიზმისათვის. ახალი ცნობიერების ამგვარი გამოვლინება ზომიერებას და წესრიგს იყო მოკლებული, საფრანგეთი კი უწესრიგობას ვერ იტანს. ჩვენში ხალხით მიუბრუნდებიან ხოლმე სათავეებს, მაგრამ ქაოსი ზილვას მგვრით.

ამგვარად, ხელოვნების მასალისა და გამომსახველობითი საშუალებების მხრიდან თავისუფლების არნახულ მოზღვაებას უნდა ველოდოთ. პოეტები დღეს ამგვარ უნივერსალურ თავისუფლებას ესწრაფვიან. შთაგონების თვალსაზრისით მათი თავისუფლება არ უნდა ჩამოუფარდებოდეს უოველდღიური გაზეთების თავისუფლებას, რომელთა გვერდებზეც შორეული ქვეყნებისა და სხვადასხვა საკითხების ირგვლივია საუბარი გაჩაღებული. იბადება კითხვა: რატომ არ შეუძლია პოეტს მოიპოვოს თუნდაც ამგვარი თავისუფლება ან სხვაზე მეტად რატომ უნდა უფრო ხოლმე მანძილს ტელეფონის, უმაჯთულო ტელეგრაფისა და ავიაციის ეპოქაში?

იმ სისწრაფესა და სიმსუბუქეს, რომლის მშვეობითაც ადამიანის გონებამ ისწავლა ერთადერთი სიტყვით გამოეხატა ურთულესი ცნებები: ბრბო, ერი, სამყარო — თანამედროვე პოეზიაში არ მოეპოვებოდა ანალოგიები. პოეტები ავსებენ ამ ხარვეზს, მათი სინთეზური პოემები ქმნიან კრებითი სიტყვების მსგავს მოქნილ, მრავალგვარი მნიშვნელობის მქონე ახალ ცნებებს.

ადამიანმა გაითავისა საუცხოო ორგანიზმები — მანქანები, გამოიკვლია უმცირეს ნაწილაკთა სამყარო, ამჟერად მისი დაუცხრომელი წარმო-

1. სტრიქონი კარლ ორლენანდის ბალადიდან (1391-1465).

2. რიტორიკული მიმართულებები — მუთხუთმეტე საუკუნეში ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საფრანგეთშიც, კარია პოეტები თავიანთ თავს „რიტორებად“ მოიხსენიებდნენ.

3. მაროტიული სკოლა — ფრანგი პოეტის, კლემან მაოს (1496--1544) მიმდევრები; მათთვის დამახასიათებელია „არაკლასიკური“ სტილის სიჭრელე და მმარკებიდან გამოსული ფორმებისკენ სწრაფვა.

4. მონჯიბელო — ეონის ძველიტალიური სახელწოდება. აქ, მესინის ანლომანლო და კალაბრის ნაპირებთან, ზღვის ზედაპირზე ხშირად გამოჩნდება ხოლმე „ფატა-მორგანას“ მირაფი (ფერია ხალხურ ლეგენდაში), სადაც გარკვევით მოჩანს ადამიანთა და ცხოველთა უზარმაზარი ფიგურები.



სახვის წინაშე ახალი სფეროები გადაიშლება: უზარმაზარ სიდიდეთა სამყარო და წინასწარ-შეტყველებათა სამკვიდრო.

ოღონდაც არ უნდა ვიფიქროთ, რომ ახალი ცნობიერება ბუნდოვანი, უსიცოცხლო, უგრძნობი ანდა ნაცოდვილარი იყოს. ბუნების მცნებათა მიმდევარი პოეტი განთავისუფლდა ყოველგვარი მაღალფარდოვნებისაგან. ჩვენში ვეღარ ნახავთ ვაგნერიზმს. ახალგაზრდა პოეტებმა უკუაგდეს ვაგნერული გერმანიის ტიტანური რომანტიზმისთვის ნიშნული დამაბრმავებელი ბრჭყვიალება და მას უან უკ რუსოსგან მიმკვიდრეობად ბოძებული რომანტიზმის ბუკოლიკური კონკებიც ზედ მიათვალეს.

არა მგონია, სოციალურმა ცვლილებებმა იქამდე მიგვიყვანოს, ეროვნულ ლიტერატურაზე ლაპარაკი ვეღარ შევძლოთ. პირიქით, თავისუფლება მხოლოდ განამტკიცებს ძველთაძველ ჩვევებს. ახალი, გზადაგზა წარმოქმნილი ჩვეულებანი კი ნაკლებ მოთხოვნებს როდი წამოაყენებენ. აი, რატომ მიმაჩნია მე, რომ ნებისმიერი ცვალებადობის მიუხედავად, სამშობლოსა და ხელოვნებას შორის კავშირი უფრო და უფრო განმტკიცდება. ამასთან პოეტები ყოველთვის ერთი რომელიმე წრის, ერთი ხალხის ინტერესების დამომხატველნი არიან და მხატვრები, პოეტებთან და ფილოსოფოსებთან ერთად საზოგადოებრივ კაპიტალს ქმნიან, რომელიც მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა. ამავე დროს აღამიანთა ერთი ტომის ან ერთი წრის ცხოვრების დამომხატველიცაა.

ხელოვნება მხოლოდ მაშინ დაკარგავს ეროვნულ ხასიათს, როდესაც ერთნაირ ბუნებრივ პირობებსა და ერთნაირ სახლებში მცხოვრებ აღამიანთა მთელი მოდგმა ერთ ენაზე, ერთნაირი ინტონაციით აღაპარაკდება. ეს კი შეუძლებელია. ეთნიკური და ეროვნული სხვაობა ლიტერატურულ ფორმათა მრავალფეროვნებას ბადებს. ამგვარ მრავალფეროვნებას კი მოფრთხილება სჭირდება.

კოსმოპოლიტიკურ ლირიკას შეუძლია შექმნას მხოლოდ უინტონაციო, უფაქტურო და ბუნდოვანი ნაწარმოებები, რომელიც საერთაშორისო პარლამენტის რიტორიკას დაემსგავსება. აღსანიშნავია, რომ კინო — არსებითად კოსმოპოლიტიკური ხელოვნება — უკვე გამოხატავს ეთნიკურ განსხვავებას და ეკრანის მოყვარულნი თავისუფლად ვანასხვავებენ ამერიკულ ფილმს იტალიურისაგან. ასევე ახალი ცნობიერებაც, რომელიც ისწრაფვის გაამდიდროს მსოფლიო ცნობიერება და არ იფარალება ერთი რომელიმე კუთხის ჩვენებით, არსებობს და კლასიკური ცნობიერების მსგავსად, ფრანგი ხალხის ამაღლებულ ხატს რომ წარმოად-

გენს, ცდილობს დარჩეს ამ ერის თავისებურ ლირიულ გამოხატულებად.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერისთვის სულიერი დამონება ალბათ უფრო სასიფთოა, ვიდრე იარაღის ძალით დამორჩილება. აი რატომაა, რომ ახალი ცნობიერება [უწინსვლეს] ყოველისა, ითავისებს მშვენიერ [კლასიკურ] სტრესებს: წესრიგსა და მოვალეობას — რაც ფრანგული სულის უმაღლესი გამოვლინებაა, ითავისებს და თავისუფლებას ანიჭებს მათ. ხოლო თავისუფლება და წესრიგი განსაკუთრებულობას და ძალას სძენს ახალ ცნობიერებას.

მაგრამ ჩვენს ეპოქაში განხორციელებული ხელოვნების სინთეზი უაზრობაში არ უნდა გადაიზარდოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საზიფათო და უაზრო იქნებოდა პოეზიის იმგვარ იმიტაციურ მარმონიამდე დაყვანა, რომელსაც სიზუსტითაც კი არ ძალუძს თავისი არსებობის გამართლება.

შესაძლებელია, იმიტაციურ მარმონიას გარკვეული როლის შესრულების უნარი შესწევდეს, მაგრამ მას ძალუძს მხოლოდ ისეთი ხელოვნების საფუძვლად იქცეს, რომელშიც მანქანა შეიჭრა. ასე მაგალითად, ფონოგრაფის მეშვეობით შექმნილი პოემა ანდა სიმფონია თავისუფლად შეიძლება შედგებოდეს ხელოვნურად შერჩეული ლირიკულად შერწყმული თუ კონტრასტული ბგერებისაგან. თუმცა მე ვერც წარმომიდგენია ლირიკული, ტრაგიკული ანდა პათეტიკური მნიშვნელობის მქონე ლექსი, რომელიც უბრალოდ ხმოვანების იმიტაციაზე იყოს აგებული. მაგრამ თუკი მავანი პოეტები ამით თავს იქცევენ, ეს მხოლოდ ერთგვარ ვარჯიშად, ნაწარმოებში გატარებული თემის სანატო ესკიზად შეიძლება მივიჩნიოთ. „უი-უი-უი“ არისტოფანეს „ბაყაუებში“, არაფერს არ მიგვანიშნებს კონტექსტის გარეშე, კონტექსტში ჩართული კი ჩვეულ კომიკურ და სატირულ მნიშვნელობას იძენს. ფრინველთა გაბმულ „ი-ი-ი-ი“-ს, ფრანსის უამინ მთელ სტრიქონს რომ უთმობს, ლექსიდან თუ ამოვიღებთ, მხოლოდ მიბაძვის ბგერწერული ნიშნში შეგვრჩება ხელთ.

როდესაც თანამედროვე პოეტი მრავალხმოვნად აფიქსირებს თვითმფრინავის გუგუნს, უნდა ვიფიქროთ, რომ ის სინამდვილესთან მიახლოებას ცდილობს. სინამდვილისკენ სწრაფვა მოვლენათა მეცნიერული სიზუსტით აღწესდება საჭიროებს. მაგრამ ლექსში ეს სიზუსტე მხოლოდ თვალსაჩუქარი იქნება, რადგან მისი სინამდვილესთან გატოლება შეუძლებელია.

ფრანსის ეპი (1868—1938) — ფრანგი პოეტი.



თუკი პირიქით, პოეტს სურს გაამდიდროს ცეკვის ხელოვნება და დაამკვიდროს ისეთი ქორეოგრაფია, როდესაც საცეკვაო სტომა-თა-მაშს წამოძახილიც ახლავს, ახალი იმიტაციური შარმონიის მოთხოვნებით ეს არაა უაზრო ძიებები, რადგან მათი ხალხური ძირები უკელა ეროვნებაში იჩენს თავს, ასე მაგალითად, სამხედრო ცეკვებს თითქმის ყოველთვის ახლავს ველური შეძახილები.

სინამდვილე და დამატებლობა ახალი ცნობიერების უკელა ძიებისა და ექსპერიმენტის თავი და თავია. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამგვარი ძიებები ხშირად უნაყოფოდ მთავრდებოდა, ანდა კურორულ შედეგებს აღწევდა. მაშასადამე, ახალი ცნობიერება სახიფათოა.

ზემოაღნიშნული ცდებისა და წამოწყებების განუყოფელი გაკიცხვა (ისეთ შეცდომებამდე მიგვიყვანს, ტერს რომ მიაწერენ. თითქოსდა მას ეთქვას: რკინიგზები მხოლოდ მეცნიერთა ვასართობია და საზოგადოება ვერ შეძლებს პარიზიდან მარსელამდე გასაყვანი გზისთვის საკმარისი რკინის დამზადებას).

ამრიგად, ახალი ცნობიერებისთვის მისაღები იქნება ნებისმიერი, მათ შორის რისკიანი ლიტერატურული ექსპერიმენტიც კი. თუმცა ამგვარი ექსპერიმენტები ძნელად თუ იძენენ ლირიკულ ხასიათს. ამიტომაც თანამედროვე პოეზიაში ლირიკა ახალი ცნობიერების მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი საყრდენია, რომელიც მეტწილად კვლევა-ძიებით იფარგლება და არ ცდილობს შემატოს მას ლირიკული ნიშნადობა. ყოველივე ეს მხოლოდ მასალაა, რომელსაც აგროვებს პოეტი და თავს უყრის ახალი ცნობიერება, მაგრამ ამ მასალისგან უაღბდება სინამდვილის მარაგი, რომლის უბრალოებამ და სისადავემ არ უნდა შეგვაშინოს, რადგან მისი შედეგი შეიძლება ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

ჩვენი დროის ლიტერატურის ისტორიის მკვლევარნი მოგვიანებით გაიკვირებენ, რომ პოეტებმა აღქიმიკოსებისა და ფანტასტების მსგავსად კვლევა-ძიებას მისცეს თავი, რითაც თანამედროვეთა — სნობებისა და ეურნალისტების — დაცინვა დაიმსახურეს.

მაგრამ მათი კვლევა-ძიება ნაყოფს გამოიღებს. ისინი საფუძველს ჩაუყრიან ახალ რეალიზმს, რომელმაც შესაძლოა, ანტიკური საბერძნეთის ესოდენ პოეტურ და დახვეწილ რეალიზმსაც კი არ დაუდოს ტოლი.

ჩვენ ისიც ვნახეთ, თუ აღფრედ ვარისნ მეშვეობით როგორ ამოიძარტა სიცილი ფარუ-

ლი კუნტულებიდან, რომლებშიც მანამდე იჭრუნჩხებოდა, და გზა გაუხსნა პოეტს აქამდე გაუგონარი სიახლის ლირიზმისაკენ. სად წავიდა ის დრო, როდესაც დგუნდებოდა ცხვირსა ნოცი მიუღებლად კომიკური ჩანდა. დღეს გულდაგულ ეძებენ კომიკურს. ცდილობენ ხელი ჩასჭიდონ მას. კომიზმი თუფისტმსტად შემსახურება პოეზიას, რადგან ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ისევე კანონზომიერია, როგორც გმირობა და საერთოდ ყოველივე, რაც ოდესღაც შთაგონების წყაროს წარმოადგენდა პოეტისათვის.

რომანტიკოსები ცდილობდნენ მდაბალი მოვლენებისთვის მიეცათ შემწარავი ან ტრაგიკული მნიშვნელობა. უფრო ზუსტად, მხოლოდ შემწარავისთვის გულმოდგინებდნენ. ახალი ცნობიერება არ ცდილობს კომიკურის გარდასახვას, იგი მას დიახაც მომხიბვლელ ადგილს ანიჭებს. სწორედ ასევე არ აპირებს შემწარავს მიანიჭოს კეთილშობილური შინაარსი. ახალი ცნობიერება მას იღებს როგორც საზარელს, ამავე დროს არც კეთილშობილურს ამდაბლებს. ეს არ არის დეპრობატიული ხელოვნება, მაგრამ არც იმპრობინისტიზმი. მისი არსი გარეგანი და შინაგანი ბუნების წვდომაა. სინამდვილისაკენ სწრაფვაა.

ამქვეყნად მართლაც რომ არაფერი იყოს ახალი, ახალი ცნობიერება მაინც არ იტყვის უარს გაალრმავოს ყოველივე, რაც ამჟამუნად არ არის ახალი. ჩანსალი აზრი მისი წინამძღოლია და ეს წინამძღოლი მოძველებული. მაგრამ ჭერ გამოუკვლევია სიღრმეებისაკენ მიუძღვება.

მაგრამ ვანა ამჟამუნად მართლაც არაფერია ახალი? — ეს უნდა შემოწმდეს.

აკი უკვე გადაღებულია ჩემი თავის რენტგენის სურათი. მე, ცოცხალმა ადამიანმა, ვნახე საკუთარი თავის ქალა, და ეს ვანა არაა სიახლე? კმარა!

სოლომონს, რა თქმა უნდა, დედოფალი საბაისი ძალიან უყვარდა, მაგრამ სიახლე იმდენად იზიდავდა, რომ ურიცხვი ხარჭა ესვა.

ცისქვეშეთი ადამიანის შექმნილი უცნაურა ჩიტებითაა დასახლებული. ეს ჩიტები ადამიანის ვონების მიერ შექმნილი მანქანებია, რომელთაც არა ჰყავთ დედა. ცხოვრობენ ვნებებისა და გრძნობების გარეშე — და ვანა ეს არაა სიახლე?

მეცნიერები განუწყვეტლივ იჭრებიან ახალ სამყაროებში, ყოველ ნაბიჯზე რომ არის გადაშლილი — და ვანა არაფერი არ არის მზისქვეშეთში ახალი? მზისთვის — ალბათ არა. მაგრამ ადამიანისთვის!

არსებობს მრავალი ბუნებრივი შეხამება, რომ-

ნ აღფრედ ვარი (1875-1907) — პოეტი და დრამატურგი, პოეტური ფარსების ავტორი.



მელიც არასოდეს განხორციელებულა. ადამიანები მათ თავიანთ გონებაში წარმოსახვენ და ზორცს ასხამენ, რითაც ბუნებასთან ერთად ქმნიან უმაღლეს ხელოვნებას — ცხოვრებას. სწორედ ამ ახალ შეხამებებს, ცხოვრების ხელოვნების ამ ახალ წარმონაქმნებს ვუწოდებთ პროგრესს. ამ აზრით იგი არსებობს, მაგრამ თუ იგი ესმით როგორც მუდმივი ქმნადობა, როგორც თავისებური მესიანობა, რაც არანაკლებ შემზარავია. ვიდრე თქმულება ტანტალოსზე, სიზიფსა და დანაიდებზე, მაშინ ისრაელის ყველა წინასწარმეტყველთა მტკიცების მიუხედავად მართალია სოლომონი.

სინამდვილეში სიახლე მაინც არსებობს, თუნდაც არ იყოს პროგრესული. მისი გამოხატულებაა განცვიფრება. განცვიფრებაა ახალი ცნობიერების საფუძველი, მისი ყველაზე ცოცხალი, ყველაზე ნედლი ელემენტი. ბანცვიწმამა — ახალი მძლავრი ძალაა. ახალი ცნობიერება სწორედ განცვიფრებისა და მისთვის მინიჭებული მნიშვნელოვანი როლის წყალობით გამოირჩევა წინარე მხატვრული და ლიტერატურული მოძრაობებისაგან.

დღეს იგი ყველას გამოეყო და ახლა მხოლოდ ჩვენი ეპოქის კუთვნილებაა.

ჩვენ იგი დავაფუძნეთ ჯანსაღი აზრისა და გამოცდილების მტკიცე საფუძველზე, რამაც გვაიძულა მივწოდოდათ მოვლენებსა და ემოციებს, რადგან ისინი ჭეშმარიტნი არიან. ჩვენ მათ მივიღებთ სწორედ როგორც ჭეშმარიტებას და არ შევეცდებით ბუნებით კომიკური ამაღლებული გავხადოთ, ანდა პირიქით. ეს ჭეშმარიტებები, როგორც წესი, განცვიფრებას იწვევენ, რადგან ეწინააღმდეგებიან საყოველთაოდ დადგენილ შეხედულებებს. ბევრი მათგანი არ იყო შესწავლილი. მათი წარმოჩენა განცვიფრებას იწვევს.

ასევე შეიძლება გამოვთქვათ სავარაუდო ჭეშმარიტება, რომელიც განცვიფრებას გამოიწვევს, რადგან ამ ჭეშმარიტების გამოთქმამდე მისი წარმოდგენა ძნელი იყო. მაგრამ ჯანსაღი აზრი არ ეწინააღმდეგება სავარაუდო ჭეშმარიტებას, სხვა შემთხვევაში იგი არ იქნებოდა ჭეშმარიტება, თანთ სავარაუდოც კი. თუ წარმოვიდგენთ, რომ ქალები აღარ მშობიარობენ და მამაკაცებს შეუძლიათ ისინი შეცვალონ — მე ამ ნაფიქრს დავასურათებ, რითაც გამოვხატავ ლიტერატურულ ჭეშმარიტებას, რომელიც მხოლოდ ლიტერატურის ფარგლებშიღმა შეიძლება ჩაითვალოს ფანტასტიკურად. და აქ გაჩნდება განცვიფრებაც. თუმცაღა ჩემი სავარაუდო ჭეშმარიტება უფრო წარმოუდგენელი, უფრო ზებუნებრივი როლია, ვიდრე ბერძნების ჭეშმარიტება, რომელნიც ზევსის თავი-

დან გამოსულ შეიარაღებულ ათენას გამოსახავდნენ.

თქმულება იკაროსზეც სავარაუდო ჭეშმარიტება იყო, ვიდრე თვითმფრინავები არ გამოჩნდნენ ცაში. დღეს იგი თქმულება აღარ არის. ჩვენმა გამომგონებლებმა მათზე უფრო სწომოუდგენელ სასწაულებს მიგვაჩვიეს, ვიდრე მამაკაცის მშობიარობაა უკეთესად ვიტყვი. რაკი ზღაპრები უმეტესწილად გაცხადდნენ, და მერე როგორ გაცხადდნენ, ახლა პოეტებმარაღაც ახალი უნდა თქვან, რათა გამომგონებლებმა დროულად შეძლონ მათი ხორცშესხმაც.

ახალი ცნობიერება მოითხოვს (რომ ჩვენ დავისახოთ ეს წინასწარმეტყველური მიზნები. ამიტომაც მეტწილ ნაწარმოებებში, რომლებიც ახალი ცნობიერების მოთხოვნებს შეესაბამებიან, თქვენ იპოვით წინასწარჭვრეტის კვალს. ცხოვრებისა და წარმოსახვის ღვთაებრივ თამაშს მოაქვს უნაპირო შემოქმედებითი თავისუფლება.

რაკი პოეზია და შემოქმედება იდენტურია, პოეტი იმას მქვია, ვინც შემოქმედი. პოეტის ადამიანია, რომელიც ახალ, თუნდაც მტანჯველ, სიხარულს ეძებს. პოეტი შეიძლება იყო ყველა სფეროში — საკმარისია მხოლოდ შემართება და აღმოჩენებისკენ სწრაფვა.

რამდენადაც წარმოსახვა ყველაზე ნაყოფიერი სფეროა, ნაკლებ შესწავლილი და უხარულობაში განფენილი, გასაკვირი არაა, რომ პოეტის სახელს უმეტესად ის იმსახურებს, ვინც ახალი სიხარულის ძიებაშია, და ეს სიხარული წარმოსახვის გოლიათურ სივრცეებში ნიშანხვეტივითაა აღმართული.

უმნიშვნელო ფაქტი — პოსტულატი — პოეტისთვის გამოუკვლეველ უსაზღვროებაში ამოსავალი წერტილია, ხადაც ილუზინაციის სინათლესავით კიაფობს უამრავი მნიშვნელობა.

ძიების გზას რომ დავადგებით, არ არის საჭირო გარკვეული თუნდაც გამოცნებით ნაკარნახევი წესით შეირჩეს რაიმე ფაქტი, რომელიც ამაღლებულად იყო მიჩნეული. ძიება ყოველდღიური, ჩვეულებრივი ფაქტით დაეიწყოს: ძირს დაგდებული ცხვირსახოცი შეიძლება ის ბერკეტი აღმოჩნდეს, რომლითაც შესაძლებელია დედამიწის აწევა. ჩვენ ვიცით ვარდნილი ვაშლის დანახვამ რა აღმოჩენამდე მიიყვანა ნიუტონი, რომლის საფუძველზეც უფლება გვაქვს მას პოეტი ვუწოდოთ: ამიტომაცაა, რომ თანამედროვე პოეტი ბუნების არანაირ მიმოქცევას არ ერიდება და მისი გონება მისწრაფვის აღმოაჩინოს რაიმე ახალი, როგორც ყველაზე უზარმაზარ, ყველაზე თვალმუდგამ მთლიანობებში. — იქნება ეს ბუნდოვანი ერთობა, ოვანეები თუ ხალხები, — ასევე ერთი



შეხედვით სრულიად უბრალო ფაქტებში, როგორცაა ჭიბეში ხელის ფათური, ასანთის გაკვრა და ანთება, ცხოველების შეძახილები, ნაწვიმარი ბაღების სურნელება, ღუმელში აგიზგიზებული ციციხლი. პოეტები არა მხოლოდ მშვენიერების, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ქეშმარიტების მატარებელი არიან. ქეშმარიტება უკაფავს მათ გზას გამოუცნობ სფეროებში შესაღწევად. ამიტომ განცვიფრება და მოულოდნელობა თანამედროვე პოეზიის ერთ-ერთი უმთავრესი ქმედითი ძალაა. და ვინ გაბედავს იმის შტკიცებას, რომ სიხარულის ღირსი ყოველი ადამიანისთვის სიახლე ამავე დროს მშვენიერი არაა. სხვები მყისვე ეცდებიან ამ ამოღებულ სიახლის შებილწვას, რის შემდეგ იგი განსჯის სფეროში გადაინაცვლებს. ოღონდ მხოლოდ პოეტის შიერ დადგენილ საზღვრებში, პოეტისა, რომელიც ქეშმარიტებისა და მშვენიერების ერთადერთი მთესველია.

თავისი კვლევა-ძიების ბუნების გამო პოეტი მარტოა ახალ სამყაროში, რომლის პირველად მომჩინიც თვითონაა, და ნუგეშად ისღა დარჩენია, რომ ადამიანები მხოლოდ ქეშმარიტებით ცხოვრობენ, თუმცადა ამ ქეშმარიტებას სიუალებით მსჭვალავენ. პოეტი კი ერთადერთია, რომელიც ცხოვრებას მოკვდავთათვის საჭირო ქეშმარიტებით ავსებს. აი რატომაა, რომ თანამედროვე პოეტები მარად განახლებადი ქეშმარიტების შემოქმედნი არიან. და მათი მოწოდება უსაზღვროა: ისინი განცვიფრებდნენ, მაგრამ მომავალში უფრო მეტად გაგოცებენ. პოეტებს უკვე სრულიად განსხვავებული ჩანაფიქრი აქვთ. განსხვავებული იმათგანაც კი, ვინც თავისი ცბიერებით უტილიტარული ფულის ნიშანი მოიგონა.

ჩვენს დროში მშვენიერად ხორცშესხმული იკაროსის მითის შემქმნელი მხოლოდ ამას როდი დასტერდებიან. თქვენ, შემეცნებით და სიცოცხლით აღსავსეთ, ისინი ღამეულ სიზმართა მიუვალ სამეფოში გაჯიტაცებენ, მალღა, საოცრად მოციმციმე სამეფოში, ყველაზე აბლობილსა და შორეულ სამეფოში, რომელიც იმ სიღრმის უსასრულოობისკენ მიილტვის, ჩვენში რომ არის მოქცეული. და უფრო დიდი საოცრებები, ვიდრე კაცობრიობის დაბადებიდან შექმნილა, დაჯახნიან თანამედროვე გამოგონებებს, რომლითაც ახლა ასე ვამაყობთ, ხოლო მომავალში კი უბაღრუჟად მოგვეჩვენება.

დასასრულ, ლირიკული ტელეოლოგიისა და ზელირიკული ალქიმის შექმნისას პოეტებმა უფრო და უფრო წმინდა აზრები უნდა შეიტანონ ღვთაებრივ იდეაში, რომელიც ასე უკვდავია ჩვენში და ქეშმარიტი. ეს იდეა განუ-

წვეთელ განახლებას, მარადიულ შემოქმედებასა და მრავალგზის აღორძინებულ პოეზიას წარმოადგებს, რომელიც ჩვენს არსებობას ასაზრდოებს.

როგორც ვიცით, ჩვენს [ქვემოთ] მხოლოდ ფრანგულენოვანი პოეტებმა [ქვემოთ] თითქოს სხვა ენები დადუმდნენ, რათა მსოფლიომ უკეთ შეისმინოს თანამედროვე ფრანგი პოეტების ხმები.

მთელი კაცობრიობა ამ სინათლისკენაა მიმართული. ეს სინათლე აბრწყინებს ჩვენს ირგვლივ გაშფებულ ღამეს.

თუმცა ჭერჭერობით ეს ზეაღმტაცი ხმები ძნელად აღსაქმელია.

ამგვარად, თანამედროვე პოეტები შემოქმედნი, აღმომჩენნი და წინასწარმეტყველნი არიან. ისინი მოითხოვენ, რომ მათი გამონათქვამები საგულდაგულოდ იქნას შესწავლილი იმ საზოგადოების სასიკეთოდ, რომელსაც თვითონ მიუკუთვნებიან. ისინი მოუხმობენ პლატონს და ევედრებიან, ჭერ მოუსმინოს მათ და შემდეგ ვააძევოს თავისი სახელმწიფოდან.

საფრანგეთი ცივილიზაციის საიდუმლოებების აბსოლუტური მფლობელია. საიდუმლო კი მხოლოდ მისთვისაა, ვინც თავისი არასრულფასოვნების გამო ცდილობს მის ამოცნობას. უმრავლესობისთვის საფრანგეთი პოეტთა და მხატვართა სამშობლოდ იქცა, რომელნიც დღითიდღე ამდიდრებენ ცივილიზაციის საგანძურს.

პოეტები უშურველად აფრქვევენ სიხარულსა და ქეშმარიტებას და ამით ცივილიზაცია ნებისმიერი ერის მასაზრდოებელ წყაროდ თუ არა, სიამოვნებად მაინც უნდა იქცეს.

ფრანგები პოეზიას აზიარებენ ხალხებს:

იტალიაში — სადაც უდიდესი თავდადებითა და პატრიოტიზმით საღვთო ახალგაზრდა ეროვნული მიმართულებისათვის ფრანგული პოეზიის მაგალითი დიდი ბიძგი იყო.

ინგლისში — სადაც ლირიკა გაუფერულდა და გამოიფიტა კიდევ.

ესპანეთში და მეტადრე კატალონიაში — სადაც მგზნებარე ახალგაზრდობა, რომელმაც უკვე წარმოშვა საამაყო ფერმწერნი, ყურადღებით აღევნებს თვალყურს ჩვენი პოეტების შემოქმედებას.

რუსეთში — სადაც ფრანგული ლირიკის მიბაძვა იწვევდა ხოლმე უკიდურესობებს, რაც ვერავის გააკვირვებს.

ლათინურ ამერიკაში — სადაც ახალგაზრდა პოეტები ვატაცებით განიხილავენ ფრანგი წინამორბედების ნაღვანს.

ჩრდილოეთ ამერიკაში — სადაც ედგარ პოსა და უოლტ უიტმენისადმი მადლიერების



გრძნობით აღვსილი წინასწარმეტყველნი ომი-  
ანობის დროს გამანაყოფიერებელ საწყისს ამ-  
კვიდრებენ, რათა სული შთაბერონ ახალ შე-  
მოქმედთ, რომელთაც ჭერ არ უცნობთ, მაგ-  
რამ პოეზიის ამ უდიდესი პიონერების ღირ-  
სეული მემკვიდრენი იქნებიან.

საფრანგეთში მრავლადაა ღირიკული ტოა-  
დიციების დამცველი და გამგრძელებელი სკო-  
ლები, ასევე ბევრია ამხანაგობები, სადაც ეხ-  
ვევიან ახლის გაბედულად ძიებას; მაგრამ აქ-  
ვე უნდა დავსძინოთ: პოეზია უპირატესად იმ  
ხალხისგანაა დავალებული, რომლის უხიბლაც  
მეტყველებს.

ვიდრე შორს გამიზნული მქადაგებლობის  
საგმირო ავანტიურის გზას დაადგებოდნენ, პო-  
ეტურმა მიმართულებებმა უნდა შექმნან, გა-  
მყარონ, წარმოაჩინონ, გაზარდონ და უკვდავ-  
ყონ იმ ქვეყნის დიდება, რომელმაც ისინი წა-  
რმოქმნა, — ქვეყნისა, რომელმაც უწილადა  
მათ უველაზე ჭანსალი, ყველაზე წმინდა, უვე-  
ლაზე დიდი მშვენიერება.

მისცა კი შესაძლებლობის მაქსიმუმი საფ-  
რანგეთს თანამედროვე ფრანგულმა პოეზიამ?

იყო კი ეს პოეზია უოველთვის ისევე აქტი-  
ური და ისევე თავგამოდებული საფრანგეთში,  
როგორც მის ფარგლებს გარეთ?

ისიც საკმარისი იქნება, თუკი ამგვარი კითხ-  
ვები წამოიჭრება თანამედროვე ლიტერატურ-  
ის ისტორიაში, მაგრამ მათ გადასაწყვეტად  
საჭიროა შეძლებისდაგვარად შეფასდეს უველა  
ნაყოფიერი ეროვნული თვისება, რომელსაც  
ახალი ცნობიერება შეიცავს.

ახალი ცნობიერება მტრულადაა განწყობი-  
ლი, უპირველეს უოვლისა, კანონების ესთეტი-  
ზმისა და უოველნაირი სნობიზმისადმი. იგი არ  
ებრძვის რომელიმე კონკრეტულ სკოლას, რა-  
დგან სკოლად ჩამოყალიბებას კი არ აპირებს,  
არამედ ლიტერატურაში ერთ-ერთ უველაზე  
მძლავრ მიმდინარეობად უნდა იქცეს, რომე-  
ლიც თავს მოუყრის უველა სკოლას, დაწყე-  
ბულს სიმბოლიზმიდან და ნატურალიზმიდან.  
იგი იბრძვის მძიმებელი სულის ასაღორძინებ-  
ლად, ჩვენი ეპოქის ნათლად შესაცნობად, შინა-  
და გარე სამყაროს ახალი პერსპექტივების აღ-  
მოსაჩენად, რომლებიც ისეთივე ღირებულე-

ბისანი არიან, მეცნიერები რომ პოულობენ  
უოველდღე და უველა სფეროში და სადაც სა-  
სწაულების მოხდენას ახერხებენ.

მეცნიერული სასწაულები ვაიძულებენ არ  
ჩამოვრჩეთ მექანიზმების განწყველ-  
წარმოსახვის სიძლიერით და პრეტურა დახვე-  
წილობით. სამეცნიერო ესა უკვე აშკარა წინა-  
აღმდეგობაშია პოეტურ ენასთან. ასეთი მდგო-  
მარეობა აუტანელია. მათემატიკოსებს უფლდე-  
ბა აქვთ ამტკიცონ, რომ მათი ნააზრევი, მათი  
მისწრაფებები ასეული მილით უსწრებენ პო-  
ეტების მცოცავ ფაბტაზიას. ახლა თვით პოე-  
ტებმა უნდა გადაწყვიტონ და უყოყმანოდ და-  
უყავშირონ თავიანთი თავი ახალ ცნობიერებას,  
რომლის გარეშე მხოლოდ სამი გზაა რჩება:  
მიმბაძველობა, სატირა და გოდება — თუნდაც  
ამაღლებული.

საჭიროა თუ არა, ვაიძულოთ პოეზია, დაე-  
მალოს უოველდღიურ გარემოს, უარი თქვას  
ამასოფლის დიდებულ სიუბვეზე, რომელსაც  
ადამიანები საკუთარი შრომით ქმნიან, რაც  
ხელს უწყობს მოახდინოს მსოფლიოს ჭერ არ-  
გაგონილი მექანიზაცია?

ახალი ცნობიერება — ესაა ჩვენი თანად-  
როული ეპოქის ცნობიერება. ეპოქისა, რომე-  
ლიც სავსეა მოულოდნელობებით. პოეტები  
მისწრაფვიან დაძლიონ წინასწარმეტყველო-  
ბა, ეს გააფთრებული ფაშატი, რომლის დამო-  
რჩილება აქამდე შეუძლებელი იყო.

და ბოლოს, მთელი მსოფლიო მექანიზებუ-  
ლია და პოეტებიც მისწრაფვიან პოეზიის მე-  
ქანიზაციისაკენ. ისინი ერთმანეთს ეცილებიან  
პირველობას, თუ ვინ დააკავშირებს არნახულ  
ღირიზმს გამომსახველობის ახალ ხერხებთან,  
რომელსაც ფონოგრაფისა და კინოს მეშვეო-  
ბით მოძრაობა შეაქვს ხელოვნებაში, ფონოგ-  
რაფი და კინოც ჭერჭერობით ინკუნაბულურ  
მდგომარეობაში არიან. მაგრამ იქონიეთ მოთ-  
მინება — სასწაულები თავიანთ სიტყვას იტ-  
ყვიან და ახალი ცნობიერება, რომელიც სიცო-  
ცხლით ავსებს მსოფლიოს, საოცარ გამოვლი-  
ნებას მოვებს ლიტერატურაში, ხელოვნებაში  
და ჩვენი ცნობილ უველა სფეროში.





თომას მანის უცნობი ნაწარები



ჩემი წერილის სათაურში „უცნობი“ არ ნიშნავს იმას, თითქოს ეს ნაწარები მე „აღმოვაჩინე“, ანდა მათ პირველად მე მივაქციე ყურადღება. ამით მხოლოდ იმის აღნიშვნა მინდა, რომ მათზე საგანგებოდ, სპეციალურად ჭერჭერობით არავის დაუწერია. ბოლო ხანებში მხოლოდ გაკვირით და ზოგადად ეხებთან ხოლმე რეცენზიებსა და წერილებს, რომელთაც თომას მანი გულმოდგინედ „მაღავედა“, არ ახსენებდა და არც თავის თბზუღიბათა კრებულებში შექმონდა, ერთი სიტყვით. შეიძლება ითქვას, რომელთა ავტორობა მწერალს აშკარად რცხვენოდა.

წინა წლებში თომას მანის სპეციალისტთა შორის ყუმბარასავით გავარდა სკანდალური ამბავი, რომ კლაუს შრიოტერმა მიაკვლია თომას მანის უცნობ რეცენზიებსა და წერილებს, რომელთა პანგერმანისტული, ნაციონალისტური, უფრო მეტიც, შოვინისტური და ანტისემიტური შინაარსი ექვს არ იწვევდა და რომლებიც ფრიდრიხ (ფრიც) ლინჰარდის რეაქციულ შურნალში — „XX საუკუნე — 1895 წლის აგვისტოდან 1896 წლის ნოემბრამდე დაიბეჭდა (კლაუს შრიოტერის ეს სენსაციური სურათებიანი მონოგრაფია — იგულისხმება როვოლტის გამომცემლობის ე. წ. „რო რო რო“ გამოცემა — პირველად გამოქვეყნდა 1964 წ.).

კლაუს შრიოტერის მიხედვით, ეს შურნალი დააარსა ნაციონალისტურად განწყობილმა „ხალხოსანმა ხელოვანმა“ ფრიც ლინჰარდმა, რომელიც თავდაპირველად თვითონვე რედაქტორობდა შურნალს, შემდეგ იგი შეცვალა ჰაინრიხ მანმა. აიკე მიდელის თანახმად კი, შურნალს თავდაპირველად რედაქტორობდა ერვინ ბაუერი, შემდეგ — ფრიდრიხ ლინჰარდი, ხოლო 1895-1896 წლებში — ჰაინრიხ მანი (იხ. აიკე მიდელი, თომას მანი, 1970, IV გამოცემა, რეკლამის გამომცემლობა, გვ. 85-86, პირველი გამოცემა გამოვიდა 1975 წ.). თუ პეტერ დე მენდელსზონს დავუჭერებთ, შურნალი დააარსა ერვინ ბაუერმა 1890 წ. ოქტომბერში, პასუხისმგებელი რედაქტორი იყო შოვინისტურად განწყობილი ელზასელი მწერალი ფრიც ლინჰარდი 1895 წლის გაზაფხულამდე, ხოლო ჰაინრიხ მანი 1895 წლის აპრილიდან 1896 წ. დეკემბრამდე ხელმძღვანელობდა შურ-

ნალს. (ჰაინრიხ მანმა ამ რეაქციულ ორგანოში გამოაქვეყნა 82 ანტიდემოკრატიული, მონარქისტული, შოვინისტური, რასისტული და ანტისემიტური ნარკვევი, წერილი, რეფერატი, რეცენზია და შენიშვნა. იხ. პეტერ დე მენდელსზონი, ჯადოქარი. გერმანელი მწერლის თომას მანის ცხოვრება. პირველი ნაწილი. 1875-1918. ზ. ფიშერი. 1975, გვ. 218).

ბუნებრივია, შრიოტერის ამ „მიგნებამ“ უპირველეს ყოვლისა თომას მანის ახლობლები გაანაწყენა, უფრო მეტიც, მათი გულისწყრომა გამოიწვია.

ამის ერთ-ერთი გამოძახილია თომას მანის უფროსი ქალიშვილის, მწერალი ქალისა და მსახიობის, მამის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამგებლისა და მისი შიმოწერის სამიტომის გამომცემლის — ერიკა მანის 1967 წლის 10 ივნისით დათარიღებული ჩემდამი გამოგზავნილი წერილის ზოგიერთი ადგილი:

„...უწინარეს ყოვლისა, თქვენ მეკითხებით ჩემს აზრს ბატონ კლაუს შრიოტერის სურათებიანი მონოგრაფიის შესახებ, რომელიც თქვენ „სამწუხაროდ ახლახან“ გაიცანით. მე მინდა სიტყვა „სამწუხაროდ“ სქლად და წითლად გავხაზო. ჩვენ წინასწარ რომ გვცოდნოდა, რას დაწერდა ეს ვერაგი და უპასუხისმგებლო ვაუბატონი, არასოდეს მოვამარაგებდით მდიდრული ფოტო მასალით, რის წყალობითაც წიგნი სწრაფად გაიყიდა. სხვათაშორის მან გამზადებული ტექსტი გამოგვიგზავნა, ჩვენ კატეგორიულად მივუთითეთ შეცდომებზე. მას არაფრის გაგონება არ სურდა...“<sup>1</sup>

...მაგრამ ასეთები არიან ეს ვაუბატონები (იგულისხმებიან შრიოტერის მსგავსი ადამიანები, ნ. კ.): ყველაფერზე მაღლა მოჩვენებით «trouvaille»-ს აუენებენ, ძნელი მისახვედრი არაა, რა ამოძრავებთ შრიოტერებს. ეს არის უპასუხისმგებლო პატივმოყვარეობა“<sup>2</sup>.

„მეორე მხრივ, ურცხვი სიცრუეა შრიოტერის მტკიცება, თითქოს ძმებმა მანებმა იტალიაში თავიანთი ყოფნის თარიღები შეგნებულად

<sup>1</sup> იხ. ნ. კაკაბაძე, თომას მანი, თბილისი, 1983, გვ. 124.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 125.



გააყალბეს. რა აზრი შეიძლება ჰქონოდა ძმები მანების მტკიცებას, იტალიაში ამა და ამ დროს ვიყავითო და ის წერილები (ამას შრიოტერი ვარაუდობს). მაშასადამე, ჩვენი დაწერილი არ შეიძლება იყოსო. კი მაგრამ, ამ წერილებს ისინი ხომ სრულად აწერდნენ ხელს, და განა სულ ერთი არ იყო, რედაქციას თავის ნაწერებს მიუწვდინიდან მიაწვდიდნენ თუ რომიდან?!"<sup>3</sup> კიდევ უფრო უცნაური ჩანს ის ფაქტიც, რომ ამ რედაქციული, არქინაციონალისტური ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი გახლდათ ჰაინრიხ მანი, რომელიც გერმანელ მწერალთა შორის თითქოს იმთავითვე პროგრესულიბერალურ პოლიტიკურ პოზიციაზე იდგა, და როგორც თვითონ თომას მანი აღნიშნავს მოგვიანებით, მასზე გაცილებით ადრე გამოამუშავნა სწორი პოლიტიკური აღდგო.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს თომას მანი. მისმა რვა რეცენზიამ და წერილმა თომას მანის სპეციალისტებს ძალიან მძიმე თავსატეხი გაუჩინა. როგორ მოხდა, რომ თითქმის ერთდროულად მწერალი წერდა და აქვეყნებდა დიამეტრულად ურთიერთსაპირისპირო ნაწარმოებებსა და წერილებს.

შემოვიფარგლოთ რამდენიმე ფაქტით: 1893 წელს თომას მანი წერს და გამნაზისტურ ჟურნალში — „გაზაფხულის ქარიშხალი“<sup>4</sup> აქვეყნებს მოწინავე წერილს, რომელიც ფაქტიურად მის პირველ პროზაულ ესკიზს წარმოადგენს. აქ სხვათაშორის ვკითხულობთ: „ჩვენი ღირსეული ლიუბეკი მშვენიერი ქალაქია. ო, სავსებით დიდებული ქალაქი! მაგრამ ხშირად მგონია, რომ იგი ჰგავს ამ მტვრიან მდელოს და საჭიროებს გაზაფხულის ქარიშხალს, რაც გამოანთავისუფლებს სიცოცხლეს ამ სულისშემბუთველი გარსიდან, სიცოცხლე კი აქ უეჭველად ბუდობს! ეს ნათლად ჩანს ცალკეული ამწვანებული ყლორტების მისედვით, რომლებიც თავს ყოფენ მტვრის ფენებიდან. და მათგან მოედინება ნორჩი ძალა და საბრძოლო ფინი, ისინი აღსავსეა ცრურწმენებისაგან თავისუფალი შეხედულებებითა და გაციხკროვნებული იდეალებით!

გაზაფხულის ქარიშხალი! დიად, როგორც გაზაფხულის ქარიშხალი გადაიქროლებს ჩამტვე-

რილ ბუნებაზე — ჩვენც გვსურს სიტყვებითა და იდეებით გადავუაროთ სიჩლუნგესა და უმეცრებას, გაფუფულ, შეზღუდულ ფილოსტერობას, რომელიც გვიპირისპირებდა. ეს სურს ჩვენს ჟურნალს, ეს უნდა „გაზაფხულის ქარიშხალს“<sup>4</sup>.

ამ ეტიუდის ციტირებულ, ~~სტატიის~~ პრონიულ-სატირული ტონი და ~~ქრისტეფორუსი~~ მიმართ ოპოზიციური დამოკიდებულება ექვემოტანელია. თომას მანის ცნობილ მთარგმნელსა და მკვლევარს ს. აბტს ეს პასაჟი სამართლიანად აგონებს ჰაინეს „ქარცხე მოგზაურობის“ დასაწყისს.<sup>5</sup>

იმავე 1893 წელს ამავე ჟურნალის II ნომერში თომას მანმა დაბეჭდა პოლემიკური წერილი — „ჰაინრიხ ჰაინე — „კეთილი““. ეს არის პოლემიკა, მიმართული ვინმე დოქტორ კონრად სციპიოს წინააღმდეგ, რომელმაც „ბერლინერ ტაგებლატის“ დამატებაში გამოაქვეყნა წერილი — „ჰაინრიხ ჰაინეს შეფასებისათვის“.

„კეთილში“, „ქარცხე“ დოქტორი სციპიო გულისხმობს კარგს, დადებითს ოფიციალური წრეებისა და სახელმწიფოს თვალნაზრისით, გულისხმობს მორჩილ, ანდა, თუ თანამედროვე ენით ვიტყვით, კონფორმისტულ ქვეშევრდომს, რაც ურმა თომას მანს აცოფებს. ამავე დროს, თომას მანი უარყოფს ჰაინეს პატრიოტიზმს, საერთოდ პატრიოტიზმს მიიჩნევს შეზღუდულობად. მაგრამ აქ ზოგიერთ გარემოებას უნდა გავუწიოთ ანგარიში. ერთი მხრით, როგორც ჩანს, თომას მანს პატრიოტიზმში ესმის ურა-პატრიოტიზმი, ცრუპატრიოტიზმი, ნაციონალიზმი. პატრიოტიზმის ცნება აქ, როგორც ჩანს, იმარტება ოფიციალური, ფილისტერულ-გერმანული თვალთახედვით. და დოქტორ სციპიოს მიხედვითაც, პატრიოტი ნიშნავს ოფიციალური, სახელმწიფოებრივი გერმანიის მოყვარულსა და ერთგულს, მის აპოლოგეტს, რომელიც ჰაინეს ქირის დღესავით სძაგდა. ასეთი გაგებით თომას მანი, ცხადია, მართალია. მაგრამ ამ პოლემიკურ წერილში ვხვდებით ერთ ადგილს, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ურმა თომას მანს არასწორი წარმოდგენა ჰქონია პატრიოტიზმზე და მსოფლიო მოქალაქეობაზე, თანაფარდობაზე საკუთარი ქვეყნის სიყვარულსა და სხვა ქვეყნების მიმართ პატივისცემას შორის. თომას მანი წერს:

3 იქვე, გვ. 126; სიმართლეს თუ ვიტყვით, ამ რვა რეცენზიიდან და წერილიდან თომას მანი მხოლოდ ორს აწერდა სრულად ხელს, ექვსი წერილი მხოლოდ ინიციალებით იყო ხელმოწერილი: თ. მ. (იხ. თომას მანი, ნარკვევები. სიტყვები, ესეები, ტ. I. 1893-1913. გამოც. და კომენტარებული პარი მატერის მიერ, აუფბაუს გამომცემლობა, 1983, გვ. გვ. 372-376).

<sup>4</sup> „გაზაფხულის ქარიშხალი“, № 1, 1893 წ. ლიუბეკი.

<sup>5</sup> იხ. С. Апт. Томас Манн. Москва, 1972, გვ. 27.

<sup>6</sup> „გაზაფხულის ქარიშხალი“, № 2, ორმაგი გამოცემა იენისისა და ივლისისათვის, 1893, ლიუბეკი.



„და ჰაინეს პატრიოტიზმი“

უნდა ვაღიარო, რომ უკვე აღარ მაგონდება ამასთან დაკავშირებული დოქტორ სციპიოს მტკიცებანი. აქ რომ მოვიყვანო. მაგრამ, როცა ლაპარაკი ჩამოვარდება ხოლმე პატრიოტიზმზე, მე ყოველთვის მაგონდება ერთ-ერთი ჩემი მანწავლებლის ნათქვამი: — გოეთეს გონი, — და ახლოებით ასე ამბობდა ის ჩინებული ადამიანი. — მეტიმეტად ყოველისმომცველი და ძალუმი იყო იმისათვის, რათა კმაყოფილება ეგრძნო სამშობლოს სიყვარულში; გოეთე მთელს სამყაროს მოიცავდა!“ ვაშა! მაშასადამე, ადამიანი გარკვეულწილად სულიერად შეზღუდული უნდა იყოს, პატრიოტობა რომ შეძლოს. იყო ჰაინეს გონი ამისათვის საკმარისად შეზღუდული, დოქტორ სციპიო?”

ყოველ შემთხვევაში, აქ ახალგაზრდა თომას მანის მსჯელობას პატრიოტიზმზე აქვია გარკვეულობა და სიმწიფე. და, რაც მთავარია, და რაც აქ უველაზე მეტად გვაინტერესებს, ყოველივე ამას წერდა 18 წლის თომას მანი, ე. ი. ასე ათვალწუნებით ლაპარაკობდა პატრიოტიზმზე და სამშობლოს სიყვარულს შეზღუდულობად მიიჩნევდა, ხოლო ორი წლის შემდეგ, ე. ი. 1893 წ. იწყებს თანამშრომლობას შოვინისტურ და ანტიემპიტურ ჟურნალში. (არ დავივიწყოთ, რომ ჰაინე ებრაელი იყო, რომელსაც ურმა თომას მანი აღმერთებდა).

მხედველობაში უნდა მივიღოთ კიდევ დამატებითი ფაქტები:

1894 წ. ე. ი. ერთი წლით ადრე, თომას მანი ანტიკლერიკალურ, ანტიმონარქისტულ, დემოკრატიულ ჟურნალში — „დი გეზელშაფტ“ აქვეყნებს თავის პირველ ნოველას — „დაცემული ქალი“, ხოლო 1896 წ. ე. ი. ზუსტად იმ ავადსახსენებელ ჟურნალში თანამშრომლობის წელს იწყებს თანამშრომლობას სატირულ-ლიბერალურ ჟურნალში — „ზიმპლიციისიმუსში“ („ბედნიერების ნება“), ამავე ჟურნალში 1897 წელს ბეჭდავს ახალ პროზაულ ნაწარმოებს „სიკვდილი“ და ა. შ. აღსანიშნავია, რომ ამ ჟურნალის გამომცემელი, ალბერტ ლანგენი ერთხანს პარიზში ემიგრაციაში იმყოფებოდა „მონარქის შეურაცხყოფის“ გამო. აქვე შეიძლება შევნიშნოთ, რომ თომას მანი დაახლოებით ანალოგიური საქციელისათვის ჟურნალში „მეოცე საუკუნე“ — გამოხს მწერალ ოსკარ პანიცას, რომელსაც მიუნხენის სასამართლომ ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯა, რაზედაც უფრო წვრილად შემდეგ ვილაპარაკებ. ისიც საინტერესოა, რომ უმაწვილ თომას მანის მიერ დაწერილ ჩვენამდე მოუღწეველ პიესებს შორის მაგალითად, „ხუცუსები“, სპეციალისტთა ვარაუდით, ანტიკლერიკალური უნდა ყოფილიყო (კლაუს შიოტერი, თომაც მანი, როვოლტი,

1979, გვ. 27).

თვითონ თომას მანი 1897 წ. ე. ი. შოვინისტურ, ანტიემპიტურ ჟურნალში თანამშრომლობის ერთი წლის შემდეგ ასე ხსნიდა თავისი ძმის, ჰაინრიხ მანის ანალოგიურ საქციელს: „რაც უწინარეს ყოველისა ჩვენს შეხება, როგორც შენც იცი, უკვე 1806 წ. ნეტარად „მოიცვალა“, ამ საკმაროდ პრიმიტიულ ჟურნალს იგი ყოველთვის გარკვეული ზიზღით, მხოლოდ ფულის შოვნის გამო, რედაქტორობდა...“7

თომას მანის ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამ „კურიოზს“ ერიკა მანი ასე ხსნის:

„რაც შეეხება შრიოტერის მიერ მითითებულ ძმები მანების თანამშრომლობას ჟურნალში — „დას ცვანციგსტე იარშუნდერტ“, აქ ცოტა სხვაგვარადაა საქმე. მართლაც, გასაოცარია, რომ ჰაინრიხი, რომელიც პოლიტიკურად იმთავითვე სწორად აზროვნებდა, ამ ჟურნალის გამომცემლად (ე. ი. რედაქტორად, ნ. კ.) იწერებოდა. თომას მანი იმ ხანებში პოლიტიკურად სავსებით გაურკვეველი წერის ქინით იყო შებურბილი, ხელიდან არ უშვებდა არცერთ შესაძლებლობას, რაიმე გამოექვეყნებინა; მართალია, შრიოტერის მტკიცების საწინააღმდეგოდ, თომასი არასოდეს „დაქვემდებარებია ლინშარდის გერმანულ ნაციონალიზმს, როგორც მისი ჟურნალის რეცენზენტი“, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი ბავშვობიდანვე გერმანული ნაციონალიზმის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, თომასი არქიკონსერვატიულად იყო აღზრდილი და, რაც კი „რევოლუციური“ ებოდა, უველაფერი ხელოვნებისათვის, „დეკადანსისათვის“, „სიკვდილისადმი სიმპათიისათვის“ ჯანსუში შემოეხარჯა. პოლიტიკური ემანსიპაცია 20 წლის თომას მანს აზრდაც არ მოსდიოდა, ისევე როგორც ყოველად წარმოუდგენელია, რომ თომას მანი რომელიმე რედაქტორის ანდა „უფროსის“ პოლიტიკურ შეხედულებებს „დაქვემდებარებოდა“8.

ერთი ციტატა კიდევ ერიკა მანის ამავე წერილიდან:

„თქვენ შემდეგ მეკითხებით, როგორ ვახდა შესაძლებელი, რომ თ. მანმა ეს მაკომპრომეტორებელი წერილები გამოაქვეყნა სწორედ იმ დროს, როცა ლიბერალურ ჟურნალებში თავის მთლიანად განსხვავებულ ადრეულ მოთხრობებს ბეჭდავდა? — უნდა გავითვალისწინოთ იმდროინდელი გერმანიის ლიტერატურული სიტუაცია. იმ პოლიტიკურად თითქოსდა „უმანკო“ დროში ამდაგვარი ფაქტები ერთმანეთს მშვენივრად უთავსდებოდა. შეიძლებოდა კაცი ხელოვნების

7. თომას მანი, წერილები ოტო გრაუტოფისადმი 1894 — 1901..., ზ. ფიშერი, 1975, გვ. 93.  
8 იბ. ნ. კაკაბაძე, თომას მანი... გვ. 126.



სფეროში რევოლუციური, ხოლო პოლიტიკაში ულტრაკონსერვატიული, დიას. რეაქციულიც კი უოფილიყო, და არავინ — არც თვითონ ეს ხელოვანი — ამას უცნაურადაც არ მიიჩნევდა. ეს ასეა. მხოლოდ ის უნდა დავუმატოთ, რომ ორივე ძმამ, რასაკვირველია, ძალიან მალე მოინანია თანამშრომლობა ამ საზიზღარ ეურნალში და ამიერიდან თავს მოვალედ არ გრძნობდნენ. გაეგრძელებინათ ეს თანამშრომლობა. ამიტომ მოხდა, რომ ბიურგინმა ამის შესახებ არაფერი იცოდა და ამიტომ ბატონ შრიოტერს ეს „de facto trouvaille“-დ ჩაეთვალა, რადგან მან „საქმე გახსნა“<sup>9</sup>.

იმის აღნიშვნაცაა საჭირო, რომ ზოგიერთი მკვლევარი, განსაკუთრებით ისევე კლაუს შრიოტერი, თომას მანის ადრეულ შემოქმედებაში ადასტურებს ანტიხემიტიურ ტენდენციას. ასე მაგალითად, კლაუს შრიოტერი შენიშნავს, რომ თ. მანი ამ დროს ბრანდესს უწოდებდა „სავსებით უინტერესო ლიბერალურ ებრაელს“, ანდა 1896 წ. გამოქვეყნებულ ნოველაში — „ბედნიერების ნება“ მწერალი ხატავს ბარონის ქალის, ფონ შტაინის უხეშ სურათს — „უსახური ტანმომცრო ებრაელი ქალი, უგემოვნო რუხი ფერის კაბა რომ იცვა. უურებზე დიდრონი ბრილიანტები უბრწყინავდა“ — ხოლო „ბუდენბროკებში“ კონსულ მაგენშტრომს განსაკუთრებულ ნაკლად ეთვლება ის, რომ ებრაელ ქალს ირთავს და ა. შ. და ა. შ.<sup>10</sup> (საინტერესოა, რომ თვითონ თ. მანმა 1905 წ. ცოლად შეირთო ებრაელის ქალი, კატია პრინგსჰაიმი).

ერიკა მანის განმარტება, ასევე თომას მანის მიერ ძმის (და არაპირდაპირ საკუთარი თავის) გამართლებაც დამაჭერებელი არ ჩანს. მაგრამ, მეორე მხრივ, არც კლაუს შრიოტერის დებულება ჩანს მართებული და ბუნებრივი: თითქოს 20-21 წლის „ბურჟეს შეგირდი“, თ. მანი, გულწრფელად უპერდა მხარს ლინბარდს (კლაუს შრიოტერი, გვ. 30). პეტერ დე მენდელსზონიც დაახლოებით ერიკა მანის მსგავსად ვარაუდობს,

<sup>9</sup> იხ. იქვე, გვ. 127. ჰანს ბიურგინი თომას მანის ნაწარმოებთა ჯერჯერობით ყველაზე სრული და სოლიდური ბიბლიოგრაფიის ავტორია. შეიძლება ისიც აღვნიშნოთ, რომ ერიკა მანი აქაც ტენდენციურად არ იცავს სიზუსტეს: აქ თვითონ თ. მანი აღნიშნავდა ოტო გრაუტოვისადმი მიწერილ წერილში, რომ ეურნალი „მეოცე საუკუნე“ უკვე 1896 წ. „ნეტარად მიიყვალაო“. ასე, რომ თომას მანს ეურნალში თანამშრომლობისათვის კი არ დაუნებებია თავი, არამედ ეურნალმა შეწყვიტა არსებობა.

<sup>10</sup> იხ. კლაუს შრიოტერი, თომას მანი, როვალტის სურათებიანი მოხოგრაფიები, რო, რო, 1979, გვ. 41.

„ისინი (თ. მანის რვა კრიტიკულ-პუბლიცისტური თხზულება, ნ. კ.) ყველანი წარმოადგენენ ექსპერიმენტებს სფეროში, რომელშიც ჯერ მას თავი არ გამოუცდია, ლიტერატურულ-კრიტიკულ და პოლემიკურ სავარჯიშოებს, „პუბლიცისტუკას“, როგორც ის მოგუძნებებით უწოდებდა მათ მხატვრული ნაწარმოებისაგან, შეთხზული ქმნილებებისაგან და „მუზიციურებისაგან გამოსარჩევად“. ცხადია, მისთვის მთავარი იყო, ისევე როგორც ჰაინრიხისათვის, „დაბეჭდილიყო“, სულერთი იყო — ხად და როგორი ნაწარმოებით. ალაგ-ალაგ ისეთი გრძნობაც გეუფლებოდა, რომ ახალგაზრდა რეცენზენტი ეურნალს სერიოზულად არ უყურებდა და ფარულად დასცინოდა კიდევ, როცა ცოტათი გვერდს უქცევდა ეურნალის „გენერალურ ხაზს“. მაგრამ არა უოველთვის და არა ყველგან“ (გვ. 217). არც მენდელსზონის გამართლება ჩანს მთლად ბუნებრივი. მაგრამ სრული ობიექტურობისათვის საჭირო იქნება იმის აღნიშვნაც, რომ თვითონ თომას მანი ცოტა აგდებით ლაპარაკობდა და დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა თავის რეცენზიებს ჯერ კიდევ ამ ეურნალში თანამშრომლობის პერიოდშიც კი: „მე ვკითხულობ ერთთავად უბრალოდ წიგნების ანოტაციებს, საგამომცემლო რეკლამას და შემდეგ ვწერ, გუნებისდამიხედვით, დადებით ანდა დამცინავ შენიშვნებს“ (თ. მანი, წერილები ოტო გრაუტოვისადმი 1894-1901... 1975, ზ. ფიშერი, გვ. 75. 1896 წ. 23 მაისის ბარათი). აღსანიშნავია, რომ „Waschzettel“, რაც ნიშნავს წიგნისთვის დართულ ანოტაციას, მეტი აგდებულ-ირონიული ნიუანსის შემცველია, ვიდრე უბრალოდ „ანოტაცია“. თავდაპირველად Waschzettel ნიშნავდა სამრეცხაოში გაბარებულ სარეცხის სიას. შესაძლოა, არც ჩემი ახსნა იყოს უცილობელი, მაგრამ მაინც შევეცდები ჩემებურად ამოვიცნო თომას მანის ამ შემოქმედებითი „ზიგზაგის“ გამოცანა.

ამ დროს, ე. ი. გასული საუკუნის 90-იან წლებში თომას მანის შემოქმედებით-მსოფლმხედველობრივი პოზიცია ჯერ კიდევ მთლიანად გარკვეული არ არის. მწერალი თავისდაუნებურად მერყეობს სხვადასხვა მიმართულებებსა და ტენდენციებს შორის. ამავე დროს, მას სურს როგორმე ფეხი მოიკიდოს ეურნალგაზეთებში, ლიტერატურულ ასპარეზზე — ეს არის საკუთარი თავის, საკუთარი გზის, პროფესიისა და მოწოდების ძიების მტკიცეული პროცესი.

როგორც ჩანს, თომას მანის მსოფლმხედველობაში ხანგრძლივად წარმოებდა ბრძოლა, ერთი მხრივ, პანგერმანისტულ, ნაციონალისტურ და, მეორე მხრივ, დემოკრატიულ, ჰუმანისტურ საწყისებს შორის. შრიოტერის მიერ მიკვლეული რვა რეცენზიისა და წერილის გათვალისწინებით



ნების შემდეგ გაცილებით გასაგები და შედარებით ადვილი ახახსნელი ხდება I მსოფლიო ომის დასაწყისში მწერლის კონსერვატიული, ნაციონალისტური, პანგერმანისტული პოზიცია, რაც გამომჟღავნდა პუბლიცისტური წერილების მთელს სერიაში. განსაკუთრებით დიდი მოცულობის კრიტიკულ-ესეისტურ-პოლემიკურ თხზულებაში — „პოლიტიკოსის შეხედულებანი“.

ეს იყო თავისებური რეციდივი 1895-1896 წლების კულტურულ-პოლიტიკური სულიკვეთებისა, რომელიც, როგორც ჩანს, მთლად გამქრალი არ იყო, არამედ მწერალში „თვლებდა“ და საბოლოოდ აღმოიფხვრა 1922 წელს, როცა თომას მანი უკანმიუხედავად შემოტრიალდა დემოკრატიზმისა და რესპუბლიკანიზმისაკენ. — იგულისხმება მისი სიტყვა „გერმანიის რესპუბლიკის შესახებ“, რაც წარმოადგენს მწერლის შემოქმედებასა და მსოფლმხედველობაში „შემობრუნების წერტილს“.

განვიხილოთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ეს რვა მეთნაკლებად მცირე ზომის რეცენზია და წერილი, რომლებიც თომას მანმა 1895-1896 წლებში დაბეჭდა ჟურნალში — „XX საუკუნე“<sup>11</sup> და რომლებიც აქამდე საგანგებოდ არავის განუხილავს. პირველი შენიშვნა, რომელიც ამ ჟურნალში მოათავსა მწერალმა, გახლავთ „სიუვარულის ზეციური კრება“. შენიშვნა ეხება გერმანელი მწერლის ოსკარ პანიცას ამავე სახელწოდების პიესას — რომელიც 1895 წ. დაიბეჭდა და ფართო მასშტაბის ალიაკოთი გამოიწვია არა მხოლოდ თეატრალურსა და ლიტერატურულ წრეებში (პირველად დაიდგა მხოლოდ 1908 წ. მწერლის გარდაცვალებიდან 48 წლის შემდეგ და ისიც პარიზში). ეს არის მძაფრი ანტიკლერიკალური და ნაწილობრივ ანტიქრისტიანული სატირა, რისთვისაც ავტორს ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

პიესის მოკლე შინაარსი ასეთია: მამა ღმერთი, დაჩაჩანაკებული და ბუზღუნა, რომელიც გამუდმებით ჩივის თავის ავადმყოფობაზე, იწვევს ზეცაში საექლესიო კრებას. თავდაპირველად მას გადაწყვეტილი აქვს ერთიანად განადგუროს ადამიანთა მოდგმა მათი გარყვნილებისა და გაბრწინილების გამო, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრებს, რადგან ქვეშევრდომები აღარ ეყოლება. კრებაზე იწვევს ქრისტეს, მარიამსა და ეშმაკს. ისინი ერთად გადმოჰყურებენ ზეციდან რომის პაპის კარზე 1495 წ. აღდგომა დღეს გამართულ აღვირაბსნილ ორგიებს. დაჩაჩანაკებული მამა ღმერთი, დასუსტებული და

ხველებისაგან დაოსებული ქრისტე და ცშიერი, საკმაოდ ბანალური მარიამი სთხრვენ სატანას, მოიგონოს ისეთი რაღაც რაც ადამიანებს სექსუალური აღვირაბსნილობის მადას დაუყარავს. ეშმაკი მე-15-ე საუკუნეს მწერტულში ღმერთის სასჯელის სახით კაცობრიობას თავს დაატებს სიფილისს. (სხვათა შორის, სიფილისს ახევე ღვთის სასჯელად აღიქვამდა თვითონ ამ სნეულებით დაავადებული ულრიხ ფონ ბუტენიცი, რომელსაც უძღვნის პანიცა თავის ნაწარმოებს). საინტერესოა, რომ ეშმაკი ახალი აღთქმის სალომესთან ერთად აჩენს ქალიშვილს, რომელიც გასაოცრად ლამაზია, მაგრამ ამავე დროს მუნჯია და მასთან შეხება იწვევს სიფილისს. თავდაპირველად იგი ახნეულებს რომის პაპს, შემდეგ სასულიერო პირებს, ბოლოს „დანარჩენ ვიგინდარებსაც“. რელიგიისა და ზნეობის საფარქვეშ კაიზერულ-ვილჰელმური რეჟიმი მკაცრად უსწორდებოდა არსებული სინამდვილის ყოველგვარ კრიტიკას: პატიმრობის შემდეგ პანიცა ფიზიკურად და სულიერად გატეხილი იყო. მან დატოვა გერმანია, გადავიდა შვეიცარია და ბოლომდე შეინარჩუნა გერმანიისადმი ლამის ავადმყოფური სიძულვილი, გახდა პარანოიკი და სიცოცხლის ბოლო წლები სულით დაავადებულითა კლინიკაში გაატარა<sup>12</sup>.

სამწუხაროდ, თომას მანი თავის ერთგვერდიან შენიშვნაში ამართლებს პანიცას გასამართლებას და მის პიესაში ნაჩვენებ „ღვთის გმობას“ მკრებელობად, უგემოვნობად მიიჩნევს. მაინც, როგორც ზედავთ, თომას მანის კრიტიკა უფრო ესთეტიურ-ლიტერატურული ხასიათისაა, ვიდრე პოლიტიკური. თომას მანი დაასკვნის: „განა არ შეიძლება მხატვრული თვალსაზრისითაც დაეთანხმო განაჩენს?“.

შენიშვნას ავტორი მხოლოდ ინიციალებს აწერს: „თ. მ.“.

მეორე შენიშვნა-რეცენზია — „ბაღში“ — დაიბეჭდა „XX საუკუნის“ 1895 წლის ოქტომბრის ნომერში (ბერლინი, გამოცემის VI წელი, № 1, გვ. 108). გადაიბეჭდა 1974 წლის ფიშერისეული გამოცემის XIII ტომში (გვ. 368). ეს შენიშვნაც ინიციალებითაა ხელმოწერილი — „თ. მ.“ ეს არის კარლ შაბერმანის ლექსების კრებულის განხილვა. წიგნის სრული სათაურია

<sup>12</sup> თ. მანის ეს მცირე შენიშვნა დაიბეჭდა „XX საუკუნის“ XI ნომერში (აგვისტო), 1895 წ., გვ. 522. გადაიბეჭდა იგი თ. მანის თხზულებათა ფიშერისეული სრული კრებულის XIII ტომში (1974), გვ. 367; გადაიბეჭდა იგი აგრეთვე პარი მატერმაც (თ. მანი, ნარკვევები, სიტყვები, ესეები, ტ. I. 1893-1913, აუფბაუს გამომცემლობა, 1983, გვ. 11).

<sup>11</sup> ჟურნალის სრული სახელწოდებაა: „ნეოცე საუკუნე, გერმანული ზნისა და სვესუანობის ჟურნალი“.







..... რადგან გერმანელები, ვითარცა ევროპის ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე ჩანსადი კულტურული ხალხი, მოწოდებულია იყოს და დარჩეს სამშობლოს სიყვარულის, რელიგიისა და ოჯახის ერთგულების მატარებელი“ ანდა: „რესპუბლიკური სათნოების მატარებელი, გადაგვარებული მოდგმა...“

„გერმანიის დიდებული ისტორია“... და ვითხოვლობთ ამაუ ტაეპებს, რომლებიც ამოტვიფრულია „გერმანიის“ კვარცხლბეკზე:

საუვარდლო მამულს, შეგიძლია მშვიდად იყო: მტკიცედ და ერთგულად დგანან რაინისპირა გუშაგები.

VI რეცენზია — „დაგმარი, ლესეპსი და სხვა ლექსები“ — მიმოიხილავს ლირიკოს შორის რაინძოდ ფონ შტერნის ლექსების კრებულს. ლექსების კრებული დაიბეჭდა 1896 წ. ე. პირსონის გამომცემლობაში, ხოლო თომას მანის რეცენზია გამოქვეყნდა „XX საუკუნის“ 1896 წ. ივლისში, № 10. რეცენზენტი აქაც მხოლოდ ინიციალებითაა წარმოდგენილი: „თ. მ.“ რეცენზია გადაბეჭდა ზ. ფიშერმა XIII ტომში, 1974 წელს. ეს რეცენზია შედარებით ნეიტრალურია, მაგრამ ხოტბას ასხამს საოცრად ბანალურსა და პრიმიტიულ ლექსებს.

ერთგან თომას მანს შაინც „ეპარება“ ანტიდემოკრატიული ნოტა: „სამნაწილიანი პოემა „ლესეპსი“ კარგად გვიჩვენებს პოეტის განვითარების გზას, პოეტისა, რომელიც ერთ დროს აღამიანთა გათანაბრებაზე, როგორც იდეალზე, ოცნებობდა, და შემდეგ ახწავლა ძლიერი პიროვნებებით აღტაცება“ (ზ. ფიშერი, გვ. 379).

VII წერილს პირობითად „კრიტიკასა და შემოქმედებას“ უწოდებენ, რადგან იგი უსათაუროდ დაიბეჭდა ავტორის სრული სახელისა და გვარის მოწერით ეურნალ „მეოცე საუკუნის“ (ბერლინი, 1894, ოქტომბერი) რუბრიკაში — „ჩვენი დღეების სულიერი და კულტურული ცხოვრებიდან“. და შეეხება ბერლინელი მწერლის ჰანს ბრენერტის წერილს — „კრიტიკა და შემოქმედება“. რომელიც გამოქვეყნდა ეურნალ „კრიტიკაში“ (ბერლინი, 1896, 18 აპრილი). ბრენერტის წერილი თავის მხრივ ეხებოდა დუელს, რომელშიც კომედიოგრაფმა და ბერლინის სამეფო თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგემ, რიჰარდ სკოვრონეცმა გაიწვია თავისი კრიტიკოსი ალფრედ კერიჰ, რაზედაც კერმა უარი განაცხადა.

ამ წერილში თომას მანი თავს ეხსმის კერს ამის შემდეგ ალფრედ კერი იქცა თომას მანის დაუძინებელ ლიტერატურულ მტრად და სიცოცხლის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვია მისი გაკენწლვისა და დაგესვლის შემთხვევა. ალფრედ კერი იყო თომას მანის არც თუ იხე მცირერი-

ცხოვან მოწინააღმდეგეთა შორის ყველაზე დაუნდობელი და შეუპოვარი მოძულე. ზოგიერთ ავად მახსენებელს თომას მანი შეუბრძობდა და სულგრძელად უთმენდა, ზოგნი ნაკუთითაც კი უხდიდა, მაგალითად, ალფრედ დიოდონს, რობერტ მუზილს, ზოგიერთ მწერლს, ალბათ, არც მიულწევია უხელოდ, მაგალითად, ნაბოკოვისა და პასტერნაკისას, იგი შედარებით შემწყნარებლურად რეაგირებდა ბრუტის გესლიანობაზე, არ ამჩნევდა ზოგჯერ როთის ჩანისკარტებას, ვალტერ მუშგის თუ ჰანს ეგონ პოლტჰუზენის კრიტიკას და ა. შ. და ა. შ. საშაგიეროდ მოთმინებიდან გამოჰყავდა ალფრედ კერის ყოველ გამოხდომას.

თომას მანის წინამდებარე წერილის ძირითადი პათოსი შემდეგია: კერს ჰქონდა უფლება დუელში არ გაჰყოლოდა გაკრიტიკებულ ავტორს. ეს პრინციპის საქმეა. მაგრამ მას არ ჰქონდა უფლება პირადი შეურაცხყოფა მიეყენებინა ავტორისათვის. საერთოდ, კრიტიკოსმა უნდა აკრიტიკოს ნაწარმოები და არ შეეხოს ავტორის პიროვნებას, — ეს არის თომას მანის წერილის ძირითადი თეზა.

კლავს შრიოტერმა უკვე აღნიშნა, რომ თომას მანი ამ წერილში პირველად ახდენს ნიცშეს ციტირებას, ახსენებს ნიცშეს ცნებას — „ძალაუფლების ნებას“.

თომას მანის VIII, ბოლო წერილი ეურნალ „მეოცე საუკუნეში“ არის: „კარლ ფონ ვებერი: „ღირსების საქმე იძულებადაც შეიცავს“. რეცენზიაში განხილულია კარლ ფონ ვებერის რომანი, რომელიც 1894 წ. დაიბეჭდა. რეცენზიას მხოლოდ ინიციალები აქვს მოწერილი, იგი გადაბეჭდილია ფიშერისეული გამოცემის XIII ტომში. თომას მანი ხოტბას ასხამს რომანს, რომელშიც განდიდებულია ერთი „ღირსეული“ არისტოკრატი, თავი რომ გამოუჩინია პრუსა-საფრანგეთის 1870 წლის ომში.

მართალია, თვითონვე თომას მანი აღნიშნავს, კარლ ფონ ვებერი დიდი მწერალი არ არის და არც მისი რომანია დიდი მხატვრული ქმნილებაო, მაგრამ აქ ეს მთავარი არ არის, მთავარია თემა, რომელსაც მწერალი ამუშავებს და შინაარსი, სულისკვეთება, ძირითადი იდეა, რომელსაც ვხვდებით რომანში და რომელიც ალფრედთანებას, მოწინებებს აღძრავსო.

13 იხ. თომას მანი, ნარკვევები, სიტყვები, ესეები. ტ. I, 1893-1913, გამომცემული რედაქტირებული და შენიშვნებით ალტერვილი პარი მატერის მიერ, აღუბაჟს გამომცემლობა, 1983, გვ. 375. ეს წერილი პირველად გადაიბეჭდა ისევ და ისევ ფიშერისეული გამოცემის XIII ტომში, გვ. 519-522.



ამით დასრულდა თომას მანის ადრეული შემოქმედების ის „სამარცხენო“ მონაკვეთი, რომელიც ოდიოზურ ეურნალთან — „მეოცე საუკუნესთან“ იყო დაკავშირებული და რომლის ზიჩქმალვა-დაფარვას გულმოდგინედ ცდილობდა თვითონ მწერალი. „საქმე“ თომას მანის გარდაცვალებიდან 9 წლის შემდეგ „გაიხსნა“.

მეორე მხრივ, აქვე გაკვირით შეიძლება ისიც აღვნიშნოთ, რომ თომას მანმა დატოვა დალუქული დღიურები, და რომელთა გახსნის უფლება მან შთამომავლობას თავისი გარდაცვალების მხოლოდ ოც წლის თავზე, ანუ ი. 1975 წლის 12 აგვისტოსათვის უნდა ედგინა, რომელთა ხუთი ტომიც უკვე გამოიცა.



## მერაბ კალანდიაძე

### ფრიდრიხ შილერის ისტორიული შეხედულებები

**ბ**ამოჩენილი გერმანელი დრამატურგი ფრიდრიხ შილერი (1759-1805) თავისი დროის თვალსაჩინო ისტორიკოსი იყო. იგი 1789-1791 წლებში გახლდათ იენის უნივერსიტეტის მსოფლიოს ისტორიის პროფესორი. წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით წარმოვაჩინოთ ფრიდრიხ შილერის ისტორიული შეხედულებების ზოგიერთი საინტერესო საკითხი.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ახალფეხადგმული ბურჟუაზიისადმი შილერის დამოკიდებულების შესახებ. ახლა შევეცდებით გავარკვიოთ შილერის დამოკიდებულება ფეოდალურ-აბსოლუტიზტური სისტემისადმი. ჩვენი აზრით, ზოგიერთი მოსაზრების შემდგომი სრულყოფა და დაზვეწა გამორიცხული არ უნდა იყოს. ამ საკითხით შილერის დაინტერესება სავსებით ბუნებრივი ჩანს. ეინაიდან XVIII საუკუნის ისტორიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ბრძოლას ახალფეხადგმულ ბურჟუაზიასა და ფეოდალურ აბსოლუტიზმს შორის.

სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც უცხოურში ისე საბჭოთა, სავსებით სამართლიანად არის მითითებული ფეოდალურ-აბსოლუტიზტური სისტემისადმი ფრიდრიხ შილერის კრიტიკული დამოკიდებულება. ეს გასაგებიცაა, რადგან ფეოდალურ-აბსოლუტიზტური სისტემა წარმოადგენდა ყველაზე სერიოზულ დაბრკოლებას ბურჟუაზიისათვის პოლიტიკური ძალაუფლებებისათვის ბრძოლაში. სწორედ ეს გახლავთ შილერის ამოსავალი წერტილი „ნიდერლანდების ისტორიაში“ ესპანეთის აბსოლუტიზმის და ფილიპე II-ის შეფასების დროს. მან დამაჭრებლად უჩვენა ესპანეთის მმართველი წრეების კონსერვატიული პოლიტიკა და მასში სავსებით სამართლიანად დაინახა მთა-

ვარი დაბრკოლება პროგრესის საქმეში. მეტიც, ის ესპანეთის აბსოლუტიზმში ხედავდა არა მარტო სერიოზულ კვების ნიდერლანდების ბურჟუაზიული განვითარების გზაზე, არამედ მათი ეროვნული დამოუკიდებლობის დაუძინებელ მტერს. სავსებით ბუნებრივია, რომ კიდევ უფრო მეტად კრიტიკულად არის განწყობილი ფრიდრიხ შილერი ფეოდალურ-აბსოლუტიზტური სისტემის მიმართ გერმანიაში. შილერის მხატვრული შედეგები წარმოადგენენ გერმანიაში ფეოდალურ-აბსოლუტიზტური სისტემის, მთავართა აბსოლუტიზმის მამბილებელ დოკუმენტს. შილერი სხვა დიდი გერმანელი მოაზროვნეების კვალდაკვალ თავისი სამშობლოს უდიდეს ტრაგედიას ფეოდალურ დაქუცმაცებაში ხედავდა და სასტიკად ამოთრახებდა გერმანელ მთავართა ვიწრო ეგონისტურ, სეპარატისტულ მისწრაფებებს ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა გაშუქებული, ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ფრიდრიხ შილერი იყო აბსოლუტიზმის დაცემის ეპოქის თანამედროვე და ყველაფერი ის, რაც მან ამ საკითხზე თქვა, ცხადია, ადვილი გასაგებია. შილერის მხატვრული ნაწარმოებები და ისტორიული თხზულებები წარმოადგენს საინტერესო საბუთს ფეოდალურ-აბსოლუტიზტური სისტემის დაკნინების, მაგრამ ეს არის მედლის ერთი მხარე. როგორც ცნობილია, ფეოდალურ-აბსოლუტიზტურმა სისტემამ ისტორიის გარკვეულ მონაკვეთზე პროგრესული როლი ითამაშა. საინტერესოა როგორი იყო ამ საკითხზე შილერის აზრი? პრობლემის ეს მხარე ზაშეც-

1 მ. კალანდიაძე, ფრიდრიხ შილერის მსოფლმხედველობის ერთი საკითხის თაობაზე — მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1979 № 3.



ნიერო ლიტერატურაში შედარებით სუსტადაა გაშუქებული. რაც იმაში გამოიხატება, რომ პირველი საკითხი მეორესთან ნაკლებად არის დაკავშირებული.

ფრიდრიხ შილერის ისტორიულ თხზულებებში „ოცდაათწლიანი ომი“ და „ფრანგული არეულობის ისტორია ანრი IV-ის გამეფების წინ“ გვხვდება საფრანგეთის მეფეების შარლ VIII (1483-1498), ლუი XII (1498-1515), ფრანსუა I (1515-1547), და ანრი IV (1589-1610), და კარდინალ რიშელიეს (1624-1642). მაღალი შეფასება. (ვფიქრობთ, ზედმეტად მკაცრი იყო შილერი ლუი XI-ის შეფასების დროს. სამეფო ხელისუფლების განმტკიცება და გაძლიერება სწორედ ამ მეფიდან იწყება). იმავე „ოცდაათწლიან ომში“ შილერი ქება-დიდებათ იხსენიებს შვედეთის მეფეს გუსტავ-ადოლფს, ხოლო ლექსში „უძლიველი ფლოტი“ (1787), მაღალ შეფასებას აძლევს ინგლისის დედოფალს ელისაბედს. ეს ტენდენცია შემთხვევითი არ უნდა იყოს. მისი სიმპათიები დასახელებული მეფეებისადმი, იმის შაჩვენებელია, რომ შილერს, როგორც ჩანს, არც აბსოლუტიზმის პროგრესიული როლი გამოპარვია მხედველობიდან, განსაკუთრებით მის საწყის ეტაპზე, როდესაც სამეფო ხელისუფლება ებრძვის ფეოდალურ სეპარატიზმს. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, რომ ფეოდალური პარტიკულარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში შილერის სიმპათიები აბსოლუტიზმის, ძლიერი სამეფო ხელისუფლების მხარეზეა. ეს გასაგებიცაა, რადგან აბსოლუტიზმი წარმოადგენდა წინ გადადგმულ ნაბიჯს ფეოდალურ დაქუცმაცებულობასთან ბრძოლაში. ქვეყნის ერთიანობის იდეა წარმოადგენს დასაწყის პერიოდში შილერის მიერ აბსოლუტიზმის მონარქიის ჩამოყალიბების მაღალი შეფასების ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზს. მაგრამ შემდგომ აბსოლუტიზმმა ევოლუცია განიცადა და პროგრესულიდან რეაქციულ ძალად იქცა. ამან გამოიწვია შილერის შეცვლილი დამოკიდებულება აბსოლუტიზმისადმი, ეს ბუნებრივიცაა, რადგან აბსოლუტიზმი ისტორიის პროგრესული განვითარების გზაზე მთავარ დაბრკოლებად გადაიქცა. ერთი სიტყვით, არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ შილერი კარგად ხედავდა როგორც აბსოლუტიზმის პროგრესულ როლს, ისე რეაქციულ ბუნებას.

საინტერესოა შილერის მოსაზრებები ევროპის პოლიტიკური მმართველობის სისტემის შესახებ. ამ საკითხზე ჩერდება ის თავის შესავალ ლექციაში მსოფლიოს ისტორიაზე. შილერი სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ XVIII საუკუნეში ფეოდალურ-აბსოლუტიზმის

რი სახელმწიფოების გვერდით წარმოიშვა პირველი ბურჟუაზიული სახელმწიფოები — ინგლისი და ნიდერლანდები. იგი სიმპათიებით ეკიდება ამ სახელმწიფოების პოლიტიკურ წყობას. ფართო პროპაგანდას უწევს ინგლისურ თავისუფლებას „ის (ე. ი. ალამიანი — მ. კ.) თავისუფალია ტემზაზე (ე. ი. ინგლისში — მ. კ.) და ამ თავისუფლებას თავის თავს უნდა უშაღლოდეს“, — წერს შილერი, ხოლო „ამსტერდამში აღამიანი სარგებლობს კეთილდღეობით და დოვლათიანობით“. შილერი სიმპათიებით ეკიდება ინგლისის და საერთოდ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ წყობას. ეს გასაგებიცაა. იგი ხომ ბურჟუაზიის მოწინავე იდეოლოგია. ნიდერლანდებს და ინგლისს მიიჩნევს მმართველობის უველაზე დემოკრატიული სისტემის სახელმწიფოდ. ანალოგიურ პოზიციაზე იდგნენ ამ საკითხში ფრანგი განმანათლებლები მონტესკიე და ვოლტერი. აღნიშნული ტენდენცია წითელწოდ გასდევს XIX-XX საუკუნეების ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას (მაკოლეი, ბოკლი, გრინი, ტრეველიანი, ბუტში, გიზო, ტიერი, გნეისტი, კოვალევსკი, ვინოგრადოვი, ჩიჩერინი).

შილერის მიერ დაკავებული პოზიცია, ცხადია, ადვილი გასაგებია. მთავართა აბსოლუტიზმის შედეგად დაქუცმაცებული გერმანიის თვითმხილველ შილერს, რა გასაკვირია, რომ ინგლისის ბურჟუაზიული წყობა სამოთხედ მოსჩვენებოდა. ეს ბუნებრივიცაა, ფეოდალურ-აბსოლუტიზტურ გერმანიასთან შედარებით ინგლისის პოლიტიკური წყობა წინგადადგმული ნაბიჯი იყო „თავისუფლების დიდი ქარტია“ (1215 წ.) და სხვა აქტები, რომელთა შორისაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს „მაბეას კორპუს აქტს“ (1679) ბურჟუაზიულ მოაზროვნეებს ინგლისური თავისუფლების უველაზე შესანიშნავ საბუთად მიიჩნიათ. ამ აქტის თანახმად, ყოველ მოქალაქეს, რომელსაც ქუჩაში ან სადმე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას დანაშაულზე წაასწრებენ, უფლება აქვს მოითხოვოს ერთი დღე-ღამის განმავლობაში წარუდგინონ ან ბრალდება ან ბრძანება განთავისუფლებაზე. ეს დიდებული სიტყვები ხიბლავდა და დღესაც ხიბლავს ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს, მაგრამ ამ კანონის ცხოვრებისეული ინტერპრეტაცია მოწმობდა, რომ ეს საუცხოო კანონი უშაღლოდ და როცა მესაკუთრის სიმდიდრეს რამე საფრთხე ემუქრება და ვითომ ქვეყნის გადარჩენის საბაბით მუპატრონე საკუთარი ქონების გადარჩენას ცდილობს. ბურჟუაზიის იდეოლოგები ვერ ამჩნევენ ინგლისური დემოკრატიის

<sup>2</sup> O. Fambach, schiller und seine kreis in der kritik ihrer zeit, Berlin, 1959, გვ. 562.



ბოლოკვეცილ ხასიათს, რაც მათი მეთოდოლო-  
გიური და კლასობრივი შეზღუდულობით აიხ-  
სნება. ჭერ კიდევ უ. პ. მარატი თავის თხზუ-  
ლებაში „მონობის ბორკილები“ დამატებლად  
უჩვენებს ინგლისის პოლიტიკური წყობის, ინ-  
გლისური დემოკრატიის ნაკლოვან მხარეებს.  
XIX საუკუნის გამოჩენილი ინგლისელი პო-  
ეტები — ბაირონი და შელი — მკაფიოდ  
მიუთითებდნენ იმ მწვავე სოციალურ კონფლი-  
ქტზე, რომელსაც აღვილი პქონდა „ძველ კე-  
თილშობილ დემოკრატიულ ინგლისში“. შილერ-  
ის მიერ ინგლისის პოლიტიკური წყობისადმი  
სიმპათიების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მის  
მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. შილერს  
როგორც ლიბერალ ისტორიკოსს მოსწონს  
ინგლისის სახელმწიფო პოლიტიკური წყობა,  
რომელიც ძალიან ახლოსაა მის პოლიტიკურ  
იდეალებთან (კონსტიტუციურ-მონარქიასთან.)  
ამიტომ იგი ვერ ამჩნევს ინგლისური დემოკ-  
რატიის ნაკლოვან მხარეებს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ შილერის სი-  
მპათიები ბურჟუაზიის მხარეზეა. აქ გახაკვირი  
არაფერია, იგი ხომ ბურჟუაზიის მოწინავე წა-  
რმომადგენელი იყო. აი რას წერდა შილერი:  
„ჩვენი საშუალო წოდება არის მთელი ჩვენი  
კულტურის შემქმნელი“. შილერი არ იყო ერ-  
თადერთი რომელიც ასე ფიქრობდა (ამისათვის  
საკმარისია ვავიხსენოთ აბატი სიესის ცნობილი  
პამფლეტი „რა არის მესამე წოდება“). საგუ-  
ლისხმოა ის გარემოება, რომ შილერი ამ სი-  
ტყვებს სწორედ საფრანგეთის დიდი რევოლუ-  
ციის წინ, მსოფლიოს ისტორიაში შესავალი ლე-  
ქციის (1789 წლის 28 მაისი) დროს ამბობდა.  
მესამე წოდების განდიდება იჩინა თავი XIX  
საუკუნის დასაწყისის ბურჟუაზიულ ისტორიოგ-  
რაფიაში (ფ. გიზო, ო. ტიერი).

შილერი იტალიის, გერმანიის და პოლონეთის  
დაკნინების მთავარ მიზეზს ფეოდალურ დაქუ-  
ცმაცებულობაში ეძებს. ეს ამ ქვეყნის დაცემის  
ერთ-ერთი მიზეზი იყო, თუმცა არა გადამწყ-  
ვეტი. შილერი ღუშს ამ სახელმწიფოების და-  
სუსტების ეკონომიური მიზეზების შესახებ,  
რამაც განსაზღვრა მათი პოლიტიკური დაქუც-  
მაცებულობა. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენე-  
ბის შედეგად (XV საუკუნის მიწურულს) მთა-  
ვარმა სავაქრო გზებმა ხმელთაშუაზღვიდან  
ატლანტის ოკეანისკენ გადაინაცვლეს. ამის შე-  
დეგა იყო ინგლისის, საფრანგეთის, ესპანეთის,  
პორტუგალიის პოლიტიკური და ეკონომიური  
აღმავლობა. ხმელთაშუა ზღვაში კი ვაჭრობა  
უწინდებურად დიდ როლს აღარ თამაშობდა.  
რასაც მოჰყვა იტალიის და გერმანიის ეკონო-  
მიური და პოლიტიკური დაკნინება. შილერს  
ფეოდალურად დაქუცმაცებულ სახელმწიფოს-

თან შედარებით უპირატესობას ანიჭებდა ფე-  
ოდალურ-აბსოლუტიზტურ სახელმწიფოს. „რა-  
ტომ არის, რომ იტალიაში და გერმანიაში შე-  
მორჩა ამდენი სამეფო გვირგვინები, ხოლო  
საფრანგეთში ყველა ისინი ერთუფს-გარდა, გა-  
ქრა. მსოფლიოს ისტორიის უმეტეს ნაწილში ამ  
კითხვაზე“. აქ კიდევ ერთხელ გამომჟღავნდება  
შილერის გულისტკივილი გერმანიის პოლიტი-  
კური ბედის გამო. ამიტომ შილერი ქვეყნის  
ერთიანობის იდეიდან გამომდინარე ფეოდა-  
ლურ-აბსოლუტურ სისტემას ფეოდალურ-  
პარტიკულიზმზე მაღლა აყენებდა.

XVIII საუკუნის დასავლეთ ევროპის ისტო-  
რიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია  
პრუსიის სახელმწიფოს დაწინაურება. პრუსიამ  
გამოიყენა იმპერიის სიძნელები და კიურფურ-  
სტმა ფრიდრიხმა 1701 წელს პრუსიის მეფის  
ტიტული მიიღო. როგორი იყო შილერის და-  
მოკიდებულება პრუსიის სახელმწიფოსადმი?  
ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია შილერს წარ-  
მოგვიდგენს პრუსიული შოვინიზმისა და მი-  
ლიტარიზმის მქადაგებლად. შილერის შეხედუ-  
ლებების მსგავსი ინტერპრეტაციის წინააღმდეგ  
ჭერ კიდევ ფრანც მერინგმა გაილაშქრა.  
მსგავს შეხედულებას იზიარებს თანამედროვე  
პროგრესიული გერმანული ისტორიოგრაფიაც.  
ამ დებულების სამართლიანობას ნათლად გვაჩ-  
ვენებს შილერის მთელი შემოქმედება. შილერი  
ლექსში „გერმანელი მუზეები“ სიამაყის  
გრძნობით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ  
გერმანელმა ხალხმა პრუსიის მეფის და გერ-  
მანელი მთავრების დახმარების გარეშე შექმნა  
თავისი ეროვნული კულტურა. ჭერ ერთი  
შილერი სწორად აფასებს გერმანული კულტუ-  
რის აღმავლობის მიზეზებს და მეორეც ერთი,  
მას ეს აღმავლობა სრულიადაც არ მიაჩნია  
პრუსიის მეფისა და გერმანელი მთავრების  
დამსახურებად და შორსაა XVIII საუკუნის  
მიწურულს გერმანიის კულტურული აღმავლო-  
ბის საქმეში პრუსიის სახელმწიფოს როლის  
იდეალიზაციისაგან. სხვათა შორის, შილერის  
ხევრი თანამედროვე და მოგვიანებითი პერიო-  
დის ბურჟუაზიული ისტორიკოსი (პ. ტრაიჩე)  
გერმანიის კულტურულ აღმავლობას პრუსიას  
უკავშირებენ და მის იდეალიზაციას ეწვეიან.  
ისტორიული ჭეშმარიტებისაგან შორს არ ვიქ-  
ნებით, თუ ვიტყვით, რომ კულტურის მეცე-  
ნატის როლი პრუსიის სამხედრო-ბიუროკრატი-  
ული სახელმწიფოსათვის ცოტა არ იყოს უჩ-  
ვეულო უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ მრავლის-  
მეტყველია პრუსიის მეფის ფრიდრიხ I დამო-  
კიდებულება XVIII საუკუნის ცნობილი მეც-

<sup>3</sup> H. Meyer, Schiller und die Nation, Berlin, 1953, 83, 62.



ნიერის ლაიბნიციხადაში. მისი აზრით, ლაიბნიცი იყო „უოვლად უქნარა ადამიანი, რომელიც გუშაგადაც კი არ გამოდგებოდა“. მეორე ცნობილ ფილოსოფოსს ქრისტეან ვოლფს ფრიდრიხმა უბრძანა 24 საათში დაეტოვებინა პრუსია, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩამოხრჩობით დაემუქრა. საერთოდ, ფრიდრიხ I ვერ იტანდა „პროფესორების მელნიან სულს“. მოხდენილად შენიშნავს ერთი საბჭოთა ისტორიკოსი, „თავლი-სა და საძაღლის სუნის თაყვანისმცემელი იყო“.

შილერის შემოქმედების მძლავრი ანტისაო-მარი მიმართულება იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ დიდი გერმანელი მოაზროვნე ფრიდრიხ შილერი პრუსიის სამხედრო მილიტარისტული სახელმწიფოს მიმართ სიმპათიებით არ უნდა უოფილიყო განწყობილი.

მერაბოს ცნობილი კალამბურის თანახმად „პრუსია არ წარმოადგენს სახელმწიფოს, რომელიც არმიას ფლობს, იგი უფრო სწორედ არმიას წარმოადგენს, რომელმაც დაიპყრო ერი“. საგულისხმოა, რომ მსგავსი პრინციპები-სადაში სიძულვილი შილერს ჯერ კიდევ ბავშ-ვობის დროს, კარლ-ევგენის სკოლაში გამოუ-მუშავდა. ცნობილია, თუ როგორ ვერ მტუე-ბოდა ახალგაზრდა შილერი ვიურტენბერგის ჰერცოგის კარლ-ევგენის აკადემიაში გაშეფე-ხულ სამხედრო წესებს, რომლის ძირითადი პრინციპი იყო გაჭოხვის პოლიტიკა, ხოლო მიზანი — ჯარისკაცთა უსიტყვო მორჩილება. თავისუფლებისმოყვარე შილერს, ცხადია არ შეეძლო შეგუებოდა პრუსიის სახელმწიფოში გაბატონებულ სამხედრო მილიტარისტულ დესპოტურ პრინციპებს. შილერისათვის მისა-ღები არ უნდა უოფილიყო პრუსიის სახელმწი-ფოს როლის იდეალიზაცია, რომელიც წითელ ზო-ლად გასდევს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიას.

უოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ალბათ, არც ის იქნებოდა ურიგო, თუ გავეცნობო-დით შილერის თვალსაზრისს პრუსიის მეფე ფრიდრიხ II (1740-1780), რომლის დროსაც პრუსიის სახელმწიფომ მიაღწია თავისი ძლიე-რების ზენიტს. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითზე შილერის შეხედულება განს-ხვავდებოდა თანამედროვეების და მოგვიანე-ბითი პერიოდის ბურჟუაზიული ისტორიკოსების შეხედულებებისაგან. მათი უმრავლესობა ხოტ-ბას ახზამს ფრიდრიხ II და მისი მმართველობის იდეალიზაციას ცდილობს. ფრიდრიხ II შეფა-სებისას შეცდომაში იყო შესული გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე გიორგი წერეთელი<sup>4</sup>.

გოტფრიდ კიორნერი 1788 წლის 14 ოქტომ-ბრის წერილში შილერს ურჩევდა აეწერა ფრიდრიხ II-ის რომელიმე გმირული საქციე-ლი. ეტყობა, ამ უკანასკნელს კიორნერის ეს აზრი მოეწონა და ამ მოსაზრების გარშემო

დიდხანს ფიქრობდა. ეს კარგად ჩანს იმავე კიორნერისადმი საპასუხო წერილში 1789 წლის 10 მარტს. „ვფიქრობ იმის შესახებ, თუ რომელი ეპოქა ავიღო ფრიდრიხის ცხოვრები-დან. მე სიამოვნებით მოვკიდებდი ხელს რომელიმე სახელისწერო ~~ქრტიტატუს~~ რომელიც საშუალებას მომცემდა ~~შეცდარიტხერქ~~ კოეტუ-რად გადმომეცა მისი (ე. ი. ფრიდრიხ II-ის მ. კ.) სული. მაგალითად ბრძოლა კოლინესთან, რომელსაც წინ უსწრებდა პრალასთან გამარჯ-ვება, ანდა სამწუხარო მიმდინარეობა ფაქტე-ბისა ელისაბედ პეტრეს ასულის გარდაცვალე-ბის წინ, ასე ბედნიერად და რომანტიკულად გადაწყდა მისი გარდაცვალების შემდეგ... მოდი სხვა დროს ვინაუბროთ „ფრიდერიცია-დის“ შესახებ“. აქ საუბარია შვიდწლიანი ომის (1756-1763) შესახებ, რომელიც პრუსიამ კარ-გად დაიწყო. 1756 წელს ფრიდრიხ II მოულო-დნელად შეიჭრა საქსონიაში და დაამარცხა საქსონიისა და ავსტრიის ჯარები. პრუსიის გა-აქტიურებამ დააჩქარა კოალიციის შექმნა პრუსიის წინააღმდეგ ავსტრიის, საფრანგეთის და რუსეთის შემადგენლობით. ინგლისი პრუსი-ის მოკავშირე იყო. 1757 წლის გაზაფხულზე განახლდა საომარი მოქმედება, ფრიდრიხ II პრალასთან დაამარცხა ავსტრია, მაგრამ შემდეგ ავსტრიელთა გენერალმა დაუნმა კოლინესთან სძლია პრუსიელებს. ამას მოჰყვა მარცხი გროსეგერნდორფთან 1757 წლის 29 აგვისტოს. პრუსიის მდგომარეობა მძიმე გახდა. ხელისუფ-ლების სათავეში უილიამ პიტის (უფროსი) მო-სვლამ გამოიწვია ინგლისის საგარეო პოლიტი-კის გააქტიურება. პრუსიამ ცოტათი ამოიხუნ-თქა და 1757 წლის 5 ნოემბერს როსბახთან ბრძოლაში დაამარცხა საფრანგეთის და იმპე-რიის ჯარები, ხოლო შემდეგ ლეიტენთან — ავსტრიელები. ამ გამარჯვებებმა გერმანიაში დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია ფრიდრიხის მი-მართ. მასში გერმანელები ხედავდნენ ეროვ-ნული ინტერესების დამცველს ქვეყნის საშინაო საქმეებში უცხოელთა აქტიური ჩარევის წინააღმდეგ (ეს ფაქტი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შილერის შეხედულების შე-ფასების დროს და ჩვენი აზრი, მნიშვნელოვნად დაგვეზარება აგვისტოსის მის მიერ დაკავებული პოზიციის არსი). 1858 წლის 29 აგვისტოს ცო-რნდორფის ბრძოლის შემდეგ ფრიდრიხმა ხე-ლი ვერ შეუშალა რუსეთის არმიას დაეკავები-ნა აღმოსავლეთ პრუსია. 1759 წლის 12 აგვის-ტოს რუსეთ-ავსტრიის არმიამ მთლიანად გაანადგურა პრუსიის არმია, ხოლო 1760 წლის

<sup>4</sup> გ. წერეთელი, ფრიდრიხ დიდი, „ეკალი“, 1893 წ. № 32. იხ. ე. ბ. დონაძე, ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პროლემების შესახებ, თბ., 1970, გვ. 319-321.



ოქტომბერში ბერლინიც კი დაიკავეს. იმავე წელს გარდაიცვალა ინგლისის მეფე ჯორჯ II (1727-1760), ამას მოჰყვა უ. პიტი (უფროსის) გადადგომა და ინგლისი გამოვიდა ომიდან. პრუსია მარტო დარჩა კოალიციის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა თანამედროვეების პატრიოტული აღტკინება. პრუსიისათვის მართლაც „სამწუხარო იყო ფაქტების მიმდინარეობა ელისაბედ პეტრეს ასულის გარდაცვალების წინ“. ფრიდრიხ II იხსნა ელისაბედ პეტრეს ასულის გარდაცვალებამ (1762 წლის 6 იანვარს), ხოლო მისი მემკვიდრე პეტრე III პრუსიისა და ფრიდრიხ დიდის უსაზღვრო თაყვანისმცემელი იყო და დაუყოვნებლივ შეწყვიტა პრუსიის წინააღმდეგ ხაომარი მოქმედება. მან განკარგულეობაც კი გასცა, რომ დახმარება აღმოეჩინათ ფრიდრიხისათვის. აი, სწორედ ამაში გამოიხატებოდა ის „რომანტიკული მდგომარეობა“, რომლის შესახებაც ლაპარაკობს ფრიდრიხ შილერი თავის წერილში.

წერილიდან ჩანს, რომ შილერი პრუსიის მეფის შესახებ მსჯელობისას ვარკვეული ემოციების ტყვეობაშია. იგი ფიქრობს შექმნას მისი ცხოვრების ამსახველი რაიმე გამოჩენილი ეპიზოდი „ფრიდერიციადა“, ადვილი შესაძლებელია, რომ თავისი თანამედროვეების კვალდაკვალ შილერი ფრიდრიხ II-ში ხედავდა ეროვნული ინტერესების დამცველს ქვეყნის საშინაო საქმეებში უცხოელთა ჩარევისაგან და თანაუგრძნობდა მთელი ევროპის პირისპირ დარჩენილ პრუსიას. პატრიოტულ პოზიციებზე მდგომ შილერს, ეტყობა, პრუსიის ბრძოლა სამართლიანად ეჩვენებოდა. ილუზიები ფრიდრიხის მიმართ სწორედ აქედან უნდა იღებდეს სათავეს.

როგორც წყაროები მოწმობენ შილერი სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა, კიდევ დიღხანს ფიქრობდა „ფრიდერიციადის“ შექმნის იდეაზე. 1791 წლის 28 ნოემბრის წერილში კიორნერისადმი შილერი საბოლოოდ უარს ამბობს „ფრიდერიციადის“ შექმნის განზრახვაზე. როგორც ჩანს, მან დააღწია თავი

ემოციებს და ილუზიებს და უარი თქვა ჩოტბა შეესხა ფრიდრიხ II-ისათვის. ეს ფაქტი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამ პიროვნების შეფასებისას დიდი გერმანელი დრამატურგი ცდილობს რეალური პოზიცია დაიკავოს. ქ. მარტუჩი ირონიულად შენიშნავდა: „საერთოდ ბრანდენბურგის სამარკგრაფოს, მას შემდეგ რაც იგი მოქმენცოლურებს ხვდათ წილად, ნამდვილად არაფერი არ დაუბურია, გარდა სილუზიისა. ალბათ იმიტომ, რომ ეს მისი ერთადერთი დანაპურობია, ფრიდრიხ II „ერთადერთი“ ეწოდება. წვრილი ქურდობა, მოსყიდვა, პირდაპირი ყიდვა, ხრიკები მემკვიდრეობათა გარშემო—აი რა სისაძაგლეს წარმოადგენდა პრუსიის ისტორია“.

როგორც წყაროებიდან ირკვევა დიდი გერმანელი დრამატურგი ფრიდრიხ შილერი არ გახლავთ პრუსიის მეფის ფრიდრიხ II-ის მეხოტბე. აქ გასაკვირი არაფერია. დიდ ჰუმანისტს შილერს, ცხადია, არ შეეძლო შეგუებოდა ფრიდრიხ II ბიუროკრატიზმს, სამხედრო დისციპლინას. ერთი სიტყვით, პრინციპები, რომლის თაყვანისმცემელიც იყო პრუსიის მეფე, სრულიად უცხო იყო შილერისათვის. ამიტომ სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ მან ბოლოსდაბოლოს უარი თქვა „ფრიდერიციადის“ დაწერის იდეაზე.

ამრიგად, XVIII საუკუნის მსოფლიოს ისტორიის ცალკეულ საკვანძო საკითხებზე ფრიდრიხ შილერის მოსაზრებების გაცნობა საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ შილერი, როგორც ბურჟუაზიის მოწინავე იდეოლოგი, ძირითადად ამ საუკუნის პოლიტიკური ისტორიით ინტერესდება და თავისებურად აფასებს მას. იგი, როგორც ბურჟუაზიული მოაზროვნე, ჩუმად უვლის გვერდს ამ ეპოქის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ისტორიას. შილერის თვალსაზრისი XVIII საუკუნის მსოფლიოს ისტორიის საკითხებზე, უთუოდ, სერიოზული წინააღმდეგმული ნაბიჯია შუა საუკუნეების ფეოდალურ ისტორიოგრაფიასთან შედარებით და ძირითადად ბურჟუაზიულ-ლიბერალური ისტორიოგრაფიის თეორიულ ჩარჩოებში თავსდება.

ეთარ მგალოგლიშვილი

ედგარ კო გალაკტიონის შემოქმედებაში

ედგარ კო იმ მწერალთა რიგს მიეკუთვნება, რომლებმაც ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინეს მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაზე. ამ-

ერიკული რომანტიზმის ამ თვალსაჩინო მემკვიდრემ თავისი კვალი დააჩნია ფრანგი, რუსი ინგლისელი, გერმანელი, ესპანელი, ამერიკელი და მრავალი სხვა ქვეყნის მწერლების შემოქმედებას.



ამერიკელი მწერლის ნაკვალევი შეიმჩნევა XX საუკუნის ისეთი თვითმყოფი პოეტის შემოქმედებაში, როგორც გალაკტიონ ტაბიძე. გალაკტიონის შემოქმედებაში ედგარ პოს ცალკეული ნაწარმოებების გამოძახილთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვს ირ. კენჭოშვილმა (გალაკტიონ ტაბიძე და ევროპული ლიტერატურა, თბ. 1974, გვ. 40-41; გალაკტიონ ტაბიძის პოეტიკა, თბ. 1980, გვ. 17-19) და რ. თვარაძემ („ედგარი მესამედ“, „ცისკარი“, 1980, № 9).

გალაკტიონის სათაყვანებელ სახელებს შორის ედგარ პოს არა მარტო გამორჩეული ადგილი უკავია, არამედ მისი ნაწარმოებები ხშირად ქართველი პოეტის შთაგონების წყაროა. რაც, უპირველეს ყოვლისა, ამ ორი შემოქმედის სულიერი სიახლოვით, განცდათა თანხედრით უნდა აიხსნას.

გალაკტიონის ადრეული პერიოდის შემოქმედებაში განსაკუთრებით დიდია ედგარ პოს აღიარებული ლექსის „უორანის“ გამოძახილით შექმნილი ლექსების ხედრითი წონა. „უორანის“ საერთო განწყობილებებით, ასოციაციებითა და იმპულსებით არის შექმნილი გალაკტიონის ლექსები: „შავი უორანი“, „საუბარი ედგარზე“, „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, „ედგარი მესამედ“, „უორანი“, „ფარდების შრიალი“.

ამჭრად ყურადღებას შევაჩერებთ გალაკტიონის მხოლოდ სამ ლექსზე: „საუბარი ედგარზე“, „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, „ედგარი მესამედ“.

გალაკტიონის შემოქმედებაში ედგარ პოს ნაკვალევის ძიებისას ერთ-ერთ მეტად საყურადღებო ლექსს წარმოადგენს „საუბარი ედგარზე“. გარდა იმისა, რომ ლექსი ედგარ პოს შემოქმედების ასოციაციებითაა შექმნილი, მასში კონკრეტულადაა გამოკვეთილი ქართველი პოეტის დამოკიდებულება ედგარ პოსადმი და ისიც, თუ როგორ აღიქვამს გალაკტიონი მის შემოქმედებას.

გალაკტიონის შეხედულებით ედგარ პოს შემოქმედება მხოლოდ სიკვდილის, წარმავლობის, უიღბლო სიყვარულის, მარტოობის მოტივებს უკავშირდება. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ედგარ პოს შემოქმედება გალაკტიონს „შავ პოეზიად“ წარმოუდგენია. გალაკტიონის მიერ ამერიკელი მწერლის შემოქმედების ამგვარი აღქმა განაპირობებს ედგარ პოს სახელის ხსენებაზე პოეტში უცნაური ზმანებების, წარსულზე მწარე მოგონებებისა და უსაზღვრო სევდის წარმოშობას. ქართველი პოეტისათვის ედგარ პოს ნაწარმოებთა მოტივები თუ განწყობილებები იმდენად ორგანულია, რომ იგი ამერიკელ მწერალს თავის ორეულად, სულის თანაზიარადაც კი

მიიჩნევს. ეს აშკარად ჩანს ლექსის პირველივე სტროფში:

ლანდებს სასახლეში მხოლოდ მერიის ელი,  
როცა საუბარი ედგარ პოეზეა!  
აჩრდილს თანაზიარს მარად სწონივლი  
დისდევს განწირულთა...  
გარდა იმისა, რომ ლექსში გამოშუქავნდა ქართველი პოეტის დამოკიდებულება ედგარ პოს შემოქმედებისადმი, მისი ცალკეული სტრიქონები: „მოვა შუალამის ბნელი სტუმარივით...“, „...სანთლებს გაანელებს, დარბაზს დაბნელებს“, „ფარდა შეიჩხვია როგორც ყრუ ფოთოლი“, იწვევენ ედგარ პოს „უორანის“ ასოციაციებს. ამდენად, სათაურის, პირველი სტროფისა და ციტატების ეფექტი იმდენად ძლიერია, რომ ინერციულად მიყვებით დინებას ედგარ პოს შემოქმედებისაკენ და ვერც კი ვამჩნევთ გალაკტიონისეულ განწყობილებებს. მაგრამ, საკმარისია ლექსის შინაარსში ღრმად ჩავიძიროთ, წინა პლანზე სწორედ გალაკტიონის განწყობილებები აღმოჩნდეს. ამის დასტურად აღნიშნული ლექსის მეორე სტროფი გამოდგება:

ხშირად მაგონდება: ფოთლებშემოცლილი,  
სახემიბნედილი ქალის მწუხარება!  
მთვარით დაბურული, მთვარით შემოსილი,  
მთვარით დაძონძილი ოხვრა... შეყვარება!  
აქ შეღავნდება მწარე მოგონებები წარსულზე,  
ლირიკული გმირის გოდება უიღბლო სიყვარულზე და, ამავე დროს სატროფოს თანაგრძნობაც, „სახემიბნედილი ქალის მწუხარებაში“ რომ იკითხება. სწორედ ეს უკანასკნელი, თანაგრძნობის გალაკტიონისეული ხედვა, განსაზღვრავს ლექსში „საუბარი ედგარზე“ ქართველი პოეტის განწყობილებების დომინირების წარმოჩენას. გავიხსენოთ გალაკტიონის ლექსი „შენ ზღვის პირად“. აქაც შეყვარებულ ქაბუკს შორეული, მიუწვდომელი მერის მწუხარე და სევდიანი ღიმილი სპასუხო სიყვარულად ესახება. ასევე ლექსში „მერი“, ლირიკული გმირი სიყვარულს ეძებს უიღბლო სიყვარულის მიღმა. მისი წარმოსახვით ქალის გაფითრებული სახე, მწუხარე თვალები და უგონო ფიცი თანაგრძნობას გამოხატავენ.

ლექსში, თითქოს სხვათაშორის, ხაოცარი უშუალოებით გაცხადებული საყვედური კი: „რად ხარ უცხოეთში? მე შენ გელოდები“, რომელიც სატროფოს სიშორითა და გულცივობით გამოწვეულ უდიდეს ნაღველს გადმოსცემს, საბოლოოდ გვაზიარებს გალაკტიონისეულ განცდებს. შემდეგი სტროფები, რომლებშიც სხვადასხვაგვარ ასოციაციათა სიმრავლეა, მხოლოდ ლირიკული გმირის სულის მოძრაობას გამოხატავენ.





ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ „საუბარი ედგარზე“ ხაკმაოდ დატვირთულია ედგარ პოს „უორანის“ ასოციაციებით, იგი მაინც გალაკტიონის განწყობილებებს გადმოსცემს. „უორანი“, აღნიშნულ შემთხვევაში, ქართველი პოეტისათვის მხოლოდ საკუთარი განცდების გამჟღავნების იმპულსია. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ გალაკტიონის „სიმბოლისტური ლექსების“ სათაურებიც ისევე მრავალმნიშვნელოვანი და ძნელად მისაწვდომია, როგორც თვით ტექსტები, მაშინ დავრწმუნდებით, რომ აღნიშნული ლექსის სათაურიც ამაზევე მიგვანიშნებს. სათაურში „საუბარი ედგარზე“ უმთავრესად აქცენტირებულია არა ის, რომ ტექსტში ედგარ პოსეა საუბარი ან თვით ეს ფრაზა რომ ფიგურირებს, არამედ ის, ედგარზე საუბარი პოეტის განწყობილებების ამოტივტივებას რომ უწყობს ხელს.

ედგარ პოს „უორანის“ შთაგონებით არის შექმნილი გალაკტიონის ერთი საუკეთესო ლექსი „ათოვდა ზამთრის ბაღებს“. ალბათ ძნელად მოიძებნება გალაკტიონის შემოქმედების თაყვანისმცემელი, რომელზედაც აღნიშნული ლექსი საოცარ შემოქმედებას არ ახდენდეს, უდიდეს სიამოვნებას არ განაცდევინებდეს. რაში უნდა ვეძიოთ ლექსის ასეთი მიმზიდველობის ძალა? ფორმაში თუ შინაარსში? რა თქმა უნდა, ორივეში ერთად, მაგრამ მაინც, გალაკტიონთან ფორმის სრულყოფილებას, რაგინდ განსაკუთრებულ შემთხვევასთან არ უნდა გვქონდეს საქმე, მუდამ შინაარსი განსაზღვრავს. თუ ლექსში შინაარსია განმსაზღვრელი, მაშინ იგი უნდა ვეძებოთ არა მხოლოდ სტრიქონებში, არამედ მის მიღმა, რადგან „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, ისევე როგორც გალაკტიონის მრავალი სხვა ლექსი, თბრობის პრინციპს არ ემორჩილება. სტრიქონებში წაკითხული შინაარსის მიხედვით ლექსი მხოლოდ სიკვდილის გარდუვალობაზე მიგვანიშნებს, რაც, რაგინდ ლამაზი ფორმით არ უნდა უოფილიყო მოწოდებული, ვერ მოახდენდა მკითხველზე ესოდენ დიდ შთაბეჭდილებას. „ათოვდა ზამთრის ბაღებს“ მხოლოდ სიკვდილზე კი არ მიგვანიშნებს, არამედ მისი თანმხლები მოვლენების შეცნობისა და ღრმა ფილოსოფიური გააზრების შედეგად გამოწვეული განცდების გამჟღავნებაცაა. ლექსი წარმავლობის შეგრძნებით, მარტობით, საყვარელ არსებასთან დაცილებით, მშვენიერების ლპობითა და უიმედობით გამოწვეულ უსაზღვრო ტკივილებს გადმოსცემს. აღნიშნული ლექსის ეფექტიც სწორედ აზრის ამ წყალქვეშა დინების ქვეცნობიერად გააზრებისა და განცდის შედეგია.

აზრის წყალქვეშა დინების გაგების უფლებას თვით გალაკტიონი გვაძლევს: „და შლიდა

ბაირალებს თმაგაწეწილი ქარი“ ლექსის მთელ განწყობილებას გადმოსცემს, ლირიკული გმირის სულიერ მდგომარეობას გვიხატავს. სწორედ ამ სტრიქონიდან მოგვესმის ლირიკული გმირის ატირება, მწარე და ჩუმი ატირება, ჩვენს თანაგრძნობასაც რომ იწვევს. ასევე პირველი ორი სტრიქონიც: „ათოვდა ზამთრის ბაღებს, მიჰქონდათ შავი ტუჩები“ ტკინსტრუქული მნიშვნელობის შემცველია. კუბოში არა მარტო სიკვდილი, არამედ ქალის სიკვდილი იგულისხმება.

როგორც ვხედავთ, ლექსში გამოიკვეთა არა მარტო „უორანის“ ძირითადი თემა — სიკვდილი, რომელიც, „კომპოზიციის ფილოსოფიის“ ავტორის თვალსაზრისით, უველაზე მელანქოლიური, მაგრამ, ამავე დროს, უველაზე პოეტური თემაა, თუკი ის მშვენიერებას, კონკრეტულად კი ლამაზ ქალს უკავშირდება, არამედ მისი საერთო განწყობილებაც.

მიუხედავად იმისა, ედგარ პოს „უორანს“ და გალაკტიონის „ათოვდა ზამთრის ბაღებს“ თემაცა და განწყობილებაც საერთო აქვთ, მართებული არ იქნება მტკიცება, რომ „ათოვდა ზამთრის ბაღებს“ მაინც და მაინც „უორანის“ შთაბეჭდილებით არის დაწერილი (მსგავსი თემები და განწყობილებები მრავლად მოიპოვება მსოფლიო ლიტერატურაში და, რაც მთავარია, ანალოგიური თემებიცა და განწყობილებებიც შემოქმედების აღრეულ პერიოდში გალაკტიონისთვისაც არ არის უცხო), ლექსში უორანი რომ არ ბობოქრობდეს. აღნიშნულ ლექსში უორანი სწორედ ედგარისეული უორანია, ლირიკული გმირის სულში ჩაბუდებულ განწირულების მარცვალს შეუპოვრად რომ აღვივებს. აქაც, ისევე, როგორც ედგარ პოს ლექსში „უორანი“, უორანს ლირიკული გმირისთვის საბოლოო განაჩენი გამოაქვს: ხსნა არსად არის, ყოველგვარი იმედი ამაოა, წარმავლობა და მხოლოდ წარმავლობა. ლექსის ბოლო სტროფის შინაარსი და ბოლო სტრიქონის ინტონაციაც ამ თვალსაზრისს განამტკიცებენ:

გზა იყო უდაბური,  
უსახო, უპირქუბო,  
მიჰქონდათ კიდევ კუბო...  
უორნების საუბარი:  
დარევე! დაუბარე!  
ათოვდა ზამთრის ბაღებს.

როგორც დავინახეთ, „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, წინა ლექსთან შედარებით, ნაკლებად არის დატვირთული „უორანის“ ციტატებითა და ასოციაციებით, მაგრამ იგი უფრო მეტად ეხმიანება ამერიკელი მწერლის აღნიშნული ლექსის ძირითად თემასაც და მის საერთო განწყობილებასაც.

ედგარ პოს „უორანის“ შთაბეჭდილებებით



შექმნილ ლექსებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გალაკტიონის „ედგარი მესამედ“.

ნაწარმოების სათაური იმთავითვე გვკარნახობს, რომ ტექსტში ედგარ პო უნდა ფიგურირებდეს. ხოლო პირველივე სტროფში ამერიკელი მწერლის ლექსების პერსონაჟის ლენორას გამოჩენა კიდევ უფრო წარმართავს ჩვენს ყურადღებას ამ მიმართულებით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ასოციაციათა სიმრავლე, ფორმის სირთულე და შინაარსის სიღრმე ლექსის ანალიზის დროს იძლევა აზრთა სხვადასხვაობის შესაძლებლობას, ამნელებს ჩანაფიქრის ბოლომდე აღქმას.

„ედგარი მესამედ“ ამერიკელი მწერლის ცნობილი ლექსის „უორანის“ განწყობილებებს გადმოსცემს. სატრფოსთან დაცილებით გამოწვეულ სულიერ ტკივილებს გვიხატავს ლექსში, თუმცა ლირიკული გმირის განცდები ისევე დინამიკურად არ ვითარდება და სულის მოძრაობა ედგარ პოს „უორანთან“ შედარებით უფრო ძუნწ შტრიხებშია გადმოცემული, სატრფოს უიმედობა და სასოწარკვეთილება უდიდეს ტრაგიზმს აღწევს. განწყობილების ნათლად წარმოსადგენად მოგვაქვს ლექსი სრულად:

ჩვენ მივდიოდით ტაძრისკენ ორი, იყო საღამო, ღოცვები, ზარი, და ჩვენს საოცარ გზაზე, ლენორა, რტოებს ტირილით ამტვრევდა ქარი. ესატრებოდა ფრთებს სითამამე უხრუნველობის, შენი სიშორის! მაგრამ ექცოდ ვილაც მესამე, ვილაც მანინგი ჩადგა ჩვენს შორის, და ჩვენ გვესმოდა ყრუ საუბარი: საცაა, მოვა სიკვდილის წამი! ტიროდა ქარი, კვდებოდა ქარი და მივდიოდით ტაძრისკენ სამი.

როგორც ჩანს, ტექსტში აშკარად იგრძნობა ედგარ პოს ლექსის ასოციაციები და მისი ხაერთო განწყობილება, მაგრამ მაინც იგი მხოლოდ „უორანის“ განწყობილებას არ გადმოსცემს.

ჩვენი აზრით, „ედგარი მესამედ“ ედგარ პოს „უორანის“ და „მერის“ განწყობილებათა გადმოცემის სრულიად ახალ ვარიაციას წარმოადგენს, რასაც, ძირითადად, ამ ორი მწერლის განცდათა თანხვედრა უდევს საფუძვლად. გალაკტიონისათვის, ისევე როგორც ედგარ პოსთვის, საყვარელ ადამიანთან განშორება უდიდეს სულიერ ტკივილებთან არის დაკავშირებული, რაც მთელ მის შემოქმედებაში იჩენს თავს. თუ ამერიკელი მწერლის ნაწარმოებებში შეუვარებულების დაცილება მხოლოდ სიკვდილს შეუძლია, ქართველ პოეტთან განშორება უმეტესწილ, სატრფოს გულცივობით არის განპირობებული. ამის ნათელ სურათს

„მერის ციკლის“ ლექსები იძლევა. ცნობილია, რომ გალაკტიონი ერთსა და იმავე განცდებს ხშირად სხვადასხვა ლექსებში გადმოსცემს. სწორედ ასევეა ლექსში „ედგარი მესამედ“. თუ ამ ლექსს საგულდაგულოდ შევადარებთ „მერის“, თემატიკის, შინაარსისა და განწყობილების იდენტურობა აშკარაა. „მერის“ შინაარსი: „...მერს, ისმის მისი უგონო ფიცი, იქვე, ტაძარში, შეუვარებული ქაბუკი შორიდან უყურებს ამ ჭვრისწერას. ლექსში თანდათან ცხადი ხდება, თუ რა სულიერ ტანჯვას განიცდის ლირიკული გმირი იმის გამო, რომ მასსა და მერის შორის ჩადგა მესამე პიროვნება, ის მესამე, რომელიც მერის, სამუდამო წართმევით ემუქრება.

ლირიკული გმირის განცდებს, ისევე როგორც ლექსში „ედგარი მესამედ“, ბუნებაც — შავი ვერხვების შრიალი, ქარი და წვიმა — ეხმიანება. ძვირფასი არხების დაკარგვით გამოწვეული მწუხარება აქაც ყველაზე მეტად ლექსის ბოლო სტროფში იკვეთება:

ქარი და წვიმის წვეთები ხშირი წუღებოდნენ, როგორც მწყდებოდა გული და მე აეტირდი — ვით მეფე ლირი, ლირი, ყველსგან მიტოვებული ამგვარად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,

„ედგარი მესამედ“ „უორანისა“ და „მერის“ განწყობილებითაა შექმნილი, რომელიც სუბიექტურ განცდათა მონაცვლეობით საკმაოდ რთულ მოდელს ქმნის. ლექსის დასაწყისში „ჩვენ მივდიოდით ტაძრისკენ ორი, იყო საღამო, ღოცვები, ზარი“, ედგარ პოს შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ნიშანი — სატრფოსთან სიახლოვე, შეუვარებულების ერთად ყოფნით გამოწვეული ტკბობა იკვეთება. მომდევნო სტროფში კი „ენატრებოდა ფრთებს სითამამე უხრუნველობის, შენი სიშორის!“ „მერის ციკლის“ ლექსების ნიშანდობლიობა — სიშორისა და სიახლოვის ერთდროული განცდა — მჟღავნდება. ამავე სტრიქონში იჩენს თავს გალაკტიონის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც ქართველი პოეტის სატრფიალო ლექსებს მკვეთრად განასხვავებს ამერიკელი მწერლის სიყვარულის თემისადმი მიძღვნილი ნაწარმოებებისაგან. ეს არის სატრფოს სიშორით გამოწვეული ერთდროული ტანჯაცა და ტკბობაც.

ამერიკელი მწერლის შემოქმედებაში შეუვარებულებისთვის, სულიერ სიახლოვესთან ერთად, ფიზიკური სიახლოვეც არის მთავარი. სატრფოს სიშორე ედგარ პოსთან მხოლოდ ტანჯვის მომგვრელია. გალაკტიონთან კი განმსაზღვრელი სულიერი სიახლოვეა, ფიზიკური სიახლოვე არ არის სიყვარულით ტკბობის აუცილებელი პირობა. ამიტომ ზოგჯერ



სიშორე სიამოვნების გრძობასაც კი აღძრავს, რადგან სწორედ სიშორეს შეუძლია მიჯნურის ოცნებებს ფრთები შეასხას, უსაზღვროებას აზიაროს. რამდენადაც გალაკტიონთან სიყვარულში თვით ოცნებაა მთავარი, ამდენად არის სიშორეც სანატრელი და მომხიბვლელი. გალაკტიონთან სიშორით გამოწვეული ტიპილიცა და ნეტარებაც კარგად ჩანს ლექსებში: „რაც უფრო შორს ხარ“, „სადღაც მიწა-ხავს“, „სიშორით შენით“, „ის“, „არდაბრუნება“.

როგორც ვხედავთ, „ედგარი მესამედ“ ურთულესი შემოქმედებითი პროცესის შედეგია, ამდენად, უფრო ძნელდება ლექსში ზოგიერთი ლექსის განსაზღვრა. კონკრეტულად კი ის, თუ ვინ არის ლირიკულ გმირსა და ლენორას შორის ჩამდგარი „ვიღაც მესამე“, „ვიღაც მახინჯი“. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ის საერთო ნიშნები, რომლებიც ედგარ კოს ლენორასა და გალაკტიონის მერის გააჩნიათ. ორივე სახელი წარმოადგენს ქალის სახეს, ხატს, რომელიც არამქვეყნიურ სიყვარულთან, განშორებასა და უსაზღვრო სევდასთან არის დაკავშირებული.

გალაკტიონის შემოქმედებაში „მესამე“ ხშირად იჩენს თავს, მაგრამ ის არ არის ბოლომდე განსაზღვრული. ამის ერთ-ერთი მაგალითია გალაკტიონის ლექსი „ახალი მოსახლეობა“. აქაც, ორ პიროვნებას შორის „ვიღაც მახინჯი“ ჩამდგარა, რომლის ვინაობა არ არის გაცნობიერებული:

ჩვენ ერთად ვუცდიდით ღამეში თეთრ  
სანთელს,

ჩვენ ერთად მოვრგალეთ ლოდინი და  
რიცხვი,

ბედოვით გამოჰყვა ჩემს ბინას შარშანდელს  
უქმი და უგონო ცხოვრების სირცხვილი.

ვიღაცა მახინჯი მზიარულ სიცილით  
შემოგვხვდა... დაგვიწყო, დაგვიწყო პატივი!  
ვინ იყო? საიდან? ჩვენ ის ვერ ვიცანით  
და ყველა შევეყვით შავი დღის ბაღეში.

მიუხედავად იმისა, რომ ლექსში „მესამის“ ვინაობა ბურუსითაა მოცული, იგი სიკვდილს და სხვა, „იდუმალ ქვეყანაში“ გადასვლას რომ უკავშირდება, აშკარადება ბოლო სტროფში:

დაებრუნდით ბინაში და დაგვხვდა ცხედარი!  
მივაგნეთ სულის კვალს! მე ნატვრას ვეაბლე!  
ოჰ! დადგა ჩვენი დრო, ჩუმი და ნეტარი,  
იდუმალ ქვეყნების ვართ ეხლა მოსახლე.

თუკი დავუშვებთ ვარაუდს, რომ ის „ვიღაც მახინჯი“, რომელიც „მზიარულ სიცილით“ შემოდის, სიკვდილია, უურადსაღები იქნება, რომ ედგარ კოსთანაც სიკვდილი სიცილით, მზიარულებისა და ცეკვა-თამაშის დროს ჩნდება.

ზოგჯერ გალაკტიონთან „მესამე“ გაცნობიერებულია, იგი არც მოულოდნელად არ იჩენს თავს, მაგრამ მაინც ჰირს დაკონკრეტება, თუ

ვინ იგულისხმება „მესამეში“:  
ედგარ და უცდი ვიცი, ვის ელი  
ოჰ, მეგობარო... ლოდინი ლოდინი,  
ჩვენ მეგობრები ვართ ღამე-ღამედან,  
და, ჰა, მესამეც... შეხედე, მოდის!  
(„ჩვენ ვხედვით ისევ“).

ვფიქრობთ, „ლოდინი ლოდინი“ უკავშირდება ლექსის ქარაგმის გასაღებულ „მესამეში“ აქაც შეიძლება სიკვდილი ვიგულისხმოთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გალაკტიონის შემოქმედებაში „მესამე“ ხშირად იჩენს თავს, მაგრამ ის არ არის ბოლომდე განსაზღვრული. სატრფიალო ლექსებში კი „მესამე“ კონკრეტულ სახეს ღებულობს. ეს ის მესამეა, რომელიც სიყვარულის ცნობილ სამკუთხედს ქმნის.

ედგარ კოსთან, როგორც უკვე ითქვა, სატრფოს დაცვილება, მხოლოდ სიკვდილს შეუძლია, ამიტომ მის შემოქმედებაში დამაშორებელი „მესამე“—სიკვდილია. ამდენად, ლექსში „ედგარი მესამედ“ შეყვარებულების გათიშველი „ვიღაც მესამე“, „ვიღაც მახინჯი“, სიკვდილიც შეიძლება იყოს და ის მესამეც, რომელიც გალაკტიონთან სიყვარულის სამკუთხედს ქმნის. ორივე შემთხვევაში ლექსში უბედურების მაუწყებლად ედგარ კოს უორანი გვევლინება: „და ჩვენ გვესმოდა ურუ საუბარი: საცაა მოვა სიკვდილის წამი!“.

შემოთქმულიდან გამომდინარე, „ედგარი მესამედ“ ჩვენი აზრით სატრფიალო ლირიკას, კონკრეტულად კი „მერის ციკლის“ ლექსებს მიეკუთვნება, რომელიც გალაკტიონის მიერ სიყვარულის თემის მრავალგვარად გადმოცემის უსაზღვრო შესაძლებლობების ერთ ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს.

რაც შეეხება აღნიშნული ლექსის სათაურის გაგებას, მასთან დაკავშირებით ორი ვარაუდი გამოთქვა რევაზ თვარაძემ ზემოთ მითითებულ წერილში. პირველი ვარაუდის მიხედვით, სათაური „ედგარი მესამედ“ შეიძლება ნიშნავდეს გალაკტიონის მიერ ედგარ კოს სახელის მესამედ ხსენებას. ამ მოსაზრების განსამტკიცებლად ავტორი ასახელებს ორ ლექსს „საუბარი ედგარ“

1. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ გალაკტიონის სატრფიალო ლექსებში არ იგრძნობა შეყვარებულების სიახლოვე, მაშინ სიყვარულის სამკუთხედი თავისი ტრადიციული გაგებით ტექსტში არასწორად იქნება მოტანილი. მაგრამ, ვინაიდან გალაკტიონთან ოცნებებს სიყვარულში ზღვარს არა აქვს, რის გამოც შორეული და მიუწვდომელი სატრფოც მიჯნურის „კუთვნილება“ ბინან, სახამ მათ შორის „მესამე“ არ ჩადგება „სიყვარულის სამკუთხედი“ შეიძლება ტრადიციული მნიშვნელობით იქნეს გაგებული.



რუე“ და „ქარებს ქარობა“, მაგრამ აქვე კვლევის შედეგად, რევაზ თვარაძე მივიღა იმ დასკვნამდე, რომ „ქარებს ქარობა“ შეიძლება წინ არ უსწრებდეს ლექსის „ედგარი მესამედ“ დაწერის თარიღს, რის გამოც გამოთქმული ვარაუდი საეჭვო გამოდგა. რევაზ თვარაძის მეორე ვარაუდის მიხედვით სათაური შეიძლება ნიშნავდეს ლექსში ედგარის მესამე პირად, მესამე არსებად ყოფნას. ავტორი სამართლიანად მიიღის ლოგიკურ დასკვნამდე, რომ ამ ვარაუდს მხოლოდ „აბსურდამდე მივყავართ“.

ჩვენი აზრით, პირველი ვარაუდი საფუძველმოკლებულად უნდა ჩაითვალოს შემდეგი მიზეზების გამო:

1. წარმოუდგენელია ისეთი რთული შინაარსის ლექსი, როგორც არის „ედგარი მესამედ“ გალაკტიონის რანგის შემოქმედს დაესათაურებინა იმის მიხედვით, თუ წინა ლექსებში რამდენჯერ ახსენა სახელი ედგარი. გარდა იმისა, რომ სათაური პრიმიტიული იქნებოდა აღნიშნული ლექსისთვის, მას არავითარი კავშირი არ ექნებოდა თვით შინაარსთანაც, რადგან ლექსში ედგარი არსად არ არის მოხსენებული და არც იგულისხმება.

2. სათაურის შერჩევის აღნიშნული პრინციპი მისაღებადაც რომ ჩავთვალოთ, ედგარ პო ამ ლექსში მესამედ მაინც არ არის ნახსენები, რადგან „ქარებს ქარობა“, ქრონოლოგიურად წინაც რომ უსწრებდეს „ედგარი მესამედ“ დაწერის თარიღს, ჩვენი აზრით, არ გამოდგება იმის საბუთად, რომ გალაკტიონმა ედგარ პო მესამედ ამ ლექსში ახსენა, ვინაიდან „ედგარობაში“ ამერიკელი მწერალი არ უნდა იგულისხმებოდეს. ვფიქრობთ, აღნიშნულ ლექსში „ედგარობა“, სიმბოლოზაციის გზით მიღებულ სახე-სიმბოლოს წარმოადგენს, რომელიც შექსპირის „მეფე ლირის“ ასოციაციებიდან მომდინარეობს. პოეტი შექსპირისეულ ედგარს აცლის მის პირვანდელ თვისებებს და მასში სულ სხვა ხასიათის ნიშნები — მტრობა, შური, გაუტანლობა — შეაქვს, რის შედეგადაც „ედგარობა“ ლექსში ბოროტების სიმბოლოდ წარმოგვიდგება. პოეტი სიმბოლოზაციის გზას ლექსის ნამდვილი შინაარსის დაფარვის მიზნით მიმართავს. გალაკტიონის ამ ლექსის, ისევე როგორც მისი მრავალი სხვა ლექსის, ჩანაფიქრის ასახსნელად საჭიროა მთელი მისი შემოქმედების, შემოქმედების ლაბორატორიის, იმ მწერალთა შემოქმედების, რომლებმაც მის ლექსებში მოვეს ასახვა, და პოეტის ბიოგრაფიის გათვალისწინებაც.

გალაკტიონის ცხოვრების რთული გზის გათვალისწინება დიდად უწყობს ხელს ლექსის შინაარსის აღქმას. ცნობილია, რომ გალაკტიონი, უსაზღვრო სიყვარულსა და უდიდეს პატივისცემასთან ერთად, ზოგჯერ შურს და მის

ნიადაგზე წარმოქმნილ მტრობას კრძნობდა, რაც ბუნებით მეტისმეტად მგძნობიარე პოეტს აღიზიანებდა. იგი საპასუხოდ წერდა ლექსებს, რომლებშიც წყენასაც გამოხატავდა და საკუთარი ძალის უპირატესობასაც. ერთ-ერთი ასეთი ლექსია „ქარებს ქარობა“ (გალაკტიონის აღნიშნულ ლექსამდე აქვს დაწერილი ამერიკელი მწერლის ლექსი: „იბრძოდნენ შურნი“). სიცხადისათვის უჩივრებია მოვითხოვთ ლექსი მთლიანად:

დაეტყო კიდევ ქარებს ქარობა,  
როცა მტრობაა და ედგარობა,  
სანთელს, გარბევს ღამის ფიქრები,  
მაგრამ შენ მაინც ნუ ჩამიქრები,  
ნუ მიმატოვებ.  
აღარ ეტყობა თვალებს თვალობა,  
როცა ღრეა და მიუფალობა,  
აყუფლებიან მთვარის ტყუბები,  
ო, შენ მაინც არ დაიღუპები,  
ცრემლს ნუ ათოვებ.

როგორც ირკვევა, გარდა იმისა, რომ ტექსტი იძლევა საფუძველს „ედგარობაში“ შური და ჯალატი ვიგულისხმოთ, ლექსის შინაარსსაც და საერთო განწყობილებასაც შევყავართ არა ედგარ პოს, არმედ შექსპირის შემოქმედების სამყაროში. აქაც ისევე, როგორც აღნიშნულ ტრაგედიაში მტრობა და ჯალატია, უღირსნი ღირსეულთ ებრძვიან, მაგრამ საბოლოოდ მაინც სიმართლე იმარჯვებს. ლექსის ბოლო ორი სტრიქონიც: „ო, შენ მაინც არ დაიღუპები, ცრემლს ნუ ათოვებ“, მსგავსად „მეფე ლირის“ ფინალი-სა, სწორედ ამაზე მიგვანიშნებს.

ამგვარად, რადგან „ედგარობა“ არც ედგარ პოსა და არც მისი შემოქმედების გალაკტიონისეულ აღქმას არ უკავშირდება, სამართლიანად მიგვაჩნია მტკიცება, რომ „ედგარობაში“ ედგარ პო არ იგულისხმება.

ჩვენი აზრით, ლექსის სათაური „ედგარი მესამედ“ ედგარ პოს შემოქმედების, კონკრეტულად „ეორანის“ იმპულსით შექმნილ რიგით მესამე ლექსზე მიგვანიშნებს. პირველ ასეთ ლექსად უნდა ჩაითვალოს „საუბარი ედგარზე“, მეორედ „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, მესამედ — „ედგარი მესამედ“. აქედან გამომდინარე, სათაურში აქცენტირებულია ის, რომ ედგარი, ე. ი. ედგარ პოს შემოქმედება, მესამედ გახდა ლექსის შეთხზვის საბაზი და არა ის, რომ სახელი ედგარი გალაკტიონის მიერ ამ ლექსში მესამედ არის ნახსენები.

ამგვარად, გალაკტიონის ისეთი ბრწყინვალე ლექსები, როგორცაა „საუბარი ედგარზე“, „ათოვდა ზამთრის ბაღებს“ და „ედგარი მესამედ“, ედგარ პოს „ეორანის“ შთაგონებით არის შექმნილი, რაც ამ ორი შემოქმედის სულიერი სიახლოვეთა და განცდათა თანხვედრით აიხსნება.



# ი. კუზნეცოვა

თარგმნა პაია ხალაია



## ტომას გეინზბორო

ცნობილი ინგლისელი ფერმწერის, ტომას გეინზბოროს სახელი წლების მანძილზე არ გასცილებია თავისი ქვეყნის საზღვრებს. მისი ხურათები ინგლისის მდიდრულ კერძო საცავეებში ინახებოდა და პირველად მხოლოდ 1857 წ., გეინზბოროს გარდაცვალებიდან სამოცდაათი წლის შემდეგ გამოჩნდა ევროპის სურათების გალერეებსა და ბაზარზე. მანჩესტერში, დიდ ნაციონალურ გამოფენაზე, გეინზბოროს შემოქმედებით დიდად დაინტერესდნენ კრიტიკოსები და ხელოვნებათმცოდნეები.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გეინზბოროს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს XVIII საუკუნის ბრწყინვალე კოლორისტების გვერდით, როგორებიც იყვნენ ვატო, ტეპოლო, გოია და ფრაგონარი.

ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ფონზე მიმდინარეობდა კულტურის აყვავება; სწორედ ამ დროს უაღიბდებოდა ფერწერის ნაციონალური ინგლისური სკოლა, რომელშიც გამოირჩეოდა პორტრეტისა და პეიზაჟის უანრი. ორივე უანრში გეინზბორო უძლიერესი იყო. თავის შემოქმედებით იგი უველაზე ინგლისელია იმდროის ინგლისელ მხატვრებს შორის.

ტომას გეინზბორო დაიბადა 1727 წ. საფოკის პროვინციულ დაბა სადბერიში. ბავშვობიდანვე იზიდავდა ქალაქის ფერადოვანი გარეუბნები მდ. სტურის გაყოლებზე. ხატვის სიყვარული იმდენად დიდი იყო, რომ მამამ ბევრი ფიქრის გარეშე გაგზავნა ცამეტი წლის ტომასი ლონდონში სასწავლებლად.

გეინზბოროს ამ პერიოდის ლონდონურ ცხოვრებაზე ძალიან ცოტა რამ ვიცით. როგორც ჩანს, პირველ ხანებში მუშაობდა ძველი სურათების რესტავრაციაზე. მის პირველ მასწავლებლად შეიძლება ჩაითვალოს ცნობილი ფრანგი მხატვარი და ილუსტრატორი გიუბერ გრავლო, რომელიც იმ ხანებში ლონდონში მუშაობდა. მიუხედავად მათი ხანმოკლე ურთიერთობისა, გეინზბოროს შემოქმედებას მაინც ატყვია ის სიმსუბუქე და ძალდაუტანელი მოხდენილობა, რომელიც დამახასიათებელი იყო ფრანგი ოსტატისათვის,

აგრეთვე ნახატის კულტურა, რაც ინგლისელ მხატვრებსა და კერძოდ ფერმწერთა შემოქმედებაში მაინცდამაინც არ შეინიშნებოდა. გრაველომ შეიყვანა გეინზბორო იმ დროს პოპულარულ სამხატვრო სკოლაში, რომელიც წმ. მარტინის აკადემიის სახელით იყო ცნობილი. აკადემიას ხელმძღვანელობდა ჰოგარტი. აქ გეინზბოროს ასწავლიდა ფრენსის ჰაიმენი, პორტრეტისტი და დეკორატორი ჩანს, იგი გეინზბოროს იხმარიებდა თავის სამუშაოზეც. ტომასის მეცადინეობას სკოლაში არ ჰქონია სისტემატური ხასიათი და არც დიღხანს გაგრძელებულა. მისი ტემპერამენტი და ნიჭი ვერ ეგუებოდა მზამზარეულ ფორმულებს. საკუთარ ძალებში ღრმად რწმენამ გააბედვინა გეინზბოროს ჩვილმეტყ წლის ასაკში გაეხსნა სახელოსნო. იგი ისევ როგორც ჰოგარტი, თვითმყოფადი ტალანტით დაჭილდოებული თვითნასწავლი მხატვარი იყო, და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ოფიციალური აკადემიური ტრადიციების წინააღმდეგი გახლდათ და მიდიოდა საკუთარი, დამოუკიდებელი გზით.

1748 წ. გეინზბორო უკვე თავის მშობლიურ სადბერიშია და დიდი გატაცებით ხატავს გარეუბნებში მცხოვრები სკვარიების პორტრეტებს. მისი იმდროინდელი პეიზაჟები კი საინტერესო ფურცელია ევროპის პეიზაჟური ფერწერის განვითარებაში.

იმ დროის მხატვრობაში გაბატონებული იყო ე. წ. „კლასიკური“ პეიზაჟის ამალღებული სტილი მკაცრი კომპოზიციური აღნაგობით და მითოლოგიური სიუჟეტით. ახალგაზრდა ინგლისელი მხატვარი არად აგდებს აკადემიურ კანონებს და დეკორატიულ ეფექტებს. იგი იფარგლება საკუთარი შთაბეჭდილებებდთ გარემოზე, რაც ასე ახლობელი იყო ადრეული ბავშვობიდან; მწვანე გორები, სოფლური სახლები, სოფლის ხვეული გზები, საძოვარზე მოფენილი ფარა, ყველაფერი ეს იხატება მის ტილოებზე.

ზოგიერთ მის ნამუშევარს აშკარად ატყვია XVII ს-ის ჰოლანდიელი პეიზაჟისტების კვალი (რეისდალი, ვეინანტსი და სხვა). მისი ამ დროის დამახასიათებელი პეიზაჟია



თავრა და, როგორც ჩანს, რამდენიმე წლის წინ იყო დაწყებული. იგი კომპოზიციურად, აგრეთვე დეტალების სკრუპულოზური დამუშავების მანერით ჩამოგვავს ჰოლანდიურ პეიზაჟს. მაგრამ აკვარელის ფერთა ნათელი, მსუბუქი კოლორიტი, ხალამოს განათების სირბილე და რაც მთავარია, ბუნების ძლიერი, ცოცხალი ინტიმური განცდა ახალი სიტუვია და ინდივიდუალურ ხმოვანებას აძლევს ნამუშევარს.

უფრო მეტი თავისუფლება და თავისთავადობა „დედემის ხედში“. პეიზაჟი 50-იან წლებს განეკუთვნება და ნანახის უშუალო შთაბეჭდილებით, ეტიუდებისა და ნატურიდან შესრულებული ჩანახატების საფუძველზეა შექმნილი.

გეინზბოროს ამ პერიოდის ნახატები საოცრად ცოცხალია და მოკლებულია ყოველგვარ პირობიზობას. საინტერესოა მისი ქალიშვილების პორტრეტები („მხატვრის ქალიშვილები“), რომლებიც გამოირჩევიან მიაშიტობითა და გულითადობით. ბავშვები ხან კატახთან თამაშობენ, ხან პეპლებს დასდევენ ბაღში.

დიდი მემკვიდრეობითი კავშირი იგრძნობა გეინზბოროსა და ჰოვარტს შორის. XVIII ს-ის ინგლისური ფერწერის ამ დიდ წარმომადგენელთა ურთიერთობის საბუთი შემორჩენილი არ არის, მაგრამ თვით მათი ნაწარმოებები იძლევიან საფუძველს, რამდენად აუთვისებია გეინზბოროს ჰოვარტის ფერი და მოდელთან დამოკიდებულება. აქ შეიძლება დავახაზოთ 1754 წ. შესრულებული ავტოპორტრეტი.

50-იანი წლების დასაწყისში მხატვარი ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადადის იფსუინში — უფრო მსხვილ ქალაქში, სადაც შეკვეთების რიცხვი გაცილებით იზრდება.

ამ პერიოდის ნახატებიდან საინტერესოა ე. წ. პორტრეტები პეიზაჟში, რომლებიც გამოირჩევიან ფიგურისა და გარემოს ურთიერთობის სრულიად ახალი გადაწყვეტით. გეინზბორო ახერხებს მათ შორის ისეთი წონასწორობის დამყარებას, სადაც პეიზაჟი ჩვეულებისამებრ ფონი კი არ არის, არამედ ნამდვილი ინგლისური ბუნებაა.

აღსანიშნავია 50-იანი წლების დასაწყისში შესრულებული ცოლ-ქმარ ენდრიუსების პორტრეტი. იგი ამ ახალი უნარის შედეგია. ფიგურები კომპოზიციურად მარცხნივია განლაგებული, დარჩენილი ადგილი მთლიანად პეიზაჟსა აქვს დათმობილი. იგი არ ექვემდებარება დეკორატიულ მოთხოვნებს და ერთ-ერთი საუკეთესოა გეინზბოროს შემოქმედებაში. ზაფხულის დღე გადმოცემულია ნათელ ფერთა გამოთ. მხატვარი ამ გზით რომ წასუ-

ლიყო, შესაძლებელია რეალისტური მიდევნებები ინგლისში ორმოცდაათი წლით ადრე დაწყებულიყო, მაგრამ სამწუხაროდ ასე არ მოხდა. ხალხს არ აინტერესებდა და უხეში ეჩვენებოდა რეალისტურად გადმოცემული სოფლის ბუნება და გეინზბოროს დაკრძალული იყო ფრანგული როკოკოს დეკორატიული მანერით შეექმნა ხელოვნური პარკის პეიზაჟი, და ის თამამი წამოწყებები აღარ განვითარებულა.

1759 წ. გეინზბორო საცხოვრებლად გადადის მოდურ, საკურორტო ქალაქ ბატში. იგი მალე პოპულარული გახდა არისტოკრატიულ წრეებში. ამის გამო რამდენიმე წელში იცვლება მისი პორტრეტების სტილი, ირღვევა წონასწორობა ფიგურასა და პეიზაჟს შორის. პორტრეტი დებულობს პირველად მნიშვნელობას და პეიზაჟი უკანა პლანზე გადადის. ჩნდება ნატურალური სიდიდის პორტრეტები.

გეინზბოროს პორტრეტები კომპოზიციურად ძალზე მარტივია. თავისი თანამოძმის, რეინოლდზისაგან განსხვავებით, რომელიც მშვენივრად პოულობდა პოზას, გამომხატველ ენებს, აქსესუარებს და მათი მეშვეობით ქმნიდა მოდელის ხასიათს და ეფექტურ, რიტმულ კომპოზიციას, — გეინზბორო ჩვეულებრივ, ფიგურას აყენებდა ტილოს ცენტრში და სრულიად არ ცდილობდა პოზების ვარიაციას. მისი პორტრეტების შინაგანი ხასიათი გადმოცემული იყო მთლიანად ფერწერული გადაწყვეტით, თავისუფალი, მსუბუქი მონასმით, რაც ქმნიდა მოძრაობის და ცოცხალი ცხოვრების შთაბეჭდილებას.

ამ პერიოდის ფერწერული სტილის ფორმირებაზე დიდი გავლენა მოახდინეს რუბენსმა და ვან დეიკმა. ვან დეიკისადმი სიყვარული სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე შერჩა. ამ სიყვარულის მეშვეობით ჩამოიშორა გეინზბორომ ადრინდელი სიმშრალე და შეიძინა დამაჯერებლობა და სიმსუბუქე, რაც შემდეგში კიდევ უფრო განავითარა. მისი ფერთა გამა კიდევ უფრო მეტ სიღრმესა და სისავსეს იძენს.

ამ პრინციპითაა შესრულებული მისი ძმის-შვილის, გეინზბორო—დიუპონის პორტრეტი და ცნობილი „ცისფერი ბიჭი“, სადაც მხატვარს პოზირებას უწევს ჯონათან ბატელი. იგი ცისფერი ატლასის კოსტიუმშია გამოწყობილი და ხელში ბუმბულებიანი შლიაპა უჭირავს. ამ სურათზე ჩვენ ვხედავთ ფერთა არაჩვეულებრივ თამაშს, ცისფერთან, რომელიც გეინზბოროს საყვარელი ფერია, შეხამებულია ბინდისფერი ცა, მუქი წითელი ფოთლები და ფეხქვეშ ყავისფერი ნიაოახე. იქმნება საუცხოო ფერთა სიმთონია.



აქ უკვე ჩანს გეინზბოროს ფერწერისათვის დამახასიათებელი ხერხი, როდესაც გარკვეულ ფერზე ცალკეული მონასმით მიმოფრქვეული სხვა ტონის წინწკლების მეშვეობით ერთი ფერი იშლება მეორეში. მდიდრული ტანსაცმელი და ეფექტებს მოკლებული ბუნებრივი პოზა ქმნის პარადულობისა და ინტიმურობის ერთიანობას. ბიჭუნას სახის ცოცხალი გამოხატუებებია თითქოს ჩვენ თვალწინ იცვლება.

1761 წლიდან გეინზბორო რეგულარულად გზავნის თავის ნამუშევრებს ლონდონში მხატვართა საზოგადოების გამოფენებზე. 1768 წ. იქმნება სამეფო მხატვართა აკადემია და გეინზბორო შეყავთ წევრად. ამის შემდეგ გეინზბორო მუდმივად მონაწილეობს აკადემიის ყველა გამოფენაზე.

გარდა პორტრეტებისა, რომლებმაც სახელი გაუთქვეს მხატვარს, იგი ქმნის პეიზაჟებსაც. პორტრეტების მსგავსად პეიზაჟებიც დიდ ცვლილებებს განიცდის. ჯერ პოლანდიური, შემდეგ ფრანგული როკოკოს დეკორატიული ხერხები ადგილს უთმობენ ახალ, ღრმა ინდივიდუალურ მანერას. ფართო, თავისუფალი ხელწერა მშვენივრად გადმოსცემს საკუთარ ლირიკულ ტემპერამენტს, მის პოეტურ და ღრმა მსოფლალქმას. ფართოდ გაშლილი აღწერით-პანორამული პეიზაჟის და მრავალფეროვანი სურათების ნაცვლად გეინზბორო ქმნის ერთიანი პოეტურ-ინტიმური ვანწყობილების ნაწარმოებებს, სადაც ფიგურა ჩართულია პეიზაჟის ემოციურ გარემოში, შერწყმულია ბუნებასთან, ცალკეული ნაწილების დეტალურად დამუშავების ნაცვლად ჩნდება მსუბუქი მონასმები, ხოლო ფერთა მკაცრი კოლორიტი იცვლება თბილი, ოქროსფერი ტონებით.

სინათლე, კაშკაშა მზის სხივები ხდება გეინზბოროს სულის გამოხატულება. აქ შეიძლება ჩამოვთვალოთ მისი სურათები: „სარწყულელებელი“, „სამკალიდან დაბრუნება“, „ბაზარში გამგზავრება“ და სხვა. ჰაეროვანი, სინათლემოფენილი სურათები ბედნიერი ყოფის გამოხატულებაა. ამ ცოცხალმა გრძნობამ და ლირიზმმა გამოიყვანა გეინზბორო როკოკოს სტილის ჩარჩოებიდან თავისი ზედაპირული დეკორატიულობით, თუმცა ამ სტილის დამახასიათებელი ცალკეული შტრიხები მაინც შეინიშნება მხატვრის შემოქმედებაში. ამიტომაცაა ასე ახლოს მისი ბუნება კონსტებლის ნაწარმოებებთან, რომელსაც განსაკუთრებულად უყვარდა გეინზბოროს საოცრად ძლიერი გრძნობებით სავსე პეიზაჟები.

გეინზბორომ თავისი ღრმის გემოვნებას გადაუსწრო და ამიტომ იყო, მის პეიზაჟებს, თუმცა მოყვარულები აღტაცებაში მოყავდა, — მყიდველი არ ჰყავდა, და შინაგანი თვითდაკმაყოფილების გარდა სხვაგვარი ანაზღაურება არ ჰქონია.

რება არ ჰქონია.

1774 წ. მხატვარი დედაქალაქში გადადის და თანდათან იკიდებს ფეხს მეფის კარზე. ხოლო 1777 წ. აკადემიის გამოფენაზე მისმა სამეფო ოჯახის პირთა პორტრეტებმა სამუდამოდ დაუმკვიდრა საუკეთესო პორტრეტისტი სახელი. 80-იან წლებში მისი უმეტესწილად იცვლება. პალიტრა ხდება [რეპრეზენტატიული, თხელი, უფრო თავისუფალი, გამჭვირვალე მონასმით ფიგურები თითქოს ჰაერში დაცურავენ და კიდევ უფრო ერწყმიან გარემოს. ამ ახალი მანერის ნათელი მაგალითია მისი ცნობილი „პერდიტა“, რომელზეც გამოსახულია მსახიობი რობინზონი ერთ-ერთ როლში (1782).

გეინზბოროს შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ფერწერული და გრაფიკული ხერხების თავისებური შერწყმა. ზეთის საღებავებით შესრულებული პორტრეტები (ქ-ნი პორტსმენი, ლედი პრისკო, ჰერცოგ დე ბოფორის მეუღლე) გვაგონებენ პასტელს არა მხოლოდ მჭრქალი, ნაწი ტონებით, არამედ მონასმის ხასიათით — ხან გულმოდგინედ გამოყავს დეტალები, ხან სწრაფი, მტკიცე დაშტრიხვით იღებს საკირო ეფექტს.

მისი ნახატები მსუბუქია და თავისუფალი, შორსაა აკადემიური „სისწორისაგან“, მაგრამ სავსეა გამომსახველობით და ოხტატურად გადმოგვცემს შუქ-ჩრდილის თამაშს, ზოგჯერ რემბრანდტის ნახატებს რომ გვაგონებს. ზოგიერთი მათგანი პირდაპირი ჩანახატია ნატურიდან, მაგალითად, საოცრად ცხოვრებისეული „ბიჭი ურემში“.

ლონდონში დამკვიდრებისას გეინზბორო თავს არ ანებებს პეიზაჟს, მაგრამ პეიზაჟის საერთო ხასიათი მკვეთრად იცვლება, ნაკლებად ვხედავთ უშუალო დაკვირვებულობას და უფრო იკვეთება კლასიკური პეიზაჟის თვისებები. ეს ჩანს ცნობილ სურათში „სარწყულელებელი“, რომელმაც აკადემიის გამოფენაზე აღფრთოვანებული ქება დაიმსახურა (1777). მხატვარი ახალ ამოცანებს აყენებს, კერძოდ, მასის ჰარმონიული წონასწორობა, დეტალების განზოგადება და შუქ-ჩრდილების ოხტატური განაწილება, რასაც დიდი როლი ენიჭება კომპოზიციური წყობისათვის. ეს ძიებები, სწრაფვა მონუმენტურობისაკენ თანდათან უფრო ვითარდება შემდგომ ნამუშევრებში, მაგრამ ამავე ღრმის მატულობს დეკორატიულობა და შეიმჩნევა ჩანაფიქრის ერთფეროვნება.

გეინზბოროს შემოქმედების ბოლო პერიოდი, 80-იანი წლები, ეს არის ყველაზე აქტიური, ნაყოფიერი, შემოქმედებითი ძიებების მიღწევების და ჩავარდნების პერიოდი, რაც გაუთავებელი უინტერესო შეკვეთებით იყო გამოწვეული.



მაგრამ როდესაც მხატვარს მოდელი აინტერესებდა, იზიდავდა, მაშინ ქმნიდა სულიერად ნათიფ და ფსიქოლოგიური სიფაქიზით სავსე სახეებს, მაგ., ტრაგიკული მსახიობის — სარა ხიდონსის პორტრეტი ანდა მისი მეგობრის, დრამატურგ შერიდანის მეუღლის, აგრეთვე მომღერალ ელიზაბეტ ლინდის პორტრეტები და სხვა.

ქ-ნი შერიდანი, ისევე როგორც პერდიტა, პეიზაჟის ფონზეა გამოსახული. ბუნება მხატვარს ეხმარება განწყობილების, ხასიათის გახსნაში: ახალგაზრდა ქალის ოცნებები, სადამოს სიჩუმე და პეიზაჟის სირბილე ერთ მთლიან მელოდიად აღმოადგინდება. ჩვენ ვიცით, რა ძლიერ უყვარდა გეინზბოროს მუსიკა, მას ეს სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე გაჟღავნა. განუწყვეტლივ ვგრძნობთ მის მუსიკალობას და როგორ იღვრება. მუსიკა საღებავებში. მხატვარი ცდილობს შექმნას არა მარტო ხასიათი, არამედ გარკვეული განწყობილება. სარა ხიდონსის პორტრეტში ქი (1785 წ.) სწორედ შინაგანი სახეა მოცემული მსახიობისა. იგი გამოსახულია წითელი ფარდის ფონზე. ზის თეთრ-ციფერ ზოლებიან კაბაში გამოწყობილი და თავზე დიდი შავი ქუდი ახურავს. ეს საგანგებო უბრალოება და ბუნებრივობა უფრო ნათლად გამოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ, რა გავრცელებული იყო იმდროის მხატვრებში ტანსაცმლის მითოლოგიური გადაცმა ან სხვადასხვა სიმბოლური ატრიბუტები. მაგ. რეინოლდზის სარა ხიდონსი წარმოდგენილია როგორც ღრუბლებში, ტახტრევანზე დაბრძანებული ტრაგედის მუზა. გეინზბოროსთან ქი იგი ჩვეულებრივ ქალაქურ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალბატონია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავდაშერაში, ფაქიზ, ნერვიულ სახესა და დაძაბულ, ბკვიანურ გამოხედვაში ჩანს გამორჩეული პიროვნება, ინტელექტუალური სიღრმე, მხურვალე ტემპერამენტი და ძლიერი ნებისყოფის ხასიათი. შექმნა რა განსხვავებული ქალის სახე, გეინზბორომ ფერწერული მანერაც გარდაქმნა, რის გამოც ფორმები გარკვეული და მკვეთარი გახდა. რბილად გარდამავალი ნაზი ფერები შეცვალა თითქმის ლოკალურმა ფერებმა და თამამმა კონტრასტულმა შეხამებამ, რაც ხაზს უხვამს სახის

ექსპრესიულობას. „სარა ხიდონსი“ გეინზბოროს ერთ-ერთი საუკეთესო პორტრეტული ნაწარმოებია.

მხატვარი არ ეტანება ჯგუფურ პორტრეტებს, რაც განსაკუთრებულ კომპოზიციურ ოსტატობას მოითხოვს, მაგრამ სიამოვნებით ხატავს ორფიგურიან პორტრეტებს. სადაც ფიგურები ერთმანეთთან მხრდრდნენ გარეგნულად ქი არ არიან დაკავშირებულნი, არამედ შინაგანი პარამონიით, სულიერი მოქმედებით, როგორცაა დები ლინდების ანდა თავისი ქალიშვილების პორტრეტები.

იმავე წელს, როდესაც ქ-ნი შერიდანის და სარა ხიდონსის პორტრეტები შექმნა, გეინზბორო ამთავრებს თავის ცნობილ „გასიონებას დილით“, სადაც საბოლოოდ გადაჭრა ორფიგურიანი პორტრეტის პრობლემა. 80-იან წლებში მხატვარი შემოქმედებით ზენიტშია. გარეგნულად ქი მისი ცხოვრება უკვე დიდი ხანია განსაკუთრებული მოვლენების გარეშე, ჩვეულებრივ კალაპოტში მიედინება, თუ არ ჩავთვლით იმ მომენტს, აკადემიასთან საბოლოოდ რომ გაწყვეტს ურთიერთობას. ეს მოხდა 1784 წ. გამოფენაზე სურათების არასწორი განლაგების გამო. გეინზბოროს უკმაყოფილება უბრალო კაპრიზი არ ყოფილა. თავისებური ტექნიკა, თავისუფალი მონასმით, ნათიფი კოლორისტული ნიუანსებით, საჭიროებდა გარკვეულ განათებას და შეხებათის დაშორებას სურათის სწორი დანახვისათვის. ეს არ იყო გათვალისწინებული და შეხამლებელია აკადემიის წევრებმა ყველაფერი განზრახაც მოუწყეს, როგორც ჭირვეულ თვითნასწავლს, რითაც გამოხატეს თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება. ამის შედეგად გეინზბორო აკადემიას აღარ უგზავნიდა სურათებს და საკუთარ სახლში აწყობდა პერსონალურ გამოფენებს.

ბოლო წლებში გეინზბორო ბევრს ხატავდა სოფლის თემებზე. შექმნა გლეხების ნატურალური სიდიდის სურათები და, ალბათ, ამ მიმართულებით ბევრი საინტერესო ნაწარმოების მოწმე გავხდებოდით, განუკურნებელ სენს — ყელის კიბოს — რომ არ მოეხწრაფა სიცოცხლე. გეინზბორო გარდაიცვალა 1788 წლის 2 აგვისტოს.

На грузинском языке

1986 № 3

СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ







ჩემს ბინაში ყველაფერი უანგისფერია: კარები, შორენკეცი, განჯინები. აქაურობას ძალიან მოუხდებოდა შავ ტახტზე წამოწოლილი მოქანგისფრო-წითელ ხალათში გახვეული ქალი. შეიძლება ასეთი ქალის ხელში ჩაგდება არც გამჭირებოდა, მაგრამ მე მხოლოდ მელანქოლია, თავის ტკივილთ, გულგრილობა და ტელეფონით სუნის აღქმის მისტიკური უნარი კვლავ ნაშინელი სენიც მაწუხებს, — მონოგამიისადმი მიდრეკილება. ამჟვეწინდ მასწავლებლს მხოლოდ ერთადერთი ქალი, ვისთანაც შემიძლია იმის გაკეთება, რასაც მამაკაცები ქალებთან აკეთებენ. ეს ქალი არის მარი და მას შემდეგ, რაც მან მიმატოვა, ბერივით ვცხოვრობ. ეს კია: ბერი არა ვარ. ერთხელ აზრად მომივიდა სოფელში წავსულიყავი და ჩემი ძველი სკოლის ერთ-ერთი მღვდლისათვის რჩევა მეკითხა, მაგრამ ყველა მღვდელს ადამიანი პოლიგამიურ არსებად მიაჩნია, ამიტომაც ექომაგებიან ასე გულმოდგინედ ერთცოლიანობას. მე მათ აღბათ ურჩხული ვეგონები და მათი რჩევა სხვა არაფერი იქნება, თუ არა ქარაგმული მითითება იმ სავანეზე, სადაც, როგორც ფიქრობენ, სიყვარული იყიდება. პროტესტანტებისაგან ჯერ კიდევ მოველი რაღაც საკვირველს, ქოსთერთმა მართლაც მოახერხა ჩემი გაოცება, მაგრამ კათოლიკები ველარაფრით გამაკვირვებენ. ერთ დროს კათოლიციზმის მიმართ დიდი სიმპათიით ვიყავი განწყობილი, მაშინაც კი, ამ ოთხი წლის წინ მარიმ პირველად რომ მიმიყვანა „პროგრესულ კათოლიკეთა წრეში“. მარის გულით უნდოდა ჩემთვის გაეცნო ინტელიგენტი კათოლიკები, ცხადია, ფარული აზრიც ამოძრავებდა, იქნებ ერთ მშვენიერ დღეს რჯული შეიცვალოსო (ასეთი ფარული აზრი ყველა კათოლიკეს უტრიალებს თავში). ამ წრეში გატარებული პირველივე წუთები საშინელი იყო. მაშინ ოცდაორი წლისაც კი არ ვიყავი, კლოუნის ხელობას ვეუფლებოდი და შავი დღე მადგა, დილიდან დაღამებამდე ვვარჯიშობდი. იმ საღამოს დიდი სიხარულით ველოდი, ვარჯიშისაგან ქანცგაწყვეტილს იმედი მქონდა, მხიარულად გავატარებდი დროს, მივეძალებოდი კარგ ღვინოს, შევექცეოდი გემრიელ კერძებს, შეიძლება მეცეკვა კიდევ (ჩვენ ისე ხელმოკლედ ვცხოვრობდით, ღვინოც გვენატრებოდა და გემრიელი საჭმელიც), მაგრამ ყველაფერი სულ სხვანაირად მოხდა — ღვინო არ დაილეოდა, ხოლო საღამო, აბა როგორ გითხრათ, დაახლოებით ასე წარმომიდგენია უნიათო პროფესორის სემინარი სოციოლოგიაში. ეს ყველაფერი არა თუ დამქანცველი, ზედმეტად და არაბუნებრივად დამქანცველიც კი იყო. ჯერ ერთად ილოცეს, მე კი ამ დროს არ ვიცოდი, სად წამელო ხელები და როგორ დამემალა სახე. ჩემის აზრით, ურწმუნო კაცი ასეთ მდგომარეობაში არ უნდა ჩააყენო. მათ რომ მხოლოდ ჩვეულებრივი ლოცვა „მამაო ჩვენო“ ან „Ave Maria“ წამოეწყოთ, ჩემთვის ესეც საკმაოდ საჩოთირო იქნებოდა, რადგან პროტესტანტულად აღმზარდეს და მივეჩვიე, მარტომ ვილოცო როცა და სადაც მომეხასიათება, მაგრამ ისინი კითხულობდნენ კინკელის მიერ შეთხზულ ყოვლად პროგრამულ ტექსტს „და ჩვენ გვედრებით შენ, მოგვეცაღა, რათა განურჩევლად მივუზლოთ საკადრისი დამკვიდრებულსაც და აღმავალსაც“ და ასე შემდეგ. და ბოლოს გადავიდნენ საღამოს თემაზე „სილატაკე იმ საზოგადოებაში, სადაც ვცხოვრობთ“. ასეთი საშინელი საღამო ჩემს ცხოვრებაში იშვიათად მქონია, ვერ გამიგია, რატომ უნდა იყოს რელიგიურ თემაზე საუბარი ასე დამქანცველი. ვიცი, ძნელია ირწმუნო ასეთი რელიგია, მკვდრეთით აღდგომა და მარადიული არსებობა. მარი ხშირად მიკითხავდა ბიბლიას.



67/91



ტომას გეინზპორტო. მხატვრის ქალიშვილები.